ოსურ ზეპირსიტყვიერებაში დარეჯანიანთა თქმულებების რამდენიმე ციკლი არსებობს. ერთ-ერთი თქმულება „ამბავი როსაფისა“, რომელიც დარეჯანთა თქმულებებში მოუთავსებიათ გამოცემის დროს (როგორც ჩანს, სათაურის გამო), ვეფხისტყაოსნის სიუჟეტური სახესხვაობაა. ეს თქმულება ჩაუნწერია პეტრე გადიათს 1924 წელს, ხოლო მთქმელია ზაურბეგ თუათი. პირველად ის ოსურ ენაზე გამოქვეყნებულა ორჯონიკიძეში 1941 წელს, შემდეგ 1961 წელს (ეს ვარიანტი ქართულ ენაზე უთარგმნია ოლღა თედეევს, 1988 წელს თედეევი 1988: 53-67). „ამბავი როსაფისა“ ოსურ ენაზე ახლახანსაც (2007 წელს) გამოიცა ისევ დარეჯანიანთა თქმულებებთან ერთად (ოსური ხალხური შემოქმედება 2007: გვ. 372-384.) როგორც მკვლევარები მიუთითებენ, “ეს არის ოსური ხალხური ვეფხისტყაოსანი“ (თედეევი 1988: გვ. 54). დარეჯანიანთა თქმულების ამ ციკლის სიუჟეტი ვითარდება ვეფხისტყაოსნის სიუჟეტურ ფონზე, თუმცა თვით ამბავიც საკმაოდ გადასხვაფერებულია. მეფე როსაფი ღალატით მოკლეს, დარჩა სამი ძუძუმწოვარა ბავშვი: ამირანი, თალიარი და ფრიდონი, რომლებიც სხვადასხვა ველზე დაყარეს მტრებმა. აღმოსავლეთის ველზე დაგდებულს ირემი აწოვებდა ძუძუს და ის ზრდიდა, მეორე ერთმა ხელმწიფემ იშვილა, მესამე — თალიარიც — მონადირეებმა იპოვეს და ხელმწიფეს მიჰგვარეს, რომელმაც იშვილა (თუმცა მას ქალიშვილი უკვე ჰყავდა).

მეტად თავისებურადაა შემოყვანილი ოსურ ვარიანტში ასმათი, იგი მხოლოდ ტარიელის მისახედად, მის მშველელადაა განწესებული. ხელმწიფის კარზე მიყვანილი ტარიელი არცა ჭამდა, არცა სვამდა, არც ტანთ იმოსებოდა. მისი საქციელით საგონებელში ჩავარდნილ მეფეს ურჩიეს, მისი მოგვარე ანუ დარეჯანიანთა გვარიდან მოეყვანათ ვინმე, რომელსაც აუცილებლად დაუჯერებდა. მეფე ასეც მოიქცა, მოჰგვარა მასმათი (ასევე დარეჯანიანთა გვარისა), რომელიც მეფის თხოვნით აქ დარჩა და ტარიელის აღზრდას ხელმძღვანელობდა.

ოსური ვეფხისტყაოსნის მიხედვით, ტარიელი (თალიარი) კარგი მონადირე დადგა, შურით აღივსნენ მონადირეები და გადაწყვიტეს, რამენა-

ირად თავიდან მოეშორებინათ იგი. ბევრჯერ სცადეს კიდეც: ჯერ მეფეს მიუტანეს ამბავი, თითქოს ტარიელი კარგი მონადირე კი იყო, მაგრამ მეფისთვის არაფერი ემეტებოდა. აბა ცოცხალი ნადირი ჩამოგირეკოს ეზოში, თუკი ის შენთვის ემეტებაო. მეფემ ეს დავალება დაუყოვნებლივ მისცა ტარიელს. ვაჟს გაუკვირდა: მეფეო, რაში გჭირდება ცოცხალი ნადირიო? მაგრამ მაინც წაიყვანა მონადირეები და წავიდა სანადიროდ. იქიდან უამრავი ნადირი მორეკა, მაგრამ მეფეს სთხოვა, **მხოლოდ ერთი დაეკლა**. აქ გვახსენდება სცენა მეფე როსტევეანისა და ავთანდილის ნადირობისა. „მიჰხოცდეს და მიისროდეს მინდორს სისხლთა მიასხმიდეს“, რის გამოც „ცათა ღმერთი შეარისხეს“. ოსურ ხალხურ ვარიანტში, მართალია, უამრავი ნადირი მირეკეს მეფის სასახლეში ტარიელმა და მისმა თანმხლებმა პირებმა, მაგრამ მხოლოდ ერთი ქორბუდა ირემი დაკლეს, დანარჩენი კი გაუშვეს, რომლებიც უმალ ველ-მინდვრებზე მიმოიფანტნენ.

მეორედ მონადირეებმა კვლავ უმუხთლეს ტარიელს და ისეთ ადგილზე წაიყვანეს, სადაც საერთოდ არ იყო ნადირი. ვერავინ ვერაფერი მოკლა, მხოლოდ ტარიელმა მოკლა დურაჯი. სწორედ დურაჯის წყალობით ნახავს პოემაში ავთანდილი ნესტან-დარეჯანს. აქაც მოქმედება ასე ვითარდება: ტარიელს მეფესთან დააბეზლებენ ბოროტი მონადირეები, რომ მან უცხო ფრინველი მოკლა და მას არ მიუტანა. მეფე უსაყვედურებს, რატომ არ მიართვა მეფეს ტარიელმა ის ფრინველი, რაზედაც ტარიელი უპასუხებს: — ის მე თქვენი ქლიშვილისთვის მინდოდაო. მეფემ დართო ნება, მისთვის მიეტანა და ტარიელი მიდის მეფის ასულთან სთარეჯანთან და მიაქვს საჩუქრად ეს ფრინველი.

ისევ აღიძრნენ მოშურნენი და მეფეს უთხრეს, ტარიელს შეუძლია ინდოთ მეფე შენი მოხარკე გახადოსო (ხატაეთი ოსურ ვარიანტში ინდოეთით არის შეცვლილი).

ტარიელის წასვლა ხატაეთს და დიდი ომი ოსურში ვარიანტული სახესხვაობით არის ცნობილი. კერძოდ, აქ ტარიელი ომში წასვლამდე სამჯერ ხვდება მასმათის დახმარებით სთარეჯანს: ერთხელ სარკმლიდან ესაუბრება, მეორედ — კარებიდან, მესამედ მასმათს სთხოვა, ოთახში შეეშვა და ისიც დასთანხმდა. ოთახში შესული ტარიელი და ნესტანი შეჰფიცებენ ერთმანეთს, რომ არც ნესტანი მისთხოვდება ტარიელის გარდა არავის და ტარიელიც მის მეტს არავის ინდომებს.

ინდოეთის სამეფოსთან ჯარით მიახლოებულ ტარიელს ინდოთ მეფე შემოუთვლის: ჩვენ ნუ გადაგვექლავ და ისედაც დაგნებდებით, ჯარი გააბრუნეო. ვეფხისტყაოსანში ტარიელს ჯარი მაინც თანა ჰყავს, თუმცა მოფარებულად, აქ კი ოსურ ვარიანტში იგი დაუჯერებს ინდოთ მეფეს და ჯარს გააბრუნებს. სწორედ აქ ეახლა მამამისი განაზარდი კაცი და უთხრა: მეფე გღალატობს და ჯარი ისევ შენთან მოაბრუნეო. თალიარი დარწმუნდა მის სიტყვებში, დაინახა ინდოეთის ცაზე ჯარის იარაღის ლულებიდან გამონაბოლქვი ბოლისა და ცხენების პირიდან ამოვარდნილი ოხშივარით დაფარული ცა და უღმობლად ამონყვიტა მონინაალმდეგის ჯარი, თვითონ მეფე ტყვედ ჩაიგდეს, რომელმაც აღუთქვა, მათი მოხარკე გახდებოდა, რაზედაც ტარიელმა ხელი მოაწერინა.

ამ ომის შედეგად ნადავლად ჩაგდებული ვეფხისტყაოსნისეული ყაბაჩა და ერთი რიდე ოსურ ხალხურ ვარიანტში ჯადოსნური თავსაბურით არის

შეცვლილი, რომელსაც თუ გაშლიდი, მთელს ინდოეთს დაფარავდა, ისე კი ერთ მუჭში ჩაეტეოდა. ტარიელმა ეს მაშინვე სთარეჯანის საჩუქრად დასახა.

რჩევა ნესტან-დარეჯანის გათხოვების ამბავი და ნესტანის განრისხება ოსურ ზეპირსიტყვიერებაში ვეფხისტყაოსნის ტექსტს მიჰყვება. ტარიელის რეაქციას — ფიცი მე კი არა შენ გატეხეო, ნესტანი მუქარით პასუხობს. ამის შემდეგ კი ქალმა მოატანინა კიდობანი, შიგ ჩანვა, დაახურინა და სთხოვა ზღვაში შეეგდოთ ეს კიდობანი და ასე დაიკარგა.

ოსურ თქმულებაში სიუჟეტურ მოვლენათა თანმიმდევრობა არეულია. განრისხებული ტარიელი ამის შემდეგ მიდის და კლავს სიძეს, მეფეს კი მიახლის, აი, შენი სანაქებო სიძეო, ჰკრავს ცხენს ფეხს და გავარდება. მასმათი შეევედრება, მეც წამიყვანეო. შემოატრიალა ცხენი ტარიელმა, შეისვა ასმათი და ცხენი კვლავ გააქროლა.

ოსური ხალხური პოემის მიხედვით, ნესტანს და არა ჰყავს. როსაფის ამბავში კი ერთ-ერთ ეპიზოდში ჩნდება ნესტანის და. საფიქრებელია, რომ ეს არის დობილი, დადნაფიცი, რადგან ტარიელსაც ფრიდონი ძმად იხსენიებს. ძმადნაფიცი სიტყვა ოსურში არ არსებობს, ისევე როგორც არ არსებობს ოსურ ლექსიკაში დადნაფიცი.

ნესტანის დას ეკითხება მეფე, რა იქნა ნესტანი, იგი უპასუხებს, რომ მან წყალს მისცა თავი. მეფემ გამოიკითხა, ვინ იცოდა მათი სიყვარულის ამბავი. თამარეძიმ და მასმათმაო, უპასუხა ქალმა. როდესაც გაიგო, რომ მასმათი იქ აღარ იყო, მოაყვანინა თამარეძი, ცხენის კუდზე გამოაბმევინა და ასე ამოხადა სული.

ოსურ ხალხურ ვეფხისტყაოსანშიც დაცულია პოემის უმთავრესი პრინციპი. ტარიელი ომს არასდროს იწყებს, მისი შეტევა მხოლოდ საპასუხო რეაქციაა. ის მაშინ იბრძვის, როდესაც იძულებულს ხდებიან, იარაღს მოჰკიდოს ხელი. ასეა ეს გამოქვაბულის აღების დროს. მიჯნურის საძებნელად მიმართულ ტარიელს ცეცხლი არა აქვს, რომ საჭმელი მოამზადოს. დაინახავს, რომ შუქი გამოდის საიდანაცა. დევები, რომლებსაც ცეცხლი აქვთ, ფიქრობენ ცეცხლი არ მისცენ და იგი მწვადად შეწვან. სამივე სათითაოდ გამოდის, რომ ნახოს ვინ არის ის, მოკლან და სამწვადედ აქციონ. თალიარი სამივე დევ ძმას მოკლავს — მათი ცეცხლიც მას დარჩება და გამოქვაბულიც. ის მასმათთან ერთად გამოქვაბულში დასახლდება.

ნესტანის საძებნელად წასული მტირალი ტარიელი, შეწუხებული, რომ მიჯნურის კვალს ვერსად მიაგნო, დაღლილი წამოწვა ერთ მინდორში და ჩაეძინა. მას პირიდან ცეცხლი ამოსდიოდა და იქაურობას ცეცხლი ეკიდებოდა. ეს ინდოეთის მეფის სამფლობელო ყოფილა და სწორედ აქ ვითარდება ამბავი არაბთა მეფისა, რომელმაც რამდენჯერმე მოციქულები გაგზავნა მისი ამბის გასაგებად, რაინდმა „მათრახითა შეამწიფნა“ და შემდეგ ერთ-ერთს პატიება დააბარა მეფესთან ტყის გადანვის გამო, ხლებაზე კი უარი განუცხადა. გადარჩენილი მოციქული მივიდა მეფესთან (თავში ორ ქვას იცემდა, რომელიც ტარიელმა მისცა), გადასცა ტარიელის დანაბარები მეფეს და მეტისმეტი განცდისგან იქვე ამოხდა სული. მეფემ ჯარით განიზრახა ტარიელის დამორჩილება, რომელსაც ეძინა. რაინდმა ცხენს სამი ძუა გამოაძრო და მეფის ჯარი განყვიტა (მას ეს სამი ძუაც სხვა დროსაც ეხმარებოდა), შემდეგ მეფეს ხმლით ერთი ხელი ჩამოათალა და გაუჩინარდა.

ასე ხდება თვით დევებთან შებრძოლების დროსაც. ხვარაზმელი ძმების ამბავი ასეა გადმოცემული: ტარიელი მოხვდა ერთ ვინრო ადგილას, სადაც

სამი დევი იჯდა და არავის ატარებდა. რაინდი რომ მიუახლოვდათ, ერთმა ცხენის მითვისება მოინდომა, მეორემ — ტანსაცმლის, მესამემ კი — ფულისა. საპასუხოდ აქაც — „მან გლახ იგინი დახადნა მტერთაცა სანყალობელად“. რუსთაველის პოემის მიხედვით, ამ ძმებს ავთანდილი შეხვდა, რომელმაც თავისი მწვადიც მათ დაუტოვა და ტარიელს დაედევნა. ოსურ ხალხურ ეპოსში კი ფრიდონი შეხვდა მათ, რომლებმაც უამბეს თავიანთი თავგადასავალი, ფრიდონმა ხელის გადასმით გაუმთელა ორს წყლული და მისცა დანა, რათა მესამე, კლდეში თავშერგული, ამოეთხარათ და გადაერჩინათ. თვითონ კი თალიარს დაედევნა.

იგივე პრინციპია დაცული სხვა გმირებთან მიმართებაშიც: გულანშაროში ავთანდილის ნაცვლად (ხალხურ ვეფხისტყაოსანში) ფრიდონი მოხვდება და ქალს ხვდება (ფატმანს), რომლის ქმარიც სახლში არ არის. ზევით სამღვთოს იხდიან და იქ არისო — მiasწავლა ქალმა ის სახლი, სადაც იმყოფებოდა მისი ქმარი. შეიპატიჟეს რაინდი, დასვეს საპატიო ადგილას (დიდვაჭარის, იმ ქალის ქმრის გვერდით). ცოტა რომ დალიეს, დიდვაჭარმა იუკადრისა, ეს ვინ დამისვით გვერდითო და წამოიწია, ფრიდონმა ხელი მოჰკიდა, დაჯექიო და ერთი ხელი ჩამოაგლიჯა. ისევ წამოიწია დიდვაჭარმა, ისევ მოჰკიდა მეორე ხელზე ხელი, დაჯექიო და ახლა ის ხელი ჩამოაგლიჯა. როცა დიდვაჭარი კბილებით ეცა ფრიდონს, მან იგი ისე ძლიერ მოისროლა, რომ თავისივე ჩარდახს მოხვდა თავით და მინდორში დაეცა.

ფატმანს სწორედ ამის მერე გაუმიჯნურდება ფრიდონი (და არა ავთანდილი), რომელიც ოსურ ვარიანტშიც ქალის ინიციატივაა: დიდვაჭარის ცოლმა რომ გაიგო ქმრის ამბავი, ფრიდონს უთხრა, არაუშავს, შენ უკეთესი ქმარი არა ხარო? და ფრიდონი იქ დაიტოვა.

ფატმანს დააინტერესდება ვინ არის ის კაცი, რომელიც ზღვასა ხვრებს და აშრობს. მაშინ უამბობს ფრიდონი, რომ ესაა მისი ძმა ტარიელი, რომელიც დაკარგულ სატრფოს დაეძებს. პოემის ძირითადი კვანძი ოსურ ვეფხისტყაოსანშიც ფატმანის მეშვეობით იხსნება. ის იმ ქალს ველარ შეხვდება, რადგან ეშმაკებსა ჰყავთ შეპყრობილი და ბნელას კოშკში ჰყავთ გამომწყვდეულიო (აქ საინტერესოა, რომ ფატმანი ბნელას კოშკს ასახელებს ანუ ქართულ სიტყვას ხმარობს და არა ოსურს, ბნელი ოსურში სხვა ცნებაა).

ფრიდონმა ტარიელი დიდვაჭრის სახლში მიიყვანა და თვითონ ნესტანის საძებნელად გაემართა. იგი მოხვდა სამი გრძნეული დის სახლში. ერთერთი და მიდის ნესტანის გამოსახსნელად (აქ ზღაპრული პასაჟია გამოყენებული ქალიშვილი ბუზად გადაიქცევა), ასეთი სახით მივა ქალიშვილი ნესტანთან და ეტყვის, რომ დარეჯნიანნი გეძებენ, იციან, სადაც ხარ და ვერ ახერხებენ შენთან მოსვლასო. ნესტანი აძლევს ჯადოსნურ ბურთს, რომლის დახმარებითაც უნდა იხსნან იგი. ქალი დაარიგებს მათ, რომ აუცილებლად კოშკს უნდა მოახვედრონ.

წამოიღო ბურთი ფრიდონმა და წამოვიდა. სამმა დამ ფრიდონს ურჩია, თქვენ ორნი ვერაფერს გახდებით, თუ ავთანდილიც არ იახლეთო. აქ სწორედ პოემის სიუჟეტის სტრუქტურული ელემენტი ჩნდება: სამი გმირი მიემგზავრება ეშმაკების წინააღმდეგ საბრძოლველად. გადამწყვეტ მომენტში ერთვება ავთანდილი, რომელიც ცაციაა და ძალიან ძლიერი. დაარიგებენ ფრიდონს, მოძალადენი არ ეგონოთ, უცებ არ მიადგეთ, რემა გამოირეკეთ და რომ გამოგეკიდებათ, მაშინ გამოემცნაურეთო. მართლაც ასე მოიქცევიან და როცა ავთანდილი ჰკითხავს მათ, ვინა ხართო, ეტყვიან

ჩვენ შენი ძმები ვართო. ავთანდილს გაუკვირდა, საიდანა ხართ ჩემი ძმებიო და მაშინ ეტყვიან ჩვენ როსაფის ძენი ვართო. მეც ხომ როსაფის ძე ვარო, გაიხარა ავთანდილმა და მათ შეუერთდა. ავთანდილმა თავისი ცხენები შესთავაზა მათ, გაემართნენ ციხისკენ. იქ ტარიელი იჩენს ინიციატივას, ბურთი მე უნდა ვისროლოო (როგორც პოემაშია, მას სურს თვითონ გამოიჩინოს გმირობა), ბურთი ვერ ხვდება კოშკს (ეს საგანგებოდ არის, რათა აქაც სამივე გმირი ერთად შეებრძოლოს უკეთურებას, დემონს, ქაჯებს, ეშმაკებს და სიკეთის, კონკრეტულად ამ შემთხვევაში, ნესტანის, გასათავისუფლებლად იბრძოლონ). ავთანდილი ძირფესვიანად ამოთხრის ხეებს და გადებს ხიდად. გაივლიან ხიდს და შემოესევინან ეშმაკები (იგივე ქაჯები), ხოცავდნენ ეშმაკებს რაინდები, მაგრამ ისევ ერთიორად მრავლდებოდნენ. მაშინ ნესტანმა გადმოსძახა მათ, ხმლები მარცხენა ხელით მოუქნიეთო და ასე ამოჟლიტეს ეშმაკები (აქ დარეჯანიანის თქმულების პასაჟია ჩართული: ქალი — ყამარი ასწავლის გმირს მონინაალმდეგის მოგერიების ხერხს: „მალლა კი ნუ სცემ... დაბლა დაეცი ლბილოსა“). ქალის მიერ ნასწავლი ეს ხერხი გამოიყენეს რაინდებმა და განყვიტეს ეშმაკები.

როსაფის ამბავში კიდევ ერთი დამოუკიდებელი ეპიზოდი გვხვდება: ნესტანს გულისყურში ჩაუძვრა რამდენიმე ეშმაკი. ავთანდილმა განაცხადა, რომ ქალი მასაც ეკუვნოდა (აქ იკვეთება ნართი სოსლანის ამბავი, როდესაც მან მეგობრების დახმარებით გაათავისუფლა აგუნდა და მისმა მეგობრებმაც თანასწორ უფლებაზე განაცხადეს პრეტენზია. სოსლანმა მიაღწია, დაესაბუთებინა თავისი უპირატესობა). ავთანდილს ტარიელი ეტყვის მთლიანად შენ დაგიტომობ ქალს, წილი რანაირად უნდა მოგცეო. არაო, მიუგო ავთანდილმა, მე ჩემი წილი მინდაო და მან შუაზე გაკვეთა ქალი, მისი გულისყურიდან ეშმაკები გადმოსხა, დახოცა და ქალი ისევ ჯადოსნური ხელსახოცით გააცოცხლა და ტარიელს მიუყვანა. ასე გაიხსნა ამ ეპიზოდში უცნაურად შეკრული კვანძი. რასაკვირველია, ასეთი რამ ვეფხისტყაოსანში არაა, ეს სულ სხვა დროა, სხვა ეპოქაა, რომელიც სხვა მსოფლმხედველობით სუნთქავს.

ოსური ხალხური ვეფხისტყაოსანი — „ამბავი როსაფისა“ რუსთველის პოემის დასასრულს თითქმის იმეორებს: წამოვიდნენ ძმადნაფიცები, ის სამი ქალიშვილიც წამოიყვანეს, რომლებიც დაეხმარნენ, დიდვაჭრის ცოლსაც შეუარეს და თან იახლეს, ავთანდილის რემა წამოასხეს და თავის ქვეყანაში მოაღწიეს. შური იძიეს თავიანთი მამის მკვლელზე, მისი ქონებაც მიიმატეს და ბედნიერად განაგრძეს ცხოვრება.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ „ამბავი როსაფისა“ ეს არის ოსური ხალხური ვეფხისტყაოსანი, გარკვეული ვარიანტული სახესხვაობით, რომელზეც ნაწილობრივ ზემოთ იყო საუბარი.

საინტერესოა, რომ ამირან დარეჯანისძეთა სხვა თქმულებაში, რომელიც ვს. მილერს 1881 წელს გამოუქვეყნებია, ამირანისა და მისი ძმების მამა როსტომია. ამირან დარეჯანიანთა თქმულებებში იხსენიება თამარიც (ამაყი და ულამაზესი), რომლის მამა უძლეველი ხელმწიფე ტანდერ-ტუნდერია.

ოსური ხალხური ვეფხისტყაოსანი (ამბავი როსაფისა) ძირითადად იმეორებს შოთა რუსთაველის პოემის ამბებს, მაგრამ აქ გარკვეულწილად არის ჩართული დარეჯანიანთა ამბებიც (მცდარია მოსაზრება, რომ მას არაფერი აქვს საერთო ამირანდარეჯანიანთან). ის, რომ გმირები დარეჯანიანები არიან, ყამარისა და ნესტანის აქტიურობა ბრძოლის დროს, რაც

გადამწყვეტი აღმოჩნდება მოწინააღმდეგის დამარცხებაში და სხვა, მიგვანიშნებს რომ ოსური „ამბავი როსაფისა“ საზრდოობს ქართული ამირან-დარეჯანიანითა და ვეფხისტყაოსნით.

ფოლკლორული პარალელები, ასევე ურთიერთმსგავსება უძველეს ქართულ ძეგლებსა და ოსურ ხალხურ თქმულებებს შორის, აშკარა მანიშნებელია იმ ეთნოკულტურული კავშირებისა, რომელიც ოდითგანვე არსებობდა ქართველებსა და ოსებს შორის.

დამონებიანი:

აბაევი 1990: Абаев В. И. *Избранные труды*. Владикавказ: 1990.

თედევი 1988: თედეთი ო. *ნარკვევები ოსურ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან*. თბ.: 1988.

კიკნაძე 2007: კიკნაძე ზ. *ქართული ხალხური პოეზია*. თბ.: 2007.

ოსური ხალხური შემოქმედება 2007: *Édîí àä, îîí ñô, éäûñòää, ôûööää ôîì. Äç, óäæûðû, ó*: 2007.

რუსთაველი 1988: რუსთაველი შოთა. „ვეფხისტყაოსანი“. თბ.: 1988.

TINATIN BOLKVADZE

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The Ways of Information Variety and the Problem of Ethos in “The Knight in Panther’s Skin”

The aim of the article is to research the most prevalent varieties of poetic parallelism – gradation, repetition and enumeration, contrastive parallelism, phraseological extension and situational determination and dependence on the communicative task of the idea which is rendered by all the sentences of both - the line and the quatrain. This is followed by an analysis of literary value of the varieties of poetic parallelism and how a reader reacts to them. An attempt is made to show the relationship between the poetic theory, presented in the prologue, and the poem itself, with which Rustveli considered poetic mastery and how he himself implemented this.

Key words: Rustaveli, poetic parallelism, variation of information, poetic theory, ethos.

თინათინ ბოლქვაძე

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინფორმაციის გამლის ხერხები და ეთოსის საკითხი „ვეფხისტყაოსანში“

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პირველ გამომცემელსა და კომენტატორს ვახტანგ მეექვსეს უმთავრესად აინტერესებდა პოემის ზოგადი იდეა. იგი კვალდაკვალ მისდევდა შაირებს (ანუ სტროფებს) და მათ

შენიშვნებს უკეთებდა. ვახტანგ მეექვსე ყურადღებას აქცევდა ცალკეულ სიტყვებსა და გამოთქმებს, ხსნიდა ძნელად გასაგებ ლექსიკურ ერთეულებს და ხშირად თავისი სიტყვით, მთლიანად ან ნაწილობრივ, გადმოგვცემდა სტროფის შინაარსს (შანიძე 1986ა:14). რასაკვირველია, მნიგნობარი მეფის ნაშრომი აკადემიური თვალსაზრისით უნაკლო არ იყო, მაგრამ მასში უკვე აშკარად ჩანდა თანამედროვე რუსთველოლოგიის ძირითადი მიმართულებანი:

1. ზოგადი იდეის კვლევა, რაც ამჟამად ნიშნავს პოემის ფაბულისა და სიუჟეტის, მისი მხატვრული სტრუქტურის სიმბოლურ და ალეგორიულ ინტრეპრეტაციას: „ვეფხისტყაოსნის“ ტროპიკის, გმირთა სახეების ფუნქციათა შესწავლას, პოემის მითოსური არქეტიპების ძიებას, მსოფლიო ლიტერატურის სხვადასხვა ძეგლებთან ტიპოლოგიური კავშირების დადგენას (გამსახურდია 1991: 5).

2. პოემის ენის კვლევა, რაც გულისხმობს: ა) ერთი მხრივ, „ვეფხისტყაოსნის“ ენის შესწავლას ქართული ენის ისტორიის თვალსაზრისით და ბ) მეორე მხრივ, რუსთველის ენის პოეტურ თავისებურებათა კვლევას. ორივე შემთხვევაში, როგორც პრადის ლინგვისტური სკოლის წარმოდგენილი ი. მუკარჟოვსკი იტყოდა, საუბარია, ერთსა და იმავე საკითხზე მხოლოდ ერთმანეთისაგან განსხვავებული თვალსაზრისით და პრობლემის სხვადასხვაგვარი გაშუქებით (მუკარჟოვსკი 1967: 406).

მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურულ ქმნილებას ა. შანიძე, პირველ ყოვლისა, განიხილავდა როგორც ქართული ენის დოკუმენტს, რომელიც მაჩვენებელია გარკვეული ეტაპისა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში. იგი წერდა: „ვეფხისტყაოსანი“ მეტად საყურადღებოა როგორც ძეგლი, რომელშიც ერთიმეორის გვერდით გვხვდება ძველი და ახალი ფორმები და ამის გამო ტიპური წარმომადგენელია საშუალო ქართულისა (შანიძე 1986: 96), მაგრამ აუცილებელი და არანაკლებ მნიშვნელოვანია რუსთველის ენის პოეტურ თავისებურებათა კვლევა. კ. დონდუას სწორი მითითებით, ბუნებრივია, რომ რუსთველის ენის ქვეშ ჩვენ გვესმის იმ თავისებურებათა მთელი კომპლექსი, რომელიც გამოარჩევს პოემას რუსთველის თანამედროვე ლიტერატურული ნაწარმოებებისაგან, ენობრივ საშუალებათა სიმდიდრე, რომელიც ატარებს ეპოქის ბეჭედს და მეტყველებს ქართული მხატვრული ლიტერატურის ენის სრულყოფაზე (დონდუა 1975: 255).

3. „ვეფხისტყაოსნის“ ენის კვლევა, როგორც ქართული სალიტერატურო ენის, ისე რუსთველისეული პოეტური თავისებურებების გამოვლენის თვალსაზრისით, უმჭიდროეს კავშირშია პოემის ტექსტის დადგენასთან, რომელიც კვლავ რჩება რუსთველოლოგიის ძირითად პრობლემად. ნაწარმოების ტექსტის დადგენის მიზანია, საკმაოდ მივუახლოვდეთ იმ პოემას, რომელიც პოეტის ხელიდან გამოვიდა. სრული მიახლოება და ეჭვ-მიუტანლად ყველაფრის ისე აღდგენა, როგორც შოთას უნდა დაენერა, მეტად ძნელია და თითქმის შეუძლებელიც, რადგან ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერები მე-17 საუკუნის იქით არ მიდის (შანიძე 1986: 94). რ. ერისთავი, ი. გოგებაშვილი და ი. მეუნარგია აღნიშნავენ: შვიდ საუკუნეში, რომელიც გასულია რუსთველის დროებიდან, „ვეფხისტყაოსანი“ ბევრი გადაწერ-გადმონერით, ჩამატებით, გამოკლებით ისე შეცვლილა, რო

გვგონია, რუსთველის გენიამ სამჯერ უარყოს პოემის ავტორობა, სანამ ერთი გამოცემა გაიყიდებოდეს (ერისთავი, გოგებაშვილი, მეუნარგია 1980: 5).

როგორც უკვე ითქვა, „ვეფხისტყაოსნის“ ენის კვლევა და პოემის ტექსტის დადგენა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, უფრო მეტიც, ისინი ერთმანეთს განაპირობებენ. ი. გიგინეიშვილი წერდა: სანამ პოემის ტექსტის დადგენის საქმე მოგვარებული არაა, მანამ ენობრივი თვალსაზრისით პოემის სრულსა და ამომწურავ დახასიათებას მრავალი სიძნელე ელობება წინ. მეორე მხრივ, იმისათვის, რომ პოემის ტექსტის მეცნიერულად დადგენა მოხერხდეს, სრულიად აუცილებელია „ვეფხისტყაოსნის“ ენის ყველა ნიუანსის გათვალისწინება. თავად ი. გიგინეიშვილმა ის გამოსავალი ნახა, რომ კულტურულ-ისტორიული რეალიების გათვალისწინებით პოემის ენის ფილოლოგიურ ანალიზთან ერთად შეეცადა წინ წამოენია ენათმეცნიერული საკითხები და პირველ მიზნად უშუალოდ თითოეული სტროფის გაგება დაისახა სხვა სტროფებთან ერთიანობაში (გიგინეიშვილი 1975: 6).

საერთოდ, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისას თავიდანვე ერთმანეთს დაუპირისპირდა ორგვარი მიმართულება, ორგვარი გზა ინტერპრეტაციისა: მწერლური და მეცნიერული. მწერლურმა ინტუიციამ მრავალი საკვანძო პრობლემა გადაწყვიტა, მრავალ ბუნდოვან საკითხს მოჰყენა ნათელი, მაგრამ, ამავე დროს, მწერლური დაუდევდრობა და მეცნიერული პედანტიზმი ხშირად ხელის შემშლელადაც გვევლინებოდა ტექსტოლოგიური პრობლემების გააზრების გზაზე. იშვიათია მკვლევარი, რომელსაც მშვიდობიანად გაეგლოს ამ სცილასა და ქარიბდას შორის (გამსახურდია 1989: 394).

მიუხედავად გარკვეული სიძნელეებისა, პოემის ენის კვლევისა და ტექსტის დადგენის მიმართულებით რუსთველოლოგთა მიერ მოპოვებული წარმატებანი საშუალებას იძლევა უფრო გლობალური თვალსაზრისით მივუდგეთ „ვეფხისტყაოსნის“ რ. იაკობსონის სიტყვებით რომ ვთქვათ, გამოვიყენოთ იგი საცდელ ველად, საექსპერიმენტო სივრცედ, რათა ვიკვლიოთ ენის სხვადასხვა დონეთა როლი პოეზიაში. ამის გარეშე შეუძლებელია ენის ფუნქციონირების, მისი ისტორიის ბოლომდე გაგება; ხოლო მიღებულ ლინგვისტურ დასკვნებზე დაყრდნობით ხელი შევუწყოთ სერიოზული აღწერითი და ისტორიული პოეტიკის შექმნას.

პოეტიკისა და ენათმეცნიერების ცოცხალი კავშირის აუცილებლობა ყველაზე კარგად პოეტურ მოდელეებზე დაკვირვებისას ვლინდება. ამ სტატიის მიზანია პოეტური პარალელიზმის, როგორც სტროფის თემატურ-კომპოზიციური გამთლიანების საშუალების, კვლევა „ვეფხისტყაოსანში“. ეს პოეტური მოდელი, ერთი მხრივ, იძლევა რუსთველის ენობრივი სპეციფიკის მექანიზმის ახსნას და, მეორე მხრივ, ავლენს ზოგადად ენის სხვადასხვა დონეზე მოქმედ კანონზომიერებებს. რ. იაკობსონი, რომელმაც პარალელიზმის, ისტორიულ პოეტიკაში ასე დიდი ხნის მანძილზე შესწავლილი მოვლენის, პრინციპულად ახალი გაგება შემოგვთავაზა. იგი სამართლიანად შენიშნავდა, რომ თანმიმდევრული პარალელიზმი გარდაუვლად ააქტიურებს ენის ყველა დონეს. მისი ძალით ფონემური და პროსოდიული განმასხვავებელი ნიშნები, მორფოლოგიური და სინტაქსური კატეგორიები და ფორმები, ლექსიკური ერთეულები და მათი მსგავსებისა და განსხვავების მიხედვით შექმნილი სემანტიკური კლასები იძენენ დამოუკიდებელ პოეტურ ღირებულებას, რაც მხოლოდ პარალელური ტაქტებით როდია შემოფარგლული, არამედ მთელ კონტექსტზე ნაწილდება (იაკობსონი

1987: 122). „ვეფხისტყაოსნის“ სტროფის გამაერთიანებელ ფაქტორებზე დაკვირვებამ ჩვენთვის ცხადი გახადა ამ შეხედულების მართებულობა. როგორი სახისაა პოეტური პარალელიზმი ვეფხისტყაოსანში, ეს სპეციალურად არის ნაკვლევია ამავე სახელწოდების მონოგრაფიაში, რომელიც 1997 წელს გამოვეცი. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ იმაზე, თუ რამდენად არის ეს მოდელი გააზრებული რუსთველის პოეტურ თეორიაში და პრაქტიკულად როგორ ახეს იღებს იგი მთელ პოემაში.

შოთა რუსთველის უმთავრესი ესთეტიკური შეხედულებანი „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგშია გადმოცემული. ამჟამად ჩვენ გვინტერესებს მისი აზრი პოეტის ოსტატობის შესახებ. რუსთველი ამ საკითხზე შაირობის რაობის გარკვევის შემდეგ მსჯელობს. „ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,* / მოზურთალსა – მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა, / მართ აგრეთვე მელექსესა — **ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა 13, 1-2** / ვარ: საუბართა ტკბილთა ფრქვევა,** აბ, კაკ²¹.

მაშასადამე, როგორც ცხენი გამოიცდება გრძელ გზაზე დიდი რბენით, როგორც მოედანი გამოცდის მოზურთალსა (ბურთის) მართლად ცემისა და (ჩოგნის) მარჯვედ ქნევას, ასევე მელექსე გამოიცდება გრძელი ლექსის თქმითა და „ხევით“. ხაზგასმული სიტყვის შესახებ რუსთველოლოგები სხვადასხვა აზრს გამოთქვამენ, რომელთა დანვრილებითი მიმოხილვა მოცემულია ამ სტრიქონების ავტორის ნაშრომში „პოეტური პარალელიზმი ვეფხისტყაოსანში“. აქ ყურადღებას შევაჩერებთ ზურაბ სარჯველადის მოსაზრებაზე, რომელიც ძალიან საინტერესო ახსნად მიგვაჩნია. მკვლევარმა ძველ ქართულ ტექსტებში გამოავლინა ხევა ზმნის სხვა მნიშვნელობა, რომელიც სავსებით მიესადაგება რუსთველისეულ ფრაზას. სინურ მრავალთავში ერთგან წარმოდგენილია სიტყვა ტყავისმხეველი, რომლის შემადგენლობაში შედის ხევა ზმნის მოქმედებითი გვარის მიმღობა (მ-ხევ-

* საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის 1962 წლის დადგენილების შესაბამისად, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით ორ ტომად უნდა გამოსულიყო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ. გამოიცა მხოლოდ I ტომი 1966 წელს. მასში შევიდა ტექსტი და ვარიანტები. სტროფების სათვალავს, აგრეთვე ხელნაწერთა და სხვა გამოცემათა ჩვენებებსაც და წიგნში დათქმული ნიშნებისა და შემოკლებების მიხედვით ვიმოწმებთ. ფრჩხილებში ნაჩვენებია „ვეფხისტყაოსნის“ 1957 წლის გამოცემის სტროფული ნუმერაცია.

** ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა იკითხება (D)EGUVW ხელნაწერებსა და ბჩქ კარ ჭინ 1957 წ. გამოცემებში. საუბართა ტკბილთა ფრქვევა-ს დამოწმებული გამოცემების (იუსტ. აბლაძისეული 1914 წლისა და ს. კაკაბაძისეული 1957 წლისა) გარდა უპირატესობა ენიჭება პოემის 1966 წელს ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით გამოცემულ ტექსტშიც, რომელსაც ჩვენ ვემყარებით, მაგრამ ამ იკითხვის ვერ დავეთანხმებით. ასევე საკამათოდ მიგვაჩნია ამავე რედაქციაში მე-13 სტროფის ბოლოს მძიმის დასმა, რაც აჩვენებს, რომ გამომცემლებს მე-13 და მე-14 სტროფები ერთ სინტაქსურ მთელად წარმოუდგენიათ (ამ აზრისაა ვ. ბერიძეც. იხ. ბერიძე 1974: 31). თუ ეს ასეა, მაშინ საქმე გვექონია ანჟამბემანის იმ სახესთან, როცა მთელი სტროფის აზრობრივ-ფრაზეოლოგიური კომპოზიცია სრულდება მომდევნო სტროფის პირველ ტაეპში (ჭილაია 1984: 53). ანჟამებანი ანუ პოეტური გადატანა ძველქართულ საერო პოეზიას არ ახასიათებს (რამდენიმე გამონაკლისის გარდა). სალექსო-რიტმული სეგმანტაციის მიმართებისათვის წინადადებათა აზრობრივ და სინტაქსურ სეგმენტაციასთან იაბიკოსა და საერო პოეზიის ფორმებში იხ. ა. სილაგაძე 1996: 14-15.

ელ-ი): რამეთუ სავლესა, რომელი იგი ტაძარსა წინაშე ჯდა და ტყავისმხეველი იყო, იგიცა სდევნიდა მორწმუნეთა მისთა (იმნაიშვილი 1975: 226). პავლე რომ ტყავის დამმუშავებელი იყო, ამის შესახებ პირდაპირი ცნობაა დაცული „მოციქულთა საქმეში“, სადაც იგი „წელოვნებით მეპრატაკედ“ იწოდება (საქმე მოციქულთა 1950: 18, 1-3). yer.-23 ხელნაწერში მოცემულია მეპრატაკე სიტყვის ეფრემ მცირისეული განმარტება: **მეპრატაკე არს ტარსიკონის მკერვალი** (370 v). ტარსიკონი კი, ოშკური ბიბლიის მიხედვით, ვერძის ტყავს აღნიშნავს (გამოსლვ. 25, 5). მეპრატაკე ზოგ კონტექსტში ბერძნულ წარმოდგენას შეესატყვისება. ეს სიტყვა ბერძნულში ტყავის უბრალო დამმუშავებელს კი არ ნიშნავს, არამედ ბენვის ფაქიზად მომკაზმავს. ზ. სარჯველაძის სწორი დასკვნით, ტყავისმხეველი, რომლის მეორე ნაწილი დამმუშავებელს, მკაზმავს აღნიშნავდა, უკვე ძველ ქართულშივე იცვალა მეპრატაკე სიტყვით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ეფრემ მცირის ნათარგმნ „ასკეტიკონში“ ტყავისმხეველის სინონიმია დადასტურებული, კერძოდ, **ლუედისმხეველი**: თივამენამულსა სთხზავა? მოიწყენებდ ლუედის მხეველთა (A-115 223 ნ.). ზ. სარჯველაძის აზრით, XI-XII საუკუნეთა სამხრეთ საქართველოს მეტყველებაში მხეველი ჯერ კიდევ იხმარებოდა მკაზმავის მნიშვნელობით. სწორედ კაზმვის, გამშვენეირების შინაარსით გამოიყენა ეს სიტყვა რუსთველმა (სარჯველაძე 1990).

ჩვენ მეტად საგულისხმოდ მიგვაჩნია ის, რომ პოეტმა ტყავის განყოფილის აღმნიშვნელი ტექნიკური ტერმინი იხმარა ნაწარმოების გამშვენეირების გადმოსაცემად. ეს ფაქტი საინტერესო ტიპოლოგიურ მსგავსებას ამჟღავნებს ძველინდურ პოეტურ ტერმინოლოგიასთან. როგორც ვ. ივანოვი წერს: ინდოევროპულ სიძველეთა შემსწავლელი მეცნიერების ძირითადი (და, ერთი შეხედვით, პარადოქსულობამდე მოულოდნელი) აღმოჩენა ისაა, რომ იმ პერიოდში, რომელიც უსწრებდა ინდო-არიულს. ე. ი. ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულამდე, ამ ტრადიციის მქონე ხალხს ჰქონდა განვითარებული სიტყვიერი ხელოვნება და მასთან დკავშირებული სპეციალური ტერმინოლოგია, რომელიც საკმაოდ კარგადაა შემონახული თვით „რიგვედის“ ჰიმნებამდეც კი. ძველინდური პოეტური თეორიის მახასიათებელი შტრიხი ისაა, რომ მხატვრული ნაწარმოების შექმნა აღინერებოდა ტექნიკური ტერმინებით, რომლებიც ისეთ ხელობებს ეკუთვნოდა, როგორიცაა ხუროობა, დურგლობა, ფეიქრობა, ქსოვა და წვნა. ვ. ივანოვის აზრით, ეს საყურადღებოა არა მხოლოდ იმ ჰიპოთეზის გამო, რომლითაც ტექნიკა პირველადია ხელოვნებასთან შედარებით, არამედ გ. ზემპერის სკოლის მიერ სტილის ტექნიკური გაგების თვალსაზრისითაც (ივანოვი 1979: 7). ალბათ, ასეთ გაგებას ასახავს ის ფაქტი, რომ თანამედროვე ქართულშიც მწერლობას ხშირად უწოდებენ **სიტყვაკაზმულს**. ასევე საინტერესოა **თხზულება** („ნაწარმოები“) სიტყვის ამოსავალი თხზვა, რაც მნიშვნელობით წვნისა და ქსოვის ფარდია. მაგალითად, გელათურ ბიბლიაში „დალალაჲ... ნათხზენი – დანნულ დალალს, კონოლს ნიშნავს. იოანე პეტრინმა **ნათხზი** („ნაწნავი“) და **ნაქუსი** („ნაქსოვი“) ტერმინები შეარჩია პროკლეს ონტოლოგიური სტრუქტურის ძირითადი ცნების შესატყვისებად (მელიქიშვილი 1993: 204).

აქედან კარგდ ჩანს, რომ **თხზვა**, რომლისგანაც იწარმოება **თხზულება**, **წვნისა** და **ქსოვის** სინონიმებია. ქართულში კიდევ შეიძლება მხატვრულ ნაწარმოებთან და სტილთან დაკავშირებული ბევრი ისეთი ტერმინის მო-

ძებნა, რომელიც თავისი პირვანდელი მნიშვნელობით ტექნიკურია. მაგალითად, ქარგა დღეს სიუჟეტის მნიშვნელობით იხმარება თავდაპირველად კი აღნიშნავდა საქარგავ მონყობილობას (ფოჩხუა 1974: 243). სხვათა შორის, იოანე პეტრინთან ვხვდებით ტერმინ **დაკაზმვასაც**, რომელიც ხატოვნად გადმოსცემს სილოგიზმის აგების, დასაბუთებისათვის საჭირო ელემენტების შეწყობა-აგების სემანტიკას (დაკაზმვით საჭმართა აღმოჩენისათა) (მელიქიშვილი 1993: 204). ასეთივე ტექნიკური ტერმინი ჩანს „**გაჩაღვა**“.

შ. რუსთველი „ლექსთა ლევასა“ და „სიტყვა-მცირობას“ პოეტის ნაკლად თვლის. მისი აზრით, მოშაირეს „ლექსმან ძვირობა“ არ უნდა დაუნყოს. პირიქით, დიდი გმირობის გამოჩენა მართებს, რომ „ქართული“ არ შეამოკლოს. შ. ნუცუბიძის სწორი შენივშნით, ქართული აქ უნდა ნიშნავდეს მეტყველებას, სტილს, გამოთქმის ხერხს საერთოდ. შდრ. **ტკბილ-ქართული** შემდეგ ტაეპში: ყმა ტკბილი და **ტკბილ-ქართული**, სიკეთისა ხელის მხდელი 712 (710), 1 (ნუცუბიძე 1967: 378-379).

შოთა რუსთველის პოეტური თეორიის მიხედვით, „ხევა“ თან სდევს „ლექსთა გრძელთა თქმას“, რაც ჩვენი ფიქრით, **ვარირებას** ანუ **ინფორმაციის გაშლას** უნდა ნიშნავდეს. რუსთველის აზრით, მხოლოდ ეპიკოსია ნამდვილი მელექსე: მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად 17, 4. აქედან გამომდინარე, ვარირება და კაზმვა სწორედ ეპიკური ჟანრის ნაწარმოებთა შემოქმედის აუცილებელი უნარია. ეს ღირსება არ ახასიათებს სხვა მოშაირეებს. „ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული“, — ამბობს რუსთველი თავისი შემოქმედების შესახებ. მაშასადამე, მისი აზრით, შემოქმედების სავალდებულო მხარეა ძლიერი შთაბეჭდილების მოხდენა, „**ლახვრად გულს დასობა**“. ამიტომ ამბობს იგი, რომ „ცოტა ლექსის“ მწერალთ არ ძალუძთ „**სრულ-ქმნა სიტყვათა, გულისა გასაგმირეთა**“ (ნუცუბიძე 1980: 486). სწორედ ვარირებითა და კაზმვით მიიღწევა „**სრულქმნა სიტყვათა გულისა გასაგმირეთა**“ (16, 2), ანუ **მხატვრული ეფექტი**, რომლის მოხდენა მხოლოდ ეპიკოსს ძალუძს. როგორც არისტოტელე ამბობდა: არ კმარა იმის ცოდნა, რა თქვა, არამედ აუცილებელია იმის ცოდნაც, როგორ თქვა. რადგან იმაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, რა შთაბეჭდილებას ტოვებს ორატორი მსმენელებზე (არისტოტელე 1981: 165). ეგევე ითქმის მხატვრულ ნაწარმოებზეც იმის მიუხედავად, პროზას ეკუთვნის იგი, თუ პოეზიას. ლიტერატურული ფენომენის სირთულეს განაპირობებს სწორედ ის, რომ ეფექტისა და მნიშვნელობის ცნებები მასში მთავარ როლს ასრულებენ და ეს გარემოება, როგორც ვნახეთ, რუსთველის პოეტურ თეორიაშიც აისახა.

თანამედროვე ესთეტიკაში მხატვრული ეფექტის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი **ეთოსი** (**ethos**). ეთოსი მკითხველის აფექტური (ძლიერი განცდითი) მდგომარეობაა, რომელიც გამონვეულია რაიმე ცნობის (ინფორმაციის) მოქმედების შედეგად. მკითხველი არ ჯერდება ხელშეუხებელი ესთეტიკური მონაცემის მიღებას, იგი რეაგირებს გარკვეულ სტიმულზე. ეს რეაგირება შეფასებასაც შეიცავს. მაშასადამე, ტექსტის აღქმის ეფექტი დამოკიდებულია როგორც სტიმულზე, ისე მიმღებზე (ჯგუფი მ 1986: 264).

მკითხველზე დიდ მხატვრულ ეფექტს ახდენს „ვეფხისტყაოსნის“ ტროპიკა, ავტორის სიმბოლური და ალეგორიული აზროვნების თავისებურებანი, პოემაში განვითარებული ფილოსოფიური აზრი საერთოდ. მაგრამ პოეტიკის ამოცანაა არა შინაარსის კვლევა, რომელიც უცვლელია, არამედ

გამოხატვის კვლევა, რომ გავიგოთ, რა განსხვავებაა ერთი და იმავე შინა-არსის პოეტურ და არაპოეტურ ნაწარმოებს შორის (კოენი 1966: 38-39). ამჯერად დავაკვირდებით ვარირებასა და კაზმვას „ვეფხისტყაოსანში“ და მისგან გამომდინარე მხატვრულ ეფექტს. ვნახავთ, რუსთველის ესთეტიკური შეხედულებანი როგორაა ხორცშესხმული თავად პოემაში. ჩვენი ფიქრით, პოეტიკის იმ ნაწილის შესწავლა, რომელიც ენას უკავშირდება, სწორედ ლინგვისტურ მიდგომას მოითხოვს, რაც, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს სხვა მეთოდების გამოყენებასაც.

თუ „ლექსთა გრძელთა თქმა“ ინფორმაციის გაშლას ნიშნავს, რაც ეპიკური ნაწარმოების უმთავრესი მახასიათებელია, იგი ეკვივალენტობის პრინციპს ეფუძნება. პარალელიზმთან ერთად ეს პრინციპი რ. იაკობსონს ესთეტიკური ღირებულების შემცველი ყოველგვარი გამონათქვამის „იმანენტური სტრუქტურული კანონზომიერების“ დონეზე აჰყავს (მ. ნათაძე 1979). იქნებ ვინმემ თქვას, — წერდა იაკობსონი, — რომ მეტაენაც იყენებს ეკვივალენტურ ერთეულებს თანმიმდევრობის შესაქმნელად, როცა სინონიმური გამონათქვამები კომბინირდება წინადადებაში, რომელიც ამტკიცებს ტოლფასოვნებას $A=A$ (кобыла – это самка лошади). პოეზია და მეტაენა დიამეტრიულად უპირისპირდება ერთმანეთს: მეტაენაში თანმიმდევრობა გამოიყენება ტოლობის ასაგებად მაშინ, როცა პოეზიაში ტოლობა გამოიყენება თანმიმდევრობის ასაგებად (იაკობსონი 1975: 204). ხშირად „ვეფხისტყაოსნის“ სტროფის შემადგენელი ყველა წინადადება რეალობის ერთსა და იმავე ფაქტს მიემართება. ეს პრინციპი გატარებულია არა მხოლოდ სტროფის, არამედ უფრო ნაკლები დისტანციის — ერთი ან ორი ტაქტის მანძილზეც. ფაქტობრივად ამაზე მიუთითებს ვინფრიდ ბოედერის მნიშვნელოვანი კვლევა „ვეფხისტყაოსნის“ სტროფისა და ტექსტის სტრუქტურის ძირითადი პრინციპების შესახებ (ბოედერი 1995).

„ვეფხისტყაოსანში“ ძალუმად იგრძნობა აღმოსავლური მეტაფორების ნაკადი. მაგალითად: „ტარიელ შეკრთა, შეინძრა რაზმი ინდოთა ტომისა, / თვალნი აახვნა, მიეცა ძალი ზე წამოჯდომისა“ (1346).

გულწასული ტარიელის თვალების ახელა (წამწამთა შერ-ხევა) ინდოელთა რაზმის შენძრევასთან არის შედარებული. მხატვრული ეფექტს ანუ ეთოსს აქ განაპირობებს სემანტიკური „გადაწევა“ – ინდოთა ტომი წამწამთა ფერს აღნიშნავს, ხოლო რაზმი – მათ სიხშირეს (სიმრავლეს) და მიჯრით წყობას. რადგან ასეთი მეტაფორები პოემაში უხვადაა, მკითხველის განცდა იკლებს და იგი მხოლოდ ჩვეულებრივ პოეტურ სამკაულად აღიქმება. მიმღები რეაგირებს რა ესთეტიკურ მონაცემებზე, აფასებს კიდევ მას. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ არსებობს შეფასებათა სკალა, რომლის სიდიდეების დადგენა, როგორც ამაზე ლეჟეს უნივერსიტეტის პროფესორები მართებულად უთითებენ, ვერანაირი ზუსტი გამოთვლით ვერ ხერხდება (ჯგუფი μ 1986: 278). თუმცა შეფასებითი რეაქციის შესწავლა არც არის ჩვენი საქმე.

შოთა რუსთველი სინონიმებს ურთიერთმორითმე პოზიციაში იშვიათად იყენებს. მაგალითად ასეთია: „რა ტარიელ დაინახა, განაღამცა დაელრიჯა, / ახლოს მყოფი სიკვდილისა ჯდა და პირი დაებლნიჯა“ (869 (868), 1-2). ან კიდევ: „ვიდრე უჩნდა ერთმანეთი, იზახდიან პირსა ბლნეჯით; / იგი ნახეს დაღრეჯილნი, მზე დაიღრეჯს მისით ღრეჯით (951 (950), 3-4).

ორივე შემთხვევაში მეზობელ ტაეპებში გამოყენებულია სინონიმები ბლნეჯა/ლრეჯა. სწორი ჩანს ამ სიტყვების საბასეული განმარტება: „ავად პირის დაღრენა“ (ამასთან დაკავშირებით იხ. ბ. გიგინეიშვილი 1979: 79). აქ თავმოყრილია საერთო მნიშვნელობის, რომლებიც ერთ პოზიციას იკავებენ. როგორც აღვნიშნეთ, ასეთი მაგალითები „ვეფხისტყაოსანში“ ნაკლებადაა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ინფორმაციის გაშლა ეკვივალენტობის პრინციპით ერთი ტაეპის ფარგლებში, რაც მიიღწევა მსგავს ელემენტთა შეჯგუფებით. მსგავს ელემენტთა შეჯგუფება, თავის მხრივ, წინ-წამონწევის ერთ-ერთი პრინციპია. პოეზიისათვის ეს ცნება ს. ლევინმა შემოიტანა. შეჯგუფება გულისხმობს იმ ელემენტთა მსგავსებას, რომლებიც იკავებენ ერთ პოზიციას და ვლინდებიან ენის ყველა დონეზე (ლევინი 1964). სემანტიკის დონეზე მსგავსად ჩაითვლება ის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდებიან მნიშვნელობათა ერთობის გამო, რასაც მათი ცნებობრივი თანაფარდობა განაპირობებს. ასეთია სემანტიკური ველის, სინონიმური რიგისა და თემატური ჯგუფის შემადგენელი სიტყვები (ჩხეიძე 1993: 12). მათი შეჯგუფება ერთი ტაეპის ფარგლებში ინფორმაციის გაშლას ემსახურება და თითოეული ცალ-ცალკე ქმნის სხვადასხვა პოეტურ ხერხს, რომლებიც, თავის მხრივ, ასახავენ სემანტიკური ველის, სინონიმური რიგისა და თემატური ჯგუფის დიფერენციალურ ნიშნებს.

1) ერთი სემანტიკური ველის სიტყვათა თავმოყრა იძლევა პოეტურ გრადაციას;

2) ტაეპში სინონიმთა თავმოყრა გვაძლევს პოეტურ გამეორებას. იგი ასახავს სინონიმური რიგის ხაზოვანებას. როცა ნაწარმოები ძველი ეპოქისაა, მოსალოდნელია ორი სახის შეცდომა: თანამედროვე მკითხველმა შეიძლება რაღაც „ნაუმატოს“ — არქაიზმად მიიჩნიოს ის, რაც ნაწარმოების დაწერის დროს არ იყო არქაიზმი, ან მას შეიძლება რამე „გამორჩეს“, რადგან ავტორისეული ნეოლოგიზმი დღეს უკვე ჩვეულებრივი, ხშირი ხმარების სიტყვადაა ქცეული (რიფატერი 1959: 157-174). ვაჟ, სანუთრო ბოლოდ თავსა ასუდარება, აზენარებს (718 (716), 4).

აქ შეცდომა მკითხველის მხრიდან გამორიცხებულია, რადგან ეს რუსთველისეული ნეოლოგიზმები ჯერაც უცხოა ჩვენი ყოველდღიური მეტყველებისათვის. მათ მოცემული შინაარსის თვალსაზრისით თანაბარი ძალა აქვთ. სიტყვათა შერჩევისას შოთა რუსთველი იმ პრინციპს მისდევს, რომელსაც არისტოტელე ხაზგასმით აღნიშნავდა „რიტორიკაში“: „ადამიანები, რასაც განიცდიან თანამოქალაქეებისა და უცხოელების მიმართ, იმასვე განიცდიან სტილშიც, რადგან გაკვირვებას იწვევს უცხოური, ხოლო საკვირველი სასიამოვნოა“ (არისტოტელე 1981: 168).

3) ერთი ტაეპის მანძილზე ინფორმაციის გაშლას (ვარირებას) ეკვივალენტობის პრინციპით ემსახურება საერთო თემატური ჯგუფის ლექსიკურ ერთეულთა თავმოყრაც; იგი პოეტურ ჩამოთვლას იძლევა: მოვშორდი ლხინსა ყოველსა: ჩანგსა, ბარბითსა და ნასა (180 (179), 4); / გულსა მეცა, გამიცუდდეს სიჩაუქე-სიალფენი / ხელმან შენნი გავიცადენ სინატიფესიტურფენი (506 (503), 2-3).

ჩვენ სპეციალურად ვიმსჯელებთ „ვეფხისტყაოსანში“ თანამიმდევრობის ასაგებად ფრაზეოლოგიური გავრცობის გამოყენებაზე. პარალელიზმის ამ სახეს ფრაზეოლოგიზმის სემანტიკური დაუშლელიობა და დასახე-

ლებული საგნისა თუ მოვლენის ექსპრესიული ნიშნით დახასიათების უნარი განაპირობებს.

თანამიმედვერობის აგებას ემსახურება კონტრასტული პარალელიზმიც, რომლის დროსაც კ. დონდუას მართებული შენიშვნით, დადებითი ფორმულა უარყოფითს კი არ უპირისპირდება, არამედ დადებითი და უარყოფითი ფორმულები ერთად უნ-ყობენ ხელს რომელიმე აზრის ან სახის ნათლად გადმოცემას (დონდუა 1975: 276). მაგალითად: რკინა, ჩემი მონაცვალე, ხამს, გაცვლიდეს, არ გატინდეს 151 (749), 2; მოეგებნიან, სძღვნობდიან, აქებდეს, არ აგინებდეს 1493 (1494), 4; მის მოყვრისა მოშორება კვლა აბინდებს, არ ადილებს 715 (713), 4.

იგივე პრინციპი მოქმედებს ერთი და იმავე აზრის დადებითი და უარყოფითი წინადადებებით გადმოცემისას: ამით უფრო დამანყლულა, არა წყლულთა მიაქიმდა 522 (519); მართალან შენნი მჭვრეტელნი, არ ცუდად იმკვეხარიან 488 (485), 4.

ტოლობა თანამიმედვერობის ასაგებად გამოიყენება როგორც ტაეპში, ისე მთლიანად სტროფში. მაგალითად: ამას მოსთქვამს, ცრემლთა აბნევს, ათრთოლებს და აწანწარებს, / გულ-ამოსკვნით, ოხვრა-სულთქვმით მიხრის ტანსა, მიაწარებს, / საყვარლისა სიახლისა მოშორება გაამწარებს, / ვაჟ, სანუთრო ბოლოდ თავსა ასუდარებს, აზენარებს! 718 (716).

პირველ ტაეპში გამოყენებულია ფრაზეოლოგიური გავრცობა; მეორე ტაეპში ერთი თემატური ჯგუფის კომპოზიტთა თავმოყრით იქმნება პოეტური ჩამოთვლა. იგივე ხერხი მიიღება ერთი თემატური ჯგუფის ზმნებით. მესამე ტაეპში პირველში გადმოცემული აზრია გაშლილი, ხოლო მეოთხე — პოეტური გნომაა და თან მასში გამეორებას სინონიმური ზმნები იძლევა. აშკარაა, რომ აქ ეკვივალენტობის პრინციპი ყველა დონეზეა გატარებული. პარალელიზმის ასეთ ნათელ მაგალითს მიიჩნევდა ალ. სარაჯიშვილი „ვეფხისტყაოსნის“ ყალბ ადგილად (სარაჯიშვილი 1897: 7-10).

დამოწმებანი:

არისტოტელე 1981: არისტოტელე. *რიტორიკა*. თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარი დაურთო თ. კუკავამ. თბ.: 1981.

ბოედერი 1995: Boeder W. *Strophenstruktur und Textkhasion bei Rustaveli*. ფილოლოგიური ძიებანი. კრებული ეძღვნება გურამ კარტოზიას. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. თბ.: „მეცნიერება“, 1995.

ბოლქვაძე 1997: ბოლქვაძე თ. *პოეტური პარალელიზმი „ვეფხისტყაოსანში“*. თბ.: თსუ გამომცემლობა, 1997.

გამსახურდია 1989: გამსახურდია ზ. *ვეფხისტყაოსნის სრულყოფილი გამოცემისათვის*. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის „მაცნე“ (ე/ლ). № 4, თბ.: 1989.

გამსახურდია 1991: გამსახურდია ზ. „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება. თბ.: 1991.

გიგინეიშვილი 1979: გიგინეიშვილი ბ. *ეტიმოლოგიური დაკვირვებანი ქართველურ ენებში*. საქ. მეცნ. აკად. მაცნე (ე/ლ სერია), № 1, თბ.: 1979.

გიგინეიშვილი ი. 1975: გიგინეიშვილი ი. *გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ*. თბ.: 1975.

დონდუა 1975: Дондуа К. *Язык Руствели*. Статьи по общему и кавказскому языкознанию. Л.: 1975.

ერისთავი... 1980: ერისთავი რ., გოგებაშვილი ი., მეუნარგია ი. *ვეფხისტყაოსნის რედაქცია*. // რუსთველოლოგიური რჩეული ლიტერატურა. II, თბ.: 1980.

იაკობსონი 1975: Якобсон Р. *Лингвистика и поэтика, Структурализм "за" и "против"*. М.: 1975 (ავტორიზებული თარგმანი); იხ. აგრეთვე: Roman Jakobson, "Linguistics and poetics". In: Sebeok, Thomas A. (Ed.). *Style in Language*. Cambridge: MA: MIT Press, 1960, p.350-377.

იაკობსონი 1987: Якобсон Р. *Грамматический параллелизм и его русские аспекты, Работы по поэтике*. М.: 1987 (ავტორიზებული თარგმანი); იხ. აგრეთვე: Roman Jakobson, "Grammatical Parallelism and Its Russian Facet," *Language*, 42, 1966, p. 399-429

ივანოვი 1979: Иванов В. В. *Эстетическое наследие древней и средневековой Индии. – Литература и культура древней и средневековой Индии*. М.: 1979.

იმნაიშვილი 1975: იმნაიშვილი ი. *სინური მრავალთავი*. თბ.: 1975.

კოენი 1966: Cohen J. *Structure du langage poétique*. Paris: Flammarion, 1966.

ლევინი 1964: Levin R. *Poetry and Grammaticalness*. Proceedings of the Ninth International Congress of Linguists, Cambridge: Mass., August 27-31, 1962, The Hague : Mouton, 1964.

მელიქიშვილი 1993: მელიქიშვილი დ. ტერმინოლოგიური სიტყვათწარმოების ზოგიერთი პრინციპი და ფილოსოფიურ ტერმინთა სისტემატიზაცია გელათის სკოლაში. // *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*. წიგნი მეათე. თბ.: 1993.

მუკარჟოვსკი 1967: Мухоморовский Ян. *Литературный язык и поэтический язык, Пражский лингвистический кружок*. Сборник статей. М.: 1967.

ნათაძე 1979: ნათაძე მ. *პოეტიკა და ლინგვოსტილისტიკა*. საქ. სსრ მეცნ. აკად. „მაცნე“ (ე/ლ), № 2, თბ.: 1979.

ნუცუბიძე 1967: Нуцубидзе Ш. *Руставели и восточный ренессанс*. Тб.: 1967.

ნუცუბიძე 1980: ნუცუბიძე შ. *რუსთაველის შემოქმედება*. შრომები, ტ. VII, თბ.: 1980.

რიფატერი 1959: Riffater M. *Criteria for style analysis*. *Word*, 19, 1959.

სარაჯიშვილი 1897: სარაჯიშვილი ალ. „ვეფხის-ტყაოსნის“ ყალბი ადგილები. „მოამბე“, IV, 1897.

სარჯველაძე 1990: სარჯველაძე ზ. *ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა*. მოხსენება ნაკითხულია თსუ-ში ა. შანიძის 103 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე 1990 წ-ს. იხ. მოხსენებათა პროგრამა, დამონმეებულია ხელნაწერი (ახლა ეს ნაშრომი უკვე გამოქვეყნებულია).

საქმე მოციქულთა 1950: საქმე მოციქულთა. ძველი ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ი. აბულაძემ. თბ.: 1950.

სილაგაძე 1996: სილაგაძე ა. *ანჟანბემანი იამბიკოსა და საერო პოეზიის ფორმებში*. მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკის“ 265-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ლექს-სმცოდნეობის პირველი რესპუბლიკური კონფერენციის მასალები. თბ.: 1996.

ფოჩხუა 1974: ფოჩხუა ბ. *ქართული ენის ლექსიკოლოგია*. თბ.: 1974.

შანიძე 1986: შანიძე ა. *ვახტანგის თარგმანი ვეფხის ტყაოსნისა და მისი მნიშვნელობა პოემის ტექსტის შესწავლისათვის*. თბზულებანი. ტ. V, ვეფხის ტყაოსნის საკითხები. თბ.: 1986.

შანიძე 1986ა: შანიძე ა. *ვეფხის ტყაოსნის ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის*. თბზულებანი. ტ. V, თბ.: 1986.

ჩხეიძე 1993: ჩხეიძე მ. *ენის ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის სტრუქტურირების პრობლემა*. თბ.: 1993.

ჭილაია 1984: ჭილაია ა., ჭილაია რ. *ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები*. თბ.: 1984.

ჯგუფი მ 1986: Дюбуа Ж., Эделин Ф., Клинкаенберг Ж-М., Мэнге Ф., Пир Ф., Тринон А. *Общая риторика*. М.. 1986.

LEVAN BREGADZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Two Parables of „The Knight In The Panther’s skin“ and The Dialectics of Rustaveli

Two parables of „The Knight in the Panther’s skin“ are analyzed in the work. The expressed wisdom of these parables is of dialectic nature, which is based on law of the mutual cutting through of the contradictions. That is not understandable from the position of the formal logic, but is the result of deep understanding of the truth and is better describing the reality than „common sense“.

Key words: Parable, common sense, dialectics.

ლევან ბრეგაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„ვეფხისტყაოსნის“ ორი პარაბოლა და რუსთაველის დიალექტიკა

ერთი მნიშვნელოვანი ღირსება „ვეფხისტყაოსნის“ ავტორისა, რასაც მისი კრიტიკოსებიც კი აღიარებენ, არის სიბრძნე. არჩილ მეფის სიტყვით, „რუსთველი სიბრძნის ტბა არის“ (არჩილი 1937: 3), „ვეფხისტყაოსნის“ დამწუნებული კათალიკოსი ანტონი I თავის ცნობილ იამბიკოში აცხადებს: „შოთა ბრძენ იყო, სიბრძნის მოყვარე ფრიად“ (ბარამიძე 1966: 501).

რუსთაველის სიბრძნე, რომელიც მკაფიოდ გამოსჭვივის პოემის ტექსტიდან, ჩვენი აზრით, სამყაროსადმი, მოვლენებისადმი დიალექტიკურ მიმართებაზე დაფუძნებული სიბრძნეა. მკაფიოდ გამოსჭვივის-თქო, ვთქვით, და ამის დასტურად გავიხსენებთ ერთ მოსწრებულ გამონათქვამს ცნობილი ქართველი ეროვნულ-დემოკრატიის, რევაზ გაბაშვილის, მემუარებიდან „რაც მახსოვს“, რომელიც პირველად მიუნხენში გამოიცა 1959 წელს:

ქართველი სოციალ-დემოკრატები „აღბად შოთა რუსთაველის „დიალექტიკით“ ხელმძღვანელობდნენ და მარქსის პოეზიით, ვიდრე ძალაუფლებას ჩაიგდებდნენ: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა — დაკარგულია“ და როცა „მდგომარეობა შეიცვალა“, გუნებაც შეეცვალათ: „ჭამა-სმა დიდად შესარგი, დება რა სავარგულია!“-ო“ (დაბრუნება 1992: 131).

როგორ გვესმის სამყაროსადმი, მოვლენებისადმი დიალექტიკური მიმართება? სამყაროსადმი, მოვლენებისადმი დიალექტიკური მიმართება გვესმის როგორც ფორმალური ლოგიკის ინერციის დაძლევა აზროვნებასა და ქმედებაში.

ფორმალური ლოგიკის მიხედვით, „საგანი ან არსებობს, ან არ არსებობს“; ფორმალური ლოგიკის მიხედვით, „შეუძლებელია საგანი ერთსა და იმავე დროს თავის თავიც იყოს და სხვაც“ (ენგელსი 1952: 23). „აზროვნების ეს წესი პირველი შეხედვით სავსებით ცხადი გვგონია იმიტომ, რომ იგი ეგრეთ წოდებული საღი

ადამიანური განსჯის დამახასიათებელია. მაგრამ სალი ადამიანური განსჯა, რომელიც მეტისმეტად პატივსაღები თანამგზავრია შინაურობაში, ოთხ კედელს შუა, გასაოცარ თავგადასავალს განიცდის, როგორც კი გაბედავს კვლევა-ძიების ფართო ასპარეზზე გამოსვლას“ (იქვე).

ამ თვალსაზრისით განვიხილოთ ორი სტროფი, ორი პარაბოლა „ვეფხისტყაოსნისა“:

1. *რა აქიმი დასნეულდეს, რა ზომ გინდა საქებარი, / მან სხვა უხმოს მკურნალი და მაჯაშისა შემტყვებარი, / მას უამბოს, რაცა სჭირდეს სენი, ცეცხლთა მომღებარი: / სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი* (რუსთველი 1988: 105).

2. *ვარდსა ჰკითხეს: „ეგ ზომ ტურფა რამან შეგქმნა ტანად, პირად? / მიკვირს, რად ხარ ეკლიანი? პოვნა შენი რად არს ჭირად?“ / მან თქვა: „ტკბილსა მწარე ჰპოვებს, სჯობს, იქმნების რაცა ძვირად: / ოდეს ტურფა გაიფედეს, არღარა ღირს არცა ჩირად“* (რუსთველი 1988: 136).

ორივე პარაბოლას ავთანდილი იყენებს ტარიელთან სახვადასხვა დროს საუბრისას. ორივე პარაბოლაში გამოთქმული აზრი პარადოქსულია, ანუ ე. წ. სალი აზრის პოზიციიდან მიუღებელია: 1) როგორ შეიძლება სხვამ უკეთ იცოდეს რა არგებს ჩემს სენს, თუკი მე თვითონ ვარ კარგი მკურნალი; 2) რატომ უნდა სჯობდეს რაიმეს ძვირად მოპოვება იაფად მოპოვებას?

ამ პარაბოლებით გამოთქმული სიბრძნე დიალექტიკური ხასიათისაა, რომელიც დაპირისპირებულთა ურთიერთგამსჭვალვის კანონს ემყარება, რაც ფორმალური ლოგიკის პოზიციიდან გაუგებარია, მაგრამ სინამდვილის ღრმად წვდომის შედეგია და უკეთ ასახავს რეალობას, ვიდრე „სალი აზრი“.

დიალექტიკური მსოფლალქმისათვის „მთლიანობის (des Ganzen) მოტორი არის ნეგატიურობის პრინციპი. ჰეგელის მიხედვით, დიალექტიკური აზროვნება არსებითად იმგვარი აზროვნებაა, რომლისთვისაც ნეგატიურობის პრინციპი ისეთივე ფუძემდებლური ძალის მქონეა და ისეთივე ნამდვილია, როგორიც პოზიტიურობის პრინციპი“ (დიმერი 1976: 17).

რაც ამ პარაბოლებში ასე მკაფიოდ გამოიხატა, მთელ პოემას გამსჭვალავს. გავიხსენოთ რამდენიმე აფორიზმი: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“ (რუსთაველი 1988: 16), „ღმერთმან ერთი რათ აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს“ (რუსთაველი 1988: 50), „მაშა ლხინსა ვინ მოიმკის პირველ ჭირთა უმუშაკო?“ (რუსთაველი 1988: 136) და სხვ.

ეს პარაბოლები ნათელს ჰფენს რუსთაველის, როგორც მოაზროვნის, უმთავრეს ღირსებას, მისი მსოფლალქმის დიალექტიკურ ბუნებას, რაც სწორედ იმის გამო, რომ „სალ აზრს“ ეწინააღმდეგება, ერთობ იშვიათია კაცობრიობის ისტორიაში (არცთუ ბევრია იმ მოაზროვნეთა რაოდენობა, რომლებიც ახერხებდნენ თანმიმდევრულ დიალექტიკურ აზროვნებას).

პირველი პარაბოლის გააზრების შედეგად იმის მიხვედრაც შეიძლება, რატომ გადაიტანა პოემაში მოთხრობილი ამბავი ავტორმა უცხო ქვეყნებში, ანუ, ბერტოლტ ბრეხტის ტერმინი რომ გამოვიყენოთ, რატომ გააუცხოვა მოქმედების ადგილი და პერსონაჟთა წარმომავლობა.

ბრეხტის ესთეტიკური მოძღვრების კავშირი დიალექტიკასთან კარგად არის ცნობილი. გამოჩენილი ინგლისელი რეჟისორი პიტერ ბრუკი თავის წიგნში „ცარიელი სივრცე“ ბრეხტის მეთოდს ასე განსაზღვრავს: „ეს არის დიალექტიკური დაპირისპირების წმინდა თეატრალური მეთოდი“ (ბრუკი 1984: 63).

ანტიმიმეტური ესთეტიკის თეორიულად დამფუძნებლის, ბერტოლტ ბრეხტის, „მხატვრული გაუცხოების“ პრინციპი მოქმედების ადგილის გაუცხოებასაც ითვალისწინებს. მაგალითად, თვითონ ბრეხტმა თავისი თანამედროვე გერმანული საზოგადოების პრობლემათა დამუშავებისას „კავკასიურ ცარცის წრეში“ მოქმედება საქართველოში გადაიტანა, „სეჩუანელი კეთილი კაცის“ მოქმედება — ჩინეთში და სხვ. ზურაბ ჭარხალაშვილი ამის გამო შენიშნავს: ბრეხტს „მოქმედება ხშირად გადააქვს ევროპელი მაცურებლისათვის შედარებით შორეულ და ნაკლებად ცნობილ გარემოში (...). მოქმედების ამგვარი გადატანა, მოჩვენებითი — ეგზოტიკური ფონის შექმნა — ერთ-ერთი ძირითადი მომენტია ბრეხტის „გაუცხოების ეფექტში“, რასაც იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მხატვრული აბსტრაქციის პროცესში“ (ჭარხალაშვილი 1986: 234).

ოლონდ ასეთ დროს „კოლორიტი მთლიანად და არსებითად არაა დაცული. ეს არც აინტერესებდა ბრეხტს (...). იგი დიდად განათლებული კაცი იყო და საჭიროდ რომ მიეჩნია, მოახერხებდა ამ ტრადიციული რეალისტური პრინციპის დაცვას. (...) რეალისტური თემის ბრეხტისეული გაშლისათვის საჭიროა მოჩვენებითი ეგზოტიკური ფონი“ (ჭარხალაშვილი 1986: 234).

როგორც „კავკასიური ცარცის წრის“ ქართველები არ არიან „ნამდვილი“ ქართველები, ასევე არც „ვეფხისტყაოსნის“ არაბები და ინდოელები არიან „ნამდვილი“ არაბები და ინდოელები.

პარაბოლა ბ. ბრეხტის უსაყვარლესი ჟანრია: „ბრეხტი ბოლომდე და თანმიმდევრულად იცავდა პარაბოლას, როგორც რეალისტური განზოგადებისა და პირობითობისათვის მოხერხებულ ლიტერატურულ ჟანრს. პარაბოლა ის ერთ-ერთი ძირითადი ჟანრული ფორმაა მის დრამატურგიაში. რომელიც სავსებით აკმაყოფილებს „გაუცხოების“ მოთხოვნებს (...). მას მიაჩნია, რომ პარაბოლური პიესების ზემოქმედება მაცურებელზე ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე იმ ნაწარმოებებისა, რომლებშიც სინამდვილე პირდაპირ და უშუალოდაა ასახული. პიესა-პარაბოლა, ბრეხტის თქმით, „ყველასათვის მარტივია და ადვილად მისაწვდომი“. ამიტომ, მისი აზრით, ამგვარი ნაწარმოების მეშვეობით ადვილია მკითხველამდე დაიყვანო სიმართლე, მოამზადო ის წარმოდგენილი სინამდვილის სწორი შეფასებისათვის“ (ჭარხალაშვილი 1986: 229-230).

მხატვრული გაუცხოება (ჩვენს შემთხვევაში მოქმედების ადგილის უცხოეთში გადატანა) ხელს უწყობს მკითხველსა და გადმოცემულ ამბავს შორის დისტანციის გაზრდას, რასაც, თანაგანცდის შესუსტების ხარჯზე, გადმოცემული ამბის მიმართ ანალიტიკურ-კრიტიკული დამოკიდებულების გამძაფრება მოსდევს („სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი“); თანაგანცდის შესუსტება კი, თავის მხრივ, პერსონაჟებთან მკითხველის იდენტიფიკაციის (გაიგივების) შესაძლებლობის შემცირების შედეგია. ამით ავტორი ახერხებს თამამი („რენესანსული“, იმ დროისათვის დისიდენტური) აზრები ისე გადმოსცეს, რომ რამდენადმე მაინც გაანელოს რეციპიენტთა გულისწყრომა.

„ვეფხისტყაოსნის“ მკითხველი პოემაში უთუოდ ამოიცნობდა ქართულ სინამდვილეს. „როსტევანისა და ფარსადანის სვიანი მეფური ცხოვრების აღწერაში დავით აღმაშენებლის, გიორგი მესამისა და თამარის დიად სახელთა აღზევების კვალი გამოსჭვივის, რასაც, ცხადია, არ შეიძლება შევხედოთ როგორც შემთხვევით და უმნიშვნელო დამსგავსებას“ (იმედაშვილი

1968: 65). ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, „შოთა რუსთაველის გმირებში ქართველის გული ძგერს, მის გმირებს მაშინდელი საქართველოს საკითხები აღელვებს“ (ჯავახიშვილი 1956: 19).

მრავალრიცხოვანი კვლევებით დადასტურებულია, რომ „ვეფხისტყაოსანი თავიდან ბოლომდე ეროვნულ ნიადაგზეა აღმოცენებული და პოემაში გამოგონილი სახელებითა და სახეებით ალევორიულად საქართველოს ისტორიული წარსული და პიროვნებანი გამოიხატებიან, არაბულ-ინდურ ამბებში ქართული პოლიტიკური ცხოვრების სინამდვილეა შენიღბული...“ (იმედაშვილი 1968: 52).

მაგრამ ბრეხტი იმასაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გაუცხოება არ უნდა იყოს სრული, ანუ იმგვარი, რომ რეციპიენტმა სრულიად ვერ იცნოს მოვლენა, მან ეს მოვლენა უნდა იცნოს და ვერც იცნოს ერთდროულად, ანუ უნდა მიხვდეს, რომ ნაცნობის გაუცხოება საგანგებო მიზნით ხდება (კერძოდ, მისგან დისტანცირების მიზნით), რალაცამ უნდა მიანიშნოს მას ამაზე. ამგვარ მიმანიშნებელ ხერხთა შორის ერთ-ერთი არის იმგვარი შეუსაბამობა, რომელიც ერთი შეხედვით იალლიშის შთაბეჭდილებას ტოვებს, სინამდვილეში კი სრულიად გამიზნული მხატვრული ხერხია.

ამგვარი ვითომ-იალლიშის (ფსევდო-იალლიშის, კვაზი-იალლიშის) მაგალითია არაბი ავთანდილის მიმართ ავტორის ნათქვამი „ყმა ტკბილი და ტკბილქართული“ (რუსთველი 1988: 112).

ამავე კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ მუსლიმი ტარიელის მიერ შედარებისთვის ქრისტიანული აღდგომის (აღვსების) გამოყენება, როცა ხვარაზმშას ძის საზეიმო დახვედრას აღგვიწერს: „მოედანს დავდგი კარვები ნითლისა ატლასებისა. მოვიდა სიძე, გარდახდა, დღე, ჰგვანდა, არს აღვსებისა“ (რუსთაველი 1988: 88).

ამის თაობაზე ალექსანდრე ბარამიძე წერს: „აღვსება ძველი ქართულით ენოდება აღდგომას (...). პოემით, ტარიელი იყო მუსლიმანი (...), მაგრამ რუსთაველმა თავის გმირს ჩაუსახა ქრისტიანული წარმოდგენა. (...) ამის გამო მშვენივრად ამბობს ვახტანგი: „აღვსება აღდგომა არის და ქართველი კაცის გულისათვის უთქვამს“ (ბარამიძე 1966: 203-204).

რუსთაველის მიერ მოთხრობილი ამბავი გაუცხოებულია არამარტო იმიტომ, რომ მოქმედება უცხო ქვეყნებშია გადატანილი, არამედ იმიტაც, რომ იგი სპარსულ თხზულებად არის გამოცხადებული პროლოგშივე: *„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, / ვით მარგალიტი ობოლი, ხელისხელ საგომანები, / ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საქოჭმანები“* (რუსთაველი 1988: 88).

ეს მისტიფიკაცია ც მხატვრული გაუცხოების სამსახურშია ჩაყენებული.

დამონებიანი:

არჩილი 1937: არჩილი. *თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად*. ტ. 2. თბ.: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, 1937.

ბარამიძე 1966: ალექსანდრე ბარამიძე. *შოთა რუსთველი და მისი პოემა*. თბ.: „მეცნიერება“, 1966.

ბრუკი 1984: პიტერ ბრუკი. *ცარიელი სივრცე. თეატრის აქტუალური პრობლემები*. ინგლისურიდან თარგმნა ზ. ჭელიძემ. თბ.: „ხელოვნება“, 1984.

დიმერი 1976: Alwin Diemer. *Elementarkurs Philosophie. Dialektik*. Düsseldorf . Wien: Econ Verlag, 1976.

ენგელსი 1952: ფრიდრიხ ენგელსი. *ანტი-დიურინგი*. თბ.: „სახელგამი“, 1952.
 იმედაშვილი 1968: გაიოზ იმედაშვილი. *ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა*.
 თბ.: „მეცნიერება“, 1968.
 მოგონებანი 1992: გაბაშვილი რ., გოგუაძე ვ. *მოგონებანი*. თბ.: გამომცემლობა
 „გულანი“, ფირმა „სადარა“, 1992.
 რუსთველი 1988: შოთა რუსთველი. *ვეფხისტყაოსანი*. თბ.: „მეცნიერება“, 1988.
 ჭარხალაშვილი 1986: ჭარხალაშვილი ზ. „ბერტოლტ ბრეჰტის „ეპიკური“ დრამა
 და თეატრი“. თბ.: „ხელოვნება“, 1986.
 ჯავახიშვილი 1956: ჯავახიშვილი ი. *ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის
 საკითხები*. თბ.: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1956
 (ვიმონმებთ ალექსანდრე ბარამიძის მონოგრაფიიდან „შოთა რუსთველი და მისი
 პოემა“. თბ.: „მეცნიერება“, 1966, გვ. 103).

LELA GABRIELASHVILI
Georgia, Tbilisi

Naming the Symbols Expressing *the Evil*
(The Symbol of the Whale in Biblical Books and ‘Life of David Garejeli’)

The symbol of the whale is quite interestingly presented in “Life of David Garejeli”, where it symbolizes the evil, as it does in all hagiographical texts. Its name is noteworthy: once it is named as a whale and a little later as a worm. In ‘The Life of David Garejeli’ the symbol of the whale originates from the Biblical background. The research has shown that all the symbols which express the evil in the text (a whale, a snake, a worm) are identical. In Georgian fairytales and folk legends these horrible creatures transform into the Gvelveshapi (dragon), which in the end is always defeated by the Good.

Key Words: symbol, snake, whale, worm

ლელა გაბრიელაშვილი
საქართველო, თბილისი

ბოროტების გამომხატველ სიმბოლოთა სახელდებისათვის
(ვეშაპის სიმბოლიკა ბიბლიური წიგნებისა და
„დავით გარეჯელის ცხოვრების“ მიხედვით)

ესთეტიკა თავის უმაღლეს ფორმად აზროვნებას აღიარებს. სწორედ ესთეტიკურობის მეშვეობითაა შესაძლებელი ყველაფერი შეფარდებითად გამოცხადდეს და გამართლება მიეცეს. ესთეტიკა ადამიანის აზროვნებას აშორებს ყოველგვარ დოგმას, ზედმეტ თვითდაჯერებას. გაგება ნებისმიერი მოვლენისა ან საგნისა, სულ ერთია, იქნება ის ძალზე რთული თუ ძალზე მარტივი, არასოდეს უნდა ჩაითვალოს ამონურულად, რადგან მისი მრავალი თვისება მაინც შეუცნობელი რჩება. მოვლენის წარმოსაჩენად მხატვრული ლიტერატურა ხშირად იყენებს სათქმელის სიმბოლიზებულ ფორმას. მართალია, სიმბოლოს დანახვა მოვლენის ახსნა არაა, მაგრამ

სიმბოლური შინაარსის მინიჭება მოვლენის სიღრმისკენ წარმართავს ჩვენს ყურადღებას, ადამიანს განაწყობს ღრმა კანონზომიერების საძიებლად. ეს არის სიმბოლოს ყველაზე დიდი მნიშვნელობა.

მხატვრული ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია სახეები, რომლებიც სხვადასხვა ეპოქისა და ხალხის სიტყვაკაზმულ მწერლობაში გვხვდება. ეს მდგრადი, ანუ პარადიგმული სახეებია, იგივე პირველსახეები. მათი გამოჩენა განსაკუთრებით მოსალოდნელია „ნორმირებულ“ ლიტერატურაში (ვთქვათ, სასულიერო მწერლობაში), რაც ცალკეულ ავტორთან მსგავსი იდეური პოზიციის ან შემოქმედებითი გამოცდილების მაუწყებელია. ამგვარ სახეთა არსებობა და მათი ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობა, თითქოს, ეპოქათა და ხალხთა ისტორიულ „შეთანხმებაზე“ მეტყველებს და გვაუწყებს, რომ ცვალებად სამყაროში (რეალურში თუ მხატვრულში) ვხვდებით უცვლელ მხატვრულ და იდეურ წარმოდგენებს. ქრისტიანული სიმბოლიკის ამოსავალი, რასაკვირველია, ბიბლიაა. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ერთმანეთს საუკუნეებით დაშორებული პარადიგმული სახეები, ცხადია, ყოველთვის იდენტური მნიშვნელობისანი არ არიან, აბსოლუტურად არ ემთხვევიან ერთმანეთს — სხვადასხვა კონტექსტი ურთიერთმსგავს მხატვრულ ელემენტებსაც კი განსხვავებულ მნიშვნელობას სძენს.

ჩვენი ყურადღება ამჟამად შეჩერდა ბოროტების გამომხატველ სიმბოლოთა სახელდებაზე „დავით გარეჯელის ცხოვრებაში“. ზოგადად, ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში ასურელ მამათა ურთიერთობა მათ გარემომცველ ბუნებასთან, ჩვეულებრივ, მეორეხარისხოვან ადგილს იმსახურებს. ავტორთათვის უფრო მნიშვნელოვანია იმის წარმოჩენა, რამდენად ზრუნავს უფალი თავის მოსავებზე, როცა ირმებისა თუ ფრინველის საშუალებით უგზავნის ხორციელ საზრდოს; ანდა რამდენად ძლიერია დაყუდებულ მამათა სინმინდე, რომ მათ წინაშე მორჩილ იქმნებიან ველური მხეცნიც კი. ტექსტებში აქა-იქ გაბნეულია ამ ურთიერთობის ამსახველი ეპიზოდები. მთლიანობაში ეს სცენები ძალაუნებურად გადმოგვცემს ასურელ მამათა პიროვნულ-ფსიქოლოგიურ ნიუანსებსაც — წმინდანთა განსაკუთრებით ფაქიზ და მზრუნველ დამოკიდებულებას ბუნების მიმართ, რაც მეტად ნიშანდობლივ შტრიხს მატებს მათ პიროვნებას და ნათლად წარმოაჩენს მამების ამაღლებულ, სპეციალ სულს.

„დავით გარეჯელის ცხოვრებაში“ საინტერესოდაა გააზრებული ვეშაპის სიმბოლიკა. აქ, როგორც, ყველა ჰაგიოგრაფიულ ტექსტში, იგი ბოროტების სიმბოლოდ გვევლინება. ჩვენი ყურადღება მიიპყრო მისმა სახელდებაში. ერთგან იგი ვეშაპად არის მოხსენიებული, ოდნავ ქვემოთ — ჭიად. გაგახსენებთ ტექსტის: წმ. მამებთან მოსაწველად მისულ ირმებს ლუკიანემ დაბნეულობა და შიში შენიშნა. ირმებს ერთი ნუკრი აკლდათ. ლუკიანემ ყოველივე მოძღვარს უამბო. წმ. დავითმა იპყრა ხელთ კვერთხი და იმ მხარეს გაემართა, საიდანაც ირმები ამოსულიყვნენ. წმ. მამამ საზარელი არსება იხილა: „ვეშაპი დიდი და საზარელი, რომელსა ესხნეს თუალნი სისხლის ფერნი და რქაჲ იყო შუბლსა და ფაჩარი ფრიად ქედსა მისსა“ (აბულაძე 1955: 158-159). სწორედ მას შთაენთქა ნუკრი და ირმებიც დაეფეთებინა. წმ. მამა საზარელ ურჩხულს უფლის სახელით უბრძანებს იქაურობის სასწრაფოდ დატოვებას. ვეშაპიც ემორჩილება მას და წყალში აპირებს თავის შეფარებას, მაგრამ შიშობს, რომ მდინარეს უვნებლად ვერ მიაღწევს. დავითს ეს „საზარელი“ არსებაც არ ემეტება სასიკვდილოდ და

ცდილობს, მზერით მიაცილოს მდინარემდე, რათა დაიცვას იგი. წმ. მამას უცაბედად საკუთარი სახელი შემოესმება: „დავით, დავით!“ თავის უნებლიე მობრუნებით მოსწყდა მისი მზერა ურჩხულს, რომელსაც მყის მეხი დაატყდა ზეციდან და ფერფლად იქცა. დავითი უფალსაც კი საყვედურობს მასზე სასოებით დანდობილი ურჩხულის წარწყმედის გამო და მხოლოდ მას მერე მშვიდდება, როცა ამის აუცილებლობას შეიტყობს — ვეშაპი უნდა დაისაჯოს, რათა კიდევ მეტი ბოროტება არ ჩაიდინოს ადამიანთა მოდგმის წინაშე. ასეთია განგების ნება. ლ. მირიანაშვილი ერთმანეთს ადარებს და უპირისპირებს წმ. დავითსა და წმ. გიორგის: „ერთი შეხედვით, წმ. დავითისა და წმ. გიორგის მიმართება გველემაპისადმი, რომელიც ოდითგანვე ბოროტ ძალას განასახიერებდა, ერთმანეთისაგან განსხვავებულია, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. წმ. დავითი გველემაპს ინდობს იმიტომ, რომ ჩადენილი ბოროტების მიზეზს ხედავს არა თავად გველემაპში, არამედ მასში დაბუდებულ ეშმაკში, და სჯერა ამ უკანასკნელის დაძლევისა“ (მირიანაშვილი 1997: 12), მაგრამ უფლის ანგელოზის განმარტების შემდეგ (წყალში ჩასული ვეშაპი მეტ ბოროტებას ჩაიდენდა), „დავითი გაგებით ხვდება მომხდარს. წმ. გიორგი განგმირავს გველემაპს, რათა დათრგუნოს აქტიური ბოროტება, რასაც სხვანაირად ვერ შეაჩერებს“ (მირიანაშვილი 1997: 12).

წმ. დავითი შეშინებულ ლუკიანეს ამშვიდებს: „რადსა შეშინებულ ხარ მცირედ მორწმუნეო, ერთისა ჭიისაგან, რომელი წამსა შინა ერთსა ცეცხლისა მიერ განილია ზეგარდამოდსა?“ (აბულაძე 1955: 162). აქ წმ. მამა ვეშაპს ჭიას უწოდებს. ამ გარემოებამ მიიპყრო ჩვენი ყურადღება. ცნობილია, რომ „მატლი“ და „ჭია“ ვეშაპთან და გველთან ერთად ერთ სემანტიკურ კატეგორიან ქმნის“ (აბაკელია 1997: 5), როგორც ქრისტიანულ ლიტერატურაში, ასევე ფოლკლორში ჭია და გველემაპი ერთი კატეგორიის არსებებია.

შეუძლებელია არ გაგვახსენდეს ამირანის თქმულების ერთი ეპიზოდი, როცა ამირანი ბაყბაყდევს დაამარცხებს და დევი სთხოვს, ჩემი მოჭრილი თავიდან ამოსულ სამ ჭიას ნულარ მოკლავო. ძმების გაფრთხილების მიუხედავად, ამირანი მართლაც არ კლავს სამ ჭიას — „დევმა რა მიყო, ჭიები რას მიზამენო“ (ჩიქოვანი 1947: 315). გადის ხანი და ის სამი ჭია სამ გველემაპად გადაიქცევა. იმ „უმნიშვნელო“ ჭიამ ამირანი გადაყლაპა.

ჩვენი აზრით, სწორედ ასე უნდა გაგენული ღვთის მიერ ვეშაპის დასჯის მნიშვნელობაც. ბოროტება თუ არ ამოიძირკვა, იგი ისევ მოიკრებს ძალას და უფრო დიდ ცოდვას ჩაიდენს. ამიტომ არის აუცილებელი მისი საბოლოო განადგურება.

ერთი მხრივ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ წმ. მამა ჭიას ვეშაპის სინონიმად მოიხსენიებს, თუმცა არაა გამორიცხული, რომ მან ვეშაპის ძლიერება და საშინელება უსუსურ არსებას შეადარა, რათა ხაზი გაესვა უფლის ძლევამოსილებისთვის. რწმენით გაძლიერებულთათვის საზარელი ვეშაპიც უბრალო და უსუსური ჭიაა, რომელიც ადვილი დასაძლევია. წმ. მამა აცხადებს: „ძალი ქრისტესი შემწე ჩუენდა არს ყოველთავე შინა, და მან დაგუფარნეს ჩუენ ყოველთაგან საზარელებათა მბრძოლთასა, რამეთუ მინდობილთა მისთა დავთრგუნოთ შენეენითა მისითა ლომი და ვეშაპი“ (აბულაძე 1955: 162). დამშვიდებული ლუკიანე მადლობს და ადიდება ღმერთს, „რომელმან მისცა და მონასაცა თუსსა დავითს ესევეთარი ჳელმნიფებაჲ მჳეცთა მიმართ უბრძოლველთა“ (აბულაძე 1955: 162).

საყურადღებოა ერთი ფაქტი: სულხან-საბა ვეშაპს წყლის ბინადრად განმარტავს: „თევზია დიდი ზღვასა შინა უკიანესა, რომელმან იონა შთანთქა. ვეშაპად ყოველთავე უფროსად დიდსა ცხოველთა წყალთასა უწოდს წერილი“ (ორბელიანი 1991: 262), მაგრამ იქვე მიანიშნებს — „გუელვეშაპი“. ბიბლიაშიც ვეშაპი წყლის ურჩხულად არის განმარტებული: „და შექმნა ღმერთმან ვეშაპნი დიდნი და ყოველი სული ცხოველთა ქუენარმავალთაჲ, გამოიღეს წყალთა ნათესაობისაებრ მათისა ყოველი მფრინველი მფრინვალენი ნათესაობისაებრ. და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ“ (დაბ. 1. 21), „ან უკუე ზღუად მე ვარ ანუ ვეშაპი, რამეთუ დაანესე ჩემ ზედა საცოჲ?“ (იობ. 7. 12;) გველ-გველვეშაპის სიმბოლოთა შეწყვილებას და თანამონაცვლეობას აპოკალიფსში ვხვდებით: „და გარდამოვარდა ვეშაპი იგი დიდი, გუელი დასაბამისად, რომელსა ეწოდების ეშმაკი და სატანა, რომელი აცთუნებს ყოველსა სოფელსა...“ (გამოცხ. 12. 9). ამის გამოა, სავარაუდოდ, რომ ვეშაპის განმარტებისას სულხან-საბა გველვეშაპზედაც მიგვანიშნებს.

კიდევ ერთი დაკვირვება გვინდა ვარაუდის სახით გამოვთქვათ. სიმბოლოთა ლექსიკონში ლევიათანის განმარტებისას ვკითხულობთ: „წყლის მონსტრი, რომელიც სიმბოლოურად ასახავს ბუნების სტიქიათა ძალას, რომლის დამშვიდება და კონტროლი მხოლოდ ზეადამიანურ ძალას შეუძლია. ლევიათანი — ერთ-ერთი დასახელებაა ვეშაპისა, ივრითზე სიტყვა „ლივიატან“ აღნიშნავდა წყლის ნიაღის ნებისმიერ ურჩხულს“ (ტრესიდერი 1992: 191-192). იობის წიგნში კი ლევიათანი აღწერილია ნიანგის მსგავს ცხოველად. გარდა იმისა, რომ ლევიათანი დასახელებულია ვეშაპის ერთ-ერთ სახედ, ჩვენი ყურადღება მიიპყრო XII საუკუნის ინგლისურმა გრაფიურამ, რომელზედაც ლევიათანი რქიანი გველის სახითაა გამოსახული. აღმოჩნდა, რომ ლევიათანი ვეშაპის ერთ-ერთი სახეა, (ე.ი. მისი წარმომავლობა წყლიდან, რასაც ბიბლიაც ადასტურებს — იობის წიგნი) და, ამავე დროს, ქვენარმავლიცაა — გველის, ოღონდ რქიანის, სახეც აქვს. გავიხსენოთ, რომ საზარელი ვეშაპი „დავით გარეჯელის ცხოვრებიდან“ სწორედ წყალში ეძიებს ხსნას.

ბუნებაში არსებობს რქიანი გველის სახეობები, თუმცა ისინი წყალთან არ არიან დაკავშირებულნი, პირიქით, უდაბნოს ბინადარნი არიან. ლადო მირიანაშვილი დაინტერესდა რქიანი გველების არსებობით გარეჯის უდაბნოში. აღმოჩნდა, რომ ამჟამად გველის ეს სახეობა გარეჯში არ ბინადრობს, თუმცა ბიოლოგები არ ურყოფენ მის არსებობას წარსულში. აქვე გვინდა გავიხსენოთ, რომ სწორედ რქიანი გველებით აშინებდა სატანა წმ. მამებს: „...მერმე იწყო შინებად მისდა ოდესმე სახითა ქუენარმავალთაჲთა, რამეთუ იქმნის ლომ და ვეფხ და დათუ და გუელ რქოსან და აშინებდა ოდესმე ღამით და ოდესმე დღისით“ (აბულაძე 1955: 93). საყურადღებოა, რომ აქ რქოსანი გველი ქვენარმავლად არ არის დასახელებული. ცალკეა ქვენარმავლები და ცალკე — რქოსანი გველი. ხომ არ არის ეს არსება სწორედ ის საზარელი ვეშაპი, რომელსაც ასევე რქა აქვს? ნაკლებად სავარაუდოა, რადგან მეორე შემთხვევაში ყველგან ვეშაპია დასახელებული და გველი არა. თუმცა მიგვაჩნია, რომ სწორედ ამ გარეგნული ნიშნით მოხდა გაერთიანება ამ ორი არსებისა და მივიღეთ ზღაპრული არსება გველ-ვეშაპი, რომელიც ასევე აისახა კედლის მხატვრობასა თუ დავით გარეჯელის ხატზე, რომელსაც საბინინი გვთავაზობს „საქართველოს სამოთხეში“. გვინდა აქვე აღვნიშნოთ, რომ ფრესკაზე გამოხატულ ვეშაპს უზარმაზარი რქიანი გველის სახე აქვს, ხოლო დავით გარეჯელის

ხატზე კი იგი რქიანი და წინა კიდურებიანი მონსტრია. ასეთი სახეცვლილება მან მოგვიანო პერიოდში განიცადა, რაც, სავარაუდოდ, დასავლური კულტურის გავლენად უნდა აღვიქვათ.

სწორედ გველეშაპად მოიხსენიებს მკვლევარი ამ საზარელ არსებას უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის მოხატულობის აღწერისას: „კომპოზიციის მარცხენა ნაწილზე მოთავსებულ „ვეშაპს“, რომელიც ერთი რქითაა გამოხატული, პირი ფართოდ აქვს გაღებული, ტანზე შავი ჯაგარი აშლია და ცეცხლის ალში იწვის... კომპოზიციის ზედა მარცხენა კუთხის სიბრტყეზე მფრინავი ანგელოზია გამოსახული, დაბლა გველეშაპის მიმართულებით, განვდილი აქვს მარჯვენა, საიდანაც კლაკნილი ხაზი ეშვება, რაც გველეშაპის დამწველ მეხს აღნიშნავს“ (აბრამიშვილი 1972: 67).

ელენე გოგიაშვილის შენიშვნით, „იოანე სინელის თხზულებაში „გველი და ვეშაპი“ სინონიმებია“. იგი ამ დასკვნამდე მიდის „კლემაქსის“ XII საუკუნის გარეჯული ნუსხის (H-1669) არშიებზე გამოსახულებების დახასიათებისას (გოგიაშვილი 2006: 66).

ქრისტიანულ ლიტერატურაში გველი მეტაფორული სახეა. მაგრამ სანამ თეოლოგიაში გველეშაპის დამარცხება ბოროტებასთან (ცოდვებთან) ბრძოლის სიმბოლურ დატვირთვას მიიღებდა, მანამდე ეს ბრძოლა პირდაპირი მნიშვნელობით უნდა ყოფილიყო გაგებულნი. ამას ადასტურებს წმ. გიორგის სახე იკონოგრაფიაში, ასევე გველის (ვეშაპის) რეალური განადგურების ფაქტები ქართულ აგიოგრაფიაში (წმ. გრიგოლ ხანძთელის მონაფის მიერ ორი საშინელი ვეშაპის ლოცვით მოკვდინება).

გველეშაპი (გველი, ვეშაპი, ურჩხული) ბიბლიაშიც გვხვდება: იობის წიგნში (იობ. 26. 13), ესაია წინასწარმეტყველთან (ეს. 27, 1; 51, 9), იონა წინასწარმეტყველთან (იონ. 2, 1), დანიელ წინასწარმეტყველთან (დანიელ. 14, 22-28), ფსალმუნებში (73, 13-14; 90, 13), სადაც ყველგან ბოროტებას განასახიერებს.

„დავით გარეჯელის ცხოვრებაში“ ვეშაპის სიმბოლიკა ბიბლიურ საფუძველს ემყარება და, ზოგადად, ბოროტების სიმბოლოდ გვევლინება, სატანის სახედ, რომელსაც შენდობა არა აქვს. ეს შემზარავი არსება ზღაპრებსა და ხალხურ თქმებში გველეშაპად გარდაისახება, რომელიც საბოლოო ჯამში აუცილებლად მარცხდება სიკეთით.

დამონებიანი:

აბაკელია 1997: აბაკელია ნ. *სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში*. თბ.: 1997.

აბრამიშვილი 1972: აბრამიშვილი გ. *დავით გარეჯელის ციკლი ქართული კედლის მხატვრობაში*. თბ.: 1972.

აბულაძე 1955: აბულაძე ი. *ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები*. თბ.: 1955.

გოგიაშვილი 2006: გოგიაშვილი ე. *გველეშაპისა და ფასკუნჯის გამოსახულებები წმ. იოანე სინელის „კლემაქსის“ XII საუკუნის გარეჯული ნუსხის (H-1669) არშიებზე*. *Fabula. Zeitschrift für Erzählforschung. Volume 47, Issue 1 part 2, 2006. S. 65-78.*

მირიანაშვილი 1997: მირიანაშვილი ლ. *„გარეჯას მრავალმთა და ადამიანი“*. 1997.

ორბელიანი 1991: ორბელიანი ს.-ს. *ლექსიკონი ქართული*. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. ტ I. თბ.: 1991.

ტრესიდერი 1992: Тресиддер Д. *„Словарь символов“*. М.: 1992.

ჩიქოვანი 1947: ჩიქოვანი მ. *მიჯაჭვული ამირანი*. თბ.: თსუ გამომცემლობა, 1947.

ELENE GOGIASHVILI

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Interaction between Literary and Folklore Genres in the Middle Ages: Motifs of a Fight against a Tiger in Georgian Fairytales

In the study of literary genres of the Middle Ages, the interaction between literary and oral traditions is usually questioned. The medieval romances, inspiring the image of the fairytale hero, in Europe and in the Orient were influenced by Byzantine romance. Chivalric epic poems are linked to literature and folklore. The connection of the fairytale motifs with mythology places the origins of the fairytale in the ancient times. It is also influenced by literature. The poem of the 12th century “The Knight in the Panther’s Skin” by Shota Rustaveli Hugely influenced upon Georgian folklore. One of the most popular motifs in Georgian fairytales is the fight and the victory of a protagonist against tigers and lions.

Key words: folklore, literature, middle Ages, “The Knight in the Panther’s Skin”, fairytale

ელენე გოგიაშვილი

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შუა საუკუნეების ლიტერატურულ და ფოლკლორულ ჟანრთა ურთიერთმიმართება: ვეფხვთან ბრძოლის მოტივები ქართულ ზღაპრებში

შუა საუკუნეების ლიტერატურული ჟანრების შესწავლისას მუდმივად დგება მნიგნობრულ და ზეპირ თხრობით ტრადიციათა ურთიერთმიმართების საკითხი. ბიზანტიური რომანი, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის შუა საუკუნეებში დასავლური და აღმოსავლური რომანის ფორმირებაში, ფოლკლორული ტრადიციით იყო ნაკვები. ლიტერატურისა და ფოლკლორის მიჯნაზე მდგომ საგმირო ეპოსს თანაბრად აქვს კავშირი ლიტერატურასთანაც და ზეპირსიტყვიერებასთანაც. ზღაპრის გმირის სახის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის შუა საუკუნეების სარაინდო რომანს, რომელსაც, თავის მხრივ, ბევრი რამ აქვს გამოყენებული ანტიკური მემკვიდრეობიდან.

ხალხური ზღაპრის სიუჟეტებისა და მოტივების მითოლოგიასთან კავშირის გამო ზღაპარი უძველეს ფოლკლორულ ჟანრად არის მიჩნეული, მაგრამ ამავე დროს ის ლიტერატურის ძლიერ გავლენასაც განიცდის. ქართულ ფოლკლორში ამგვარ მოვლენას ხშირად ვაწყდებით ლიტერატურული ნაწარმოებების გახალხურებული ვერსიების სახით, რომლებიც სრულად ტრანსფორმირებული არიან ზეპირი თხრობის კანონების შესაბამისად. განსაკუთრებული გავლენა ქართულ ზეპირსიტყვიერებაზე მოახდინა

„ვეფხისტყაოსნმა“. გარდა ხალხური „ტარიელიანის“ სალექსო და პროზაული ვარიანტებისა, „ვეფხისტყაოსნის“ კვალი ჩანს იმ საზღაპრო მოტივებზეც, რომლებსაც სიუჟეტურად არაფერი აქვთ საერთო მასთან.

გმირის ლომებთან და ვეფხვებთან შებმა და მათი დამარცხება ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული მოტივია ქართულ ზღაპრებში. გვხვდება ისეთი ზღაპრებიც, რომლებშიც ვეფხვი ფუნქციურად გველემას ენაცვლება (ხალხურ ზღაპრებში, ჩვეულებრივ, ქვესკნელში ბინადრობს გველემაპი, გველი ან ფასკუნჯი, ან სამივე ერთად). ჯადოსნური ზღაპრის სიუჟეტში ვეფხვს, როგორც ანტაგონისტს, ვხვდებით ქართლურ, გურულ და მეგრულ საზღაპრო რეპერტუარში. უძლეველი ვეფხვის დამარცხება წინ უძღვის ზღაპრის მთავარი პერსონაჟის შემდგომ გმრობებს.

ქართლურ ზღაპარში „გედარ-გელმაზი“ ქვესკნელში ბინადრობს ვეფხვი, რომლის დამარცხების შემთხვევაში გმირი ცოლად შეირთავს მეფის ასულს: „იქ ერთი ვეფხვი იყო შამოჩვეული და მთელ ქვეყანას ღამით ატრიალებდა [...] ვინც იმ ვეფხვ მოკლამს, ხემნიფე თავი მზეთუნახამ ქალს ცოლად მიათხოვებსო“ (ლლონტი 1948: 158).

გურულ ზღაპარში „თასიე“ გმირი ვეფხვს ცოცხლად დაიჭერს და დაახრჩობს: „თურმე იმდონეთი უარია, იმდონეთი, რომე ამ შვალამეზე ქე მისულა, აი ნიფხა-პერანგაი კაცი ვეფხთან. ეტეკა ვეფხმა. ბიჭმა გეიკვირა, რა მომედუა ამ ღამეშიო. ნახა, რომე ვეფხია. მოზდუა ცალი ხელი, მოხობოჯა, წამეილო და წამევიდა საცხა ამ სიბნელეში. იმდონეთი უარია, იმდონეთი, რომე იანოლზე ქე მევიდა იმავე დევების სახლთან. სამი დღის სავალი ამ ბიჭმა სამ ნაბიჯათ გეიარა. როცხა შეთენდა, დახედა რა მომაქ აი, რა მევიტანეგო, ნახა ვეფხია ჯერე კიდავ ცოცხლოფს და აკრაჭუნებს კბილეფს. ეილო და დაანხალა დანტროვილ ჭიშკართან. თვითან ქე დეინახა კარი და ევიდა ქალთან. დილას დევებმა შიშლოურთაი გამეიხედეს გარდამ, დეინახეს, რომე ჭიშკართან რაცხა უშველებელი აგდია. ნახეს — ვეფხია, რომელიც ქვეყანას აქცევდა, რაცხას დუუხრჩვია ამ დევების ეზოში. აი ვეფხი იმხელაა, რომე სამივე დევებმა ვერ გადაათრიეს“ (ლლონტი 1937: 157).

მეგრულ ზღაპარში მთავარი გმირი ვეფხვების დახოცვის შემდეგ მეფის სასიძო გახდება: „ტყეში დაინახა უამრავი ვეფხები. დაეცნენ ვეფხები, დახოცა ბიჭმა რამოდენიმე ათასი. დანარჩენი გაიქცა. სანამეყენო დანით ერთი ვეფხვი გაატყავა, თხილის წნელით შეკრა და შევიდა მეფის სატახტო ქალაქში“ (თსუფა 21547, მთქმელი: ავქსენტი ქებურია, ჩამწერი: ბეჟან აბაშიძე, ჩხორონწყუს რ-ნი, სოფ. ქვედა ჩხორონწყუ, 1975 წ.).

ვეფხვებთან და ლომებთან ბრძოლა ქართულ ფოლკლორსა და ლიტერატურაში ისევე, როგორც მსოფლიო ლიტერატურაში, გმრობის სიმბოლოდ იქცა. ეთნოლოგ ირაკლი სურგულაძის გამოკვლევით, საქართველოსა და კავკასიაში ბევრგან დასტურდება ვეფხვისადმი მონიწეული დამოკიდებულება და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები, „ვეფხვის“ ეპითეტით მოხსენიება მონადირეებისა და მეომრებისა: „შეიძლება ითქვას, რომ „ვეფხი და ვეფხთან ბრძოლა“, როგორც ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობების ოპტიმუმი, ოდესღაც საკრალურ ველში უნდა ყოფილიყო მოაზრებული და ამ ველის შესუსტება-გაქრობის შესაბამისად, მან ხალხის უმაღლეს ზნეობრივ ღირებულებათა სფეროში გადაინაცვლა. [...] ძლიერი მხეცების ხოცვის დესაკრალიზებული პროცესი, რომელიც ოდესღაც საკრალურ მეფეთა პრეროგატივა იყო (მაგალითად, ბაბილო-

ნისა და ასურეთის მეფეთა ნადირობა ლომებზე, სასანური სიუჟეტები მეფეთა ნადირობიდან, საერთოდ სამეფო ნადირობა), გამოიყენება როგორც ხერხი გმირის შესაძლებლობათა დახასიათებისას და ამიტომ, მითოსიდან ლიტერატურაში გადასვლის დროს, ხშირად მექანიკურ შთაბეჭდილებას ტოვებს. ძლიერი მხეცების უმიზნოდ ხოცვა არა მხოლოდ ქართულ ლიტერატურას ახასიათებს, არამედ საერთოდ არის გავრცელებული შუა საუკუნეების აღმოსავლურ ლიტერატურაში, სადაც ნადირის ხოცვა ერთგვარ თვითმიზნად არის ქცეული“ (სურგულაძე 2003: 134).

ვეფხვი და ლომი ქართულ პოეტურ ზეპირსიტყვიერებაში მეტაფორულად ერთმანეთს ენაცვლებიან. ხალხურ ლექსებში ლომი და გმირი ერთმანეთის სინონიმებია, მაგალითად, „ლომო, შე ლომის მოკლულო“ (კოტეტიშვილი 1961: 84), „ლომი ლომობდეს ფრანგულით, მტერსა დაჰმართოს რიდია“ (იქვე: 53), „შევიკრიფენით გმირები, თითო ლომისა სწორია“ (იქვე: 97) და სხვ.

ლომი გმირის ეპითეტია შუასაუკუნეების ევროპულ რომანებშიც. კრეტიენ დე ტრუას რომანში „ივენი ანუ ლომის რაინდი“ ლომი მრავალმნიშვნელოვანი სიმბოლოა: „არა მარტო სიმბოლო ვაჟკაცობისა, სიქველისა და კურთუაზულობისა, არამედ ერთგვარი „გზაც“ დარღვეული ჰარმონიის აღსადგენად, დაკარგული სიყვარულისა და ბედნიერების დასაბრუნებლად. მით უფრო, რომ ივენი ამ ზედწოდებით იხსენიება მას შემდეგ, რაც, სატრფოს დაკარგვით გახლებული, განიკურნება მძიმე სენისაგან და დაიწყებს სწრაფვას მეუღლის კეთილგანწყობის ხელმეორედ მოსაპოვებლად“ (ელბაქიძე 2006: 74).

ლომისა და ვეფხვის ტყავის ტარება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამეფო აქსესუარია. ჰერალდიკამ ეს სიმბოლო აიტაცა, „ცხოველთა მეფე“ სიძლიერის, ღირსებისა და სიმშვიდის ნიშნად იქცა. შუასაუკუნეების მეფეები და ფეოდალები ლომის ორდენს აფუძნებდნენ და თვითონაც იმკობდნენ თავს ზედწოდებით „ლომი“ (ბაუერი 1994: 4). მეფის, მბრძანებლის ასახვის სპექტრი ევროპისა და აზიის ფოლკლორში, ლიტერატურასა თუ ხელოვნებაში გარკვეულ კანონზომიერებებს ქმნის. სამეფო ატრიბუტებს შეადგენს: ტიტული და ინსიგნიები (გვირგვინი), სამოსი (მოსასხამი), შენობა (სასახლე და ბაღი), იარაღი (მახვილი) და ა.შ. (ტომკოვიაკი 1990: 894-916). მბრძანებლობის სიმბოლოა როგორც სხვადასხვა ზოომორფული გამოსახულება (მაგალითად, არწივის, დრაკონის, ლომის), ასევე რიტუალი — დღესასწაულები, ნადირობა, ტურნირები (ტომკოვიაკი 2001: 156). ცნობილია, ნადირობა ფეოდალურ საქართველოში ადგილობრივი არისტოკრატის ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა, აღზრდა-განრთვნის საშუალება, სპორტი და გართობა იყო (ლევინიძე 2005: 201-213).

რაც არ უნდა არქაული ელემენტების შემცველი უნდა იყოს ხალხური ზღაპარი, მასზე უდიდეს გავლენას ახდენს ლიტერატურა და ბევრი „არქაული“ ნიშანი სწორედ მნიგნობრული გზით არის დაბრუნებული ფოლკლორში. ვეფხვის ტყავით შემოსვა უძველესი მითოლოგემაა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ქართულ ზღაპრებში ამ მოტივის გამოჩენა ლიტერატურული ნაწარმოების გავლენა უნდა იყოს. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ტექსტები მე-20 საუკუნეშია ფიქსირებული, არამედ ჟანრობრივი სპეციფიკის გამოც. მეგრული და გურული ზღაპრები ნოველისტურია, რაც ჯადოსნურ ზღაპართან შედარებით გვიანდელი წარმონაქმნია ფოლკლორში.

სამეცნიერო გამოკვლევებით ცნობილია, რომ ხალხური მთქმელები ხშირად ექცევიან ისეთი ენობრივი ხერხისა და თემის გავლენის ქვეშ, რომელებიც წერილობითი ძეგლების კუთვნილებაა (ცუმტორი 1990: 19-39). დამწერლობის შექმნიდან მოყოლებული, ზეპირსიტყვიერება მასთან ერთად აგრძელებს არსებობას. ეს არ ნიშნავს პირდაპირ შეხებას წიგნიერ პოეზიასთან, მაგრამ ირიბი ლიტერატურული პარალელებიც ნათელს ხდის მწიგნობრული ტრადიციის აქტუალობას. ხდება იმგვარადაც, რომ ლიტერატურული სახე ან მოტივი ფოლკლორულ ტექსტში დაფარულია — სწორედ ამგვარ მოვლენას ვაწყდებით ზემოთჩამოთვლილ ჯადოსნურ ზღაპრებში: ზღაპრის გმირის თავგადასავალს საერთო არაფერი აქვს ლიტერატურულ პერსონაჟთან, მაგრამ მის მიერ ვეფხვის დამარცხებაც უჩვეულოა ქართული ზღაპრის ზოგადი ტიპისთვის. ჩვეულებრივ, ზღაპრული მონინაალმდეგე ზებუნებრივი არსებაა (გველეშაპი, დევი) და არა გარეული ცხოველი. „ვეფხისტყაოსნის“ გავლენა ზღაპრებზე გასაკვირი არ უნდა იყოს იმ დიდი სიყვარულის ფონზე, რაც საქართველოში არსებობდა ამ პოემის მიმართ.

საზღაპრო რეპერტუარის გარდა „ვეფხისტყაოსნის“ გმირებისადმი გამორჩეული დამოკიდებულება ჩანს სხვა თხრობით ტრადიციებში, ეთნოგრაფიულ სინამდვილესა და ყოველდღიურ ლექსიკაშიც.

ტარიელი მეგრულად ზოგადად „გმირს“, „ძლიერს“ აღნიშნავს, მაგალითად „ხრისტაგანი და ბელთაგანი გმირების ზღაპრის“ მეგრული სათაურია „ხრისტაგანი და ბელთაგანი ტარიელეფიში არიკი“ (დანელია... 1991: 628). აფხაზურ ენაშიც ტარიელი გმირის სინონიმია. აფხაზი მწერალი დ. გულია იგონებს: „ამ სტრიქონების ავტორი თავის ბავშვობაში ერთი საუბრის მონმე გახდა, რომელიც ღრმად აღიბეჭდა მის მეხსიერებაში. მისი ჭაბუკი მეზობელი გატაცებით აღუნერდა თავის დედას ერთი ყმანვილის გარეგნობას: — დედა, ისეთი ლამაზი, მოხდენილი ვაჟკაცი იმ დღეობაზე არავინ იყო. მხარბეჭზე ადლი გადასწვდებოდა, წელს კი თითები შემოსწვდებოდა, კარგი თვალადი, ტანადი... — ტარიელი ყოფილა, შვილო! — უთხრა გაოცებულმა დედამ. საუბრიდან ჩანდა, რომ იმ მოხდენილ ვაჟკაცს ტარიელი სახელად სრულებითაც არ ერქვა. მე გადავწყვიტე, რომ ტარიელი ზედსართავი სახელია, მამაკაცის სილამაზის, მოხდენილობისა და გმრობის გამომხატველი [...]. რუსთველის უკვდავი გმირის სახელი აფხაზეთის გლეხობაშიც შეჭრილა, მოუხიბლავს იგი და აფხაზეთის ხალხს მამაკაცის საუკეთესო თვისებათა გამომხატველ ზედსართავ სახელად გაუხდია“ (გულია 1988: 555-556).

აფხაზი მწერალი, ენათმეცნიერი და ფოლკლორისტი ხ. ბლაჟბაც აღნიშნავს ზედსართავ „ტარიელის“ პოპულარობას აფხაზურ ენაში: „ხშირად აფხაზები მამაც ადამიანზე, გმირზე ასე ამბობენ: ის ტარიელის მსგავსიაო“ (ბლაჟბა 1988: 559). აფხაზი მეცნიერები ხაზგასმით აღნიშნავენ აფხაზების დიდ სიყვარულს „ვეფხისტყაოსნის“ გმირებისადმი და განსაკუთრებით ტარიელისადმი (დელბა... 1988: 567).

საინტერესოა აგრეთვე აფხაზური ჩვეულება, რომელიც მე-20 საუკუნის 60-იან წლებამდეც იყო შემორჩენილი: „რძალი, ნიშნად დიდი პატივისცემისა, სახელით არ მიმართავს ქმრის ძმას, ბიძებს და სხვა ახლო ნათესავებს. გათხოვილი ქალი თვითონ არქმევს სახელებს ქმრის ნათესავებს და შემდეგ მხოლოდ და მხოლოდ ამ შერქმეული სახელებით იხსენიებს

მათ. ამ ჩვევას, რომელიც შესანიშნავ ხალხურ ტრადიციადაა ქცეული, ჰქვია „ახიძმარა“ (სახელის შერქმევა). ასეთ შემთხვევაში რძალი ქმრის ახლო ნათესავებს ჩვეულებრივ მიმართავს სახელით — „ტარიალ“ („ტარიელი“). ამ სახელს ახლავს მეგობრული სიტბო, მოკრძალება, ნათესაური სი-ახლოვის გრძნობა“ (დელბა... 1988: 567).

ეთნოგრაფიული აღწერები და ზეპირი გადმოცემები ადასტურებენ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ განსაკუთრებულად უყვარდათ ხევსურეთში. ნ. ბალიაურის „ხევსურულ ქრონიკებში“ ვკითხულობთ: „სოფელ ამლაში ქალებს — გაგათ ქალიკას, მარაისძეთ ლელას, კიბალაურთ სამძიმარს, ცალკე მოჰყავდათ თამბაქო იმათთვის, ვინც მათ ვეფხისტყაოსანს ნაუკითხავდა. მაშინ თამბაქო ძვირი იყო, ხევსურეთში ოქროდ ფასობდა. ხელსაქმობის დროს ისინი ინვევდნენ კითხვის მცოდნე ვაჟებს და საფასურად თამბაქოს აძლევდნენ. ვაჟებიდან არჩეული ჰყავდათ მარაისძის შვილი დავითი. ქალიკას მთელი ვეფხისტყაოსანი ზეპირად დაუსწავლია“ (ბალიაური 1995: 80).

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ხალხურ ზღაპრებში ვეფხვის დამარცხებასთან დაკავშირებული მოტივები უძველეს რიტუალებთან კავშირის დადგენის შესაძლებლობას იძლევიან, თვითონ ტექსტები მოგვიანო ხანის უნდა იყოს, „ვეფხისტყაოსნის“ გავლენით დამკვიდრებული და ბევრად ახლოს ჩვენს თანამედროვეობასთან. ლომ-ვეფხვის დახოცვის სიმბოლიკა ქართულ ხალხურ ზღაპრებში მეფედ გახდომის წინაპირობის ფუნქციას ასრულებს. ზღაპრები, რომლებშიც გმირი ვეფხვებსა და ლომებს ამარცხებს, მიზნად გამეფების გზის ჩვენებას ისახავს. „შინაგანი ხელმწიფობის გზა“, „საკუთარი თავის ფლობა“, „მეფის გზა“ — ეს ტერმინები ხშირად ჩნდება ზღაპრის სიმბოლურ განმარტებებში (სოლმსი 2001: 250). მეცნიერები, რომლებიც ზღაპარს რელიგიურ და მორალურ სიმბოლოებად განსაზღვრავენ, მეფეში უმაღლესი ღირებულების სიმბოლოს ხედავენ: „მთავარი გმირის ესქატოლოგიური ანუ დასასრულისაკენ მიმართული მონოდება ვლინდება ერთ ისეთ მნიშვნელოვან ფუნქციაში, რომელიც ზღაპრული ქორწილის წინაპირობას ქმნის და ამდენად, მისი არსებითი საფეხურია, თუმცა კი სცილდება სიტყვიერი შემოქმედების, როგორც გამონაგონის სფეროს და სხვა მოტივებთან ერთად ონტოლოგიურ ღირებულებას იძენს. ეს არის გამოხსნა დატყვევებული ასულისა. ამ აქტში მთელი ზღაპრული სამყაროს ანუ წუთისოფლის კეთილი ძალა სოლიდარულია უფლისწულთან, რომელიც ევლინება ქვეყანას, მის ყოველ ქმნილებას (მცენარეულ და ცხოველურ სამყაროს) ჭეშმარიტ პატრონად, როგორადაც ადამი შექმნა ღმერთმა“ (კიკნაძე 1991: 17).

ე. ტრუბეცკოი ჯადოსნურ ზღაპარში ქრისტიანული მსოფლმხედველობის გამოვლინებას ხედავს და შესაბამისად, ადამიანის უმაღლეს დანიშნულებას ასე განმარტავს: „გაფრენის მიზანი ყოველთვის ერთი და იგივე არ არის. ერთ შემთხვევაში უფლისწულს საცოლისათვის რაღაც ნივთები მოაქვს, სხვაგან ის ქვესკნელიდან ბრუნდება, „საიქიოდან“, მაგრამ არსი გაფრენისა ბნელიდან ნათელისკენ, სიკვდილიდან სიცოცხლისაკენ და აუტანელი მონყენისაგან ნათელი სიხარულისკენ ყველგან ერთი და იგივეა“ (ტრუბეცკოი 1991: 62).

ყველა ჯადოსნური ზღაპრის მიზანი საბოლოოდ გმირის გამეფებაა, რომლის სიმბოლური მნიშვნელობაც არა სოციალურ სტატუსს, არამედ ადამიანის სულიერ მდგომარეობას — „შინაგან ხელმწიფობას“ უკავშირ-

დება. ვეფხვის დამარცხება და ვეფხვის ტყავის ტარება გმირის მომავალი მეფობის წინა საფეხურია — აქ ლიტერატურული და ფოლკლორული ნაწარმოებები იდეურადაც ერთმანეთს თანხვედებიან.

დამონებიანი:

ბალიაური 1995: ბალიაური ნ. *ხევსურული ქრონიკები*. თბ.: „ლევა“, 1995.

ბაუერი 1994: Bauer H. *Grüßwort. Die Romane von dem Ritter mit dem Löwen*. Herausgegeben von Xenja von Ertzdorff. Amsterdam: Rodopi, 1994. S. 3-4.

ბლაჟა 1988: ბლაჟა ხ. *სიტყვა სსრ მწერალთა კავშირის გამგეობის რუსთა-ველისადმი მიძღვნილ პლენუმზე*. // მენაბდე ლ. (რედაქტორი): რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში. III. თბ.: თსუ გამომცემლობა, 1988.

გულია 1988: გულია დ. *როგორ ვთარგმნი „ვეფხისტყაოსანს“*. // მენაბდე ლ. (რედაქტორი). რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში. III. თბ.: თსუ გამომცემლობა, 1988.

დანელია... 1991: დანელია კ., ცანავა, ა. (რედაქტორი). *ქართული ხალხური სიტყვიერება. მეგრული ტექსტები (ქართული თარგმანითურთ)*. ტ. II, ზღაპრები და მცირე ჟანრები. თბ.: თსუ გამომცემლობა, 1991.

დელბა... 1988: დელბა მ., მირნელი მ. *„ვეფხისტყაოსანი“ აფხაზურ ფოლკლორსა და ლიტერატურათმცოდნეობაში*. // მენაბდე ლ. (რედაქტორი). რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში. III. თბ.: თსუ გამომცემლობა, 1988.

ელბაქიძე 2006: ელბაქიძე მ. *ლომ-ვეფხვის მოტივის ინტერპრეტაცია შუასაუკუნეების რაინდულ რომანში*. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერ-ფილოლოგთა შრომები, X. ეძღვნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებლის პროფ. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 130 წლისთავს. თბ.: „უნივერსალი“, 2006.

თსუფა: *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორული არქივი*.

კიკნაძე 1991: კიკნაძე ზ. *ჯადოსნური ზღაპრის ესქატოლოგია*. „სკოლა და ცხოვრება“. № 1, 1991.

კოტეტიშვილი 1961: კოტეტიშვილი ვ. *ხალხური პოეზია*. თბ.: „საბჭოთა მწერალი“, 1961.

ლევძე 2005: ლევძე ლ. *მასობრივი ნადირობის ტრადიციები საქართველოში*. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის XXV. ეძღვნება პროფ. ვ. ბარდაველიძის დაბადებიდან 100 წლისთავს. თბ.: „მემატიანე“, 2005.

სოლმსი 2001: Solms W. *Könige und Untertanen in Grimms Märchen. Eine Annäherung in acht Schritten*. Als es noch Könige gab. Forschungsberichte aus der Welt der Märchen. Im Auftrag der Europäischen Märchengesellschaft herausgegeben von Heinz-Albert Heindrichs und Herlinda Lox. Kreuzlingen/München: Hugendubel Verlag (Diederichs), 2001.

სურგულაძე 2003: სურგულაძე ი. *მითოსი, კულტი და რიტუალი საქართველოში*. თბ.: თსუ გამომცემლობა, 2003.

ტომკოვიაკი 1990: Tomkowiak I. *Herrschaft, Herrscher*. Enzyklopädie des Märchens. B. 6. Berlin/NewYork: Walter de Gruyter, 1990.

ტომკოვიაკი 2001: Tomkowiak I. *Zur Popularität des Herrscherbildes in der Volkserzählung*. Als es noch Könige gab. Forschungsberichte aus der Welt der Märchen. Im Auftrag der Europäischen Märchengesellschaft herausgegeben von Heinz-Albert Heindrichs und Herlinda Lox. Kreuzlingen/München: Hugendubel Verlag (Diederichs), 2001.

ტრუბეცკოი 1991: ტრუბეცკოი ე. *„სხვა სამეფო“ და მისი ძიება რუსულ ხალხურ ზღაპრებში*. „სკოლა და ცხოვრება“, № 8, 1991.

ცუმტორი 1990: Zumthor P. *Einführung in die mündliche Dichtung*. Berlin: Akademie-Verlag, 1990.

ლლონტი 1937: ლლონტი ა. *გურული ფოლკლორი*. I. თბ.: თსუ გამომცემლობა, 1937.

ლლონტი 1948: ლლონტი ა. *ქართლური ზღაპრები და ლეგენდები*. თბ.: „საბჭოთა მწერალი“, 1948.

KETEVAN ELASHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Lash of Tariel – the Symbol of Power

The phenomenon of power and authority realm is originally manifested in “The Knight in the Panthers’ Skin”, where power symbols are originally depicted. They are lost in dramatic perplexities. Hand-forged lash owned by the legal heir of Indian throne Tariel appeared to be one of the main symbols of power turned up to be forgotten behind the primary emotions - the lash was used in very unusual and strange circumstances: Tariel used the lash only when he was slaughtering the slaves of Rostevan while taking over “Kaeti” fort.

The lash as the symbol of ancient power presents Tariel as a King....

Key words: lash, symbol of power and authority, symbol, Rustvelology.

ქეთევან ელავილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ტარიელის მათრახი — ვითარცა ძალაუფლების სიმბოლო

ძალაუფლების სიმბოლოთა საკრალურ ძალა-უფლებრივ არსს მიღმა ყოველთვის დაგმანულია ყოვლისმპყობელობის საბედისწერო ასპექტიც (იქნება ეს მზიურ წნულთა სადარი გვირგვინი თუ ხატი „ცის სვეტთა“ სამეფო ტახტის სახით, ანდა თუნდაც ბიბლიურ კვერთხთაგან ამოზრდილი სკიპტრა და, რაღა თქმა უნდა, ძველ ეგვიპტეში ფარაონთა მიერ „ამაღლებული“ მათრახი...), რომელიც კონკრეტულ სახელისუფლო სივრცეში სრულიად განსხვავებულ დატვირთვას იძენს. ეს ფენომენი მეტად ორიგინალურ ასახვას ჰპოვებს სწორედ „ვეფხისტყაოსანში“, სადაც სახელისუფლებო სიმბოლოების მეტად თავისუფალი, თუმცაღა ფრიად ორიგინალური მოწოდების ტენდენციები იკვეთება. ისინი თითქოსდა ჩაკარგულია დრამატული პერიპეტეიების წიაღში.

ძალაუფლების არსობრივი შეცნობისათვის ის უზენაესი წონასწორობაა უმთავრესი, რაც თავად ამ სახელდებაშივეა საგულდაგულოდ გაცხადებული. საბასეული განმარტებით — „უფლება არს უდარესთა ზედა ოდენ ქონებაჲ უმეტესობაჲ, არამედ ზოგად ყოველთა კეთილთა და სახიერთა ყოვლითურთ ყოვლად მომგებლობაჲ და ჭეშმარიტი და ყოვლად განუვრდომელი მტკიცედ პყრობაჲ, ვინაჲცა უფლად ითქმის მფლობელობისათვის“ (ორბელიანი 1993: 173); ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონის მიხედვით კი (ძველი ქართული ლექსიკონი 2008: 350) „უფლება, უფლობა“ — „მეუფება“, „შეძლება“, „ბატონობა“, „ტევება“, უფლების მიცემა, მფლობელობა, სამფლობელო, სამთავრო; იმავე ლექსიკონებში ძალა მხოლოდ „ძლიერების ნაწილადაა“ (ორბელიანი 1993: 350) აღქმული ანდა,

როგორც, „ძალი — სიძლიერე, უძლიერესი, ძლიერი“ (ძველი ქართული ლექსიკონი 2008: 412); ძლიერი, ძრიელი — მძლავრი, მაგარი, „შემძლე“, „ძნელი“, „მომრთხმელი“, „უძლიერესი“, მხნე; დიდებული; მთავარი; „მტკიცე“. იხ. ძალი (ი.ა.) (ძველი ქართული ლექსიკონი 2008: 413). ამ განმარტებათა თვალმიდევნება საცნაურს ხდის ძალის ფლობის „გამოკვეთას უგენიალეს ქართულ სახელდებაში „ხელმწიფე“. აი კიდევ ერთი პოემა ქართული ხილვისა, ერთი სიტყვით თუ ერთ სიტყვაში გამოთქმული. რატომ მაინც და მაინც მწიფე? ხელი, რადგან ხელი ხდება ზღვარს კულტურის მხრივ ადამიანსა და ცხოველს შორის, ვინ უნდა გზნებდეს ამ ზღვარს უკიდურეს, თუ არა მმართველი, მეთაური ტომისა თუ ხალხის?.. ქართული სახელდებით, „ხელმწიფე“, მოცემულია პლასტიკურად მთელი კონცეფცია „Priester – Königin-ისა, მღვდელ-მეფის“ (რობაქიძე 2010: 39). ძალაუფლებისა რობაქიძისეული თანამიმართება ანუ „საკრალური წყობა“ იმ შინაგან, — საბედისწერო ზღვარს დებს, რომელიც თავად ღვთივრჩეულმა ხელმწიფემ სულისა თუ გონების თვალთ უნდა გახადოს თავის ერისთვის ხილული — საჩინო. „რელიგიური და სახელმწიფოებრივი ცნობიერების დახვეწასთან ერთად, იხვეწება ძალაუფლებრივი სიმბოლიკაც: გარკვეულ ეტაპზე, პრაქტიკულად ყველა ცივილიზაციაში, ძალაუფლება გაიგივებულია მისტიკურ „ცენტრთან“, რომელიც „ზეანეულია“, თვალსაჩინოა და წინამორბედ რწმენათაგან, როგორც წესი, მემკვიდრეობით აქვს აღებული უძირითადესი და შთამბეჭდავი სიმბოლოები: მზის დისკო და შარავანდედი სამეფო გვირგვინად და დედოფლის დიადემად გარდაისახება; ტომის ბელადთა ტრადიციული დასაბრძანებელი, კუნძი — სამეფო ტახტად; იმავე ბელადის კორძიანი კომბალი — სკიპტრად; ხოლო ბეჭებზე მოსხმული ლეოპარდის ტყავი — ყარყუმის ბეწვით განწყობილ სამეფო მანტიად... (აბზიანიძე, ელაშვილი 2007: 125). ძალაუფლების ქრესტომათიულ სიმბოლოთა (სამეფო ტახტი, გვირგვინი, სკიპტრა...) მწკრივში ერთ დროს მათრახიც თანაცხოვრობდა.

პირველადი ემოციების მიღმა მივიწყებულ ამ სიმბოლოს „ვეფხისტყაოსანში“ მხოლოდ ინდოეთის სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრე ტარიელი ფლობს და ფრიად უჩვეულო და უცხო ვითარების ჟამს იყენებს.

მათრახის მხატვრული დიაპაზონი „ვეფხისტყაოსნის“ სახელისუფლო სქემის სრულიად თავისუფალ გააზრებას იძლევა და ტარიელის „უცხო მოყმედ“ სახელდებისას ანუ მისი „ვეფხისტყავით“ (საგულისხმოა, ვეფხისა და ლეოპარდის სიმბოლური თანაჩანაცვლება — ავტორისეული „გაუცხოების“ ფენომენით...) შემოსვასთან ერთად — „ხელით ნაჭედი მკლავის უსხო“ მათრახიც ფიგურირებს.

„ვეფხისტყაოსანში“ მხოლოდ ტარიელია „მათრახოსანი“; არაბეთის სამეფოში, როსტევეანის თორმეტი საუკეთესო მონის გასაგმირად ტარიელი სწორედ მათრახს იყენებს. *„ჭკრა ერთმანეთსა, დახოცნა თავსა ხელ-აუპყრობელად, / ზოგსა გადაჭკრის მათრახი ქვე მკრდამდის გასაპობელად“* (93,3,4).

მსგავსი ხელწერით უსწორდება უცხო მოყმე გზად შემთხვევით გადაყრილ მოძალადე ხატაელ ძმებსაც; *„მან ხრმალსა ხელი არ მიჰყო, ჩვენ ამაღ დავერიდენით, / თავსა გარდახკრა მათრახი, ვნახეთ სისხლისა კიდენით“* (205,3-4). *„მით ერთითა მათრახითა თავსა ასრე გარდაჭფრინნა“* (206,1).

ცხადია, აქ „მათრახოსნობა“, ისევე როგორც „ვეფხისტყაოსნობა“ ის ხილული კვალია, რომლითაც უნდა ამოიცნოს უცხო მოყმე ავთანდილმა.

ზემომოხმობილი ეპიზოდები, — ანუ მტრის მათრახით ხელყოფა, თამაზ ვასაძის აზრით, „ტარიელის განსაკუთრებული სიძლიერისა და სიამაყის გამოხატულებაა, იმის გამოვლინებაა, რომ იგი ღირსეულ მეტოქეებად არ მიიჩნევს იმათ ვისაც ხოცავს“ (ვასაძე 2010: 36). არადა, მოყმის (რაინდის) შუასაუკუნეობრივი საბრძოლო ეთიკა არ ახდენს საომარ საჭურვილთა ამგვარ სპეციფიკურ დიფერენციაციას...

და რაინდთა ძალისმიერი ქმედებანი არასოდეს აღიქმებოდა, როგორც სისასტიკე თუ დაუნდობლობა, არამედ ითვლებოდა ვაჟკაცური ზნის ერთგვარ გამოვლინებად და, უფრო მეტიც, იკვეთებოდა ძალის უზენაესობაც (კრეტიენ დე ტრუას სარაინდო რომანის მსოფლმხედველობრივი თეზა: „სადაც ძალაა, იქ კანონია“). ასევეა უცხო მოყმედ გარდასახულ ინდოეთის მეფის შემთხვევაშიც. თუმცა, „ვეფხისტყაოსნის“ სხვა პერსონაჟები მათრახს (როგორც ერთგვარ საბრძოლო იარაღს...) უგულვებლყოფენ; რითაც კიდევ უფრო სარწმუნო ხდება შემდეგი მოსაზრება; რომ ტარიელი სამეფო რეალიებს ჩამოშორებული, მხოლოდღა „მკლავის უსხო“ მათრახსღა“ ფლობს, როგორც სხვა რაინდთაგან სამეფო წარმომავლობით გამორჩეული.

ტარიელის „მათრახოსნობა“, ისევე როგორც (ველად გაჭრის ჟამს) მისი უჩვეულოდ შემოსვა („ვეფხისტყაოსნობა“) — ეს ერთგვარი პრივილეგიაა, რომელსაც სამეფო წარმომავლობის გამო მას ანიჭებს შოთა რუსთაველი. ის ხომ მეფედაა დაბადებული, მაგრამ მეფე ფარსადანისგან მხოლოდ ამირბარად იქნა გამწესებული. არადა, სულ სხვა განზრახვით იშვილა ინდოეთის უძეო მეფემ ტარიელი და ბუნებრივია, სარიდანმაც ამ მიზნითვე დათმო ინდოეთის მეშვიდე სამეფო ფარსადანის სასარგებლოდ; **„მეფემან თქვა: „შვილად გავზრდი, თვით ჩემივე გვარი არსა“** (315,4).

ამიტომაც ყოველგვარი რეგალიების გარეშე დარჩენილი (სრულიად უცხო და უჩვეულო ვითარებაში აღმოჩენილი) ტარიელი ძალაუფლების ერთადერთ სიმბოლოსღა ფლობს — მათრახს.

„მათრახი, როგორც ძალაუფლების ემბლემა, ისევ და ისევ, თავის ისტორიულ სამშობლოში, ეგვიპტეში მკვიდრდება ფარაონების მიერ. ამპარტავანი რომაელებიც დემონსტრაციულად ამაგრებდნენ მათრახს ტრიუმფალურ ეტლზე. იმავ რომში, მათრახის ეს სიმბოლიკა ძალზე დაუახლოვდა ძალაუფლების ემბლემას — ფასციებს“ (აბზიანიძე, ელაშვილი 2007: 128).

მათრახის ამ უძველესი ძალაუფლების სიმბოლოს ტარიელის, როგორც მეფის ილუსტრირებისას, ავტორი ერთ გარემოებასაც ითვალისწინებს; ტარიელს მათრახი უპყრია, სანამ არ მოხდება მისი ინდოეთის სამეფო ტახტზე აღსვლა, რადგან ქრისტიანობაში მათრახი, რომლითაც იესომ ტაძრიდან განდევნა მოვაჭრები — მის სულიერ მეუფებასაც განასახიერებს, მაგრამ ამასთანავე — **„გოლგოთის გზასაც“** (აბზიანიძე, ელაშვილი 2007: 128).

და კიდევ ერთხელ, უკვე „ვეფხისტყაოსნის“ ფინალურ ეპიზოდში, — ქაჯეთის ციხის დამხობისას — „მათრახმან შექმნა წრიალი“ (1403,1); რადგან სწორედ ინდოეთის კანონიერი მეფის — ტარიელის მხედრული პათოსითა და კარგად მოფიქრებული საბრძოლო გეგმის წყალობით დაემხო ბოროტების ეს ციტადელი. ამ შემთხვევაშიც ტარიელის ერთადერთ ძალაუფლების რეგალიად ჯერ ისევ მათრახი რჩება...

მათრახის მხატვრულ დიაპაზონს ერთგვარად ავსებს მისი მითოლოგიური თუ ფოლკლორული ილუსტრაციები: „მზის ღმერთი (ჰელიოსი) ძველ საბერძნეთში ზოგ გამოსახულებაში ფეხზე დგას ეტლში, ერთ ხელში მათ-

რახი უჭირავს, მეორეში კი დედამინის ბურთი?“ (მითოლოგიური ლექსიკონი 1972: 321), რაც მზის ღვთაების განუზომელი მეუფების გამოხატულებას წარმოადგენს, როგორც ამ, ისე იმ ქვეყნიურ სამყაროში.

ქართული მითოლოგიის მისტიკური სპექტრი კი ამგვარია; „ღვთისშვილებს აქვთ სხვადასხვა სახის მათრახი: „მათრახი სენ სამ სალაით გაფევრებული“, „ცხრაკუთხიანი“, „მათრახი ფესვიანი ნავთიან ქოთანში“, სადაც ზოგჯერ მათრახს ლახტი ცვლის... მათრახი „ლახტი“ — შიშის ზარს სცემდა ბოროტ ავსულებს და გარანტი იყო მშვიდობის დამყარებისა, ამასთანავე, მაკვდინებელ ნამლადაც ითვლებოდა, სრული მორჩილების გამომხატველია მათრახის ბილდირგვა“ (ბალანჩივაძე 2008: 44).

მითოლოგიური ნიაღვრეები გაცილებით მასშტაბურს ხდის მათრახის სიმბოლურ ტრაექტორიას „ვეფხისტყაოსანში“. ამ პოემაში ტარიელის „მათრახოსნობა“, * — მისი მეფედ შეცნობისა თუ მისტიკურ არსებად აღქმის ერთ-ერთ წინაპირობად გვევლინება და ერთგვარი „სახისმეტველითი ლაბირინთი“ იქმნება; რადგანაც ამგვარად მხოლოდ უცხო მოყმეა აღჭურვილი და, შესაბამისად, — ვნებათაღელვის ეპიცენტრშია მოქცეული.

ამიტომაც, რომ მათრახის, ვითარცა ძალაუფლების სიმბოლოს, „მხატვრული ფლორის ველი“ ფრიად უჩვეულოა „ვეფხისტყაოსანში“ და ძველის სიღრმისეულ შრეში შეღწევის ერთ-ერთ გასაღებსაც კი წარმოადგენს.

დამონებიანი:

აბზიანიძე, ელაშვილი 2007: აბზიანიძე ზ., ელაშვილი ქ. *სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია*. II. თბ.: „ბაკმი“, 2007.

ბალანჩივაძე 2008: ბალანჩივაძე ნ. „*მათრახი სენ სამ სალაით გაფევრებული*“. — ფოლკლორისტთა სამეცნიერო კონფერენცია. მასალები, 46. თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2008.

ვასაძე 2011: ვასაძე თ. „*ვეფხისტყაოსანი*“, კომენტირებული და ანალიტიკური გზამკვლევი ლიტერატურის შემსწავლელთა და მოყვარულთათვის. თბ.: „ლოგოსი“, 2011.

მითოლოგიური ლექსიკონი 1972: *მითოლოგიური ლექსიკონი*. შეადგინა ნ. გაფრინდაშვილმა. თბ.: „განათლება“, 1972.

ორბელიანი 1993: ორბელიანი ს.ს. *ლექსიკონი ქართული*. II. თბ.: 1993.

რობაქიძე 2010: რობაქიძე გრ. ქართული სიტყვიერება („საკრალური წყობა“). „საოჯახო ბიბლიოთეკა“, 2012.

რუსთაველი 1966: რუსთაველი შ. „*ვეფხისტყაოსანი*. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1966.

ძველი ქართული ენის ლექსიკონი 2008: *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*. თბ.: საპატრიარქოს გამომცემლობა, 2008.

ცანავა 2011: ცანავა რ. „*ოდისეას*“ სახეები და ნიღბები. თბ.: „ლოგოსი“, 2011.

* შენიშვნა ტარიელის მათრახი ერთგვარ აღუზიას ბადებს ოდისევსის მშვილდთან (ცანავა 2011: 109).

SHARLOTA KVANTALIANI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Symbolic Interpretation of Mountain-Ridge in the *Vepkhistqaosani*

Nothing is said accidentally in the *Vepkhistqaosani*. Every word is a bearer of a rich symbolic meaning. One of such symbols is the word **ridge (mountain)**. Mountain (ridge) symbolizes a place a man goes up after passing through the extremely difficult path. Climbing up the top of the mountain is a kind of reward, divine gift; Shota Rustaveli's protagonists, in spite of their "wholeness", carry their share of a sin and that is why they need to be purified. Purification comes after reaching the summit. Thus, **ridge (mountain)** in the *Vepkhistqaosani* is a kind of Rubicon, catharsis when the knights cross **ridge (mountain)**, some important new story happens.

Key words: ridge, protagonists, purification.

შარლოტა კვანტალიანი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„ქედსა რასმე გარდავადექ...“ — მთა-ქედის სიმბოლური გააზრება „ვეფხისტყაოსანში“

„ვეფხისტყაოსანში“ არაფერია შემთხვევით ნათქვამი. ერთი შეხედვით უწყინარი და ჩვეულებრივი სიტყვაც ღრმა შინაარსისა და მნიშვნელოვანი სიმბოლოს მატარებელია, რაც გენიალური პოემის მხატვრულ-აზრობრივ დანიშნულებას კიდევ უფრო ამაღლებს.

ამგვარ სიმბოლოთა რიგს მიეკუთვნება ქედი (მთა). ეს სიმბოლო კარგად არის დამუშავებული ვაჟა-ფშაველას შემოქმედებასთან დაკავშირებით და აღნიშნულია, რომ „მთისმეტყველების არსი, ისევე როგორც ცის ყოვლისმომცველი სილაჟვარდე, ვაჟა-ფშაველასთან სულიერი ამაღლების (შესაბამისად — განწმენდის) მეტაფორაა...“ (ელაშვილი 2011). ასევეა რუსთაველთანაც.

მთა (ქედი) ის ადგილია, რომელზეც ადამიანი ადის განსაცდელითა და ფათერაკებით აღსავსე ურთულესი გზის გავლის შემდეგ. ბედის მაძიებელი ზოგჯერ სასონარკვეთილებამდეც კი მიდის, მაგალითად, ავთანდილმა, რომელმაც თითქმის სამი წელი უშედეგოდ ეძება უცხო მოყმე, კინალამ თავი მოიკლა „ზოგჯერ მიმართის დანასა“. სწორედ ამ დროს გამოჩნდება მთა და „მასთან ერთად, ხსნის გზა, რადგან მთა არის ის ადგილი „სადაც ღმერთები ბინადრობენ, ღმერთობენ და დროდადრო ადამიანებს ამცნობენ თავიანთ ნებას“ (აბზიანიძე, ელაშვილი: 2006). მწვერვალზე ასვლა ერთგვარი ჯილდოა, ღვთიური საჩუქარია; შოთა რუსთაველის გმირები, თავიანთი „სისრულიდან“ გამომდინარე, რაშიც იგულსხმება ღვთაებრივ და ადამიანურ თვისებათა შერწყმა, ცოდვითაც არიან დამძიმებულნი, ამიტომ საჭიროებენ განწმენდას, რომ ბედნიერებასთან თანაზიარობის უფლება მო-

იპოვონ. განწმენდა კი მთის დაპყრობის შედეგად ხდება და მწვერვალზე ყველას არ აძლევს უფლებას მასთან მისვლისა.

„მთის საკრალურობას ორგვარი გამოხატულება ჰქონდა: ერთ შემთხვევაში, მასზე ფეხი არ უნდა შეეღგა უბრალო მოკვდავს“, გვამცნობს „სიმბოლოთა ენციკლიპედია“. „ვეფხისტყაოსნის“ გმირები ნამდვილად არ არიან „უბრალო მოკვდავები“, ისინი თავიანთი წარმომავლობით, მიზნის სიდიადით, უანგარო თავგანწირვითა და შეუზღუდავი მოქმედების არეალით „ღვთისშვილთა“ პანთეონში იკავებენ ადგილს, იხ. სტატია „ღვთის ფუნქცია „ვეფხისტყაოსანში“ (კვანტალიანი...: 2006).

უმბერტო ეკო, სამეცნიერო ესსეში მინანერი „ვარდის სახელის არ-შიაზე“, წერს რომ „ვარდის სახელის“ ნაკითხვა გაუჭირდება მას, ვინც მთაზე ასვლა არ იცის. მწერალი გამოცდას უწყობს მკითხველს და უმხელს: ორას-გვერდიანი შესავალი, ის ტანჯვა და წამებაა, ის ფიზიკური და სულიერი მომზადებაა, რომლის შედეგადაც შეძლებთ ბოლომდე წაიკითხოთ ნაწარმოები და ჯილდოდ მიიღოთ უდიდესი სიამოვნება, განიცადოთ სიხარული, როგორც ელოდება უმაღლესი მწვერვალის დამპყრობ მთამსვლელს (ეკო 1978).

პირველი მთა „ვეფხისტყაოსანში“ ავთანდილმა გადალახა. სატრფოს დავალების შესასრულებლად წასულმა სპასპეტმა თითქმის სამი წელი იარა უშედეგოდ და ის იყო, ხელცარიელი უკან გაბრუნებას აპირებდა რომ, უცებ, „მას მიხვდა წვერი სადგურად მალლისა მთისა დიდისა“. მთიდან ახალი სამყარო გამოჩნდა: ტყე, მდინარე, მინდორი „უძველეს კულტურათა უმეტესობაშიც მთა „ბიბლიურ მთათა“ მსგავსად... ღვთიური ნების გამოხატულების ადგილია“, სწორედ ამ მთის ძირში დამთავრდა მისი ტანჯვა. ოთხი წლის მანძილზე, პირველად შეიტყო უცხო მოყმის ამბავი: მათრახით გალახულმა („მათრახითა შეამწიფნა“) ხატაელმა ძმებმა ავთანდილს უცხო მოყმესთან შეხვედრის ისტორია უამბეს, რომელიც არაბ მონებთან შეხვედრის მსგავსი აღმოჩნდა. ძმებმა კიდევ დაანახეს შავ ცხენზე ამხედრებული და მათრახით შეიარაღებული ტყისაკენ მშვიდად მიმავალი მოყმე, რომელსაც ავთანდილი მაშინვე დაედევნა. პირველი დაბრკოლება დაძლეულია.

ამის შემდეგ „ღვენილ-მადევარმა“ ორი დღე-ღამე შეუსვენებლად იარა და „სალამო-ჟამ გამოუჩნდეს დიდნი კლდენი“. ეს კლდეც ძნელად „დასაპყრობი“ გაუხდა ავთანდილს, მაგრამ გარკვეული განსაცდელის გამოვლის შემდეგ აქ გაიცნობს ჯერ ასმათს, შემდეგ კი უცხო მოყმეს — ტარიელს. რამდენიმე წლის წინ ეს კლდე ტარიელმა დაიპყრო: აქ მობინადრე დევები დახოცა და მათ გამოქვაბულში დასახლდა.

ტარიელის ამბის მოსმენის შემდეგ ავთანდილი ახალი, მეტად ძძიმე დავალების შესრულებას კისრულობს, რადგან „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად“. მან უნდა იპოვოს ტარიელის დაკარგული სატრფო. ავთანდილი ალაღბედზე მიდის და ისევ მთა აღიმართება მის წინ, უფლის ნება კვლავ მთაზე გამჟღავნდა: „ქედსა გარდადგეს, აქლემნი აუჩნდეს ლარ-კიდებულნი“. ზღვის პირას მეკობრეებისგან შეშინებული ვაჭრები იდგნენ და წასვლას ვერ ბედავდნენ. სწორედ მათთან მისვლის შემდეგ იწყება ავთანდილის ახალი თავგადასავალი. ზღვის გაღმა გასულმა ავთანდილმა ნესტანის კვალს მიაგნო.

ქედთან ფრიდონის სახელიც არის დაკავშირებული. ტარიელი ზღვა-ზღვა უშედეგო ხეტიალის შემდეგ ფრიდონს გაიცნობს. მას დაეხმარება

მტრის დამარცხებაში. ტარიელი უყვება ავთანდილს: ერთ დღეს, როცა მე და ფრიდონი „ზღვასა ზედა წანურვილსა ქედსა რასმე გარდავხედით“, ფრიდონმა მიაშობ, რომ, ერთი რამე „საკვირველი მე ვნახეო ამა ქედით“. ამ ქედიდან იხილა მულლაზანზარის მეფემ მზეთუნახავი, რომელიც შავმა არსებებმა ზღვიდან კიდობნით გამოიყვანეს. ამ ქედზე ორჯერ გამჟღავნდა უფლის ნება: ფრიდონმა მიიღო მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც ტარიელს გადაეცა. ეს იყო პირველი მანუგეშებელი ცნობა ტარიელისთვის, რომ ნესტანი ცოცხალია.

ტარელმა პირველი გმირობა ნესტანის დავალებით ჩაიდინა. დაიმორჩილა ურჩი ხატაელი მეფე-რამაზი. რამაზმა ტარიელს მახე დაუგო და მიიტყუა ბრძოლის ადგილამდე, მას უთანასწორო ბრძოლაში მოუწია ჩაბმა და გაიმარჯვა. ეს გამარჯვებაც მას შემდეგ იყო, რაც „ქედსა რასმე გარდაადგა“ ახალგაზრდა ამირბარი.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირებმა მრავალი მთა და ქედი გადალახეს, სანამ სანუკვარ ოცნებას მიაღწევდნენ. მკვლევარი ქეთევან ელაშვილი წერს: „მიუხედავად იმისა, რომ შოთა რუსთაველმა რელიგიური ცნობიერების მხატვრული ინტერპრეტირების უნივერსალური ნიმუში შექმნა „ვეფხისტყაოსნის“ სახით (ამ პოემაში ხომ სამეფო ტახტი მთის სიმბოლური ანალოგიაა და ამიტომაც, ტარიელის სულიერი ინიციაცია ხდება არა მწვერვალის დაპყრობით, არამედ ინდოეთის სამეფო ტახტზე აღსვლის ჟამს...) (ელაშვილი 2011: 190).

აქ მინდა შევნიშნო, რომ ტარელმა ტახტზე ასვლამდე მრავალი მთაკლდე დაიპყრო, გაანადგურა „დევთა დასები“, ჯილდოდ განძით სავსე 40 „დაბეჭდილი“ დარბაზი მიიღო, ტარელმა დაიპყრო ქაჯეთის ციხე, საიდანაც ნესტანი ატყობინებს, რომ მიუვალ კლდეზე მდებარე ციხეშია გამომწყვდეული — „ციხეს ვზი ეზომ მაღალსა, თვალნი ძლივს გარდასწვდებიან“. „მთა დასაძლევი წინააღმდეგობის სახე-სიმბოლოა: მითოლოგიასა და ფოლკლორში ზღაპრულმა გმირმა ხან ცხრა მთა უნდა გადალახოს, ხან მიუვალ მთის მწვერვალზე აგებული კოშკიდან დაიხსნას მზეთუნახავი“, ნესტანის დახსნაც მიუვალ კლდეზე აგებული ციხიდან ამ პრინციპის შესაბამისად ხდება.

ბოლოს, ინდოეთში ნესტანთან და ძმადნაფიცებთან ერთად მიმავალმა ტარელმა იხილა, რომ „ქედსა ზედა გარდმოადგა მეტად დიდი ქარავანი“, მათგან შეიტყობენ ინდოეთში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ და სასწრაფოდ გაემართებიან სამშობლოს დასახსნელად. „ინდოეთს ზედა წაადგა, მუნ მთა და დიდი ქედია“. ამ ქედიდან გამოჩნდა მოლალატე რამაზ მეფის „უსახო“ ლაშქარი. სწორედ მისი დამარცხების შემდეგ ადის ტარიელი ინდოეთის ტახტზე.

институт брака был создан для трех основ: потомства, избегания блуда и стяжения благодати (Веккьо 2009: 123). Как жена отвечала за душу мужа, также и муж был в ответе за жену в моральном плане. Муж должен воспитывать жену, научить экономике, религиозным обычаям. А наказание считалось выражением любви. Для начала исправления муж должен проследить за тем, чтобы жена читала Священное Писание, на второй стадии он может критиковать, а если все это не подействует – прибегнуть к палке, «бить как служанку», которая не чувствует позор так, как свободная женщина (Веккьо 2009:125).

А в вопросах рождения потомства и вовсе происходили невообразимые процессы. Главной обязанностью женщины считались её репродуктивные способности. Все вытекающие отсюда потребности считались более чем естественными. А вот любовь материнская не считалась добродетельною, так как носила в себе более приземленный (по мнению учёных-теологов) характер.

«Такие учёные, как Альберт Великий, Фома Аквинский и Иоанн Буридан подчеркивали, что материнская любовь сильнее, очевиднее и постояннее, чем отцовская. Они отметили так же, что поскольку это было менее рационально, то это было менее благородно» (Веккьо 2009: 127).

Читая доводы ученых, которые утверждали благородство и значение отцовской любви, удивлялись все больше и больше. Например: Иаков Ворагинский считал, что дети отцов любят больше чем мать, за то, что они являются источником богатства и чести. А Святой Фома утверждал, что дети должны любить отца больше, так как они являются порождающимся началом. Получается, что небогатого отца можно не любить. Или же порождающее начало без женщины–матери возможно?! Такого же абсурдного мнения были ученые Средневековья о роли матери в воспитании детей. Если говорить о вопросах моральной опеки дочерей, то здесь основная роль сводилась к матери, которые должны были уследить за своими дочерьми. Но с сыновьями дела обстояли иначе. Здесь вся власть была в руках мужчин. В этом сходились все - даже те, которые говорили о правах женщин (Кристина де Туан). Единственное место, где женщины были полновластными хозяйками, это был их дом. Дом, в котором они являлись центром управления. Парадоксально, что даже здесь, играя первую роль, женщины не имели права заключать договора, управлять финансами и принимать решения.

«Ирония в том, что дом стал местом, которое женщина должна была оберегать. Сама по себе не способная к управлению, нуждающаяся в опеке и моральном надзоре мужа, она стала ответственная за поведение всей семьи» (Веккьо 2009: 131). Следует отметить, что религиозное и светское разделение обязанностей женщины для некоторых был объединён, а для некоторых оставались отдельными понятиями. Хорошая жена была хорошей христианкой и перед Богом.

Однако согласие обязанностей между женой и христианкой нарушалось в XV веке, когда религиозные деятели поставили дилемму между молитвами и супружеским долгом жены. Принципиальные разногласия проступили с момента появления у жены духовного наставника – религиозного деятеля. До этого эту роль выполнял муж, который был полновластным хозяином тела, но не души. Этот момент является моментом духовного освобождения женщины от мужа. *«Муж был господином тела своей жены, несмотря на равенство супружеских прав, мог требовать большего от её тела, чем она от его. Gloria mulierum Джованни Чертосино*

заканчивается тем же самым ясным разграничением: *душа женщины принадлежит Богу, а её тело – мужу*» (Веккьо 2009: 135).

Именно в этот переломный момент перемещение роли духовного наставника с плеч мужа на жену выдвинул жену на первый план, как носительницу религиозных начал в семье и в браке. С этого момента начинается конфликт между исполнением супружеского долга и соблюдением религиозной чистоты. Даже в вопросе воспитания детей в Средневековье женщины не имели права голоса. Как отмечает Сильвана Веккьо, в то время как семья играла все более и более важную роль в культуре и идеологии XV столетия, женщинам, которых всегда наблюдали в контексте семьи, оказывалось все меньше уважения. Религия была единственной областью, в которой, по крайней мере, теоретически, для них готовилась новая площадка. Только душа, женщины отчет за которого она должна была предоставить Богу. Даже в такой естественной среде как мода, женщинам ставились ограничения вплоть до объявления греховности в деталях одежды. Кристина де Пизан в своем «Городе женщин» отмечала: *«В её Городе, где Разум, Правосудие и Прямота объединялись, чтобы защитить женщин от стрел нападающих мужчин носить модное платье становится законным желанием, его носят не затем, чтобы обольщать других, но только для собственного удовольствия»* (Хьюг 2009: 157). Например, женщинам запрещалось носить определенные цвета, пуговицы, ткани. И, естественно, именно через моду женщины стали выражать себя и свой статус. Но были ли женщины настолько безголосными и исправными?! Каждый исследователь по-разному воспринимает соотношение *женщина – власть – права*. Некоторые видят это в численном превосходстве мужчин вследствие умерщвления девочек-младенцев. Другие объясняют незадействованность женщин в общественной жизни, а некоторые рассматривают сквозь экономическую призму. Сюзанна Фоне-Вампль в своей работе, исследуя законы и обычаи, указывает, что женщины VI – VII вв. рассматривались как субъекты репродуктивного начала. В этот период было 3 вида брака: брак через выкуп, брак через умыкание и брак по согласию. Получается, идет деформация понятий женщина – помощница и опора, дочь – капитал для отца. Во время Римской Империи власть над женщиной не переходила к мужу, достигнув совершеннолетия, она могла распорядиться своим имуществом и сделать самостоятельный выбор мужа. Религия не смогла остановить дискриминацию женщин, но освободить или, точнее, смягчить моральные оковы, она смогла. Душа обрела свободу. Следует отметить, что церковь влияла на формирование правил и законов о вступлении в брак. Церковь поддерживала моногамный брак и позволяла развод в случае супружеской неверности. Хотя неверность жены каралась жестоко – смертью. И сейчас неверность жены заканчивается смертью, что не применяется по отношению к мужской измене. Редкие служители церкви воспринимали женщину как равноправную мужчине, хотя равноправие было «перед лицом диких животных и палачей на аренах» (Фоне-Вампль 2009: 174). Но парадоксальными является тот факт, что хоть и служители церкви не воспринимали женщин полноправным субъектом, но они понимали роль и значение женской деятельности в делах распространения христианства. В VII – VIII вв. римские и германские обычаи трансформировались в законы, по которым женщина на-

ходила сначала под опекой отца, а потом мужа. Вдова не становилась главой семьи. Для незамужних установили возраст зрелости 20 – 25, после чего они обретали свободу. Сюзанна Фоне-Вампль указывает в своей работе и детали развода. Он был возможен в случае неверности и колдовства, а также если женщина не могла иметь детей. В случае безупречности жены муж, отказавшись от её собственности, мог отослать жену, заплатив компенсацию. Но если муж был плохим, жена развестись не могла. Это было возможно только если он был повинен в совершении преступлений: убийстве, некромантии и др. Различия были и по поводу наследования. К концу V века по германским законам невесты должны были получать подарок. А в вопросах наследования дети, независимо от пола, были равны. Брачный возраст определялся для девочек - 12 лет, для мальчиков – 14 лет, в возрасте 7 лет они могли обручиться, но на свадьбе должно было быть заявлено обоюдное согласие. Но было понятно, что женщины не могли подписывать брачные контракты и таким образом оказывались в тупиковой ситуации. Церковь, хоть и настаивала на согласии девочки, но уклад жизни не позволял ей поступать согласно своему желанию. Чтобы доказать свое несогласие, женщины не имели прочного тыла в виде юридических законов. Это создавало цепочку взаимообусловленных обстоятельств, в результате чего на разных этапах жизни женщины оказывались под опекой мужчин. И эта ситуация не менялась согласно социальному состоянию женщин. Однако в зависимости от места жительства жизненный уклад женщин менялся. Если в деревне, как утверждает Полетта Л' Эрмит – Леклерк, женщина несла ответственность за многие домашние дела, то она была и подключена ко многим процессам. В городах же женщины не допускаются к основным процессам, тем самым они не имеют независимости. А знатные дамы и вовсе становились орудием в решении экономических и политических вопросов. *«Когда женщины действительно играли роль в политической жизни, это было почти всегда временным и случайным обстоятельством. Женщина могла быть призвана занять место мужчины, но то, что она была женщиной, никогда не оставалось без последствий»* (Л' Эрмит-Леклерк 2009: 237).

Церковь хоть и поощряла семью и брак, все же она также была перед дилеммой. Как быть с идеей полного целомудрия в моральном и физиологическом смысле понятий?! Ведь воспитанные в духе чистоты, при вступлении в брак они должны были вступить на путь «плотского греха»?

В XII веке Церковь решила собрать в монастырях под своим началом женщин, выбравших путь целомудрия, и этим обуславливается начало монастырского движения. Однако даже в монастырях были ограничения. Например, женщин не пускали в монашеские ордены, не допускали к участию в священных действиях. *«Духовенство никогда в действительности не мирилось с потерей очень многих девственниц и никогда не разрабатывало этики брака и материнства. Большинство добропорядочных женщин неизбежно разрывались между тем, что они были должны Богу и что – кесарю. Супружеская обязанность была не похожа на любую другую: действие должно было совершаться настолько редко и бесстрастно, насколько возможно»* (Л' Эрмит-Леклерк 2009: 247). А в литературе взаимоотношения мужчины и женщины находили своё отражение в стихах, которые описывали лишь любовные

отношения. Это ещё называли «куртуазной любовью». Для жен и для куртизанок существовала разные реформы обращения. Была также рыцарская любовь, где основной целью было служение дамам. Общество средневековья разделялось на две половины. Были те, которые должны были молиться – клирики, и те, которые должны были воевать – рыцари. Если одни были открыты для любви безгранично, другие ограничивали любовь до простого процесса воспроизводства. Для общества средневековья брак имел огромное экономическое, социальное и моральное значение, в то же время для класса имел огромное политическое значение - учитывалось все, кроме самой любви. И клирики, и рыцари рассматривали женщин с совершенно разных позиций, но в одном они были единодушны: ограничение деятельности женщин в определенных областях. Одни в любви к человеку, а другие к Богу. Но ни в первом, ни во втором случае возможности самостоятельного выбора у женщин не было.

Таким образом, позитивным в эпоху Средневековья был тот факт, что женщина несла ответственность за свою душу перед богом. Но она все еще оставалась под покровительством мужчин и под бдительным оком Церкви. Но есть одно очень важное обстоятельство - именно в Средневековье женщины заговорили о себе и о своих правах.

ЛИТЕРАТУРА:

Веккьо 2009: Веккьо С. *Хорошая жена: История женщин. Молчание Средних веков.* Санкт-Петербург: Алетейя, 2009. Под ред. Ж.Дюбии и Мишель Перро.

Гендер... 2007: *Гендер и общество в истории.* Под ред. Репина Л.П., А.В.Стогова, А.Г.Суприянович. Санкт-Петербург: Алетейя, 2007.

Даларен 2009: Даларен Ж. *Глазами церкви: История женщин. Молчание Средних веков.* Санкт-Петербург: Алетейя, 2009. Под ред. Ж.Дюбии и Мишель Перро.

Жеребкина 2007: Жеребкина И. *Субъективность и гендер.* Санкт-Петербург: Алетейя, 2007.

Л' Эрмит-Леклерк 2009: Л' Эрмит-Леклерк П. *Феодальный строй: История женщин. Молчание Средних веков.* Санкт-Петербург: Алетейя, 2009. Под ред. Ж.Дюбии и Мишель Перро.

Казагрэнде 2009: Казагрэнде К. *Женщина по покровительством: История женщин. Молчание Средних веков.* Санкт-Петербург: Алетейя, 2009. Под ред. Ж.Дюбии и Мишель Перро.

Клапиш-Зубер 2009: Клапиш-Зубер К. *Появление женщин: История женщин. Молчание Средних веков.* Санкт-Петербург: Алетейя, 2009. Под ред. Ж.Дюбии и Мишель Перро.

Пушкарева 2009: Пушкарева Н. *Гендерная теория и историческое знание.* Санкт-Петербург: Алетейя, 2007

Томассе 2009: Томассе К. *Природа женщины: История женщин. Молчание Средних веков.* Санкт-Петербург: Алетейя, 2009. Под ред. Ж.Дюбии и Мишель Перро.

Фоне-Вампль 2009: Фоне-Вампль С. *Женщины от V по X век: История женщин. Молчание Средних веков.* Санкт-Петербург: Алетейя, 2009. Под ред. Ж.Дюбии и Мишель Перро.

Хьюг 2009: Хьюг Д. *Управление женской модой: История женщин. Молчание Средних веков.* Санкт-Петербург: Алетейя, 2009. Под ред. Ж.Дюбии и Мишель Перро.

M. PKHAKADZE, G. TSIREKIDZE, R. CHAGUNAVA

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Interpretation of one of the Lines of Shota Rustaveli's Poem "The Knight in the Panthers Skin"

In one of the lines "Helmets of chain, adamant sharp, a cutting sword" (1368, 2) of Shota Rustaveli's poem "The Knight in the Panthers Skin" a chain, a helmet and a sword are used as armour items. The sense will be elucidated if we attribute the "adamant" to an item of the armour, rather than an epithet since according to the Eastern annals it was also used as a war amulet. Accordingly, proper changes would be relevant by putting a comma after "adamant" and removing it after "sharp" since the word combination "a sharp cutting sword" means a metal sword which also cuts. Presumably, the line would be – "Helmets of chain, adamant, a sharp cutting sword".

Key words: adamant, amulet, armour

მ. ფხაკაძე, გ. ცირეკიძე, რ. ჩაგუნავა

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტრიქონის გაგებისათვის

ჩვენი მიზანია „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტრიქონის ნაკითხვის დაზუსტება და ამის საფუძველზე შესაბამის ტექსტში სასვენი ნიშნების მართებულად დასმა.

აღნიშნული სტრიქონი იმ ეპიზოდის ნაწილს შეადგენს, რომელშიც ტარიელისა და ავთანდილის მიერ „აბჯრისათვის სახლად ქმნილი“ ზარადხანის პოვნა არის აღწერილი. რაინდებმა ამ ზარადხანაში აღმოაჩინეს კიდობანი, რომელსაც, პოემის სიტყვებით რომ გადმოვცეთ: „ზედა ეწერა: აქა ძეს აბჯარი საკვირველიო, / ჯაჭვ-მუზარადი, აღმასი ხრმალი ბასრისა, მჭრელიო“ (შოთა რუსთაველი 1941: სტრ. 1370).

ჩვენი ყურადღება აქ მიიქცია მეორე სტრიქონმა, სადაც აბჯრის შემადგენელი ნაწილები არის ჩამოთვლილი და თითოეული მათგანი ერთმანეთისაგან მძიმითაა გამოყოფილი. უნდა აღინიშნოს, რომ პოემის სხვა გამოცემებში (შოთა რუსთაველი 1966; შოთა რუსთაველი 1970; შოთა რუსთაველი 1988). ეს მძიმეები სხვანაირადაა დასმული და შესაბამისად ტექსტიც განსხვავებულად იკითხება. ზუსტად ასეთივე განსხვავებული მიდგომები შეიმჩნევა სტრიქონის ტექსტისადმი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანებში.

განსხვავებული ნაკითხვის საბაზს კი, როგორც ჩანს, სტრიქონში მოხსენებული ორი ტერმინი — „აღმასი“ და „ბასრი“ იძლევა, უფრო ზუსტად კი სტრიქონის სხვა სიტყვებთან მათი მიმართება, რომელსაც მძიმის დასმის ადგილი განაპირობებს.

აღმასი, როგორც ცნობილია, არა მარტო ძვირფასი თვალი, არამედ მაღალი სისალით გამორჩეული ქვაა (ზოგჯერ არცთუ ისე იშვიათად, მას მიაწერდნენ ჭრის მაღალ უნარს). ის ამ მახასიათებლით იმდენად აღემატება სხვა ნივთი-

ერებებს, რომ მხატვრულ ლიტერატურაში ძირითადად მოიხსენება როგორც სიმაგრის ეტალონი და არა როგორც ძვირფასი ან ლამაზი შესახედაობის ქვა. აღსანიშნავია, რომ რუსთაველიც თავის პოემაში ალმასის სწორედ ამ მახასიათებელს გამოყოფს, რაც დასტურდება შემდეგი სტრიქონებით — „გული ალმასი წთობილი“ (შოთა რუსთაველი 1957, 327,4) და „გული ალმასი შავმან წამწამმან დალა რად“ (შოთა რუსთაველი 1957, 714,3). ამასთან ერთად „ალმასისაგან“ წარმოებული სიტყვა „ალმასება“ ასევე სისალის აღმნიშვნელ ცნებად გამოიყენება („ალმასნა, არ აძენნა“ — შოთა რუსთაველი 1957, 760, 2), ისევე როგორც ალმასად ნაგულისხმევი „ქვა“ სისალის ეტალონად („გასტეხს ქვასაცა მაგარსა, გრდემლი ტყვიისა ლბილისა“ — შოთა რუსთაველი 1957: 5,4). ერთ შემთხვევაში კი შოთა რუსთაველი „ალმასს“ მჭრელის ცნების აღმნიშვნელ ტერმინადაც იყენებს („ალმასისა ხამს ლახვარი“ — შოთა რუსთაველი 1957: 342, 4).

მეორე ტერმინი „ბასრი“ ქართულ ენაში რამდენიმე მნიშვნელობით გვხვდება. პირველ რიგში ის აღნიშნავს ქალაქს, კერძოდ კი სირიის ქალაქ ბასრას. ვინაიდან ამ ქალაქში საუკეთესო ფოლადი მზადდებოდა, ქართულში ამ ფოლადის აღმნიშვნელ ტერმინად დამამზადებელი ქალაქის შესატყვისი ტერმინი „ბასრი“ დამკვიდრდა. „ბასრის“ მეორე მნიშვნელობა „მჭრელის“ ცნებას უკვშირდება, და, როგორც ეტყობა ეს ტერმინი ბასრული ფოლადის ჭრის მაღალუნარიანობის გათვალისწინებით უნდა იყოს შემოღებული. ამ მეორე მნიშვნელობის კონკრეტულ მაგალითად პოემაში შეიძლება დავასახელოთ ზემოთ უკვე მოხსენებული ფრაზა „ალმასისა ხამს ლახვარი“ და შემდეგი სტრიქონის ფრაგმენტი: „ჩემი გაჰკვეთს ხორცსა მათსა ხრმალი ბასრი“ (შოთა რუსთაველი 1957: 439,3).

ტერმინების ამ მცირე მიმოხილვის შემდეგ შეიძლება გადავიდეთ ციტირებული სტროფის შინაარსის განხილვაზე და იმ განსხვავებულ ნაკითხვებზე, რომლებიც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, „ვეფხისტყაოსნის“ ქართული ტექსტის სხვადასხვა გამოცემებში და მის თარგმანებში გვხვდება.

აკადემიურ გამოცემებში წარმოდგენილ სტრიქონში, თუ მასში მძიმეების დასმის ადგილს გავითვალისწინებთ, აბჯრის შემადგენელი ნაწილები ასე არის დასახელებული: ჯაჭვის პერანგი და მუზარადი („ჯაჭვ-მუზარადი“) და ხმალი, რომელიც ერთდროულად მაგარი თუ მჭრელია („ალმასი ხრმალი“), ბასრაში არის გაკეთებული თუ ფოლადისაა („ხრმალი ბასრისა“) და მჭრელიცაა („ხრმალი ბასრისა მჭრელიო“).

მხატვრული თვალსაზრისით სტრიქონის შემოთავაზებული ნაკითხვა აშკარად მოიკოჭლებს. ძნელი წარმოსადგენია, რომ ჯაჭვის პერანგი და მუზარადი ყოველგვარი ეპითეტის გარეშე იყოს მოყვანილი, მაშინ როდესაც ხმალი ერთდროულად სამი ეპითეტითაა დახუნძლული. თანაც „ალმასის“, რომელიც აშკარად პირველ რვამარცვლიან ნახევარსტრიქონს მიეკუთვნება, მეორე ნახევარსტრიქონთან დაკავშირება, ლექსთწყობის თვალსაზრისით გაუმართლებელი ჩანს.

ტერმინების „ალმასის“ და „ბასრის“ სხვადასხვა მნიშვნელობები აღნიშნულ სტრიქონის განსხვავებული ნაკითხვის საშუალებას იძლევა და სწორედ ასეთი განსხვავებული ნაკითხვები არის გადმოცემული პოემის ტექსტის სხვა გამოცემებსა და თარგმანებში. ქართული ტექსტის გამოცემებში შემოთავაზებულ ნაკითხვებში შეიძლება ადვილად გავერკვეთ სტრიქონში დასმული მძიმეების ადგილმდებარეობის მიხედვით. რაც შეეხება თარგმანებს, ისინი თუმცა ზუსტად არ იმეორებენ ქართულ ტექსტს,

მაგრამ მიუხედავად ამისა, გარკვევით აჩვენებენ, თუ როგორ წაიკითხა ეს ტექსტი მთარგმნელმა.

ტერმინ „ალმასის“ მნიშვნელობა საანალიზო ტექსტში მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. ის თითქმის ყველგან (პოემის ქართული ტექსტის თუ თარგმანების გამოცემებში) ძირითადად წარმოდგენილია ხმლის სისალის აღმნიშვნელ ტერმინად.

ჩვენი აზრით, აქ ალმასის მჭრელობის მნიშვნელობით აღქმა არ უნდა იყოს სწორი. თუ ასეთ წაკითხვას დავუშვებთ, გამოდის, რომ აქ ხმლის მჭრელობა სტრიქონში ორჯერ არის აღნიშნული, ჯერ როგორც „ალმასი“ ანუ „ალმასივით მჭრელი“ და შემდეგ „მჭრელი“ ანუ მჭრელი.

ალმასთან დაკავშირებით განსხვავებული წაკითხვა აქვს წარმოდგენილი შ. ნუცუბიძეს, რომელსაც განსახილველი ტაეპის შესატყვისი ადგილი ასე აქვს თარგმნილი: „Из алмазной стали латы“ (რუსთაველი 1941: 1370,2), ე.ი. აქ ალმასი არა ხმალთან, არამედ ჯაჭვ-მუზარადთან („латы“) მიმართებაში სისალის აღმნიშვნელ ტერმინად არის გამოყენებული. ამ გაგებით საანალიზო სტრიქონში მძიმე „ალმასის“ შემდგომ უნდა იყოს დასმული, რის შედეგადაც ეს სტრიქონი ასე უნდა იქნეს წარმოდგენილი: „ჯაჭვ-მუზარადი ალმასი, ხრმალი ბასრისა, მჭრელი“. ასეთსავე წაკითხვას გვთავაზობს რუთ ნოიკომი გერმანულ თარგმანში: „Hier liegen Rustungen wunderbarer Art, Kettenpanzer und Helme wie Diamant so hart und Schwerter aus Basra, die schneidend scharf sind“ (ვეფხისტყაოსანი 1974: 388).

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მთელი რიგი თარგმანები, როგორცაა: ინგლისური — მარჯორი უორდროპის („chain helmet, habergeon, steel-cutting sword“ — ვეფხისტყაოსანი 1966: 1344) და სტივენსონის („mail, helmets and sharp-bladed swords brought from basra“ — ვეფხისტყაოსანი 1977: 164), გერმანული — ჰუგო ჰუპერტის: („Hier liegt Rustung, herrlich und von hohem Wert, Helme, Panzer und aus Basra ein zweischneidig scharfes Schwert“ — ვეფხისტყაოსანი 1966: 1370) და ფრანგული — ელისაბედ ორბელიანის და სოლომონ იორდანიშვილის: („vous trouverez ici des armes merveilleuses, cottes de mailles, boucliers, glaives aiguises de Basrah“ რუსთაველი 1977: 180) ამ საკითხის დაზუსტებისთვის ვერ გამოგვადგება, რადგან ალმასი საერთოდ არ არის თარგმნილი. ვერც გასტონ ბუაჩიძის თარგმანი დაგვეხმარება, რადგან ეს სტრიქონი მის მიერ საკმაოდ თავისუფლადაა თარგმნილი: „en m'ouvrant demeurez placides, je contiens glaives et hauberts, et si les signes coincident“ (რუსთაველი 1989: 1355).

პოემაში ტერმინი „ბასრის“ სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება, თავის მხრივ განაპირობებს განსახილველ სტრიქონში წაკითხვების შესაბამის მრავალფეროვნებას. პოემის თარგმანების უმეტეს ნაწილში ის ქალაქს, ე.ი. ქალაქ ბასრას აღნიშნავს. ასეთი მნიშვნელობით ამ ტერმინს იყენებენ შ. ნუცუბიძე („меч из Басры“ — რუსთაველი 1941,1370), პ. პეტრენკო („Басриискими мечами“ — რუსთაველი 1983: 1355), მ. ბაჟანი („меч Басрииски“ — რუსთაველი 1966: 202), ე. ორბელიანი და ს. იორდანიშვილი („glaives... de Basrah“ — რუსთაველი 1977: 180) ჰუგო ჰუპერტი („aus Basra“ — ვეფხისტყაოსანი 1966: 1370), რუთ ნოიკომი („Schwerter aus Basra“ — ვეფხისტყაოსანი 1974: 1370).

ცხადია, რომ ასეთი ნაკითხვის გათვალისწინებით მთარგმნელებს სტროფის მეორე ნაწილში აკადემიური გამოცემის ანალოგიით, მძიმე სიტყვა „ბასრის“ შემდეგ უნდა ეგულიხმათ: „ხმალი ბასრისა, მჭრელიო“.

ფოლადის მნიშვნელობით ბასრის მოყვანისას, სტრიქონის მეორე ნაწილი ან მძიმით ურთიერთგამოყოფილი სიტყვებით, ან მძიმის გარეშე შეიძლება დაინეროს. პირველ შემთხვევაში — „ხრმალი ბასრისა, მჭრელიო“ იკითხება როგორც ხმალი, რომელიც არის ფოლადის და ამავე დროს მჭრელიც, ხოლო მეორე შემთხვევაში — „ხრმალი ბასრისა მჭრელიო“ როგორც ხმალი ფოლადის მჭრელი. აღსანიშნავია, რომ ლიტერატურულ წყაროებში მხოლოდ ამ მეორე ნაკითხვას ვხვდებით. მაგ. დ. ჩუბინაშვილი თავის ლექსიკონში „ბასრს“ სწორედ რუსთაველის ტაეპის დამონებით ასე განმარტავდა: „ბასრი Сабля перерубающая сталь“ (ჩუბინაშვილი 1984: 98). ფაქტობრივად იგივე აზრია გატარებული კ. ბალმონტის თარგმანშიც: „Меч разящий сталь как мох“ (რუსთაველი 1936: 235). ასეთი ნაკითხვა კი სტროფის მეორე ნაწილში მძიმის დასმას გამორიცხავს და ის შეიძლება ასე წარმოვადგინოთ — „ხრმალი ბასრისა მჭრელიო“.

უნდა შევჩერდეთ კიდევ ერთ ნაკითხვაზე განსხვავდება აკადემიური გამოცემის ტექსტისაგან. ის ეკუთვნის ნ. ნათაძეს, რომელმაც პოემა სათანადო განმარტებებით, კომენტარებითა და ლიტერატურული გარჩევებით 1974 წელს გამოსცა. გამომცემელი საანალიზო სტრიქონს ასეთი სახით აქვეყნებს: *„ჯაჭვ-მუზარადი ალმასი, ხრმალი ბასრისა მჭრელიო“* (შოთა რუსთაველი 1974: 1377).

მძიმეების განთავსების მიხედვით ჩანს, რომ „ალმასი“ ჯაჭვ-მუზარადთან ერთობლიობაში არის წარმოდგენილი და მაშასადამე ის ამ საჭურველის სისალეს გულისხმობს. ე.ი. ტაეპის პირველ ნაწილში ნ. ნათაძის ნაკითხვა დ. ჩუბინაშვილის და კ. ბალმონტის ნაკითხვებს თანხვდება. სტროფის მეორე ნაწილი კი ერთმნიშვნელოვნად ხმალს ფოლადის მჭრელად მოიხსენიებს. ამასთან ერთად სქოლიოში ნ. ნათაძე ხაზს უსვამს, რომ ბასრა სირიაში კარგი ფოლადით განთქმული ქალაქია და იქვე ფრაზა „ბასრისა მჭრელი“ განმარტებული აქვს როგორც „კარგი ფოლადის გამკვეთი“ ასე რომ ამ შემთხვევაში ნ. ნათაძე ფაქტობრივად იმეორებს დ. ჩუბინაშვილის და კ. ბალმონტის ნაკითხვებს.

ერთი შეხედვით, ნ. ნათაძის ნაკითხვა თითქოს სრულად უნდა გამოცემდეს იმ აზრს, რომელიც საანალიზო სტრიქონში ჩადებული ჰქონდა შ. რუსთაველს. პოეზიის კანონების მოხედვითაც, აქ თითქოს ყველაფერი რიგზე უნდა იყოს, ვინაიდან სამი ეპითეტი ორზეა დაყვანილი და ამ ორიდან თანაბრად ერთი ჯაჭვ-მუზარადზე („ალმასი“), ხოლო მეორე ხმალზე („ბასრისა მჭრელიო“) არის გადანაწილებული.

აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ნ. ნათაძის ნაკითხვის მართებულობა თითქოს ეჭვს არ უნდა იწვევდეს. მაგრამ ჩვენს მიერ მოპოვებული ერთი ცნობა ერთმნიშვნელოვნად იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ ტაეპის ტექსტი სინამდვილეში ჯერ კიდევ არ არის სწორად ნაკითხული. ასეთი დასკვნის გამოტანის უფლებას გვაძლევს არაბი მეცნიერის აჰმად ტეიფაშის (გარდ. 1252 წ) ერთი ცნობა, რომელიც XVII ს. სომეხი ისტორიკოსის არაქელ დავრიჟეცის „ისტორიების წიგნში“ არის მოყვანილი.

ეს ცნობა მოგვყავს რუსული თარგმანით: „В книге свойств“* сказано, что у какой из двух воюющих сторон будет более тяжеловесный алмаз, та сторона выйдет победительницей“ (დავრიჟეცკი 1973: 548).

ციტირებული ფრაგმენტიდან ირკვევა, რომ ყოფით პრაქტიკაში ალმასი კიდევ ერთი დანიშნულებით გამოიყენებოდა. მისი მფლობელობა ომში მეომრების გამარჯვებას უზურუნველყოფდა და რაც უფრო დიდი წონის იყო ეს ალმასი, მით უფრო ეფექტური იყო მისი მოქმედება. ე.ი. ალმასს ერთგვარი საბრძოლო ავგაროზის დანიშნულება ჰქონდა და ამ დანიშნულებით ის ჯერ კიდევ XIII ს პირველ ნახევარში იყო ცნობილი.

არაბი მინერალოგი, სავსებით შესაძლებელია, შოთა რუსთაველის უმცროსი თანამედროვე ყოფილიყო და მაშასადამე ალმასის საავგაროზე დანიშნულება შოთას ეპოქაშიც კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი. აქედან გამომდინარე, ალბათ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რა მნიშვნელობით არის მოყვანილი ალმასი აბჯრის ნაწილების ჩამონათვალში. აქ გენიალური პოეტი, უდაოდ, საბრძოლო ავგაროზს გულისხმობს, რომელიც მის ეპოქაში სააბჯრე კომპლექტის ისეთივე სრულფასოვანი კომპონენტი იყო, როგორც ტანის და თავის დამცველი ჯაჭვის პერანგი და მუზარადი, მოწინააღმდეგის გასაგმირი ხმალი და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ავგაროზის დანიშნულებით ალმასს არა მარტო XII-XIII სს საქართველოში, არამედ უფრო მოგვიანებითაც იცნობდნენ. კერძოდ, მეფე პოეტი არჩილი (1647-1713 წწ) თავის პოეტურ კრებულში „არჩილიანი“, ერთ-ერთ ლექს-გამოცანაში ამ თვალს მეფეთა „მოსაგრედ“ ანუ თანამებრძოლად მოიხსენიებს („პატივითა მას მთავრთმენ მეფედ, ჰყვანდეს მოსაგრესად“). მეფეთათვის „მოსაგრეობა“ ანუ თანამებრძოლობა კი ალმასს მხოლოდ ავგაროზის დანიშნულებით შეეძლო გაენია (ცირეკიძე 2011: 26).

საანალიზო სტრიქონში ტერმინ „ალმასის“ ასეთი მნიშვნელობის დადგენის შემდგომ, სათანადოდ უნდა გასწორდეს ტექსტი. ეს გასწორება სტრიქონის პირველ ნაწილში ამ ტერმინის შემდგომ მძიმის დასმას ითვალისწინებს, რის შემდეგ ტერმინი „ალმასი“ აბჯრის სრულფასოვანი შემადგენელი ნაწილის მნიშვნელობას იძენს.; რაც შეეხება მეორე ნაწილს, ჩვენ აქ ვიზიარებთ დ. ჩუბინაშვილის, კ. ბალმონტის და ნ. ნათაძის ნაკითხვას, რომელიც ხმალს ფოლადის მჭრელ იარაღად მოიხსენიებს.

ასე რომ, ჩვენი აზრით, შოთა რუსთაველის განხილული სტრიქონი ასეთი სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი: „ჯაჭვ-მუზარადი, ალმასი, ხრმალი ბასრისა მჭრელი“.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ვენერა ურუშაძის თარგმანშიც მძიმეები ისეა დასმული, როგორც ჩვენ გთავაზობთ, მაგრამ არა გვგონია, რომ აქ ალმასში ავგაროზი იგულისხმებოდეს: “Helmets of chain, habergeons, adamant, steel -cutting sabres” (ვეფხისტყაოსანი 1971: 1355.)

* დავრიჟეცის ტექსტის გამომცემლის ლ. ხანლარიანის თანახმად, ეს „თვისებათა წიგნი“ უნდა იყოს აჰმად ტეიფაშის „ფიქრები ძვირფასი ქვების თვისებებთან დაკავშირებით“, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული შუასაუკუნეების აღმოსავლურ სამეცნიერო ლიტერატურაში.

დამონებიანი:

რუსთაველი 1957: რუსთაველი შ. ვეფხისტყაოსანი. სარედაქციო კოლეგია: ა.ბარამიძე, კ. კეკელიძე და ა. შანიძე. თბ.: 1957.

რუსთაველი 1966: რუსთაველი შ. ვეფხისტყაოსანი. სარედაქციო კოლეგია: ი.აბაშიძე, ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, ა. შანიძე, გ. წერეთელი. თბ.: 1966 (სიუბილეო).

რუსთაველი 1970: რუსთაველი შ. ვეფხისტყაოსანი. პ. ინგოროყვას რედაქციით. თბ.: 1970.

რუსთაველი 1974: რუსთაველი შ. ვეფხისტყაოსანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, განმარტებანი, კომენტარი და ლიტერატურული გარჩევა დაურთო ნ.ნათაძემ. თბ.: 1974.

რუსთაველი 1988: რუსთაველი შ. ვეფხისტყაოსანი. სარედაქციო კოლეგია: ა.ბარამიძე, გ. წერეთელი, ს. ცაიშვილი, გ. კარტოზია, ი. აბაშიძე და სხვ. თბ.: 1988.

ჩუბინაშვილი 1984: ჩუბინაშვილი დ. ქართულ-რუსული ლექსიკონი. მეორე გამოცემა აღდგენილი ოფსეტის წესით. სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო აკ. შანიძემ. თბ.: 1984.

ცირეკიძე... 2011: ცირეკიძე გ., ჩხაიძე გ., ჩაგუნავა რ. ქართული პოლიტიკური სივრცე და ძვირფასი ლიტონები. „ცხოვრება და კანონი“, № 2, 2011.

დავრიყეცი 1973: Аракел Даврижеци Книга истории, перевод с ярмянского, предисловие и комментарии Л. А. Ханларян, Москва, 1973.

რუსთაველი 1941: Руставели Ш. Витязь в тигровой шкуре, перевод с грузинского Ш. Нуцубидзе. Тб.: 1941.

რუსთაველი 1966: Руставели Ш. Витязь в тигровой шкуре, переклад з грузинской М. Бажана. Київ: 1966.

რუსთაველი 1983: Руставели Ш. Витязь в тигровой шкуре, перевод П. Петренко, При участии и под редакции К. Чичинадзе. Тб.: 1983.

რუსთაველი 1936: Руставели Ш. Витязь в тигровой шкуре, перевод с грузинского П. Балмонта. М.: 1936.

რუსთაველი 1989: Roustaveli Chota. Le Chevaier a la peau de panthere, Traduit du georgien, preface et commente par Gaston Bouatchidze, Editions “Raduga”, M.: 1989.

რუსთაველი 1977: Roustaveli Chota. Le preux a la peau de tigre, texte fracais D’Elisabeth Orbeliani et de Solomon Iordanishvili, Editions “Sabchota Sakartvelo”, Tb.: 1977.

ვეფხისტყაოსანი 1977 -1: The knight in the panther skin, a free translation in prose by Katarine Vivian. London: The folio society, 1977.

ვეფხისტყაოსანი 1977: The Lord of the panter-skin, Shota Rustaveli, A Georgian romance of chivalry. Translated by R. H. Stevenson. State University of New York Press Albany, 1977, (164).

ვეფხისტყაოსანი 1966: The Man in the Panter’s skin A romaticpic by Shot’ha Rust’haveli. A Close Redering from the Georgian Attempted by Marjory Scott Wardrop, 1966.

ვეფხისტყაოსანი 1971: Rustaveli Shota. The knight in the panther’s skin . Translated from the Georgian by Venera Urushadze. 1971.

ვეფხისტყაოსანი 1974: Rustaveli Schota. Der Mann im Pantherfell. Ubertragung aus dem Georgischen und Nachwort von Ruth Neukomm. Manesse Verlag, 1974.

ვეფხისტყაოსანი 1966: Rustaweli Schota. Der Recke im Tigerfell, Altgeorgische Poem, Deutsche Nachrichtung von Hugo Huppert, Rutten & Loening, Berlin: 1966.

ვეფხისტყაოსანი 2005: Rustaveli Schota. Der Ritter im Tigerfell. Ein altgeorgisches Epos, Deutsche Nachrichtung von Marie Prittwitz. Tbilissi- Berlin: 2005.

IRMA KVELASHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Georgian Literature Institute

Tower Phenomenon in Georgian Magic Tales and “The Knight in the Panthers’ Skin”

According to Georgian magic tales Towers, where Kings tried to keep their children isolated even from sun beams, symbolize the guarantee of inherence and posterity (V. Prop), as well as solitude. Resemblance of a magic tale tower and Nestan tower in “The Knight in the Panther’s Skin” is evident. It is very interesting why the Indian king wanted her to be imprisoned in the tower not to be seen by others, like a magic tale where Farsadan imprisoned his beautiful daughter in Fazar stone tower: the king was willing to make his daughter divine deserve wonderful marriage and become the queen of India.

Key words: tower, magic tale, symbol, fairytale.

ირმა ყველაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

კოშკის ფენომენი ქართულ ჯადოსნურ ზღაპარსა და „ვეფხისტყაოსანში“

კოშკს, რომელიც კოსმოგენიური წარმოდგენით სამ სკნელს: ქვესკნელს, ზესკნელს და შუასკნელს აკავშირებს, ქართულ ჯადოსნურ ზღაპარში მნიშვნელოვანი ფუნქციური დატვირთვა ჰქონდა, ერთი მხრივ, იგი სამყაროს ხესთან იგივდებოდა, მეორე მხრივ კი ხელმწიფის შვილების პირადი უსაფრთხოებისა და ხელშეუხებლობის გარანტი იყო.

უკარფანჯრო კოშკში უბრალო ქალს ან ვაჟს არ სვამდნენ. იგი აუცილებლად ხელმწიფის შვილი უნდა ყოფილიყო. ქორწინებამდე განმარტოებით, მზის სხივის გარეშე ყოფნა სამყაროს ხეში, მთაში ან კოშკში ცხოვრება ღვთაებებს ან ღვთაებრივი წარმომავლობის მქონე პერსონაჟებს შეეძლოთ. ჯადოსნური ზღაპრის მიხედვით ხელმწიფე და მისი შვილი ღვთაებრივი წარმოშობისანი, შესაბამისად, ღვთაებრივი ძალმოსილებისანი იყვნენ, ამიტომაც კოშკში მხოლოდ ხელმწიფის შვილები ჰყავდათ გამოკეტილი ქორწინებამდე.

ფრეზერს თავის ნაშრომში „ოქროს ტოტი“ (ფრეზერი 1980: 123-124) უხვად აქვს მოყვანილი მაგალითები იმის შესახებ, რომ უძველეს დროში ხელმწიფე მართლაც ღმერთთან იყო წილნაყარი მთელი რიგი ხალხებისათვის: ტახტზე ასვლისას მექსიკის მეფეები ფიცს დებდნენ, რომ აიძულებდნენ მზეს ებრწყინა, ღრუბლებს ეწვიო, მდინარეებს ედინა, მიწას კი ხვავიანი ნაყოფი მიეცა. მექსიკის მეფე მონტესუმას კი ხალხი ისე ეთავყვანებოდა, როგორც ღმერთს. ბაბილონის პირველი მმართველნი თავს ღმერთად აცხადებდნენ. მათ საპატივცემულოდ იგებოდა ტაძრები, რომ-

ლებშიც მათსავე ქანდაკებებს დგამდნენ და მას სწირავდნენ მსხვერპლს. ყოველი წლის მეშვიდე თვე მთლიანად მეფის თაყვანისცემას ეძღვნებოდა, მსხვერპლს ყოველ ახალ მთვარეზე და ყოველი თვის თხუთმეტ რიცხვში სწირავდნენ. ასევე სიცოცხლეშივე სწირავდნენ მსხვერპლს ღვთაებებთან გაიგივებულ ფარონებს. მათ მზის ყველა ეპითეტს მიაწერდნენ. ასევე უწოდებდნენ: „უდიდეს ღმერთს“, „ოქროს მთას“, მათი ძალაუფლება ვრცელდებოდა ყველა ქვეყნის ხალხზე, ყველაფერზე: მფრინავსა თუ მხოხავ არსებებზე, ცასა და დედამიწაზე. „მეფეებს მაგიურ ძალასაც მიაწერდნენ, ის მთავრობდა ბუნებაზე, ადამიანებზე, ხშირად მეფის განწყობაზე იყო დამოკიდებული ხალხის კეთილდღეობა“ (პროპი 1946: 38).

უძველესი წესის თანახმად მეფის თუ ფარონის შვილები განსაკუთრებულ პირობებში იზრდებოდნენ, მათ არ შეეძლოთ სახლის დატოვება, მზისთვის სახის ჩვენება, ამიტომ მუდმივ სიბნელეში იმყოფებოდნენ. „მეფის სახე არ უნდა ეხილა მზეს, ამიტომაც იმყოფებოდნენ უფლისწულები მუდმივ სიბნელეში; მისი ფეხი არ უნდა შეხებოდა მიწას, ამიტომაც ცხოვრობდნენ ცამდე აზიდულ ციხე-კოშკებში; მეფის სახისთვის თვალი არ უნდა შეეველო ადამიანს, ამიტომ ისინი მარტოობისთვის იყვნენ განწირულნი. უკიდურეს შემთხვევაში თავიანთ ქვეშევრდომებსა და დაახლოებულ პირებს ფარდის მიღმიდან ესაუბრებოდნენ“ (პროპი 1946: 38).

პროპის აზრით, კოშკი, რომელშიც მეფეები უმაღლავდნენ შვილებს თვით მზის სხივსაც კი, იყო პირადი უსაფრთხოებისა და ხელშეუხებლობის გარანტი, რადგან კოშკში ცხოვრება გამონვეული იყო შიშის გრძნობით იმ უხილავი ძალებისადმი, რომელიც ეხვია ადამიანს.

ეს წეს-ჩვეულება მთელი სისრულით შემოგვინახა ჯადოსნურმა ზღაპარმა. აქ მეფის ასული ყოველთვის „მზეთუნახავია“, თვით სახელწოდება მზის სხივის უნახაობა უკვე მეფის შვილობაზე მიანიშნებს. მზეთუნახავი მეფის ასულები კოშკში, ყველასგან და ყველაფრისგან დაფარულად ცხოვრობდნენ. მაგალითად: „ხელმწიფეს ერთი მშვენიერი მზეთუნახავი ქალი ჰყავს, ეს ქალი თვალმიუწვდენელს კოშკში ზისო, ის მთელ სახელმწიფოში არავის უნახავსო“ (ვირსალაძე 1958: 251). კოშკშია გამოკეტილი მეფის ასული ჯადოსნურ ზღაპარში „სასწაულმოქმედი პერანგი“: „ხელმწიფეს ეგ ქალი რომ ეყოლა, თილისმის მცოდნე პირები შეკრიბა და ეს სასახლე გააჩერა ჰაერში დაკიდებული, ხმელეთიდან კიბე გააკეთებინა იმ სახლამდის და თვითონ იმით ადიოდა ქალთან. იმ კიბეს ათასი მეომარი ჰყარა-ულობდა, სხვას არავის შეეძლო ასვლაო. ერთხელ აღელდა ზღვა და, რაც სახლები იყო და ან ხალხი, სულ ზღვაში შეიტანა... იმ ქალს უფლიდან თუ საზრდო ეძლევა და ცხოვრობს, თორემ არა ვიცი რა, ის კი ვიცი, რომ ცოცხალია, რადგანაც ღამე ანათებსო“ (ლლონტი 1991: 177). ამ ქალამდე მიღწევა და მასთან ცხოვრება მხოლოდ ღვთაებრივი ძალმოსილების მქონე ადამიანს შეეძლო. რადგანაც ქალს უფლისგან ეძლეოდა საკვები, მასთან მისულ ვაჟსაც უფალი უგზავნის საზრდოს, რაც იმას ადასტურებს, რომ ვაჟი უფლის გამოგზავნილია და ქალიც მას სიხარულით იღებს:

„ქალს ფეხის ხმა მოესმა და დაუძახა:

— რა ხარ, რა სულიერი ხარ, აქ ვინ მოსულხარ? თავის დღეში აქ ადამიანს არ გაუვლია და შენ საიდან მოხვედიო?

— მე მამა უფალმა გამოგზავნა შენს ამხანაგადაო, — უპასუხა ვაჟმა.

ქალმა უთხრა:

— მე მამა უფლისაგან მეძლევა საზრდო, და თუ ახლა შენთვისაც გამო-
მიგზავნის მართალი იქნება შენი სიტყვა, მანამდის კი მანდ გაჩერდიო!

გავიდა ცოტა ხანი და მართლაც, სადილისათვის ორთავეს ტაბლა მო-
ერთვა თავისი პურ-ღვინით. მაშინ უთხრა ქალმა:

— მართლა მამა უფალს გამოუგზავნიხარ ჩემს ამხანაგად.

შეჰფიცეს, რომ უსიკვდილოდ არ ეღალატნათ ერთმანეთისთვის და
დაიწყეს ერთად ცხოვრება (ღლონტი 1991: 178).

ზღაპარში აკრძალული აქვს მეფის ასულს კოშკის დატოვება, რათა
ბოროტი ძალის თვალთახედვის არეში არ მოექცეს, „საკმარისია აკრძალვა
დაირღვეს, რომ მზეთუნახავს მაშინვე იტაცებს ბოროტი ძალა და ამით
ცვლის ქვეყანაში ცხოვრების წესს, წესრიგს ქაოსი ენაცვლება, რაც განა-
პირობებს გმირი-რაინდის გამოჩენასა და ქაოსის წესრიგად ქცევის აუცი-
ლებლობას“ (ხვედელიანი 2007: 203). მეფის ასული კოშკს მხოლოდ მაშინ
ტოვებს, როდესაც გამოჩნდება გმირი, რომელიც მის მოპოვებას შეძლებს,
„რადგანაც ამიერიდან კოშკის ფუნქცია ქმარმა უნდა შეასრულოს“
(კირთაძე 1990: 55).

მიზეზი იმისა თუ რატომ ჰქონდათ ხელმწიფის შვილებს აკრძალული
კოშკის დატოვება ქორწინებამდე ჯადოსნურ ზღაპარში, რ. ჩოლოყაშვილს
ახსნილი აქვს შემდეგნაირად: „სასახლეში ყოფნა სამყაროს ხეში, ან სამ-
ყაროს მთაში ყოფნის ტოლფარდი იყო და იმქვეყნად ყოფნად აღიქმებოდა
მითოსური წარმოდგენით, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უძველესი
გააზრების მიხედვით. არსებისათვის ღვთაებრიობის მიმნიჭებელი ხომ
მხოლოდ იმქვეყნად ნამყოფობა და იქიდან დაბრუნება იყო და, სწორედ,
იმქვეყნად ყოფნის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ იყო შესაძლებელი
ღვთაებრივი ქორწინება. იქიდან გამოსვლას, ან ამ სამალავში სინათლის
სხივის შეღწევას მომენტალურად ქორწინება მოსდევდა ზღაპარში“
(ჩოლოყაშვილი 2004: 52).

ე.ი. კოშკი იყო ადგილი, სადაც გარკვეული დროის გატარების შემდეგ
მეფის ასულები ღვთაებრივი ძალმოსილებისანი ხდებოდნენ და მზად
იყვნენ ქორწინებისთვის და ტახტზე ასასვლელადაც.

ჯადოსნურ ზღაპარში კოშკის ფორმა სხვადასხვაგვარია. იგი არის
ოთხკუთხედი, მრგვალი, კვერცხისებური. იგი აღმართული იყო, როგორც
მთაზე, ასევე — მიწისქვეშეთში, გამოკიდებული იყო ცაშიც და ზღვაშიც.
სიმბოლურად იგი მიწასა და ცას შორის კავშირს გამოხატავდა. „მთისა და
კიბის მსგავსად კოშკის სიმბოლიკა განასახიერებდა კავშირს ცასა და მი-
წას შორის. კოშკი — ესაა არქიტექტურული განსხეულება მსოფლიო ხისა
და ამგვარად — სამყაროს კოსმიური საყრდენი“ (აბზიანიძე, ელაშვილი
2006: 113). შესვლა ამ უკარფანჯრო ნაგებობაში შეეძლო მხოლოდ გამორ-
ჩეულ გმირს, რომელიც გარკვეულ დაბრკოლებას გადალახავდა, მოივლი-
და ქვესკნელს ან ზესკნელს ფასკუნჯის, მფრინავი ხალიჩისა თუ სასწაულ-
მოქმედი პერანგის დახმარებით და თვითონაც ღვთაებრივ ძალმოსილებას
იძენდა. სწორედ ეს გმირი ქორწინდებოდა მზეთუნახავზე და ხდებოდა
მფლობელი სახელმწიფო ტახტისაც.

მსგავსება ჯადოსნური ზღაპრის კოშკსა, რომელშიც მზეთუნახავია
გამოკეტილი, და „ვეფხისტყაოსნის“ კოშკს შორის თვალსაჩინოა; ფარსა-

დანმა ასულისთვის ცალკე კომპი ააგებინა, რომელსაც ადამიანთა თვალთაგან საიმედოდ უნდა დაეცვა მეფის ასული, რომელსაც მხოლოდ ასმათი და ორი მონა ახლდა: „*მეფემან კოკში ააგო შიგან სამყოფი ქალისა: / ქვად ფაზარი სხდა, კუბო დგა იაგუნდისა, ლალისა / პირსა ბაღჩა და საბანლად სარაჯი ვარდის წყალისა*“ (334). / „*სრა ედგა მოფარდაგული ოქსინოთა და შარდითა, / ვერვინ ვხედვიდით, შეიქმნა პირითა მინა-ვარდითა, / ასმათ და ორნი მონანი ჰყვიან, იმღერდის ნარდითა, / მუნ იზრდებოდის ტანითა, გაბაონს განაზარდითა*“ (336).

მიუხედავად იმისა, რომ პოემაში პირდაპირ არაა ნათქვამი, რომ ნესტანს მზის სხივი არ უნდა ეხილა, არც მისი ფეხი უნდა შეხებოდა მიწას და უცხოს თვალი არასოდეს უნდა მოეკრა, ცალკე აგებული კომპი, „ფარდაგები ოქსინოსა“, რომლებიც ყველაფერს ფარავდა მის ბაღში და ფარდაგი, რომელიც ასმათმა „აზიდნა“ და რომელიც უცხო თვალისგან საიმედოდ იცავდა მეფის ასულს, გარკვეული პარალელის გავლების საშუალებას მაინც გვაძლევს ჯადოსნურ ზღაპართან; უცხო თვალთაგან კომპში დამალული მზეთუნახავი ნესტანი ხომ ღვთაებრივ ძალმოსილებას იძენდა. მის დასასაკუთრებლად კი საჭირო იყო გამორჩეული გმირი, რომელიც ასევე ღვთაებრივი წარმომავლობის უნდა ყოფილყო, რომელიც დაიხსნიდა კომპისგან ნესტანს, მასზე დაქორწინდებოდა და ტახტსაც ის დაიკავებდა. რადგანაც „განსაკუთრებული ნესით დაფარული არსების და ისიც ღვთაებრივი არსების პოვნა და მასთან ქორწინება, მხოლოდ ღვთაებრივი არსებისავე წილხვედრია“ (ჩოლოყაშვილი 2004: 54).

საინტერესოა, რატომ სურდა ინდოეთის „უხვ“, „მდიდარ“, „უკადრ“, „მეფეთა ზედა მფლობელ“ ფარსადანს „არვისგან ნახვა მის მზისა დარისა“, რატომ შეეძლო მხოლოდ რამდენიმე ადამიანს ფაზარის ქვის კომპში გამოკეტილი მეფის ასულის ნახვა. თუ კი პარალელს გავავლებთ ჯადოსნურ ზღაპართან, დასაშვებები იქნება მოსაზრება, რომ ფარსადანს ქალიშვილის ხელმეუხებლობის გამორჩეულობისა და აღმატებულობის გარდა სწაღდა ნესტანის კომპში ცხოვრებით იგი გაეხადა ღვთაებრივი ძალმოსილების მქონე. ეს კი აუცილებელი იქნებოდა სამეფო ტახტზე ასასვლელად, რათა ფარსადანისთვის სასურველ სასიძოზე დაქორწინების დროს, ინდოეთში ნესტანის გამეფება საჭოჭმანო არ გამხდარიყო. მითუმეტეს მაშინ, როდესაც სამეფო კარზე ტახტის მემკვიდრე ტარიელის სახით არსებობდა...

ამგვარად, მამის მიერ ნესტანის კომპში გამომწყვდევა ზღაპრული მზეთუნახავის დარად, სამყაროს ხეში, სამყაროს მთაში ცხოვრების ტოლფარდი იყო, რადგანაც აქ ცხოვრება მის ღვთაებრიობას დაადასტურებდა და სახელმწიფო ტახტსაც ის გმირი დაიკავებდა, რომელიც მასზე დაქორწინდებოდა.

დამონებიანი:

აბზიანიძე, ელაშვილი 2006: აბზიანიძე ზ., ელაშვილი ქ. სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია. ტ. I. თბ.: „ბაკმი“, 2006.

ვირსალაძე 1958: ვირსალაძე ე. (შემდგენელი). რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები. თბ.: 1958.

კირთაძე 1990: კირთაძე ნ. ჯადოსნური ზღაპრის გმირი, მაცნე (ელს), № 4, თბ.: 1990.

პროპი 1946: Пропп В. Я. Исторические корни волшебной сказки. Л.: 1946.

ფრეზერი 1980: Фрезер Дж. Золотая ветвь. М.: Издательства "Политической литературы", 1980/Вып. I-1928/Вып. IV-1931.

ლლონტი 1991: ლლონტი ალ. (შემდგენელი). ქართული ხალხური ზღაპრები. თბ.: „მერანი“ 1991.

ჩოლოყაშვილი 2004: ჩოლოყაშვილი რ. უძველეს რწმენა-წარმოდგენათა კვალი ხალხურ ზღაპრულ ეპოსში. თბ.: „ნეკერი“, 2004.

ხვედელიანი 2007: ხვედელიანი თ. „ვეფხისტყაოსნის მითოსურ-ფოლკლორული სამყარო“. თბ.: 2007.

RUSUDAN CHOLOKASHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Interrelatedness of Deity of Tar- young and “The Knight in the Panther’s Skin”

The oldest Georgian deity Tar-young is the annual update of the universe (N. Abakelia). It could be considered as a etymological prototype of the main hero of Shota Rustaveli’s “The Knight in the Panther’s Skin”. The poem is based on the magic tale (M. Karbelashvili), in which meetings between heroes end in struggle resulting in the death of one of them. In the poem the content follows the line of magic tale where rivals die: that’s why Tariel without thinking kills Kvarazm King’s son. It stimulated Avtandil to kill the man whom he had seen with Fatman, evoking the disappearance of an unknown knight. Avtandil, is the very person who should find the knight. Their meeting ends in friendship.

Key words: traditional, fairytale, ritual

რუსუდან ჩოლოყაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ღვთაება ტარ-ჭაბუკისა და „ვეფხისტყაოსნის“ ტარიელის ურთიერთმიმართების შესახებ

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირის სახელის-ტარიელის ეტიმოლოგიის შესახებ არაერთი საინტერესო მოსაზრება არსებობს: თეიმურაზ ბაგრატიონის (ბაგრატიონი 1960), ნ. მარის (მარი 1917), ს. კაკაბაძის, ზ. გამსახურდიას (გამსახურდია 1991), ქ. ლომთათიძის (ლომთათიძე 1996), ნ. ბრეგაძის ... ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ეთნოგრაფ ნ. ბრეგაძის მოსაზრება, რომელიც ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე თვლის, რომ სახელი ტარიელი ქართულ ნიადაგზეა ნაწარმოები და უკავშირდება საქართველოში აგრალურ ყოფასთან დაკავშირებული ტარბედნიერის, იმავე ტარ-ჭაბუკის, ჭაბუკის კულტს და მისადმი მიძღვნილ სამეურნეო კალენდარში დამონშებულ დღეებსა და რიტუალებს (ბრეგაძე 2002: 105). ამავე დროს

ნ.ბრეგაძე იზიარებს ნ. აბაკელიას მოსაზრებას, რომ ტარ-ჭაბუკი მამაკაცური ბუნების მოკვდავი და მკვდრეთით აღმდგომი ღვთაებაა (აბაკელია 1997: 29-34; აბაკელია 1984: 72-82), საფუძველს უმაგრებს ამ მოსაზრებას ჭაბუკისადმი მიძღვნილი რიტუალების მოშველიებით და დაბეჯითებით მიიჩნევს მას მოკვდავ და მკვდრეთით აღმდგომ ღვთაებად (ბრეგაძე 2002:106-108).

„ტარ“ ფუძის ღვთაების სახელთან კავშირს ამყარებს ზ. გამსახურდიას ძიებანიც, რომელიც აღნიშნავს, რომ ეს ფუძე ღვთაების აღმნიშვნელია და მისგან არის ნაწარმოები უძველესი მცირეაზიური ამინდისა და ჭექა-ქუხილის ღვთაებების სახელები, რომელთაც ვეფხისტყაოსნად გამოსახავდნენ უძველესი საკულტო მღვიმეების კედლებზე (გამსახურდია 1991: 242). შემდეგ კი მიუთითებს, რომ ღვთაებას ტარუ-ს (ტარო, ტაროს) შუამდინარულ, ძვ. ინდურ, ძვ. სპარსულ, ძვ. ბერძნულ პანთეონებში შეესაბამება: მარდუკი, ინდრა, რამა, მიტრა, ზევსი და სხვ. მზიური ღვთაებები და გმირები, ხოლო ქრისტიანულ ანგელოლოგიაში — მთავარანგელოზი მიქაელი... მისი მიწიერი რაინდი კი არის წმ. გიორგიო და ამიტომ უკავშირებს მას ტარიელის სახელს (გამსახურდია 1991: 245-246).

ტარიელის სახელის ნ. ბრეგაძისეული გააზრება თუ მისაღებია, უკვე ისმის კითხვა: რატომ უნდა ეწოდებინა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს თავისი ნაწარმოების მთავარი გმირისათვის მოკვდავი და მკვდრეთით აღმდგომი ღვთაების სახელი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემასაც ცდილობს ნ. ბრეგაძე და მიიჩნევს, რომ ამ ფორმით დემნა უფლისწულმა, რომელსაც თვლის ამ ნაწარმოების ავტორად (თ. ერისთავის ვარაუდის საფუძველზე — ერისთავი 1995), შეგნებულად „ჩადო აღორძინების იდეა იმ იმედით, რომ ოდესმე მაინც გაცხადდებოდა სინამდვილე ანუ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობა, რომ მკვდრეთით აღდგებოდა შემოქმედის სახელი, რომლის დაფარვის აუცილებლობა უფრო იყო, ვიდრე გამჟღავნების შესაძლებლობა იმ დროს საქართველოში“ (ბრეგაძე 2002: 110).

ქ-ნი ნ. ბრეგაძის სამეცნიერო ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის მაღალი შეფასების მიუხედავად უნდა ითქვას, რომ ამ მოსაზრების გაზიარება შეუძლებელია. ტარიელის სახელის დაკავშირება მოკვდავ და მკვდრეთით აღმდგომ ღვთაებასთან კი ჩვენთვისაც მისაღებია, მაგრამ, რასაკვირველია, ამას სულ სხვა ახსნა აქვს: როგორც ცნობილია, ჯადოსნური ზღაპრის კომპოზიცია „ვეფხისტყაოსნისა“ სტრუქტურული ელემენტია (კარბელაშვილი 1986: 438), ამ უკანასკნელის მთავარი გმირი კი გენეტიკურად სწორედ მოკვდავი და მკვდრეთით აღმდგომი ღვთაების მითოსური სახიდან მომდინარეობს. ჯადოსნური ზღაპრის ჭაბუკი გმირი ხომ იმ ზღაპრებში, რომლებშიც ვაჟია მთავარი გმირი, საცოლესთან შეყრით, მისი დაკარგვით, სხვადასხვა ქვეყანაში (სოფელში, სკნელში) ძებნითა და ხელახლა მოპოვებით სამყაროს განახლებისმომტან ქორწინებას აღწევს, რაც ამ ქვეყნიური აღორძინებისა და მისი აყვავების სანინდარია (ჩოლოყაშვილი 2004: 62). იმავე გზას გადის ტარიელიც „ვეფხისტყაოსანში“. ე.ი. ისინი ერთი მიზანდასახულობით მოქმედებენ, იმ სირთულეებს გადალახავენ საბოლოო გამარჯვებამდე, რაც ნიშანდობლივი იყო ამ ქვეყანასა და „იმ“ ქვეყანას შორის მიმომსვლელი მოკვდავი და მკვდრეთით აღმდგომი ღვთაებისათვის და მათ მიერ მოპოვებული გამარჯვება საყოველთაო ბედნიერების მომნიჭებელი იყო.

მთავარი პირობა კი მოკვდავი და მკვდრეთით აღმდგომი ღვთაების არსებობისა არის მისი უნარი სხვადასხვა ქვეყნების, „იმ“ ქვეყნის, სამჯერ მოვლისა და, რაც მთავარია, იქიდან უკან დაბრუნებისა. რასაკვირველია, იგულისხმება გამარჯვებულის დაბრუნება, თორემ დამარცხებული უკან ველარ ბრუნდება და იქვე რჩება. „ვეფხისტყაოსნის“ გმირებიც ხომ სხვადასხვა ქვეყნებში გადადიან საცოლის საძებნელად თუ საცოლის (საცოლის მამის) დავალების შესასრულებლად ჯადოსნური ზღაპრის გმირის მსგავსად. მაგალითად, ავთანდილმა **„დაავდო ზღვარი არაბთა, სხვათ ზღვართა არე იარა“** (183). ტარიელი კი ამბობს: **„დავაგდე მზღვარი ინდოთა, მევლო პაშტაი ხანია“** (427).

უძველესი რწმენის მიხედვით კი სხვა ქვეყანაში მიცვალებულთა სამეფო იგულისხმებოდა. როგორც ი. სურგულაძე აღინიშნავს, ის „გარე“ სამყარო იყო „შინასთან“ შედარებით და ეს სამყაროები ისევე უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, როგორც კოსმოსი და ქაოსი: თუ „შინა“ საკრალური და წმინდა იყო, „გარე“ შეიძლება უწმინდური და მავნე ყოფილიყო (სურგულაძე 1987: 134).

„შინასა“ და „გარეს“ ურთიერთმიმართების საკითხი ი. სურგულაძემ საგანგებოდ შეისწავლა, ძვ. ქართული ისტორიული და ლიტერატურული ძეგლების მიხედვით და დაასკვნა, რომ მათში ამ საპირისპირო ნიშნების მქონე სამყაროებია: „ქვეყანა“, რომელშიც კაცნი და პირუტყვი დამკვიდრებულან და „ტყე-ველი“ — მხეცთა და ნადირთა საუფლო ... ქვეყანა „შინას“ შეესაბამება, ხოლო ტყე-ველი — „გარეს“ (სურგულაძე 1987: 135).

მეცნიერს იქვე მოაქვს ტარიელისა და ავთანდილის ველად გაჭრის ამსახველი ციტატები „ვეფხისტყაოსნიდან“. მაგალითად, ნესტანის საძებნელად ველად გაჭრილი ტარიელი ამბობს: **„მაგრა დავყარე არენი მე კაცრიელთა თემთანი; / სახლად საყოფნი მიმაჩნდეს თხათა და მათ ირემთანი, / გავიჭერ, სრულად დავტკეპნენ ქვე მინდორნი და ზე მთანი“** (659).

ავთანდილის შესახებ კი ნათქვამია: **„მას მინდორსა დაემართა, გზა თვალითა გამოსახა; / თვესა ერთსა სულიერი კაცი არსად არ ენახა, / მხეცნი იყვნეს საშინელნი, მაგრა არა შეუზახა“** (1994). იქვე აღნიშნულია, რომ ამგვარი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლება. ე.ი. გარდა სხვადასხვა ქვეყნებში გადასვლისა, ისინი უმეტესად ველად გაჭრილნი არიან.

სხვა ქვეყანაში მისული, უცხო, სტუმარია — „იქიდან“ დაბრუნებული და ღვთაებრივი ძალმოსილების მატარებელი. მას კეთილგანწყობის შემთხვევაში დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ძალიან საშიშია დამხვდურისათვის. ამ კეთილგანწყობის მოსაპოვებლად კი განსაკუთრებული რიტუალების შესრულება იყო აუცილებელი, რაც გარკვეული წესებით ხორციელდებოდა და გამოიხატებოდა რიტუალური მოქმედებით (სურგულაძე 1987: 134). ამიტომაც ააფორიაქა უცხო მოყმის გამოჩენამ არაბეთის სამეფო, მითუმეტეს მისმა ისე გაუჩინარებამ, რომ არ შესრულებულა მისი გაუვნებელყოფისათვის განწმენდის რიტუალი: **„მასვე წამსა დაიკარგა, არ უნახავს თვალსა ჩვენსა, / ჰგვანდა ქვესკნელს ჩაძრომილსა, ანუ ზეცას ანაფრენსა. / ეძებდეს და ვერ ჰპოვებდეს კვალსა მისგან წანარბენსა“** (100).

სტუმრის, უცხოს გაუვნებელყოფა მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხთა ეთნოგრაფიულ ყოფაში სუფრასთან მიწვევით და ქალის შეთავაზებით იყო შესაძლებელი. ამ უკანასკნელის გამოხატულებაა სწორფრობის რიტუალი

საქართველოში. ე.ი. ამ რიტუალური წესების მიზანი იყო უცხო ნიშანთა ნიველირება, კონფლიქტური სიტუაციის მოსპობა (სურგულაძე 1987: 134).

ჯადოსნურ ზღაპარში კი ეს შეხვედრა მომენტალურად სამკვდრო – სასიცოცხლო დაპირისპირებით და ერთ-ერთის სიკვდილით მთავრდება, ასეა „ვეფხისტყაოსანშიც“. ე.ი. რადგან ეს ნაწარმოები ჯადოსნური ზღაპრის სტრუქტურაზეა აგებული, მასში მთავარი გმირების გარდა უნდა იყოს ქალის ხელის მოცილეც, თუმცა მომხდური და დამხვდური ერთდროულად ვერ იარსებებენ, მათ შეხვედრას მაშინვე ერთ-ერთის სიკვდილი უნდა მოჰყვეს მსგავსად გველეშაპისა და მზეჭბუკის შეხვედრისა ზღაპარში. ე.ი. „ვეფხისტყაოსანშიც“ ცილობა ქალისათვის ხდება და ერთ-ერთი მეტოქე განწირულია. ცოცხალი მეორე დარჩება, ვისაც ქმრობა ეკუთვნის. ამიტომ დაუხანებლად გამოასალმა სიცოცხლეს ტარიელმა მომხდური ხვარაზმის ხელმწიფის შვილი და ამიტომ მოკლა ავთანდილმა ფატმანთან ნანახი კაცი. ამიტომვე მოუწოდა ნესტანმა ტარიელს სასიძოს მკვლევლობისაკენ და ამიტომ შეიძლება ითქვას ამ მკვლევლობაზე: **„ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“** (548). თუმცა ტარიელის მიერ მიპარვით უსისხლოდ ჩადენილი მკვლევლობის სამართლებრივი და ეთიკურ-მორალური საკითხით, როგორც მ.კარბელაშვილი მიუთითებს, ჯერ კიდევ XVI ს-ში დაინტერესებულა ამ ნაწარმოების გაგრძელების „ხვარაზმელთა ამბის“ უცნობი ავტორი (ევდოშვილი 1991; კარბელაშვილი 2011) და საერთოდ ეს ეპიზოდი და მისი მორალური შეფასება „ვეფხისტყაოსნის“ მკითხველთა არაერთ თაობას აღელვებდა (კარბელაშვილი 1993: 198; კარბელაშვილი 2010: 101).

ჩვენი აზრით, ხვარაზმას ხელმწიფის შვილის მკვლევლობით გადარჩა სიყვარული, რომელიც მოგვიანებით ქორწილით დასრულდა. თუ ჯადოსნურ ზღაპარში მისაღებია ქალს პერიოდულად სხვადასხვა ქმარი ჰყავდეს (უფრო სწორედ, ერთი გმირის ორი მეტამორფოზული სახესხვაობა), ეს აქ დაუშვებელია. ტარიელის, მოკვდავი და მკვდრეთით აღმდგომი ღვთაების სახიდან მომდინარე გმირის, სიყვარული ნესტანისადმი თუ მეტია, ვიდრე ქალის სიყვარული, ამ მკვლევობას გამართლებაც აქვს და კანონომიერიც არის. ე.ი. ის სამართლებრივიც არის და ეთიკურიც. ვახტანგ მეექვსის დებულებით ხომ „ვეფხისტყაოსანი“ ამსოფლიური, ადამიანური მიჯნურობის შესახებ თხრობით აღეგორიულად ასახავს საღვთო მიჯნურობის დრამას (გამსახურდია 1991: 6).

ქვეყანაში უცხოს გამოჩენის სახიფათო მისიის გამო სწორედ ავთანდილს, არაბეთის ხელმწიფე-ქალის საქმროს, უნდა გაერკვია ურთიერთობა ტარიელთან მას შემდეგ, რაც ის არაბეთში გამოჩნდა და უკვალოდ გაუჩინარდა. ეს ურთიერთობა კი მათი დაძმობილებით დასრულდა. ესეც მომხდურის განეიტრალების, მისი კეთილგანწყობის მოპოვების ერთ-ერთი მეთოდი იყო უძველეს დროში. ტარიელმა **„ყმასა უთხრა: „ვინცა კაცმან ძმა იძმოს, თუ დაცა იდოს, / ხამს, თუ მისთვის სიკვდილსა და ჭირსა თავი არ დაჰრიდოს...“** (311).

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ქალის შესართველად უცხო ქვეყნიდან მოსული ხვარაზმას ხელმწიფის შვილის მოსაკლავად მისულ ტარიელს ის დაძინებელი დახვდა. ტარიელიც მაშინვე ფეხებში სწვდა და თავით სვეტს მიახალა. ძილი და საერთოდ უმოძრაობა, მითოსური გააზრებით, სიკვდილს ნიშნავს, ასეა „ვეფხისტყაოსანშიც“. ე.ი. ის ტარიელის მისვლამდეც განგების ძალით მკვდარი თუ არა, სასიკვდილოდ განწირული მაინც იყო. ამ ეპიზოდში ქალის დაუფლების მსურველის ძილი შემთხვევითობა რომ

არ არის, ნაწარმოების მეორე ეპიზოდშიც ადასტურებს, სადაც ავთანდილმა სიცოცხლეს გამოასალმა ფატმანთან ნანახი კაცი, რომელიც ასევე იწვა დასაძინებლად და წამოდგომაც არ ელირსა, ისე დაანარცხა და დანით მოკლა. ეს ის მოყმე იყო, რომელსაც იმ დღეს ეკუთვნოდა ფატმანთან აღერსი, ავთანდილმა კი არ დაანება.

ტარიელიც და ავთანდილიც მკვლევლობებს ქალების დავალებით აღასრულებენ. მაგალითად, ნესტანმა ბრძანა: „რა მოვიდეს, სიძე მოკალ მისთა სპათა აუნყვედლად“ (548). ე.ი. ვაჟები მოძალადეები კი არ არიან, არამედ — ქალების რჩეულნი. უცხო მეტოქის სიკვდილი კი მოკვდავი და მკვდრეთით აღმდგომი ღვთაების ბუნების კანონზომიერებით არის განპირობებული და სამყაროს განახლებისათვის აუცილებელი.

„ვეფხისტყაოსნის“ დასასრულს მისი მთავარი გმირი, ტარიელი, დიდ ბედნიერებას აღწევს-დაიბრუნებს დაკარგულ საცოლეს, იქორწინებს მასზე და გამეფდება. მინამ კი ის ყველაფერს აკეთებს ამ უფლების მოსაპოვებლად — მოივლის ტყე-ველს, არაბეთს, გამარჯვებას მოიპოვებს ხატაეთსა და ქაჯეთში. სხვადასხვა ქვეყნის მოვლა და იქ გადამხდარი ორთაბრძოლები კი ესადაგება ჯადოსნურ ზღაპრებში სხვადასხვა სკნელთა, „იმ“ ქვეყნის, მოვლასა და მათი მცველების დამარცხებას, რის გარეშეც, მითოსური წარმოდგენით, ღვთაებრივი ბედნიერება ვერ მიიღწევა. ნესტანისა და ტარიელის ქორწინება მართლაც მნიშვნელოვანია — ის საყოველთაო ზეიმის საგანი გახდა და წინა პირობა თინათინისა და ავთანდილის ქორწინებისა. ავთანდილისთვისაც ეს ქორწინება და არაბეთის ტახტის დაუფლება დამსახურებული ჯილდოა — იმანაც ხომ გადალახა ყველა ის სირთულე, რაც ახლდა: ტყე-ველის, ზღვის, მულღაზანზარის, გულანშაროს, ქაჯეთის მოვლას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზრაპრის დასასრულს მოპოვებული განახლებული ქორწინებაც, „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსად, წინაპირობაა გამეფებისა.

მეტოქის სიკვდილი აუცილებელია წყვილის შეყრა საბოლოო და ბედნიერების მომტანი რომ იყოს. ტარიელიც გამოჩენისთანავე კლავს მომხდურს, მაგრამ ეს ხომ ის მკვლევლობაა, რომლის შემდეგაც ნესტანი და ტარიელი კარგავენ ერთმანეთს, ეს ის მკვლევლობაა, რომლის შემდეგაც ნესტანს კიდობანში ჩასმულს ზღვას გაატანენ; მისი მაძებარი ტარიელი კი ტყე-ველად გაიჭრება. არადა რომ არა ეს მკვლევლობა, ისინი ჭეშმარიტ, მითოსური გააზრებით, ღვთაებრივ ბედნიერებას ვერ ეზიარებოდნენ.

არაბეთშიც ხომ უცხო მოყმის გამოჩენას მოჰყვა თინათინისა და ავთანდილის დაშორება. ე.ი. „ვეფხისტყაოსანშიც“, ჯადოსნური ზღაპრის მსგავსად, მთავარ გმირებს, უცხო მოყმეთა გამოჩენის შემდეგ უწევთ გრძელი და მძიმე გზის გავლა საბოლოო მიზნის მისაღწევად.

გენიოსის შემოქმედებაში შემთხვევითობა არ არსებობს, ყველაფერი მთავარ ღერძზეა ასხმული და გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილება. გენიალური ქმნილება ასევე მრავალპლანურიანია, ყველა კუთხიდან აღსაქმელი, დახვეწილი და ესთეტიკური. ის მრავლის მომცემია და სრულყოფილი, თუმცა დაფარული საფარველით მოცული და ამოუცნობი. ყოველივე ეს როგორც აადვილებს, ისე ართულებს მასთან მიახლოებას. სწორედ ამიტომ განუზომელია სურვილი, ჩავწვდეთ და გავითავისოთ მისი სიღრმე და სიდიადე.

დამონებიანი:

აბაკელია 1984: Абакелия Н. миф и ритуал в Западной Грузии. Тб.: 1984

აბაკელია 1997: აბაკელია ნ. სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში. თბ.: 1997.

ბაგრატიონი 1960: ბაგრატიონი თეიმურაზ. განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“. თბ.: 1960.

ბრეგაძე 2002: ბრეგაძე ნ. „ვეფხისტყაოსნის“ რაინდის სახის შესახებ, ამირანი, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე. VI, მონრეალი-თბილისი: 2002.

გამსახურდია 1991: გამსახურდია ზ. „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება. თბ.: „მეცნიერება“, 1991.

ევდოშვილი 1991: ევდოშვილი მ. (კარბელაშვილი მ.). „არ უთქმელობა არ ვარგაო“. ლაშარი, № 2, 1991.

ერისთავი 1995: ერისთავი თ. ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები ანუ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მეორე განზომილება. თბ.: „ნეკერი“, 1995.

კარბელაშვილი 1986: კარბელაშვილი მ. ვეფხისტყაოსნის კომპოზიციის საკითხისათვის. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 122, № 2, 1986.

კარბელაშვილი 1993: კარბელაშვილი მ. ვეფხისტყაოსნის „უსისხლოდ“ ტერმინის იურიდიული და ეთიკური ასპექტები. // ქართული მწერლობის საკითხები. ეძღვნება ალ. ბარამიძის 90-ე წლისთავს. თბ.: „მეცნიერება“, 1993.

კარბელაშვილი 2010: კარბელაშვილი მ. ვეფხისტყაოსნის უადრესი კომენტარი, ინტერტექსტობრიობა: რუსთაველი და ჟამთააღმწერელი. // ლიტერატურული ძიებანი, XXXI. თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010.

კარბელაშვილი 2011: კარბელაშვილი მ. „ხვარაზმელთა ამბავი“: ვეფხისტყაოსნის ერთი კოლიზიის სამართლებრივი და ეთიკურ-მორალური შეფასება. // ლიტერატურული ძიებანი, XXXII. თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011.

ლომთათიძე 1996: ლომთათიძე ქ. „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირის, ტარიელის, სახელის სემანტიკასთან დაკავშირებით. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 55-ე სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები. თბ.: 1996.

მარი 1917: Марр Н. Я. Грузинская поэма « Витязь в барсовой шкуре » Шоты из Рустава и новая культурно-историческая проблема. Петрогр.: «Изд.АН», 1917.

შოთა რუსთაველი 1992: შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და კომენტირება დაურთო ნ. ნათაძემ. თბ.: „განათლება“ 1992.

სურგულაძე 1987: სურგულაძე ი. სივრცობრივი ასპექტები ქართველთა რელიგიურ და მითოსურ წარმოდგენებში. მასალები საქ. ეთნოგრაფიისათვის, 1987, 23.

ჩოლოყაშვილი 2004: ჩოლოყაშვილი რ. უძველესი რწმენა-წარმოდგენების კვალი ზღაპრულ ეპოსში. თბ.: „ნეკერი“, 2004.

LIA TSERETELI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Tropology of the *Vepkhistqaosani* and the Epic *Amiraniani*

In this paper we consider the revival of the Rustvelian tropology by *Amiraniani*'s narrators: modest Kamar resembles Nestan, her father is Kaji, Kamar lives in tower. Nestan and Tariel enter the narration. They are depicted using Rustaveli's tropology. To our mind, it is not a bookish influence because most of the narrators are illiterate. Rustaveli's tropology nourishes narrators; his poem is the source of their inspiration.

Key words: tropology, a hero, a myth

ლია წერეთელი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება და ამირანის ეპოსი

ვუძღვნი რევაზ სირაძის ნათელ ხსოვნას.

სახისმეტყველება ლიტერატურის ეპოქებსა და ჟანრებზე მალლა დგას. ფერწერული განსახოვნება დრო-ჟამის ჩარჩოებს სცილდება და მარადიული სიცოცხლით სუნთქავს.

მითოსური აზროვნება და მსოფლგანცდა სახისმეტყველებამ აქცია მარადიულ აღქმად. აზროვნების ფორმა შეიცვალა, საზრისი გარდასულ ამბად იქცა, სახისმეტყველება კი დარჩა ნირშეუცვლელი.

ამირანის ეპოსის ცნობილი მითოლოგემა:

ამირანმა ამოხოცა დევეები, გამოქვაბულში სისხლი დაგუბდა და ამირანი ამ სისხლში ლამის დაიხრჩოს, მოისაზრა: დევი გასტყორცნა და გამოქვაბულის კარი გაანგრია, სისხლმა გზა იპოვა და ამირანი დევეების სისხლში დახრჩობას გადაურჩა...

მითოსური გამომსახველობა და ხატოვანი აზროვნება ცოცხალია, რადგან მსგავსი ეპიზოდები სახისმეტყველებად არის ქცეული და მარადიულობით სუნთქავს: ადამიანი იხრჩობა მტრის სისხლში... სისხლში განბანით გმირის წრთობა გამარჯვების საწინდარია. რიტუალი და მისი საზრისი მითოსური აზროვნების ფორმად იქცა, სახისმეტყველება მისგან დამოუკიდებელია.

სახისმეტყველი ამგვარი სახეებისაგან სრულქმნის თხრობას. ასე ხდება ანტიკური ლიტერატურის გმირთა და ხატოვან ეპიზოდთა გადააზრება ქრისტიანული საზრისით.

დავით აღმაშენებლის მემატიანის თხზულებაში მტრის სისხლის სახისმეტყველება ამგვარია:

დავით აღმაშენებელმა აურაცხელი მტერი დახოცა, ბრძოლის შემდეგ გადმოედინა „დამტკნარებული“ სისხლი. მემატიანე გვესიტყვება: მეფე დაჭრილი გვეგონა, მაგრამ ეს ყოფილა ბრძოლის დროს ხმლიდან ჩაღვრილი და დაგუბებული სისხლი და ის გადმოედინა... ამ თხრობაში სისხლის მითოსური საზრისიც ცოცხალია — მტრის სისხლში გმირის განბანა, ამაღორძინებელი ძალით განახლება... მაგრამ თავისთავად სახისმეტყველება შინაარსზე ძლიერია და შთამბეჭდავი... მეფემ მოიხსნა სარტყელი და გადმოიღვარა სისხლი, დაჭრილი ეგონათ, მაგრამ დახოცილთა სისხლია. სისხლის გააზრება მემატიანის თხზულებაში სარწმუნოებრივი საზრისით სუნთქავს:

მტერი მძლავრობს ქვეყანაში, ეკლესიებში ზიარებისას დახოცეს მღვდლები და „თვით შეწირვასავე შინა საღმრთოისა მსხვერპლისასა მუნვე მახვილითა შეწირულ იქმნეს და სისხლნი აღრივნეს თვისნი მეუფისათა თანა“... ანუ ზიარებისთვის მაცხოვრის სისხლსა და ხორცს შეერია დახოცილ მღვდელთა სისხლიო... სახისმეტყველება ტევადი და ცხოველქმნილია. მღვდელთა მონამეობრივი აღსასრული, მათი განწმენდა და ქრისტესთან ზიარება სახისმეტყველებით ცხადდება.

ამგვარად თხრობისას სახისმეტყველება გამჭვირვალედ, ცხადად სრულქმნის შინაარსს. თავად მთხრობელს სახისმეტყველი ეწოდა, რადგან იგი აცოცხლებს სახეებს ჯეროვნად.

ამ პრინციპს ეფუძვნება ხატოვანი აზროვნება ყველა დროში.

* * *

ამირანის ეპოსს მთხრობელნი მოტივებად, ეპიზოდებად, მითოლოგი-მებად ჰკრავენ — თხრობითი ტექსტი ლექსითი ნაწილებით.

ამირანიანის მთხრობელნი ძირითადად არ სცდებიან ამირანის თავ-გადასავლის „კანონიკურ“ ტექსტს. ფერმკრთალდება ან ქრება ესა თუ ის ეპიზოდი და მკვეთრდება ესა თუ ის მითოლოგემა ან მოტივი.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ამირანიანის მთხრობელთა მცდელობამ — მონუმენტურად, ფერწერულად წარმოსახონ თქმულების ეპიზოდები. სა-არქივო მასალა-მეცხრამეტე საუკუნის და შემდგომი ჩანაწერები ცხად-ყოფს, რომ ამირანის ეპოსის მთხრობელნი გასამშვენებლად „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველებას მიმართავენ, როგორც საუნჯესა და საგანძურს და გამოაქვთ იქიდან სასურველი სახეები. ეპოსის გმირები „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს ემსგავსებიან, ესა თუ ის საგანი რუსთველური სიმბოლიკით განსახოვნდება... უფრო მეტიც თხრობაში შემოდიან ტარიელი, ნესტან-დარეჯანი, ყამარს თამარი ენაცვლება, ციხე-კოშკი ქაჯეთში წარმოდგება და ა.შ. **„წამოიყვანეს კამარი ტანათ მზეა, პირით — მთვარე“**.

რუსთველური გავლენა უდავოა არა მხოლოდ მზედ და მთვარედ გმირის დასახვით, პოეტური გამომსახველობითაც. **„ამირანს ქალი გვერდს უზის, კამარი თავრიდიანი“**.

მთხრობელს ახსოვს „ვეფხისტყაოსნის“ რიდე, როგორც ნესტანის ბედისა და თავგადასავლის მეტყველი სახე-ხატი და ყამარსაც რიდეთი წარმოსახავს.

კამარი „პირნათლიანია“, რუსთველური სახისა და ნაკვთების მეტაფორიზება მთხრობელს ახსოვს. **„კამარ ეხვევის ამირანს თავგადაშლილი თმისანი“**. ქალის თმის ფერადოვნებისა და სიმბოლიზების რუსთველური კვალი მოჩანს. ყამარი „რიდე მოშლილი“, ყორნისფერ თმათა გადმოშლით წარმოისახება.

„ვეფხისტყაოსნის“ გავლენა ცხადია ამირანის ეპოსში გმირის არაჩვეულებრივი დაბადების თხრობაში:

„ტარიელს წყაროსთან დაუტოვეო ბავშვი, თქვა ამირანის დედამ — ალმა სიკვდილის წინ. ტარიელმა იპოვა ამირანი წყაროსთან, წამოიყვანა და მოუყვანა ცოლს — დარეჯანს. დედა ამირანისა გახდა დარეჯანი — ტარიელის ცოლი“.

აქ უკვე ვეფხისტყაოსნის პერსონაჟთა შემოყვანა გახდა აუცილებელი მთხრობელისათვის. ამირანი-დარეჯანის ძე წარმოსდგა ნესტან-დარეჯანის ძედ და ტარიელის ვაჟად. ტარიელმა იგი წყალთან იპოვა... ასე გარდაისახა „ჯდა მტირალი წყლისა პირად“ გმირი ამირანის მპოვნელად წყლის პირას.

„ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება ამირანის ეპოსს ხატოვანებას ჰმატებს:

ქაჯეთიდან მოტაცებულია ყამარი. ყამარის მამა ქაჯია, ან ქაჯებთან ნაბრძოლი და „ქაჯეთლაშქრიანი“: **„შვიდ წელიწადს ქაჯს ებრძოდა, ჰყვანდა ქაჯები ძლიერი“**. / **„ადგნენ ქაჯებ ულაშქრესა, გააქვთ ქაჯებსა გრიალი“**.

ყამარი ნესტანისეულ ციხე-კოშკში, ქაჯეთის ციხეშია დატყვევებული. **„ციხისა ძირსა ჩამოხდა ამირან ორნი ძმისანი, / ციხეს შუქი შეაყენა, ვითარ ცხოველი მზე არი, / კამარ ფანჯარა გააღო, მსგავსად ეგონა მზე არი“**.

თავისთავად სახისმეტყველური აზროვნების ფორმა აქვს ამგვარ თხრობას — ტარიელის მზერა მზის მონაცვლეა, მისგან გამომავალი ნათელი დატყვევებულს მზე ჰგონია და უღებს ფანჯარას, ცოცხლდება ასევე კარდახშული ციხე-კოშკის მითოსური საიდუმლო, სადაც მიადგება მზის შუქი, კარი იქ არის და იქ უნდა მიმართოს გმირმა...

ამირანის ეპოსის მითოლოგიას — ციხეს კარი არა აქვს, მზის სხივი სადაც დაეცემა, იქა ჰკრავს ფეხს ამირანი და შეაღებს... წარმოისახება ქაჯეთის ციხედ და ყამარის სამყოფად.

„ვეფხისტყაოსნის“ კვალად, თავად გმირია „წილი“ მზისა და იგი ანათებს სამყაროს: **„ნუ მამკლავ, გმირო ამირან, პირი გაფიცვა მზიანი, / მზის გაღმა ქალი გასწავლო ამომავალი მზე არი“**.

„ვეფხისტყაოსნის“ გავლენით, თავგანწირვა და მიჯნურისთვის სიკვდილის არ-რიდება იჭრება მთქმელის ცნობიერებში: ამირანს მკვდარს ნახავს ყამარი და თავადაც თავს იკლავს. გმირთა გასაცოცხლებლად მანდილი-ხელსახოცი ერთვება თხრობაში. მთქმელს ახსოვს ნესტანის რიდე, ამასთან იცის, მკვდართა აღმდგენელი მაცხოვარია (ავგაროზის ეპისტოლის დარად, მანდილით გაცოცხლების სასწაული ცხადდება):

„ხალხი დასტიროდა მკვდრებს, ღმერთმა გამოგზავნა მერცხალი. მერცხალმა უამბო ქრისტე ღმერთს ქალ-ვაჟი დახოცილან, ღირსნი შენს კარზე საბრძანებლადო. ქრისტემ მისცა ხელსახოცი — პირზედ მოუსვი და ისე უკან დამიბრუნეო. მერცხალმა ორივეს პირზე გადააფარა და გააცოცხლა. პირჯვარი გადაიწერეს ...“

მანდილი-ხელსახოცით გმირის გაცოცხლება, მერცხალი ქრისტესთან შუამავალი ერთი ყველაზე გავრცელებული ფოლკლორული ეპიზოდია.

ამირანის ეპოსში მთქმელები „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველებას მიმართავენ, როგორც საუნჯეს, საგანძურს და უშურველად რთავენ თხრობაში. როგორადაც მყარია ამირანის ეპოსის მითოლოგიები, ისევე მყარია და ცხოველმყოფელი „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება.

შესაძლოა დავასკვნათ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება ერის ცნობიერების საგანძურად არის ქცეული. ამირანის ეპოსის თხრობის ჟამს განსახოვნების ეს პროცესი ვფიქრობთ, უმეტესად გაუცნობიერებელია, ვიდრე წიგნიერი გავლენის შედეგი.

TAMAR KHVEDELIANI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Again the Problem of “The Story of the Indo-Khatavians”

“The Story of Indo-Khatavians” has remained one of the most disputable episodes of the poem *Vepkhistqaosani* so far. Despite the scholarly interest, the question whether it belongs to the main text or is a supplementary passage like other “tales” is unanswered. This issue has divided public opinion into two. Some scholars and researchers think “The Story of Indo-Khatavians” belongs to the main text, while others consider it an inclusion. We believe the poem needs the episode of “The Story of Indo-Khatavians”, where the story of their coming back to the Indies

and ascending to the throne would be narrated. Still, it would be impossible to complete this episode so simply without any fighting.

Key words: the main text, the inclusion, a restored text.

თამარ ხვედელიანი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ისევ „ინდო-ხატაელთა ამბის“ პრობლემის გამო

„ინდო-ხატაელთა ამბავი“ დღემდე რჩება „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ საკამათო ეპიზოდად. მიუხედავად მკვლევარ-მეცნიერთა ინტერესისა, დღემდე არ გასცემია დასაბუთებული პასუხი კითხვას: ნამდვილად მიეკუთვნება იგი პოემის ძირითად ტექსტს, თუ, სხვა „ამბავთა“ მსგავსად, დანართი მონაკვეთია, შემდეგდროინდელი მოღვაწის შემოქმედების ნაყოფი. ამის მიზეზი ისაა, რომ, სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება არათუ დედანი პოემისა, არამედ XII-XIII სს. მეტ-ნაკლებად მიახლოებული ხელნაწერიც კი.

დრომ, რომელიც აშორებდა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორსა და მკვლევარებს, როგორც ჩანს, რუსთაველის სასარგებლოდ არ იმუშავა. სწორედ ამით იყო გამონვეული თხზულებაში არაერთი ყალბი სტროფის გაჩენა, რომელთა „აღმოჩენა“ და მათგან ტექსტის გათავისუფლება საჭირო გახდა, მაგრამ მკვლევართა სუბიექტურ მიდგომას შეეძლო ტექსტიდან განედევნა ზოგჯერ მართლაც უფერული და უღიმღამო სტროფი, ზოგჯერ კი პოეტური მეტყველების ბრწყინვალე ნიმუში. როგორც ამბობენ, გემოვნებაზე არ დავობენ, მაგრამ მაშინაც კი, როცა საქმე „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს ეხება? ვფიქრობთ, მოცემულ შემთხვევაში, თუ ჭეშმარიტება დასადგენია, გემოვნებაზეც შეიძლება კამათი და დავა. ამიტომ გახდა აუცილებელი ჩანართთაგან ტექსტის განმენდა ყოველმხრივ დასაბუთებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

ვახტანგ მეექვსის მიერ გამოცემულ პირველ ნაბეჭდ „ვეფხისტყაოსანს“ სავსებით სამართლიანად აქვს დამკვიდრებული სერიოზული მეცნიერული გამოცემის სახელი, მაგრამ ამასთან ზემოხსენებულმა გამოცემამ ერთი საკამათო საკითხიც წამოჭრა. სწავლულმა მეფემ მანამდე ხელნაწერებით ცნობილი ტექსტის გარკვეული ნაწილი ე.წ. ჩანართ ეპიზოდებად მიიჩნია და „საკუთარი შეხედულებისამებრ“ მოკვეცა (ცაიშვილი 1970: 309). მან, საგანგებოდ ამ გამოცემისთვის, მეტად მნიშვნელოვანი კომენტარებიც დაწერა, თუმცა ზემოხსენებული ტექსტოლოგიური ჩარევის მიზეზი და საფუძველი არ განუმარტავს. ვფიქრობთ, მკითხველი ძნელად შეეგუებოდა პოემის ტექსტის შემცირებულ ვარიანტს, მით უფრო, რომ მეფემ ეს რუსთაველოლოგიურ-ტექსტოლოგიური ოპერაცია „საკუთარი შეხედულებისამებრ“ (აკად. სარგის ცაიშვილი) განახორციელა და მკითხველ საზოგადოებას არ გააცნო ზემოხსენებული ქმედების საფუძველი.

ამ პრობლემურმა საკითხმა საზოგადოებრივი აზრი ორად გაყო. მეცნიერ-მკვლევართა ერთი ნაწილი „ინდო-ხატაელთა ამბავს“ ძირითადი ტექსტის კუთვნილებად აცხადებდა, მეორე ნაწილი — ჩანართად თვლიდა, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მას რესტავრირებულ ტექსტად მიიჩნევდ-

ნენ. მათი აზრით, ეს მონაკვეთი საჭიროებდა „სათანადო ფილოლოგიურ გაცხრილვას“ და რუსთველური ადგილების არარუსთველურისგან გამიჯვნას.

„ინდო-ხატაელთა ამბის“ პოემის კუთვნილების თეორიის მომხრენი არ უარყოფდნენ მხატვრულად სუსტი სტროფების არსებობას (თუ, რასაკვირველია, მეფის მოქმედების მოტივი და საფუძველი მხოლოდ ტექსტის განმეხდა იყო, რამეთუ სიტყვები „საკუთარი შეხედულებისამებრ“ სწორედ ინდივიდუალურ გემოვნებას, სუბიექტურ მიდგომას გულისხმობს), მაგრამ ძირითად ნაწილში ბევრი რამ იყო ისეთი, რაზედაც ამომწურავ პასუხს სწორედ „ინდო-ხატაელთა ამბავი“ სცემდა.

მკვლევარი კონსტანტინე ჭიჭინაძე სწორედ იმ მეცნიერთა ჯგუფს მიეკუთვნებოდა, რომლებიც, ჩანართობის საბაბით, წმინდა რუსთველური სტროფების დაკარგვას პოემის შემადგენლობაში ჩანართის დატოვებას ამჯობინებდა. ის პოეტის შეუმცდარი ალლოთი „ცნობდა“ და აღადგენდა ღირებულ და რუსთველურ ეპიზოდებს.

როგორც აღვნიშნეთ, მკვლევარ-მეცნიერთა მეორე ნაწილი „ინდო-ხატაელთა ამბისა“ და მხატვრული თვალსაზრისით არაერთი საყურადღებო მონაკვეთის რუსთველურობას სადავოს ხდიდა, მაგრამ მსგავსი ადგილებისგან პოემის „გაცხრილვა“ ხშირად რამდენადმე გაუმართლებელი მოსაზრებებით ხდებოდა, მაგალითად, თუ ჩანართად მიჩნეული სტროფის მოკვეცა სიუჟეტს არ აზარალებდა, თბრობის ძაფს არ წყვეტდა, ან თუ ერთხელ გამოთქმულ შეხედულებას რაიმე ფორმით სხვაგან სადმე იმეორებდა, ასეთი სტროფი ჩანართის ნიშნით ტოვებდა პოემის ძირითად ტექსტს. ვფიქრობთ, ეს გაუმართლებელი მეთოდი იყო, რადგან ზემოხსენებული პრინციპით არარუსთველურ სტროფებად მიჩნეულ იქნა შემდეგი ადგილები:

1. თავსა ზის პირმზე ავთანდილ, მჭვრეტთაგან მოსანდომია სპათა სპასპეტი, ჩაუქი, ვითა ვეფხი და ლომია...
2. უბრძანა: „ნადით, დაჰკარგეთ, მუნ, სადა ზღვისა ჭიპია, წმიდისა წყალი ვერ ნახოს მყინვარე, ვერცა ლიპია...
3. უბრძანა: „რადმცა ვინყინე თქმა შენგან საწყინარისა, ფიცა მზე თინათინისა, მის მზისა მონუნარისა...
4. აჰა, მმონმობენ ვარსკვლავნი, შვიდნივე მემონმებიან...
5. კარვის კალთა ჩახლათული ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე, ყმასა ფერხთა მოვეკიდე, თავი სვეტსა შევუტაკე...
6. შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე, გამარიდე, ინდოეთი ჩემი არის, არვის მივსცემ ჩემგან კიდე...
7. გასრულდა ჩემი ანდერძი, ჩემგან ნაწერი ხელითა... და სხვა მრავალი.

მეცნიერთა მესამე ჯგუფი ამ მონაკვეთს რესტავრირებულ ტექსტად მიიჩნევდა და სათანადო ფილოლოგიური კვლევის აუცილებლობაზე ლაპარაკობდა რუსთველური და არარუსთველური სტროფების გასამიჯნად.

პოემის ერთხელ ნაკითხვა სავსებით საკმარისია, რათა დავრწმუნდეთ, რომ ქაჯეთის იერიშისა და ნესტანის გამოსხნის შემდეგ ინტერესი შესამჩნევად ნელდება, მაგრამ ვერც იმას უარყოფთ, რომ „ინდო-ხატაელთა ამბის“ რამდენიმე აუცილებელი ეპიზოდის გარეშე პოემას არ ექნება დასრულებული, კომპოზიციურად შეკრული და სიუჟეტურად გამთლიანებული სახე. თანაც ძირითად ნაწილში ბევრია ბუნდოვანი საკითხი, რასაც სწორედ „ინდო-ხატაელთა ამბავში“ ეფინება ნათელი. მაგალითად: პოემის არასაკამათო ნაწილში არაერთგზის მახვილდება ყურადღება, რომ მტერი

ავიწროვებს ინდოეთს, „მტერთაგან შეჭირვებული“ და „ყოვლგნით ხელ-ალუპყრობელი“ მეფე ფარსადანი უიმედო მდგომარეობაშია. ეს მონაკვეთი მნიშვნელოვან ფუნქციას სძენს ტარიელის თანმხლებ ოთხმოცი ათას არაბ მეომარს და, ამავე დროს, გვიხსნის ინდოელი გმირისა და მისი სატრფოს ფარული მღელვარების მიზეზს: *„ნადი, ინდოეთს მიჰმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა, / მტერთაგან შეინრებულსა, ყოვლგნით ხელ-ალუპყრობელსა“... / „მტერთა აქვთ ჩემი სამეფო, ვიცი, მუნ შიგან მძოველად“.*

როსტევენიც კი (რომელმაც დეტალურად იცის ტარიელის თავგდასავალი) გრძნობს, რომ მისი შიში უსაფუძვლო სულაც არაა, ამიტომ სთავაზობს დახმარებას: *„ავთანდილ თანა წამოგყვეს, ნადით ლაშქრითა დიდითა, / თქვენთა მტერთა და ორგულთა დაჰფრენდით, და-ცა-სჭრიდითა“.*

ვფიქრობთ, ეპითეტი „ორგული“ პირდაპირ მიანიშნებს ხატაელთა მეფის სიმუხთლეზე. ამის შესახებ ხომ მრავალი წლის წინ, ჯერ კიდევ ყმანვილს აფრთხილებდნენ ინდოელი ვაზირები: ხატაელები „არიან მეტად მუხთალნი, ჩვენ ერთხელ კვლაცა ვნახენით, არამცა მოგკლეს ღალატად...“, თავად ტარიელსაც კარგად უნდა ხსომებოდა სახეზე ყალბლიმილგადაფენილი, მოჩვენებითად თავაზიანი და სინამდვილეში საბრძოლველად გამზადებული რამაზ მეფე. „მტერში“ კი როსტევეანს, სავარაუდოდ, მტრადმოკიდებული ხვარაზიმშაჰი უნდა ეგულისხმა, ანუ ისიც ვარაუდობდა, რომ ამ ხნის მანძილზე ინდოეთი რომელიმე მეზობელი ქვეყნის მადააშლილი მმართველის საკბილოდ გადაიქცეოდა, თავსდატეხილი უბედურებით შეძრწუნებული, ტარიელის გარეშე დარჩენილი ფარსადანი კი მომხვდურს შესაფერის წინააღმდეგობას ვეღარ გაუწევდა.

ვფიქრობთ, ეს ოთხმოცი ათასი არაბი მეომარი ტარიელს სწორედ თავისი ქვეყნის გასათავისუფლებლად სჭირდება. მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე უკვე „ინდო-ხატაელთა ამბავი“ მოგვითხრობს. ამის გარეშე პოემა დამთავრდებოდა მაშინ, როცა ტარიელი გაურკვეველი მიზნით თანმხლებ მეომრებთან ერთად სადღაც მინდორში „პურობდა, ღვინოსა სმიდა, არ დოსა“ და ამ სტროფს მოსდევს კიდევ უფრო უადგილო და გაუგებარი „ტარიელს და ცოლსა მისსა მიჰხვდა მათი სანადელი“. თურმე რა ყოფილა „მათი სანადელი?“ მინდორში ლხინი და ნადიმი? ამ გზით პოემის ტექსტი კარგავს უმთავრესს — მოვლენათა თანამიმდევრობას, რომ არაფერი ვთქვათ არაბთა ურიცხვი ლაშქრის დაკარგულ ფუნქციაზე, თანხლების მიზანზე.

„ინდო-ხატაელთა ამბავი“ ამ გაურკვეველობას ბოლოს უღებს. ტარიელის მიზანი ქვეყნის ხსნაა. ფიქრობს სიმუხთლით ცნობილ ხატაელთა მეფეზე, რომელიც, სავარაუდოდ, გარემოებათა საბედისწერო დამთხვევით მოხელთებულ „მარჯუე ჟამს“ ხელიდან არ გაუშვებდა და ფარსადანის თავსდამტყდარ უბედურებას თავის სასარგებლოდ გამოიყენებდა, მას აფიქრებს ხვარაზიმშაჰს, რომლისგანაც ასევე მოსალოდნელი იყო ლაშქრობა ინდოეთში, მას ხომ შვილი მოუკლეს, შვილმკვდარი მშობელი კი მიზეზებსა და ტყუილ-მართალს აღარ დაგიდევს. ამით შეიძლება აიხსნას ტარიელისა და ნესტანის აჩქარება: „ნავიდე, ავი არ მიყოს მე აქა დაყოვნებამან“.

მკვლევარი რიმა ფირცხალაიშვილი ინდო-ხატაელთა პირველ ომს ზნეობრივ ომად მიიჩნევს, ხოლო მეორეს პირველის სამართლიანობის დამტკიცების უტყუარ წყაროდ.

რამდენად სამართლიანია ინდო-ხატაელთა პირველი ბრძოლა, ეს სხვა საუბრის თემაა, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ეს ეპიზოდი მართლაც მისცემდა

დასრულებულ სახეს პოემაში განვითარებულ მოვლენებს. ნებისმიერ შემთხვევაში ინდოეთისათვის ბრძოლა, მტრის აგრესია და ტარიელის მცდელობა ქვეყნის გასათავისუფლებლად მართლაც აუცილებელი ეპიზოდია.

საყურადღებოდ მიგვაჩნია ალექსანდრე ხახანაშვილისა და მიხეილ ჩიქოვანის შეხედულება, რომლებმაც „ვეფხისტყაოსანი“ ჯადოსნური ზღაპრის პრინციპზე აგებულ პოემად მიიჩნიეს. მოგვიანებით მეტი ყურადღება მიექცა მის ფილკლორულ ძირებს და არაერთი საინტერესო ნაშრომით ცხადი გახდა „ვეფხისტყაოსნის“ მჭიდრო კავშირი ქართულ ფოლკლორთან.

მკვლევარი მარიამ კარბელაშვილი ცნობილი მეცნიერის ვლადიმერ პროპის შეხედულებებზე დაყრდნობით აცხადებდა, რომ რუსთველის პოემას ჯადოსნური ზღაპრის ინვარიანტი უდევს საფუძვლად, რაც გულისხმობს გველის მიერ მეფის ასულის მოტაცებას და გმირის ბრძოლას მის გამოსახსნელად (კარბელაშვილი 1980: 648) ვლადიმერ პროპს ყველა ზღაპრის პრაფორმად სწორედ ეს იდეა მიაჩნია. ჯადოსნური ზღაპრის, ფოლკლორული და ლიტერატურული ვეფხისტყაოსანთა შედარებითი სტრუქტურული ანალიზი ცხადყოფს ზემოთქმულს (კარბელაშვილი 1980: 739-743; ხვედელიანი 2003: 372-274).

ჯადოსნური ზღაპრის ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი ხშირად მზეთუნახავის გათავისუფლებით და გმირთა გამარჯვებით მთავრდება, მაგრამ ყოველთვის ამ დროს არ სრულდება ზღაპარი. ხშირ შემთხვევაში ახალი დაბრკოლება, ახალი საფრთხე იჩენს თავს, რასაც მოჰყვება მზეთუნახავის გატაცება და ყველაფერი თავიდან იწყება, არის შემთხვევები, როდესაც გმირს თავისი სამეფო დაპყრობილი ხვდება და იწყება ბრძოლა ქვეყნის ხსნისა და კანონიერი ხელისუფლების აღსადგენად.

მიგვაჩნია, რომ ყოველივე ეს „ვეფხისტყაოსანზე“ ვრცელდება.

არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ ტარიელისაგან ხვარაზმელი უფლისწულის მკვლელობა გაუმართლებელი და ნაჩქარევი საბედისწერო ქმედება იყო. ფაქტია, რომ მეფე ფარსადანისგან ხვარაზმელის ინდოეთში მოწვევა ქვეყნის დამოუკიდებლობასა და ნესტანის დაკარგვის საფრთხეს ბადებდა. მართალია, ტარიელი მოჩვენებითი გულგრილობითა და უდარდელობით უცხადებს ფარსადანს: „შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე, გამარიდე, ინდოეთი ჩემი არის... და ერთი შეხედვით ინდოეთის კეთილდღეობასა და მომავალზე ამახვილებს ყურადღებას, მაგრამ ფარსადანისათვის ხომ დღესავით იყო ნათელი, რაც წარმოადგენდა ტარიელისთვის მთავარ ფასეულობას: ნესტანის ქორწინება სხვა ადამიანთან თუ ქვეყნის ინტერესი და სულ მალე დადასტურდა კიდევ ეს. ინდოეთის უსაფრთხოების მთავარი გარანტი, ქვეყნის მთავარსარდალი ისე, რომ ქვეყნის მომავალზე არც დაფიქრებულა, სხვათა შორის არც იმაზე, რომ თავისი გაუაზრებელი ქმედებით ახალი მტერი გაუჩინა თავის „მკვიდრ მამულს“, უკანმოუხედავად გაჰყვა სატრფოს გამქრალ კვალს და წუთითაც არ დაფიქრებულა, რომ მეფე ფარსადანს და ინდოეთის სრულიად უდანაშაულო მოსახლეობას პასუხი უნდა ეგო შვილის სიკვდილით თავზარდაცემული ხვარაზმშაჰის წინაშე. ის ხომ აუცილებლად დასვამდა კითხვას: რა ფარული განზრახვა და მიზანი ჰქონდა ინდოეთის მეფე-დედოფალს, როცა სასიძოდ ინვევდნენ ხვარაზმელ უფლისწულს და, ამავე დროს, მეფესთან შეთანხმებით თუ შეუთანხმებლად, ქვეყნის უმაღლესი სამხედრო პირი, მთავარსარდალი, სტუმრადნვეულის მოკვლას გეგმავდა. მსგავსი კითხვები პასუხს საჭიროებდა, ამიტომ მიგვაჩნია, რომ პოემას სჭირდება ეპიზოდი,

სადაც მოთხრობილი იქნება მათი ინდოეთში დაბრუნებისა და ტახტზე ასვლის ამბავი, მაგრამ შეუძლებელია ეს პროცესი ასე მარტივად და უბრძოლველად დასრულებულიყო. მართალია, ტკივილით და ფიქრით სავსე ათმა წელმა ტარიელი ზნესრულ გმირად ჩამოაყალიბა, რომელსაც სათანადოდ ჰქონდა გააზრებული თავისი ახალგაზრდული შეცდომები, მაგრამ თუ საჭირო იყო თავდადებული ბრძოლა და ბოროტების ძალების დამარცხება ნესტანისათვის, იმავეს ითხოვდა მისგან ინდოეთი, რომლის ინტერესები ოდესღაც უდარდელად უგულებელყო. ქაჯეთის ომმა ცხადყო, რომ ტარიელისთვის მოსაპოვებელ ჯილდოდ იქცა ნესტანი, რომელიც წარბმეუხრელად ელოდა სატრფოს მრავალი წელი, განსაცდელში ჩავარდნილი ინდოეთიც, ან უკვე ხატაეთის „სახარაჯო“ და სათარემო, წლების მანძილზე ამაოდ ელოდა მხსნელს. მკვლევარი ხვთისო ზარიძე წერს: „ბრუნდება თუ არა ტარიელი თავის სამეფოში? ცხადია, ბრუნდება, მაგრამ არა ომით“ (ზარიძე 1982: 50). ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ სწორედაც ომით, რამეთუ სამშობლოს მოპოვებას, დაცვას გმირული შემართება, პატრიოტული სულისკვეთება, თავდადებული ბრძოლის სურვილი და მუდმივი მზადყოფნა სჭირდება. ინდოეთიც ისევე ელოდა გათავისუფლებს ცრუ-პატრონის ხელიდან, როგორც ნესტანი, „ეგზომ მაღალ ციხეშია“ გამომწყვდეული და ცრუ სასიძოს (ზღაპრული ცრუ-გმირი) შიშით მომლოდინე. როგორც ქაჯეთის ციხის მცველები დააფრთხო ტარიელის „ხაფმა“ ხმამ, ისე ინდოეთის დამპყრობლებსაც უნდა ეგრძნოთ, ვინ იყო ამ მშვენიერი ქვეყნის კანონიერი მეფე-მფლობელი. მკვლევარი ზვიად გამსახურდია ამ მონაკვეთს „აუცილებელ კომპოზიციურ ინგრედიენტს“ უწოდებს, რომელიც სჭირდება ყველა მნიშვნელოვან ანტიკურ თუ შუასაუკუნეობრივ პოემას, უამისოდ თხზულება დასრულებული სახე ვერ ექნება.

მკვლევარმა შერმადინ ონიანმა ვრცელი მონოგრაფია უძღვნა პოემის დაბოლოების საკითხს და საბოლოოდ განაცხადა: „ინდო-ხატაელთა ამბავი კომპოზიციურად მჭიდროდ უკავშირდება ვეფხისტყაოსანს“ (ონიანი 1982: 231), თუმცა არ უარუყვია, რომ ტექსტი საჭიროებს შემდგომ ტექსტოლოგიურ კვლევას, მკვლევარი გიორგი არაბულის აზრით კი პოემის ტექსტი საჭიროებს „ფილოლოგიურ გაცხრილვას“, მაგრამ არა მარტო ეს, არამედ „სხვა, უფრო წინ მდგომი თავებიც. გვიანდელი დანამატების არსებობა აქა ც აშკარაა“ (არაბული 2004: 148). თუმცა ძნელია ამ საკითხის გემოვნების მიხედვით (საკუთარი სურვილისამებრ) გადაწყვეტა, გემოვნება ხომ ინდივიდუალურია.

დამონებიანი:

არაბული 2004: არაბული გ. ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის პრობლემები. 2004.

ზარიძე 1982: ზარიძე ხ. ვეფხისტყაოსნის კომპოზიცია. 2002.

კარბელაშვილი 1980: კარბელაშვილი მ. ხალხური „ვეფხისტყაოსნის სტრუქტურა და ტიპოლოგია. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 97, № 3, 1980.

კარბელაშვილი 1982: კარბელაშვილი მ. ვეფხისტყაოსნის მითოლოგიური ძირები. საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 105, № 3, 1982.

ონიანი 1982: ონიანი შერმადინ, „ინდო-ხატაელთა ამბავი“ „ვეფხისტყაოსანში“, თბ.: 1982.

ცაიშვილი 1970: ცაიშვილი ს. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია. I. თბ.: 1970.

ხვედელიანი 2003: ხვედელიანი თ. ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ სტრუქტურა და მისი მიმართება რუსთველის პოემასთან. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 167, № 2, 2003.

შუა საუკუნეები:
ეპოქა და კულტურული ტენდენციები
Middle Ages – Epoch and Cultural Trends

GIORGI ALIBEGASHVILI

Georgia, Tbilisi

St. Andrew The First-Called Georgian University of The Patriarchate of Georgia

**Toward the History of Writing Materials, Education and Science in
Medieval Georgia**

(Writing Materials, “The Knight in the Panther’s Skin”)

Introduction of various writing materials and articles has its own history. Book covers of many manuscripts are all too often adorned with hammered silver or gold and precious stones; more than one highly artistic content-rich miniature pictures are included in the texts. As for the education and science system of the Middle Ages, it was developed to solve many spiritual and everyday problems which required deep knowledge of geometry, botany, mineralogy, the principles of medicine etc. as well as studying the Bible, theology, foreign languages etc. Here, based on the discussed materials, we suggest that the literary monument of Georgian culture, the poem “The Knight in the Panther’s Skin” must have been written on paper.

Key words: writing materials, methods, “The Knight in the Panther’s Skin”.

გიორგი ალიბეგაშვილი

საქართველო, თბილისი

*საქართველოს საპატრიარქოს ნმ. ანდრია პირველწოდებულის
ქართული უნივერსიტეტი*

**საწერი მასალების, განათლებისა და მეცნიერების ისტორიისათვის
შუა საუკუნეების საქართველოში**

სტატიის შინაარსი, გარკვეული აზრით, უფრო ინფორმაციული ხასიათისაა, თუმცა ქვემოთ გვსურს გამოვთქვათ მოსაზრება, რომლის გაჟღერებაც ამ ნარკვევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს.

მეცნიერთა საგანგებო ყურადღებას ყოველთვის იმსახურებდა იმის კვლევა, თუ როგორ დაიწყო კაცობრიობამ წერა-კითხვა, როგორ ჩამოაყალიბა სწავლა-განათლების სისტემა, რა მიმართულებას იღებდა ის საუკუნეების მანძილზე და ა. შ.

ამ საკითხებს უკავშირდება ანბანური დამწერლობის შემოღების, საწერი მასალისა და ადამიანის ნაფიქრის გადმოცემის სხვადასხვა საშუალების გამოგონების, ხელნაწერთა შექმნის, მათი შემკობისა და გაფორმების ისტორია და, აგრეთვე, ჩვენი წინაპრების როლი კაცობრიობის კულტურ-

რული განვითარების ამ პროცესში. აღნიშნული მიმართებით არსებითი მნიშვნელობა ენიჭება შემორჩენილ ხელნაწერებს, ისტორიოგრაფიულ თუ დოკუმენტურ და სხვადასხვა ხასიათის არქეოლოგიურ მონაცემებს.

ქალაქის მსგავსი საწერი მასალის — პაპირუსის შექმნამდე ადამიანები არაერთგვაროვან ნივთებს ხმარობდნენ, კერძოდ: ქვის, თიხის, მარმარილოს თუ რკინის ფილებს; ანტიკურ ეპოქაში ოქროს, ვერცხლისა და ტყვიის ფირფიტებითაც უსარგებლიათ; იყენებდნენ ხის დაფებსა და სპილოს ძვალსაც. მათზე სხვადასხვა ქვეყნის მმართველები და „ძლიერნი ამა ქვეყნისა“ აღწერდნენ თავიანთ დიად საქმეებს, რადგან სწამდათ, რომ ამით საკუთარ სახელს უკვდავყოფდნენ.

საქართველოში შემონახული წარწერებიდან ერთ-ერთი უძველესია ქვის ფილაზე ბერძნული და არამეული ასოებით შესრულებული, II საუკუნით დათარიღებული, არმაზის ბილინგვა. გავიხსენოთ ტექსტის შემოკლებული ვერსია: „მე ვარ სერაფიტა, ასული ზევახისა, მცირისა პიტიახშისა ფარსმან მეფისა, მეუღლე იოდმანგანისა... ვაება ვაებისა, ის ვინც იყო ახალგაზრდა და იმდენად კეთილი და მშვენიერი იყო, რომ არავინ იყო (მისი) მსგავსი სილამაზით და გარდაიცვალა 21 წლისა“ (წერეთელი 1942: 25).

რაც შეეხება პაპირუსს, ქართულად **ჭილს**, მისი გამოგონება ეგვიპტელთა სახელს უკავშირდება. სიტყვა „პაპირუსი“ წარმომდგარია ეგვიპტური პა-პუ-რო-დან და „სამეფოს“ ნიშნავს. პაპირუსი ისლისებრ მცენარეთა ოჯახს განეკუთვნება და მრავლად იზრდება მდ. ნილოსის დელტაში. მისგან ამზადებენ ნავებს, კალათებს, თოკებს, ჭურჭელს, ავეჯს, სამოსს, ფეხსაცმელს, ჭილოფებს, დეკორატიულ მცენარედ აშენებენ ბაღებში, პარკებსა და ორანჟერეებში, ხმარობენ საკვებადაც; პაპირუსის გულს სანათურების პატრუქად იყენებდნენ, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მისმა საწერ მასალად ხმარებამ განსაზღვრა.

პაპირუსს ანუ ჭილს შემდეგნაირად ამზადებდნენ: მის თხელ, ფართო ზოლებს ერთიმეორის მიყოლებით ალაგებდნენ, შემდგომ ზემოდან მეორე, ზოგჯერ მესამე ფენასაც აწყობდნენ, ასხურებდნენ ბლომად ნილოსის წყალს, ბეგვავდნენ ხის ჩაქურჩებით, აშრობდნენ, გვერდებს ჩამოაჭრიდნენ და აპრიალებდნენ ნიჟარით ან სპილოს ძვლით. რომაელი ავტორის, პლინიუს უფროსის (23/24-79წ.წ.) თანახმად, პაპირუსს ოთხი თვისება უნდა ჰქონოდა: ყოფილიყო **თხელი, მკვრივი, პრიალა და გლუვი**; მაგრამ რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაკლიც ჰქონდა — გადაკეცვისას ტყდებოდა, თან მხოლოდ ცალ მხარეს შეიძლებოდა წერა; ამიტომ მას გრაგნილად ახვევდნენ, რაკი რვეულად ვერ ლაგდებოდა; ზოგიერთი პაპირუსის გრაგნილი წიგნი ორმოც მეტრამდეა და მისი გამოყენება მოუხერხებელი იყო (კაჟდანი 1973: 9-10).

რამდენად ფართოდ იყენებდნენ ჭილს საქართველოში, დაუდგენელია. ჩვენამდე მხოლოდ ორმა ხელნაწერმა მოაღწია — ორივე პალესტინური წარმოშობისაა და სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში ინახებოდა; ერთია ჭილ-ეტრატის იადგარი, დათარიღებული IX-X საუკუნეებით და მეორე — IX ს.-ში გადაწერილი ფსალმუნის ორი ფურცელი.

პაპირუსი შეავიწროვა და ხმარებიდან თანდათანობით განდევნა პერგამენტმა, თუმცა ის ეგვიპტესა და ახლო აღმოსავლეთში ძველთაგანვე გამოიყენებოდა. ტერმინი „პერგამენტი“ სემანტიკურად მცირე აზიაში ბერძნების მიერ დაარსებულ ქალაქ პერგამოსს უკავშირდება.

პერგამენტი, ქართულად ეტრატი, სხვადასხვა ცხოველის ტყავისგან მზადდებოდა, კერძოდ: თხის, ცხვრის, ხბოს, იშვიათად — ანტილოპას ტყავისაგან; ერთ-ერთი ცნობით, ძველად სანერ მასალად „დრაკონის“ (იგულისხმება პითონი) ტყავიც კი გამოუყენებიათ, რომელზეც ოქროს ასოებით ყოფილა დაწერილი ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეა“. განსაკუთრებულად ითვლებოდა ახალშობილი ბატკნისა და ციკნის ტყავები.

ერთ-ერთ ხელნაწერში შემონახულია პერგამენტის დამზადების წესი: ტყავს რეცხავდნენ, გამოჰყავდათ ნაცარტუტში, უმატებდნენ ნახშირმჟავა კალიუმს, ასუფთავებდნენ ბენვისა და მიმხმარი ხორცისაგან, შემდეგ მეორედ რეცხავდნენ, გასაშრობად ჩარჩოზე ჭიმავდნენ, გლისავდნენ ცარცით, რომელიც ცხიმს იწოვდა და ხეხავდნენ მინაქაფათი, რათა გლუვი გამხდარიყო.

პაპირუსთან შედარებით პერგამენტი უფრო მკვიდრი და გამძლეა, დრეკადი, არ ტყდება და მეორე მხარეზეც შეიძლება წერა, მაგრამ გაცილებით ძვირი ჯდებაოდა მისი დამზადება; ზოგიერთი ხელნაწერის ფასად ქალაქში საცხოვრებელი ბინის შეძენა შეიძლებოდა (კაჟდანი 1973: 27-28).

პერგამენტის წიგნებს მარტო შემეცნებითი დანიშნულება არ ჰქონდა, ისინი, ამავდროულად, ხელოვნების ნიმუშები იყო: ხის დაფებისაგან გაკეთებულ ყდაზე ტყავი იჭიმებოდა და ერთმანეთთან ტყავისავე თასმებით ან რკინის მავთულებით იყო დაკავშირებული; ყდა არცთუ იშვიათად ვერცხლის ან ოქროს ჭედურობითა და ძვირფასი ქვებით იყო შემკული; ტექსტებს შორის არაერთი მაღალმხატვრული შინაარსობრივი მინიატურაც იყო ხოლმე ჩართული; ამგვარი ხელოვნების ნიმუშებია ქართველი ოქრომქანდაკელების, ბეშქენ და ბექა ოპიზრების (XIII ს.) მიერ შესრულებული ბერთისა და წყაროსთავის სახარებათა ვერცხლის ყდების მოჭედილობანი.

ისევე როგორც პაპირუსი განდევნა ხმარებიდან პერგამენტმა, ამ უკანასკნელის გამოყენება მოგვიანებით ათასწლეულების წინ ჩინეთში გამოგონილმა ქალაქმა შეავიწროვა; VIII ს.-ში მისი დამზადების ტექნოლოგია ქ. სამარყანდში არაბებმა ისწავლეს; უძველესი არაბული ქალაქის წიგნი 866 წლით თარიღდება.

ქალაქის დამზადების წესი ასეთი იყო: ხის მერქნიდან მიღებულ მასას მავთულის ბადეზე დებდნენ და აბრტყელებდნენ, ამიტომ ფურცლებს სინათლეზე დასანახავი გადამკვეთი ზოლები ატყვია — შვეული და თარაზული. მერქნის მასისთვის წებოდ აღმოსავლეთში კრახმალს იყენებდნენ, დასავლეთში — ცხოველთა რქებისა და ჩლიქებისაგან დამზადებულ ჟელატინს.

IX ს.-დან ქალაქი ბიზანტიაშიც შემოდის, საიდანაც საქართველოშიც უნდა გავრცელებულიყო. სწორედ აქ გვსურს დავსვათ ასეთი კითხვა: რა მასალაზე დაიწერა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“? რატომ არ გვაქვს შემონახული დიდი პოეტის ხელნაწერი, პოემისა, რომელზეც, დღიდან მისი შექმნისა, მრავალი თაობა იზრდებოდა? იქნებ ქალაქდზე დაიწერა ის და, სამწუხაროდ, დროთა ქარტეხილებს ვერ გაუძლო?! ვფიქრობთ, საქართველოს ე.წ. „ოქროს ხანის“ ეპოქაში ძნელი არ უნდა ყოფილიყო ქალაქის დამზადება თუ არა, მისი მეზობელი ბიზანტიიდან შემოტანა, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეტრატის ერთი ხელნაწერის შექმნა სერიოზულ ხარჯებთან იყო დაკავშირებული; ამ მხრივ ქალაქის მიღება გაცილებით იაფი და იოლი იყო. თავისთავად იგულისხმება, რომ თუკი „ვეფხისტყაოსანი“ ქალაქდზე დაიწერა, სხვა

მიზეზებთან ერთად, ამის გამო უფრო ვერ გაუძლებდა დროს, ვიდრე პერგამენტზე გადატანილი ტექსტი.

წერისას სხვადასხვა ხელსაწყო გამოიყენებოდა. ტყავის დიდი თხელი ფირფიტა დასახაზავად, სვეტებისა და სტრიქონების სწორად ჩასაწერად იხმარებოდა. ხაზავდნენ გრიფელით, თიხიანი ფიქალის რბილი ჩხირით; დისტანციის გასაზომად იყენებდნენ ფარგალს; წერდნენ ორმხრივ წამახვილებული კალმით; იხმარებოდა ფრინველის ფრთაც, რომელიც ასე მზადდებოდა: ბატის, გედის ან ფარშავანგის ფრთას დებდნენ ქვიშაში და ნაცარში, ამორებდნენ ზედმეტ აპკებს, ასუფთავებდნენ ქონისაგან, დაბოლოს, წვერს უმახვილებდნენ. არაბებმა პირველი ე.წ. მუდმივი კალამიც კი გამოიგონეს, მელნის შიდა რეზერვუარით.

მელნის დამზადების რამდენიმე წესი არსებობდა. იგი კეთდებოდა მურის, ალუბლის ნებოსა და დამწვარი ძვლის, მათ შორის, სპილოს ძვლის ნაზავისაგან; ურევდნენ სხვადასხვა ნაყოფის კურკის, რბილი მერქნის სახეობების ფხვნილს, ზოგჯერ კი მელანთევზას მელნისებურ სითხეს. არაბეთში ჭვარტლს, დამწვარ მცენარეულ ზეთსა და ნავთს გლისავდნენ ერთმანეთში; სამელნეები კეთდებოდა ქვისგან, ცხოველის რქისგან ან ლითონისგან, მათ შორის, ვერცხლისგანაც. ბევრი მათგანი დღემდეა შემორჩენილი ჩამხმარი მელნით (IX ს.) (კაჟდანი 1973: 27).

წარმართული ასე ქმნიდნენ წარსულში სანერ საშუალებებს, წერდნენ ტექსტებს, თარგმნიდნენ ნაწარმოებებს, აფორმებდნენ ხელნაწერებს, გადასცემდნენ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას თაობიდან თაობებს.

რაც შეეხება შუა საუკუნეების საგანმანათლებლო ტრადიციებს, საყოველთაოდ ცნობილია ძველი საქართველოს ისეთი სასწავლებელი კერები, როგორებიც იყო ფაზისის, მოგვიანებით, გელათის, იყალთოს აკადემიები, აგრეთვე, საზღვარგარეთ მდებარე სამონასტრო კომპლექსები, სადაც, საღვთო სჯულის, ღვთისმეტყველების, უცხო ენებისა და სხვ. გარდა, მრავალ ისეთ გამოყენებით საგანსაც ასწავლიდნენ, რომელთა ცოდნაც აუცილებელი იყო ტაძრებისა თუ მრავალგვარი დანიშნულების შენობების ასაგებად, ხატებისა და ფრესკების დასაწერი საღვთავეების ფერების მისაღებად, ხელნაწერების შესაქმნელად, მედიკამენტების დასამზადებლად და კიდევ მრავალი სულიერი თუ ყოფითი ამოცანის განსახორციელებლად. ეს თავისთავად გულისხმობს გეომეტრიის, ბოტანიკის, მინერალოგიის, მედიცინის და სხვა საბუნებისმეტყველო თუ ჰუმანიტარულ დისციპლინათა საფუძვლების ღრმა ცოდნას.

სამწუხაროდ, ამ მხრივ მწირი ცნობები მოგვეპოვება ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაზე, თუმცა არაერთ თხზულებაში გაფანტული ცნობებისა და ანტიკურ-ბიზანტიური ეპოქების განათლების სისტემის გათვალისწინებით შეიძლება აღდგენა იმ სასწავლო ტრადიციებისა, რომლებიც ადრე შუა საუკუნეების საგანმანათლებლო პროცესს წარმოადგენდა; მითუმეტეს, რომ ბიზანტია საქართველოს მეზობელი სახელმწიფო იყო და ჩვენი ქვეყნის კულტურულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, რეგიონულ ინტერესებს უშუალოდ უკავშირდებოდა. იმასაც შევნიშნავთ, რომ შუა საუკუნეებში განათლება ადამიანის ჭეშმარიტ საკუთრებად მიიჩნეოდა. ჩვენი წინაპრების რწმენით, ის მოზარდს ანიჭებდა სულიერებას, შინაგან განონასწორებულობას, სიმტკიცესა და მხნეობას.

„გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ წმ. გრიგოლი თავის აღმზრდელებს შემდეგნაირად მიმართავს, რაშიც ჩანს შუა საუკუნეების სწავლა-განათლების პრიორიტეტები: „თქვენ იცით ძალი საღმრთოთა წიგნთა, გულისხმა გიყოფია წმიდათა მოციქულთა და მღვდელმოდვართა განსაზღვრებული კანონი წმიდისა კათოლიკე ეკლესიისაო“ (ძეგლები 1963: 250). თავისთავად დაისმის კითხვა: რა საგნები ისწავლებოდა ამ ეპოქის საგანმანათლებლო სასწავლებლებში, გარდა საღმრთო წიგნებისა და წმიდა მოციქულთა და მღვდელმთავართა მიერ განსაზღვრული წეს-კანონებისა? თვალს თუ უფრო შორეულ წარსულს გადავახედებთ, დავინახავთ რომ ანტიკურ ეპოქაში წამყვან სასწავლო-სამეცნიერო დარგად ფილოსოფია — „სიბრძნის სიყვარული“ მიიჩნეოდა; როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში მას თეოლოგია — „ღვთისმეტყველება“ ჩაენაცვლა. მსგავსად ანტიკური ეპოქის მოაზროვნეებისა, ქრისტიანი მოღვაწეებიც, როგორც წესი, მეცნიერების სხვადასხვა სფეროში წერდნენ შრომებს: ღვთისმეტყველებაში, ისტორიოგრაფიაში, მათემატიკაში, მედიცინაში, ანთროპოლოგიაში, ბიოლოგიაში, გეოლოგიაში და ა.შ., რომელთა დარგობრივი დიფერენციაციაც მოგვიანებით მოხდა.

აქვე საინტერესოა ერთი გარემოებაც: თუკი ეკლესიის მიერ, ერთი მხრივ, აკრძალული იყო ანტიკური წიგნების შესწავლა-გამოყენება, მეორე მხრივ, მათი სამეცნიერო-კვლევითი მიღწევების გათვალისწინება აუცილებლად მიიჩნეოდა. ამასთან დაკავშირებით წმ. ეფრემ მცირე (XII ს.) საყურადღებო აზრს გამოთქვამს: „ამათ მიერ (წარმართული წიგნებით — გ.ა.) წინა აღუდგებოდინ შვილნი ეკლესიისანი გარეშეთა მათ ფილოსოფოსთა და მათითავე ისრითა განჰგურემდენ“ მათ (კეკელიძე 1980: 258-259) ანუ არაქრისტიან მონინააღმდეგეებსო. ე.ი. ქრისტიანები არა მარტო საღვთო სიბრძნით, არამედ, ანტიკური წიგნებითაც განისწავლებოდნენ და მათივე იარაღით, მათივე სიბრძნით, თხზულებებით ამარცხებდნენ არაღვთივსულიერ წინააღმდეგომებსა და მწვალებლებს. ამგვარ მსოფლმხედველობას ჯერ კიდევ პირველ წმიდა მამათა ნააზრევში ჰქონდა საფუძველი, კერძოდ, წმ. ბასილი დიდის შეხედულებით, გარეშე სიბრძნე, ყველა წარმართული მანკიერების მიუხედავად, ქრისტიანის სულის შემკობას ემსახურება; წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველიც, წმ. ბასილის საფლავზე წარმოთქმულ სიტყვაში, იმ სიმდიდრეზე საუბრობდა, რომელიც საერო მეცნიერებებშია ჩართული და რომლის თავის სასარგებლოდ გამოყენებაც ღვთისმოსავ ადამიანს შეუძლია (კაჟდანი 1973: 59-60).

ცნობილია, რომ პირველი ქრისტიანული სასწავლებლები ჯერ კიდევ ქრისტიანობის დევნის ეპოქაში წარმოიშვა; IV საუკუნიდან ისინი აქტიურდებიან და უპირისპირდებიან წარმართულ საგანმანათლებლო კერებს. დაწყებით ეტაპზე ისწავლებოდა წერა-კითხვა, ორთოგრაფია, არითმეტიკისა და გრამატიკის საფუძვლები; იგულისხმებოდა კლასიკოსი ავტორების თხზულებათა გაცნობაც; ბიზანტიაში, მაგალითად, ჰომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეას“ კითხულობდნენ. აქვე იმის გახსენებაც შეიძლებოდა, რომ, ხალხური გადმოცემით, ათენში სასწავლებლად გაგზავნილი შოთა რუსთაველი გაუტაცნია ჰომეროსის პოემებს, დაუფლებია ბერძნულ, არაბულ და სპარსულ ენებსაც.

სწავლების მომდევნო ეტაპზე მოზარდები კითხულობდნენ ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს, ხოლო განსაკუთრებული გულმოდგინებით ფსალმუნს სწავ-

ლობდნენ, რომელიც მრავალი საუკუნის მანძილზე ღვთისმსახურების უმთავრეს ტექსტად გამოიყენებოდა. ამ კონტექსტში „შუშანიკის წამებასა“ და „აბოს მარტვილობაში“ დაცული ცნობების გახსენებაც შეიძლებოდა.

რაც შეეხება სხვა საგნებს, რომლებიც შუა საუკუნეების საქართველოში ისწავლებოდა; იმავე „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: წმ. გრიგოლმა „მსწრაფლ დაისწავლა „დავითი“ და ხმითა სასწავლელი სწავლაჲ საეკლესიო, სამოძღვროჲ, ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა და მნიგნობრობაჲცა ისწავა მრავალთა ენათაჲ და საღმრთონი წიგნი ზეპირით მოიწუართნა. ხოლო სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ ისწავა კეთილად; და რომელი პოვის სიტყვაჲ კეთილი, შეიწყნარის, ხოლო ჯერკვალი განაგდის, და განითქვა სისრულე იგი მისი სახელოვნად ყოველთა შორის. ხოლო გარეშესა მას სიბრძნესა სოფლისასა ჰბასრობნ სიტყვისაებრ მოციქულისა, ვითარმედ: გან-რადმე-აცოფა ღმერთმან სიბრძნე იგი ამის სოფლისაჲ. სიტყვაჲ მისი იყო შეზავებული მარლითა მადლისაჲთა. რაჟამს იტყვიან, ბრძნად აღიღის პირი თვისი და წესი განუჩინის ენასა თვისსა და ჰასაკისა ზრდასა თანა სათნოებაჲცა კეთილი იზარდებოდა“ (ძეგლები 1963: 249-250).

მოყვანილი ციტატიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ იმ საგანმანათლებლო პროგრამაში, რომლითაც წმ. გრიგოლი განისწავლა, შემდეგი „დისციპლინები“ შედიოდა: 1) ბიბლია, უპირველეს ყოვლისა კი, „ფსალმუნნი“ და გალობით წარმოსათქმელი ტექსტები; 2) საეკლესიო სწავლა, რომელიც საეკლესიო ისტორიასაც შეიცავდა; 3) სამოძღვრო ანუ ღვთისმსახურება, ლიტურგია; 4) სხვადასხვა უცხო ენა; 5) საღმრთო წიგნები ანუ ბიბლიურთან ერთად ეგზეგეტიკური თხზულებები; 6) გარეშე სიბრძნე ანუ, სავარაუდოდ, ანტიკური ფილოსოფია; 7) მადლის მარლით შეზავებული სიტყვა ანუ მჭევრმეტყველება, რიტორიკა; 8) ქრისტიანული სათნოებანი ანუ ქრისტიანული ეთიკა.

ამ ჩამონათვალში იმ საგანთა მხოლოდ ერთი ნაწილია მოხსენიებული, რომლებსაც შუა საუკუნეების ბიზანტიასა და საქართველოში ასწავლიდნენ, რამდენიმე მნიშვნელოვანი დარგი კი არაა დასახელებული, მაგრამ შეუძლებელია, მათი საფუძვლები არ ყოფილიყო გათვალისწინებული სასწავლო პროცესში, ვინაიდან ცნობილია, რომ წმ. გრიგოლ ხანცთელი იყო საეკლესიო წეს-განგებისა და სამართლის მცოდნე, შეუდარებელი ხუროთმოძღვარი, პოეტი-ჰიმნოგრაფი, საგალობელთა მუსიკოს-შემოქმედი, ადამიანთა სულიერად და ფიზიკურად განმკურნებელი, ხელნაწერთა შემქმნელ-გადამწერი, ხელოვანი და ა.შ.

აღმოსავლეთ საქრისტიანოში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დარგად ითვლებოდა მათემატიკა, რომელიც პრაქტიკული მოთხოვნების შესაბამისად ვითარდებოდა. მათემატიკური გათვლები საქართველოში ასტრონომიული თუ სხვადასხვა კალენდარული თარიღის, საეკლესიო ქრონოლოგიის (მაგალითად, სამყაროს შესაქმის, იესო ქრისტეს მოძღვრების ქადაგების, აღდგომის დღისა და სხვ.), არქიტექტურული პროექტების (აქ აუცილებელი იყო გეომეტრიის ცოდნაც) შესაქმნელად გამოიყენებოდა.

მათემატიკასთან კავშირში უნდა გავიაზროთ ქიმიაც, რამდენადაც მის სწავლებას ასევე დიდი პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა, კერძოდ, ხელნაწერებში, ფრესკათა მოხატვისას, სამკურნალო წამლების დასამზა-

დებლად. ადრებიზანტიური ეპოქიდან ცნობილიც კია სპეციალური ნიშნები ქიმიურ ნივთიერებათა გამოსახატავად, რომლებიც თანამედროვე ქიმიურ ფორმულებს ცვლიდნენ.

ქიმიასთან კონტექსტში განიხილებოდა ისეთი დარგები, როგორებიცაა ბოტანიკა, ბიოლოგია, ზოოლოგია, ანატომია და მედიცინა, რომლებიც ხალხის მრავალსაუკუნოვან დაკვირვებებთან ერთად ითვალისწინებდნენ არა მხოლოდ სოფლის მეურნეობისა და სამკურნალო საქმის ყოფით თუ მეცნიერულ განვითარებას, არამედ მათი ქრისტოლოგიური კუთხით სწავლებასაც. ასე შეიქმნა „ექვსთა დღეთა“ და „კაცისა შესაქმისათვის“, აგრეთვე, „სახისმეტყველი“ თუ „თვალთა“, რომლებშიც, ერთი მხრივ, ყურადღებაა გამახვილებული უფლის „ხელოვანებაზე“, ყოველი საგნის, სულიერის თუ უსულოს, უზენაესის სიბრძნითა და შემოქმედებით განსაზღვრულობაზე და, მეორე მხრივ, ქრისტოლოგიური კუთხით დანახულ მათ სიმბოლურ მნიშვნელობაზე. ამ თხზულებებში თვალსაჩინოა ავტორთა მცდელობა, შეძლებისდაგვარად ერთმანეთთან შეაზავონ ანტიკურობისა და ქრისტიანობის სამეცნიერო-საბუნებისმეტყველო გამოცდილება და წარმოდგენები.

საგანმანათლებლო სისტემის ასევე მნიშვნელოვან კვლევით დარგებად და სასწავლო საგნებად განიხილებოდა ჰუმანიტარული დისციპლინები: ისტორია, ფილოსოფია, სამართლისმცოდნეობა და საბუნებისმეტყველოდან — გეოგრაფია.

ისტორიის, ანტიკურ ეპოქაში ფილოსოფიის, გვერდით მდგომი საგნის მნიშვნელობა შუა საუკუნეებში შეიცვალა და დაუკავშირდა ბიბლიურ ისტორიას, რომელიც სამყაროსა და ადამის შესაქმიდან იწყებოდა. ამასთანავე, ძველი აღთქმა განიხილებოდა ახალ აღთქმაში აღნიშნული ამბების წინასწარუწყებებად, ხოლო ახალი აღთქმა – ძველ აღთქმაში გადმოცემულ წინასწარმეტყველებათა აღსრულებად. ჰუმანიტარული მეცნიერების ერთ-ერთ დარგში — გრამატიკაში იგულისხმებოდა არა მხოლოდ „გრამატიკა“, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, არამედ ლექსიკოგრაფია და მათემატიკა, თავისთავად, ორთოგრაფიაც. Xს.-ის უნიკალურ „შატბერდის კრებულში“ შემონახულია ერთ-ერთი საყურადღებო ძეგლი, რომელშიც შეტანილია მსჯელობა ბერძნული ანბანის, სხვადასხვა ასონიშნის ფინიკიური და ებრაული ანბანების ასოებთან კავშირის შესახებ, აგრეთვე, თუ რომელმა მოღვაწემ რა „შესძინა“ ბერძნულ ანბანს.

რაც შეეხება სამართლისმცოდნეობას, იგი განიხილებოდა მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგენილებებით, სჯულისკანონის შინაარსით, სხვადასხვა სამონასტრო წეს-განგებითა და ბიბლიური ტექსტების განმარტებით, რამდენადაც წმიდა წერილი არა მარტო საღვთო ისტორია და ღვთისმსახურების საფუძველთა საფუძველია, არამედ უფალსა და ადამიანს შორის „სამართლებრივი“ ურთიერთშეთანხმების, ღვთის მიერ დადგენილი ოთხი აღთქმის ზნეობრივ მოთხოვნილებათა სისტემის ამსახველი ძეგლიც.

დაბოლოს, გეოგრაფია, რომელიც ასევე ანტიკურ გამოცდილებას, კერძოდ, სტრაბონის გამოკვლევებს ემყარებოდა; თუმცა შემდგომ პრაქტიკულმა სახელმწიფოებრივმა საჭიროებამ ეკლესიისა და ვაჭრობისათვის სხვადასხვა ხასიათის თხზულებების შექმნაც განაპირობა, რომლებშიც შესაბამის ეპოქათა კონკრეტული ქვეყნები და ხალხების წეს-ჩვეულებანი იყო აღწერილი. ზოგიერთი ასეთი ნაშრომის ავტორები სასული-

ერო პირები ან ვაჭრები იყვნენ და წერდნენ იმ მხარეთა და მიმოსვლის გზების შესახებ, სადაც მოგზაურობა მოუხდათ.

ამგვარია ზოგადი მონაცემები სანერი მასალების შექმნისა და იმ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ტრადიციების შესახებ, რომლებიც შუა საუკუნეებში არსებობდა; გავიმეორებთ, რომ სრულყოფილი სურათის აღდგენა, რა თქმა უნდა, ჭირს, მაგრამ თუ კიდევ ერთხელ გავიხსენებთ ჩვენი წინაპრების მოღვაწეობას, რომ ისინი იყვნენ დიდი ღვთისმეტყველები, ხელოვნები, მხატვრული სიტყვისა და მუსიკალური საგალობლების შემოქმედნი, ხუროთმოძღვარნი, ოქრომქანდაკებელნი, ხატმწერნი, მკურნალნი და ა.შ., აღნიშნული ეპოქის კულტურული, სწავლა-განათლებისა და მეცნიერების სისტემის სურათი უფრო ნათელი გახდება.

დამონებიანი:

კაჟდანი 1973: კაჟდანი ა. პ. წიგნი და მწერალი ბიზანტიაში. მ.: 1973 (რუსულ ენაზე).

კეკელიძე 1980: კეკელიძე კ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. თბ.: 1980.

ძეგლები 1963: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი I (V-X ს.ს.). თბ.: 1963.

წერეთელი 1942: წერეთელი გ. არმაზის ბილინგვა. ენიმკის მოამბე, XIII. თბ.: 1942.

ELBAKIDZE MAK, IRMA RATIANI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Honour and Honesty: The Heroic Ideal in Medieval Courtly Romance

The core element connected to the perfection of a hero in the medieval courtly romance is moral perfection. Accordingly, the moral and ethical beliefs, in the west European heroic culture, are based on such moral virtues, like: courage, loyalty, charity, prudence, courtesy and striving for gaining honour. In the feudal society, where honour and honesty are the main social virtues, the moral values of the Knights are founded on humanistic ideals, which along with chivalrous virtues is the basic principal in the formation of a harmonic personality. Naturally, Christian religion, which teaches to love one's neighbor, devotion and doing good deed, played an important role in the forming of the categorization of the moral principles of an ideal knight. At the same time, the desired or compulsory complex of virtues, which creates the ideal of Christian moral, is densely connected with Aristotelian-Stoic ethics.

Key words: medieval courtly romance, honour and honesty, Christian moral, Cicero, Boethius

მაკა ელზაძიძე, ირმა რატიანი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ღირსება და სახელი: შუასაუკუნეების რაინდული რომანის ჰეროიკული იდეალი

შუასაუკუნეების რაინდული რომანის იდეალური გმირის სრულყოფის ყველაზე არსებითი ელემენტი მორალური სრულყოფაა (თუმცა კი, იმავდროულად, „რაინდობა მასკულინური, აგრესიული ფენომენია“ (ბარბერი 1996: 59), შესაბამისად, დასავლეთ ევროპის სარაინდო კულტურის მორალურ-ეთიკური წარმოდგენები ემყარება ისეთ ზნეობრივ სათნოებებს, როგორებიცაა: სიმამაცე, ერთგულება, სიუხვე, კეთილგონიერება, კურტუაზულობა, გაჭირვებაში ჩავარდნილთა დახმარება, ქველმოქმედება და სწრაფვა ღირსეული სახელის მოსახვეჭად, რომლებთანაც განუხრელადაა დაკავშირებული სხვა სარაინდო ზნენი: ძლეული მტრის დანდობა, მხოლოდ თანასწორი იარაღით ბრძოლა და სხვ.

ისტორიულად რაინდის წოდება ევროპაში ცხენოსან მეომრებს ენიჭებოდათ.* გვიანდელ შუასაუკუნეებში ეს წოდება ასოცირდა რაინდულ კოდექსში ფორმირებულ იდეალებთან, ერთგვარ მორალურ სისტემასთან, რომელიც ავალდებულებდა რაინდს, „დაეცვა სუსტები, უღონონი (ქვრივები, ბავშვები და მოხუცები) და ებრძოლა საყოველთაო კეთილდღეობისთვის“, შესაბამისად, შუასაუკუნეების ყველა რაინდს უნდა ჰქონოდა სათანადო ძალა და უნარი მოწინააღმდეგესთან შესარკინებლად თუ ომში საბრძოლველად. იმავდროულად, კოდექსი ავალდებულებდა რაინდს, ყოფილიყო მაქსიმალურად დისციპლინირებული, გამოეჩინა მონივნება მაღალი სოციალური მდგომარეობის მქონე პირთა მიმართ, უყოყმანოდ მიეღო გამოწვევა და პატივისცემით მოპყრობოდა ახალბედებს.

ცნობილია, რომ ქართული მწერლობის პერიოდიზაციისას ხახანაშვილი საფუძვლად იღებდა ქრონოლოგიურ-ჟანრობრივ პრინციპს. ის ნარკვევებში წერდა, რომ განსახილველ ძეგლებს უდგებოდა „ხან მრავალმხრივი ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით, ხან კი მარტო შინაარსის გადმოცემითა და გარეგნული აღნერით“ (ხახანაშვილი 1987-1901). შ. ბადრიძე მიიჩნევდა, რომ: „ის ვერ გვაძლევს მყარ ქრონოლოგიურ ფარგლებს, რომლებშიაც უნდა მოთავსდეს მწერლობის ისტორია, ეს პრინციპი განზე სტოვებს იმ ჭეშმარიტებას, რომ მწერლობის ისტორიის ეტაპები უმეტეს წილად განისაზღვრებიან ამა თუ იმ ეპოქათა და სასოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების ტენდენციებით (ბადრიძე 1968).

ქრონოლოგიურ — ჟანრობრივ პრინციპზე დაყრდნობით ხახანაშვილმა შემდეგნაირი სურათი მიიღო („ნაკვეთების“ პირველი ტომი ქართულ ხალხურ ეპოსის შესწავლას ეძღვნება):

II ტ. — ძველი ქართული მწერლობა — IV-XII საუკუნეები

ა. ხახანაშვილი ამ პერიოდის ძეგლებს ჰყოფდა ოთხ ძირითად ჯგუფად:

1. ჰაგიოგრაფიული
2. ისტორიული
3. საკუთრივ ლიტერატურული
4. სამეცნიერო, ღვთისმეტყველური და იურიდიული

ა. ხახანაშვილი ძველ ქართულ მწერლობას ჰყოფს სასულიერო და საერო ლიტერატურად, რომელმაც თავისი განვითარების მწვერვალს XI-XII საუკუნეებში მიაღწია. მეცნიერი თვლიდა, რომ სანამ შეიქმნებოდა ქართული მწერლობის ნიმუშები მას წინ ბიბლიურ წიგნთა თარგმანები უძღვოდა. მკვლევარს უძველესი ხანის შესწავლა დანყებული აქვს აპოკრიფული ლიტერატურის განხილვით. მეცნიერი ამ პერიოდის ძეგლებს შინაარსის მიხედვით ოთხ ძირითად ჯგუფად ჰყოფდა: 1. ჰაგიოგრაფიული, 2. ისტორიული, 3. საკუთრივ ლიტერატურული, 4. სამეცნიერო, ღვთისმეტყველური და იურიდიული. სასულიერო მწერლობის შესწავლის პროცესში ხახანაშვილმა დაამუშავა „აბოს წამება“, „მოქცევაი ქართლისაი“, „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“, „გიორგა მთანმინდელის ცხოვრება“, „პეტრე იბერიელი ცხოვრება“, „სიბრძნე ბალავარისა“. გრ. ფარულავას აზრით: „ალ. ხახანაშვილმა, ქართველ მეცნიერთაგან პირველმა, ხაზი გაუსვა აგიოგრაფიული დარგის სპეციფიკას, რომ თავისი ხასიათით აგიოგრაფიული ნაწარმოებები წარმოადგენენ უფრო ლიტერატურულ ნაწარმოებებს, ვიდრე ისტორიულს, ისტორიოგრაფიული ელემენტები არ დგას პირველ პლანზე და ადგილი უთმობს ლიტერატურულს. სისწორე იმისა, ვინც ამ თვალსაზრისს ანვითარებდა გასული საუკუნის ბოლოს, ცხადია დღეს“ (ფარულავა 1986: 1970). ქართული ლიტერატურათმცოდნეობისათვის ძალზედ ფასეულია ხახანაშვილის არგუმენტირებული, ღრმა და დამაჯერებელი ანალიზით გამორჩეული მოსაზრებები მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანზე“ (შესწავლილია ხალხური „ამირანიანიც“), „ვისრამიანზე“, (მასვე ეკუთვნის ქართული და სპარსული რედაქციების შედარების პირველი ცდა), შავთელზე, ჩახრუხაძეზე. ხახანაშვილი განსაკუთრებულად გამოყოფს შოთა რუსთველს. „ვეფხისტყაოსანი“ მას, არამარტო ქართული ლიტერატურის მწვერვალად, უმაღლეს საფეხურად მიაჩნია, არამედ ნაწარმოებად, რომელმაც გაამდიდრა მსოფლიო პოეზიის საგანძური. მეცნიერი მიიჩნევდა, რომ ძნელად თუ ვინმეს გამოუხატავს „ჰუმანისტური და რენესანსული“ იდეალები, ისე ძლიერად, როგორც ეს რუსთაველმა შესძლო. „ვეფხისტყაოსანი“ ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების თანამდევია. ხახანაშვილმა დაამუშავა და წინ წამოსწია ბევრი ისეთი საკითხი, „რომლებიც ასეთადვე დასახა შემდგომმა რუსთველოლოგიურმა კვლევამ“. მკვლევარი მოკლედ ეხება საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური ლიტერატურის ისეთ ცნობილ მოღვაწეებს, როგორნიც იყვნენ: იოანე პეტრინი, არსენ იყალთოელი, იოვანე ბოლნელი, იოანე გრძელიძე, ანტონ ჭყონდიდელი. „ნარკვევების“ ბოლოს დახასიათებულია დავით აღმაშენებლის ანდერძი შიო მღვიმის მონასტრისადმი და „განგება ვაჰანის ქუაბთა“, იურიდიული ლიტერატურიდან განიხილება ადგილობრივი საეკლესიო კრებების დადგენილებები.

III ტ. — XIII-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა

ამ ეპოქას მკვლევარი კულტურული და პოლიტიკური დაცემის ხანად მოიხსენიებს. ეს პერიოდი საკმაოდ დიდია და ხახანაშვილი სულ სხვადასხვაგვარ სახისა და მიმართულების თხზულებებს განიხილავს.

მისი აზრით, XIII-XVII საუკუნის ქართული მწერლობის ძეგლები არ გამოირჩეოდნენ ორიგინალურობითა და მხატვრული ღირსებით. ის უმეტესწილად დიდაქტიკური და ზღაპრული შინაარსის შემცველი იყვნენ. ალ.ხახანაშვილი შეისწავლის „რუსუდანიანს“, „აღლუზიანს“, „სირინოზიანსა“ და სხვას. XVII საუკუნეს კი ხახანაშვილი ეროვნული მოტივის აღორძინების ეპოქად მიიჩნევს. აღორძინების ხანის მწერლებად ითვლებიან მეფე პოეტები — თეიმურაზ პირველი და არჩილი. დამუშავებულია, აგრეთვე, ისეთი ლიტერატურული ძეგლები, როგორცაა — „როსტომიანი“, „ბარამიანი“, „დიდმოურავიანი“. ქართულმა მწერლობამ კი ალ. ხახანაშვილის თვალსაზრისით, განსაკუთრებულ დიდებას XVIII საუკუნეში მიაღწია და ამ პერიოდს მეცნიერი „ვერცხლის ეპოქას“ უწოდებს. ამ ხანის დახასიათების შემდეგ ვრცლად არის განხილული — ვახტანგ მეექვსის, ბაქარ და ვახუშტი ბატონიშვილების, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილისა და ანტონ კათალიკოსის მოღვაწეობა. ასევე გარჩეულია ბესიკისა და საიათნოვას თხზულებები. ალექსანდრე ხახანაშვილმა ყურადღება გაამახვილა XVIII საუკუნის სასულიერო, საერო, სამოგზაურო, მემუარული და ისტორიული ხასიათის ნაწარმოებებზე.*

ალ.ხახანაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ლიტერატურის ისტორიკოსის მიდგომითა და უტყუარი ალლოთი განსაზღვრა ქართველ შემოქმედთა ადგილი ჩვენი მწერლობის ისტორიაში. „ნარკვევები“ საკმაოდ ღირებული შრომაა, როგორც პირველი ცდა, მშობლიური ლიტერატურის ისტორიის სისტემური კურსის შექმნისა. მკვლევარის ამ თხზულებით ეცნობოდნენ ქართულ ლიტერატურას, „არა მარტო ქართველები, თავდაპირველად კარგი ხნის განმავლობაში, ის აკმაყოფილებდა ჩვენი სკოლის პირველ მოთხოვნილებასაც, ვინაიდან სახელმძღვანელოდ იქნა გადაკეთებული“ (კეკელიძე 1960: 19-23).

ცნობილი ქართველი მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ: სოლომონ დოდაშვილი, ალექსანდრე ცაგარელი და ალექსანდრე ხახანაშვილი, მშობლიური ლიტერატურის სისტემატიზაციის გააზრების პროცესში, ყველაზე დიდ მნიშვნელობას ძველი ქართული მწერლობის შესწავლას ანიჭებდნენ. მათი ყურადღების ცენტრში შუასაუკუნეების ქართული მწერლობის წინაშე მდგომი პრობლემები და ლიტერატურის განვითარების კანონზომიერებები მოექცა, მაგრამ მეცნიერები პერიოდიზაციის თავიანთი კონცეფციების გამომუშავებისას სისტემატიზაციის სხვადასხვაგვარ პრინციპებს მიმართავდნენ.

შუასაუკუნეების მწერლობის განვითარების დახარისხებისათვის მიღებულ კლასიკურ მოდელს(ე. წ. „ევროპულ მოდელს“) ემთხვევა ს. დოდაშვილისა და ა. ცაგარელის მიერ დამუშავებული (ქართული მწერლობის) ძველი ლიტერატურის პერიოდებად დაყოფა: IV-XIII საუკუნეების მხატვრული

* IV ტ. XIX საუკუნის ლიტერატურას ეძღვნება, რომელშიც მკვლევარი სამ საფეხურს გამოყოფს: სამოციანი წლებამდე, სამოციანი წლებიდან ოთხმოცდაათიან წლებამდე, ოთხმოცდაათიანი წლებიდან შემდგომ.

მემკვიდრეობის ორ ხანად დაყოფა. ს. დოდაშვილი მათ „ძველ მწერლობასა“ და „ოქროს ეპოქას, (თამარ მეფის ხანას)“ უწოდებს, ხოლო ცაგარელი — „მოსამზადებელ“ (V-XI საუკუნეები) და „კლასიკურ ხანას“ (XI-XII საუკუნეები). ევროპულ მოდელშიც მიღებულია ამგვარი ეტაპების გამოყოფა — მათ შეესაბამება „ადრინდელი“ (V-XI საუკუნეები) და „მაღალი“, ან „კლასიკური“ (XIV-XVI საუკუნეები) შუასაუკუნეების სახელწოდება. ვინაიდან ალ. ხახანაშვილი თავის პერიოდიზაციის სისტემაში ემყარებოდა ჟანრობრივ პრინციპს, მას „ძველი ქართული მწერლობის“ (IV-XII საუკუნეები) პერიოდი ერთიანად აქვს მიმოხილული. ცნობილია, რომ ლიტერატურული პროცესის,* როგორც ლიტერატურის ისტორიული არსებობის, მისი ცალკეულ ეპოქებში, ერის, ქვეყნის, რეგიონის, მსოფლიოს კულტურულ ისტორიაში ფუნქციონირებისა და ევოლუციის ამსახველი ცნების, თანამედროვე გაგება, მისი ლიტერატურულ ეპოქებად დაყოფის და ამ ეპოქებისათვის დამახასიათებელი ჟანრობრივი სისტემების მნიშვნელობის გააზრება მსოფლიო კრიტიკული აზროვნების უფრო გვიანდელი მიღწევაა. ამიტომ, ჩვენი აზრით, ალ. ხახანაშვილის ძველი ქართული ლიტერატურის ჟანრობრივი სისტემატიზაციით დაინტერესება, ქართულ კრიტიკულ აზროვნებაში, ლიტერატურული პროცესის მის ისტორიულ-მხატვრულ მთლიანობაში შესწავლის ერთ-ერთ პირველ მცდელობას წარმოადგენს.

რაც შეეხება ევროპული მოდელის „გვიანდელ შუასაუკუნეების“, ან „ადრინდელი ახალი დროის“ ეტაპს (XIV-XVI საუკუნეები), იგი ქართველ მოაზროვნეებს ქვეყნის ისტორიისა და მისი კულტურული განვითარების სპეციფიკის გათვალისწინებითა აქვთ გაააზრებული. ჩვენს მიერ ჩატარებულმა შედარებითმა ანალიზმა ცხადყო, რომ ქართული კრიტიკული აზროვნების განვითარების საწყის ეტაპზე, მშობლიური ლიტერატურის ისტორიის თეორიული საფუძვლების დამუშავება, მიუხედავად მთელი რიგი თავისებურებებისა, როგორც ქრონოლოგიურად ისე აზრობრივად, ზოგადევროპულ კრიტიკულ კონტექსტში ვითარდებოდა.

დამონეშვანი:

აბაშიძე 1982: აბაშიძე გ. კიტა აბაშიძის ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა. თბ. „მეცნიერება“, 1982.

ბადრიძე 1968: ბადრიძე შ. ქართული მეცნიერების მეჭირნახულე, თბ.: „მეცნიერება“, 1968.

დოდაშვილი 1832: დოდაშვილი ს. „მოკლე განხილვა ქართული ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“. გაზ. „სალიტერატურო ნაწილნი თფილისის უწყებათანი“, №№1,2, 1832.

კეკელიძე 1960: კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1960.

კინწურაშვილი 1986: კინწურაშვილი კ. პეტერბურგელი ქართველოლოგები. თბ.: „მერანი“, 1986.

* „ლიტერატურული პროცესის“ ცნება ჩნდება XX ს. 20-30 წლებში (ჯ. ვიკოს, ი. გერდერის ჟირმუნსკის, ვინოგრადოვის, ტინიანოვის, შკლოვსკის და სხვ. შრომები), მისი თეორიული გააზრება 60-ან წლებამდე გაგრძელდა, XIX საუკუნეში კი მიღებული იყო განმარტებები: „ლიტერატურული ევოლუცია“ და „ეპოქის ლიტერატურული ცხოვრება“.

- კოტეტიშვილი 1965: კოტეტიშვილი ვ. რჩეული ნაწერები. ტ. I. თბ.: „ცოდნა“, 1965.
 ლოლაშვილი 1986: ლოლაშვილი ი. ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი. თბ.: თსუ, 1986.
 ტიგენი 1931: P.van Thieghem. *La littérature comparée*. Paris: 1931.
 ფარულავა 1986: ფარულავა გრ. ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი. თბ.: თსუ, 1986.
 ცაგარელი 1870: ცაგარელი ალ. „ჩვენი უბედური მწერლობა ამ საუკუნეში“. გაზ. „დროება“, №№2,3,4,6,7, 1870.
 ჭუმბურიძე 1974: ჭუმბურიძე ჯ. ქართული კრიტიკის ისტორია. ტ. I. თბ.: თსუ, 1974.
 ხუციშვილი 1969: ხუციშვილი ს. ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1969.
 ხახანაშვილი 1887: 1901, 1907: ხახანაშვილი ა. ნარკვევები. ტ. I-II-III. თბ.: 1887, 1901, 1907.

ELGUJA KHINTIBIDZE

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The Way by which the Story of “Vepkistkaosani” must have Reached XVI-XVII century England

The present study is a continuation of a novelty brought to light towards the end of the first decade of the 21th century which proved a new word for English literary criticism as well: using the plot of *The Man in the Panther's Skin* William Shakespeare's junior contemporaries Francis Beaumont and John Fletcher wrote two plays - *Filaster* and *King and No King*. Two questions are discussed towards further argumentation and interpretation of this discovery: The author of the paper assumes that the story of *The Man in the Panther's Skin* was brought to England by a group of travelers that had sojourned at the royal court of Persia. The cultural and literary interests prevailing in the circle of the counties from where the expedition was sent to Persia and the direct links of this circle with the members of the royal theatre of England are pointed out.

Key words: The Man in the Panther's Skin, King and No King, Filaster, Anthony Sherley, Alaverdy Khan.

ელგუჯა ხინტიბიძე

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გზა — რომლითაც უნდა უნდა მისულიყო „ვეფხისტყაოსნის“ ამბავი XVI-XVII საუკუნეების მიჯნის ინგლისში

უკანასკნელი წლების ქართველოლოგიური მეცნიერების ერთი სიახლე, რომელიც ასევე ახალი სიტყვა აღმოჩნდა ინგლისური ლიტერატურული კრიტიკისათვის ის არის, რომ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი უმთავრესი სიუჟეტური წყაროა შექსპირის ეპოქის დრამატურგების ფრანსის

ბომონტისა და ჯონ ფლეტჩერის ორი პიესის — „ფილასტერი“ და „მეფე და არა მეფე“ (ხინთიბიძე 2011: 49-79). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისურ ფილოლოგიაში XVII საუკუნიდან ხდებოდა ამ ორი პიესის სიუჟეტური ნყარობის ძიება, რაც უკანასკნელ დრომდე მიუგნებლად ითვლებოდა. ამავე დროს განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ის, რომ ეს ორი პიესა ითვლება XVII საუკუნის ინგლისურ დრამატურგიაში ფავორიტული ჟანრის — ტრაგიკომედიის ცენტრალურ პიესებად.

ის გარემოება, რომ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი ბომონტისა და ფლეტჩერის შემოქმედებაში პრინციპული მნიშვნელობის აღმოჩნდა, ამ ფაქტის რენესანსის ეპოქის დასასრულის ევროპული ლიტერატურის პროცესის კონტექსტში ინტერპრეტირებასაც საჭიროებს. ბუნებრივია, რომ ჩვენი შენიშვნები ამჯერად მხოლოდ ინგლისური დრამის პერიპეტიების ფარგლებში რჩება. მაგრამ ამ პერიოდის ინგლისური დრამა ეს უილიამ შექსპირის შემოქმედებაა, ევროპული ლიტერატურის პიკია. სწორედ შექსპირის ტრაგედიის და კომედიის დრამატურგიის ზენიტში დაიმკვიდრა ინგლისის თეატრალურ სცენაზე თავისი ადგილი უფრო მსუბუქმა დრამამ, რომელიც თითქოს ტრაგედია იყო და ამავე დროს კომიკური განწყობილებაც მოჰქონდა. ერთი შეხედვით, იგი ტრაგედიასა და კომედიაზე აღზრდილი მაყურებლის მოთხოვნილებას ეხმიანებოდა ერთი პიესის ფარგლებში მოზღვავებული ტრაგიკული და კომიკური ელემენტებით. ამიტომ არ არის მოულოდნელი ამ პერიოდის ერთი ინგლისელი ავტორის გამონათქვამი: ფლეტჩერთან შედარებით შექსპირი მოსაწყენიაო. ეს იყო იმდროინდელი ევროპული დრამატურგიის ახალი მიმართულება: ტრაგიკომედია — კომიკური ფორმით გადმოცემული ტრაგიკული სიუჟეტი.

ტრაგიკომედია, როგორც თითქმის ყველა ლიტერატურული ჟანრი, ანტიკური საბერძნეთიდან იღებს სათავეს. მისი კლასიკური ნიმუშები ევრიპიდეს სახელს უკავშირდება. მაგრამ მიჩნეულია, რომ ევროპულ ლიტერატურაში მისი შემოტანა ინგლისის მეფე ჯეიმს პირველის ეპოქის ინგლისის თეატრალურ სცენასთან და კერძოდ, ბომონტისა და ფლეტჩერის სახელთანაა დაკავშირებული. ამ დრამის საერთო სტილის დახასიათებას ინგლისური ლიტერატურული კრიტიკა უპირატესად სხვაგვარი დეფინიციითაც ახდენს — ტრაგიკული პერიპეტიები ბედნიერი დასასრულით. სწორედ ამ სტილის ზენიტი იყო ბომონტისა და ფლეტჩერის შემოქმედებაში „ფილასტერი“ და „მეფე და არა მეფე“ — ორი პიესა, რომლებიც ყველაზე მეტად პოპულარული იყო ინგლისის სცენაზე მთელი XVII საუკუნის მანძილზე, ორივე მათგანი აგებული ვეფხისტყაოსნის ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის სიუჟეტურ ღერძზე; ნესტანისა და ტარიელის სასიყვარულო ისტორიაზე, რომელშიც ტრაგიკული პერიპეტიები ბედნიერი დასასრულით გვირგვინდება. ბედნიერი დასასრული ტრაგიკული პერიპეტიებისა არ იყო შემთხვევითი სიახლე ახალი სტილისა. იგი ეპოქის მიერ მოხმობილი სიახლე იყო და უშუალოდ გამოხატავდა საზოგადოებრივი სწრაფვის მიბრუნებას ჰუმანისტური იდეალებისკენ, ჰუმანისტური განწყობისა და სულისაკენ, იმ რწმენისაკენ, რომ სიკეთე იმარჯვებს ბოროტებაზე. ამ ახლებურად მოაზრებული იდეალის დაბრუნებისათვის იმდროინდელ ინტელექტუალურ ცნობიერებას, თანახმად საზოგადოებრივი აზრის პროცესის ცნობილი კანონზომიერებისა, საყრდენი და ტონის მიმცემი იმპულსი წარსულის ლიტერატურული სახეებიდან სჭირდებოდა

და ასეთი აღმოჩნდა შუასაუკუნეების რაინდული სტილი, რომელიც ბომონტისა და ფლეტჩერის მიერ ვეფხისტყაოსნის ამბის გარდასახვით გაცოცხლდა. ახალ ეპოქაში შემოტანილი ეს ძველი იდეალი — უსამართლო და ტრაგიკული მოვლენების სიყვარულის დიდი ძალით დაძლევა — ძლიერი აღმოჩნდა. ეს იდეალი, ტრაგიკომედიის ჟანრში ახლებურად მოაზრებული, მეფე ჯეიმსის ეპოქის ინგლისურმა დრამამ სწრაფად აიტაცა. მას თვითონ შექსპირიც გაჰყვა. მიჩნეულია, რომ შექსპირი თავისი შემოქმედების უკანასკნელ პერიოდში თანამშრომლობს ფლეტჩერთან (პიესა „ჰენრი VIII“). პირადად იგი ტრაგიკომედიის ახალი სტილით ქმნის უკანასკნელ ნაწარმოებებს — „ზამთრის სიზმარი“, „ციმბელინი“ და „ქარიშხალი“ — ე.წ. შექსპირულ რომანტიკულ დრამებს. ამ სამი პიესიდან ბომონტისა და ფლეტჩერის შემოქმედებასთან მიმართების თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია „ციმბელინი“. ამ უკანასკნელის მსგავსება ბომონტისა და ფლეტჩერის „ფილასტერთან“ იმდენად დიდია, რომ ინგლისელი მკვლევარებისთვის საძიებელია, თუ რომელი მათგანია „ორიგინალი“ და რომელი მისი მიბაძვით შექმნილი (თორნდაიკი 1901). თანაც ეს მსგავსება ძირითადად სიუჟეტის ფარგლებში რჩება. „ფილასტერის“ სიუჟეტის ძირითადი ხაზი კი, როგორც გამოვლინდა, ვეფხისტყაოსნის მიხედვითაა კონსტრუირებული. შექსპირის უკანასკნელი მხატვრული სახე არის ჯადოქარი პროსპერო („ქარიშხალი“), რომელიც სცენიდან გადის თავისი ჯადოსნური კვერთხის მიტოვებით, რაშიც შექსპიროლოგები მწერლის ჰუმანისტური, ადამიანის ადამიანური იდეალისკენ სწრაფვას ხედავენ. დიდი დრამატურგი ამ შთაგონებით გავიდა თეატრალური სცენიდან. ტრაგიკომედიის ჟანრის გაგრძელებადაა მიჩნეული უკვე ახალი დროის დიდი შემოქმედების ხელოვნება — ჰენრიკ იბსენის (ნორვეგია), ავგუსტ სტრინდბერგის (შვედეთი), გერჰარდ ჰაუპტმანის (გერმანია), ანტონ ჩეხოვის (რუსეთი).

მე ვფიქრობ, რომ ვეფხისტყაოსნის ადგილი მსოფლიო ლიტერატურის ამ პროცესშიც უნდა მოვიაზროთ.

ინგლისური ლიტერატურათმცოდნეობისა და რუსთველოლოგიური მეცნიერების ამ სიახლის გამოვლენა, ანუ იმის მტკიცება, რომ „ფილასტერისა“ და „მეფე და არა მეფის“ უმთავრესი სიუჟეტური წყარო ვეფხისტყაოსნის ამბავია, მე მომიხდა ფილოლოგიური კვლევა-ძიებით. მიღებული დასკვნის ძირითადი არგუმენტებია: ინგლისური პიესების სიუჟეტური ქარგის მსგავსება ტარიელისა და ნესტანის სასიყვარულო თავგადასავალთან; ცალკეული სიუჟეტური დეტალების ზუსტი მიმართება და დამთხვევა; იდეური ჩანაფიქრის მსგავსება; პერსონაჟთა ხატვის პრინციპული შტრიხების განმეორება; ინგლისელი დრამატურგების მინიშნება საქართველოზე და ვეფხისტყაოსნის მთავარი პერსონაჟის სიმბოლურ სახელზე...

ბუნებრივია, რომ ამ ფილოლოგიური ძიების შემდეგ უთუოდ დაისმის კითხვა: საიდან, როგორ აღმოჩნდა ვეფხისტყაოსნის ამბავი XVII საუკუნის დასაწყისში, ინგლისში სამეფო თეატრალური დასის დრამატურგთა წრეში, კერძოდ, ბომონტსა და ფლეტჩერთან? ისტორიული ცნობები ამ კითხვაზე საპასუხოდ არც საქართველოს და არც ბრიტანეთის ქრონიკებში არ ჩანს. უფრო მეტიც, 1579 წელს დაბადებული ჯონ ფლეტჩერის ბიოგრაფიაზე, მის მიერ 1597 წელს კემბრიჯის კოლეჯიდან წასვლის შემდეგ 1606 წლამდე, როცა იგი ლონდონის ერთ ლიტერატურულ წრეში გამოჩნდა, არავითარი ბიოგრაფიული ცნობა არაა მიგნებული. ამიტომაც მე

ვსაუბრობ იმ სავარუდო გზებზე, რომელთა გზით შეიძლებოდა ქართველთა ამ უდიდეს შემოქმედებით საუნჯეს მიეღნია ინგლისამდე. ჩემს მიერ ინგლისში გამოქვეყნებულ წიგნში სამი სხვადასხვა შესაძლებელი გზაა მითითებული (ხინთიბიძე 2011: 70-72) და ყველა მათგანი მე დასაშვებ ვარაუდად მიმაჩნია. მაგრამ შემდგომმა კვლევა-ძიებამ მე სხვა, ახალ ვარაუდამდე მიმიყვანა, რომელიც ყველაზე სარწმუნო ვარიანტად მიმაჩნია. ესაა ინგლისელ დიპლომატთა დიდი ჯგუფისა და ირანის სამეფო კარზე დანიშნულ ნარმოშობით ქართველ მოხელეთა კავშირი XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე. კერძოდ: XVI საუკუნის უკანასკნელ წელს სპარსეთში დიპლომატიური მისიით ჩადის ინგლისელ მოგზაურთა 26 ნევრიანი ჯგუფი ცნობილი დიპლომატისა და ავანტიურისტის ანტონი შერლის მეთაურობით, რომელიც ექვსიოდე თვე რჩება ირანის სამეფო კარზე და ეწევა პროპაგანდას თურქეთის წინააღმდეგ საომრად სპარსეთის ამხედრებისათვის. როგორც იმდროინდელი ევროპული პუბლიკაციები, ასევე თანამედროვე მკვლევარები ლაპარაკობენ ანტონი შერლის დამსახურებაზე სპარსეთის არმიის რეორგანიზაციის საქმეში. თანამედროვე ირანისტების გამოკვლევების თანახმად, ანტონი შერლი აჭარბებდა თავისი დამსახურების წარმოჩენისას, მაგრამ შაჰ-აბასის მიერ იგი საკუთარი ელჩის რანგში ნამდვილად იყო მივლენილი ევროპაში და წლების მანძილზე მოღვაწეობდა რუსეთში, ცენტრალურ ევროპაში, იტალიასა და ესპანეთში. მე ვითვალისწინებდი იმ გარემოებას, რომ ინგლისელ დიპლომატებს, რომლებიც მსგავსად ამ პერიოდის სხვა ბრიტანელ მკვლევარ-მოგზაურებისა დაინტერესებული იქნებოდნენ აღმოსავლეთის კულტურით, თანახმად აღმოსავლეთმცოდნეთა შორის გავრცელებული თვალსაზრისისა, კავშირი უნდა ჰქონოდათ შაჰ-აბას პირველის უმთავრეს მრჩეველთან და დიდ გენერალთან ალავერდი ხან უნდილაძესთან. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი კი მჭიდრო კავშირში იყო საქართველოსთან და ამავე დროს მნივნობრივითა და ლიტერატურით დაინტერესებული იყო (ხინთიბიძე 2011). ამ კავშირის დადასტურება ჩანს 1613 წელს ლონდონში დასტამბულ ანტონი შერლის წიგნში ირანში მისი მოგზაურობისა და დიპლომატიური საქმიანობის შესახებ. როგორც ამ წიგნიდან ჩანს, სპარსეთის სამეფო კარზე ანტონი შერლის მთავარი მრჩეველი და მხარდამჭერია ალავერდი ხანი.

შაჰ-აბასთან პირველი შეხვედრის შემდეგ ანტონი შერლი ყურადღებას მიაქცევს შაჰის დიდ ვეზირთა წრეს, ეძებს მხარდამჭერებს მათში. აი, რას ამბობს თვითონ შერლი ამის შესახებ (შერლი 1613: 73): „ამიტომ მე გარკვეული დრო მოვანდომე იმაზე ფიქრს, თუ რა გზას უნდა დავდგომოდი, და გამეგო მისი (მეფის) მოქმედებების მიზანი, მის ბუნებასა (ხასიათზე) და მიდრეკილებებზე დაკვირვებით; გარდა ამისა, არა მხოლოდ უნდა მიმეღნია იმისთვის, რომ მას (მეფეს) მოვწონებოდი შინაგანად, არამედ ყველა მისი დიდი თანამდებობის ადამიანებისა — განსაკუთრებით იმათი, რომლებიც ჩემი წარმოდგენით იქნებოდნენ ყველაზე უკეთესი და ძლიერი დამხმარეები ჩემი მიზნის მიღწევაში: ასეთებად მე მივიჩნიე ალავერდი ხანი — მისი გენერალი, და შაჰთამას ყული ბეგი — ორივე ქართველი; და თუმცა ისინი მეფის მამამ, რომელსაც ისინი მიუყვანეს ახალგაზრდობაში, მაჰმადიანებად აქცია, მაინც მათ მუდამ ქრისტიანული გულები ჰქონდათ და უსაზღვროდ კეთილად იყვნენ განწყობილი ყველაფრისადმი, რასაც შეეძლო ქრისტიანთა წამოწყებისათვის ხელის შეწყობა; და საჯაროდ

უსურვებდნენ კარგს მათ საქმიანობაში და ყველა შემთხვევას იყენებდნენ, რომ მათთვის (ქრისტიანებისათვის) პატივი და სახელი მიეგოთ“.

ჩემი ახალი ვარაუდისადმი ნდობა კიდევ მოითხოვს ერთი მიმართულების რამდენიმე კითხვაზე პასუხის გაცემას: ვინ იყო ანტონი შერლი? და-ინტერესდებოდა, თუ არა იგი სპარსეთში კულტურულ-ლიტერატურული ფაქტების მოპოვებით? უფრო კონკრეტულად: როგორ დააკავშირებს ჩემი ვარაუდი ანტონი შერლის შექსპირის თეატრალურ წრესთან, ბომონტსა თუ ფლეტჩერთან?

ანტონი შერლის სპარსული ვოიაჟი განსაკუთრებით პოპულარული იყო ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინციებში — ძველ ანგლო-საქსონურ პროვინციებში: სასექსის, ესექსის, ჰემპშირის საგრაფოები (Sussex, Essex, Hampshire). შერლის სპარსული მოგზაურობის ერთადერთი სპონსორი იყო ესექსის გრაფი რობერტ დევერეუქსი (Robert Devereux). შერლების ოჯახი სასექსის საგრაფოდან იყო. ანტონი შერლის და საუთჰამპტონის (ჰემპშირის საგრაფოს დიდი ქალაქი) გრაფს ჰენრი როუტესლის ცოლად ჰყავდათ დები, ესექსის გრაფის ბიძაშვილები. საუთჰამპტონი ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთის სანაპიროს უმნიშვნელოვანესი ნავსადგური იყო. აქედან გავიდა სამოგზაუროდ შერლის ექსპედიცია. საუთჰამპტონის გრაფი ესექსის გრაფის უმცროსი მეგობარი და ერთგული თანამზრახველი იყო. ასე რომ, ესექსის გრაფი რობერტ დევერეუქსი, საუთჰამპტონის გრაფი ჰენრი როუტესლი და ანტონი შერლი ერთ სანათესაო თუ სამეგობრო წრეს განეკუთვნებოდნენ. თავის მხრივ საუთჰამპტონის გრაფი ჰენრი როუტესლი უილიამ შექსპირის მფარველი, თაყვანისმცემელი და სპონსორი იყო. ამასთან ერთად იგი ესექსის გრაფთან ერთად თეატრის დიდი მოყვარული და ორივენი სამეფო დასის სპექტაკლების სისტემატური და ერთგული მაყურებლები იყვნენ. შექსპიროლოგები იმასაც ვარაუდობენ, რომ შექსპირი ჰენრი როუტესლის (საუთჰამპტონის) ლიტერატურული სალონის ხშირი სტუმარიც უნდა ყოფილიყო. ასე რომ, სამხრეთ აღმოსავლეთ ინგლისის სამი პროვინციის, ყოფილი ანგლო-საქსონური სამეფოს ამ დიდგვაროვანთა მეგობრულ და ნათესაურ წრეს პოლიტიკურ ინტერესთა გვერდით დიდი კულტურულ-ლიტერატურული ინტერესიც ჰქონდა. ეს წრე მჭიდროდაა დაკავშირებული ინგლისის უმაღლეს ინტელექტუალურ-ლიტერატურულ ჯგუფთან — სამეფო თეატრალურ დასთან. ეს ჯგუფი აგზავნის მის ერთ-ერთ აქტიურ წევრს — ანტონი შერლის მის უმცროს ძმასთან რობერტ შერლისთან ერთად სპარსეთში დიდი პოლიტიკური მისიის — სპარსეთის ოსმალეთის წინააღმდეგ ამხედრების მისიით; ევროპის ოსმალეთისაგან დასაცავად აღმოსავლეთში დიდი ომების წამოწყების მისიით. ამკარაა, რომ ამ ვოიაჟს სპარსეთში კულტურული მიზნებიც ჰქონდა. პრინციპული ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ იმდროინდელ, ელისაბედ პირველის ინგლისის, მეცნიერთა და ჰუმანისტთა, კერძოდ დრამატურგთა საზოგადოება მუშტრის თვალით დაეძებდა აღმოსავლეთიდან მოტანილ ყველა ამბავს, ცნობას, წიგნს და ლიტერატურულ სიუჟეტს. ეს იყო სტილი იმდროინდელი ინგლისის თეატრალური საზოგადოებისა, იგი იკვეთება როგორც შექსპირის, ასევე ფლეტჩერის შემოქმედებაშიც. უნდა გავითვალისწინოთ, რომ რობერტ დევერეუქსი, ესექსის გრაფი, შერლის 26 კაციანი ექსპედიციის ერთადერთი დამფინანსებელი

და პატრონი იყო. ამ ვოიაჟის თვით პოლიტიკური მისიაც არ იყო შეთანხმებული დედოფალ ელისაბედ პირველთან. 1600 წლიდან დაწყებული ინგლისში უხვად შედის ცნობები ანტონი შერლის სპარსეთის ვოიაჟის თაობაზე როგორც შერლის პირადი კორესპონდენციებით ბევრ ინგლისელ დიდგვაროვანთან, ისევე ინგლისში დაბრუნებული მისი თანამგზავრების (მაგალითად, უილიამ პერის) მეშვეობით და მაშინდელი ინგლისური პრესის საშუალებით. ამ მოგზაურობამ ინგლისში აღმოსავლეთის შესახებ უხვი ცნობები ჩაიტანა, რომელსაც ეყრდნობოდა იმდროინდელი ევროპული ინტელიგენცია. მიჩნეულია, რომ ანტონი შერლის მოგზაურობის ამბებს თვალყურს ადევნებდა და გარკვეულ ფაქტებს ასახავდა კიდევ თავის პიესებში უილიამ შექსპირიც (ჰანი 2008). თუ რატომ გამოჩნდა შექსპირის შემოქმედებაში შერლის მოგზაურობის მხოლოდ ერთეული ფაქტები, მაშინ როცა შექსპირი და მთელი თეატრალური დასი უაღრესად ახლოს იყო ესექსისა და საუთჰამპტონის გრაფების საზოგადოებასთან, ამაზე იმდროინდელი ინგლისის შიდა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ინტრიგების მძაფრი პერიპეტიები მიგვანიშნებს.

დედოფალი ელისაბედ პირველი ესექსის გრაფ რობერტ დევერეუქსისადმი თავდაპირველად სიმპატიურად იყო განწყობილი. მას დაავალა ირლანდიის წინააღმდეგ დიდი კამპანიის წინამძღოლობა, რაც საშინელი მარცხით დამთავრდა. ესექსის გრაფისა და მისი თანამზრახველების დაპირისპირება სამეფო კარისადმი, რაც გრაფის რობერტ დევერეუქსის დამოუკიდებელ პოლიტიკურ ამბიციებშიც გამოვლინდა (ამის ერთი უმთავრესი გამოვლინება შერლის აღმოსავლური ვოიაჟი იყო), გადაიზარდა პოლიტიკურ შეთქმულებაში (მასში შექსპირის თეატრალური დასიც იყო ჩათრეული), რასაც ესექსისა და საუთჰამპტონის გრაფების დაპატიმრება და 1601 წელს ესექსის გრაფის სიკვდილით დასჯა მოჰყვა. ამან განაპირობა ანტონი შერლის არაპოპულარობა ინგლისის სამეფო კარზე, მის ინგლისში დაბრუნებაზე უარის თქმა და თვით მის შესახებ არსებული პუბლიკაციების ნაწილობრივ აკრძალვა. ეს განხეთქილება ინგლისის სახელმწიფო წრეებში და დაპირისპირება ანტონი შერლისა და მისი ექსპედიციის წინააღმდეგ ინგლისის საზოგადოებაში დიდხანს გაგრძელდა. მართალია, ელისაბედ პირველის გარდაცვალების შემდეგ გამეფებულმა მეფე ჯეიმსმა საუთჰამპტონის გრაფი ჰენრი როუტესლი, რომელსაც თავის დროზე დედოფალ ელისაბედის კარისკაცთა ინიციატივით სიკვდილით დასჯა პატიმრობით შეუცვალეს (მათ ჰენრი როუტესლის მამასთან პირადი მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ), 1603 წელს საპატიმროდან გაათავისუფლა, ხოლო ევროპაში მყოფ ანტონი შერლის მოუხსნა ინგლისის მოღალატის სახელი და მოგვიანებით ინგლისის ელჩის რანგიც მისცა, მაგრამ ანტონი შერლის ინგლისში დაბრუნების უფლება ბოლომდე არ მისცეს.

მე განწყობილი ვარ, ვივარაუდო, რომ ჯონ ფლეტჩერს ხელი მიუწვდებოდა ანტონი შერლის ვოიაჟის შედეგად სპარსეთიდან ევროპაში ჩამოღწეულ მასალაზე. დავინყოთ იმით, რომ შექსპირი და სამეფო დასი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ესექსისა და საუთჰამპტონის გრაფებთან. შეთქმულთა სამეფო კართან დაპირისპირების კულმინაციურ პერიოდში სამეფო დასს დაადგმევინეს შექსპირის პიესა „რიჩარდ II“ ისეთი გადაკეთებული ვერსიით, რომელიც დედოფლის და სამეფო კარის წინააღმდეგ იყო მიმართული. შეთქმულთა დაპატიმრების უმაღლეს სამეფო კარმა

იგივე პიესა სხვა ვარიანტით დაადგმევინა იმავე დასს. როგორც ჩანს, სამეფო კარი შექსპირის სახელს უფრთხილდებოდა. როდესაც შეთქმულების მომხრეთა და თანამგრძობთა სახელები გამოქვეყნდა, მასში შექსპირი არ იყო მოხსენიებული. მიუხედავად ამისა, მისი სახელი ინგლისის მეფე ჯეიმს პირველის მიერ სამეფო დასის სასარგებლოდ 1603 წელს გაცემულ ორ სიგელში სამეფო დასის დრამატურგთა და მსახიობთა შორის მოიხსენიებოდა მეორე ადგილზე. ფიქრობენ, რომ მოგვიანებით უილიამ შექსპირი პირველი დრამატურგის პოზიციიდან მაინც დააქვეითეს, რასაც სწორედ ბომონტისა და ფლეტჩერის დანიშნაობა მოჰყვა.

ჯონ ფლეტჩერი ესექსისა და საუთჰამპტონის გრაფების საზოგადოებასთან დაახლოებული უნდა ყოფილიყო. იგი სასექსის საგრაფოში დაიბადა 1579 წელს. მისი მამა სასულიერო მოღვაწე იყო და საკმაოდ ცნობილი თავისი საგრაფოს მაღალ საზოგადოებაში. ბიოგრაფიული ცნობები ფლეტჩერის ახალგაზრდობიდან 1597 წლის შემდეგ არ ჩანს, ვიდრე იგი 1606 წლიდან არ გამოჩნდა ლონდონის ლიტერატურულ წრეში. XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე კი ამ რეგიონის ორი დიდი გრაფი თავიანთი მრავალრიცხოვანი თანამზრახველებით ჯერ ირლანდიის წინააღმდეგ აწყობენ კამპანიას, შემდეგ სამეფო კარს უპირისპირდებიან. მე ვვარაუდობ, რომ ჯონ ფლეტჩერს ხელი მიუწვდებოდა ამ საზოგადოების მატერიალურ და კულტურულ მემკვიდრეობაზე. სადაც ანტონი შერლის ვოიაჟის მონაპოვარი უთუოდ იქნებოდა. 1608-11 წლებში კი ფლეტჩერისა და მისი თანამოკალმის ფრანსის ბომონტის შემოქმედებით ლაბორატორიაში ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის საფუძველზე შეიქმნა ზემოთ დასახელებული ორივე პიესა.

დამონებიანი:

ხინთიბიძე 2011: Khintibidze, E. Rustaveli's The Man in the Panther Skin and European Literature. "Bennet and Bloom", London: 2011.

შერლი 1613: Sherley, S. A. Relation of this Travels into Persia, London: 1613.

თორნდაიკი 1901: Thorndike, A. H. The Influence of Beaumont and Fletcher on Shaksepere. Massachusetts: 1901.

ხინთიბიძე 2011: ხინთიბიძე ე. რუსთველის ვეფხისტყაოსანი — კულტურული ხიდი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და სეფიანთა ირანის ქართველები. ქართველოლოგი, 16, თბ.: 2012.

ჰანი 2008: Ghani, C. Shakespeare, Persia, and the East. "Mage Publishers", Washington: 2008.

შუა საუკუნეების სასულიერო ლიტერატურა Clerical Literature in the Middle Ages

GOCHA KUCHUKHIDZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaverli Institute of Georgian Literature

Editions of “The Life of St. Gregory the Enlightener” and the Date of Kartli’s Christianization

According to the Arabic and Greek editions of “The Life of St. Gregory the Enlightener” Armenia, Georgia, Lazica and Albania had adopted Christianity approximately before the Second Council of Nicaea (325). By Greco-Arabic editions, Trtad, the king of Armenia, converted to Christianity in autumn. According to “The Life of St. Nino”, the king of Kartli (Iberia) – Mirian converted to Christianity on Saturday, 20 July. Vakhushti Bagrationi was the first emphasizing that July 20 and Saturday coincided in 317. We suppose that the date indicated by Vakhushti Bagrationi is acceptable and Georgian king Mirian must have been converted to Christianity in summer, 317. Furthermore, king Mirian and king Trtad were converted into Christianity in July, 317 and autumn, 317.

keywords: Christianization of Iberia, Armenia; St. Nino. St. Gregory

გოჩა კუჭუხიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„წმიდა გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრება“ და ქართლის გაქრისტიანების თარიღი

„წმიდა გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების“ X-XII სს-ის არაბული და ბერძნული წყაროების თანახმად, სომხეთმა, ქართლმა, ლაზიკამ და ალბანეთმა ქრისტიანობა დაახლოებით ერთდროულად მიიღეს. არაბული რედაქციის მიხედვით, ეს ნიკეის კრების (325 წ.) გამართვამდე მომხდარა. არაბულ-ბერძნული რედაქციებით, სომხეთის მეფე თრდატი შემოდგომაზე მოქცეულა ქრისტესკენ.

„წმიდა ნინოს ცხოვრების“ ცნობით, ქართლის მეფე — მირიანი 20 ივლისს, — შაბათს შემოქცეულა ქრისტესკენ. ეს თხოთის მთაზე ნადირობისას, შაბათ დღეს, მომხდარა.

ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილმა მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ 20 ივლისი და შაბათი 317 წელს დაემთხვა ერთმანეთს. იგი ქართლის მოქცევის თარიღად 317 წელს მიიჩნევდა. ჩანს, მეცნიერი ნაყალბევად თვლიდა „წმიდა ნინოს ცხოვრების“ ცნობას, რომლის თანახმად, წმიდა ნინო ნიკეის კრების შემდეგ შემოვიდა ქართლში.

ჩვენ ვიზიარებთ აკად. რევაზ სირაძის მიერ გამოთქმულ და არაერთი მეცნიერის მიერ გაზიარებულ შეხედულებას „წმიდა ნინოს ცხოვრების“ IV ს-ში შექმნის შესახებ. ამასთან, მიგვაჩნია, რომ ძეგლის არქეტიპი აღსადგენია. ნაწარმოების უძველესი სახის რესტავრაციისათვის ერთმანეთს უნდა შეუდარდეს „წმიდა ნინოს ცხოვრების“ შატბერდული (X ს.) სინური (X ს.), ქელიშური (XIV ს.), „წმიდა ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქციები (XII-XIII სს), ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავი“ (XIII ს.). როგორც კვლევამ დაგვარწმუნა, ლეონტი მროველს „მეფეთა ცხოვრების“ წერისას გამოყენებული უნდა ჰქონდეს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მეორე ნაწილის, ანუ „წმიდა ნინოს ცხოვრების“ შატბერდულ-ქელიშური და სინურისაგან განსხვავებული, ნუსხა, — მასთან საკმაოდ მნიშვნელოვანი ცნობებია შემონახული ნაწარმოების ზოგიერთი ეპიზოდისა...

იგივე ითქმის გულაბერისძის ტექსტზე. მეტაფრასული რედაქციებიც, ცხადია, დროის შესაბამისად არის გარდაკაზმული.

შატბერდულ-ქელიშურ, სინურ ტექსტებში არაერთი ჩანართია, გადაკეთებულია წინადადებები...

ცნობა იმის შესახებ, რომ წმიდა ნინო ქართლში ნიკეის კრების, ე. ი. 325 წლის შემდეგ, შემოვიდა, შატბერდულ, ქელიშურ და სინურ ტექსტებშია შემორჩენილი. ამ წყაროებში არასწორად არის დასახელებული ნიკეის კრების გამართვის თარიღიც. გავიხსენოთ ეს ეპიზოდი.

წმიდა ნინო გვიამბობს, რომ გაიანესა და მის მეგობრებთან ერთად დასახლდა და ორი წელი მათთან იმყოფებოდა. შემდეგ, სანამ დაინწყებოდა თბრობა იმის შესახებ, თუ როგორ წარემართნენ გაიანე, რიფსიმე, ორმოცდაათი მონაზონი და, მათ შორის, წმიდა ნინო სომხეთისაკენ, როგორ აწამა ისინი სომხეთში თრდატ მეფემ და როგორ დაიხსნა მათგან თავი ნინომ დამალვითა და შემდეგ ქართლისაკენ წამოსვლით, ტექსტში ასეთი ცნობა გვხვდება:

„მაშინ მოხედა უფალმან საბერძნეთს და ჰრწმენა მეფესა კონსტანტინეს და ქრისტე აღიარა მან და დედამან მისმან და ყოველმან პალატმან მათმან დასაბამითგან წელსა ხუთ ათას ოთხმეოც და ოთხსა, ხოლო ქრისტეს ამაღლებითგან სამას და ათერთმეტსა. და წარემართა ყოველი საბერძნეთი ქრისტეანობასა. მეშვიდესა წელსა იყო წმიდაჲ კრებაჲ ნიკეას. და მერვესა წელსა იყო სილტოლვაჲ ჩუენი საბერძნეთით“ (ძეგლები 1964: 114).

როგორც ვხედავთ, ამ ტექსტის მიხედვით, კონსტანტინე კეისარი გაცილებით ადრე გაქრისტიანებულია, ვიდრე — თრდატ მეფე ან მეფე მირიანი. ყველა დასახელებული წყარო ეწინააღმდეგება სომხეთის მეცნიერთა დიდ ნაწილში გავრცელებულ შეხედულებას, რომლის თანახმად, სომხეთი მსოფლიოში პირველი გაქრისტიანდა 301 წელს ან — უფრო ადრე... ამ დებულებას თვით სომეხთა მომაქცევლის — წმიდა გრიგოლ (გრიგორ) განმანათლებლის არაბული და ბერძნული ვერსიები ეწინააღმდეგება...

ქართულ ტექსტში დასახელებულია „ქრისტეს ამაღლებითგან 311 წელი“, რაც კონსტანტინეს ოჯახის გაქრისტიანების თარიღად არის წარმოდგენილი. ცნობილია, რომ წყაროებში ხშირადაა ხოლმე არეული ქრისტეს შობისა და მისი ამაღლების თარიღები.

რა მოვლენაზე უნდა მიგვანიშნებდეს აქ დასახელებული 311 წელი?

კონსტანტინე დიდმა 313 წელს ლიკინიუსთან ერთად გამოსცა ედიქტი (მილანის ედიქტი), რომლითაც ქრისტიანობა რელიგიად აღიარა.

ორი წლით ადრე — 311 წელს კეისარმა გალერიუსმა გამოაქვეყნა ქრისტიანობის მალღობიერი ედიქტი.

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ამ შემთხვევაში 311 წელს მომხდარი მოვლენა კონსტანტინეს სახელთან შეცდომით არის დაკავშირებული. საერთოდ, ქართულ წყაროებში ომები თუ სხვა მოვლენები ხშირად არეული, რის შესახებაც საგანგებოდ ვსაუბრობთ ამ საკითხებისადმი მიძღვნილ ცალკე ნაშრომში (კუჭუხიძე 1999).

„წმიდა ნინოს ცხოვრების“ იმ ეპიზოდში, რომელშიც წმიდა ნინო გვიამბობს, თუ როგორ დასახლდა რიფსიმეანთა შორის, როგორ გაემართნენ ისინი სომხეთისაკენ, როგორი წამებით აღესრულნენ გაიანე და მისი მეგობრები, ძალზე არაბუნებრივ შთაბეჭდილებას ტოვებს ის ადგილი, რომელშიც ნათქვამია, რომ უფალმა მოხედა „საბერძნეთსა და ჰრნმენა საბერძნეთსა და მეფესა კონსტანტინეს“... რისთვის არის საჭირო ამ თხრობაში ასე უცბად და მოულოდნელად კონსტანტინესა და ნიკეის კრების, თარიღების შესახებ ცნობების შემოტანა? ეს ცნობები არ მოიპოვება ლეონტი მროველთან, რომელიც „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ერთ-ერთი უცნობი ტექსტით სარგებლობს. ლეონტი მროველთან, როგორც ითქვა, გვხვდება ცნობები, რომლებიც შატბერდულ-ჭელიშურ და სინურ ტექსტებში არ არის შემონახული.

ხსენებული ცნობა ნიკეის კრების შესახებ შინაარსობრივად გაუგებარს ქმნის ნაწარმოებს, — გაუგებარია, ნიკეის კრების შემდეგ, როცა რომის იმპერიაში ქრისტიანობა ფაქტიურად უკვე გამარჯვებული იყო, რად დასჭირდათ ქრისტიან ასულებს რომის იმპერიიდან გაქცევა? ჩვენ ვიცით, რომ ისინი ქრისტიანობის გამო იყვნენ დევნილები და ძალზე საეჭვოა, ნიკეის კრების შემდგომ რომის ხელისუფლებისაგან დამალვა დასჭირვებოდათ და ამის შემდეგ კი სომხეთის ხელისუფალს მიელო დავალება, რომ მოეძებნა რომისა და სომხეთის ხელისუფლებისათვის მიუღებელი რელიგიის აღმსარებელი ასულები.

ყოველივე უფრო ადრე მომხდარის შთაბეჭდილებას ტოვებს, შატბერდულ, ჭელიშურსა და სინურ ტექსტებში შემდგომ უნდა იყოს ჩართული ცნობა ნიკეის კრების შესახებ და ეს იმისათვის უნდა იყოს გაკეთებული, რათა ეჭვი არავის შეეტანა, რომ ქართლში ყოველივე მსოფლიო კრების დადგენილებათა შესაბამისად მოხდა...

ცნობილია, რომ წმიდა ნინოს, როგორც ქალ მომაქცეველს, მონინა-აღმდეგეებიც ჰყავდა... ნიკოლოზ გულაბერისძე მკაცრად მიმართავს მონინა-აღმდეგეებს, რომ არ გაბედონ წმიდა ნინოს, როგორც ქალი განმანათლებლის, წინააღმდეგ რაიმეს თქმა...

„წმიდა გრიგოლის ცხოვრების“ ბერძნულ-არაბული ვერსიები და ქართული წყაროების მონაცემები გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ „წმიდა ნინოს ცხოვრებაში“ შემდგომ უნდა იყოს შეტანილი ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს ქართველთა განმანათლებელი ნიკეის კრების შემდეგ შემოვიდა ქართლში. ყოველივე გაცილებით ადრე მომხდარის შთაბეჭდილებას ტოვებს, — ისტორიული საბუთები გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ ქართლის მეფე მირიანი მართლაც 317 წლის ზაფხულში უნდა იყოს მოქცეული. საფიქრებელია, რომ მირიანი 317 წლის ივლისში, ხოლო თრდატ მეფე ოდნავ მოგვიანებით, — 317 წლის შემოდგომაზე მოიქცა ქრისტესკენ (არაბული რედაქციის თანახმად, თრდატმა რიფსიმეანები 26 სექტემბერს, ბერძნული რედაქციით, — 26 ოქტომბერს აწამა. ამის შემდეგ

ცოდვებში ჩავარდა და დაავადმყოფებული მხოლოდ მას შემდეგ გათავისუფლდა სნეულებისაგან, რაც ქრისტიე ირწმუნა).

„წმიდა გრიგოლის ცხოვრების“ რედაქციათა კრიტიკული ანალიზი ცხადყოფს, რომ ქართლის მოქცევა წმიდა ნინოს სახელს უკავშირდება და არა — წმიდა გრიგოლისა. ტექსტების ანალიზი აშკარად წარმოაჩენს ამ გარემოებას (ხსენებული საკითხების შესახებ იხ. — კუჭუხიძე 1997).

მირიან და თრდატ მეფეები 317 წელს ჩანან მოქცეულები.

საინტერესოა, რომ ვახუშტისეულ თარიღთან ახლოს დგას ასტრონომიული მონაცემები, რომელსაც ამ ბოლო დროს მიექცა ყურადღება და რომლის თანახმად, 319 წელს, ან მის ახლო ხანებში, მართლაც მომხდარა მზის დაბნელება.

მართალია, ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ „წმიდა ნინოს ცხოვრებაში“ ძველი, წარმართული მზის დაბნელებაზე და მირიანისათვის ახლის, — სულიერი მზის ანუ თავად ქრისტეს გამოცხადების შესახებ არის საუბარი (ამის შესახებ ადრე, — 1988 წელსაც ვწერდით), მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ფიზიკური მოვლენა, შესაძლოა, სულიერ პრიზმაში გაეშუქებინა ქართლის გაქრისტიანების ისტორიის მთხრობელს... სრულიად თავისუფლად არის შესაძლებელი, რომ მზის ფიზიკური დაბნელება, ასტრონომიული მოვლენა, მართლაც მოხდა, რაც მირიანის სულში სულიერი მეტამორფოზის საფუძველი გახდა.

როგორც ითქვა, ქრისტიანობაზე მირიანისა და თრდატ მეფეების მოქცევა, შესაძლოა, 317 წელს მოხდა, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება კი, ჩანს, არ არის შეუძლებელი, ოდნავ მოგვიანებით, — იქნებ, მომდევნო 318 წელს იყოს მომხდარი. ვახუშტის თარიღს დიმიტრი ბაქრაძე იზიარებდა, 318 წელს არაერთი მომხრე ჰყავს. ერთ-ერთი, ვინც ბოლო წლებში ამ აზრს ავითარებს, პროფ. რამაზ პატარიძეა.

ბერძნული და არაბული წყაროების თანახმად, ამავე დროს გაქრისტიანებულია ეგრისი, ასევე — ალბანეთი. ხსენებულ წყაროთა მიხედვით, კავკასიის ოთხი ქვეყანა ერთდროულად არის ქრისტესკენ მოქცეული.

სანამ საუბარს დავასრულებდეთ, გვინდა ორიოდ სიტყვა დავძინოთ, თუ როგორი სახით შემოვიდა ქრისტიანობა, ერთი მხრივ, ქართლსა და სომხეთში, მეორე მხრივ, — თავად რომის იმპერიაში.

311 და 313 წლების ედიქტებით ქრისტიანობა რომის იმპერიაში სახელმწიფო რელიგიად არ გამოცხადებულა, — ქრისტიანობა რელიგიად ცნეს და მისი აღიარების უფლება ყველას მიეცა. შეიქმნა საშუალება, რომ ჰარმონიულად, ეტაპობრივად გადასულიყო ხალხი ქრისტიანობაზე, ამასთან, შენარჩუნდა წარმართული კულტურა.

თუ ამ მიმართებით ქართლზე ვისაუბრებთ, უნდა ითქვას, რომ, როგორც არქეოლოგიური წყაროები მოწმობს (მცხეთის, ჟინვალის, ურბნისის, არაგვისპირის, ნასტაკისის...), ქართლში წმიდა ნინოს შემოსვლამდე უკვე შემოსული ყოფილა ქრისტიანობა, რამაც აქ გააადვილა, რომ ქრისტიანობა თავიდანვე სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებულიყო, თუმც, ისიც უნდა ითქვას, რომ წარმართული ღვთაებები, რომლებიც შემდგომში ხელოვნების ნიმუშებად უნდა ქცეულიყო, ამგვარი მოქმედების შედეგად მოისპო... რაც არ უნდა კეთილშობილური სახისა ყოფილიყო, წარმართული ღვთაებების, იქნებოდა ეს გაზაფხულისა თუ ნაყოფიერების ღვთაებები, გაქრისტიანულება იმდროინდელ ქრისტიან მოღვაწეთა მიზანი არ

ყოფილა (ვიტყვი, ასე, — სულიერი სამყაროს მკვიდრ ღვთაებათა გაქრისტიანება არ ჰქონიათ მიზნად, ამგვარად არ წარმართა ქვეყანათა ქრისტიანიზაციის პროცესები. თუმცა, ასეთი თუ მსგავსი შემთხვევების მოსაძიებლად შეიძლება სამომავლო კვლევა...). ამგვარმა პროცესებმა კი ბევრგან ხელი შეუშალა წარმართული კულტურის შენარჩუნებას...

ქრისტიანობაზე ქართლის მოქცევის შესახებ უამრავი თარიღია სავარაუდოდ მიღებული. ერთ-ერთი ვახუშტი ბაგრატიონის 317 წელია. ამ საკითხზე, როგორც ითქვა, სტატიაში ადრეც გვექონია საუბარი (კუჭუხიძე 1999), ამჯერად კი საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე, დამატებით მასალებთან ერთად, გამოგვაქვს იგი. ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი, უფრო ინტენსიურად ვიკვლიოთ, — სწორედ ვახუშტი ბაგრატიონი ხომ არ არის ის მეცნიერი, ვინც ყველაზე უფრო ახლო მივიდა სიმართლესთან?

დამონებიანი:

გარიტი 1946: Garitte G. Documents pour l'etude du livre d'Agathange, citta del Vaticano. MCM XLVI, 1946.

კუჭუხიძე 1999: კუჭუხიძე გ. ქართლის მოქცევის თარიღი „გრიგორ განმანათლებლის ცხოვრების“ არაბულ-ბერძნული ვერსიების ფონზე. „ლიტერატურა და ხელოვნება“, № 3, თბ.: 1999.

კუჭუხიძე 1997: კუჭუხიძე გ. გრიგორ განმანათლებლის ცხოვრების ვერსიები და ქართველთა მოქცევის საკითხი. „რელიგია“, №№7-8-9, თბ.: 1997.

მარი 1905: Марр Н. Крещение армян, грузин, абхазов и аланов св. Григорием. СПб, 1905.

უძველესი ტექსტები 2009: „წმიდა ნინოს ცხოვრების“ უძველესი ტექსტები, გამოსაცემად მოამზადა ზაზა ალექსიძემ. // წმიდა ნინოს ცხოვრება და ქართლის მოქცევა. ლიტერატურის ინსტიტუტის მეგზური. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბ.: 2009.

ქართლის ცხოვრება 1955: ქართლის ცხოვრება. ტ. I. სიმონ ყაუხჩიშვილის გამოცემა. თბ.: 1955.

ძეგლები 1964: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I. დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ.ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ლ. ჯღამაიამ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ.: 1964.

KETEVAN MAMASAKHLISI

Georgia, Tbilisi

Tbilisi Spiritual Academy and Seminary

Ancient Georgian Translation of St. Basil the Great's "Asketikon"

The composition of St. Basil the Great's "Asketikon", the work of ascetic character created in the realm of Christian culture, is an exceedingly important source for studying the essence of the monastic life. Four editions of the "Asketikon", or in the terminology of Ephrem the Lesser, "The Book of Works", have become established in Georgian reality. Long and short rules of an ascetic nature are considered as a hypotype or an archaic form of the "Asketikon". These questions and answers are really the basic components of the composition, to which other epitimias, words, or epistles of an ascetic quality were added

later on. The main part of the composition is headed with a prologue, surviving only in the manuscript of A 132

Key words: a translation, monastic life, long and short rules, archaic.

ქეთევან მამასახლისი

საქართველო, თბილისი

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

ბასილი დიდის „ასკეტიკონის“ ძველი ქართული თარგმანი

ქრისტიანული კულტურის წიაღში შექმნილი ბასილი დიდის „ასკეტიკონის“ ძველი ქართული თარგმანი ჩვენამდე შემონახულია XII-XVIII საუკუნეების ხელნაწერების სახით. ამ ძეგლისადმი გაუნელებელი ინტერესი ქართულ სინამდვილეში განაპირობა თემატიკის იმ მრავალფეროვნებამ, რომელიც აღნიშნულ თხზულებაშია დაუნჯებული. ბასილი დიდი, თავად სამონასტრო ცხოვრების ფუძემდებელი და ორგანიზატორი ქრისტიანულ სამყაროში, მასში თავს უყრის, ერთის მხრივ, პირადი ცხოვრებით შეძენილ სიბრძნეს და, მეორეს მხრივ, ქრისტიანულ მოძღვრებასთან, სამონასტრო ცხოვრების ორგანიზებასთან, ქრისტიანულ მორალთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

საკუთრივ ქართულ სინამდვილეში „ასკეტიკონის“ ოთხი დამოუკიდებელი რედაქციის არსებობა კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს ძეგლის განსაკუთრებულობას. წერილობით წყაროებზე დაყრდნობით მისი პირველი ქართული რედაქციის ავტორად პროკოფი მღვდელი უნდა მივიჩნიოთ, რომლის თარგმანსაც XI ს-ის საეკლესიო მოღვაწე და შავი მთის მწიგნობრული სკოლის წინამძღოლი ეფრემ მცირე თორმეტი წელი ელოდა. აღნიშნული წყაროს მიხედვით, ქართველი მეცნიერები „ასკეტიკონის“ ქართული თარგმანის ისტორიას, სავარაუდოდ, X საუკუნიდან ითვლიან. ესაა ბერმონაზვნული ცხოვრების აყვავების ხანა საქართველოში და, ბუნებრივია, რომ აღნიშნული ძეგლისადმი განსაკუთრებული ინტერესი სწორედ ამ ეპოქას უკავშირდება. თუმცა, ჩვენი აზრით, ბასილი დიდის „ასკეტიკონისადმი“ დაინტერესება არც წინარე საუკუნეების ქართველ სულიერ მამათათვის უნდა ყოფილიყო უცხო. უფრო მეტიც, დაბეჭდვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „წმინდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ სამონასტრო ცხოვრების წეს-განგება გარკვეულწილად ემსგავსება ბასილი დიდის მიერ შემოღებულ სამონასტრო წესებს. მსგავსად ბასილი დიდის სამოღვაწეო წესებისა, აღნიშნულ ნაწარმოებშიც გამოკვეთილია ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორცაა წინამძღვრის უფლება-მოვალეობანი, მონასტერში მიღების პირობა, ახლადმიღებულთა გამოცდა, ურთიერთობა ბერობის მოსურნე ყრმებთან, სხვადასხვა სათნოებების დაუნჯება. წმინდა ბერული ღვაწლის გარდა ორივეგან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ურთიერთობას ახლობლებთან. ორივე ნაწარმოებში ხაზგასმულია კვინობიტური მოღვაწეობის უპირატესობა, ასევე ორივეგან გამოკვეთილია ის აზრი, რომ ასკეტური მოღვაწეობის გვირგვინი არის ღვთის სიყვარული, რომელიც განცხადებულად მოყვასზე ზრუნვით გამოვლინდება.

ამგვარი თანხვედრა ამ ორ ძეგლს შორის მიგვანიშნებს იმაზე, რომ, შესაძლოა, „ასკეტიკონი“ ზეპირი თუ წერილობითი ტრადიციით წინარე საუკუნეებშიც ყოფილიყო ცნობილი ქართველ მოღვაწეთათვის. მით უმეტეს თუ გავიხსენებთ, რომ ქართველ ბერებს ჯერ კიდევ VI საუკუნეში ჰქონდათ ცხოველი ურთიერთობა საზღვარგარეთის სამონასტრო კერებთან და ეს ურთიერთობა, ქრისტიანული მორალიდან გამომდინარე, უნდა ყოფილიყო ორმხრივი. მოგვიანებით კი როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ არსებულ ქართულ სამონასტრო კერებში ოფიციალურად დაინერგა „ასკეტიკონის“ გამოყენება საეკლესიო პრაქტიკაში.

„ასკეტიკონის“ ქართული თარგმანის რიგით მეორე რედაქციას (ეფრემ მცირის თარგმანს) მთარგმნელის მეთოდურიდან გამომდინარე, აშეიბზე ახლავს სხვა და სხვა სახის მინაწერები. ერთ-ერთი მათგანს, კერძოდ, A689 ნუსხას სქოლიოს სახით დართული აქვს საინტერესო ცნობა მოცემული თხზულების დედნის რედაქტირების შესახებ: „ვიდრე აქამომდინი ოდენ წერილ იყო პონტოთ მოღებულსა წიგნსა, ხოლო ამიერიტგანნი ოცდა შვიდნი თავნი და კანონნი კესარიათ მოღებულისა წიგნისაგან შეეძინეს“ (106 r). ე. ხინთიბიძის თანახმად, „ეს მინაწერი აშკარად მოწმობს, რომ VI საუკუნის პონტოური რედაქცია ბასილი კესარიელის „სამოღვაწეო წიგნისა“ დღეისათვის ცნობილი უძველესი და უსრულესი რედაქციაა“ (ხინთიბიძე 1969: 163). ის ფაქტი, რომ ეფრემ მცირე აღნიშნული ნუსხის აშეიბზე თხზულების ყველაზე არქაულ ფორმას მოიხსენიებს, გვაფიქრებინებს, რომ შუა საუკუნეების ქართველი მოღვაწეებისათვის უცნობი არ უნდა ყოფილიყო „ასკეტიკონის“ ყველაზე უადრესი რედაქცია, რომელსაც ეცნობოდნენ და თავიანთი ცხოვრების წესით ხორცს ასხამდნენ.

მეცნიერული ინტერესი ბასილი დიდის „ასკეტიკონის“ ძველი ქართული თარგმანისადმი სათავეს თ. ჯორდანიასთან იღებს. კერძოდ, მან შეისწავლა A689 ნუსხა ანდერძითა და ზოგიერთი სქოლიოთი, აღნიშნული ხელნაწერი მან ეფრემის ავტოგრაფად მიიჩნია. ე. ხინთიბიძე, რომელსაც უკავშირდება აღნიშნული ძეგლის ფუნდამენტური შესწავლა, არ იზიარებს თ. ჯორდანიას მოსაზრებას. იგი არ ეთანხმება აღნიშნული მკვლევრის არც მეორე მოსაზრებას, რომლის თანახმადაც A752 ნუსხაში დაცულია ასკეტიკონის ნაწყვეტი, რომელშიც სინამდვილეში არავითარი კავშირი არ აქვს აღნიშნულ ძეგლთან აღმოჩნდა (ხინთიბიძე 1968: 56).

„ასკეტიკონის“ შესწავლის ისტორიაში თავისი სიტყვა თქვა კ. კეკელიძემ. მან ერთმანეთს შეუდარა A689, A132, A63 ხელნაწერები. ამათგან პირველი ორი ეფრემ მცირეს თარგმანად მიიჩნია, ხოლო მესამე, შედარებით უფრო მცირე, სხვად (კეკელიძე 1957: 20).

ბასილი დიდის „ასკეტიკონი“ ქართულ სინამდვილეში ოთხი რედაქციით დამკვიდრდა. ამათგან უძველესი, ეფრემ მცირის თქმით, პროკოფი მღვდლისეული თარგმანია. კ. კეკელიძის აზრით, აღნიშნული თარგმანი დაცულია A63 ხელნაწერში, ე. ხინთიბიძის მიხედვით კი sin.35-ში და შექმნილია არაუგვიანეს X საუკუნეში პალესტინაში ან სინას მთაზე. აღნიშნული კრებული შეიცავს ბასილი დიდის „ასკეტიკონის“ მხოლოდ ორ თხზულებას: 1. „თქმული მონაზონთა მიმართ“ და „კანონი განწესებული მონაზონთათვის“ (ე.წ. „მოკლე წესები“). ამათგან პირველი თავად ბერძნულ ხელნაწერებშიც იშვიათი მოვლენაა, ქართულში კი მხოლოდ აღნიშნულ

ხელნაწერში გვხვდება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ თხზულების ქართული ტექსტის დასაწყისი და დასასრული განსხვავდება შესაბამისი ბერძნული დედნისგან (ხინთიბიძე 1968: 118). მოცემული ხელნაწერის ძირითადი ნაწილი კი ე.წ. „მოკლე წესებია“.

განსაკუთრებული ღირებულებით გამოირჩევა „ასკეტიკონის“ მეორე რედაქცია (დაცულია A 689 მე-11-12 ს-ებისა და A132 მე-12ს-ის ნუსხებში). იგი შესრულებულია მე-11 საუკუნის მეორე ნახევარში შავ მთაზე ეფრემ მცირის მიერ და წარმოადგენს ვულგატას ტიპის რედაქციას. მას თან ახლავს მნიშვნელოვანი ფილოლოგიურ-ისტორიული შენიშვნები, მესამე (A61) უცნობი ქართველი მთარგმნელის მიერ შესრულებული რედაქცია (1710წ.). იგი სხვაობს ეფრემისეულ თარგმანთან. მეოთხე ე.წ. გამოკრებილი კრებულია, შესრულებულია ეფრემის თარგმანის საფუძველზე. მას, როგორც ჩანს, პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა. იგი მოგვიანო ხანისაა და დაცულია ხელნაწერში — ქუთ. 61 (1788წ.), გადანერილია იოანე გაბაშვილის მიერ.

ნ. ქაჯაია გამოყოფს ბასილი დიდის ასკეტიკონის ძველი ქართული თარგმანის მეხუთე რედაქციასაც. კერძოდ, მასში ათავსებს ბასილის სახელით ცნობილი ასკეტური ხასიათის უსათაურო თხზულებებს, რომელთა ერთი ნაწილი ფსევდობასილისეულია (ნუსხა 1101), იგი უძველესია ამ თავების შემცველ ხელნაწერებს შორის (ქაჯაია 1992: 74).

მიუხედავად ქართველ მეცნიერთა მხრიდან ასეთი დაინტერესებისა, დღემდე არ არის გამოცემული „ასკეტიკონის“ ქართული თარგმანის სრული ტექსტი, თუმცა ფრაგმენტულად, ცალკეული ციტატების, მინაწერებისა თუ საკითხავების სათაურების სახით წარმოდგენილია ხელნაწერთა აღწერილობასა და ქართველ მეცნიერთა გამოკვლევებში.

ჩვენ მიერ გამოსაცემად გამზადებულ ეფრემ მცირის თარგმანის საფუძველზე (A132 და A689) დადგენილ კრიტიკულ ტექსტს პარალელურად ახლავს „ასკეტიკონის“ მეოთხე ქართული რედაქცია. აღნიშნული რედაქციის აქტუალობა განაპირობა თავად მისი წარმოშობის აუცილებლობამ. იგი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შექმნილია ეფრემის თარგმანის საფუძველზე და გათვალისწინებულია მონასტრული მოღვაწეობისათვის. მისი სახით საქმე გვაქვს ე.წ. კვინობიტურ რედაქციასთან, რომელიც, ვფიქრობთ, ჩართული იყო საუკუნეების განმავლობაში ღვთისმსახურების ჟამს ცალკეული საკითხავების სახით. მასში, როგორც ჩანს, თავი მოუყარეს განსაკუთრებულ მონაკვეთებს აღნიშნული ძეგლისა, რომელიც იმ ჟამინდელ ქართველ მოღვაწეთა აზრით განსაკუთრებით აქტუალური იყო.

თავად შავი მთის ქართველ მოღვაწეთა სულიერი წინამძღოლი ეფრემ მცირე ბასილი დიდის „ასკეტიკონს“ უწოდებს „სამოღვაწეო წიგნს“ ამგვარი სახელწოდება წმინდა მამის მხრიდან შემთხვევითი არ არის, რადგან ძველი ქართული ტერმინოლოგიით ასკეტი არის მოღვაწე. ეს არის შინაგანი თანადაფვლა მაცხოვართან ერთად, რომელიც საკუთარი თავის უარყოფის გზით მოღვაწეს განაღმრთობს. ბასილი დიდის „ასკეტიკონი“ იმითაც არის ნიშანდობლივი, რომ იგი ერთმანეთთან არიგებს განდეგილური მოღვაწეობის ორივე ფორმას-ანაქორეტიზმსა და კვინობიტიზმს (ხინთიბიძე 1969:161). იგი წმინდა მამის მიერ შედგენილი სამონასტრო წესების კრებულია (გაბიძაშვილი 2006: 25).

ბასილი დიდის „ასკეტიკონის“ გამორჩეულობაზე მეტყველებს თავად დედნების მრავალფეროვნება. თხზულება უძველეს საუკუნეებშივე გავრცელდა თითქმის ყველა ქრისტიანი ხალხის ენაზე. კერძოდ, ლათინურად, სირიულად, კოპტურად, არაბულად, ქართულად, სომხურად და სლავურად. აღნიშნულ ძეგლს ასახელებს არაერთი ცნობილი საეკლესიო მოღვაწე: გრიგოლ ნაზიანზელი, ევაგრე პონტოელი, რუფინუსი, პეტრე იბერი, სოზომენე, ფოტი პატრიარქი და სხვა.

ბასილი დიდის ასკეტური თხზულებები პირველად მეცნიერულად შეისწავლა მე-6 საუკუნის უცნობმა ბიზანტიელმა სქოლასტიკოსმა. მან ერთმანეთს შეუდარა თხზულების სხვადასხვა რედაქცია: პონტოური, კესარიული და აღმოსავლური. მათ საფუძველზე კი შექმნა ახალი რედაქცია, რომელმაც ჩვენამდე უცვლელი სახით არ მოაღწია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „ასკეტიკონის“ ერთ-ერთ ძველ რედაქციას, ბასილის ასკეტური კორპუსის არქაულ ფორმას გრიბომონი, ხელნაწერთა ტრადიციის მიხედვით, ჰიპოტიპოსს უწოდებს, რომლის ძირითადი შემადგენელი ნაწილი ასკეტიკური კითხვებია (წესებია). ეს წესები ორი ტიპისაა: ვრცელი და მოკლე. სწორედ ეს კითხვა-მიგებაანია ბასილის ასკეტური კრებულის ძირითადი ნაწილი, რომელსაც „ასკეტიკონი“ ეწოდება. მოგვიანებით, კერძოდ, მე-11 საუკუნიდან, მის შემადგენლობაში შედის სხვა ნაწარმოებებიც: სამონასტრო კონსტიტუციები, ეპიტიმები, ასკეტური ხასიათის სიტყვები და ეპისტოლეები (ხინთიბიძე 1969: 164).

სამწუხაროდ, „ასკეტიკონის“ შესწავლისას ევროპელ მეცნიერთა მიერ არ არის სათანადოდ გათვალისწინებული აღნიშნული ძეგლის ძველი ქართული თარგმანი. მით უმეტეს, რომ ჩვენ ხელთ გვაქვს უდიდესი საეკლესიო მოღვაწისა და შავი მთის მწიგნობრული სკოლის წინამძღოლის — ეფრემ მცირის თარგმანი, რომელსაც თან ახლავს ეფრემისათვის დამახასიათებელი სქოლიოები საინტერესო კომენტარებით (ხინთიბიძე 1969: 164).

ისტორიულ-ფილოლოგიური თვალსაზრისით გამორჩეული ეფრემ მცირისეული თარგმანი ჩვენს ყურადღებას იქცევს თეოლოგიური კუთხითაც. ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმებით შესრულებული თარგმანის ორივე ნუსხა ერთმანეთის იდენტურია და უმნიშვნელო სხვაობას გვაძლევს ზოგიერთი სიტყვისა თუ ასოს წაკითხვის მხრივ. ენობრივი ნორმების თვალსაზრისით უფრო ზუსტია A 689 ხელნაწერი, რომელიც დღესდღეობით ძალზე დაზიანებულია. რაც შეეხება A 132 ხელნაწერს, იგი უფრო უკეთაა შემორჩენილი, თუმცა გარკვეულ შემთხვევაში ჭირს მისი წაკითხა ტექსტის დაზიანებისა თუ სწრაფად შესრულებული ხელის გამო. მთლიანად დაკარგულია 25-ე ფურცელი, რომელიც აღვადგინეთ A 132 ხელნაწერის მიხედვით. დაზიანებები განსაკუთრებით თვალშისაცემია ხელნაწერის ბოლო ფურცლებზე, დღეისთვის ტექსტის ის ნაწილი, რომელიც მეცნიერებაში ცნობილია „სამონასტრო კონსტიტუციების“ სახელით, საგრძნობლად დაზიანებულია (კერძოდ, გვ. 292-327r-ს დასაწყისი წინადადებები თითქმის არ იკითხება). ამავე ნუსხაში ხშირია დ,კ,ჯ,ზ-ის არასწორი ხმარების შემთხვევები. მაგ. ჩუეულებაჲ, ყოფაჲსაცა, შეემთხუჴვის და სხვ.

ყოველივე ეს გვაფიქრებინებს იმაზე, რომ აღნიშნული ნუსხა შესრულებულ უნდა იყოს მაშინ, როცა ძველი ქართული ენის ნორმები საგრძნობლად ირღვევა და თავს იჩენს საშუალო ქართულისათვის დამახასიათებელი

აღრევები. ხელნაწერთა აღწერილობის თანახმად, A132 ნუსხის ძირითადი ნაწილი XII ს-შია გადაწერილი, რაც, ვფიქრობთ, არასწორია და მისი შესრულების დრო გაცილებით გვიან უნდა ვიგულოთ.

თხზულების ძირითად ნაწილს წინ უძღვის პროლოგი, რომელიც შემორჩენილია მხოლოდ A 132 ხელნაწერში, თუმცა ისიც დაზიანებულია. დასაწყისი ოთხი ფურცელი აღდგენილია XVIII ს-ის ხელნაწერის მიხედვით. აღნიშნული პროლოგი მრავალმხრივ საყურადღებოა. იგი საინტერესოა ბიოგრაფიული თვალსაზრისითაც. დასაწყისში ბასილი დიდი მოკლედ გვაუწყებს იმ სულიერი გარემოს შესახებ, სადაც დაიბადა და ყრმობა გაატარა. წმინდანის თქმით, ის ბავშვობიდანვე „გარემისა მის საცთურისა“ თავისუფალი „პირველითგან ქრისტეანეთა მიერ მშობელთა“ აღიზარდა და მათ მიერვე სიჩოფთგანვე წმიდათა წერილთა სწავლულ“ იქმნა, რომელიც მიუძღვა „მეცნიერებისა მიმართ ჭეშმარიტებისა“. აქვე ბასილი იმასაც გვაუწყებს, თუ როგორ მოვლო უკვე ზრდასრულმა ქვეყნიერება, ეზიარა სიბრძნეს. ავტორის მცირე ბიოგრაფიული ცნობების გვერდით აღნიშნული პროლოგი განსაკუთრებით საინტერესოა საღვთისმეტყველო-ეკლესიოლოგიური თვალსაზრისით. ავტორი საუბრობს სულიწმიდის მოფენასა და ეკლესიის დაარსებაზე, ის მსაჯულთა წიგნებზე დაყრდნობით ცდილობს, ახსნას თუ რა არის ეკლესიის წიაღში განხეთქილების წარმოშობისა და დაპირისპირების მიზეზი. ბასილი დიდს განხეთქილების სათავედ მიანიშნა ურჩების ვნება. შედარების მიზნით წმინდა მამას მოაქვს ის წესრიგი, ფუტკრებს რომ ახასიათებთ და ამგვარ წესრიგს ბუნებითი რჯულით განპირობებული ერთი წინამძღვრისადმი დამორჩილებით ხსნის. ანალოგიის გზით წმინდა მამას გამოაქვს დასკვნა, რომ ეკლესიაშიც ერთი უფლისადმი მორჩილება არის წინაპირობა წესრიგისა, რომელიც დაიცავს მის შვილებს ყოველგვარი საცთურისგან. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა, ვფიქრობთ, განპირობებულია იმ განხეთქილებით, რომელმაც ეკლესიაში თავი იჩინა ბასილი დიდის დროს (კერძოდ, ახლო ურთიერთობა ევსტათი სებასტიელთან და არიანობის ერესის წიაღაგზე წმინდანის დაშორება მასთან) და რომლის უარყოფითი შედეგები თავად გამოსცადა ამ წმინდა მამამ. ამგვარი მსჯელობითაც ეცადა ბასილი დიდი გამოსავლის გზების ძიებას.

პროლოგის შემდგომ მოთავსებულია ვრცელი და მოკლე წესები, კითხვა-მიგების სახით წარმოდგენილი. ამათგან ვრცელ წესები, ანუ „თავნი განვრცელებითთა საზღვართანი“, 55 თავისგან შედგება. ამ წესებში ბასილი დიდი პასუხს სცემს ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, როგორიც არის: უფლის და მოყვასის სიყვარული, ღვთის შიში, გონების განუბნეველობა, ურთიერთობა ახლობლებთან, ურთიერთობა დაქორწინებულებთან, მონასტერში ახლადმოსულის გამოცდა დუმილის სათნოებაში, ზომიერი მარხვა, ურთიერთობა წინამძღვართან თუ შეცოდებულთან და სხვა. ვრცელი წესების შემდგომ განლაგებულ მოკლე წესებში ვხვდებით საინტერესო რჩევებს აღსარების წარმოთქმაზე, ცოდვილის მოქცევაზე, სინანულზე, ამპარტავანების ვნებისგან განრიდებასა და სხვა.

ბასილი დიდი „ასკეტიკონში“ საგანგებოდ მსჯელობს მარტოდმყოფებსა და ზიარად მცხოვრებლებზე. წმინდა მამა უპირატესობას ამ უკანასკნელს ანიჭებს და ჩამოთვლის იმ უარყოფით მხარეებს, რომელიც მარტოდმყოფობას ახლავს. თავად გამოცდილი მოსაგრე, რომლის პრაქტიკული

თუ შემოქმედებითი მოღვაწეობა მოყვასზე ზრუნვასა და სიყვარულზეა ორიენტირებული, მიიჩნევს, რომ უფლის სიყვარული ერთმანეთზე ზრუნვით აღესრულება. ამასთანავე ის, ბერული გამოცდილებიდან გამომდინარე, ფიქრობს, რომ მარტომყოფი მოღვაწე სხვადასხვა სახის განსაცდელის წინაშე დგება, რადგან „მარტოებასა შინა არცაღა თუსსა ნაკლულევაანებასა რასმე ვინმე ადვილად სცნობს“ (A 689.18r).

წმინდა მამა მონასტრის წევრებს სხეულის სხვადასხვა ნაწილებს ადარებს, რომლის თავი თავად იესო ქრისტეა. ესაა „კეთილობა და შუენიერება და ძმათა ერთბამად მკვიდრობისად განკუთვნილი, რომელსა სულიწმინდა ნელსაცხებელსა მიამსგავსებს“, — დასძენს წმინდა ბასილი. ეს სიტყვები გამეორებაა ფსალმუნის იმ ფრაზებისა, რომელსაც „წმინდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორი ამავე დატვირთვით მოიხმობს, კერძოდ, როდესაც საუბრობს წმინდა გრიგოლისა და მისი თანამოაზრეების ქართლიდან გაპარვის შესახებ.

ბასილი დიდისათვის ქრისტიანული სრულქმნილებისაკენ სვლის გზა უცხოებით იწყება, რომელიც ქრისტიანულ სათნოებათა წინამძღვარია. „უცხოება დაისახება სათნოებათა კიბის („ფიცართა სულიერთა“) პირველ საფეხურად იოანე სინელის „კლემაქსში“.... წმინდა მამათა მიერ უცხოების, როგორც ქრისტიანულ სათნოებათა თავად მოაზრება ბიბლიაში შემზადდა. მისი კლასიკური მაგალითი ძველი აღთქმის დიდი პატრიარქი-აბრაამია, რომლის გამორჩეულობა უცხოებით იწყება და უცხოებაშივე აღსრულდება. სოფლის დატოვება, ვითარცა იდეალთან მიახლების უცილობელი პირობა, სახარებისეული სიბრძნით ასე გამოითქმება: „და ყოველმან, რომელმან დაუტეოს სახლი, გინა ძმანი, ანუ დანი, ანუ მამა, ანუ დედა, ანუ ცოლი, ანუ შვილნი, ანუ აგარაკნი სახელისა ჩემისათჳს ას წილად მიიღოს და ცხოვრება დასაუკუნოდ დაიმკუდროს“ (მათე, 19,29) (მამასახლისი 2003: 71).

ბასილი დიდი უცხოების სათნოებით შემოსვის გზას სამ ნაწილად ჰყოფს. პირველი ეს არის ეშმაკისაგან და მის საქმეთაგან განდგომა, მეორე — საკუთარ თავში ძველი კაცის განძარცვა, ანუ განხრწნად გულისთქმათაგან შინაგანი განშორება და ბოლოს, ამქვეყნიურ სიამეთაგან და ახლობელთაგან ზურგის შექცევა. „ქრისტესთჳს სოფელი ჯუარცმულ არს და იგი სოფლისა“, — ამბობს ეს წმინდა მამა (A 689,19v) და ჩვენც ამ გზაზე სვლისაკენ მოგვიწოდებს.

თეოლოგიური თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა ასევე თხზულების ძირითად ნაწილზე დართული დანარჩენი ასკეტური შინაარსის სწავლებები და სიტყვები. ძეგლს ამთავრებს ე. წ. სამონასტრო კონსტიტუციები, რომელიც 30 თავისგან შედგება და ავტორის დიდი ასკეტური გამოცდილების ერთგვარ სინთეზს წარმოადგენს.

ეფრემის თარგმანი ერთობ საინტერესოა იმ ცნობებით, რომელიც ამ ხელნაწერების აშიაზეა დაცული. ისინი სხვა და სხვა ხასიათისაა და ძირითად ტექსტში მითითებულია მარგინალური ნიშნებით. მათ შორის განსაკუთრებით გამორჩეულია სულიერი შინაარსის „შეისწავებები“. ასე, მაგალითად, 61-ე (61r) გვერდზე მარგინალური ნიშნით ასეთ სულიერ შეგონებას ვეცნობით: „შეისწავე, რამეთუ შემდგომად ღმრთისა განკაცებისა სახელი ედვა ქრისტე. ამის განკაცებულისა ღმრთისა მოსახელედ გუწნოდე-

ბის ჩუენ ქრისტეანე ქცევისა მისისათა, ვიდრემდის მივინინეთ, სიტყვსა-
ებრ მოციქულისა, საზომსა ჰასაკისა მის სავსებისა ქრისტესსა“.

გარდა ამ ტიპის „შეისწავებისა“, აღნიშნული მინაწერები ძალზედ სა-
ინტერესოა თავად ბერძნული სიტყვის სიღრმის შესაცნობადაც. მაგ.,
პროლოგის მე-6 გვერდზე ვკითხულობთ: „შეისწავე, რამეთუ წიგნიურსა
ღრმასა სიტყვასა ლექსი ჰრქვან ბერძულად, ხოლო ძალი სიტყვისაჲ მის
ცხოველ არს ეგრეთვე დადებულად წერილთა შინა“.

საკუთრივ ბერძნული სიტყვის განმარტების გარდა აშიაზე ვხვდებით
ეფრემის ისეთ „შეისწავებს“, რომელიც ქართული სიტყვის სხვა და სხვა
მნიშვნელობას ხსნის. 55-ე გვერდზე ვარსკვლავით მინიშნებულია სიტყვა
„მედგრის“ ორგვარი გაგება: „რამეთუ სახელსა ამას მედგრისასა ორი სახე
აქუს: წიგნიერად მცონარსა უკმობს მედგრად, ხოლო სოფლიურად მზაკ-
ვარსა ჰრქვიან მედგარი თვთ ქართულსა ენასა ზედა“.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ A 689 და A 132, მართალია, ერთმანეთის
იდენტურია, მაგრამ არის ისეთი შემთხვევები, როცა ზოგიერთი სქოლიო
მხოლოდ ერთ მათგანს ახლავს, ხოლო მეორე ხელნაწერში შესაბამის ად-
გილას არ ფიქსირდება. იგი არ არის მითითებული არც მარგინალური ნიშ-
ნით ძირითად ტექსტში. ასე, მაგალითად, A132 ხელნაწერის 26-ე გვერდზე
(26 r), აშიაზე ვკითხულობთ: „საწუთოდსა ცხორებაჲ შემოართუამს, განიჭ-
რების“. სგავსი მინაწერი A 689 ნუსხაში არ გვხვდება. შესაძლებელია, აღ-
ნიშნული მინაწერი ან A132 ხელნაწერის გადამწერს ეკუთვნის, ანდა გამო-
რჩენილია A 689 ხელნაწერის კიდეზე.

ბასილი დიდის „ასკეტიკონის“ ქართული რედაქციების მრავალფე-
როვნება მიუთითებს მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ჩვენი ქვეყნის
სულიერი ცხოვრების ისტორიაში. როგორც ჩანს, სამონასტრო ცხოვრება
შუა საუკუნეების საქართველოში იმთავითვე დიდ ანგარიშს უწევდა ამ
დიდი კაბადოკიელი მამის მიერ შემოღებულ წეს-განგებას. მით უმეტეს,
თუ გავიხსენებთ, როგორ ელოდა 12 წლის განმავლობაში ეფრემ მცირე ამ
ძეგლის პროკოფი მღვდლისეულ თარგმანს და როცა ვერ მიაკვლია, იკის-
რა მისი ხელახლა თარგმნა, რომელსაც მკვლევართათვის ერთობ საშური
ისტორიულ-ფილოლოგიური სქოლიოებიც აახლა. ეფრემის თარგმანის
საფუძველზე შექმნილი გამოკრებილი რედაქცია კი იმაზე მეტყველებს,
თუ როგორ აქტიურად მოიხმარდნენ პრაქტიკული დანიშნულებისათვის ამ
ძეგლს ქართველი მოღვაწეები. ასკეტიკონის ქართული თარგმანები
უმნიშვნელოვანესი წყაროა ბერმონაზვნური წესების გასაცნობად და
საკუთრივ ამ თხზულების კვლევით დაინტერესებულ პირთათვის.

ღამონმეხანი:

გაბიძაშვილი 2006: გაბიძაშვილი ე. ქართული ნათარგმნი ასკეტიკა და მისტიკა.
თბ.: „არტანუჯი“, 2006.

მამასახლისი 2003: მამასახლისი ქ. ქრისტიანული ასკეტიზმის იდეალი და
პალადიჰელენეპოლელის „ლავსაიკონი“ („გამოსვლისათვის სოფლით“). ფილოლოგიის
ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები. წიგნი მეშვიდე. თბ.: თბილისის
უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003.

კეკელიძე 1957: კეკელიძე კ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტო-
რიიდან. ტ. V. თბ.: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1957.

ქაჯაია 1992: ქაჯაია ნ. ბასილი კესარიელის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები. თბ.: „მეცნიერება“, 1992.

ხინთიბიძე 1968: ხინთიბიძე ე. ბასილი კაბადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის“ ქართული რედაქციები. თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1968.

ხინთიბიძე 1969: ხინთიბიძე ე. ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობანი. თბ.: თბილისის უნივერსიტეტი გამომცემლობა, 1969.

DAREJAN MENABDE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgian Hagiographic Texts in Foreign Languages (*"The Martyrdom of St. Eustacius"*)

One of the most burning issues of modern medieval studies seems to be the presentation and popularization of the old Georgian texts in European mental space. This implies: systematization of the texts translated into foreign languages, study of separate editions, evaluation of translation quality (that is to be of special significance), record and classification of the reviews and comments on the translations published here and abroad, compilation of appropriate bibliographies and placement on the Internet, etc. This study examines **“The Martyrdom of St. Eustacius”** in Russian (M.Sabinin – 1872), German (I.Javakhihsvili – 1901), English (D.Lang – 1956) and Hungarian (M.Biro – 1990) translations.

Key words: "The Martyrdom of St. Eustacius", translations, bibliography.

დარეჯან მენაბდე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ქართული ჰაგიოგრაფიული ტექსტები უცხოურ ენებზე „მარტულობა და მოთმინება ნმიდისა ევსტათი მცხეთელისა“ უცხოურ ენებზე

თანამედროვე ქართული მედიევისტის ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად გვესახება ძველი ქართული ტექსტების წარმოჩენა და პოპულარიზაცია ევროპულ ლიტერატურულ-სააზროვნო სივრცეში. ეს გულისხმობს: ტექსტების უცხოენოვანი თარგმანების სისტემატიზაციას, ცალკეული გამოცემების შესწავლას, თარგმანების ხარისხის შეფასებას (რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს), ამ თარგმანთა შესახებ ჩვენში თუ საზღვარგარეთ გამოქვეყნებული რეცენზია-გამოხმაურებების აღნუსხვა-კლასიფიკაციას, სათანადო ბიბლიოგრაფიების შედგენასა და ინტერნეტში განთავსებას და ა. შ. ამგვარი კვლევის მიზანია, წარმოჩინდეს არა მარტო ის, თუ რა არის გაკეთებული დღემდე, არამედ გამოიკვეთოს, რა არის გასაკეთებელი მომავალში. კვლევის შედეგები კი, ვფიქრობთ,

გამოსადეგი იქნება არა მარტო მედიევისტებისა და მთარგმნელებისათვის, არამედ ზოგადად ქართველოლოგიური პრობლემატიკით დაინტერესებული წრეებისთვისაც.

ამჯერად შევეხებით „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ უცხოურ თარგმანებს.

„ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ ყველაზე ადრინდელი თარგმანი შესრულდა რუსულ ენაზე. ეს არის ნაწილობრივი გარდათქმა, რომელიც შევიდა მ. საბინინის (1846-1900) ნიგნში „Полное жизнеописание святых грузинской церкви“ („საქართველოს ეკლესიის წმინდანების ცხოვრებათა სრული აღწერილობა“) (საბინინი 1872). ტექსტის სათაურია: „Страдание святого мученика Евстафия Мцхетского“ („წმინდა მოწამე ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“) (საბინინი 1872: 79-91). ეს გამოცემა საინტერესოა იმიტაც, რომ ტექსტს ახლავს მთარგმნელისეული შენიშვნები. ამგვარი შენიშვნები და განმარტებები მ. საბინინს ხშირად აქვს ჩართული თავის თარგმანებსა თუ პუბლიკაციებში. ეს შენიშვნები ეხება წმინდანის ბიოგრაფიის, თხზულების ავტორობისა და დათარიღების საკითხებს; ისტორიული ფაქტების, გეოგრაფიული სახელებისა თუ ცალკეული ტერმინების ახსნა-განმარტებას.

აღნიშნული თარგმანის დასაწყისში, პირველივე შენიშვნაში მ. საბინინი ასახელებს წყაროს, საიდანაც უთარგმნია „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“. 1871 წლის ზაფხულში, საქართველოში ყოფნისას, მას ხელში ჩაუვარდნია ქართველი წმინდანების „ცხოვრებათა“ სვინაქსარული აღწერილობა (XVI ს.), შესრულებული შესანიშნავი კალიგრაფიით, პერგამენტის ქაღალდზე, ორ სვეტად (საბინინი 1872: 79). მ. საბინინმა დასაწყისშივე საგანგებოდ მიუთითა, რომ თარგმანი შესრულდა ტექსტის XVI საუკუნის სვინაქსარული რედაქციის საფუძველზე. ჩვენ დავინტერესდით ამ ცნობით, რადგან „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ სვინაქსარული რედაქცია გამოქვეყნებულია და დათარიღებულიცაა არა XVI, არამედ XVIII საუკუნით.

ირკვევა, რომ მ. საბინინი 1871 წლის ზაფხულში მართლაც ყოფილა საქართველოში. „აქ დავით გარეჯის უდაბნოს ხელნაწერიდან გადაუწერია ერთი ნაწილი ქართველ წმინდანთა ნამება-ცხოვრებათა ტექსტებისა“ (ცხადაძე 1978: 170). ოღონდ, ხელნაწერის საბინინისეული დათარიღება ვერ ჩაითვლება სარწმუნოდ, რადგან გარკვეულია, რომ „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ სვინაქსარული ხელნაწერები უფრო გვიანდელი ხანისაა. ეს ხელნაწერები შემოუნახავს A-220 სვინაქსარულ კრებულს (1726 წ.), რომელშიც შესულია წმინდანთა სვინაქსარული ცხოვრების ნუსხები. სხვა წმინდანებთან ერთად აქ იხსენიება წმ. ევსტათიც. აღნიშნული სვინაქსარული რედაქცია „მხოლოდ ამ კრებულის მიხედვითაა ცნობილი და არც ერთ, არც ადრინდელ და არც გვიანდელ ლიტურგიკულ კრებულში არ მოიძებნება“ (ძეგლები 1968: 32) და „მიუხედავად ევსტათი მცხეთელის, როგორც წმინდანის, კულტის უძველესი დროიდან არსებობისა, მისი სვინაქსარული ცხოვრება მხოლოდ XVIII ს. დასაწყისში ჩანს შედგენილი... ის მთლიანად ვრცელი ცხოვრების ნიადაგზეა შედგენილი... სვინაქსარული ცხოვრების დასაწყისი ვრცელი ცხოვრების თითქმის სიტყვასიტყვითი გადმოღებაა“ (ძეგლები 1968: 208). „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ სვინაქსარული რედაქცია ძალიან მოკლეა (ძეგლები 1968: 385-386); რო-

გორც ჩანს, თარგმნისას მ. საბინინს თხზულების სვინაქსარულ რედაქციასთან ერთად „ნამების“ ვრცელი ტექსტიც გამოუყენებია, რასაც მონუმობს, ერთი მხრივ, თარგმანის მოცულობა, მეორე მხრივ, ისეთი დეტალების ჩართვა (პირთა სახელები, ტოპონიმები, ზოგჯერ — მთელი ეპიზოდები...), რომლებიც საერთოდ არ არის სვინაქსარულ „ნამებაში“.

არანაკლებ საინტერესოა სხვა შენიშვნებიც, რომლებშიც მ. საბინინი თამამად გამოთქვამს თავის შეხედულებებს და თითქმის ერთვება ავტორისეულ ტექსტში. მაგ.: „არქიდიაკონმა სამოელმა, ალბათ შენიშნა, რომ ევსტათი ცდილობდა წირვის დროს სხვებზე წინ დამდგარიყო და ამიტომაც მიმართა მას...“ (საბინინი 1872: 85), ჩანს, „ქრისტეს მონამემ სამოელისგან კურთხევა მიიღო ჯერ კიდევ მისი არქიდიაკონად ყოფნის დროს, ხოლო ნათლისღება — მაშინ, როდესაც იგი უკვე ივერიის პატრიარქი იყო“ (საბინინი 1872: 86) და ა.შ.

მ. საბინინის „საქართველოს სამოთხეში“ გამოქვეყნებულ ტექსტთან („თა ივლისსა კთ დღესა, მარტვილობა და მოთმინება წმიდისა ევსტათი მცხეთელისა“ (და სხუათა წმ. მონამეთა) (1882: 313-322). აღნიშნული თარგმანის შედარებამ კიდევ უფრო დაგვარწმუნა, რომ რუსული თარგმანი არის გარდათქმა, რომლისთვისაც მ. საბინინს გამოუყენებია ტექსტის ვრცელი და სვინაქსარული რედაქციები, ჩაურთავს შენიშვნები და მთელი რიგი ისტორიული თარიღებისა.

1913 წელს სოხუმში დაიბეჭდა „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ კიდევ ერთი რუსული თარგმანი-გარდათქმა, რომელიც ეკუთვნის კ. მაჭავარიანს. წიგნში „Житие и страдание святых мучеников грузинской церкви“ („საქართველოს ეკლესიის წმინდა მონამეთა ცხოვრებანი და მარტვილობანი“) სხვა ქართველ წმინდანებთან (არჩილ მეფე, კონსტანტი კახი, გობრონი და სხვ.) ერთად გადმოცემულია ევსტათი მცხეთელის თავგადასავალი (მაჭავარიანი 1913).

„ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ შესახებ მასალა გამოქვეყნდა აგრეთვე ქართული ლიტერატურის ისტორიის რუსულ გამოცემაში, რომელშიც მიმოხილულია ტექსტთან დაკავშირებული ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები (ბარამიძე, რადიანი, ჟღენტი 1958: 13), ბ. კილანავას გამოკვლევაში (კილანავა 1973) და ა.შ.

ფრანგულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“ იხსენიება ჟურნალ „რევიუ დე კარტველოლოჟის“ („ბედი ქართლისა“) ფურცლებზე, კ. სალიას (1901-1986) ნარკვევში „La Littérature géorgienne“ („ქართული ლიტერატურა“) საქართველოს ეკლესიის წმინდანთა ცხოვრების წიგნთა შორისაა „Le Martyre d' Eustache de Mtskheta“ („ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“) (სალია 1972: 209).

„ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ გერმანული თარგმანი უკავშირდება აღმოსავლეთის ქრისტიანობის დიდი მკვლევრის, ბერლინის უნივერსიტეტის რექტორის, თეოლოგიის პროფესორის, ადოლფ ჰარნაკის (1851-1930) სახელს. ცნობილია, რომ ა. ჰარნაკის ლექციებს ესწრებოდა ივ. ჯავახიშვილი. სწორედ ივ. ჯავახიშვილმა დააინტერესა ა. ჰარნაკი ქართული ლიტერატურით. მათი ერთობლივი თანამშრომლობით 1901 წელს ბერლინში გამოიცა „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ გერმანული თარგმანი. აღნიშნული თარგმანი გამოქვეყნდა ბერლინის სამეცნიერო

აკადემიის სხდომების მოამბეში. თარგმანს უძღვის ა. ჰარნაკის, როგორც შემდგენლისა და გამომცემლის, შესავალი წერილი (ჰარნაკი 1901: 875-876), შემდეგ დაბეჭდილია ტექსტი (ჰარნაკი 1901: 876-894), რომელსაც მოსდევს კომენტარები (ჰარნაკი 1901: 895-902). 1905 წელს კი ლაიფციგში დაიბეჭდა „აბო თბილელის მარტვილობის“ გერმანული თარგმანი, შესრულებული კ. შულცის მიერ (შულცი 1905).

„ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ ივ. ჯავახიშვილისეულ გერმანულ თარგმანზე დაიბეჭდა ჰ. დელეიეს გამომხატვა. ავტორი აღნიშნავდა, რომ „ევსტათი მცხეთელის მარტვილობას“ საფუძვლად უდევს „ევსტათი ანკვირელის წამება“ (დელეიე 1904: 359-360). მოგვიანებით ეს თვალსაზრისი გაიმეორა რ. ჟანიჩმა (ჟანიჩი 1964: 299).

მოკლე ცნობა „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ შესახებ არის ჰ. ფენრიხის წიგნში „Die Georgische Literatur“ („ქართული ლიტერატურა“), რომლის მიხედვით მცხეთაში, საქართველოს ძველ დედაქალაქში, მე-6 საუკუნეში აწამეს ეროვნებით სპარსელი ევსტათი, რომელმაც უარყო მაზდეანური სარწმუნოება და იწამა ქრისტიანობა, რის გამოც მაზდეანებმა ევსტათი სასტიკად აწამეს. მისი ღვაწლი კი აღწერა წმინდანის თანამედროვე უცნობმა ავტორმა (ფენრიხი 1981: 37-38).

„ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ უნგრული თარგმანი ეკუთვნის ქართველოლოგ მარგიტ ბიროს. მან სხვა ქართულ ჰაგიოგრაფიულ ტექსტებთან („შუშანიკის წამება“, „აბო თბილელის წამება“ და ა.შ.) ერთად თარგმნა „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“ („Szent mchetai Evsztati szenvedése és vértanúsága“) და შეიტანა იგი ბუდაპეშტში 1990 წელს გამოცემულ წიგნში „Az Életadó oszlop legendája és más történetek. Georgiai szentek élete és vértanúsága“ („ლეგენდა სვეტი ცხოველის შესახებ და სხვა ისტორიები. ქართველ წმინდანთა „ცხოვრებანი“ და „წამებანი“) (ბირო 1990: 85-102). როგორც მთარგმნელი აღნიშნავს, თარგმანი შესრულებულია ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების I ტომის მიხედვით. მ. ბირო იცნობს აგრეთვე დ. ლანგის ინგლისურ თარგმანსაც (ბირო 1990: 171).

უნგრული თარგმანი, ისევე, როგორც ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების I ტომში გამოქვეყნებული უცნობი ავტორის ტექსტი, დაყოფილია თავებად (8 თავი). თარგმანი თითქმის სიტყვასიტყვით მიჰყვება დედანს, მხოლოდ ორიოდ ეპიზოდს თუ ეთქმის გარდათქმა. მ. ბირო ზუსტად თარგმნის პირთა სახელებს, გეოგრაფიულ ტერმინებს, ცდილობს, შეინარჩუნოს დედნისეული სიზუსტე.

წიგნში გამოქვეყნებული სხვა თარგმანების მსგავსად, „ევსტათი მცხეთელის მარტვილობასაც“ დართული აქვს მთარგმნელისეული შენიშვნები და კომენტარები (ბირო 1990: 144-145), სადაც მოცემულია ისტორიულ პირთა და გეოგრაფიულ სახელთა განმარტებები, მითითებულია ბიბლიური ციტატები. წიგნის ბოლოსიტყვაობაში კი საკმაო ადგილი ეთმობა ამ თხზულებას; იხსენიება ხოსრო ანუშირვანის ეპოქა, სპარსელების ბატონობა ქართლში, განხილულია თხზულებასთან დაკავშირებული ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები (ბირო 1990: 158-160) და ა.შ.

„ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ ინგლისური თარგმანი ეკუთვნის დ. ლანგს. თარგმანი შესულია მის წიგნში „Lives and Legends of the Georgian Saints“ („ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი და ლეგენდები“)

(ლანგი 1956: 94-144). თარგმანს წინ უძღვის ანოტაცია, რომელშიც დ. ლანგი ინგლისურენოვან მკითხველს აწვდის ძირითად ინფორმაციას ტექსტის შესახებ. მისი სიტყვით, „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“ ფასდაუდებელი წყაროა VI საუკუნის საქართველოს ისტორიის გასაცნობად. თხზულებაში ნათელი სურათია ნაჩვენები ქრისტიანულ საქართველოსა და სასანიდურ ირანს შორის ურთიერთობისა ხოსრო ანუშირვანის მეფობის დროს. საინტერესოა, რომ სპარსული სახელები შემონახულია დაუმახინჯებლად, ზუსტი ფორმით. ამ ტექსტიდან კარგად ჩანს, რამდენი ჰქონიათ საერთო ქართველ და სპარსელ ქრისტიანებს. თხზულება ჰაგიოგრაფიული ჟანრისაა, მაგრამ მასში არ არის აღწერილი სასწაულები, რაც ტექსტს მათებს ავთენტურობას (ლანგი 1956: 94).

დ. ლანგი იქვე მოიხსენიებს ტექსტის გერმანულ თარგმანს და მაღალ შეფასებას აძლევს ა. ჰარნაკის გამოკვლევას. წინასიტყვაობის მიხედვით, თარგმანი შესრულებულია ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათის ს. ყუბანეიშვილისეული გამოცემის მიხედვით.

დ. ლანგის თარგმანი „Martyrdom and Passion of St. Eustace of Mtskheta“ („ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“) (ლანგი 1956: 95-114) ისევე, როგორც ამ წიგნში შესული სხვა ტექსტები, არის ერთგვარი გარდათქმა, შევსებული სათანადო თარიღებით (მაგრამ სამეცნიერო აპარატის გარეშე). მთარგმნელი ცდილობს შეინარჩუნოს ტექსტის სტრუქტურა და თხრობის თანამიმდევრობა. შესაბამისად, ზუსტად არის გადატანილი საკუთარი და გეოგრაფიული სახელები, საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, დიალოგები... ყოველივე ეს თარგმანს საინტერესო წასაკითხად აქცევს.

დამონეშები:

ბარამიძე... 1958: Барамидзе А. Радиани Ш. Жгенти Б. История грузинской литературы (Краткий очерк). Тб.: 1958.

ბირო 1990: Biró Margit. Az Életadó oszlop legendája és más történetek. Georgiai szentek élete és vértanúsága és más történetek. Georgiai szentel élete és vértanúsága. Válogatta, ógrúz eredetiből fordította, az utószót és a jegyzeteket készítette: Biró Margit. Éietünk könyvek, 1990.

დელეიე 1904: Delehaye H. Recensione a: Dschawachoff, Das Martyrium des heiligen Eustatius von Mzcheta: Sitzungsberichte der kgl. preussischen Akad. der Wiss. zu Berlin. 1901. – AB, 23, Bruxelles, 1904.

კეკელიძე 1939: Кекелидзе К. Конспективный курс истории древнегрузинской литературы. Тб.: 1939.

კილანავა 1973: Киланова Б. Атрибуции кименовских редакций грузинской агиографии ("Мученичества" Шушаник, Евстафия и Або. „Житие Иллариона Грузина“. Автореферат. Тб.: 1973.

ლანგი 1956: Lang D. M. Lives and Legends of the Georgian Saints. Selected and Translated from the original texts. London: 1956.

მაჭავარიანი 1913: Мачавариани К. Житие и страдание святых мучеников грузинской церкви. Сухум: 1913.

ჟანიანი 1964: Janin R. Eustazio di Mzcheta. _ BS, 5, 1964.

საბინინი 1872: Сабинин М. Полное жизнеописание святых грузинской церкви. ч. II. 1872.

საბინინი 1882: საბინინი მ. საქართველოს სამოთხე. ს-პეტერბურგი: 1882.

ფენრიხი 1981: Fähnrich H. Die Georgische Literatur (Ein Überblick). Tb.: 1981.

შულცი 1905: Sabanisdze J. Das Martyrium des heiligen Abo von Tiflis. Übers. von K. Schulz, Leipzig: 1905.

ცხადაძე 1978: ცხადაძე ქ. „შუმანიკის წამების“ პირველი გამოცემის ისტორიიდან. // „შუმანიკის წამება“ (გამოკვლევები და წერილები). თბ.: 1978.

ძეგლები 1968: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV. გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ.: „მეცნიერება“, 1968.

ჰარნაკი 1901: Das Martyrium des Heiligen Eustathius von Mzchetha. Übers. von Dschawachoff. Bearb. von A. Harnack. – Sitzungsberichte der Akademie der Wissenschaften, Berlin: 1901, XXXVIII.

მასალები ბიბლიოგრაფიისათვის

გერმანულ ენაზე:

Das Martyrium des Heiligen Eustathius von Mzchetha. Übers. von Dschawachoff. Bearb. von **A. Harnack**. – Sitzungsberichte der Akademie der Wissenschaften, Berlin, 1901, XXXVIII. s. 875-902.

Delehaye H. Recensione a: Dschawachoff, Das Martyrium des heiligen Eustathius von Mzcheta: Sitzungsberichte der kgl. preussischen Akad. der Wiss. zu Berlin. 1901, s. 875-902. – AB, 23, Bruxelles, 1904, s. 359-360.

Fährnich H. Die Georgische Literatur (Ein Überblick). Tb.: 1981, s. 37-38.

ინგლისურ ენაზე:

Lang D. M. Lives and Legends of the Georgian Saints. Selected and Translated from the original texts. London: 1956, pp. 95-114.

რუსულ ენაზე:

Барамидзе А. Радиани Ш. Жгенти Б. История грузинской литературы (Краткий очерк), Тб.: 1958, с.13.

Кекелидзе К. Конспективный курс истории древнегрузинской литературы. Тб.: 1939, с. 18-19.

Киланава Б. Атрибуции кименовских редакций грузинской агиографии ("Мученичества" Шушаник, Евстафия и Або. `Житие Иллариона Грузина~. Автореферат. Тб.: 1973.

Мачавариани К. Житие и страдание святых мучеников грузинской церкви. Сухум: 1913.

Сабинин М. Полное жизнеописание святых грузинской церкви. ч. II. 1872, с. 79-91.

უნგრულ ენაზე:

Biró Margit. Az Életadó oszlop legendája és más történetek. Georgiai szentek élete és vértanúsága és más történetek. Georgiai szentel élete és vértanúsága. Válogatta, ógrúz eredetiből fordította, az utószót és a jegyzeteket készítette: Biró Margit. Éietünk könyvek, 1990, 85-102.

SABA METREVELI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

The Specificity of the Artistic Expression in Georgian Hagiography

Thinking in parallel about icons and hagiography helps envisage the idiosyncrasies of hagiographic written works. Both icons and hagiography emphasize the inner world and the dynamics of the soul. An icon painter attempts to portray the inner spiritual world by speaking the language of the spirit. Hagiography is also a depiction of the spirituality. Like an icon that should not be seen as a portrait of the spiritual world, hagiography does not constitute a photograph of the spiritual world of a holy character. Instead, hagiography represents the realistically described symbolic state of holiness.

Key Words: Georgian Hagiography, iconography, symbolic state.

საბა მეტრეველი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

აგიოგრაფიული მწერლობის განსახოვნების სპეციფიკა

აგიოგრაფია სასულიერო-საეკლესიო მწერლობის დარგია და ეს განსაზღვრავს მის უპირველეს ფუნქციას, უმთავრეს დანიშნულებას — რელიგიურ — მისტიკურს. ყველა დანარჩენი (ისტორიული, მხატვრულ-ესთეტიკური თუ სოციალური) მეორეხარისხოვანია ამ მწერლობისათვის. აგიოგრაფიული ლიტერატურა მონოთემატიკურია, ეს ერთადერთი თემა სიყვარულია, საღვთო მიჯნურობა, ანუ საზეო სიყვარული (ფარულავა 2003: 654). აქვე ისიც დავაზუსტოთ, რომ აგიოგრაფიის თემა საზეო სიყვარულია, იდეა კი — თეოზისი, განღმრთობა.

უმთავრესია ის, რომ აგიოგრაფია ეფუძნება ლიტურგიულ-ეორტალოგიურ პრინციპს, რაც განსაზღვრავს მის სპეციფიკას, რომ:

ა) უნდა მოხდეს კანონიზაცია, ანუ წმინდანად შერაცხვა, რაც ეკლესიის საჭეთმპყრობლისა (კათოლიკოს-პატრიარქის) და წმიდა სინოდის (უმალლესი საეკლესიო კრებულის) პრეროგატივაა. აგიოგრაფი ღვთის ნების აღმასრულებელია და სულიწმიდის შთაგონებით ქმნის. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აგიოგრაფიაში კანონიკური, ნორმატიული ემთხვევა სასურველს.

ბ) კანონიზაცია გულისხმობს, საეკლესიო-სადღესასწაულო კალენდარში შევიდეს, დაწესდეს წმინდანის მოსახსენებელი დღე, როცა ეკლესია საღვთო ლიტურგიაზე საგანგებოდ მოიხსენიებს მის ღვანლსა და მეოხებას სთხოვს უფლის წინაშე. წმინდანად შერაცხვის სამზადისი, თავისთავად, გულისხმობს იმას, რომ უნდა დაინეროს ხატი, ტროპარ-კონდაკი, სასურველია, შეიქმნას საგალობელი და აგიოგრაფიული ნაწარმოები, ანუ მოთხრობა წმინდანის ცხოვრებაზე.

საინტერესოდ გვეჩვენება „ნმ. კოსტანტი კახის მარტვილობის“ დასაწყისი, რომელშიც აგიოგრაფი შეგვახსენებს, რომ „არავინ ყო აღწერა იგი წიგნთა გარნა მადლითა სულისა წმიდისათა, რამეთუ დიდმან მან მოსე პირველად იწყო აღწერად შესაქმისა ცისა და ქუეყანისა... მერმე აღინერნეს თქმულნი იგი წინანარმეტყუელთანი... ხოლო შემდგომად აღინერნეს ოთხნი ესე ევანგელენი, ამისა შემდგომად საქმენი მოციქულთანი... და მეცა არალირსმან ვინებე მიბაძვად პირველთა მათ და აღვწერე ცხორება და წამება წმიდისა და ნეტარისა მონამისა კოსტანტისი“ (ძეგლები 1964: 164-165).

ასეთ კონტექსტში გაიაზრებოდა აგიოგრაფიული მწერლობა. იგი ითვლებოდა საღვთო წერილის გაგრძელებად, ამიტომ აგიოგრაფიაში, უპირატესად, მხატვრულ-ესთეტიკური კი არ მოიაზრება, არამედ — რელიგიურ-ზნეობრივი.

აგიოგრაფია სულის საიდუმლოს განდობაა, სიყვარულში თავდადებული სულის ასახვაა, სიყვარულის გასაგნებაა, ზნეობისა და სრულყოფილებისაკენ სწრაფვაა, მარადიულთან, მშვენიერთან, ამაღლებულთან მიახლების გზაა. იგი ქმნის ხატს გასულიერებული კოსმოსისას. აგიოგრაფიული ქმნილებები მარადიულის, ზედროულის ნიმუშებად რჩებიან. ეს რომ მკითხველმა შეიმეცნოს და განიცადოს, მას უნდა ჰქონდეს ლიტურგიული ცნობიერება, რომელიც გულისხმობს ტაძრულ შემეცნებას. როდესაც ვამბობთ, საჭიროა ლიტურგიული ცნობიერება, ვგულისხმობთ ადამიანში ღვთაებრივის ხელახალ დაბადებას. ლიტურგიული ცნობიერება მარადიული ანმყოფა, როცა მკითხველისთვის ეკლესიურობა, სულიერობა აზროვნებისა და ცხოვრების წესია. მხოლოდ ასეთ დროს არის შესაძლებელი აგიოგრაფიის სულის, მისი არსის წვდომა. აგიოგრაფიული მწერლობის რაობაზე, მის სპეციფიკაზე შექმნილმა გამოკვლევებმა და ლიტერატურის მეისტორიეთა კვლევა-ძიებამ ცხადყო, რამდენად რთულია საეკლესიო მწერლობის ეს დარგი. რთულია იგი თავისთავად, რთულია მისი შექმნაც და უფრო მეტად-მისი წვდომა-გათავისება, მისი, ასე ვთქვათ, გრძნობადი, სულიერი „ათვისება“. იგივე ითქმის შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების, ფრესკების შესახებაც. ფორმის გარეგნული სრულქმნილებისა და მშვენიერების განცდა შესაბამისი მხატვრული ენის ცოდნას, ცნობასა და მასში განაფვას გულისხმობს. როგორც შუა საუკუნეების ტაძრები არიან განსაზღვრული აზრის მატარებელნი, ასეთივეა აგიოგრაფიული მწერლობაც.

„ჰიმნოგრაფიაში თუ სიმბოლურ, იპოდიგმურ-პარადიგმულ სახეებს დომინანტური ადგილი უკავიათ, ჰაგიოგრაფიაში სახე-სიმბოლოებთან ერთად დიდი დატვირთვა სრულიად სხვაგვარ ტოპოსს ენიჭება. ეს არის ტკივილის, ტანჯვის, იმედის, სიხარულის, რწმენის გამომხატველი პასაჟები, რომლებიც ძლიერი ემოციური შეფერილობით ხასიათდებიან. ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში შემოდის აგრეთვე ლოცვის, ქადაგების, დამოძღვრის ინტონაციები“ (გრიგოლაშვილი 2007: 85).

რადგან აგიოგრაფია ლიტურგიულ-ეორტალოგიურ პრინციპს ემყარება, აქ მთავარი ეიკონური განსახოვნება, იკონოგრაფიული სახისმეტყველებაა, რომელიც ამაღლებულის ესთეტიკას ემყარება (მეტრეველი 2008: 1-22). როცა ვსაუბრობთ აგიოგრაფიის იკონოგრაფიულ სახისმეტყველებაზე, მის ეიკონურ განსახოვნებაზე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს მსგავსებათა შესახებ:

ა) გავრცელებულია მონოსტრუქტურის ხატები, რომლებზეც მხოლოდ ერთი წმინდანია გამოსახული (მხოლოდ იესო ქრისტე, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, ან რომელიმე წმინდანი), ასევე გვაქვს ისეთი აგიოგრაფიული ნაწარმოებები, რომლებიც მხოლოდ ერთი წმინდანის ღვანლის შესახებ მოგვითხრობენ („წმ. შუშანიკის წამება“, „წმ. აბოს წამება“ და მისთან.);

ბ) ცნობილია ორკარედები, ანუ ე.წ. დიპტიქონები, მაგ.: იესო ქრისტე და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი; აგიოგრაფიაში ხშირია სათაურშივე ორი წმინდანის გამოტანა, მაგ.; „ცხოვრება წმ. იოანესა და ეფთვიმესი“, „მარტვილობა და ვითისი და ტირიჭანისი“ და მისთან;

გ) გავრცელებულია სამკარედები, ანუ ტრიპტიქონები. მაგ.: ცნობილი ხახულის სამკარედი ან მღვიმევის (მე-13 საუკუნის) სამკარედი დეისუსი. სხვათა შორის, დეისუსს ტრიმორფიონი, ანუ სამხატვეული უწოდა სპირიდონ ლამბრიოსმა (მე-18 ს.). სამკარედული, ტრიპტიქული სტრუქტურაა წარმოდგენილი „წმ. აბოს წამებაში“. I თავში (I კარედში, ამ გააზრებით) ჰომილიაა, II-III თავებში — აგიოგრაფიული თხრობა, IV თავში — ქება (შდრ. სირაძე 2001: 29-39);

დ) ცნობილია ცენტრალურ-ციკლური სტრუქტურის ხატები, როცა შუაში წმინდანია გამოსახული, ხოლო ირგვლივ, მედალიონების მსგავსად, — ცალკეული ეპიზოდები მისი ცხოვრებიდან. მაგ. წმიდა გიორგის, წმიდა ნიკოლოზის... ამ ტიპის ხატები. ამის მსგავსია „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ — თხზულების ცენტრში წმ. გრიგოლია, ხოლო მის ირგვლივ სხვადასხვა ეპიზოდი, არაქრონოლოგიური თანმიმდევრობით. შედარებით მოგვიანო ხანაში გაჩნდა წმ. ხატების აშიებზე (მარგინალურ არეებზე) წმინდანთა ცხოვრების ეპიზოდების გამოსახვა, რაც ემსახურება ხატის „გახსნას“, ცენტრში მყოფის განდიდებას, თუმცა მთავარი მაინც წმინდანის ხატია და არა აშიებზე მოცემული წმინდანის ცხოვრება;

ე) ცნობილია ისეთი ხატები, რომლებიც მთელ ისტორიას გადმოგვცემენ, ვრცელ ამბავს გვიყვებიან წმინდანების ცხოვრებიდან. ხატების ასეთი ტიპი განსაკუთრებით გავრცელებულია რუსეთში, ჩვენში — ხატი საქართველოს ეკლესიის დიდება. შესაბამისად, გვაქვს ისეთი აგიოგრაფიული თხზულებები, რომლებშიც ერთდროულად რამდენიმე წმინდანზეა საუბარი. მაგალითად, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ აგიოგრაფიული ნაწილი.

არააგიოგრაფიული ნაწარმოები მიისწრაფვის იმისკენ, რომ გადმოგვცეს ადამიანის შინაგანი სამყარო. აგიოგრაფიული ქმნილება კი, ისე როგორც ხატი (განსხვავებით პორტრეტისაგან), სულიერ არსს გადმოგვცემს. სურათს აქვს საზღვრები, სიუჟეტური ჩარჩოები, ხატი კი მარადისობასთან გაზიარებს. სურათს, შესაძლოა, ანალიტიკურად მიუდგე, იმსჯელო მის ცალკეულ ფრაგმენტებზე, მიანიშნო, რა მოგწონს და რა არა მასზე. ხატს ვერ „დაშლი“, ის ლოცვისთვის უხმობს ადამიანს. ხატზეც და აგიოგრაფიაშიც ხაზგასმულია შინაგანი ცხოვრება, სულის „დინამიკა“, აქ ყოველ დეტალს, ჟესტსა და სხეულის მიმოხვრას თავისი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს.

ხატი თვალნათლივ გვიჩვენებს სულიერი ფერისცვალების პროცესს, სურათი ინდივიდუალობის გამომხატველია. იგი იხედება წარსულიდან თანამედროვეობისაკენ, ხატი კი — მომავლიდან თანამედროვეობისაკენ. მართლმადიდებლური ხატი ხელს გვინყობს, ჩვენი ყოფიერება, განვინმინდოთ (შდრ. ჩუპრინა 1961: 16), გავხდეთ სულიერ ფასეულობათა ერთგულნი!

ხატი არის საიდუმლო, რომელიც შეიცნობა ლოცვასა და სულიერ ჭვრეტაში (არქიმანდრიტი რაფაელი 1997: 1), ასეთსავე მოთხოვნას გვიყენებს ჩვენ აგიოგრაფიული მწერლობაც. ხატი არის ხელოვნების განსაკუთრებული დარგი, მისი განუმეორებელი იდიომა, რომელიც იქმნება მთელი მართლმადიდებელი ეკლესიის ლოცვითი — მისტიკური გამოცდილების საფუძველზე. აგიოგრაფიული მწერლობა ღია დიალოგია მკითხველთან, რომელსაც აზიარებს ღვთაებრივ ნათელს. როგორც ხატწერა არის განსაკუთრებულ ნიშანთა სისტემა, ასევე აგიოგრაფიაც არის ეკლესიის „ენა“. ხატის მხატვარი სულის სამყაროს უნდა ჩასწვდეს და მასზე სულის ენით ილაპარაკოს. აგიოგრაფიაც სულის შესახებ მოგვითხრობს. როგორც ხატი არ არის სულიერი სამყაროს პორტრეტული ასახვა, ასევე აგიოგრაფიაც არ წარმოადგენს წმინდანის სულიერი ცხოვრების ფოტოგრაფირებას. აგიოგრაფია წმინდანის ყოფაა სიმბოლურსა და, ამავე დროს, რეალურ გამოსახულებაში და კიდევ ერთი, აგიოგრაფიული მწერლობა არ არის განწყობის ფიქსაცია, განწყობის ასახვა. იგი, ისევე როგორც ხატი, პიროვნების, წმინდანის მდგომარეობას გადმოსცემს და, აქედან გამომდინარე, აგიოგრაფიულმა მწერლობამ მკითხველს განწყობა კი არ უნდა შეუქმნას, არამედ ლოცვით მდგომარეობაში უნდა მოიყვანოს იგი.

აგიოგრაფიულ სახეებს ორი მხარე აქვთ:

ა) რელიგიური, სულიერი, ამაღლებული, მისტიკური;

ბ) მხატვრულ-ესთეტიკური (შდრ. სულავა 2002: 9-10; სირაძე 2005: 15).

მისტიკური სიმბოლიკა რეგლამენტირებულია, მას განსაზღვრული კანონიკა ახლავს და იქ თავისუფალი გააზრების შემოტანა მკრეხელობადაც კი ითვლება. მხატვრულ-ესთეტიკური ყოველთვის შეიცავს თავისუფალი გააზრების პოტენციალს და ამაშიც ვლინდება მისი მარადიულობა.

„ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში მრავალი ესთეტიკური და ფსიქოლოგიური, გნებავთ, ეგზისტენციალური საკითხია დასმული და განხილული. ჰაგიოგრაფიისთვის მნიშვნელოვანია ღმერთის მიერ შექმნილი სამყაროს მშვენიერების, ადამიანის ღირსებისა და ხორციელების დამცირების, კოსმოსის წესრიგისა და ისტორიის წესრიგის ჩვენება, ხაზგასმა სასულიერო ლიტურჯისათვის დამახასიათებელი დუმილის, სულის, დროის, სათნოების, ჭეშმარიტების, სიყვარულის, სახისმეტყველების, აზრის სილამაზის, ნათლის, სიბრძნის, ესთეტიკური კატეგორიებისა“ (ალიბეგაშვილი... 2008: 41-42).

ამის გარდა, აგიოგრაფიულ მწერლობაში შეგვიძლია ვეძებოთ ისტორიული, ბელეტრისტულ-რომანული, სოციალურ-საზოგადოებრივი და სხვა, ვისაც რა სურს და როგორც სურს! მაგრამ, მთავარია, არ გამოგვრჩეს უმთავრესი, პრიორიტეტი ამ დარგისა. აგიოგრაფიული ნაწარმოები ისე განსხვავდება არააგიოგრაფიულისაგან, როგორც ხატი — პორტრეტისაგან, საგალობელი — სიმღერისაგან და ხუროთმოძღვრება — არქიტექტურისაგან!

ამასთანავე, აგიოგრაფიული მწერლობა არის პასუხი იმაზე, თუ როგორ სწამდათ და უყვარდათ საქართველოში!

დამონებიანი:

ალიბეგაშვილი... 2008: ალიბეგაშვილი გ., მაღლაფერიძე ვ. ჰაგიოგრაფიული თხრობა. „ქართული სიტყვა“, 2, თბ.: 2008.

არქიმანდრიტი რაფაელი 1997: არქიმანდრიტი რაფაელი. საუბრები მართლმადიდებლობაზე. II, თბ.: 1997.

გრიგოლაშვილი 2007: გრიგოლაშვილი ლ. შუასაუკუნოებრივი მწერლობა და ჟანრის პოეტიკის საკითხები. საერთაშორისო სიმპოზიუმი, I, ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები, მასალები. თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2007.**მეტრეველი 2008:** მეტრეველი ს. ქართული აგიოგრაფიის იკონოგრაფიული სახისმეტყველება. თბ.: 2008.

სირაძე 2001: სირაძე რ. დრო და ჟამი. // ლიტერატურული ძიებანი. XXII. თბ.: 2001.

სირაძე 2005: სირაძე რ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. თბ.: 2005.

სულავა 2002: სულავა ნ. გრიგოლ ხანძთელისა და აშოტ კურაპალატის სახისმეტყველებისათვის. // ხანძთა სულიერად მშობელი ქართველთა. თბ.: 2002.

ფარულავა 2003: ფარულავა გრ. ქართული აგიოგრაფია, წიგნში ნათელი ქრისტესი. I. თბ.: 2003.

ძეგლები 1964: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. I. თბ.: 1964.

სულავა 2002: სულავა ნ. გრიგოლ ხანძთელისა და აშოტ კურაპალატის სახისმეტყველებისათვის. // ხანძთა სულიერად მშობელი ქართველთა. თბ.: 2002.

ფარულავა 2003: ფარულავა გრ. ქართული აგიოგრაფია, წიგნში ნათელი ქრისტესი. I. თბ.: 2003.

ძეგლები 1964: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. I. თბ.: 1964.

ჩუპრინა 1961: Чуприна И. В., «Трилогия Л. Толстого», саратов, 1961.

შუა საუკუნეების ლიტერატურული ტრადიცია.
აღმოსავლეთი და დასავლეთი

The Literary Tradition of the Middle Ages: The East and The West

LIA BASHELEISHVILI

Russia, Moskov

Love Epistles in "Vis and Ramin" and "The Knight in the Panther's Skin" Lyrics and Didactics

This article concerns one of the aspects of "The Knight in the Panther's Skin" – the analyses of typological structure of love epistles from "Vis and Ramin" Gorgani and "The Knight in the Panther's Skin". Rustaveli sends the reader to the personages of "Vis and Ramin" so that they could better perceive the didactics of love. The art and knowledge of love presented in the poetic creations is considered through comparing and mixing epistles of love, displaying conventional motives, and separating lyrical and didactical aspects. The discussion about image systems is based on the inner structure of poetic creations, as well as the methods of using common sources and the poetic plots of the Mediterranean Sea Oikumena and the transformations of tropes in Rustaveli poems.

Key words: "The Knight in the Panther's Skin", "Vis and Ramin", love, epistles.

ლია ბაშელეიშვილი

რუსეთი, მოსკოვი

სიყვარულის გზავნილები „ვისრამიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“ ლირიკა და დიდაქტიკა

საშუალო საუკუნეების ქართული ლიტერატურა და კერძოდ, „ვეფხისტყაოსანი“, მრავალი კუთხითაა შესწავლილი და წარმოდგენილი ქართველოლოგიაში. კონკრეტულ ნაწარმოებთა და ავტორთა კვლევა, უდავოა, დღემდე უმნიშვნელოვანეს მიმართულებად რჩება, მაგრამ არანაკლებ ფასეულია სისტემური შესწავლა სახისმეტყველებითი კანონებისა და ლიტერატურული ეტიკეტის, რომელიც ნორმატიული პოეზიის ბაზაზეა შემუშავებული. ამგვარი მიდგომა ახალ ნახნაგებს წარმოაჩენს და ათვალსაჩინოებს მთელ რიგ პრობლემებს არა მხოლოდ ფილოლოგიურ დისციპლინებში, არამედ კულტუროლოგიასა და მედიევისტკაში.

„ვეფხისტყაოსანთან“ მიმართებაში უაღრესად მნიშვნელოვანია იმ პოეტური მემკვიდრეობის ანალიზი, რომელსაც იცნობს რუსთველი და იმონებს კიდევაც. ეს ლიტერატურული პროცესია, ის კონტექსტია, რომელიც არსებობს პოემაში. სწორედ იგი მიგვანიშნებს ლიტერატურულ ტრადიცი-

აზე, რომლის ცოდნის და გათვალისწინების გარეშე არ იქმნება არც ერთი პოეტური ნაწარმოები.

„ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი კონტექსტი „ვისრამიანია“, ანუ მკითხველის „გაგზავნა“ „ვისრამიანის“ პერსონაჟებთან სიყვარულის დიდაქტიკის უკეთ გასაცნობიერებლად. ეს იყო წიგნის ფუნქცია საშუალო საუკუნეებში. სიყვარულს, როგორც ინდივიდუალური გრძნობის დოქტრინას, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების ბაზაზე ჩამოყალიბებულს, ასახულს არაბულ პოეზიასა და სიყვარულის თეორიაში, ტრანსფორმაციის დიდი ეტაპი ელოდა ხმელთაშუა ზღვის კულტურებსა და ლიტერატურაში. ინდივიდუალური სიყვარულის კონცეფცია ვერ ეგუება ტრფობის ობიექტის ცვალებას და დასრულებულ სახეს იძენს აღმოსავლეთში უზრჩვეულ პოეზიასა და დასავლურ კურტუაზიულ ლიტერატურაში.

ფილოსოფიის ისტორიის თვალსაჩინო წარმომადგენელი ფრანკლინ რუდოლფ ანკერსმიტი ბრძანებს: „საშუალო საუკუნეების აზროვნებისათვის არსებობს მხოლოდ და მხოლოდ ერთი ანალოგი იმისა, რასაც ჩვენ, თანამედროვე ადამიანები, ვუნოდებთ „ტექსტს“, ეს ტექსტი ღვთის დაწერილია და და საკუთარ თავს ასაცნაურებს თავის მრავალრიცხოვან ვარიაციებში“ (ანკერსმიტი 2007: 136).

მხოლოდ ამ მოსაზრების გათვალისწინებითაა შესაძლებელი საშუალო საუკუნეების ლიტერატურულ ნაწარმოებში წვდომა და პროცესთა კანონზომიერების დაფიქსირება, „ამაღლებული“ ისტორიული ღვანლის შემეცნება, რადგან პროფ. მ. ვერლის აზრით, „ლიტერატურული ქმნილებაც ისტორიული მოვლენაა და ისტორიის შესწავლის საგანი“ (ვერლი 1949: 46).

„ვისრამიანის“ (XI ს.) ჟანრული თავისებურებებიდან გამომდინარე, კერძოდ, სიცილის კულტურის ელემენტების, აშკარა, ეროტიული, შეუფარავი სასიყვარულო სცენების, სტილისტურად მდარე ლექსიკის გამოყენებით ფახრ-ად-დინ გურგანის, ფახფურ ჯორჯანელის პოეზია ითვლებოდა უზნეოდ და არ იყო ირანულ საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული. „ვისრამიანი“ ორი ხელნაწერთაა წარმოდგენილი და პროფ.მ. რეისნერის აზრით „მისი გავლენა ნიზამის (XIII ს.) შემოქმედებაზეც კი აშკარაა“ (რეისნერი 2012: 56). ფახფურ ჯორჯანელის „ვისრამიანს“ არც ქრისტიანული საზოგადოება სწყალობდა დიდად: *„სიტყვას ვიტყვი მეტად მხრიანს, თუ შეესმის კაცსა მღვთიანს, / მოვახსენებ ბრძენსა-ჭკვიანს, არ ვამხილებ გიჟს, ბნედიანს, / ვის ღმერთი სწამს ადამიანს, ნუ ჩახედავს „ვისრამიანს“ / დაუბნელებს დღესა მზიანს, ჯოჯოხეთში ნახავს ზიანს“* (კეკელიძე 1981: 51). მიუხედავად ამგვარი შეფასებისა, „ვისრამიანის“ გავლენა რუსთველის პოემაზე აშკარაა.

საშუალო საუკუნეების რომანში, მათ შორის „ვეფხისტყაოსანსა“ და „ვისრამიანში“ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ეპისტოლეებსა და გზავნილებს. ამგვარ ქმნილებებში ისინი სიყვარულის კონცეფციის უკეთ გახსნასა და წარმოჩინებას ემსახურებიან.

ქრისტიანულ მწერლობაში ეპისტოლარული ჟანრი დამოუკიდებლად არსებობდა და შესანიშნავი ნიმუში ასეთი სიტყვა-მიგებისა იოანე საბანისძის თხზულებაშია წარმოდგენილი, რომ არა ვთქვათ ეპისტოლეთა ბიბლიურ ნიმუშებზე.

სპარსულ კლასიკურ ეპოსში, მათ შორის, ფირდოუსის „შაჰ-ნამეში“, სპეციალისტები სამოცდაათამდე წერილს აფიქსირებენ დიპლომატიური, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების, მეფეთა გზავნილების, ომისა და

მშვიდობის, სახელმწიფო ინტერესების დაცვის, ნორმების რღვევათა და წესების შეცვლით ნაკარნახევს.

შეყვარებულთა პირადი მიმონერა, ან კიდევ, დანაბარებთა ზეპირი გადაცემა, როგორც ჯორჯანელის პოემაში, ასევე „ვეფხისტყაოსანში“, დიდ დატვირთვას იძენს, რადგან ისინი სიყვარულის დიდაქტიკას ემსახურებიან.

„ვისრამიანის“ ეპისტოლეთა დიდ ნაწილს სიუჟეტური დატვირთვა, განსხვავებით ვეფხისტყაოსნის“ გზავნილებისა, არ გააჩნიათ. ვისის პირველი წერილი სიყვარულით სიშმაგეს ეძღვნება. სიგიჟე, ავადმყოფობა, დასნეულება — სიყვარულის ატრიბუტებია. წერილი უსათაუროა. ვისის მეორე წერილი — მუდამ ახსოვდეს სატრფო, წინ ედგას მისი ხატი, ხედავდეს მის სახეს სიზმარშიც. მესამე წერილი ტრფობის ობიექტის შეცვლის ძიებასა და მასთან დაკავშირებულ აკრძალვებს ეხება. მეხუთე წერილი თმენას, შეყვარებულის შეუბრალებლობას, მის უწყალობას ათვალსაჩინოებს. როგორ მოვუხმით სატრფოს, როგორ მოვიზიდოთ იგი — ესაა მეექვსე წერილის დედააზრი. მეშვიდე წერილი — განშორების ცრემლთა სიმწარეს და მარტოსულის კვნესას გადმოგვცემს. მერვე წერილი — სატრფოს ამბავთა გაგების სურვილი და ცდებია ამ მიმართულებით. მეცხრე გზავნილი — შეჭირვების მიზეზთა ახსნაა, მეათე წერილი — ვედრებაა ახალი პაემანისა გამო. პროფ. მ. რეისნერის აზრით, „ვისის წერილები დიდაქტიკური ხასიათისაა და მათში სიყვარულის ცოდნის აუცილებლობაზე, სიყვარულის ხელოვნებაზეა საუბარი“ (რეისნერი 2012: 58).

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ტრანსფორმაციამ საფუძველი ჩაუყარა ინდივიდუალური სიყვარულის დიდაქტიკის დოქტრინალურ ხორცშესხმას. აბუ უსმან ამრ იბნ ბახრ ალ-ჯახიზის (776-868, ან 896) ტრაქტატში „ქალებისა და სიყვარულის გზავნილის შესახებ“ პირველად ვხდებით ამქვეყნიური, ერისკაცული სიყვარულის კონცეფციას, იმ კონცეფციას, რომელიც „ვისრამიანსა“ და „ვეფხისტყაოსანშია“ ხორცშესხმული. არაბულ სამყაროში იმავე ავტორის ტრაქტატი „წერილი მომღერალ გოგონებს“ დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ამ თხზულებაში „იშკი“ პირველად იხმარება „ხელობანი ქვენანი“-ს მნიშვნელობით. ტრაქტატი შესანიშნავად ათვალსაჩინოვებს იმ სხვაობას, რომელიც ჭეშმარიტ ერისკაცულ მიჯნურობას და სიძვას შორის არსებობს. მედიევისტ მ. რეისნერის აზრით, არაბულ ტრაქტატებში „სიყვარულის სამივე სახე: ხუბბ, ხავა, და ი'შყ'-ი ტერმინოლოგიურ სიზუსტეს იძენს და იქმნება ტრიქოტომია: საღვთო ტრფიალება, რომლის ენა, მისტიკის ენა, სუფიზმში შესანიშნავადაა დამუშავებული, ამქვეყნიური, ერისკაცული, ზეპური სიყვარული და სიძვა, ვნება, ანუ ხორციელი ტრფიალი“ (რეისნერი 2012: 59). ანალოგიურ ტრიადას „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგშიც ვხვდებით, საღვთო ტრფიალების, „ხელობანი ქვენანი, რომელნიც ხორცთა ხვდებიან“ და სიძვის სახით.

„ვისრამიანში“ სწორედ ამქვეყნიურ სიყვარულზეა საუბარი: „მინისაგან დაბადებული მინყით ნებისა და სიამოვნების მონატრეა და მინყით სიამოვნების ბადითაა დაბმული. ღმერთსა კაცთა დაბადება ესრე გაუჩენია, რომე დიაცსა და მამაცსა ერთმანეთისგან უფრო არა უყუარს“ („ვისრამიანი“ 1938: 81).

„ხელობანი ქვენანის“ ერთი ასპექტი „ვისრამიანში“ ისეა წარმორჩინებული, რომ ფაქტობრივად ალ-ჯახიზის ციტირებასთან გვაქვს საქმე. „და შენ ესე არა იცი, რომელ მიჯნურსა უმოყუროდ საწუთრო არ ჰამოა?“

ღმერთსა ფრინველიცა დედალი მამლისათვის დაუბადებია, არ შენ იცი (ვისი) დედალი, მამალსა (რამინსა) ჰპუენი („ვისრამიანი“ 1938: 72).

სიყვარულის დიდაქტიკა, მისი ბუნება და კანონზომიერება ვისის წერილებშია კონდენსირებული და არაბული ტრაქტატები სიყვარულის სახეებისა და ტომ-გვართა შესახებ ჯორჯანელის მიერ პოეტურ ფორმაშია განსხეულებული. ვისისათვის სიყვარული სულის დიდი შრომაა, შეყვარებული ადამიანის გული მუდმივად იღვწის და იმ მეზღვეს ჰგავს, რომელიც თავის ყვავილნარში დანერგული ვარდის გაფურჩქვნასა და გახარებას ელოდება (შეადარე: „ვზრდი მზრდელი სიყვარულისა, მის შენგან დანერგულისა“). სხვაგვარად დიდვაჭარიც ვერ იყიდის ძვირფას მარგალიტს, რადგან მან უნდა გაუძლოს ზღვათა ტეხილებს. რუსთველიც ბრძანებს: „არვის მიხვდეს მარგალიტი.“

პირველ წერილში ვისი თავის თავს შმაგად, ანუ შეყვარებულად, სენშეყრილად წარმოგვიჩენს. მისი ენით აუნერელი ტანჯვა რამინთან განშორებითაა გამონვეული. მეორე წერილში ვისი საუბრობს რამინის ღალატზე, რასაც იგი მიჯნურობის წესის უცოდინარობით ხსნის და შეყვარებულის მოყვინების წინააღმდეგია. ვისი ერთგვარად ამართლებს რამინს, რადგან მისმა სატრფომ მიჯნურობის კანონი არ იცის, რომ სცოდნოდა, იგი ამას არ ჩაიდენდაო. რუსთველის აზრითაც, სიყვარულს ცოდნა უნდა „სიყვარული არა იცია“, ამიკობის წესი არა იცია? არ შეიძლება ტრფობის ობიექტის ცვალება, ერთგულების აღქმა წმინდაა და იგი ერთადერთობას, გულის ერთზე დაჯერებას ითვალისწინებს. მიჯნურმა უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობა სატრფოს წინაშე. იგი ვალდებულია უერთგულოს მას: „გული ერთსა დააჯეროს, კუშტი მიხვდეს თუნდაც ქუში“.

ალ-ჯახიზის ტრაქტატში არაერთგზისაა ხაზგასმული ტრფობის ობიექტის ერთადერთობა და შეუცვლელობა. ვისის წყვილი რამინია, ამიტომ არც ვიროს და არც მოაბადს არ „ერგება“, ქორწინებაში მყოფიც ინარჩუნებს ქალწულობას და ეს მოტივიც შესანიშნავადაა „ვისრამიანში“ ხორცშესხმული, ხოლო „ვეფხისტყაოსანში“ სასიძოთა მთელი გალერეაა წარმოდგენილი, რომელიც საფრთხეს უქმნის წესტანის სიყვარულის ობიექტის ერთადერთობას.

ვისის მეოთხე წერილში ისევ ღალატის შეუძლებლობაზეა საუბარი და დიდაქტიკა ისევ სიყვარულის ცოდნაზე ამახვილებს ყურადღებას. „გული ერთსა დააჯეროს“; — ბრძანებს რუსთველიც. უნდა დააჯეროს, რადგან ჯორჯანელის პათოსით, ასეთია სიყვარულის მეცნიერება. „გულო, როდემდე იქნები საკუთარი თავის მოტრფიალე?“ — წერს მეათე საუკუნის დიდი სპარსელი პოეტი რუდაქი. აბდალაჰ ანსარი (XII ს.) თავის ფილოსოფიურ ღაზელს ასე იწყებს: „გულო, მიაპყარ შენი მზერა ღვთის საქმეებს, რადგან ცთუნებებს ვხედავ მე შენს გზებზე“. რუსთველთან — „გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძლომელი“.

სიყვარულით დაგვა და ტანჯვა, ცრემლები, ბნედა, სანუთროს სამდურავი, სიშმაგე და დასნეულება, მარტოობის, განმარტოების უკიდურესი სურვილი, რუსთველური გაჭრა, წყვილთა გაყრის წარმოუდგენლობა, ერთგულება, როგორც სიყვარულის კონცეფციის ღერძი; — გაყრა — გრძნობათა გაძლიერების საშუალება და სიყვარულის გამოცდა. სიყვარული, როგორც პროცესი, სულის დაუღალავი მუშაობის და „სიყვარულის ცოდნა“, რუსთველური „სიყვარული არა იცის“.

რუსთველური სიყვარულის კონცეფცია პროლოგშია ხორცშესხმული, ხოლო სიყვარულის ეპისტოლენი დიდაქტიკურ მოტივებს კი არ შეიცავს (ერთი გამონაკლისის გარდა), არამედ სიყვარულის ისტორიად იქცევა და ადამიანთა ურთიერთობის ეთიკეტურ მოდელს გვთავაზობს.

ნესტანის პირველი წერილი — სიყვარულის გამჟღავნება ვინაობის გაუმხელელად ისე, თითქოს თავისთავად იგულისხმებოდეს ადრესატი. წერილი ასმათის მონას მოაქვს და ეპისტოლე გაოცებას იწვევს ტარიელში. „შემოვიდა, სააშიკო წიგნი მომცა, წავიკითხე, გამიკვირდა, სხვად ვითამცა ვქმენ გულისა მწველთა სითხე? მისგან ეჭვი არა მქონდა, სევდად მანვა გულსა მით ხე“.

„უმძრახობის“ დანამების და გმობის შიშით, ტარიელი წერს იმას, რაც პასუხად მართებს აშიკობას. ეს სასიყვარულო თამაშის დასაწყისია. ეპისტოლიდან ნათლად იკვეთება „უმძრახობის“ და „მიუყოლობის“ უარყოფითი კონოტაცია. ზეპურ საზოგადოებაში გამეფებული სიყვარულის დოქტრინა ითვალისწინებს სამიჯნურო გამონწვევის მიღებას.

ნესტანის მეორე წერილს კომპოზიციური ფუნქცია გააჩნია და იგი უფრო ვასალისადმია მიძღვნილი. წერილში მსხურებაზეა საუბარი, რომელიც ავალდებულებს ტარიელს იზრუნოს სახელმწიფო ინტერესების დაცვაზე. ნესტანის წერილი ბრწყინვალედ ათვალსაჩინოებს კიდევ ერთ ტრადიციას: სახელმწიფო ინტერესების დაცვა, ბევრად უფრო დიდი სიქველეა, ვიდრე სამართლიანობა. ამ კონცეფციას უფრო ევროპულ რომანში დაეძებნება პარალელები, რადგან სამართლიანობა ძალზე ფასეული მხოლოდ აზიასა და პალესტინაში იყო, ან კიდევ, სუფიურ ტრადიციაში.

მესამე წერილი გვესაუბრება იმაზე, რომ სიყვარულს ცოდნა სჭირდება. ამირბარი მიჯნურობის წესის არცოდნაზე ამახვილებს ყურადღებას და ასმათის თაყვანისცემა უკვირს: „გამიკვირდა, მიჯნურობის თაყვანება ექმნა ვისცა, ვთქვი არ იცის აშიკობა, თუმც იცოდა წყნარად ზისმცა“. მოშორებით ჯდომაც ვერ გაუგია ტარიელს: „მანდ რად ჰზი, შენ თუ სიყვარული ჩემი გჭირსა?“ ამირბარის სიტყვებით გამონწვეული სირცხვილი აიძულებს ასმათს პატრონის დანაბარები გადასცეს ტარიელს. ზეპირი დანაბარების შინაარსობრივი დატვირთვა ძლიერდება კიდევ უფრო, როცა ნესტანის მესამე წერილი მოაქვს ასმათს. ორივე მხარეს სურს ერთმანეთის ამბების გაგება (პარალელი ვისის მეოთხე წერილთან უდავოა). „მიამბე მისი ამბავი, სხვად ნურას მეუბნებია“. მისი ამბავი კი ისაა, რაც არ არის სატრფოს წერილში, ის რაც ასმათის თვალითაა დანახული და შეფასებული. ასმათი ასრულებს ამირბარის თხოვნას.

თანამედროვეობის უდიდესი მკვლევარი, ჟანრების თეორიის დიდი მოწინააღმდეგე, პროფ. მეიერ ვაისი თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „ბიბლია და თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობა. ერთიანი ინტერპრეტაციის მეთოდი“ წერს: „მკვლევარი არსოდეს უნდა ეძებდეს მხოლოდ ანალოგიებს. პირიქით, იგი განსხვავებებს უნდა აფიქსირებდეს შესადარებელ ქმნილებებში. როგორც არ ჰგვანან ერთმანეთს ადამიანთა სახეები, ასევეა განსხვავებული ადამიანთა გონება, ხოლო განსხვავებული გონებანი, განსხვავებულ ფორმებს ჰქმნიან“ (ვაისი 2001: 35).

ვისის წერილის მოტივი — სიზმრად სატრფოს ნახვა და იმედი ახალი პაემანისა — „ვეფხისტყაოსანში“ ეპისტოლეთა მიღმა რჩება, მაგრამ იგი მაინც გაჟღერებულია: „დავწევ, ამოდ დამეძინა, მაგრა შევკრთი, საყვარე-

ლი ჩემი ვნახე, ძილსა შინა გამელვიდა, აღარა მყვა, სულ-დგმულობა მომენყინა. ღამე ასრე გავათენე, მისი ხმაცა არ მასმინა“.

ნესტანის ბოლო წერილი ასრულებს კომპოზიციურ ფუნქციას, მასში ლირიკული და დიდაქტიკური მოტივები ერთმანეთს ენაცვლება. წერილში ყველა კონვენციონალური ნაკადი იყრის თავს:

1) ბედისწერის მუხანათობის და ღვთის განგებულების ვერ წვდომა („ჰხედავცა, ჩემო, სოფელი, რათა საქმეთა მქმნელია“..);

2) ტანჯვა შეყვარებული გულისა, რომელიც განაგრძნობს დანერგული სიყვარულის ზრდას („ვზრდი მზრდელი სიყვარულისა, მის ჩემგან დანერგულისად“);

3) ერთგულების აღთქმის დაცვა, საკუთარი სიცოცხლის ფასად („შენ საყვარელო, ნუ სჭმუნავ, ჭმუნვითა ამისთანითა“);

4) იმედი იმქვეყნად შეხვედრისა;

5) წყვილთა განშორების შეუძლებლობა (ამ წერილში კორესპოდენტის სახის ფსიქოლოგიზაცია სრულდება და შინაგანი კაცი გვითვალსაჩინოვდება მთელი თავისი მომხიბლაობით).

ავთანდილისა და ფატმანის სასიყვარულო ურთიერთობის ტონს ფატმანის პირველი სამიჯნურო წიგნი იძლევა, რომელიც ლირიკულია და სიყვარულის დიდაქტიკას იოტითაც არ შეიცავს. ავთანდილის პასუხი კი დიდაქტიკის ნიმუშია და სიყვარულის არცოდნის, მისი ცუდად გაგების, ეთიკეტის დარღვევას და სამდურავს ახმოვანებს: „ყვა ვარდსა რას აქნევს...“ მაგრამ სიყვარულის დიდაქტიკის ერთი ფუნდამენტური დებულებაა ამ მიმონერაში ყურადსაღები — „პირიანი შეყრა“. ავთანდილი თანახმაა სასიყვარულო პაემანზე და ადასტურებს, რომ „შეყრა პირიანია“, ანუ ორივე მხარის სურვილი და თავისუფალი არჩევანია. ასეთი შეხვედრა სიყვარულის დოქტრინის აუცილებელი შტრიხია, ჯერ კიდევ არაბულ სიყვარულის ტრაქტატებში ჩამოძერწილი, „ვისრამიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“ პოეტურად გაჟღერებული.

და ბოლოს, ლიტერატურული ქმნილება არ არის ფაქტებისა და მოვლენების მშრალი რეგისტრაცია, ლიტერატურის შესწავლა მხოლოდ შიგნიდან, მისივე სტრუქტურისა და სახისმეტყველური სისტემის ანალიზით შეიძლება. ნებისმიერი მეთოდით კვლევა, რომელიც მიუღებელია პოეტური ქმნილებათათვის, საპირისპირო შედეგებს მოგვცემს. „ჩვენ მსგავსი მეთოდებით ვალწევთ იმას, რომ უსაშველოდ ვშორდებით პოეტურ ნაწარმოებს. ნაცვლად იმისა, რომ ტექსტს ჩავუღრმავდეთ და ყურადღებით მოვუსმინოთ სიმღერის ყველა ნოტს“ (ვაისი 2001: 64). „ვისრამიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ტიპოლოგიური ანალიზიც ამ პრინციპების დაცვით უნდა განხორციელდეს.

პოეტური ნაწარმოების კვლევა ეპოქისა და საზოგადოების, ისტორიულ ფონის, ანუ იმის მეშვეობით, რაც პოეტური ქმნილების მიღმაა, მარცხისთვისაა განწირული, რადგან ლიტერატურული ძეგლი არ არის ისტორიული დოკუმენტი. უპირანია მეოცე საუკუნის დიდი ლიტერატურათმცოდნის შტაიგერის გაფრთხილება: „უცნაური ბედი აქვს მეცნიერებას ლიტერატურის შესახებ, ის, ვინც მას იკვლევს, ან მეცნიერების გარეშე რჩება, ან კიდევ ლიტერატურისა“ (შტაიგერი 1956: 12-13).

KONSTANTINE BREGADZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

**German Translations of the *Sunny Night* of the
“The Knight in the Panther’s Skin”
(„Vepkhis t'q'aosani“)**

Six complete German translations of “Knight in the Panther’s Skin” „Vepkhist'q'aosani“ by Georgian Poet Shota Rustaveli are present among which I assume Buddensieg’s translation is worth mentioning as it precisely shows the paradoxical imagology developed by Rustaveli on the basis of Pseudo-Dionysius the Areopagite (the same Petre Iberi/Peter the Iberian, 411-491) Apopathic theology and Apopathic terminology. Correspondingly, the symbolic meaning of *Sunny Night* is established not as a merely epithetic trope but as a symbolic one. Besides, Buddensieg’s translation preserves the Georgian term coined for Trinity in Christian theology. He uses German Christian theological term “Dreienige” as an equivalent to Georgian term, which fully complies with the trinity of *Sunny Night*.

Ke ywords: Shota Rustaveli, Man in the Panther Skin, Sunny Night, Pseudo-Dionysius the Areopagite (Peter the Iberian)

კონსტანტინე ბრეგაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

**„ვეფხისტყაოსნის“ მზიანი ღამის სტროფის გერმანული
თარგმანები***

შესავალი

პრინციპულად მიმაჩნია, რომ ნებისმიერი მხატვრული ტექსტის მთარგმნელი **a priori** უნდა ითვალისწინებდეს სათარგმნ ტექსტზე სამეცნიერო სივრცეში მიღებულ და არსებულ უახლოეს ფუნდამენტურ შედეგებს, რათა თავად თარგმანი იყოს მაქსიმალურად ადეკვატური და არ შეიცავდეს საბედისწერო ცდომილებებს. მით უმეტეს, ეს ყველაფერი გასათვა-

* ჩემს სტატიას, პირველ რიგში, განვიხილავ „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულენოვანი თარგმანების მეცნიერული შესწავლის დანყებისათვის ბიძგის მიცემის ცდად. მიმაჩნია, რომ ამ პროცესში რუსთველოლოგებთან ერთად გერმანისტებიც აქტიურად უნდა ჩაერთონ. ამასთანავე, პრინციპულად მიმაჩნია, რომ რუსთველოლოგიის ფარგლებში საბოლოოდ უნდა დაფუძნდეს ქვედარგი, რომელიც სპეციალურად შეისწავლის „ვეფხისტყაოსნის“ უცხოენოვან თარგმანებს და ამით ორიენტაციას მისცემს „ვეფხისტყაოსნის“ მომავალ მთარგმნელებს, რათა მათ ადეკვატურად და ყოველგვარი საბედისწერო ცდომილებების გარეშე თარგმნონ როგორც ეპოსის მთლიანი ტექსტი, ისე, განსაკუთრებით, ეპოსის საკვანძო ადგილები — პროლოგი, ავთანდილის ანდერძი, ავთანდილის ლოცვა, ნესტანის წერილი ტარიელისადმი, მზიანი ღამის სტროფი.

ლისწინებელი და არსებითია, როდესაც საქმე ეხება შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ უცხო ენაზე, და მათ შორის, გერმანულ ენაზე თარგმნას.

ზ. გამსახურდია თავის, ჩემი აზრით, საეტაპო და დღემდე აქტუალურ რუსთველოლოგიურ ნაშრომში — „ვეფხისტყაოსანი ინგლისურ ენაზე“, რომლითაც ავტორი ფაქტიურად საფუძველს უყრის რუსთველოლოგიის ახალ ქვედარგს, კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“ უცხოენოვანი თარგმანების (ამ შემთხვევაში, ინგლისურენოვანი თარგმანების) მეცნიერულ შესწავლას, — „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ ენაზე თარგმნასთან დაკავშირებულ ერთ ასეთ ეპიზოდს იხსენებს:

„1970 წელს საქართველოში ჩამოვიდა გერმანელი პოეტი ბუდენზიგი, რომელმაც თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“. აკად. ალ. ბარამიძის რეკომენდაციით მან მიგვიწვია კონსულტანტად და გაგვაცნო პროლოგის თარგმანი, რომელიც უკვე იბეჭდებოდა ჟურნალ „**Mickiewich Blätter**“-ში. ჩვენ გავასწორეთ კორექტურა და მივუთითეთ მას ტიპიურ შეცდომებზე, რომელთაც უშვებს თითქმის ყველა მთარგმნელი „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის თარგმნისას, რაც არის შედეგი ცალკეული ტერმინებისა და გამოთქმების ვერ გაგებისა. ბუდენზიგმა გაიზიარა ყველა ჩვენი შესწორება თავისი თარგმანის წიგნად გამოცემისას და აღნიშნა ჩვენი წვლილი წინასიტყვაში“ (გამსახურდია 1984: 152).

როგორც ჩანს, ჰ. ბუდენზიგმა არა მხოლოდ პროლოგის, არამედ მზიანი ღამის სტროფის თარგმნისასაც გაიზიარა ქართველ რუსთველოლოგთა (და მათ შორის, ზ. გამსახურდიას) შენიშვნები. ამიტომაც, შემთხვევითი არაა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მზიანი ღამის სტროფის გერმანულ თარგმანებს შორის მხოლოდ ბუდენზიგისეული თარგმანი გამოირჩევა სრული ადეკვატურობითა და კონცეპტუალური გამართულობით, ვინაიდან მთარგმნელმა სწორედ რომ ზუსტად გაითვალისწინა ის შედეგები, რაც რუსთველოლოგიაში იყო მიღებული მზიანი ღამის, ერთარსება ერთის და უჟამო ჟამის სახისმეტყველებასთან დაკავშირებით.

1. მზიანი ღამის სტროფის ჰერმენევტიკა გერმანულ თარგმანებში

როდესაც დგება რუსთაველის ეპოსის უცხო ენებზე, და მათ შორის გერმანულ ენაზე, თარგმნის საკითხი, მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია მზიანი ღამის სტროფის კონცეპტუალურად მართებული თარგმნა (ისევე როგორც პროლოგის, ავთანდილის ანდერძის, ან ნესტანის წერილის), ვინაიდან პრინციპულად მიმაჩნია, რომ სწორედ მზიანი ღამის სტროფის მართებული თარგმანის მიხედვითაა შესაძლებელი განისაზღვროს, თუ რამდენად ადეკვატურია რუსთაველის ეპოსის მთლიანი თარგმანი იდეურ-მსოფლმხედველობრივი და სახისმეტყველებითი თვალსაზრისით, რადგანაც სწორედ ამ სტროფშია აკუმულირებული „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველებითი კონცეფცია და მსოფლმხედველობრივი პოზიციები, რაც უპირატესად ფსევდო-დიონისე არეოპაგელის (პეტრე იბერის) მიერ განვითარებულ ქრისტიანული აპოფატური თეოლოგიის სახისმეტყველებასა და ღვთისმეტყველებას ეფუძნება (გამსახურდია 1984: 119-151; თვარაძე 1985: 255-282; ნოზაძე 2006: 395; ხიდაშელი 1988: 275-297; ხინთიბიძე 2009: 261-264),¹ ასევე, ქრისტიანული დოგმატიკის ტერმინოლოგიას, კერძოდ, აქ მხედველობაში მაქვს მზიანი ღამის სტროფში მოცემული ქრისტიანული

სამების აღმნიშვნელი ტერმინი *ერთარსება* (გამსახურდია 1984: 119-128; კეკელიძე 1962: 164; ნოზაძე 2006: 394, 398; ნოზაძე www...; ცინცაძე www...).²

დღეს-დღეისობით არსებობს „ვეფხისტყაოსნის“ ექვსი სრული გერმანული თარგმანი: არტურ ლაისტის (ლაისტი 1938), მიხაკო ნერეთლის (პროზაული თარგმანი) (ნერეთელი 1975), რუთ ნოიკომის (ასევე პროზაული თარგმანი) (ნოიკომი 1974), მარია პრიტვიცის (პრიტვიცი 2005), ჰუგო ჰუპერტისა (ჰუპერტი 1982) და ჰერმან ბუდენზიგის (ბუდენზიგი 1976), თუმცა *მზიანი ლამის* სტროფის თარგმნის ადეკვატურობითა და კონცეპტუალური გამართულობით ყველა მათგანი არ გამოირჩევა.

განვიხილოთ, თუ როგორაა გადმოტანილი *მზიანი ლამის* სტროფი და მასში მოცემული ანტინომიური სახისმეტყველება ექვსივე გერმანულ თარგმანში და თუ არის გათვალისწინებული მათში (თარგმანებში) „ვეფხისტყაოსნის“ ამ სტროფში მოცემული ქრისტიანული აპოფატური თეოლოგიის (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი) სახისმეტყველების მიხედვით განვითარებული სიმბოლოთქმნა, და ასევე, აქვე მოცემული ქრისტიანული დოგმატური თეოლოგიის ტერმინოლოგია („ერთარსება“):

836 იტყვის: „*ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ლამისად, / ერთარსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად, / ვის გმორჩილობენ ციერნი ერთის იოტის წამისად, / ბედსა ნუ მიცვლი, მიაჯე, შეყრამდის ჩემად და მისად!*“ (რუსთაველი 1957: 179)

a) *მზიანი ლამე*

ა. ლაისტისეულ და მ. პრიტვიცისეულ თარგმანებში *მზიანი ლამის* სიმბოლიკა საერთოდ არაა გადმოტანილი (აქვე სრული ნონსენსი: პრიტვიცთან *მზის ხატობა* („...მზეო, ვინ ხატად გთქვეს“) რატომღაც უკავშირდება *მთვარეს* და მისეულ თარგმანში *მზე* ცხადდება *მთვარის* „ხატად“/„წინასახედ“/„იდეალად“ (**“Vorbild”**) (პრიტვიცი 2005: 84), რაც, ცხადია, სრული შეუსაბამობაა, მსგავსი რამ რუსთაველის ტექსტში საერთოდ არაა მოცემული, რუსთაველი სტროფში *მთვარეს* საერთოდ არ ახსენებს, მით უმეტეს, გაუგებარია *მზის მთვარის ხატად* თუ *წინასახედ* დასახვა: შდრ., **“Sonne, du (...) wirst für Mondvorbild gehalten”**/მზეო, მიგიჩნიეს/გთქვეს (...) მთვარის წინასახედ/ხატად”) (პრიტვიცი 2005: 84).

მიხ. ნერეთელთანაც საერთოდ არ გვხვდება *მზიანი ლამის* სიმბოლოს თარგმანი, აქ ამის ნაცვლად მოცემულია — „... ვინც/რომელიც თავის თავში სამს ამთლიანებს“, (**“... Der Drei in sich vereinigt”**) (ნერეთელი 1975: 60). აქ აშკარაა, რომ მიხ. ნერეთელი თარგმნისას ეფუძნება ტროპის საკუთარსავე წაკითხვას, კერძოდ, იგი მხარს უჭერდა ტროპის შემდეგ წაკითხვას: „მზიანისა სამისად“ და არა „მზიანისა ლამისად“ (ნერეთელი 1951: 15) (შდრ. კ. კეკელიძეც უკუაგდება წაკითხვას „მზიანისა ლამისად“ და მხარს უჭერდა წაკითხვას „მზიანისა სამისად“ (კეკელიძე 1962: 166)), რაც, როგორც ქრისტიანული აპოფატური თეოლოგიისა (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი) და ტექსტოლოგიური მონაცემების, ისე ჰერმენევტიკული მიდგომის გათვალისწინებით (ამ შემთხვევაში, *კომპარატიულ მეთოდზე* (გერმ. **die komparative Methode**) დაფუძნებული ე. წ. *გრამატიკული ინტერპრეტაცია* (გერმ. **die grammatische Auslegung**) (შლაიერმახერი 1999: 101-133)) მცდარი წაკითხვაა. საბოლოოდ დადგენილია, რომ 836-ე სტროფში

(რუსთაველი 1957: 179) გვაქვს „მზიანისა ღამისად“ და არა „მზიანისა სამისად“ (კ. კეკელიძე), ან „მზიარისა სამისად“ (მიხ. წერეთელი) (ოქმები... 2011: 272).

სტროფის ეს მცდარი წაკითხვა მიხ. წერეთელმა ასახა საკუთარსავე თარგმანში, სადაც საერთოდ ქრება *მზიანი ღამის* აპოფატური სიმბოლიკა, რამდენადაც მიხ. წერეთელი რუსთაველის ტექსტიდან თარგმნის არა *მზიანის ღამისად*, არამედ *მზიარისა სამისად* და ვიღებთ შემდეგ არამართებულ თარგმანს — „ვინც/რომელიც თავის თავში სამს ამთლიანებს“ (**“Der Drei in sich vereinigt”**) (წერეთელი 1975: 60), რაც უკვე არა მარტო სახისმეტყველებითი თვალსაზრისითაა ცთომილება, არამედ კონცეპტუალური თვალსაზრისითაც, ვინაიდან ეპიზოდისა და მთლიანად სტროფის წერეთლისეულ თარგმანში სრულად არ ვლინდება, ერთი მხრივ, რუსთაველის ქრისტიანული მრწამსი (მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი წაკითხვით „მზიარისა სამისად“ წერეთელი მიუთითებდა „ვეფხისტყაოსანში“ ქრისტიანული *სამების* ხსენებაზე (წერეთელი 1951: 15), მაშინ როდესაც იგი მცდარად თარგმნის სამების აღმნიშვნელ „ერთარსებას“, რითაც რუსთაველი ყოველგვარი „შეფარვის“ გარეშე საკუთარ ქრისტიანული მრწამსს აცხადებს, იხ. ქვემოთ), მეორე მხრივ, წერეთლისეულ თარგმანში დაკარგულია ქრისტიანული აპოფატური თეოლოგიის ანტინომიური სახისმეტყველებითი მეთოდის ანალოგიით რუსთაველის მიერ „ვეფხისტყაოსანში“ განვითარებული საკუთარი პოეტური სახისმეტყველებითი თხზვა.

რ. ნოიკომთან *მზიანი ღამე* თარგმნილია როგორც „მზის მასხივოსნებელი ღამე“ (**“sonnenstrahlende Nacht”**) (ნოიკომი 1974: 70), რაც ცხდაია ვერ გამოხატავს *მზიანი ღამის* სიმბოლიკის აპოფატურობასა და მასში კოდირებულ მისტერიალურ-ეზოტერულ სიბრძნესა და ალუზიებს: „ბაროკოს სტილის“ მსაზღვრელი „მზის მასხივოსნებელი“ (**“sonnenstrahlende”**) (ნაცვლად მსაზღვრელ „მზიანისა“), გარდა იმისა, რომ არაადეკვატური თარგმანია, საერთოდ არღვევს *მზიანი ღამის* სიმბოლიკის აპოფატურობასა და ანტინომიურობას. ამიტომაც, რუსთაველის *მზიანი ღამის* სიმბოლიკა ნოიკომისეულ თარგმანში ფუძნდება მხოლოდ როგორც მეტაფორული/ეპითეტური ტროპი.

მხოლოდ ჰ. ჰუპერტისეულ და, განსაკუთრებით, ჰ. ბუდენზიგისეულ თარგმანებში ვხვდებით *მზიანი ღამის* სიმბოლიკის ადეკვატურ თარგმანს: ჰუპერტთან გვაქვს — „გასხივოსნებული მზიანი ღამე“ (**“lichtentflamnte Sonnennacht”**) (ჰუპერტი 1982: 160), ბუდენზიგთან კი, განსხვავებით ჰუპერტისაგან, რუსთაველისეული „მზიანი ღამე“ ზედმეტი ეპითეტების გარეშე, მსაზღვრელ საზღვრულის მონოლითურობის პრინციპითაა თარგმნილი, ზუსტად ისე, სიტყვა სიტყვით, როგორც ეს რუსთაველთანაა — „მზიანი ღამე“/**“sonnige Nacht”** (ბუდენზიგი 1976: 89). ბუდენზიგისეულ მიდგომაში ზედმიწევნითაა გადმოტანილი და აშკარად ვლინდება *მზიანი ღამის* სიმბოლიკის აპოფატურობა, რასაც ჰუპერტისეული „ბაროკოული“ თარგმანი („გასხივოსნებული მზიანი ღამე“) ბოლომდე ვერ გადმოსცემს და ანეიტრალებს. ამასთან, ჰუპერტისეულ თარგმანში გათვალსინინებული არ არის *მზიანი ღამის* სიმბოლიკაში მოცემული მსაზღვრელ-საზღვრულის დიქოტომია და ამის ნაცვლად მოცემულია შესიტყვება „მზეღამე“ (**“Sonnennacht”**) (ჰუპერტი 1982: 160), სადაც აქცენტი მზეზეა გადატანილი, მაშინ როცა რუსთაველთან აქცენტი ღამეზე კეთდება.

b) ერთარსება ერთი

ა. ლაისტიკისა და ჰ. ჰუპერტის თარგმანებში *ერთარსება ერთი/ერთარსებისა ერთისა* საერთოდ არ არის გადმოტანილი, ხოლო ნოიკომთან, წერეთელთან და პრიტვიცთან არსებითი ცდომილებითაა ნათარგმნი, სადაც აშკარად ჩანს, რომ ისინი თარგმნისას საერთოდ არ ითვალისწინებდნენ სიტყვა *ერთარსებას* სემანტიკას, რომელიც ქრისტიანული დოგმატიკიდან გადმოტანილი *სამების* აღმნიშვნელი ტერმინია (კეკელიძე 1962: 164; გამსახურდია 1984: 119-128; გიგინეიშვილი 1968: 56-61; ნოზაძე *www...*; ცინცაძე *www...*): კერძოდ, ნოიკომისეულ თარგმანში *ერთარსებისა ერთის* ნაცვლად ვხვდებით შემდეგ მცდარ და ბუნდოვან თარგმანს — „ერთადმყოფი/ერთმყოფი არსება“ (**“einseiende Wesen”**) (ნოიკომი 1974: 70), მიხ. წერეთელთან გვაქვს ასევე მცდარი და ბუნდოვანი თარგმანი — „ერთის ერთი არსება/არსი“ (**“ein Wesen des Einen”**) (წერეთელი 1975: 60), ხოლო მ. პრიტვიცის თარგმანში ვხვდებით *ერთარსებისა ერთის* ასევე ბუნდოვან თარგმანს — „მარტოდმყოფი მეუფება“ (**“alleiniges Walten”**) (პრიტვიცი 2005: 84). როგორც ვხედავთ, პრიტვიცს ქართული *ერთარსება* გერმანულში გადმოაქვს როგორც *მარტოდმყოფი/მარტოდარსებული* (**“alleinig”**), ხოლო *ერთის* მაგივრად თარგმანში რატომღაც ჩნდება „მეუფება“/„არსებობა“/„მყოფობა“ (**“Walten”**) (პრიტვიცი 2005: 84). როგორც ვხედავთ, აღნიშნულ სამ თარგმანში (წერეთელი, პრიტვიცი, ნოიკომი) *ერთარსება ერთის* თარგმნისას სრული გაუგებრობა და საბედისწერო ცდომილებანია დაშვებული.

მხოლოდ ჰ. ბუდენზიგთანაა გათვალისწინებული *ერთარსება ერთის* სემანტიკის სპეციფიკა და მასთან ამ რუსთველისეულ ტროპს შეესატყვისება გერმანულ ქრისტიანულ თეოლოგიაში მოცემული *სამების* აღმნიშვნელი ტერმინის — **“Dreieinigkeit”** („სამ-ერთიანობა“) — საფუძველზე ნაწარმოები ლექსიკური ერთეული **“Dreieinige”** („სამ-ერთეობა“) (ბუდენზიგი 1976: 89).

c) უჟამო ჟამი

ა. ლაისტიკის თარგმანში აპოფატური ტროპი *უჟამო ჟამი* სერთოდ არაა გადმოტანილი (საერთოდ, *მზიანი ღამის* სტროფის ლაისტიკისეული თარგმანი თავისუფალი თარგმანის ტიპიური ნიმუშია), ჰ. ჰუპერტის, რ. ნოიკომის, მიხ. წერეთლის, მ. პრიტვიცის თარგმანებში კი არეოპაგიტული ანტინომია *უჟამო ჟამი* კვლავ მცდარად არის ნათარგმნი: ნაცვლად *უჟამო ჟამისა* ჰუპერტთან გვაქვს „უსაწყისო, უჟამო სამყაროული ძალისად/სამყაროული ძალმოსილებისად“ (**“der beginnlos, zeitlos, einigen Weltenmacht”**) (ჰუპერტი 1982: 160), წერეთელთან — „უჟამო მარადისობა“ (**“zeitlose Ewigkeit”**) (წერეთელი 1975: 60), პრიტვიცთან — „დროის/ჟამის მიღმა“ (**“ausserhalb der Zeit”**) (პრიტვიცი 2005: 84).

აქ გამონაკლისია ნოიკომისეული თარგმანი, სადაც ადეკვატურადაა *უჟამო ჟამი* თარგმნილი — „ჟამიერებაში მყოფი უჟამო“ (**“das Zeitlose in der Zeit”**) (ნოიკომი 1974: 70). ხოლო ბუდენზიგისეული თარგმანი კვლავ გამოირჩევა ადეკვატურობით, სადაც, სხვა მთარგმნელებისაგან განსხვავებით, კვლავ გათვალისწინებულია *უჟამო ჟამის* ტროპის აპოფატურობა და ანტინომიურობა: ბუდენზიგის მიერ ეს არეოპაგიტულ-აპოფატური ტროპი ნათარგმნია როგორც „დროში (ჟამში) უჟამოდ მყოფი“ (**“zeitlos in Zeiten anwesend”**) (ბუდენზიგი 1976: 89).

დასკვნები

1. ამგვარად, მიმაჩნია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ არსებულ გერმანულ თარგმანებში *მზიანი ღამის* სტროფი „ვეფხისტყაოსნის“ მხოლოდ ბუდენზიგისეულ თარგმანშია ადეკვატურად გადმოტანილი (თუ არ ჩავთვლით ნოიკომისეულ და ჰუპერტისეულ ერთეულ გამონაკლისებს), ვინაიდან მთარგმნელი ითვალისწინებს რუსთაველის მსოფლმხედველობრივ და სახისმეტყველებით პოზიციებს, კერძოდ იმას, რომ მსოფლმხედველობრივი, სახისმეტყველებითი და პოეტური რიტორიკის თვალსაზრისით რუსთაველი სწორედ ფსევდო-დიონისე არეოპაგელის (პეტრე იბერის) აპოფატური ქრისტიანული თეოლოგიის სახისმეტყველებას ეყრდნობა.

2. აქედან გამომდინარე, *მზიანი ღამის* სახისმეტყველება ბუდენზიგის თარგმანში ფუძნდება არა როგორც უბრალო ეპითეტური ტროპი (მაგ. როგორც ეს ჰუპერტისეულ, ან ნოიკომისეულ თარგმანებშია), არამედ როგორც მისტიკურ-აპოფატური სიმბოლური ტროპი, ისე, როგორც ეს რუსთაველის *მზიანი ღამის* სტროფშია — **“sonnige Nacht”** (ბუდენზიგი 1976: 89). შესაბამისად, ბუდენზიგისეული თარგმანი ზუსტად გადმოსცემს რუსთველისეული ტროპის აპოფატურ-ანტინომიურ არსს.

3. კონცეპტუალური თვალსაზრისით ბუდენზიგთან ასევე ადეკვატურადაა გადმოტანილი *უჟამო ჟამის* აპოფატურ-ანტინომიური ტროპი — **“zeitlos in Zeiten anwesend”** (ბუდენზიგი 1976: 89), სადაც კვლავ გათვალისწინებულია „ვეფხისტყაოსანში“ მოცემული არეოპაგიტული თეოლოგიის აპოფატის საფუძველზე განვითარებული ანტინომიური სახისმეტყველება.

4. ასევე, ბუდენზიგისეულ თარგმანში ადეკვატურადაა გადმოტანილი *მზიანი ღამის* სტროფში მოცემული ქართულ ქრისტიანულ დოგმატურ თეოლოგიაში *სამებისათვის* შემუშავებული ტერმინი — *ერთარსება* (იხ. მრწამსი, სიმბოლო სარწმუნოებისა), რომლის შესატყვისად ბუდენზიგი ირჩევს გერმანულ ქრისტიანულ თეოლოგიაში მოცემულ *სამების* აღმნიშვნელ ტერმინზე — **„Dreieinigkeit“** — დაყრდნობით შექმნილ ლექსიკურ ერთეულს **“Dreieinige”** (ბუდენზიგი 1976: 89), რაც შეესაბამება *მზიანი ღამის* სტროფში მოცემულ *ერთარსება ერთს*.

შენიშვნები:

1. მ. გიგინეიშვილი რუსთველისეული *მზიანი ღამის* ტროპის ინტერპრეტაციისას არ ითვალისწინებს ქრისტიანული აპოფატური თეოლოგიის კონტექსტებს (გიგინეიშვილი 1968: 14-15), — რისი აუცილებლობაც თუნდაც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტივია გაცხადებული — „ამა საქმეს დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს“ (რუსთაველი 1957: 310), — რაც საკმარისი წინაპირობაა იმისათვის, რომ *მზიანი ღამის* სახისმეტყველების განმარტებისას უნდა ამოვიდეთ უშუალოდ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიდან, ეპოსის ტექსტუალური მონაცემებიდან, სადაც ხშირად გვხვდება სწორედ უკუთქმითი ფორმულირებანი (შდრ. *ავთანდილის ლოცვა* — „უცნაურო“, „უთქმელო“ და სხვ.) და ინტერპრეტაციისას უნდა გავითვალისწინოთ სწორედ არეოპაგიტიკის სახისმეტყველებითი პარადიგმების სპეციფიკა. ამასთან მიმაჩნია, რომ კონკრეტული ტექსტის სახისმეტყველების განმარტებისას, ინტერპრეტატორი უნდა ხელმძღვანელობდეს ისტორიზმის პრინციპით და უპირველეს ყოვლისა უნდა ითვალისწინებდეს ტექსტის შექმნის კონკრეტულ ისტორიულ მსოფლმხედველობრივ კონტექსტებს. შესაბამისად, რუსთაველის ტექსტისთვის ეს კონტექსტია XI-XII საუკუნეების საქართველო, როდესაც, ერთი მხრივ, დომინირებს

ოფიციალური ქრისტიანული მართლმადიდებლური იდეოლოგია და მისთვის დამახასიათებელი ესქატოლოგიური სწავლება, მეორე მხრივ, როდესაც საქართველოში ამის პარალელურად განვითარებულია ქრისტიანული ფილოსოფია (არეოპაგატიკა, პეტრინი, ეფრემ მცირე) და არსებობს ქრისტიანი მამების (გრიგოლ ნაზიანზელი, გრიგოლ ნოსელი, ბასილი დიდი) მისტიკურ სწავლებათა რეცეფციის ტრადიცია. შესაბამისად, „ვეფხისტყაოსანი“ სწორედ აღნიშნულ იდეოლოგიურ კონტექსტში იქმნება და რუსთაველის მსოფლმხედველობა სწორედ აღნიშნულ მსოფლმხედველობრივ პარადიგმებზეა ამოზრდილი. ამ გარემოებაზე კარგად მიუთითა ე. ხინთიბიძემ: *„როდესაც რუსთაველის მსოფლმხედველობაზე ვმსჯელობთ, საჭიროა პოეტი არ მოვწყვიტოთ იმ ეპოქას, რომელშიაც მოღვაწეობდა. ასე რომ, „ვეფხისტყაოსანში“ მისტიკური ელემენტების ძიებისას პირველ რიგში პარალელი უნდა გავავლოთ შუასაუკუნეების ქრისტიანულ აზროვნებასთან და არა ეგვიპტელი მისტის ინიციაციის საფეხურებთან, ანდა XIX და XX საუკუნეების ქრისტიანული ეზოტერიზმის დოქტრინასთან“* (ხინთიბიძე 2009: 253). ხოლო რუსთაველი აღნიშნულ მსოფლმხედველობრივ პოზიციებსა და პარადიგმებს საკუთარი ინდივიდუალური შემოქმედებითი ძალმოსილებისა და ნებელობის, საკუთარი უნიკალური პოეტური სიტყვის ცხოველმყოფელობის საფუძველზე კიდევ უფრო ავითარებს, განავრცობს და ახალ ხარისხში აჰყავს.

2. მიუღებელი და კონცეპტუალურად მცდარია ერთარსება ერთის ე. ხინთიბიძესეული ინტერპრეტაცია, თითქოს ეს ტროპი არ მიანიშნებდეს ქრისტიანულ სამებაზე, არამედ შესაძლოა იგი მიანიშნებდეს მაგ. ნეოპლატონური გაგების სამებაზე: *„ერთარსება ერთი უფრო მეტად ემსგავსება ნეოპლატონურ სამებას. პლოტინის კონცეფციით, უზენაესი არსება არის სამება. სამების პირთა სახელებია: ერთი, გონება და სული. თუ დავუშვებთ, რომ რუსთაველი ერთარსებაში ნეოპლატონური სამების თვისებას მოიაზრებს, მაშინ ერთარსების ერთი ნეოპლატონური სამების ის პირი იქნება, რომელსაც ერთი ჰქვია, რომელიც არის ნეოპლატონური ღმერთი, სანყისი ყოველივესი და, მათ შორის, სამების მეორე პირის — გონების წარმომქმნელიც“* (ხინთიბიძე 2009: 275). *ერთარსება ერთის რუსთაველისეული ტროპის ინტერპრეტაციისას ე. ხინთიბიძე არ ითვალისწინებს მთლიანად მზიანი ღამის სტროფის კონტექსტს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ 836-ე სტროფი მთელი თავისი შინაარსით ენათესავება არა პლოტინს და წარმართულ ნეოპლატონიზმს, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ეკლესიის მამათა აპოფატურ ნააზრევს. ეს სტროფი მთლიანად აგებულია აპოფატური ანტინომიზმის პრინციპზე (გამსახურდია 1984: 126). აქედან გამომდინარე, ე. ხინთიბიძე ასევე არ ითვალისწინებს, რომ ერთარსება ერთის სახით კვლავ მოცემულია აპოფატურ-ანტინომიური ტროპი — ერთი მხრივ, ერთარსება როგორც სამება, ხოლო, მეორე მხრივ, ერთი როგორც ღვთის განუყოფლობა და მთლიანობა ქრისტიანული გაგებით: „მაგრამ აქ საქმეც ის არის, რომ რუსთაველმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სამება არა მხოლოდ არსებით ერთია, ერთარსებაა, არამედ იგი იდენტურია წმინდა ერთისა და ამით შექმნა ანტინომია, რომელსაც ამგვარად გადმოსცემდა წმ. მაქსიმე აღმსარებელი: „ღმერთი არის იდენტურობა მონადისა და ტრიადისა“ (რა თქმა უნდა, ერთარსება ტრიადისა ანუ თვისობრივი ტრიადისა). ნეოპლატონიზმში განა ვინმე ეჭვობდა „ერთის“ ერთარსებობას? განა *implicite* არ იგულისხმებოდა, რომ „ერთს“ ერთი არსება აქვს? განა ვინმე ფიქრობდა, რომ მას სამი არსება აქვს ან მეტი? მაშ რაღა საჭირო იყო სტროფში „ერთისათვის“ „ერთარსების“ მიკერება, თუ რუსთაველი ნეოპლატონურ ერთს გულისხმობდა? მაგრამ საქმეც ის არის, რომ იგი „ერთარსებაში“ „სამებას“ გულისხმობდა, „ერთი“ კი დასჭირდა ანტინომიისათვის. (...) 836-ე სტროფში ნახსენები „ერთარსება ერთი“ ქმნის ტრინიტარულ ანტინომიზმს, რაც დამახასიათებელია ქრისტიანული აპოფატური ღვთისმეტყველებისათვის, კერძოდ, — აღმოსავლური ეკლესიის მამების ნააზრევისათვის. ნეოპლატონიზმის თვალსაზრისით კი, „ერთარსების“ ხმარება სიტყვა „ერთთან“ ყოვლად უსარგებლო ტავტოლოგიაა, იგი არავითარ ანტინომიას არ ქმნის და ამდენად გამორიცხულია მისი ხმარება ნეოპ-*

ლატონიზმის თვალსაზრისით მოცემულ სტროფში, რომელიც აპოფატური ანტიინომიზმის პრინციპზეა აგებული“ (გამსახურდია 1984: 126, 150).

აქედან გამომდინარე, ე. ხინთიბიძეს მხედველობიდან რჩება სამების არსის ქრისტიანულ და ნეოპლატონურ გაგებებს შორის პრინციპული სხვაობაც, რაზეც თავის დროზე მართებულად მიუთითა ზ. გამსახურდიამ (გამსახურდია 1984: 120-127): ქრისტიანული სამება სამი თანაარსის, ანუ, სამი „თანაბარუფლებიანი“, „თანაბარი ძალის“, თანაბრად სრულყოფილი შემადგენელი ნაწილების მთლიანობაა, სადაც დადამავალი იერარქია იმთავითვე გამორიცხულია, რამდენადაც ქრისტიანულ სამებაში სამების არცერთი წევრი მეორე წევრს არ ქმნის; ამიტომაც, ისინი თანაბრად სრულნი არიან. ხოლო ნეოპლატონიზმის სამებაში შემავალი წევრები დადამავალი პრინციპით ერთიანდებიან, მათ შორის მიმართება იერარქიის პრინციპის ეფუძნება, ვინაიდან ტრიადის წევრები ერთი მეორეს ქმნიან და ამდენად თითოეული წევრი მეორესთან შედარებით ნაკლებად სრულყოფილია — ერთი ქმნის გონებას, ხოლო გონება სულს (გამსახურდია 1984: 121-122, 126-127).

აქედან გამომდინარე, ასევე მიუღებელი და მცდარია ერთარსება ერთის ინტერპრეტაცია არისტოტელესეული ფილოსოფიის პოზიციებიდან: „რუსთაველის გამოთქმაში — „ერთ-არსებისა ერთისა“ — ხაზგასმულია არა მხოლოდ ღმერთის „ერთ-არსობა“, არამედ მისი „ერთობაც“, რაც იძლევა საფუძველს ვიფიქროთ, რომ აქ „არსება“ გაგებული უნდა იყოს არისტოტელეს პირველადი არსების მნიშვნელობით“ (ხიდაშელი 1988: 257). აქაც აშკარაა, რომ ავტორი არ ითვალისწინებს ტროპის ანტიინომიურ არსს და მთლიანად სტროფის სახისმეტყველების აპოფატურ-ანტიინომიურ კონტექსტს (იხ. ზემოთ). ამდენად მიმაჩნია, რომ მზიანი ღამის სტროფის ერთარსება სწორედ ქრისტიანული სამებაა და ქრისტიანული დოგმატიკიდან აღებული ტერმინია.

დამოწმებანი:

ბუდენზიგი 1976: Buddensieg H. *Der Mann im Pantherfell. Altgeorgisches Epos. Nachdichtung*, Tb.: 1976.

გამსახურდია 1984: გამსახურდია ზ. ვეფხისტყაოსანი ინგლისური ენაზე. თბ.: „მეცნიერება“, თბ.: 1984.

გიგინეიშვილი 1968: გიგინეიშვილი მ. „მზიანი ღამე“ ვეფხისტყაოსნისა და ქრისტიანული მსოფლმხედველობის ზოგი საკითხი. თბ.: „მეცნიერება“, 1968.

თვარაძე 1985: თვარაძე რ. არეოპაგელი და რუსთაველი. // *თვარაძე რ. თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა*. თბ.: „საბჭ. საქართველო“, 1985.

კეკელიძე 1962: კეკელიძე კ. რუსთველოლოგიური შენიშვნები. // *კეკელიძე კ. ეტიუდები. VIII*. თბ.: თსუ გამ.-ობა, 1962.

ლაისტი 1938: Arthur Leist, *Der Mann im Tigerfelle*. Aus dem Georgischen übersetzt, 2. Aufl., Dresden/Leipzig: 1938.

ნოზაძე 2006: ნოზაძე ვ. ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება. ტ. III. // *ნოზაძე ვ. თხუთმეტსაუკუნოვანი სრული კრებული 10 ტომად*. გ. შარაძის საერთო რედაქციით. თბ.: 2006.

ნოზაძე www...: ნოზაძე ვ. *ვეფხისტყაოსნის ღმერთისმეტყველება*. ინტერნეტ მისამართი: <http://www.nplg.gov.ge/dspace/handle/1234/3469>

ნოიკომი 1974: Ruth Neukomm, *Der Mann im Pantherfell*. Übertragung aus dem Georgischen und Nachwort. Manesse, Zürich: 1974,

ოქმები... 2011: „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომათა ოქმები (1973-1979 წ.წ.). ნიგნი I. რედ. აკად. თ. გამყრელიძე. თბ.: 2011.

პრიტვიცი 2005: Marie Prittwitz, *Der Ritter im Tigerfell. Ein altgeorgisches Epos*. Deutsche Nachdichtung, hrsg. von Steffi Chotiwari-Jünger und Elgudsha Chintibidse, Tbilissi/Berlin: 2005.

რუსთაველი 1957: რუსთაველი შ. *ვეფხისტყაოსანი*. აღ. ბარამიძის, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის საერთო რედაქციით. თბ.: სახელგამი, 1957.

შლაიერმახერი 1999: Schleiermacher Fr. Hermeneutik und Kritik, hrsg. von M. Frank, 7. Aufl., Suhrkamp, Frankfurt am Main: 1999.

ცინცაძე www...: ცინცაძე კ. ვეფხისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობისათვის. ინტერნეტ მისამართი: <http://www.nplg.gov.ge/dspace/handle/1234/2825>

წერეთელი 1951: წერეთელი მ. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. // *ბედი ქართლისა*. № 9, 1951.

წერეთელი 1975: Michael von Tseretheli, *Der Ritter im Pantherfell*. Übersetzung aus dem wiederhergestellten und kritisch bearbeiteten georgischen Original von Michael von Tseretheli, hrsg. von Nino Salia. Salia, Paris: 1975.

ხიდაშელი 1988: ხიდაშელი შ. ქართული ფილოსოფიის ისტორია (IV-XIII ს.ს.). თბ.: „მეცნიერება“, 1988.

ხინთიბიძე 2009: ხინთიბიძე ე. ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო. „ქართველოლოგი“, თბ.: 2009.

ჰუპერტი 1982: Huppert H. *Der Recke im Tigerfell. Altgeorgisches Poëm*. Deutsche Nachdichtung, 4. Aufl., Rütten & Loening, Berlin: 1982.

GASTON BUACHIDZE

France, Nante

Around the Round Table (Chrétien de Troyes and Shota Rustaveli)

In the middle of the European Civilisation the Middle Ages from one Iberia to the other (Georgia/Spain) give formation to people's consciousness and mentality. The signs of friendship and love separate from terrible ordeal and severe antilogy. Since the 12th century the creations of Shota Rustaveli and Chrétien de Troyes have developed next to each other to tell us about this. The creations of *The Man in the Panther's skin* and *Perceval, the Story of the Grail* connect the Ancient Times, Middle Ages and our epochs with one another. The quest of saint grail is undeniably the realisation of the essence of our lives.

Key words: Shota Rustaveli, Chrétien de Troyes, round table, grail, dense forest, love, friendship.

გასტონ ბუაჩიძე

საფრანგეთი, ნანტი

მრგვალი მაგიდის ირგვლივ (კრეტიენ დე ტრუა და შოთა რუსთაველი)

ევროპული ცივილიზაციის წიაღში, შუა საუკუნეების ეპოქა, ერთი იბერიიდან მეორემდე (საქართველო/ესპანეთი) გეზებს უდგამს ხალხთა ცნობიერებას. მძიმე განსაცდელებსა და სასტიკ დაპირისპირებებს ემიჯნება მეგობრობისა და სიყვარულის ნიშნები. მეგობრობა და სიყვარული შორიშორსაც იფურჩქნებიან. საკუთარ თვითმყოფადობას ინახავ და სხვისას პატივს სცემ. შოთა რუსთაველი შეგვახსენებს: „ვინ მოყვარესა არ ეძებს,

იგი თავისა მტერია“ (854). ვინ უნყის, იქნებ მზის შუქით აღფრთოვანებულმა მეფე არტურმა გაიფიქრა მრგვალი მაგიდა დაედგა და ამით იწინასწარმეტყველა დედამიწის სიმრგვალის მომავალში გაკეთებული აღმოჩენა. თანაც ფრანგულად „მრგვალი“ და „მსოფლიო“ (*Ronde / monde*) ირითმება. *არტურისავე დაკვირვებით, ნებისმიერ რაინდს საკუთარი თავი უნარჩინებულესად მიაჩნია. მრგვალი მაგიდის ირგვლივ კი თანასწორობა სუფევს.*

ციფრები თავის სათქმელს ამრგვალებენ. მოვლენათა მოულოდნელი ნახნაგები გვევლინება. ლათინური ციფრებიდან არაბულზე გადასვლისას XII და XXI საუკუნეები 12 და 21 იწერება. რა იცვლება? უბრალოდ ციფრების გადატრიალება შეგვახსენებს, რომ დროა მრავალი საუკუნისას ხალხთა და ადამიანთა ხოცვა-ჟლეტამ ადგილი დაუთმოს ურთიერთგაგებასა და მსოფლიოს მრავალფეროვნებით დატკობას.

იმავეს გვაუწყებს ერთი ენიდან მეორეზე გადასვლა, თუნდაც ისინი გვერდი-გვერდ ჟღერდნენ ანდა ერთმანეთისაგან ათასობით კილომეტრით დაშორებული იყვნენ (რაც ქართულისა და ფრანგულის შემთხვევაა). დედამიწის ირგვლივ (ისევე როგორც მრგვალ მაგიდასთან დაბრძანებისას) ენები ურთიერთთანასწორობას იცავენ და ერთმანეთს თვალს უხსნიან. მაგალითად: ქართული ანბანის სანყისი ასოები „შ“ და „კ“ შოთასა და კრეტიენს განაშორებენ, ლათინური ანბანი კი ორივეს იგივე ინიციალს არგუნებს და მაგიდასთან გვერდი-გვერდა სვამს: Ch. „შორიახლოს“ ყოფილან.

შოთასა და კრეტიენს ბედი უღიმის და შეხვედრას უმართავს უღრანი ტყის ნიაღში (*la Gaste Forêt*). რა ვიცით მათ შესახებ? ბევრი არაფერი. სავარაუდო თარიღები და ტოპონიმები მრავალ შეკითხვას ბადებს, დამთხვევებსაც გვარგუნებს. მგოსნები მხოლოდ სახელს ატარებენ (გვარს გაურკვეველს ტოვებენ) და ორჭოფულ ტოპონიმს უკავშირებენ: კრეტიენი და ტრუა, შოთა და რუსთავი. ქრონოლოგია მერყეობს. ერთი შეხედვით, ფრანგი მენესტრელი კრეტიენ დე ტრუა დაიბადა 1135 წელს და გარდაიცვალა დაახლოებით 1183 წელს, ანუ 48 წლისა, თუმცა მისი დაბადების თარიღი არსად ჩანს. კითხვის ნიშნები: დაიბადა 1135 და 1140 წლებს შორის? 1135 და 1145? იცხოვრა 1135 და 1185 შორის? ვინ უნყის. ასევე ბუნდოვანია შოთას კალენდარი. მისი დაბადების წელი მრავალ ტალღას შორის დაცურავს. თითქოსდა 1160 და 1165 წლებს შორის იხილა დღის შუქი. 25 ან 30 წლით უმცროსი ყოფილა კრეტიენზე? სხვა ვარაუდი თორმეტი-ოდე წლით ზრდის განსხვავებას: თუკი შოთა 1172 წელს დაიბადა და 1216 წელს გარდაიცვალა (კრეტიენზე ოთხი წლით ნაკლები უცხოვრია). ასეა თუ ისე, გარდაუვალი აღმოჩნდა უღრან ტყეში მათი წარმოსახვითი შეხვედრა და სიტყვათა გაცვლა მრგვალი მაგიდის ირგვლივ. როდის მოხდა ეს? მარადიულობაში.

შოთასა და კრეტიენის გვერდით ვისი სახელები გაისმის? ერთიც და მეორეც თხზულებას თავის ხელმწიფეს უძღვნის: თამარ მეფეს და მარი დე შამპანს. „ლანსელოტის“ დასაწყისში კრეტიენი გვიდასტურებს: „ჩემი შამპანელი ქალბატონის ბრძანებით“ დავწერეო, ანუ ალიენორა აკვიტანელის და ლუი VII-ის ქალიშვილისა. ხოლო შოთა „ვეფხისტყაოსანს“ ბრძენ და ლამაზ თამარ მეფეს უძღვნის. გვერდიგვერდ აღმოჩნდნენ მარი და თამარი. კრეტიენის ენაზე კი ორ სიტყვად დაყოფილი თა მარი „შენს მარის“ ნიშნავს. გეგონება ამას შორიდან მოფრენილი ბულბული შოთას ყურში უჩურჩულებს უღრან ტყეში.

შოთასა და კრეტიენის სათქმელი რვამარცვლიანი ლექსის რიტმით ჟღერს („შაირია ამაღ კარგი“). სხვისი ენის ცოდნის გარეშეც მუსიკალური ვარიაციები თავის სათქმელს გადაგვიშლის. ენა ენაა, გულისყური კი გულისყური. ამიტომ შეგვახსენებს შოთა თავისი შთაგონების სავარაუდო წყაროს: „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები“. სამყაროს უხელ თვალს და სამყარო გიხილავს: ტარიელის მიწაზე ფეხის დადგმიდან 800 წლის შემდეგ იუნესკომ ეს-ესაა „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო საგანძურში შეიტანა.

სხვასა და საკუთარ წარსულს უგდო ყური? დროის მსვლელობაში ხომ ყველა ენა სახეს იცვლის. ფრანგებმა იტვირთონ და გაიხარონ კრეტიენ დე ტრუას, ვიიონის, რაბლეს, რონსარის ტექსტების გადაკითხვით. იტალიელებმა ყური უგდონ დანტეს და პეტრარკას, ესპანურენოვანებმა — სერვანტესს, ინგლისურენოვანებმა — შექსპირს, ქართველებმა კი შოთა რუსთაველს. ბევრი სათქმელი აქვს ხუთივე კონტინენტის მრავალხმიანობს. მრავალჟამიერ!

ერთიმეორისაგან დაშორებულებმა, არ დაივიწყოთ, ტრუვერო და ტრუბადურო, რომ თქვენი თანამოდძენი მესტვირე და მენესტრელი მსგავსი ხმოვნებითა და თანხმოვნებით წარმოგვიდგებიან.

ხოლო წერის გარეშე ვერც მესტვირე, ვერც მენესტრელი იარსებებს. რუსთაველის უნიკალური ქმნილების, „ვეფხისტყაოსნის“, პირისპირ კრეტიენ დე ტრუა ხუთ სარაინდო (ან რაინდულ) რომანს გვთავაზობს: „ერეკი და ენიდა“, „კლიჟესი“, „ლანსელოტი ანუ რაინდი ურმით“, „ივენი ანუ რაინდი ლომით“, „პერსევალი ანუ გრაალის თავგადასავალი“, ეს უკანასკნელი 1182-1183 წლებშია დაწერილი. პირველი შედარებითი კვლევისათვის ვენდოთ ამ დაუსრულებელ ნაწარმოებს. სარაინდო რომანების თვალთახედვა იკვებება წარსულის წყაროებით: შოთა ესაუბრება ანტიკურ საბარძნეთს და უძველეს სპარსეთს, კრეტიენიც უხმობს რომსა და ათენს, ბერძენ პერსონაჟებს ალნერს, თარგმნის ოვიდიუსის „მეტამორფოზებს“ და ლათინურ პოეზიას ეზიარება. სადღეისოდ კი შოთასა და კრეტიენის დიალოგი ფრთებს იშლის მაკა ელბაქიდის ნაშრომში: „ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი შუასაუკუნეების ფრანგულ რაინდულ რომანთან ტიპოლოგიურ მიმართებაში“.

ბუნებრივია, რომ ორივე პოეტის შემოქმედებითი სავალი ამჟღავნებს როგორც სიახლოვის ასევე განსხვავების ნიშნებს, ცოდნა და ფანტაზია ხელი-ხელ ჩაკიდებული. საქართველოში, იყალთოს აკადემიაში მიღებული განათლების შემდეგ, შოთა სწავლა-განათლებას ბიზანტიაში განაგრძობს. მრავალ ენას ითვისებს: ბერძნული, არაბული, სპარსული. გაეცნო ანტიკურ ფილოსოფიას, კითხულობდა ემპედოკლეს, ჰერაკლიტეს, პლატონს და, აღმოსავლეთით, თავს იჩენენ ფირდოუსი, გორგანი, ნიზამი... შოთაც და კრეტიენიც ხიდსა დგავენ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის.

მრავალი რამ უხმობდა მათ ერთ მშვენიერ დღეს ერთმანეთს შეხვედრილიყვნენ. ფრანგული ანდაზა „დამელოდეთ თელის ქვეშ“ რუსულად ითარგმნება „после дождичка в четверг“, ანუ შევხვდრა წყალზე წერია. და მაინც შოთა და კრეტიენი თელის ქვეშ ხვდებიან ერთმანეთს უღრან ტყეში. თარიღს ნუ ვიკითხავთ. ხელთ უკვდავი ქმნილებები უჭირავთ და ერთმანეთს წარუდგებიან. მასპინძელი:

— კრეტიენი ტრუადან.

საპატიო სტუმარი:

— შოთა რუსთავიდან.

თელიდან მუხისაკენ გადასული, კრეტიენი დასძენს: „ბედმა გაგვიღიმა, ტყეში გახლავართ. ზოგისთვის უღრანია, ჩვენ კი გვმასპინძლობს“. და სტუმარს მრგვალ მაგიდასთან იწვევს.

მგოსნები ფოთოლთა შრიალს უგდებენ ყურს და თავიანთ პერსონაჟებს უთმობენ სიტყვას. ესენი კი ორ ფასეულობას დაეძებენ: მეგობრობას და სიყვარულს. კრეტიენის ენაში ორივე სიტყვა „ა“-თი იწყება. თინათინისადმი სიყვარულს მიჰყავს ავთანდილი ტარიელის საძებნელად და რაინდებს მეგობრებად აქცევს, სამკვდროდ და სასიცოცხლოდ. ორივე „ა“-თი გამხნევებული პერსევალი კი გრაალის საძებნელად მიემართება.

ბრეტონული არაკებით შთაგონებული, ხსენებული მრგვალი მაგიდა კელტურ და ქრისტიანულ სამყაროთა შორის იდგამს ფეხს. კრეტიენიდან დღემდე, ვინ დასთვლის პოეტებსა და მწერლებს, ვინც მას ქება-დიდებას ასხამს. სუფრასთან ვინ ზის? შოტლანდიელი, ბრეტონელი, ფრანგი, ნორმანდიელი, ანჟუელი, ფლამანდიელი, ბურგუნდიელი, ლორენელი... საუკუნეთა განმავლობაში მათი რიცხვი იზრდება. მოქეიფეთა პირველი სავარაუდო სია: ბრან დე ლის, ერეკი, გოვენი, გორნემანი, ლანსელოტი, მელიანი, საგრემორი, ივენი... საქართველოში გაშლილ სუფრასთან სტუმრები ქართული ანბანის მიხედვით გადაჯდებიან, არსებული და მოგონილი ქვეყნებიდან მოსულები: არაბეთი, ინდოეთი, გულანშარო... კრეტიენი თავისიანებს ეგებება: ირლანდიელები, პიგმეები, კოკუსები, ტორვენები, პოპელიკანები. თანამოსუფრეთა რიცხვი? დასაწყისში — თორმეტიოდე (თავი საიდუმლო სერობაზე გეგონება). დროთა მსვლელობაში რიცხვი იზრდება: 50, 150, 300, 500, 700... დღეის შემდეგ ვინღა დასთვლის ნულებს.

ულრან ტყეში (la Gaste Forêt) დაბადებული, ბიჭუნა ბავშვობას საკუთარი სახელის გარეშე გაატარებს. დედა თქვენობით მიმართავს და უწოდებს: „მშვენიერო შვილიკო“, „მშვენიერო ძამიკო“, „მშვენიერო ბატონო“ (Biaus Filz, Biaus Frere, Biaus Sire). რთული ხვედრი ელის: ოჯახში სამი კარტის დრამატული პარტია თამაშდება. გულადი და ერთგული რაინდი, შებლა-შემოხლისას მამა დაჭრეს. სხვა დაპირისპირების მსხვერპლი მისი უფროსი ვაჟი ხდება. მგლოვიარე მამა გარდაიცვლება.

მეუღლისა და უფროსი შვილის დაკარგვის შემდეგ, დედა სულით და გულით უმცროს ვაჟს დასტრიალებს. ყველანაირად შეეცდება მას რაინდის ხვედრი აარიდოს. თუმცა ქვეცნობიერად გრძნობს, რომ ეს გარდუვალია: ადრე თუ გვიან მისი ვაჟი მონოდებულია რაინდი გახდეს.

ნორჩ გალიელს უცნობი არსებები ეგებებიან: „ტყეში მოესმა ხუთი, თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული რაინდის მოახლოება“. ვიდრე ცხენოსნებს იხილავს, ჭაბუკი დედამისის თვალთახილვას იხელთებს: „ღმერთო ჩემო, დედიკომ მართალი მითხრა: ეშმაკებზე საზარელი ამქვეყნად არაფერია“. უცნობთა ხილვა კვანძს გაუხსნის: „ბოდიში, უფალო, ანგელოზები მომევიწიან!“ ყველაფერი ბენჯზე კიდია: სიკეთე და ბოროტება, ეშმაკი და ანგელოზი. ახლად მოსულებთან სიტყვათა გაცვლის შემდეგ გალიელი რაინდად კურთხევას გადანყვეტს. სატანასა და ანგელოზთა შორის გაკეთებულ არჩევანს შორიდან ღმერთისადმი შოთას ვედრება ეხმი-

ანება: „შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა, / მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდიდმე გასატანისა, / ცოდვათა შესუბუქება, მუნ თანა წასატანისა“.

ვაჟის მიერ გაკეთებული არჩევანის შემდეგ დედას ისლა დარჩენია, რაინდობის გზაზე მიმავალს არსებითი რჩევები გაუზიაროს: ქალბატონებსა და ქალწულებს გვერდში ამოუდგეს, თუკი დახმარებას სთხოვენ. გაბეზრებას ერიდებოდეს და მათ სიყვარულს დანებდეს. ერთი კოცნით ქალწულისაგან ბევრს მიიღებ და მთავარია ზედმეტი არ მოსთხოვო. თუკი თითზე ბეჭედს ატარებს ანდა ქამარზე გუდა აქვს მიკრული და მათ გულწრფელად გჩუქნის, შეგიძლია აიღო.

გალიელი ძიებას იწყებს. თავდაპირველად საკუთარი სახელისა. რაც უნებლიედ შოთას რჩევას ეხმიანება: „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“. *რა აზრი აქვს ვიკითხოთ, ქართული თუ ესმის გალიელს? რუსთველის პერსონაჟები ხომ სხვადასხვა ენაზე მეტყველებენ და მიუხედავად ამისა ერთმანეთს უგებენ და ძალუძთ საკუთარი გამოცდილება გაუზიარონ გალიელს. ნადირობისას მეფე როსტევეანი და მისი ამაღლა ვეფხის ტყავით შემოსილ უცხო მოყმე ვინმეს იხილავს: „ჯდა მტირალი წყლისა პირსა“. სივრცეში გამქრალი უცნობი რაინდის საძებნელად თინათინი ავთანდილს გზავნის და სთხოვს: „სამსა ძებნე წელიწადსა“. ავთანდილი და გალიელი ორ პრიორიტეტს შორის აღმოჩნდებიან, რომლებსაც, როგორც ვნახეთ, კრეტიენის ენა ერთი ასოთი აერთიანებს, „ა“, სიყვარული და მეგობრობა, amour/amitié. ურღვევი მეგობრობა დააგვირგვინებს წყვილთა ფაქიზ სიყვარულს (*fin amor*): ავთანდილი და თინათინი, ტარიელი და ნესტან-დარეჯანი.*

ცრემლით, სიცილით და თოვლზე სისხლის წვეთებით მოყრილი სავალი. კიდევ კარგი, აქა-იქ ლამაზმანები გზადმავალ რაინდს საკუთარ გასაჭირს უზიარებენ და დახმარებას სთხოვენ.

ყვავილად ქცეული ქალწულის, ბლანშეფლორის (*Blancheflor*), ანუ თეთრყვავილას სასახლეში პერსევალი ეზიარება სიყვარულის ნიშნებს: კოცნა-ხვევნა, ურთიერთგახარება... თეთრყვავილა ის სარკეა, რომელშიც აირეკლება ღვთაებრივი სილამაზე. მისი წყალობით გრაალის ძიებას ვუახლოვდებით.

სხვა აღმოჩენები? „კარგახსნილ კარავში პერსევალი იხილავს საწოლზე მარტოხელა მძინარე ქალწულს“. აკოცოს თუ არა? ქალწული უარს ეუბნება. მიუხედავად ამისა, ვაჟი დაანვება, ოცჯერ აკოცებს და თითიდან ზურმუხტით შემკულ ბეჭედს დააძრობს.

ქალწულს კი უხმობს: „ბეჭედი მინდა“ (დედიკოს რჩევისა არ იყოს). ქალწული ცხელ ცრემლსა ღვრის და სასონარკვეთილი მუშტებს იგრეხს. თავაზიანობის ათვისებას დრო ნდომებია. მთხრობელი კი ძირითადად სჯერდება და წვრილმანს გადახვეტავს. შოთას ნათქვამს: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“ კრეტიენი ბანს აძლევს: „აღწერას აღარ გავაგრძელებ, აზრი არა აქვს“ (ორივე მგოსანს დღევანდელი სიმპოზიუმის წესები შეეძლოთ დაეცვათ).

მეორე ეპიზოდი. მეფე არტურის კარიდან წასული, პერსევალი იხილავს „ლამაზ და გრაციოზულ ქალწულს და მიესალმება. ქალწული სალამს უბრუნებს და სიცილით უხმობს: „თუკი სიცოცხლეში ყველაფერს აღასრულებ, მსოფლიოში არ მოიძებნება შენზე უკეთესი რაინდი“. ქალწულს ექვს წელიწადზე მეტი რომ არ უცინია, სენეშალმა კემ მაგარი სილა გაარტყა ნაზ სახეზე

და იატაკზე გააგორა. იცინო თუ იტირო? ტირილის შესაწყვეტად და სიცილის დასაბრუნებლად, პერსევალმა კე დაამარცხა და მკაცრად დასაჯა.

მესამე შეხვედრისას შეკითხვა ოდნავ იცვლის იერს: იტირო თუ გაიღიმო? პერსევალი უახლოვდება ფიქალით დაფარულ სასახლეს. „ორი რაინდი და ერთი ქალწული მის დასახვედრად გაიმართნენ. ქალწული ქორსა და თუთიყუშზე უფრო კობტა, მიმზიდველი და მოხდენილია. თმა მხარბეჭზე დაფრიალებს, შუბლი თეთრი, გადაშლილი, გამართული აქვს, გეგონება ოსტატმა გათალა ქვაში, სპილოს ძვალში ან ხეში. ფართოდ გადაშლილი ნაბლისფერი ნარბები, მცინარე თვალეები სახეს უნათებენ“. ქალწული პერსევალს სასახლეში შეიყვანს და დააძინებს. შემდეგ კვლავ ეახლება და გააღვიძებს: „ქალწული ტირის, ხმამაღლა ოხრავს; მუხლს იდრეკს და ცრემლთა ნაკადი სახეს წაუღეკავს“. გაღვიძებული, პერსევალი წუხილის მიზეზს ჰკითხავს. თურმე ულმოებელმა რაინდმა ანგენგერონმა მის სასახლეს ალყა შემოარტყა. პერსევალი აგრესორს უპირისპირდება და ქალწულს იხსნის. აწი ნორჩი თაყვანისმცემელს შეუძლია გულგაშლილად დატკბეს დამეგობრებული ქალწულის გვერდით: ასული ეხვევა, პერსევალი კოცნის და კოცნის. სიხარულს ორივე იზიარებს“.

და ბოლოს „შორით ბნედის“ წინ აღმოვიჩნდებით, შოთასა და კრეტიენის თვალით დანახული. სასწაულის ლოგინის შემნახველ სასახლეში უცნობი ქალწული უყვება გოვენს თავის სიყვარულს რაინდისადმი, რომელსაც არასდროს შეხვედრია: „სიყვარულით აღვსილი, მისი მეგობარი შორიდან გახლავართ. არც მე მინახავს იგი, არც მას ვუნახივარ, თუ არ ჩავთვლით, რომ ერთხელ მდინარის გადაღმა თვალი გავაყოლე. მან კი კარგა ხანია სიყვარული მიძღვნა და მისი გზავნილები ისე შემეხვეწნენ, რომ მეც სიყვარული ვაკუთრე“. ესე ამბავი ფრანგული შოთას კალმის ქვეშ შემდეგნაირად აჟღერდებოდა: „არს პირველი მიჯნურობა არ-დაჩენა ჭირთა, მალვა, / თავის-წინა იგონებდეს, ნიადაგმცა ჰქონდა ხალვა, / შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა...“ (27).

მხოლოდ ასეთი მძიმე ტვირთის ზიდვით თუ იქცევი „სრულყოფილ რაინდად“, ანუ „ბრძენ და გულუხვ, არა მოშურნე, ლამაზ და კეთილშობილ, გაბედულ და თავდადებულ“ არსებად. გეგონება ავთანდილსა და ფრიდონს ვხედავთ, ტარიელის სახსნელად წასულებს.

შუქსა და სიბნელეს შორის „მზიანი ღამისა“ და „ნათელი გრაალის“ სავალი დასასრულს უახლოვდება. სწეული მეფის სასახლეში პერსევალი გრაალსა და სისხლისმდენ ლახვარს იხილავს.

სასწორზე ჯანმრთელობის საკითხი დევს. სასახლეში ავადმყოფი სენიორი წევს: „მე ზობელი ოთახიდან გამოსულ ლაქიას ხელთ თეთრი ლახვარი უჭირავს... ლახვარის წვერიდან ლაქიას ხელამდე ალისფერი წვეთი მიედინება“. ლამაზ და კობტა ქალწულს გრაალი უჭირავს ხელთ. კორტეჟი უძღურის საწოლს გაუვლის გვერდით. პერსევალი პირჩაკეტილი რჩება. გრაალის შესახებ კითხვა რომ დაესვა, სწეული განიკურნებოდა. სიტყვასა და დუმის შორის სასწორი ქანაობს.

სადღეისოთაც კაცობრიობა უამრავ საარსებო საკითხს უპირისპირდება. შოთასა და კრეტიენის წარმოსახვა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მოსიარულე მადიებლებს ეგებება. მათი ქვეყნებია: ჩინეთი, სპარსეთი, ინდოეთი, გულანშარო/ინგლისი, ირლანდია, ისლანდია, ნორვეგია... კეთილი იყოს ყველა სტუმარი უხვად გაშლილი მრგვალი მაგიდის ირგვლივ.

NUGESHA GAGNIDZE

Georgia, Kutaisi

Akaki Tsereteli State University

Georgian and German Epic Poems

(“The Knight in the Panther’s Skin” and “The Song of the Nibelungs”)

Shota Rustaveli’s “The Knight in the Panther’s Skin” and unknown Spielmann’s “The Song of the Nibelungs” are Georgian and German people’s greatest literary works of the Middle Ages which represent their cultural wealth and problems of the epoch. The comparative analysis of the plots, structure and artistic images of these two works give us opportunity to get to know and to learn different moral values of Georgian and German epic poems, to study the distinction between Western and Eastern cultures and the two countries social, political and economic conditions.

Key words: epic, chivalric literature, moral values.

ნუგეშა გაგნიძე

საქართველო, ქუთაისი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართული და გერმანული საგმირო ეპოსი („ვეფხისტყაოსანი“ და „სიმღერა ნიბელუნგებზე“)

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და უცნობი შპილმანის გალექსილი რომანი „სიმღერა ნიბელუნგებზე“ („Das Nibelungenlied“) საუკუნეთა განმავლობაში ხიბლავს მკითხველს როგორც შინაარსით, ასევე მხატვრული ფორმით. ისინი ქართველი და გერმანელი ერების შუა საუკუნეების უდიდესი ლიტერატურული ძეგლებია, რომლებშიც წარმოდგენილია მათი სულიერი ფასეულობები, ეპოქის პრობლემური საკითხები და დასავლურ-აღმოსავლურ კულტურათა ძირითადი ტენდენციები.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით XII საუკუნის ბოლო და XIII საუკუნის დასაწყისი, როცა ეს ნაწარმოებები შეიქმნა, დიდმნიშვნელოვანი პერიოდია ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიაში. ამ დროისათვის ქრისტიანობა, როგორც იდეოლოგიის გაბატონებული ფორმა, განსაკუთრებულ როლს თამაშობს ხელოვნებასა და ლიტერატურის ახალი გზით განვითარების საქმეში. ფეოდალური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ფორმირება ხელს უწყობს სასულიერო ლიტერატურის გვერდით საერო ლიტერატურის ჩამოყალიბებას. საქართველოში, ისევე როგორც სასულიერო, საერო ლიტერატურაც ქართულ ენაზე იწერება, მაგრამ იგი წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს ძველ ქართულსა და ახალ ქართულ ენას შორის. ხოლო ევროპულ ქვეყნებში საერო ლიტერატურა იქმნება არა ლათინურად, არამედ ძველ გერმანულ, ვულგარულ ლათინურ და სხვა ენებზე. ყველა შემთხვევაში, საერო ლიტერატურა ფეოდალური არისტოკრატის სამსახურში დგას და სიუჟეტის განდიდებას ემსახურება. შოთა რუსთაველი სწორედ იმ პერიოდში მოღვაწეობს, როცა საქართველოში ფეოდალური

საზოგადოებრივი ურთიერთობები განვითარების უმაღლეს საფეხურზე იმყოფება, ხოლო ქრისტიანული ეკლესია ქვეყნის იდეოლოგიურ ფრთას წარმოადგენს, რაც კარგად ჩანს „ვეფხისტყაოსანში“, რომელშიც ეროვნულ ტრადიციებთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს დასავლურ-აღმოსავლურ ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას.

დასავლეთევროპული საგმირო ეპოსი ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილების დაშლის პერიოდში და ხალხთა დიდი გადასახლების დროს (V-VI სს.) იწყებს ჩამოყალიბებას. ჩვენამდე მოღწეული ეპიკური პოეზიის ძეგლები, ძირითადად, ამ ეპოქის ისტორიულ მოვლენებს ეხმაურება: აღმოსავლეთ გუთების სახელმწიფოს დაარსება აპენინის ნახევარკუნძულზე და მისი დამორჩილება ჰუნების მიერ, ბურგუნდიის სახელმწიფოს წარმოქმნა და მისი განადგურება ჰუნებისა და რომაელების მიერ, ანგლო-საქსების დამკვიდრება ბრიტანეთში, ფრანკთა იმპერიის შექმნა და ა.შ. ამ დროის საგმირო თქმულებებში მოხდა მითოლოგიური და ისტორიული მოტივების შერწყმა, მითოლოგია დაიტვირთა ისტორიული შინაარსით, ზღაპრული პერსონაჟები ისტორიულ ეპოქაში გადმოდიან, ისტორიული გმირები კი ღვთაებრივ ნიშნებს ატარებენ. ამ პერიოდის ლიტერატურაში მხატვრულ სახეთა ორი კატეგორია ჩამოყალიბდა: დადებითი და უარყოფითი. ქრისტიანული რეალიების მიუხედავად, საგმირო ეპოსში იგრძნობა წარმართული მსოფლხედვის გავლენა. ნაწარმოებთა ცენტრში ექცევიან სამხედრო არისტოკრატის წარმომადგენლები, რაზმის მეთაურები. სწორედ მათ საქმიანობასა და გადახდით ბრძოლებს უმღეროდნენ ლექსის მთხზველები, რომლებიც იყვნენ არა პროფესიონალი პოეტები, არამედ თავად რაზმელები იმ მეთაურისა, რომელსაც ხოტბას ასხამდნენ. ლექსი წარმოითქმებოდა რომელიმე საკრავი ინსტრუმენტის თანხლებით.

საგმირო თქმულებათა დიდმა ნაწილმა თავი მოიყარა და ინტერპრეტირებული სახით წარმოგვიდგა ფეოდალური ეპოქის საგმირო ეპოსში, რომლის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია „სიმღერა ნიბელუნგებზე“. მისი ავტორის სახელი და გვარი, „ვეფხისტყაოსნისაგან“ განსხვავებით, უცნობია, რაც შეესაბამება საგმირო ეპოსის ჟანრის საყოველთაოდ აღიარებულ კონვენციას, რომლის თანახმად, საგმირო ეპოსისათვის არსებითია არა ნაწარმოების ავტორი, არამედ ნაწარმოებში მოთხრობილი მასალის პირველწყაროები, უძველესი თქმულებები, რომლებიც ზეპირად გადაეცემოდა თაობებს. „ნიბელუნგებზე სიმღერის“ საფუძველს ძირითადად ორი თქმულება წარმოადგენს: თქმულება ნიბელუნგებზე და თქმულება ზიგფრიდზე, ხოლო მოქმედება ორი მთავარი ნაწილის ირგვლივ არის თავმოყრილი: ზიგფრიდის თავგადასავალი, რომელიც მისი მოკვლით მთავრდება და კრიმჰილდეს შურისძიება ძმების მიერ ქმრის მოკვლის გამო. ნაწარმოების ფაბულას ამთლიანებენ მთავარი პერსონაჟები, რომელთა შორის უმთავრესნი არიან კრიმჰილდე და ჰაგენი.

საყურადღებოა ის მომენტი, რომ შუა საუკუნეების გერმანულ ლიტერატურაში სხვადასხვა ლიტერატურული ფორმა განვითარდა. ესენია: საგმირო ეპოსი, სასახლის საკარო ეპოსი, არტურის ეპოსი, მინეზანგი, შპრუხი, დღის სიმღერა, ჯვრის სიმღერა, ვაგანტების ლირიკა და სხვა. საგმირო-სარაინდო ეპოსი ყველა ამ ლიტერატურული ფორმის აღმნიშვნელი საერთო, ზოგადი სახელწოდებაა. მის ცენტრში, ცხადია, ჰეროიკული ეპოქის გმირი დგას.

სარაინდო-საკარო, ანუ კურტუაზიული ლიტერატურა, როგორც ცნობილია, ძირითადად იყენებს თქმულებებს, რომლებიც მოგვიანებით, ჯვაროსნული ომების (1096-1396) დროს, გავრცელდა და საკარო კულტურას შეესაბამება. სარაინდო რომანების საფუძველი სამი უმთავრესი თემათა კომპლექსია: ანტიკური (ენეასა და ალექსანდრეს რომანები), ბრეტონული (არტურისა და მისი რაინდების რომანები) და ფრანგული (რომანები კარლოს დიდის შესახებ). სარაინდო-საკარო ლიტერატურის მოტივი არის სიყვარული — მეტწილად მაღალი საზოგადოებრივი წრის წარმომადგენელი გათხოვილი ქალისადმი ტრფობა. შუა საუკუნეების სარაინდო-საკარო ნაწარმოებები გალექსილი რომანებია, რომლის განვითარება საფრანგეში დაიწყო და შემდეგ გავრცელდა ევროპულ ქვეყნებში. გერმანულენოვან სივრცეშიც სარაინდო-საკარო რომანები ძირითადად გადაკეთებული და დამუშავებული ფრანგული ნაწარმოებებია (ჰაინრიხ ფონ ფელდეკეს „ენეას რომანი“, 1170-1190, ჰარტმან ვონ აუეს „ერეკი“, 1180 და „ივეინი“, 1202, ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალი“, 1200-1210). სწორედ ამ ნაწარმოებებით იწყება შუა საუკუნეების გერმანული ლიტერატურის კლასიკური პერიოდი, რომელიც ძირითადად ორი მიმართულებით ვითარდება: სარაინდო რომანი და სარაინდო ლირიკა (მინეზანგი). ეპოქის მწვერვალს წარმოადგენს ვოლფრამ ფონ ეშენბახისა („პარციფალი“ და „ტიტურელი“) და გოტფრიდ ფონ შტრასბურგელის („ტრისტანი“) შემოქმედება. რაც შეეხება მინეზანგს, უამრავი დიდგვაროვანი და არადიდგვაროვანი, კიურენბერგიდან (დაახლოებით 1150) ოსვალდ ფონ ვოლკენშტაინამდე (1377-1445), მაღალმხატვრულად და მკაცრად რიტუალიზებული ფორმებით გამოხატავდა დიდგვარიანი ქალბატონისადმი პატივისცემას. ამ ლიტერატურულმა ფორმამ განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია ვალტერ ფონ დერ ფოგელვაიდესა და ჰაინრიხ ფონ მორუნგენის შემოქმედებაში. ორი წამყვანი ლიტერატურული ფორმის — სარაინდო რომანისა და მინეზანგის, პარალელურად არსებობს ასევე ეპიკური პოეზიის ისეთი ფორმა, როგორცაა გალექსილი საგმირო რომანი, რომლის მასალა უძველესი საგმირო თქმულებები და სიმღერებია. სწორედ გერმანული გალექსილი საგმირო რომანის საუკეთესო ნიმუშებია „სიმღერა ნიბელუნგებზე“ (დაახლოებით 1200), „კუდრუნი“ (დაახლოებით 1240) და „დიტრიჰ ფონ ბერნელი“ (დაახლოებით 1300).

როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსანში“ მოთხრობილია ორი პარალელური ამბავი — არაბეთისა და ინდოეთისა, რომლებიც სხვადასხვა ამბითა (ნადირობა, ფრიდონის ამბავი, ფატმანის ამბავი) და სტატიკური ელემენტებითაა გამთლიანებული (ანდერძები, ეპისტოლეები, დიალოგები, ლირიკული გადახვევები, აფორიზმები და სხვა). შოთა რუსთაველმა სიუჟეტის ხელოვნურად შენიღბვისა და გაუცხოების მსოფლიო ლიტერატურაში გავრცელებული ხერხით, „სპარსული ამბის“ მომიზეზებით, თავისი თანადროული საქართველო წარმოგვიდგინა. მეცნიერ-მკვლევართა უმრავლესობა (მარი ბროსე, დავით ჩუბინაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, მოსე ჯანაშვილი, დიმიტრი ბენაშვილი, ნიკო მარი და სხვები) პოემაში აღწერილ თინათინისა და ნესტან-დარეჯანის ამბებში საქართველოს რეალური მეფის, გიორგი მესამის მიერ თამარის გამეფების, რუმის სულთნის მიერ ხელის თხოვნის ისტორიებთან პოულობს მსგავსებას. „ნიბელუნგებზე სიმღერის“ საფუძველს წარმოადგენს არა მისი თანადროული ისტორიული ამბები,

არამედ ხალხთა დიდი გადასახლების მასალები, რომელთა შორის უმთავრესია ჰუნების მიერ 436 წელს ბურგუნდიის სამეფოს დამხობა და ჰუნთა სასტიკი მბრძანებელი ატილას ქორწინება მთავრის ქალიშვილს ილდიკოზე 453 წელს. ეპოსში მოქმედება ვითარდება ბურგუნდიაში, ნიდერლანდებში, ისლანდიაში, ჰუნთა ქვეყანაში. ნაწარმოებში თავმოყრილი ძველგერმანული თქმულებები და ხალხური ეპოსიდან აღებული გმირთა სახეები და მოტივები ახლებურადაა დამუშავებული. მასში წარმოჩენილია ფეოდალური საზოგადოების სამხედრო და სამოქალაქო ცხოვრების სურათები. მეფე გუნთერი (ისტორიულად გუნდიკარი, თქმულებათა გუნარი) სახელმწიფოში პირველი ფეოდალია, მის გარშემო თავს იყრიან მისი ვასლები — საერო და სასულიერო პირები, რომლებიც მონაწილეობენ დღესასწაულებში, ნადიმებსა და ტურნირებში.

„ნიბელუნგებზე სიმღერის“ მთავარი პერსონაჟები არიან ბურგუნდიის ქალაქ ვორმსში მცხოვრები მშვენიერი კრიმჰილდე, მისი ძმები, ბურგუნდიის მეფეები, კეთილშობილი რაინდები გუნთერი, გერონტი და გიზელჰერი, ბრუნჰილდე, ეტცელი, ნიდერლანდების მეფე ზიგმუნდისა და დედოფალ ზიგელინდის შვილი, განძის მფლობელი უფლისწული ზიგფრიდი, რომელიც განსაკუთრებული სიბრძნით გამოირჩევა. როცა მან კრიმჰილდეს სილამაზის ამბავი შეიტყო, გადანყვიტა, ცოლად შეერთო იგი და ბურგუნდიაში გაემგზავრა. გზად მიმავალმა მრავალი განსაცდელი გადაიტანა. ეპოსში ჩნდება საგმირო ლიტერატურისთვის დამახასიათებელი ეპიზოდები, რომელთა შორის უმთავრესია ზიგფრიდის მიერ ურჩხულის დამარცხება, რომლის სისხლში განბანვის შედეგად იგი რქოვანი კანით შეიმოსება და უძლეველი ხდება. მხოლოდ ბექებზე, სადაც ცაცხვის ფოთოლი დაეცა, დარჩა დაუცველი პატარა ადგილი.

საგმირო ეპოსი განსაკუთრებული თვითმყოფადობით ხასიათდება აღმოსავლეთის ქვეყნებში. მსოფლიოში ყველაზე დიდი საგმირო ეპოსი (50 000 სტროფი), ფირდოუსის (934/940–1020/1030) „შაჰნამე“, სამართლიანადაა მიჩნეული ირანული ეროვნული ეპოსის საუკეთესო ნიმუშად. ზოგიერთი მკვლევარის (მაგ.: ნ. მარი, კ. კეკელიძე) აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ რუსთაველის მიერ გადმოკეთებული სპარსული ამბავია, რის დამადასტურებლადაც მათ თავად რუსთაველის სიტყვები მიაჩნიათ: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“ (რუსთაველი 2012: 10). ვიქტორ ნოზაძე უარყოფს ამ მოსაზრებას და მართებულად მიუთითებს მსგავსებაზე რუსთაველსა და მის წინამორბედ თუ თანადროულ ავტორთა შორის როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. ნაშრომში „პარალელები „ნიბელუნგებსა“ და „ვეფხისტყაოსანს“ შორის“ იგი აღნიშნავს, რომ „სარაინდო რუსთაველის ნაწარმოებში დასავლეთ და შუა ევროპის სარაინდოს მსგავსი უფროა, ვიდრე სპარსეთის ან მთლიანად აღმოსავლეთ სარაინდოსი“ (ნოზაძე 2002: 608-609).

რა საერთო აქვს „ვეფხისტყაოსანსა“ და გერმანულ სარაინდო-საკარო რომანებს? რა მსგავსება და განსხვავება არსებობს „ვეფხისტყაოსანსა“ და „ნიბელუნგებზე სიმღერას“ შორის? ამ საკითხებთან დაკავშირებით ვიქტორ ნოზაძე ძალზე საინტერესო პარალელებს გვთავაზობს. მისი აზრით, „ნიბელუნგების“ პირველი ოთხი სტროფი, „კარგად გამოდგებოდა „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგად, რადგან ისინი შინაარსითა და ფორმით მსგავსია“ (ნოზაძე 2002: 613). მსგავსებაა ზიგფრიდისა და კრიმჰილდეს,

ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის შეხვედრის შეხვედრის პირველ სცენაში; საყურადღებოა, ასევე, ძმადნაფიცობა ზიგფრიდსა და გუნთერს შორის და ზიგფრიდისა და კრიმჰილდეს სიყვარული. „თავის სიყვარულში“ (მინნე) კრიმჰილდესადმი ზიგფრიდი სარაინდო სიყვარულის ყველა „რუსთაველურ“ წესს ასრულებს, რომლებიც ვეფხისტყაოსნის პროლოგშია შემონახული. ის რუსთაველის იდეალური „მიჯნურია“ (ნოზაძე 2002: 614).

„ვეფხისტყაოსანს“, ცხადია, აქვს ევროპული, კერძოდ კი გერმანული საგმირო-სარაინდო რომანისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, მაგრამ არსებითად სპეციფიკური თავისებურებებითაც ხასიათდება. მასში, ისევე როგორც ზოგადად სარაინდო ლიტერატურაში, გამოხატულია სამყაროს შემქმნელისადმი ღრმა პატივისცემა და სიყვარული: **„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა, / ზეგარდმო არსნი სულითა, ყვნა ზეცით მონაბერითა, / ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა, / მისგან არს ყოვლი ხელმწიფე, ძალითა მის მიერითა“** (რუსთაველი 2010: 9).

განდიდებულია „მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი, მოსართლე და მოწყალე“ (რუსთაველი 2010: 17) სიუზერენი; ნაქებნი და ხოტბაშესხმულნი არიან გმირები; ნაჩვენებია გამიჯნურებული რაინდის თავდავინყებულობა მადალი სოციალური წრის უმშვენიერესი ქალბატონისადმი („ქალსა შევხედენ, ლახვარი მეცა ცნობასა და გულსა“ (რუსთაველი 2010: 101). მისი ხელის მოსაპოვებლად კი მან ბრძოლებში უნდა ისახელოს თავი („სჯობს, საყვარელსა უჩვენნე საქმენი საგმირონია!“ (რუსთაველი 2010: 110).

ქართველ რაინდს ცრემლიც ღვარად სდის, რაც მიჯნურის დაკარგვითაა გამოწვეული. როგორც ლესინგი მიუთითებს „ლაოკოონში“, ვნება, ტკივილი, მწუხარება ადამიანის სულიერი მდგომარეობის გამოხატვის ფორმებია და ხელოვნებაში მათი ასახვა დიდ ოსტატობას მოითხოვს, რაც განსაკუთრებით კარგად ხელენიფებოდათ ანტიკური პერიოდის ხელოვანთ. მშვენიერების ასახვა მათთვის ხელოვნების უდიდესი კანონი იყო (ლესინგი 1979: 14-17). რუსთაველის რაინდნი მსგავსნი არიან როგორც ბერძნული და სხვა ანტიკური ეპოსის გმირებს, ასევე „ნიბელუნგების“ პერსონაჟებსაც. ზიგფრიდი და გუნთერიც ტირიან, რითაც ისინი საკუთარ ტრაგიკულ ბედისწერას წინასწარმეტყველებენ.

სარაინდო-საგმირო ეპოსში ერთი-ერთი უმნიშვნელოვანესი მოტივია განძის მოპოვების, ქონების დაგროვებისა და გაცემის საკითხი. როსტევან მეფე (და სხვა მბრძანებელნიც) უხვი და მდაბალია. იგი ტახტის მემკვიდრე ერთადერთ ქალიშვილსაც ამ სიბრძნითა და მორალით ზრდის: „რასაცა გასცემ, შენია; რაც არა, დაკარგულია!“ (რუსთაველი 2010: 20).

სიუხვე და ხელგამლილობა არა მხოლოდ რუსთაველის გმირებს ახასიათებთ, არამედ გერმანული სარაინდო ეპოსის პერსონაჟებიც გამოირჩევიან ამ თვისებით. ისინი უხვად ასაჩუქრებენ თავიანთ მსახურთ, მოგზაურთ, მომღერლებს, მუსიკოსებს, მოხეტიალე რაინდებს, რაც სარაინდო კოდექსითაა განსაზღვრული, და ცხადია, საყოველთაოა როგორც ევროპელი, ასევე ქართველი რაინდობისათვის XI-XII საუკუნეებში. მართებულად მიუთითებს დავით ლაშქარაძე, რომ „ზიგმუნდი — მამა ზიგფრიდისა, როცა რაინდად აკურთხებს ვაჟს, უფლებას აძლევს მას გასცეს საუნჯე და ზიგფრიდიც უხვად ასაჩუქრებს

თანატოლებს (ორიგინალის მიხედვით ხმლის მეგობრებს — swertgenözen), რაც ზედმიწევნით შეესატყვისება „ვეფხისტყაოსანში“ როსტევანის მიერ დედოფლად კურთხევას თინათინისა, რომელიც მამის რჩევით გასცემს აურაცხელ განძს“ (ლაშქარაძე 1983: 45). **„შვიდსა დღესა გრძელდებოდა ეს სამეფო წვეულება. / ზიგელინდმაც არ დააგდო ძველთაძველი ჩვეულება — / ნიშნად შვილის სიყვარულის, უხვად გასცა საბოძვარი, / „ყოვლია სწამდა: გულუხვობით ხალხთა გულის გახსნა კარი“** („სიმღერა ნიბელუნგებზე“ 1983: 270-271).

„ვეფხისტყაოსნის“ ძმადნაფიცი მოყმეებისთვის (ტარიელი, ფრიდონი და ავთანდილი) უცხოა ინტრიგები, ურთიერთ შორის მტრობა და გაუტანლობა. ისინი ძლევამოსილნი და სულრძელნი არიან: დევების დახოცვის შემდეგ ტარიელი გამოქვაბულში არსებული მათი განძის მფლობელია. ორმოცი კარის მიღმა უთვალავი თვალ-მარგალიტი და ოქრო-ვერცხლი, საკვირველი ჯაჭვ-მუზარადი და ბასრი ხმლებია. ტარიელი გულუხვად უნანილებს მეგობრებს ძვირფას სამოსსა და საბრძოლო აღჭურვილობას.

„სიმღერაში ნიბელუნგებზე“ ბევრი ინტრიგა, შუღლი და ორგულეაა ნაჩვენები, რაც ნიბელუნგების განძის ირგვლივ ტრიალებს, რომელიც ზიგფრიდმა ნიბელუნგების მეფის შვილების — ნიბელუნგისა და შილბუნგის, განძის მცველი ბუმბერაზისა და ჯუჯა ალბერხის დამარცხების შემდეგ მოიპოვა. სწორედ ეს განძი ხდება შემდგომში მტრობისა და სასტიკი სისხლისღვრის მიზეზი.

„ვეფხისტყაოსანის“ ფინალი ბოროტის ძლევითა და სიკეთის გამარჯვებით მთავრდება: ნესტან-დარეჯანი დაქორწინდა, ბედნიერი არიან ავთანდილი და ფრიდონი, ზეიმობს ქვეყანა, რადგან **„ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს, / ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს, / ავთა მქმნელნი დააშინეს, კრავნი ცხვართა ვერ უწოვდეს, / შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მველი ერთად სძოვდეს“** (რუსთაველი 2010: 416).

„სიმღერასა“ და „ვეფხისტყაოსანში“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქრისტიანული რელიგიის საკითხი. მართალია, გერმანულ სარაინდო-საგმირო ეპოსში კარგად ჩანს ის, რომ ქრისტიანული რელიგია ქვეყანაში უკვე გავრცელებულია, მაგრამ მასთან ერთად თანაარსებობს წარმართული ტრადიციები. მაგ.: წარმართ ეტყელს თავისი რელიგიურ მრწამსი ხელს არ უშლის ცოლად ჰყავდეს ქრისტიანი ქალი. კრიმჰილდე თავდაპირველად წინააღმდეგია წარმართ მეფეს გაჰყვეს ცოლად, მაგრამ მაინც იქორწინა მასზე და როგორც კი ვაჟი შეეძინა, სასწრაფოდ მონათლა იგი ქრისტიანული წესით.

საყურადღებოა, ასევე, ერთი ეპიზოდი „სიმღერიდან“: როცა ჰაგენმა ზღვის ქალებისაგან შეიტყო, რომ ჰუნთა ქვეყანაში მღვდლის გარდა ვერავინ ცოცხალი გადარჩებოდა, მდინარეზე გადასვლისას მას ხელი ჰკრა და წყალში გადააგდო. მღვდელმა, მართალია, ცურვა არ იცოდა, მაგრამ ღვთის შეწევნით ნაპირზე დაბრუნდა.

ახლად გაქრისტიანებული ბურგუნდლებისაგან განსხვავებით XII საუკუნის საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოება საფუძვლიანად არის დამკვიდრებული. წარმართული რელიგიის კვალი „ვეფხისტყაოსან-

ში“ არსად არ ჩანს. ნაწარმოების თითქმის ყოველ ნაწილში ავტორისა და პერსონაჟთა უდიდესი ღვთისმოშიშობა და პატივისცემა იგრძნობა.*

„ვეფხისტყაოსნისაგან“ არსებითად განსხვავებულია სიყვარულისა და ცოლის შერთვის საკითხი „სიმღერაში“. რუსთაველი ამალლებულ სიყვარულს უმღერის და მას სიძვისაგან გამიჯნავს. სიყვარულისათვის ძმადნაფიცო მოყმენი უამრავ ბრძოლას გადაიხდის, ხოლო კლდემამოსილნი საპატარძლონი თავის გულსა და ხელს მხოლოდ სწორუპოვარ რაინდებს სთავაზობენ. ამ მხრივ „ვეფხისტყაოსნის“ მეტი საერთო აქვს კურტუაზიულ რომანებთან. თუმცა გათხოვილი ქალისადმი ტრფობა უცხოა ქართული სარაინდო-საგმირო ეპოსისათვის.

„სიმღერაში ნიბელუნგებზე“ სიყვარულის საკითხი ცოტა სხვაგვარადაა გაგებული. მართალია ზიგფრიდმაც თავისი საგმირო საქმეებით მოხიბლა კრიმჰილდე, მაგრამ ბრუნჰილდესა და გუნთერის ურთიერთობას ნაკლებად შეიძლება რაინდული სიყვარული ეწოდოს. დავით ლაშქარაძე ხაზგასმით აღნიშნავს იმ ნიშან-თვისებებს, რითაც „სიმღერა ნიბელუნგებზე“ უფრო ახლოს დგას ძველ ეპიკურ თქმულებებთან და მნიშვნელოვნად განსხვავდება რაინდული რომანებისაგან: მასში „შუასაუკუნეობრივი ცხოვრება ტრაგიკულ ასპექტშია წარმოდგენილი“ (ლაშქარაძე 1983: 45); ზოგჯერ რაინდი (მაგ.: გუნთერი) შეუფერებელ სიმხდალეს იჩენს, ხარბი, უსუსური, უნებისყოფო და ვერაგია. პოემაში ასევე არ არის „ფსიქოლოგიური წიაღსვლები და სატრფოსადმი აღვლენილი ღარადი“ (ლაშქარაძე 1983: 45).

ისლანდიის დედოფალი ბრუნჰილდე არაა თინათინივით სათნო და კლდემამოსილი. გუნთერს იგი ცოლად რომ შეერთო, ამისათვის სამ შეჯიბრში უნდა დაემარცხებინა, თუ არა და სიკვდილი ელოდა. რადგან ბრუნჰილდეს ფიზიკური ძალის შესახებ საქვეყნოდ იყო ცნობილი, ჰაგენის რჩევით გუნთერი ზიგფრიდს მიმართავს, რომელმაც მას იმ პირობით აღუთქვა დახმარება, თუ თავის დას ცოლად გაატანდა. როგორც ვხედავთ, არც ზიგფრიდი ჰგავს ავთანდილს. თუმცა ორივეს გააჩნია ზებუნებრივი ძალები: რა ესმოდის მღერა ავთანდილისა „სმენად მხეცნი მოვიდიან“, ხოლო „მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გადმოსხდინან“ (რუსთაველი 2010: 263). ზიგფრიდი უძლეველია, მისი „მსგავსი ძალ-ღონითა სხვა არ იცის ქვეყნის პირმა“ („სიმღერა ნიბელუნგებზე“ თბილისი 1983: 279).

„ნიბელუნგებზე სიმღერის“ ერთ-ერთი ცენტრალური მოტივია შურისძიების საკითხი. განსხვავებით თქმულებებისაგან ნიბელუნგებზე სიმღერის ავტორი სიუჟეტური კვანძის გახსნისას, ფეოდალური საზოგადოებრივი მორალის შესაბამისად, უპირატესობას ანიჭებს ოჯახის ინტერესებს: კრიმჰილდე (იგივე გუდრუნი) შურს იძიებს ქმრისათვის, რისთვისაც არ ინდობს ღვიძლ ძმებს და არც თანამემამულე ბურგუნდელებს. „ვეფხისტყაოსანში“ შურისძიების მოტივი საერთოდ არ ფიგურირებს. პირიქით, პოემის მთავარი ლაიტმოტივია *„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად, / გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“* (რუსთაველი 2010: 199).

* „ჰე ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა, შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა“ (რუსთაველი 2010: 9).

„სიმღერაში“ ცვლილებები განიცადა გმირთა სახეებმა, კრიმჰილდეს, ბრუნჰილდეს, ზიგფრიდის, გუნთერის, ჰაგენის პერსონაჟები აღარ შეესაბამება მათ თქმულებისეულ პროტოტიპებს, ისტორიული სინამდვილედ დარღვეულია. ამავდროულად საყურადღებოა ის მომენტი, რომ „ნიბელუნგებში“ არ გვხვდება რაინდული რომანებისათვის დამახასიათებელი ზღაპრული მოტივები: ლეგენდარული პიროვნებები არ მოგზაურობენ ზღაპრულ ქვეყნებში დაუჯერებელი თავადასავლების საძებნელად. პოემაში არ არიან ჯადოქრები და დევები, რომლებიც მოჯადოებულ კომკებსა და ბაღებში ცხოვრობენ. თუმცა ნანარმოების ტრაგიკული სიუჟეტი გაშლილია რაინდულ-ფეოდალური ურთიერთობისა და ყოფა-ცხოვრების ფონზე. მასში ნაჩვენებია სამეფო კარის ფუფუნება და ბრწყინვალეობა, რაინდთა შეჯიბრებები, ნადირობისა და გაუთავებელი ზეიმების სცენები; დეტალურადაა აღწერილი პერსონაჟთა მდიდრული სამოსი და საბრძოლო აღჭურვილობა, ოქრო-ვერცხლის უხვად გაცემა-დასაჩუქრება: *„მასპინძლობა გაიმართა უდიდესი გარეთ და შინ; არ ნახულა წვეულება ისეთი, ვით იყო მაშინ. / ვინც კი რა მოისურვა, შესრულების ჰქონდათ ღონე. / ხელგაშლილი იყო მეფე, სიმდიდრეთა დიდთა მქონე“* („სიმღერა ნიბელუნგებზე“ 1983: 381).

იან-დირკ მიულერი მართებულად მიუთითებს „ტერმინთა ჰიბრიდსა და სქემის მსხვრევაზე“ „ნიბელუნგებზე სიმღერაში“. მისი აზრით, ნანარმოების ცენტრში დგას არა გმირი, არამედ ქალი, რომლის გამოც მრავალი მამაკაცი იღუპება. კრიმჰილდეს სახე ადრეული მინეზინგის ტრადიციის მიხედვითაა შექმნილი. პარალელის გავლება შეიძლება კიურენბერგის „შევარდენის სიმღერასთან“ („Falkenlied“) როგორც შინაარსობრივად, ასევე სალექსო ფორმით. შევარდენი საყვარელი ადამიანია, მისი გარეგნობა და ქცევა საკარო კულტურას შეესაბამება, მაგრამ კრიმჰილდეს სიზმარით შერბილებულია სარაინდო ლიტერატურის ტრადიცია. მას აღარ სურს ვინმე შეიყვაროს, რათა არ დაიტანჯოს. სიზმარში კი არის მნიშვნელოვანი მომენტები, რაც ჰეროიკულ თემას ნარმოაჩენს. ვორმსის სასახლის კარის სცენაზე გათამაშებული ჰეროიკული ამბავი ცუდი დასასრულითა და სასახლის ფასადის მიღმა ნაჩვენები სრულიად ჰეროიკული გმირი — ზიგფრიდი, საგმირო ეპოსის ჟანრის კონვენციის შესაბამისია (მიულერი 2009: 81). კრიმჰილდესა და ბრუნჰილდეს სიყვარულს ბევრი არაფერი საერთო აქვს მინეზინგის პრინციპებთან. თუმცა როგორც მამაკაცი, ასევე ქალი პერსონაჟები „ნიბელუნგებში“ საგმირო და სარაინდო ლიტერატურული ფორმებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით ხასიათდება. მაგრამ, რადგან ეპოსში მოთხრობილი ამბები ასახავს არა ჯვაროსნული ომების ეპოქას, არამედ ხალხთა დიდი გადასახლების ამბებს, რადგან მისი მთავარი მოქმედი პერსონაჟები უფრო მეტად გმირები არიან (თუმცა მათ რაინდისათვის დამახასიათებელი თვისებებიც აქვთ), ამდენად, ლიტერატურული ფორმის თვალსაზრისით, „სიმღერა ნიბელუნგებზე“ შეიძლება საგმირო ეპოსს მივაკუთვნოთ.

რუსთაველის განსწავლულობა ძველ ბერძნულ ფილოსოფიასა და ნეოპლატონიზმში, სპარსულ და არაბულ მწერლობაში დიდად განსაზღვრავს პოემის ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ არსს. მაგრამ იმის გამო, რომ იგი შესრულებულია ხალხის სამეტყველო ენასთან მიახლოებული

ქართულით, ამდენად, იგი გასაგები და მისაღებია ყველა სოციალური ფენისათვის ყოველ ეპოქაში, სასიამოვნო საკითხავია როგორც თვალისათვის, ასევე სასიამოვნო მოსასმენია ყურისათვის და, ისევე როგორც ანტიკურ ავტორთა ნაწარმოებები, განკუთვნილია ხმამაღლა კითხვისათვისაც.* „ვეფხისტყაოსანი“ მაღალი სამწერლობო და სამეტყველო სტილის მქონე პოემაა, დაწერილი შაირის სტილში, რომელშიც მოიპოვება როგორც ძველი, ისე ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი ნიშნები. რადგან მისი ენა განსხვავებულია როგორც წინა პერიოდის, ისევე რუსთაველის თანადროული საეკლესიო მწიგნობრული ქართული ენისაგან, ამიტომ მას პირობითად „ვეფხისტყაოსნის ქართულსაც“ უწოდებენ. აკაკი შანიძის მართებული მოსაზრებით, „ვეფხისტყაოსანი“ მნიშვნელოვანი დოკუმენტია საშუალო ქართულის საერო მეტყველების შესასწავლად, იგი „მაჩვენებელია გარკვეული ეტაპისა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში“ (შანიძე 1956: 018).

„ვეფხისტყაოსნისაგან“ განსხვავებით, „სიმღერა ნიბელუნგებზე“ შესრულებულია ძველ გერმანულ ენაზე, რაც მომდევნო საუკუნეებში მოსახლეობისათვის გაუგებარი გახდა. „ნიბელუნგების“ ოთხი სტრიქონისაგან შემდგარი კეთილხმოვნად მჟღერი სტროფი (Nibelungenstrophe) საგმირო ეპიკური პოეზიისათვის არის დამახასიათებელი. ეს მელოდიური (და არა აუცილებლად სამღერი) ლირიკა არსებითად განსხვავდებოდა თავისი თანადროული საკარო ლიტერატურისაგან, პირველ რიგში, ანტიკური და არტურის სტილის რომანებისაგან, რომლებიც, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, სამეტყველო რითმებითაა წარმოდგენილი. ამ აზრით, „სიმღერა ნიბელუნგებზე“ უფრო არქაულია, ვიდრე ჰარტმან ფონ აუეს, ვოლფრამ ფონ ეშენბახისა და გოტფრიდ ფონ შტრასბურგელის იმ დროისათვის ძალზე მოდური სარაინდო რომანები. უსათუოდ ანგარიშგასაწევია ის მომენტი, რომ „ნიბელუნგებზე სიმღერა“ ატარებს როგორც ზეპირსიტყვიერების კვალს, ასევე მას ერთი ავტორის ხელიც ეტყობა.

და ბოლოს, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო არსებითი განსხვავება ქართულ და გერმანულ საგმირო ეპოსს შორის: შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი თემა სიყვარულია ფართო გაგებით: ღვთის მოშიშობა, ხალხთა შორის სიყვარული, მეგობრისათვის თავგანწირვა, ქალისა და მამაკაცის სამაგალითო ურთიერთობა, პატრონსა და ყმას შორის პატივისცემა და ერთგულება, ქვრივ-ობოლთა და გლახაკთა მფარველობა. ხოლო გერმანული საგმირო ეპოსის — „სიმღერა ნიბელუნგებზე“, მთავარი თემა ნიბელუნგების განძის საკითხია, რომელიც არავის კუთვნილება არ

* ნიცშე ნაშრომში „კეთილისა და ბოროტის მიღმა“ („Jenseits von Gut und Böse“) აღნიშნავს, რომ „გერმანელი ხმამაღლა არ კითხულობს იმიტომ, რომ იგი კითხულობს არა ყურისათვის, არამედ მხოლოდ თვალისათვის. ანტიკური ადამიანი კითხულობდა, თუ ის კითხულობდა (ეს ხდებოდა ძალზე იშვიათად), თავისთვის ხმამაღლა [...]. მაშინ არსებობდა სამწერლობო და სამეტყველო სტილის წესები“. ნიცშეს აზრით, მხატვრულმა ნაწარმოებმა დროთა განმავლობაში დაკარგა ხმამაღლა კითხვის ფუნქცია. იგი მიიჩნევს, რომ გერმანელთათვის მარადიული შედევი არის „ბიბლია“ — შეუდარებელი სამწერლობო და სამეტყველო სტილის ნაწარმოები („Jenseits von Gut und Böse“, Friedrich Nietzsche, *Sämtliche Werke: Kritische Studienausgabe in 15 Bänden*, Hg. Giorgio Colli und Mazzino Montinari. München, 1980, 190-191).

გახდა და მდინარე რაინის ფსკერზე დარჩა. განძის დაუფლების სურვლი ადამიანებს, ერთი ოჯახის წევრებს, ინტრიგებისა და სისხლისმღვრელი ომებისაკენ უბიძგებს. ასეთ სამყაროს, შურისძიებასა და მტრობაზე აგებულს, არსებობა არ უნერია და განადგურდა კიდევ იგი.

დამონებიანი:

ლაშქარაძე 1983: ლაშქარაძე დ. *უფროსი ედა და სიმღერ ნიბელუნგებზე*. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1983.

ლესინგი 1079: Lessing G. E. „Laokoon oder über die Grenzen der Malerei und Poesie!“ In: Gotthold Ephraim Lessing. Werke. Bd. II, München: Winkler Verlag, 1969.

მიულერი 2009: Müller J.-D. *Das Nibelungenlied*, Berlin: Erich Schmidt Verlag 2009.

ნიცშე 1980: Nietzsche F. „Jenseits von Gut und Böse“, *Sämtliche Werke: Kritische Studienausgabe in 15, Bänden*, Hg. Giorgio Colli und Mazzino Montinari. München: Deutsche Taschenbuch Verlag, 1980, 190-191).

ნოზაძე 2002: ნოზაძე ვ. „პარალელები „ნიბელუნგებსა“ და „ვეფხისტყაოსანს“ შორის“. თარგმნა მანანა კვატაიაძე. // ლიტერატურული ძიებანი, XVIII. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. თბ.: „მერანი“, 2002.

რუსთაველი 2010: რუსთაველი შოთა. „ვეფხისტყაოსანი“. თბ.: „ბაკმი“, 2010.

„სიმღერა ნიბელუნგებზე“ 1983: „სიმღერ ნიბელუნგებზე“. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1983.

შანიძე 1956: შანიძე ა. „ვეფხისტყაოსნის ენის საკითხები“. // *ვეფხისტყაოსნის სიმღერა* შედგენილი აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობითა და გამოკვლევით. თბ.: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1956.

DAREJAN GARDAVADZE

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Udhri Love Concept and "The Knight in the Panther's Skin"

The quest for the oriental parallels in "The Knight in the Panther's Skin" figures prominently in Rustvelology, still, causing controversy. Accordingly, interesting points are: the structural analysis of the plot and the attempt of identifying the composition of the poem with the fairy tale's invariant, the model "Loss-Search-Finding" of which, through the modification of the structure of realized fairy tale's formula, is considered to be the basis of the composition of "The Knight in the Panther's Skin"; and, on the other hand, the parallels between the Rustavelian love and the Udhri love, risen in the bowels of the *medieval Hijaz Arab Bedouins'* life in the Arabian Peninsula, Tariel's likeness with an Udhrian poet-lover on a certain level.

Key words: Arab Literature; Georgian Literature, Udhri Love.

დარეჟან ბარდავაძე

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უზრიული სიყვარულის კონცეფცია და „ვეფხისტყაოსანი“

უზრიული სიყვარულის კონცეფციით შექმნილი უზრიული ღაზალი (სატრფიალო ლექსი) არაბულ პოეზიაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ფენომენია. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ის თითქმის თანამედროვე ეპოქამდე ინარჩუნებს მომხიბვლელობას არაბულ ცნობიერებაში. მან დიდი ზეგავლენა იქონია სხვა აღმოსავლურ (განსაკუთრებით კი სპარსულ) და დასავლურ ლიტერატურებზე. სპეციფიკური ისტორიული კონტექსტის ნაშობი ამ პოეზიისა და პოეტთა ცხოვრების შესახებ გადმოცემების პოპულარობის ნყალობით არაბული გრძნობათა სამყაროს ფასეულობებმა არაბული კულტურის ფარგლები და ჩარჩოები გადალახა და მისმა პოეტურმა ფიგურებმა ფართო განზომილება შეიძინეს როგორც ისლამურ სამყაროში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

უზრიული ღაზალის სახელწოდება, რომელსაც ტრადიციულად ბევრი მკვლევარი ბედუინურ ღაზალადაც მოიხსენიებს, ჰიჯაზის ჩრდილოეთში მობინადრე იემენური წარმოშობის არაბ ბედუინთა პატარა ტომის — ბანუ უზრას სახელიდან მომდინარეობს, რომლის შეყვარებულნიც, ლეგენდის თანახმად, მთელი ცხოვრება ერთ ქალს ეტრფოდნენ და ამ სიყვარულით კვდებოდნენ. მთავარი ელემენტი უზრიულ მიმართულებაში სწორედ ერთი ქალისადმი სასიყვარულო თავის მიძღვნა, ამ სიყვარულში უმნიკვლოება და სიკვდილამდე ერთგულებაა. უზრიული სიყვარული პლატონური სიყვარულის სინონიმად დამკვიდრდა არაბულ ლიტერატურაში. ეს ტრადიცია დაედო საფუძვლად იმ ლიტერატურულ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც შეიქმნა უზრიული ღაზალი და ამ მიმართულების მიმდევარ პოეტებს უზრიელი მიჯნურები ეწოდათ მიუხედავად მათი ტომობრივი კუთვნილებისა. მოხდა ერთგვარი განზოგადება ამ ტერმინისა, რომელიც ამ სპეციფიკური ლიტერატურული კონცეფციის მიმდევრობის აღმნიშვნელად იქცა. უზრიელ პოეტთა და მათი სატრფოთა ნყვილები გადაიქცნენ უმნიკვლო შეყვარებულებზე რომანტიკული ისტორიების გმირებად, მათი სასიყვარულო ისტორიები მათ პოეზიასთან ერთად, შუასაუკუნეთა ბევრი ცნობილი ფილოლოგის კრებულშია შესული. უზრიული ღაზალი არაბული ლიტერატურის არაბულენოვან მკვლევრებთან მოიხსენიება, როგორც „უმნიკვლო, თავშეკავებული სიყვარულის სახოტბო ღაზალი“.

ცნობილი ფაქტია, რომ სატრფიალო-სათავგადასავლო ისტორიები მედიევალური კულტურის ესთეტიკური და სულიერი მოთხოვნების შედეგია, საზოგადოებრივი შეკვეთის პროდუქტი და მისი გემოვნების შესაბამისად დანერგილი (ალექსიძე 1976: 9). უზრიულ სასიყვარულო ისტორიებზე რომ მართლაც დიდი მოთხოვნა იყო, ეს იქიდანაც კარგად ჩანს, რომ VIII ს-დან მოყოლებული მათ ყველა ცნობილ ფილოლოგიურ კრებულში და ანთოლოგიაში ვხვდებით ვრცელი თუ ფრაგმენტული სახით, სხვადასხვა ვარიანტით, სხვადასხვა წერილობით თუ ზეპირ წყაროზე დაყრდნობით, სულ უფრო და უფრო გამდიდ-

რებულს ახალი ვერსიებით როგორც პოეზიის, ისე პროზაული გადმოცემების მხრივ. ამ ახალი ვერსიების ნელ-ნელა შემატებით, რაშიც დიდი წვლილი შეჰქონდათ გადამცემებს, ეს მასალები ყალიბდებოდა, როგორც კოლექტიური შემოქმედების ნაყოფი, რომელშიც გამოტარებული იყო ძირითადი კულტურული ხედვა და ააშკარავებდა ერის სულიერი, მორალური და მხატვრული მიდრეკილებების ღრმა პლასტებს.

ფორმით ეს მასალები წარმოადგენს გადმოცემათა (ხაბარ/ახბარ) კორპუსს პოეტური ჩანართებით. პროზაულ-პოეტური ნაწილების ეს მოზაიკა ერთმანეთთან ადგენს ერთ განუყოფელ მთელს. როგორც ამ ტექსტთა ანალიზი გვიჩვენებს, გადმოცემების კორპუსი ამ მასალებში ხშირად ნათელს ჰფენს, კომენტირებას უკეთებს და ავსებს პოეტთა ლექსებს.

გადმოცემებში მოცემული ინფორმაციის ხასიათის გამოკვლევა უჩვენებს, რომ ამ გადმოცემებს ინფორმაციის შერჩევის საკუთარი კრიტერიუმები აქვთ (ოგანესიანი 1987: 306). ხაბარში აკუმულირებულია იშვიათი მოვლენები, ანომალიები, ყურადსაღები ამბები. მოქმედების ადგილის, ასევე მოგვიანებით ისნადის ჯაჭვის მითითება ხაბარში ლაკონურად, მაგრამ კონკრეტულად, მას ანიჭებს ისტორიულობის თვალსაზრისით ზუსტი ცნობის შთაბეჭდილებას. თუმცა ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ ხაბარი ისევე, როგორც პოეზია, VIII ს-მდე ზეპირი ხასიათის იყო და VIII ს-ის შემდეგაც ინფორმაციის გადაცემის ზეპირი და წერილობითი საშუალებები კარგა ხანს პარალელურად თანაარსებობდნენ არაბებთან, ამიტომაც ფოლკლორში მოქმედი კანონების მიხედვით, ხაბარი იცვლებოდა, მასში შედიოდა წმინდა ზღაპრული მოტივები, რის შედეგადაც მისი ზუსტი ისტორიულ ცნობად, მონაცემად აღქმა ძნელდება, მაგრამ ამასთან ერთად ისიც გასათვალისწინებელია, რომ ლიტერატურული ფიქცია ნაყოფია მედიევალური მსოფლმხედველობისა, რომლისთვისაც ზოგი რამ ირეალური და ზებუნებრივი წარმოადგენს რეალურის, ბუნებრივის, შესაძლებლის ნაწილს და ზღვარი ნამდვილსა და არანამდვილს შორის მეტად არამყარია (ალექსიძე 1976: 145). ისიც უნდა ითქვას, რომ ხაბარი ზეპირსიტყვიერების სხვა ჟანრებთან შედარებით ნაკლებად კარგავს ფორმას და გარეგნულად მაინც ახდენს ზუსტი ისტორიული ცნობის შთაბეჭდილებას, რამეთუ დამახინჯებები და გადაჭარბებები მასში დასაშვების ზღვარს იშვიათად სცილდება (ოგანესიანი 1987: 310). ამრიგად, ხაბარში თითქოს ზეპირსიტყვიერების სხვა ჟანრებთან შედარებით რეალური ცხოვრების ასახვაა და ამასთან მასშივე ვაწყდებით რეალობის დამამახინჯებელ ელემენტებს ჯადოსნური ზღაპრის, ლეგენდის, იგავის და სხვ. მოტივებს.

ა. ვესელოვსკის თეორიის თანახმად, ზღაპრის პირველად, უცვლელ ელემენტს (თანამედროვე სტრუქტურალიზმის ენით „ინვარიანტს“) წარმოადგენენ მოტივები, რომელთა შეერთება წარმოქმნის სიუჟეტს. პროზის მიხედვით, ძირეული და უცვლელი არც მოტივებია, არც გმირები. ძირეული და უცვლელი არის მოქმედებები, ანუ ფუნქციები. ესაა მოქმედი პირის ქცევა, რომელიც განისაზღვრება მოქმედების მსვლელობისთვის მისი მნიშვნელობის თვალსაზრისით (პროპი 1963: 25-27). „ტექსტის მორფოლოგია“, ანუ კომპოზიცია ამ ფუნქციათა თანამიმდევრობაზეა აგებული. ჯადოსნური ზღაპრის საფუძველზე პროზის მიერ დადგენილია ამ ფუნქციათა განსაზღვრული რიცხვი. ასევე განსაზღვრული და უცვლელია მათი თანამიმდევრულობა (შეიძლება ყველა ფუნქციას კონკრეტული

ზღაპარი არ შეიცავდეს, მაგრამ თანმიმდევრობა უცვლელია. შეიძლება ერთი ფუნქცია სრულდებოდეს სხვადასხვა პერსონაჟის მიერ). ამ მეთოდის გამოყენება მკვლევართა მიერ ზღაპრული და მითოსური ელემენტების შემცველი ტექსტების მიმართ გამოსადეგი აღმოჩნდა იმითაც, რომ ერთგვაროვანი და სიუჟეტურ-თემატურად მსგავსი ჯგუფების სქემა ინვარიანტად გვევლინება არა მხოლოდ მათი თემატური გარდასახვებისას, არამედ ამ ტექსტთა მნიშვნელობის ინტერპრეტაციისთვისაც (სეგალი 1966: 16-18).

ტექსტის სტრუქტურული ანალიზის ვ. პროპისეული მეთოდით უზრიელ პოეტ-მიჯნურთა შესახებ გადმოცემათა შესწავლა და ანალიზი, იძლევა ზოგად სურათს, ზოგად კანონზომიერებებს, ერთგვარი სქემატურ სახეს, ინვარიანტულ მოდელს.

რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, უზრიელ პოეტ-მიჯნურთა შესახებ გადმოცემების ინვარიანტული სქემა ტაჰა ჰუსეინმა მოხაზა, ვინაც საკმაოდ სკეპტიკურად უყურებდა ამ გადმოცემათა ისტორიულობას და საკმაოდ ირონიულად, მაგრამ მართებულად აღნიშნა, რომ მაჯნუნის მთელი ისტორია შეიძლება ექვს წინადადებაში ჩაეთიოს: მაჯნუნმა შეიყვარა ლეილა, ხელი ითხოვა მისი, უარი მიიღო, ლეილა სხვაზე გაათხოვეს, მაჯნუნი გონს გადავიდა და მოკვდა (კრაჩკოვსკი 1956: 609).

თუ უზრიელ პოეტ-მიჯნურთა შესახებ გადმოცემების ინვარიანტულ სქემას შევადგენთ, რა სახითაც ეს გადმოცემები იქნა კანონიზებული როგორც „სიმღერათა წიგნი“, ისე სხვა კრებულებსა და საერთოდ ლიტერატურულ ტრადიციაში, იგი დაახლოებით ასეთ სურათს მოგვცემს:

— პოეტი (ლირიკული გმირი თავისი ლექსებისა) ბავშვობიდან უმიჯნურდება თავისივე ტომელ მშვენიერ ასულს. მთავარი და უცვლელი არის ის, რომ შეყვარება ხდება ერთი ნახვით და სიკვდილამდე. ერთმანეთისკენ მარადი ლტოლვა ამ ნყვილის მუდმივი მახასიათებელი ნიშანია.

— გამიჯნურებული პოეტი უძღვნის სატრფოს ლექსებს. მთელი ცხოვრება პოეტის ლექსებში მხოლოდ ამ ერთი ქალის სახელი მოიხსენიება.

— მათი სიყვარული წმინდაა და ამაღლებული. საუბარი მათ შორის და ერთმანეთისთვის ჩივილი სიყვარულის ტანჯვის გამო — ეს ის ზღვარია, რომელიც გადაულახავია უზრიული სიყვარულის ეტიკეტით. უზრიული სამიჯნურო ეტიკეტით ხამს, რომ მიჯნურმა „ჭირი“ მალოს, სხვა საქმეა, თუ ჭირი თავს არ დამალავს და თავს უნებლიედ გაამჟღავნებს (ძალზე ხშირად მიჯნურებს ამჟღავნებს თვალები, წამიერი მზერა, ხანაც ცრემლი სატრფოს ტომის გამგზავრებისას...); მიჯნური „შორით უნდა ბნდებოდეს“, ეს უნდა იყოს მუდმივი ლტოლვა და ვერ მიღწევა, ამიტომაც ბედისწერის ჩადგომა მიჯნურთა შორის, მათი გათიშვა არის ფატალური და გარდაუვალი აუცილებლობა, რათა შემდგომ მიჯნური მთელი სიცოცხლე ეწამებოდეს და დაითმენდეს გრძნობით მოგვრილ ტანჯვას, ანუ მისი შემდგომი ცხოვრება მონამებრივი იყოს, მისი სურვილი — „სიკვდიმდე გასატანი“...

— სატრფოს ხელის სათხოვრად მისულ პოეტს უარს ეუბნებიან სხვადასხვა მოტივით (კონკრეტულ შემთხვევებს ვარიანტული მოდელები იძლევიან).

საერთოდ, შენიშნულია, რომ ზღაპრებში გარკვეული მოთხოვნები მოტივირებულია. ეს მოტივაცია აუცილებელია და ხანდახან ძალიან ხელოვნურადაც ჟღერს (ალექსიძე 1976: 65). ზუსტად ამ მოტივაციის შექმნას ემსახურება ზოგიერთი ისეთი პასაჟის ჩართვა უზრიტ პოეტთა ცხოვრების შესახებ ხაზარებში, რომელთა არარეალურობა და ფაბრიკაცია გადმომცემთა (რავიების)

მიერ ამკარად თვალშისაცემია თავად არაბი მკვლევრებისთვისაც. მაგალითად, გადმოცემა იმის შესახებ, თითქოს არაბთა ტრადიცია, ჩვეულება იყო, არ გაეტანებინათ თავიანთი ქალიშვილები ცოლად იმათთვის, ვინც მათ ლექსებში ხოტბას შეასხამდა და ამით არაბთა თვალში სახელს გაუტეხდა. შავკი დაიფი შენიშნავს, რომ ასეთი ტრადიცია უცნობია როგორც ჯაჰილიის პერიოდის, ისე ისლამის ეპოქის არაბთათვის, ხოლო გადმომცემნი (რავეები) ამ პასაჟს კიდევ უფრო ამძაფრებდნენ იმის დამატებით, რომ თითქოს ხელისუფალი (მმართველი, ან სულაც ხალიფა) კანონგარეშე აცხადებდა ამ ღაზალების ავტორთ და მათი სისხლის დაღვრას ნებადართულს ხდიდა, როგორც დამნაშავეებისას. შავკი დაიფი აცხადებს, რომ ეს ყოველივე რავეების მოგონილია კვანძის შესაკვრელად (დაიფი 1976: 360), ჩვენ კი დავამატებდით, რომ უფრო უზრიელი პოეტი-მიჯნურებისა და მათი სატრფოების საბედისწერო სიშორის მოტივაციისთვის.

— გამოჩნდება პოეტის კეთილისმყოფელი პირი, ჩვეულებრივ, წარჩინებული წარმომავლობის ან მაღალი მდგომარეობის მქონე, რომელიც თვითონ, ან ვინმე უფრო გავლენიანი პირის ჩარევით ცდილობს პოეტის დახმარებას და მის სატრფოზე დაქორწინებას, მაგრამ ყოველი მცდელობა უშედეგო და ამაოა.

— პოეტის შეუპოვრობით შეწუხებული ქალის სანათესაო უჩივის მას იმ მხარის გამგებელთან, ან სულაც ხალიფასთან და ისიც კანონგარეშედ აცხადებს მას.

— პოეტისთვის სატრფოს სანათესაოს მიერ გამოცხადებული უარის შემდეგ ქალის ღირსებას ჩრდილი რომ არ მიადგეს, მას სხვაზე ათხოვებენ. ბედისწერა და გარემოებები სამარადისოდ ამორებით წყვილებს.

— პოეტი გონს გადადის უზომო სიყვარულით. გადაიხვეწება საზოგადოებისაგან შორს, უკაცრიელ ადგილას, ყარიბობს და კვლავ დაუსრულებლად იგონებს სატრფოს. ის სიკვდილის პირასაა სიყვარულის სენით.

— პოეტი-მიჯნური და მისი სატრფო ერთმანეთზე დარდით იხოცებიან.

ასეთია პოეტი-მიჯნურის ცხოვრების შესახებ გადმოცემათა სიუჟეტურ-თემატური სტრუქტურის ნორმატიული სქემის დაკანონებული სტერეოტიპი, ინვარიანტი, რომელიც აზრობრივი დაპირისპირების დინამიური ხასიათის შენარჩუნებით მოკლედ შეიძლება ჩანერილიყო, როგორც „ერთი ნახვით შეყვარება — ფატალური სამარადისო სიშორე — სიყვარულით სიკვდილი“, სადაც დაპირისპირება „სამარადისო ლტოლვა — სამარადისო სიშორე“ სრულად წარმოგვიდგენს ძირითად კონფლიქტს ამ მოდელისა.

„ვეფხისტყაოსანში“ აღმოსავლური პარალელების ძიებას რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა და დიდი დავისა და პოლემიკის საგანიც გახლავთ. ამ დისკუსიის ღერძს და ამოსავალ წერტილს მაინც პროლოგის „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“... წარმოადგენს, ჯერ კიდევ ვახტანგ VI-დან მიყოლებული რომ უტრიალებენ მკვლევარნი და ამ თავსატეხი ამოცანის გახსნის მცდელობაში მელანიც უხვად დაღვრილა, ფურცელიც ბევრი დახარჯულა და ვნებათღელვის ქარიშხალიც ხშირად მოსდებია ქართულ საზოგადოებასა და ლიტერატურულ წრეებს, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ თითქმის არ დარჩენილა XIX თუ XX საუკუნეების არც ერთი ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ქართული ლიტერატურის მეტ-ნაკლებად სერიოზული მკვლევარი, ამ საკითხისადმი რომ არ მიეძღვნა რამდენიმე სტრიქონი მაინც. მარტო მათი სახელებისთვის თვალის გადავლება და ბიბლიოგრა-

ფიის უბრალო ჩამონათვალიც კი ძალიან შორს წაგვიყვანდა და მრავალ გვერდსაც დაიკავებდა. „ვეფხისტყაოსნის“ უდიდესი ეროვნული ღირებულების გათვალისწინებით ამგვარ პოლემიკას ყოველთვის ისეთი ფართო რეზონანსი ჰქონდა ჩვენში, რომ სპეციალისტთა ვინრო წრის მსჯელობის საგნად არასდროს დარჩენილა, ყოველ ახალ აზრს საზოგადოების პირუთვნელი სამსჯავრო ელოდა და ელის...

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ამ საკითხისადმი მიძღვნილმა მაგალი თოდუას საინტერესო მონოგრაფიულმა ნაშრომმა „ვეფხვის ნახტომი ანუ რითი სჯობს რუსთაველი შექსპირსა და გოეთეს“, სადაც ავტორი ცდილობს, დააკონკრეტოს „ამბის“ მნიშვნელობა და მიუსადაგოს მას თანამედროვე ლიტმცოდნეობითი ტერმინი, რამეთუ მისივე შენიშვნით, სწორედ ამ საკითხში შეიმჩნევა ყველაზე დიდი აღრევა „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევართა შრომებში, ზოგი „ამბავს“ სიუჟეტთან აიგივებს, ზოგი ფაბულასთან, ზოგთანაც სიუჟეტი და ფაბულა სინონიმურ ცნებებად იხმარება. მ. თოდუა რუსთაველის „ამბავს“ განმარტავს, როგორც ფაბულას, რომელიც ავტორისავე განსაზღვრებით, „მაქსიმალურად შეკუმშული სიუჟეტი“, ერთგვარი ქარგაა, ჩონჩხია, სქემაა, რომლის მხატვრული გამლა და ხორცშესხმაც არის უკვე სიუჟეტი. „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის გამოსაკვეთად მკვლევარი იყენებს ტექსტის სტრუქტურული ანალიზის ვ. პროპისეულ მეთოდს და პოემის ფაბულას (მ. თოდუასთან ნახმარ ტერმინ „ფაბულის“ იდენტიურად ვ. პროპი „კომპოზიციას“, „კომპოზიციურ სქემას“ იყენებს და ამტკიცებს, რომ ერთი და იგივე კომპოზიცია ედება საფუძვლად მრავალ სიუჟეტს. კომპოზიცია სტაბილური ელემენტია, სიუჟეტები — ცვლადი) შვიდ ფუნქციად ყოფს:

- I ფუნქცია: ქალსა და ვაჟს ერთმანეთი უყვართ.
- II ფუნქცია: მშობლები ვაჟს ქალს არ ატანენ.
- III ფუნქცია: ქალსა და ვაჟს ერთმანეთს ჩამოაშორებენ.
- IV ფუნქცია: ვაჟი დაეძებს თავის სატროფოს.
- V ფუნქცია: ვაჟი გაიცნობს კაცს, რომელსაც დახმარება შეუძლია.
- VI ფუნქცია: დამხმარე მიაგნებს ქალისა და ვაჟის შეერთების საშუალებას.
- VII ფუნქცია: შეყვარებულები შეერთდებიან (თოდუა 1993: 38).

საინტერესოა, რომ პროპის მეთოდი რუსთაველოლოგიური ინტერესების სფეროში მანამდეც მოქცეულა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის სტრუქტურული შესწავლის თვალსაზრისით. კერძოდ, გამოთქმულია მოსაზრება მკვლევარ მარიამ კარბელაშვილის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიციის (მ. თოდუასეული „ფაბულის“) ჯადოსნური ზღაპრის ინვარიანტთან იდენტიფიცირების თაობაზე და „ვეფხისტყაოსნის“ კონსტრუქცია წარმოდგენილია, როგორც ჯადოსნური ზღაპრის უნივერსალური ფორმულის მოდიფიკაცია (კარბელაშვილი 1980^ბ). მანამდე ამავე ავტორს ეკუთვნის სტატია ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ სტრუქტურული ტიპოლოგიის თაობაზე, კერძოდ, უკავშირებს მას ჯადოსნური ზღაპრის ინვარიანტს და მიდის შემდეგ დასკვნამდე: მართალია, ხალხურ „ვეფხისტყაოსანს“ ლიტერატურული საფუძველი აქვს და მის ნიადაგზეა აღმოცენებული, მაგრამ ქართულ ფოლკლორში მოხდა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ სიმბიოზი ფოლკლორის ამ ჟანრთან — ჯადოსნურ ზღაპართან (კარბელაშვილი 1980^ბ).

რამდენად მისაღებია და მიზანშეწონილი ამ მეთოდის გამოყენება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კვლევისას? ფილოლოგიურ მეცნიერებებში საკვლევი მასალისადმი ერთგვარი სისტემური მიდგომა, როგორც ჩანს,

სულ უფრო ფართო ხასიათს იღებს, განსაკუთრებით სტრუქტურულ-ტიპოლოგიური კვლევის სფეროებში.

სტრუქტურული ანალიზის ამგვარი მეთოდებით ჯადოსნური ზღაპრის ჟანრული სპეციფიკის კვლევამ ვ. პროპი მისი სტრუქტურის ფორმულის აღმოჩენამდე მიიყვანა ისევე, როგორც მითების ცნობილი მკვლევარი კლოდ ლევი-სტროსი მითების სტრუქტურის შესწავლით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მათაც საფუძვლად სწორედ ფორმულური სისტემა უდევთ და რომ მითების დაჯგუფებაც შეიძლება გარკვეული მყარი მოდელების მიხედვით.

თანამედროვე ლიტმცოდნეობაში უკვე დამკვიდრდა აზრი, რომ არსებობს მითოსის გარკვეული კავშირი ზღაპართან, ფოლკლორთან და საგმირო-სამიჯნურო ეპოსთან და განსხვავება მათ შორის ისტორიული გრადაციებია. ისინი ერთმანეთის მიმართ ისტორიულად თანამიმდევრულნი არიან. ლევი-სტროსი ზღაპარში ხედავს შესუსტებულ მითს, პროპიც ზღაპარს მითის გენეზისის საფუძველზე მიღებულად მიიჩნევს, ასე რომ მითოსი არის პირველსაწყისი და საფუძველი და დროთა განმავლობაში მეტამორფოზას განიცდის სხვადასხვა ერის ზღაპრებსა და ლეგენდებში, ხალხურ ეპოსში.

ამ თვალსაზრისს ეხმიანება მ. კარბელაშვილის მოსაზრება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ საფუძველში გარკვეული მითოლოგიკაა დაშიფრული, რომლის უნივერსალური მოდელი „დაკარგვა — ძებნა — პოვნა“, რეალიზებული ჯადოსნური ზღაპრის ფორმულის სტრუქტურის მოდიფიკაციით, დაედო საფუძვლად „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტურ კომპოზიციას (კარბელაშვილი 1982).

დაკვირვებული თვალი ბევრ პარალელს გაავლებს მ. თოდუასეულ „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის სქემასა და უზრიელი პოეტი-მიჯნურის ცხოვრების ინვარიანტულ სქემას შორის ისევე, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში გამოტანილი მიჯნურობის კრედო საკმაო სიახლოვეს ამჟღავნებს უზრიული სიყვარულის ეტიკეტთან, ზოგი ადგილი კი პირდაპირ იდენტურია მისი: „მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანი ვერ მიხვდებიან...“ / „რა მოშორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთქმა-უში...“ / „გული ერთსა დააჯეროს...“ / „კარგი მიჯნური იგია, ვინ იქს სოფლისა თმობასა...“ / „არს პირველი მიჯნურობა არ დაჩენა, ჭირთა მალვა...“ / „შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა...“ / „თუ მოყვარე მოყვრისათვის ტირს, ტირილსა ემართლების, / სიარული, მარტოობა შვენის, გაჭრად დაეთვლების...“ და სხვ.

როგორც ზემოთაღ აღვნიშნეთ, VII ს-ის ბოლოს შექმნილი ეს არაბული გადმოცემები უზრიელ პოეტ-მიჯნურებზე და მათი ლექსები დიდი პოპულარობით სარგებლობდა შუასაუკუნეთა აღმოსავლეთში და ბევრი მოგვიანო ლიტერატურული ნაწარმოების თავწყაროც გახდა. ამ გადმოცემათა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ვარიანტი, მაჯნუნისა და ლეილას ისტორია დაედო საფუძვლად ნიზამი განჯელის (XII ს.) პოემას „ლეილმაჯნუნის“.

სპარსულ ლიტერატურასთან მრავალსაუკუნოვანი მჭიდრო ურთიერთობების მქონე ქართული ლიტერატურის მკვლევართ „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობისას, რასაკვირველია, ნიზამის ეს პოემა ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ. აღინიშნა „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის თემატური სიახლოვე „ლეილმაჯნუნის“ შესავალთან (ნ. მარი, იუსტ. აბულაძე, ალ. ბარამიძე), თავად პოემათა შინაარსობლივი მსგავსებანი (კ. კეკელიძე); კ. კეკელიძე თვლის, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ყაისის მოხსენიება საბუთია იმისა, რომ რუსთაველი იცნობს თავისი უფროსი თანამედროვის, ნიზამის

ამ პოემას და განიცდის მის გავლენას. გამოითქვა ასევე ვარაუდი, რომ ეს ლიტერატურული გავლენები, შესაძლოა, მომდინარეობდეს უშუალოდ მაჯნუნისა და ლეილას ისტორიის არაბული თავწყაროდანაც კი და ამის საბუთად თავად ტერმინ „მიჯნურის“ რუსთველის ხანაში უკვე გავრცელება და დამკვიდრებაც არის დამონმებული — „მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულისა ენითა“... (თოდუა 1993: 11-12), თუმცა არც არსებითი განსხვავებაა დავინწყებული რუსთველისა და ნიზამის გმირებს შორის — ნიზამის მაჯნუნი მისტიკური სიყვარულითაა შეპყრობილი, მისი ველად გაჭრადა და განმარტობაც მისტიკურია, ტარიელი კი დაკარგულ სატრფოს დაეძებს მასთან შესაყრელად, მისი სიყვარული ამქვეყნიურია (ბარამიძე 1945: 164-165), (ნოზაძე 1975: 161). ამ თვალსაზრისით საყურადღებოდ გვეჩვენება ისევ თავად რუსთველის სიტყვები: **„სდევს მიჯნურსა ფათერაკი, სანუთროსა დაანავლებს, / მაგრა ბოლოდ ლხინსა მისცემს, ვინცა პირველ ჭირსა გასძლებს“**.

გამოვლილი დიდი განსაცდელი, დიდი ჭირი და ვაება კი უფრო აძლიერებს გამარჯვების განცდას და დიდ სიამეს, რამეთუ „მაშა ლხინსა ვინ მოიმკის პირველ ჭირთა უმუშაკო?“, სამაგიეროდ, „მაშინ ლხინი ამო არის, რა გარდიხდის კაცი ჭირსა“, ანუ სხვაგვარად: „ყოლა ლხინთა ვერ იამებს კაცი ჭირთა გარდუხდელი“.

საინტერესოა ამ კუთხით თავად აღმოსავლელთა თვალთ დანახული „ვეფხისტყაოსანი“. ბალდადის უნივერსიტეტის პროფესორი ჯალილ ქამალ ად-დინი თავის სტატიაში „არაბები ძველ ქართულ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში“, რომელიც რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ გამოხმაურებაა, ქართული ლიტერატურის შედეგში ბევრ პარალელს ხედავს აღმოსავლური პოეზიიდან, ხოლო რუსთველის მიჯნურობას პირდაპირ აიგივებს უზრიულ სიყვარულთან. მისი აზრით, ქართველი მიჯნურის ტანჯვა ტრფობით გახლებული არაბის ტანჯვის მსგავსია. სიყვარულისადმი მისი დამოკიდებულებაც არაბი მიჯნურის დამოკიდებულებას ჰგავს ამ გრძნობის მიმართ. პოემის არაბული ფონი კი კიდევ უფრო უძლიერებს მას ასეთ განწყობას (ქამალ ად-დინი 1980: 27-29).

ჩვენის მხრივ იმას დავსძენდით, რომ გარკვეულ დონეზე მსგავსება ტარიელისა უზრიელ პოეტ-მიჯნურთან, რუსთველური მიჯნურობისა უზრიულ სიყვარულთან მართლაც გვაქვს და ამის აღიარებას ვერსად ნაუვალოთ, მაგრამ ზემოთ უზრიელი პოეტი-მიჯნურის შესახებ არაბულ გადმოცემათა ნორმატული სქემის ინვარიანტული მოდელის მოტანა ერთის მხრივ და მეორეს მხრივ, „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის მასთან შედარება თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, რომ ტიპოლოგიურად ეს ორი სხვადასხვა სქემაა და მართალია, მსგავსება ცალკეულ კომპონენტთა დონეზე აშკარაა, გარკვეული სიუჟეტური ხაზებიც თანხვდებიან ერთმანეთს, მაგრამ ერთის ჩონჩხედი „დაკარგვა — ძებნა — პოვნა“, მეორისა კი „შეყვარება — საბედისწერო და სამარადისო განშორება — სიყვარულით სიკვდილი“. ამრიგად, მსგავსება მათ შორის, რაგინდ ხელშესახები და კონკრეტულიც არ უნდა იყოს, მაინც გარეგნულია; ის ატრიბუტიკაც, რომელიც ამ გმირებს აახლოვებს და ის ფერებიც, რომლებიც ამ ორ გრძნობას ხატავს, როგორც ჩანს, ანარეკლი უნდა იყოს მხატვრულ ღირებულებათა, მხატვრულ გამომსახველობით საშუალებათა რაღაც საერთო ფონდისა, რომელიც შუასაუკუნეებში არსებობდა და კვებავდა ყველა მეტ-ნაკლებად ფასეულ მხატვრულ ქმნილებას. რომ აღარაფერი ვთქვათ შუასაუკუნეთა „იგივეობის

ესთეტიკაზე“, რომლის ღერძიც იყო „ჩვეული“, „ნაცნობი“ და არა „უცნობი“ და „უცნაური“. აღარც იმაზე გავაგრძელებთ სიტყვას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ფასეულობათა სისტემა და მხატვრული ფენომენი სხვაა და გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე მარტოოდენ ფაბულა, რომელსაც ამ ფასეულობათა სისტემაში მაინც შედარებით მოკრძალებული ადგილი უჭირავს.

დამონებიანი:

ალექსიძე 1976: ალექსიძე ა. *ბერძნული სარაინდო რომანის სამყარო*. თბ.: თსუ გამომცემლობა, 1976.

ბარამიძე 1945: ბარამიძე ა. *ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*. I. თბ.: თსუ გამომცემლობა, 1945.

დაიფი 1976: شوقي ضيف، تأريخ الأدب العربي، العصر الإسلامي، القاهرة، 1976

თოდუა 1993: თოდუა მ. *ვეფხვის ნახტომი ანუ რითი სჯობს რუსთაველი მექსპირსა და გოეთეს*. ქუთაისი: 1993.

კარბელაშვილი 1980^ა: კარბელაშვილი მ. *ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ სტრუქტურა და ტიპოლოგია*. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 97, № 3, მარტი, 1980.

კარბელაშვილი 1980^ბ: კარბელაშვილი მ. *„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ინვარიანტის საკითხისათვის*. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 99, 3, სექტემბერი, 1980.

კარბელაშვილი 1982: კარბელაშვილი მ. *„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მითოლოგიური ძირები*. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 105, № 3, მარტი, 1982.

კრაჩკოვსკი 1956: Крачковский И. Ю. *Ранняя история повести о Маджнуне и Лейле в арабской литературе*. Избранные сочинения, т. II, М.-Л.: 1956.

ნოზაძე 1975: ნოზაძე ვ. *ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველება*. პარიზი: 1975.

ოგანესიანი 1987: Оганесян Д. А. *Хабар в культурном сознании общества доисламской и раннеисламской Аравии*. Проблемы арабской культуры: Сб. ст. Памяти И. Ю. Крачковского. М.: Наука, 1987.

პროპი 1963: Пропп В. Я. *Морфология сказки*. М.: 1963.

სეგალი 1966: Сегал Д. М. *О связи семантики текста с его формальной структурой*. Poetics, II, Сб. ст. , Warszawa: 1966.

ქამალ ად-დინი 1980: جليل كمال الدين، العرب في التراث الأدبي الجورجي القديم، مجلة الجامعة، جامعة الموصل، العدد الخامس، شباط، 1980

TAMAR GOGOLADZE

Georgia, Tbilisi, GTU

Leonardo da Vinci and Michelangelo in Georgian Cultural Space

The creative viewpoints of two great artists-Leonardo da Vinci and Michelangelo represent conceptions somehow different from each other and characteristic to the representative of Georgian Renaissance-a poet Shota Rustaveli . This work aims to interpret the Italian geniuses' views in Georgian cultural space originating in the 20s of the XIX century. Concidering the historical principles we tried to discover how the symbolist-Valerian Gaprindashvili identifies La Gioconda to Leonardo da Vinci, Tamar to Shota Rustaveli (“The Smile of La Gioconda”). The study of these questions in the presented work is fulfilled in complex for the first time. It will definitely enrich the research area about these two great Italians

Key words: Georgian Cultural Space, Rustaveli, interpretation.

თამარი გომოლაძე

საქართველო, გორი

გორის სასწავლო უნივერსიტეტი

ლეონარდო და ვინჩი და მიქელანჯელო ქართულ კულტურულ სივრცეში

იტალიური და ქართული რენესანსის ეპოქის სამი დიდი ხელოვანის — ლეონარდო და ვინჩის, მიქელანჯელოსა და შოთა რუსთაველის — შემოქმედება, ასე განსხვავებული ერთმანეთისაგან ფორმით, შინაარსით, იდეოლოგიით, ფსევდო დიონისე არეოპაგელის თეორიას ეფუძნება. არეოპაგეტიკა ხომ წარმოადგენს „ჰროკლეს ფილოსოფიის“ საფუძველზე აღმოცენებულ ნეოპლატონიზმის ქრისტიანულ გადამუშავებას, რომლის თანახმადაც ყველაფერი მოდის ნანამძღვრიდან, რომ ღმერთი „ყოველთა შორის ყოველ არს“ და მას ონტოლოგიურ, ეთიკურთან ერთად, ესთეტიკური შინაარსიც ახლავს. ეს უკანასკნელი — მშვენიერება — მეორე პრედიკატია ღმერთისა სიკეთის შემდეგ, ხოლო ჰარმონიისათვის აუცილებელია ეროსი („ტრფიალება“, „სიყვარული“, „მიჯნურობა“). „ეროსი არის არსთა „კეთილის მოქმედი ძალა და მისი დანიშნულება არსის კეთილყოფაში მდგომარეობს“ (ხიდაშელი 1969: 101).

პირველმიზეზისადმი სიყვარული და სწრაფვა, ანუ პირობა ჰარმონიისა და ერთიანობისა სიმრავლეში, დასაბუთებულია ონტოლოგიური მოძღვრებით, „რომელიც სიმრავლის ერთიდან გამომდინარე და სიმრავლის ერთში მონანილეობაზეა დაფუძნებული. პირველმიზეზი გადადის არსში, აგრეთვე, როგორც სიყვარული, უნანილებს მას სიყვარულის ძალას, რომელიც უკუმოაქცევს არსს პირველმიზეზისაკენ, როგორც სიყვარულის საგნისაკენ“ (ხიდაშელი 1969:10).

ქართულ რენესანსში არეოპაგეტიკა ჯერ კიდევ XI საუკუნის ბოლოს შემოდის ეფრემ მცირის თარგმანითა და კომენტარებით, ხოლო იტალიურ რენესანსში, არეოპაგეტიკაზე დაყრდნობით, ამავე აზრს ავითარებს მარსილიო ფიჩინო“ (1433-1499).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლეონარდო და ვინჩისა და მიქელანჯელოს ხელოვნება (მხატვრობა, ქანდაკება) და შოთა რუსთაველის პოეზია „რუსთაველის ესთეტიკის“ მკვლევარმა გიორგი ნადირაძემ შემთხვევით არ დააკავშირა ერთმანეთს: „ორი დიდი იტალიელი ხელოვანის — ლეონარდოს და მიქელანჯელოს — თვალთახედვანი უნდა ჩაითვალოს ამ კონცეფციის (ე.ი. რუსთაველის კონცეფციის – თ.გ.) მომენტებად, რომელშიაც ისინი პოვებენ შერიგებას და გაერთმთლიანების პრინციპს“ (ჯიბლაძე 1966:32).

ამდენად საუკუნეთა მანძილზე რენესანსის ეპოქის ხელოვნება უვითარებდა საზოგადოებას გემოვნებას, სწრაფვას მშვენიერებისა და ამაღლებულობისაკენ. და, მიუხედავად სიმორისა, V საუკუნის მანძილზე ინფორმაციის სიმწირისა, ქართული საზოგადოებრივი აზრი მომზადებული დახვდა იტალიური რენესანსის აღქმას, გაგებასა და დაფასებას, რაც განსაკუთრებით XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყება. ქართველი კაცის მოგზაურობანი, პრესიდან მიღებული ინფორმაციით, ხელს უწყობდა ლეონარდო და ვინჩისა და მიქელანჯელოს აღქმას ქართულ სივრცეში, რისი მიმოხილვაც ვცადეთ წინამდებარე სტატიაში.

ლეონარდო და ვინჩის ბიოგრაფიის დასასრულს სტენდალი აღნიშნავს: „ასეთი იყო ცხოვრება ხუთ თუ ექვს ადამიანთაგან ერთისა, რომელმაც თავისი სული საღებავების მეშვეობით გადაუშალა ყველას. იგი უცხოელებს ისევე უყვარდათ, როგორც გვირგვინოსან პიროვნებებს, რომლებთანაც გაატარა ცხოვრება მათთან დაახლოებულმა და თითქმის მათმა მეგობარმა“ (სტენდალი 2007:138). დიახ, ასე ახლოს მოვიდნენ ლეონარდო და მიქელანჯელო ქართველებთანაც.

XVIII საუკუნის დასაწყისში ქართველმა მწერალმა და სასულიერო მოღვაწემ ს.ს. ორბელიანმა იმოგზაურა ევროპაში. იგი იტალიაშიც ყოფილა, კერძოდ ფლორენციაშიც, უნახავს მისი ქრისტიანული სინმინდეები და აღფრთოვანებულა არქიტექტურითა თუ ხელოვნების ნიმუშებით. სამწუხაროდ, მასთან ვერ ვხვდებით ამ ორი გენიოსი ხელოვანის სახელებს, ან ვხვდებით, სავარაუდოდ, მათი ქმნილებების დასახელებას, მაგრამ ავტორთა ვინაობის გარეშე. ასევე ძალზე მწირია ცნობები ევროპის გამოჩენილ ხელოვანთა შესახებ XIX საუკუნის I ნახევრის ქართულ პრესაში. მაგრამ ჟურნალ „ცისკრის“ დამაარსებელი, პოეტი და დრამატურგი გიორგი ერისთავი თავის სამოგზაურო ჟანრის ნაწარმოებში „ჩემი მოგზაურობა ევროპაში“ (1862 წ.) ლუვრის სასახლის აღწერისას წერს, რომ უნახავს „მეორე ადელენიეში (განყოფილებაში) კორტინები (სურათები) დიდროვანი პირველ მხატვართა: რაფაელისა, მიქელ ანჟელოსი, რუბენსისა და სხვათა, რომელთაც აღვწერ როდისმე მოცალების დროსა“ (ერისთავი 1936: 353). ესაა მიქელანჯელოს პირველი მოხსენიება ქართულ კულტურულ მოგზაურის ჩანაწერებში. 40 წლის შემდეგ 1901 წელს გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება ინჟინერ გიორგი დეკანოზიშვილის „მგზავრის წერილები რომიდგან. VI (მხატვრობა, რაფაელი და მიქელ-ანჯელო)“.

40-იანი წლებიდან ქართველი ახალგაზრდები სახვით ხელოვნებაში დაოსტატებისათვის მიემგზავრებიან საფრანგეთში, პარიზში. იქიდან დაბრუნებულნი, მომავალი მხატვრები, პოეტები უკვე გაბედულად ახსენებენ გენიოს შემოქმედთ. და აი, 1922 წელს ჟურნალ „ლომისში“ (1922წ. 2) ხელოვნების მატიანის რუბრიკაში მოცემულია ინფორმაცია „ლეონარდო და ვინჩის ხელნაწერების აღმოჩენის შესახებ“. ამის შემდეგ ლეონარდო და ვინჩისა და მიქელანჯელოს ბიოგრაფიები ძირითადად რუსული ენიდან ქართულ ენაზე თარგმანების სახით ქვეყნდება: დიტიკიანი ვ., „ლეონარდო და ვინჩი (მთარგმნ: ლ. მდივანი), თბილისი, 1963 (სერიით: „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება“, ნ.18), ლეონარდო და ვინჩი, „ზღაპრები, ლეგენდები, იგავები (იტალიურიდან თარგმანი ა. მახოვისა, ქართულად ჯ. თითმერიასი), თბილისი, 1988.

1967 წელს ხელოვნებათმცოდნე აკაკი გელოვანი გერმანულიდან თარგმნის როზემარია შუდერის რომანს „მიჯაჭვული ტიტანი“ (მიქელანჯელოზე), 1980 წელს კი უკვე მისივე ვრცელ ნაშრომში „მარად უკვდავი ხელოვნება“, საოცარი ორიგინალობით, დაკვირვებით მიმოხილულია ლეონარდო და ვინჩისა და მიქელანჯელოს შემოქმედება. ნაშრომს, ილუსტრაციებთან ერთად, ერთვის მიქელანჯელოს პოეზია თარგმნილი ქართულ ენაზე თვით აკაკი გელოვანის მიერ. უფრო ადრე, 1979 წელს ბაჩანა ბრეგაძემ მიქელანჯელოს პოეზიას უძღვნა ფილოსოფიურ-ლიტერატურათმცოდნეობითი ნაშრომი. 2000 წელს ნინო გომართელი გამოსცემს ნაშრომს „მსოფლიო ხელოვნების შედევრები“, რომელშიც მიმოხილულია ლეონარდო და ვინჩის, მიქელანჯელოსა და რაფაელის შემოქმედება და სხვ.

გარდა ამისა ჯ. ქარჩხაძის გამომცემლობის მიერ გამოიცა „ლეონარდო და ვინჩი“ და „ლეონარდო და ვინჩის უბის ჩანაწერები“ — გასართობ-შემეცნებითი ხასიათის წიგნები.

ლეონარდო და ვინჩის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ორ პორტრეტს: „მონა-ლიზას“ და „ქალს ყარყუმით“. პირველი მათგანი პარიზში, ლუვრშია გამოფენილი, მეორე — პოლონეთში, კრაკოვში, ჩარტორიისკების მუზეუმში. ჩვენი ყურადღება სწორედ ამ ორ სურათზე ჩერდება, რამდენადაც 1910-იანი წლების ქართველი სიმბოლისტებისათვის „ცისფერყანწელებისათვის“, „მონა-ლიზა“ იქცა პოეზიის იდუმალეების სიმბოლოოდ, პოეტმა ვალერიან გაფრინდაშვილმა მას ესე უძღვნა, კოლაუ ნადირაძემ კი — ლექსი.

„ქალი ყარყუმით“ არაერთგზის გამხდარა მკვლევართა შესწავლის, დისკუსიის საგანი. ამჯერად ჩვენთვის საყურადღებოა მხატვრული ქმნილებისა და ლეონარდოს იგავის მიხედვით, ვცადოთ ჩვენეული ახსნა მივცეთ“ პორტრეტის შინაარსსა და შექმნის თარიღის დადგენას. მთარგმნელმა, პოეტმა და ესეისტმა ბაჩანა ბრეგაძემ საოცარი ნაშრომი უძღვნა მიქელანჯელოს პოეზიას. ჩვენი მიზანია, სწორედ ბრეგაძისეული თვალთახედვის არსის დასაბუთება. არამხოლოდ ლიტერატურათა და ხელოვნებით დაინტერესებული ქართველი საზოგადოებრიობისადმი, არამედ მისი გლობალური მნიშვნელობისათვის.

ვალერიან გაფრინდაშვილი (1889-1941) ქართული სიმბოლიზმის, „ცისფერყანწელთა“, ორდენის წევრია, რომელმაც მიიღო ა. რემბოს, პ. ვერლენის, შ. ბოდლერის ესთეტიზმი, ვ. მარინეტის ფეტურიზმის იდეოლოგიის ელემენტები და, საკუთარ, ტრადიციულ ნიადაგზე, თავის წინაპრად შოთა რუსთაველი გამოაცხადა. რუსთაველმა დააკანონა ქართული ლექსის პროსოდია, მეტრიკა, სიტყვის ესთეტიკა და მუზად ქართული რენესანსის „ოქროს ხანის“ მეფე თამარი აღიარა. ამ სინთეზში აღმოსავლურ-დასავლური მოდერნიზმისა ვალერიან გაფრინდაშვილმა ლირიკაში შექმნა მირაჟების სინამდვილე, იგი სწავლობდა სონეტის პრობლემას, სიმახინჯის სილამაზედ გარდაქმნას, ესთეტიკის სულიერ წინაპრებს ქართულ არეალში, ალბათ, ამიტომ მიიჩნია ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდა („ჯიოკონდა“) მშვენიერების იდუმალეების სიმბოლოდ და, შეუერთა რა თამარ მეფის მარადი ქალურობის სახეს, ქართული მოდერნისტული პოეზიის სიმბოლოდ ამ ერთიანობაში წარმოიდგინა: „ჩვენ პოეზიაში ვგრძნობთ ჯიოკონდას ღიმილს და ეს ღიმილი არის უკანასკნელი ბედნიერების დაპირება“, „ქართული პოეზიის ჯიოკონდა თამარია“ (გაფრინდაშვილი 1990: 578). ვ. გაფრინდაშვილის აზრით, საკუთრივ „ჯიოკონდას ღიმილი გვიანდერძა და ვინჩიმ, როგორც მუდმივი გამოცანა, როგორც თავისი ირონია და კურთხევა“ (გაფრინდაშვილი 1990:576). „თანამედროვე ქართული პოეზია გაბზარულია ჯიოკონდას ღიმილით“ (გაფრინდაშვილი 1990:577) — ასკვნის ესეეს „ჯიოკონდას ღიმილი“ ბოლოს (დაინერა 1923 წ.) ვ.გაფრინდაშვილი.

უფრო ადრე (1919-1926 წ.) ვ. გაფრინდაშვილი ქმნის ლექსს „მხეცები და ჯიოკონდა ხელოვნების სასახლეში“, რომელშიც ხელოვნების ტაძრის მთავარ ქურუმად ჯიოკონდაა, დიაკვნად — ლეონარდო და ვინჩი, ხოლო ბრბო — მხეცები, რომლებიც ჯიოკონდას პეშვიდან იღებენ ხელოვნებასთან სანუკვარ ზიარებას. ლექსის ბოლოს კი პოეტი აღტაცებით წერს:

„და ლეონარდო / ის ჩუმად ხატავს თავის მადონას. / ხატავს მესამედ. / იშლება ჭერი ცის კაბადონად / და უფსკრულ ღამეთ. / ზის ქალის

ფეხთქვეშ ვეფხი მდუმარე, / და სამასი წლის ღიმი ნორჩია. / თავის ამალით მოვა სტუმარი — / ცეზარ ბორჯია“ (გაფრინდაშვილი 1990:177).

ამ ალეგორიითა და სიმბოლოებით ქართველი პოეტი ვალერიან გაფრინდაშვილი ლეონარდო და ვინჩის შედევრს აქცევს ხელოვნების (მოცემულ შემთხვევაში — პოეზიის) სიმბოლოდ, რომელიც იდუმალია, მშვენიერი და ბუნდოვანიც ამავედროულად.

მეორე სიმბოლისტი პოეტი კოლაუ ნადირაძე 1920 წელს დაწერილ ლექსში „ჯიოკონდა“ აჩრდილებით ინაცვლებს ხუთასი წლის წინანდელ ფლორენციაში და საკუთარ თავს ჯიოკონდას სატროფოდ წარმოიდგენს. მთვარიან ღამეს, არნოს ნაპირას დაბადებული სიყვარული მარადიულია: „*შენი ღიმილი ისევ ის არის — / ღიმილი უამთა, დაუხსოვარი!*“ (ნადირაძე 1979: 213).

კ. ნადირაძის ზეციური ტროფობა ხელოვნების შედევრში განსახოვნებული ჯიოკონდაში, ისევე იდუმალია, როგორც თავად ქალის ღიმილი.

ხელოვნებათმცოდნე ა. ბელიაშვილი, ერთმანეთს ადარებს რა ლეონარდო და ვინჩისა და მიქელანჯელოს, ასეთ დასკვნას აკეთებს: „მიქელანჯელო უფრო მეამბოხეა, მაგრამ ლეონარდო უფრო უნივერსალურია, უფრო მრავალმხრივი მაძიებელია სამყაროს ერთიანი ჰარმონიისა...“

ის, რაც მიქელანჯელომ შექმნა, ასე თუ ისე თვალწინაა, შეცნობილია, ნათელია, ხოლო ლეონარდო მიუნჯდომელ თავსატეხებს უჩენს ხელოვნებასაც და მეცნიერებასაც“ (გელოვანი 1980: 128). იგი შესტროფის ორივე ხელოვანის გენიას და ის ცდილობს დაასაბუთოს, რომ პიროვნული მთლიანობითა და უნივერსალიზმით ლეონარდო ამაღლდაო რენესანსსა და ანტიკაზეც კი. ა. ბელიაშვილი ლეონარდოს მანერას ხანგრძლივი დროის განმავლობაში ემუშავა ერთსადაიმავე ტილოზე, ხსნის გენიოსის ფიქრის სიდიადით, ყველაფრის ახსნისა და გადმოცემის ნყურვილით და მის ნამუშევრებს უწოდებს „ფანჯარას სამყაროსაკენ“.

ამავდროულად დიდია მისი აღტაცება მიქელანჯელოს ტიტანიზმით. ა. ბელიაშვილს ხიბლავს მისი სატროფიალო პოეზიაც, ამიტომ თარგმნის მათ ქართულ ენაზე. სამაგიეროდ, მთარგმნელი და ესეისტი ბაჩანა ბრეგაძე, ორიგინალში მოცემულ მიქელანჯელოს პოეზიას ფართო ჭრილში წარმოგვიდგენს. როგორც შენიშნავს შესავალ წერილში, ოტია პაჩკორია, იგი შებედავს მიქელანჯელოს „თავზარდამცემ სიდიადეს“ (როგორც მეტყველებს მაღალი რენესანსი), „რადგან ყოველთვის უნდა გაირღვეს კულტურული იზოლაციის რკალი: რადგან ქართული კულტურა, სულიერი ცხოვრება მხოლოდ იმას შეითვისებს და შეისისხლხორცებს, რაც მისი გონის, წარმოსახვისა და აზროვნების ნაყოფი გახდება, საკუთარ ენობრივ წიაღში გამოიწრთობა და საკუთარი ტკივილით ახმიანდება“ (ბრეგაძე 1979:6).

სწორედ ამიტომ ბ. ბრეგაძე თვლის რომ მიქელანჯელოს თვითგამოხატვისათვის არ იყო საკმარისი პლასტიკური ხელოვნება, ამ „ოთხსულიანი“ კაცისათვის აუცილებელი იყო პოეტური სიტყვით გადმოცემაც საკუთარი რელიგიური მსოფლგანცდის, ეთიკური თუ ესთეტიკური მრწამსისა. ამიტომ თავად სახეცვლილი, დაკარგული ფლორენცია უნდა ყოფილიყო მიქელანჯელოს ნოსტალგიას მიზეზი. ნეოპლატონიზმის სწავლებას ნაზიარებმა მიქელანჯელომ ქანდაკებაში „გააცოცხლა საბერძნეთის გმირული ფორმები, რომელსაც სიშმაგე შემატაო“ (ბრეგაძე 1979: 10), თუმცა ბ. ბრეგაძის აზრით, პოეზიაში მიქელანჯელო, განსხვავებით ქანდაკებისაგან, შედის ტკივილის გზით, „როგორც შემკრთალი და შეძრწუნებული“,

როგორც ო. პაჩკორია ასკვნის: „ნიგნის ავტორმა შეძლო მიქელანჯელოს ხელოვნების ერთიან სისტემად წარმოდგენა, ამ მონოლითური პოეზიის ცალკე ფენომენად გამოყოფა“ (ბრეგაძე 1979:17), ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვნად კი გამოვყოფდით იმას, რომ ბ. ბრეგაძე ქეშმარიტად პირველია მიქელანჯელოს ხელოვნების (ქანდაკება, პოეზია) ქართულ სივრცეში ასე ღრმადმეცნიერული წარმოდგენისათვის, რაც თავად გენიოსის გაგება-წვდომასთან ერთად მის მსოფლიო ცივილიზაციის განუყოფელ ნაწილად წარმოდგენაზეც მეტყველებს. ამის დასტურად მოგვაქვს ამონარიდიც მისი ნიგნიდან: „ამიერიდან სამყაროში ის დაეძებს მხოლოდ ღმერთს, ღმერთში — სამყაროს, ამიერიდან გრძნობად — კონკრეტული სინამდვილის ყველა ასპექტში ის მხოლოდ უფლის უსასრულო ძალმოსილების, მისი უშრეტი მადლისა და მარადიული სინათლის თვითგამოვლენას ხედავს“ (ბრეგაძე 1979: 59). რაოდენ ახლობელია ეს ქართველისათვის: ორთოდოქსი ქრისტიანი პოეტი შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსნის“ შესავალს სწორედ ამ პრინციპით აგებს. აქედან, ბ. ბრეგაძისათვის გენეტიკურად ახლობელია იტალიელი მიქელანჯელოს მსოფლგანცდაც.

ლეონარდოს პროზა, კერძოდ, იგავები, რუსული თარგმნით გაიცნო ქართველმა მკითხველმა, მაგრამ მისი მიზანდასახულება მაინც ნათელი და გასაგებია. იგავს მიჩვეულია ქართველი მკითხველი. იგი კარგად ხედავს სათქმელის პირდაპირ თუ ალეგორიით გადმოცემის ოსტატობას. ალბათ, ამიტომ ჩვენი დაკვირვებაც ლეონარდო და ვინჩის ერთ შედეგზე, „ქალი ყარყუმით“, მისი იგავიდან მოვიდა. ყარყუმი უცნაური ცხოველია, ფერის ცვალებადობით ზამთარ-ზაფხულს და სისუფთავისმოყვარულობით. ამავდროულად უამრავ იგავსა თუ ზღაპარში, ლეგენდაში ფიგურირებს იგი, ხოლო მისი ძვირფასი ბენვი სამეფო სამოსელის განუყოფელი ნაწილია. ასე იყო ქართულ სინამდვილეშიც და იტალიურშიც. შ. რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი მეფე ქალი თინათინი, მასზე შეყვარებულ რაინდს, ავთანდილს პირველად სწორედ ამ ბენვში გამოხვეული მიიღებს. ლეონარდო და ვინჩის ნახატზე „ქალი ყარყუმით“, რომელიც არაერთგზის გამხდარა მკვლევართა ჩაღრმავება — დისკუსიის საგანი, ყარყუმი თითქოს შინაური ცხოველია, ქალზე შეჩვეული, მაგრამ თათებდაჭიმული გვერდით გამოხედვით. უმშვენიერესი ჩეჩილია გალერანის უნატიფესი თითები თითქოს ეალერსებიან კიდევაც მას, მაგრამ იგრძნობა ოდნავი ხელისმოჭერაც, რაც ქალის ძალაზე მიანიშნებს, იქნებ, ცხოველის შეკავების სურვილზე, თუმცა ეს მხოლოდ ხელია, მზერა კი შორეულია, განმარტოებული, უნაზესი და უობიექტო, მზერა ქალწულისა, რომელსაც აიძულებენ გახდეს მმართველის, ლოდოვიკო მოროს, დროებითი სატროფო. როგორც სტენდალი აღნიშნავს, შემონახული ყოფილა ლოდოვიკოსადმი მიწერილი ლეონარდოს ბარათის ასლის ფრაგმენტი, სადაც ის დაწვრილებით აღწერს ამ ქალის ღირსებებს“ (სტენდალი 2007: 25). თუმცა მოყვანილ სქოლიოში მხოლოდ ლეონარდოს გეგმებზეა საუბარი მოროს სამხედრო სტრატეგიისათვის. აშკარაა ლეონარდო შესანიშნავად იცნობდა ახალგაზრდა ქალის ბუნებას, რომლის დასახატადაც მიიწვია მმართველმა მხატვარი. სურათს ათარიღებენ 1483-1486 წლებით, ზოგან კი უფრო გვიანით — 1485-1490 წლებით. თუმცა არსებობს ერთი წერილი, რომელიც ჩეჩილიასათვის (უკვე გათხოვილი და შვილების პატრონი ქალისათვის) გაუგზავნია იზაბელა დე ესტეს 1498 წლის 29 აპრილს, თხოვნით, იქნებ დროებით

გამოეგზავნა მისთვის ლეონარდოს მიერ დახატული პორტრეტი, რათა შეედარებინა ჯოვანი ბელლინის ნამუშევრისათვის, ჩეჩილიას მიუწერია, რომ ლეონარდოს მიერ პორტრეტის დახატვის დროისათვის ის ძალიან ახალგაზრდა იყო და მისი იერი ახლა უკვე სრულებით შეიცვალა (per esser fatto esso ritrattion una etas m imperfeckta che io ho poi cambiata tutta quella effigie) ანუ ჩაირაო 15 წელმა. მკვლევარები არასწორად მიიჩნევენ ამ თარიღს (1483 წელს, როცა ის 10 წლისა იქნებოდაო), მაგრამ სტენდალი სწორედ ამ თარიღიდან იწყებს ათვლას 1486 წლამდე 1483 წელს ჩეჩილია დაუწინდავთ სტეფანი ვისკონტიზე, მაგრამ 1487 წელს ეს ნიშნობა ჩაშლილა და ჩეჩილია ნუოვოს მონასტერში განმარტოებულა. 1491 წლის 3 მაისს მას უკვე შესძენია ლოდოვიკოსაგან ვაჟი, ჩეზარე. ამ წელსვე ლოდოვიკო ქორწინდება დანიშნულზე ბეატრიჩე დე ესტეზე, ჩეჩილიას კი მიათხოვებენ ასაკოვან გაღარიბებულ გრაფს ლოდოვიკო დი ბრამბილას ბერგამინოს, რომელთანაც მას 4 შვილიც შეეძინა. გრაფის სიკვდილის შემდეგ ჩეჩილია მონასტერს მიაშურებს და იქვე გარდაიცვლება კიდევ.

ჩეჩილიას სიტყვებით, ეს პორტრეტი დაიხატა 15 წლის წინ ანუ 1498-15=1483 წელს. იქნებ ნიშნობის ჩაშლაც ლოდოვიკოს მის მიმართ აღძრულმა ვნებამ გამოიწვია?! ჩეჩილიას ახასიათებენ, როგორც განათლებულ ქალბატონს, რომელმაც იცოდა ლათინური, წერდა ლექსებს, იყო ევროპაში ერთი პირველი სალონის შესანიშნავი დიასახლისი და სულიერ სიახლოვეს გრძნობდა თავად ლეონარდოსთან. მატეო ბანდელომ მას თავისი XXII ნოველაც მიუძღვნა, სადაც უწოდა *Le nostre Muse*. ჩვენის აზრით, 1488 წელი უნდა იყოს სურათის შექმნის ათვლის თარიღი, დასრულება კი შეიძლება მომხდარიყო 1490 წლამდე. დასაბუთება ასეთია: ჩეჩილია უმანკო ქალწულია ლეონარდოს სურათზე, ამაზე ნათლად მეტყველებს მისი სახის იერი: უვნებო, ნათელი, წმინდა. ყარყუმი ლოდოვიკოს ალეგორიაა, ოღონდ „დაჭერილი“ თავად მშვენიერების ძალით, რაც ასე მეტყველად გამოხატა მისმა თანამედროვე პოეტმა ბერნარდო ბელლინჩიოლიმ. (სონეტი XV).

პოეტი მიმართავს ბუნებას, თუ რატომ შურს ვილაცის. ეს ვილაცა ლეონარდოა, რომელმაც უმშვენიერესი ჩეჩილია დახატა. ამავდროულად იგი აქებს მოროს, რომელმაც შეუკვეთა პორტრეტი, შემდგომ კი ლეონარდოს ტალანტს, რომელმაც შთამომავლობისათვის შემოინახა იგი.

ლეონარდოს იგავი ყარყუმზე მოგვითხრობს ცბიერი მელას მიერ ყარყუმის მიპატიჟებაზე, რაზედაც ყარყუმი თავაზიანად ამბობს უარს. მაგრამ ამასობაში მონადირენი თავს ესხმიან ორივეს. მელა სოროში შეხობდება, ყარყუმი — თოვლის ბუნაგში, რომელიც მალე დნება და მონადირენი იჭერენ მას. ლეგენდები ყარყუმზე არაა ორიგინალური, მსგავსი ფაბლიოები ცნობილი იყო საფრანგეთსა და იტალიაში, მაგრამ მელას შემოყვანა მეორე პერსონაჟად, მას სხვა სიუჟეტურ დატვირთვას სძენს. გარდა ამისა ლეონარდოს ჩანახატი — ესკიზი „*The ermine as symbol of purity*“ (1452-1513), რომელიც დაცულია in Fitzwilliam Museum, Cambridge, UK, იგივე პოზაში წარმოგვადგენს ყარყუმს: ერთი თათი შეკუმშულია, მეორე — მინაზე დაბჯენილი, ამჯერად მონადირისაკენ შებრუნებულად, ხოლო სახე მონადირისა რატომღაც ლოდოვიკო მოროს მიმსგავსებულია.

ქართულ და უცხოურ ლიტერატურაზე დაყრდნობით გამოყენებულია შედარებითი კვლევის მეთოდი.

იბადება ჰიპოთეზა:

იქნებ მართლაც ქალწული ჩეჩილია შეუყვარდა მოროს დაპყრობის ფინით. მის მოსახიბლად კი პორტრეტი ლეონარდოს შეუკვეთა. თუ ეს ასეა, მაშ გასაგებია ლეონარდოს ალეგორიული ყარყუმისეული პოზიციაც: სიკვდილი სჯობს სინმინდის დაკარგვას.

ლეონარდო და ვინჩის თანამედროვის ნოველისტ მატეო ბანდელლოს ნოველებში არაერთგზისაა ხაზგასმული სინმინდის ხელყოფის სისაძაგლე, ქალის სწრაფვა უმანკოების დაცვისაკენ. ერთი ნოველის პერსონაჟიც თავად ლეონარდოა.

იქნებ სათქმელი უნდა თქმულიყო მხატვრის ყალბით, მაგრამ ალეგორიულად?!

ლეონარდო და ვინჩის იგავების ჩვენეული შესწავლა მის შემოქმედებასთან კავშირში ბ. ბრეგადის „მიქელანჯელოს პოეზიამ“ განაპირობა ერთგვარად. ალბათ, საჭიროა კომპლექსურად იქნეს შესწავლილი ლეონარდო და ვინჩის მთელი ნააზრევი, რომელიც კიდევ ერთხელ გაგვიღებს ჯადოსნურ კარს მის სამყაროში.

აღნიშნული საკითხების შესწავლა წინამდებარე ნაშრომში, მიუხედავად, უამრავი სხვადასხვა სახის ფილოსოფიური, ხელოვნებათმცოდნეობითი გამოკვლევებისა, ვფიქრობთ, გამდიდრებას ამ ორი უდიდესი იტალიელის შესახებ არსებულ ლიტერატურას რამდენიმე შტრიხით მაინც, მათი მსოფლიო მნიშვნელობის დასტურად.

ლეონარდო და ვინჩის სურათის „ქალი ყარყუმით“ კვლევისათვის აუცილებელია ჯუზეპე ბელლინის მიერ შექმნილი ჩეჩილია გალერანის პორტრეტის მოძიება და მისი შედარება. ამავდროულად ჩაღრმავება ლეონარდო და ვინჩის ჩანაწერებსა და ჩეჩილია გალერანის, იზაბელა დ'ესტეს ბიოგრაფიებში. საკვლევია გზა, რომელიც გაიარა პორტრეტმა „ქალი ყარყუმით“ ჩეჩილიას მემკვიდრეებიდან ადამ ჩარტორიისკის ხელში მოხვედრამდე.

დამოწმებანი:

ბრეგადე 1979: ბრეგადე ბ. *„მიქელანჯელოს პოეზია“*. თბ.: „ნაკადული“, 1979.

გაფრინდაშვილი 1990: გაფრინდაშვილი ვ. *ლექსები პოემა, თარგმანები ესსეები, ნერილები მწერლის არქივიდან*. თბ.: „მერანი“, 1990.

გელოვანი 1980: გელოვანი ა. *მარად ცოცხალი ხელოვნება*. თბ.: „ხელოვნება“, 1980.

გ. ერისთავი 1936: ერისთავი გ. *თხზულებანი*. ტფ.: „ფედერაცია“, 1936.

ნადირაძე 1979: ნადირაძე კ. *ერთტომეული*. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1979.

სტენდალი 2007: სტენდალი. *ლეონარდო და ვინჩი*. თბ.: „პეგასი“, 2007.

ჯიბლაძე 1966: ჯიბლაძე გ. *რუსთაველის ესთეტიკური სამყარო*. თბ.: „განათლება“, 1966.

ხიდაშელი 1969: ხიდაშელი შ. *ესთეტიკური შეხედულებანი ქართულ ნეოპლატონიზმში*. // „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ნარკვევები“. თბ.: „მეცნიერება“, 1969.

MARIAM KARBELASHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

European Discourse of Vakhtang the Sixth, the Founder of Scientific Rustaveli Studies

Vakhtang the Sixth in 1712, with the critically identified text of “The Knight in the Panther’s Skin” and its commentaries – which, substantially, comprise the monograph in literary criticism – determined the main line of development of Rustaveli studies: this is the wide range of study of the poem, high scientific level and analytical method.

In Vakhtang’s interpretation the scientific level is determined by the specific terminology allowing distinguishing of general characteristic features of Rustaveli’s poem created by the genre historical development and at the same time, being the characteristic features of the European romance of chivalry (Chretien de Troyes, Wolfram von Eschenbach).

Key words: Rustaveli’s poem, romance of chivalry, fairy tale, imagination, educative.

მარიამ კარბელაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

მეცნიერული რუსთველოლოგიის ფუძემდებლის ვახტანგ მეექვსის ევროპული დისკურსი

ბაგრატიონთა დინასტიის სახელოვანმა წარმომადგენელმა ვახტანგ მეექვსემ 1712 წელს გამოცემული ვეფხისტყაოსნის კრიტიკულად დადგენილი ტექსტით და მისი „თარგმანით“ ანუ კომენტარით რუსთველოლოგიური მეცნიერების განვითარების მაგისტრალური გეზი ამ სამასი წლის წინ განსაზღვრა: ეს შოთა რუსთაველის პოემის კვლევის ევროპული ორიენტირია.

ვახტანგის „თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხის ტყაოსნისა, თქმული ბატონისშვილის გამგებელის პატრონის ვახტანგისა“ სერიოზული ლიტერატურათმცოდნეობითი მონოგრაფიაა, რომლის ღირსებას შეადგენს კვლევის ფართო სპექტრი, მაღალი მეცნიერული დონე და ანალიტიკური მეთოდი, რაც ხანგრძლივი დროის მანძილზე არ იყო აღქმული მისი ღირსების შესაბამისად. თითქოს საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ რუსთველოლოგიის ფუძემდებლის მიერ ამ სამი საუკუნის წინ შექმნილი ნაშრომის ჭეშმარიტი არსის შემეცნებას თანამედროვე ევროპული მედიევისტის მასშტაბი დასჭირდა, რადგან მხოლოდ ამგვარ კვლევათა ასპექტში ხდება შესაძლებელი ვახტანგის ნაშრომის რეალური რაობის გაცნობიერება, რომელიც არსებითად ევროპული ტიპის მეცნიერული აზროვნების იდენტურია, რაც ქართული ეროვნული მენტალიტეტისა და მასთან ერთად საღი აზრის საფუძველზე სავსებით ბუნებრივად, ყოველგვარი წინასწარი განზრახულობის გარეშე, ძალდაუტანებლად და თა-

ვისთავადაა წარმოშობილი. ვახტანგის „თარგმანი“ არის არა ცალკეულ (საერთო რაოდენობით 593) სტროფათათვის დართული შინაარსობრივი თუ ლექსიკოლოგიური სახის განკერძოებული, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი განმარტებანი, არამედ რუსთველოლოგიის ფუძემდებლის მიერ ვეფხისტყაოსნის შესახებ შემუშავებული მთლიანი კონცეფცია, რომელიც მიზეზ-შედეგობრივი წესით ლოგიკურად შეკრულ დისკურსს წარმოადგენს. ვახტანგის მეცნიერული აზროვნების დონეს და მისი ნაშრომის რეალურ ღირებულებას ვერ შევაფასებთ, თუ არ გავითვალისწინებთ მასში არსებულ იმ პროგრესულ ტენდენციებს, რომლებითაც იგი დღევანდელი ევროპული მედიევისტისტიკის მიღწევებს არა თუ ეხმიანება, არამედ — რაზომ საოცარიც უნდა ჩანდეს — წინ უსწრებს კიდევ, რაც გაზვიადება არ არის და ფაქტებით დასტურდება მის კომენტარებში. ვახტანგმა ვეფხისტყაოსნის კომენტირებისას თანდაყოლილი ნიჭიერებისა და უნიკალური ფართო განათლების წყალობით ბევრ ისეთ კარდინალურ საკითხს მიაგნო — და არა მხოლოდ მიაგნო, არამედ სწორადაც გადაჭრა, — რომელიც დღევანდელი დასავლური მედიევისტისტიკის უმნიშვნელოვანეს პრობლემათა რიგს განეკუთნება.

ვახტანგის „თარგმანში“ მეცნიერულ დონეს სპეციფიკური ტერმინოლოგია — მაგალითად, „ზღაპარი“, „ამბავიც თვითან გააკეთა“, „სასწავლოდ“ „საღვთოდ და საეროდ“, „ქრისტიანი ფილასოფოსი“, „თავის ფილასოფოსობასაც აჩენს“, „ფილასოფიურად ისწავლება“ — განსაზღვრავს, რომლის ექსპლიკაციის მეშვეობით დღეს შესაძლებელი ხდება რუსთაველის პოემის იმ ზოგად კონცეპტუალურ თავისებურებათა გამოყოფა, რომელიც რუსთაველის თანამედროვის, XII საუკუნის შესანიშნავი ფრანგი რომანისტის კრეტიენ დე ტრუას მიერ შექმნილ სარაინდო რომანის (*romance; romance of chivalry*) ჟანრსაც ახასიათებს, რაც ვეფხისტყაოსნისა და მისი თანადროული დასავლური სარაინდო რომანის საერთო გენეზისის მაჩვენებელია.

* * *

ვახტანგის „თარგმანის“ შეფასებისას ვეფხისტყაოსნის მკვლევარნი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ იმ ფაქტს, რომ რუსთაველის პოემის ორიგინალობის იდეა და დასაბუთება მეცნიერული რუსთველოლოგიის ფუძემდებელს ეკუთვნის; როგორც გაიოზ იმედაშვილი აღნიშნავს, ვახტანგმა შეძლო „გადაეჭრა ძირითადი საკითხები პოემის ორიგინალობისა“, „ვახტანგმა კატეგორიულად უარყო ვეფხისტყაოსნის სპარსულიდან წარმოშობილობა“ (იმედაშვილი 1941: 30, 31). ვახტანგის „თარგმანთან“ დაკავშირებით იგივე საკითხია აქცენტირებული ალექსანდრე ბარამიძის მიერ: „ვეფხისტყაოსნის ფაბულის უცხოური წარმოშობილობის თეორიას ვახტანგმა მეცნიერული საბუთიანობით გამოაცალა ყოველგვარი ნიადაგი. ესეც ვახტანგის ერთ-ერთი დიდი ისტორიული დამსახურებაა ქართული პოეზიის და მისი დიდების, რუსთაველის ვეფხისტყაოსნის წინაშე“ (ბარამიძე 1964: 36).

აქ წარმოდგენილი შეფასებები ეხება ვეფხისტყაოსნის ფართოდ ცნობილ მეცხრე სტროფს, რომელსაც გ. იმედაშვილმა „საბედისწერო სტროფი“ უწოდა, რადგან მისი საწყისი ფრაზა „ესე ამბავი სპარსული“ შემდეგი დროის — სახელდობრ, XX საუკუნის — მკვლევართათვის, „რომელიც პოემის სპარსულიდან თარგმნილობის თვალსაზრისს იცავდნენ, ფორმალურ საბუთად გადაიქცა“ (იმედაშვილი 1941: 66, 31; ხაზი ჩემია – მ.კ.):

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
 ვით მარგალიტი ობოლი, ხელით-ხელ საგოგმანები,
 ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები,
 ჩემმან ხელ-მქმნელმან და-ვე-მრთოს ლაღმან და ლამაზმან ნები“.

ვახტანგი ამ სტროფს ურთავს გარეგნულად მარტივი ნარატივის სახის, რეალურად კი ურთულესი დისკურსის შემცველ კომენტარს, რომელიც თანამედროვე მედიევისტის კონტექსტში სამ პრინციპულ პრობლემას ეხება: ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ორიგინალობას, სიტყვის პოეტიკას და ინდივიდუალურ მხატვრულ გამონაგონს.

სტროფის კომენტარია: **„ეს ამბავი სპარსში არ არის და სპარსთ კაი მელექსეობა იცოდნენ და თამარ მეფე კარგი და ძალიანი ხელმწიფე რომ იყო, ვითამ ეს მაზედ მოინდომა, ასეთი საქმე სხვაშიდ რატომ იყოსო, რომ ქართლშიაც არ იყოსო და უბრძანა მის მდივანს რუსთველს: ქართულის ენით კაი ლექსები თქვიო. ან იმას ამბობს, სპარსულის მიბაძვით რადგან ათქმევინა თამარ მეფემ, რომ სპარსთაგან ვსთარგმნეო, თვარამ სპარსშიდ ეს ამბავი არსად იპოება. ამბავიც თვითან გააკეთა და ლექსადაც. ამისთვის უბნობს, რომ სპარსის ლექსის ბაძზედ რომ სთქვა, სპარსული ამბავი ქართულად ვსთარგმნეო“** (ხაზი ჩემია — მ.კ.).

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ ვახტანგის ის ორი კომენტარი, რომელიც რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ორიგინალობის აღიარებული თეზაა: სტროფის პირველ ტაეპს ვახტანგი ურთავს კომენტარს: **„ეს ამბავი სპარსში არ არის“**, ხოლო მესამე ტაეპს — ანალოგიურ კომენტარს, რომელიც კიდევ უფრო განამტკიცებს პირველს: **„თვარამ სპარსშიდ ეს ამბავი არსად იპოება“**, რითაც სრული კატეგორიულობით არის დადასტურებული რეალური ფაქტი, რომ ვეფხისტყაოსნის მსგავსი რაიმე თხზულება სპარსულ ლიტერატურაში პრაქტიკულად არ არსებობს.

მეორე მნიშვნელოვანი ხასიათის კომენტარით ვახტანგი პრინციპულ საკითხს — სიტყვის პოეტიკის, რუსთაველის პოეტური ენის პრობლემას აყენებს, რათა განმარტოს, რას ნიშნავს **„ესე ამბავი სპარსული“**. როდესაც მეფე-მკვლევარი დარწმუნდა, რომ **„სპარსული“** გეოგრაფიული მნიშვნელობით არ არის მოხსენიებული, მან ეს სიტყვა, პოეზიის წესისამებრ, ტროპის მნიშვნელობით გაიაზრა. ვახტანგმა, თავად პოეტმა, შესანიშნავად იცის, რომ პოეტი სიტყვებს მათი პირდაპირი მნიშვნელობით კი არ იყენებს, არამედ **„მარაგით ზრახვით“**. სულხან-საბას განმარტებით **„მარაგით ზრახვა** არს სიტყუა ესრე გვართ სთქვა ადვილ საცნაური არ იყოს, ანუ ორ სამ რიგად გაისინჯოს“, რაც პოეზიისთვის იმანენტურ ტროპულ მეტყველებას ნიშნავს. ვახტანგმა **„ესე ამბავი სპარსულის“** განსამარტავად **„სპარსული“** სავსებით მართებულად ტროპის კატეგორიაში გადაიტანა და **„სპარსთ კაი მელექსეობის“** ესთეტიკური შინაარსით გაიაზრა: **„და სპარსთ კაი მელექსეობა იცოდნენ,... ამისთვის უბნობს, რომ სპარსის ლექსის ბაძზედ რომ სთქვა, სპარსული ამბავი ქართულად ვსთარგმნეო“**. ქართულ მწერლობაში **„სპარსულს“** არაერთი **„მარაგითზრახვითი“** მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მთავარი აქ ისაა, რომ ვახტანგმა შოთა რუსთაველის პოეტური ენის საკითხი წამოჭრა.

მესამე და ასევე სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობის კომენტარი გამოთქმულია სიტყვებით — **„ამბავიც თვითან გააკეთა და ლექსადაც“**.

ვახტანგისთვის ამ კომენტარის მნიშვნელობას მონიშნავს ფაქტი, რომ ანალოგიური განმარტება — „ლექსიცი იმას გაუკეთებია და ამბავიცა“ — უფრო ადრე ვეფხისტყაოსნის მეხუთე სტროფთან („მიბრძანეს მათად საქებრად“...) დაკავშირებით აქვს წარმოდგენილი. ერთი და იგივე კომენტარის სხვადასხვა სტროფებთან დაკავშირებით გამეორება ამჟღავნებს ვახტანგის ღრმა დაფიქრებას საკითხზე, თუ საიდან გაჩნდა ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი. ვახტანგისთვის პრაქტიკულად ცნობილია „ამბის“ ანუ სიუჟეტის არსებობის სამი წყარო: სპარსულიდან ნათარგმნი, „მართლის თქმა“ ანუ კონკრეტულ-ისტორიული სინამდვილე და „ზღაპრობა“, „ტყუილი“, ანუ გამონაგონი, შემოქმედის ფანტაზიით შექმნილი სინამდვილე. თუ გავითვალისწინებთ ვახტანგის ეპოქის ლიტერატურულ-თეორიულ შეხედულებებს, დაფუძნებულს „მართლის თქმის“ პრინციპზე, რომელიც გადაჭრით უარყოფს შემოქმედის ინდივიდუალურ მხატვრულ გამონაგონს, მაშინ ვახტანგის ლოგიკური დაკვნა, რომ რუსთაველმა ვეფხისტყაოსნის „ამბავიც თვითან გააკეთა“, ე.ი. თვითონ გამოიგონა, თავისი პროგრესულობით ნამდვილი აღმოჩენის ტოლფასია, მით უმეტეს, რომ ვახტანგი „ამბის გაკეთებას“ ანუ მხატვრულ წარმოსახვით შექმნილ სინამდვილეს მწერლის დიდ ღირსებად თვლის, რაც მის პოეტურ შემოქმედებაშიც აისახა:

„ლექსი მას უქეთ, ვინც იყოს ამბისაც თვითვე მთქმელები“.
(სიბრძნე მალალობელი, 810,1)

ცხადია, ვახტანგს შესანიშნავად ჰქონდა გააზრებული შემოქმედის ფანტაზიით შექმნილი მხატვრული სინამდვილის, ფიქციის მნიშვნელობა, როგორც მხატვრული შემოქმედების განვითარების მაგისტრალური გზისა. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ისე გამოდის, რომ ვახტანგმა ინდივიდუალური ფანტაზიით შექმნილი მხატვრული სინამდვილის, მხატვრული გამონაგონის, ფიქციის მიმართ თავისი პოზიციით მხატვრული ლიტერატურის განვითარების ევროპულ გზას მიანიჭა უპირატესობა. ვახტანგმა გაუსწრო თავის დროს.

* * *

შოთა რუსთაველის თანამედროვე ფრანგი პოეტი კრეტიენ დე ტრუა ხუთი სარაინდო რომანის ავტორია, რომელნიც ე.წ. არტურის ციკლის რომანებს განეკუთნებიან. ხუთივე რომანის ერთმანეთისგან განსხვავებული სიუჟეტები მათი ავტორის მხატვრული გამონაგონის ნაყოფია — აღიარებული ფაქტია, რომ სარაინდო რომანი, შუა საუკუნეების ესოდენ პოპულარული ჟანრი დასავლეთ ევროპაში, კრეტიენმა შექმნა.

1957 წელს ნიუ-იორკში გამოქვეყნდა ე. ე. გაიერის (უყერ) ნაშრომი „კრეტიენ დე ტრუა — თანამედროვე რომანის (ნოველ) გამომგონებელი“ (გაიერი 1957). კრეტიენს თანამედროვე რომანის გამომგონებლის, თანამედროვე რომანის მამამთავრად აღიარების პატივი ლიტერატურაში მხატვრული გამონაგონის, ფიქციის შემოტანის გამო ერგო: „პირველი გალექსილი რომანი — წერს ე. გაიერი — წარმოადგენს ამბებს გმირ რაინდებზე, რომელნიც დაკავშირებულნი იყვნენ მეფე არტურის კართან. ეს პირველი სარაინდო რომანები დაწერილია უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ავტორის მიერ, რადგან ის თანამედროვე რომანის (ნოველ) გამომგონებელია. მისი სახელია კრეტიენ დე ტრუა და იგი ცხოვრობდა საფრან-

გეთში XII საუკუნეში“. ე. გაიერის მოსაზრების თანახმად, კრეტიენის რომანები ხუთი საუკუნით უსწრებენ წინ ფიქციურ, მწერლის მიერ ინდივიდუალური მხატვრული ფანტაზიით შექმნილ თხზულებებს. რომანი მხატვრული გამონაგონის გაგებით მხოლოდ ევროპული ტიპის მხატვრული შემოქმედების სპეფიციკაა, მხოლოდ იქ განვითარდა საუკუნეთა მანძილზე და წამყვანი ჟანრის ადგილი დაიკავა.

მხატვრული გამონაგონის, ფიქციის განსაკუთრებული მნიშვნელობა XII საუკუნის სარაინდო რომანის შექმნაში ვახტანგმა ორსაუკუნენახევრით უფრო ადრე აღნიშნა, ვიდრე დასავლურმა მედიევისტისტიკამ.

* * *

ვეფხისტყაოსანის სიუჟეტის ფოლკლორული პირველსაფუძვლის მიკვლევა ვახტანგის ერთ-ერთი უდიდესი დამსახურებაა — პირველმა მან დაუკავშირა ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი ზღაპარს.

ამის თაობაზე ალ. ბარამიძე წერდა: „ვახტანგის „თარგმანის მიხედვით ვეფხისტყაოსანი ზღაპრულ თემატიკაზე აგებული საერო-მხატვრული ნაწარმოებია, რომელიც გვასწავლის მაღალ ზნეობას“; „თავისი პირდაპირი შინაარსით პოემა „სოფლიო ზღაპარია“, მაგრამ ამ „სოფლიო ზღაპარში“ ჩაქსოვილია სამღვთო და საერო სწავლანი“ (ბარამიძე 1964: 30-31).

ზოგადად „ზღაპარი“ ან თუნდაც „სოფლიო ზღაპარი“ ფართო მნიშვნელობის მქონე ტერმინია — იგი ფოლკლორის ერთ-ერთი მთავარი ჟანრია; ზღაპარი, როგორც ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინი, ხალხური ზეპირი შემოქმედების სხვადასხვა სახეობას მოიცავს, რომელნიც ერთმანეთისგან სპეციფიკური თავისებურებებით განსხვავდებიან; ამის გამო პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას, თუ ზღაპრის რომელ კონკრეტულ სახეობას უნდა გულისხმობდეს ვახტანგი.

რადგან დასავლეთ ევროპის საერო ლიტერატურის ჩამოყალიბებაში ზღაპრის გარკვეულ სახეობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ქვემოთ მოვიყვან ვახტანგის „თარგმანიდან“ იმ კომანტარებს, რომლებშიც ზღაპარი იხსენიება, რათა დავაზუსტოთ, ფოლკლორული ზღაპრის ჟანრის რომელ სახეობას ეხება: „სჭირს რუსთველის ლექსსა სამი ესე საქმენი, სამზედ უბნობს: ერთს სამღვთოდ, მეორეს — საცოლქრმოდ, მესამედ — რასაც ზღაპრის მიზეზზედ ეს ლექსები უთქვამს“ (გ-3); „იმ თავის მოგონილის ზღაპრის ტარიელისას და ავთანდილისას უბნობს. იმათს ქებაზე შევეწიოო, რომ ტურფად სახსენებელნი არიანო“ (ვ-6); „ტარიელისთვის ამას ამბობს: მოდით, დავსხდეთ, ტარიელისთვის ვისაც ცრემლი შეუშრობლად გვდის, რომ ამას იქით დაბადებული იმისთანა ვინ ყოფილა! ამას ამისთჳს ამბობს, იმ ამბავს ზღაპრად ხდის: არც დაბადებულან და არც ვის დაბადებულს იმას უდრის, თვარა დიამც გმირები იმათთანა არ ყოფილიყოს! თვარა იმის აქეთ რამდენი წმინდა კაცნი დაბადებულან, იმათ როგორ აჯობინებდა: მაგრამ უბნობს, ზღაპარია, არა იყვნენ რაო. მე, რუსთველმან გავლექსე ამთენის ტყუილის თქმისათვის ლახვარ გულდასობილმა“ (ზ-7); „ან ვერც მართლა ამ ზღაპრის თქმას მართლა თამარ მეფეს ადებს, რომე ბატონისათვის ვერ უკადრებია... რომე ამაზედ არ შემინყალა, რომე ღვთის ქების თქმა არ მიბრძანა და ზღაპარს მალექსებსო“ (კვ-26); „იმ ზღაპრის თქმას მეფეს აბრალებს და თვითან კიდემ სამღვთოს მოჰყუა და უბნობს: „ვთქვა მიჯნურობა პირველი“, ვითამ თუ პირველ სასუფევლის

მიჯნურობა, და უბნობს: ჯერ ისი ვთქვაო და მერმე ზღაპარიო“ (კზ-27); „ახლა კიდევ ეს ამბები გაათავა და თავის ზღაპრის გალექსვას მოჰყვა“ (ლა 31); „რადგან სამღვთო, ნახა, რომ არავინ კითხულობდა, სოფლიოს ზღაპარს უფრო ნაიკითხავდენ, სოფლიო ზღაპარი მოიგონა, მაგრამ ასეთი ზღაპარი არ უთქვამს, რომ საცოდავი იყოს: ხელმწიფენი უშვილონი იყვნენო და თვითო ქალის მეტი არა ჰყვანდათ რაო და იმათმა უფროსის ყმის შვილებმან ისინი ქვეყნის ბელმწიფობის გულისათვის ცოლად მოინდომესო, რომ არც ქვეყანა ნახდესო და არც მეფობა მოიშალოსო. და იმ ქალებმა თითო სამსახური დაადებინა, რომ თუ ხელმწიფობას ღირსაო, გამოაცდევინა, და ამ სამსახურზედ დიდროანი სახელი აქნევინა, რომ ქალებს მოანდომა“ (ლბ-32); „თვითონვე როგორ ზღაპრად ხდის თავის ნათქვამს! ჯერეთ იმისი მგზავსი შვენებით უნახავი არისო. უნახავიც არის და არცა რა იყო“ (სბ-202); „ესეები ამ ზღაპრის მიზეზით კაცის სასწავლოდ უთქუამს“ (ფლბ — 532); „ამას ახლა თვითან რუსთველი ამბობს: ღმერთო ყოვლის მფლობელო, გეხვეწები, შენ რომ ზეციერი მიჯნურობა დაბადე, შენ რომ იმის წესს აწესებ, მე ამ სოფლიოს ზღაპრობამ საუკეთესოს მზეს — სასუფეველს — მომაშორვაო, და ახლა ამას ეხვეწება: ამ ზღაპრობის თქმით იმ სასუფეველის სიყუარულს ნუ აღმოფხვრიო“ (შ—800); „ახლა ისევ ზღაპარს მოჰყვა: ახლა ავთანდილს აჩივლებს ცოლს სიყვარულობას“ (ყდბ—824); „მართლა ფიცავს, ზეითაც დამინერია: იმათთანა არა შობილა რაო; დიალ ხშირად ხდის ამ თავის წიგნს ზღაპრად“ (უკდ — 862).

სპეციფიკური გამოთქმები — „არცა რა იყო“, „არა იყვნენ რაო“ ფოლკლორული ჯადოსნური ზღაპრის საწყისი ფორმულის — „იყო და არა იყო რა“ — ანალოგიურია, ხოლო ისეთი მახასიათებელი სიტყვები, როგორებიცაა „მოგონილი“, „ტყუილი“, „უნახავი“, ემთხვევა ზღაპრის სულხან-საბასეულ ტერმინოლოგიურ განსაზღვრებას: „ზღაპარი ... არს მოგონებულ ტყუილი ამბავად შემჭევრებული და არა ქმნილი მყოფობით“.

ვახტანგს მხედველობაში რომ ფოლკლორული ჯადოსნური ზღაპარი აქვს, მოწმობს ის კომენტარი, რომელიც ვეფხისტყაოსნის ამბის საწყის სტროფს — „იყო არაბეთს როსტევან“ — დაურთო და ჯადოსნური ზღაპრის ფაბულის გადმოცემას წარმოადგენს. ერთი სტროფის (121 — „ავთანდილს მიხვდა“) კომენტარში ნათლად ჩანს, რომ ვახტანგი ზღაპრის მოუხსენებლად ჯადოსნური ზღაპრის Happy end-ს გულისხმობს: „იმ ქალის შოვნით მეფობას იშოვნოდა და ხელმწიფის შვილს ცოლად შერთევდა“.

კლასიკური გამოკვლევების „ზღაპრის მორფოლოგიის“ ავტორმა ვ. ი. პროპმა სარაინდო რომანის კომპოზიცია ჯადოსნური ზღაპრის სტრუქტურას დაუკავშირა: ზღაპრის „...აღნაგობას ამჟღავნებს, მაგალითად, ზოგიერთი სარაინდო რომანი, ეს კი, ალბათ, ის სფეროა, რომელიც თვითონ მომდინარეობს ზღაპრიდან“ (პროპი 1984: 143).

ამრიგად, ის „სოფლიო ზღაპარი“, რომელსაც ვახტანგმა ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი დაუკავშირა, კონკრეტულად ჯადოსნური ზღაპარია.

* * *

შუა საუკუნეთა ფრანგული სარაინდო რომანის ცნობილმა მკვლევარმა გასტონ პარიმ 1905 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში დასავლური სარაინდო რომანის მაგისტრალური სიუჟეტი ასევე ჯადოსნურ ზღაპარს დაუკავ-

შირა იმ ზოგადი სქემის მოხაზვით, რომელიც ამ ჟანრის რომანებს უძევს საფუძვლად: ახალგაზრდა და უცნობი რაინდი „მიდის არტურის კარზე სწორედ მაშინ, როდესაც ყველას ყურადღება რაღაც თავგადასავლისკენაა მიპყრობილი; იგი მაშინვე ერთვება ამ ავანტიურაში, რომელიც ყველას უიმედო და განწირული ჰგონია. იგი მიატოვებს სამეფო კარს, ერთი მეორის მიყოლებით ჩადის საგმირო საქმეებს, გადალახავს მრავალ წინააღმდეგობას და ბოლოს ცოლად ირთავს ქალწულს, რომელიც ერთ-ერთ თავგადასავალში იყო გაბმული და ჯილდოდ იღებს სამეფოს“ (პარი 1905: 104). XX საუკუნის შუა წლებში სავსებით იყო გაზიარებული აზრი, რომ კრეტიენ დე ტრუას მიერ შექმნილი ჟანრის — არტურის ციკლის სარაინდო რომანების — სიუჟეტის საფუძველი უძველესი კელტური და ბრეტონული მითოლოგიურ-ფოლკლორული გადმოცემებია (ლუმისი 1963).

ამრიგად, როგორც ვეფხისტყაოსნის, — ისე დასავლეთ ევროპული სარაინდო რომანის — სიუჟეტის საფუძველს ფოლკლორული ჯადოსნური ზღაპარი წარმოადგენს, მაგრამ ვახტანგმა ეს ორი საუკუნით ადრე — 1712 წელს თქვა.

* * *

ვახტანგმა რუსთველოლოგიური მეცნიერების დასაბამითვე აქცენტი იმაზე გააკეთა, რომ ვეფხისტყაოსანი რუსთაველს „კაცის სასწავლოდ უთქვამს“, რომ მას „ყოვლი რიგები უსწავლებია“ ანუ ვეფხისტყაოსანი, სხვა ღირსებებთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, აღმზრდელობითი ნაწარმოებია, რასაც თავის კომენტარებში გამუდმებით უსვამს ხაზს: „ტარიელი და ავთანდილი ამბავად უთქვამს, თვარა მოყურობასა და ყოველს სასწავლოს ისწავლება. ეს საღვთოდაც ითარგმნება და საერთოდაც ასრე არის“ (693).

ამ საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი საყურადღებო ფაქტი: ალექსანდრ მიშამ, გამოჩენილმა ფრანგმა მედიევისტმა, 1951 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „დე ტრუას პერსევალი (აღმზრდელობითი რომანი)“ (მიშა 1951). ეს ფაქტი იმითაა აღსანიშნავი, რომ ხანგრძლივი დროის მანძილზე სარაინდო რომანს გასართობ, სათავგადასავლო თავშესაქცევ საკითხავად თვლიდნენ; მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევარში მიიჩნიეს იგი აღმზრდელობით რომანად და დიდაქტიკურ ლიტერატურას მიაკუთვნეს, მსგავსად რაბლესა და რუსოს დიადი ქმნილებებისა. უნდა ითქვას, რომ ა. მიშა ამ ნაშრომში საკმაოდ შეზღუდულად განმარტავს რომანის აღმზრდელობით მნიშვნელობას და მის დანიშნულებას მხოლოდ კურტუაზიული რაინდის აღზრდით შემოსაზღვრავს.

* * *

მსოფლიოში არც თუ ბევრია ამა თუ იმ მეცნიერების ისეთი დარგი, რომელსაც სამასწლოვანი ისტორია აქვს. ვახტანგის ფუნდამენტური ნაშრომი ვეფხისტყაოსნის შესახებ სრულიად ცხადად, დოკუმენტურად მოწმობს, რომ ის უმნიშვნელოვანესი დასკვნები, რომელნიც სარაინდო რომანის შესახებ დასავლელმა მედიევისტებმა XX საუკუნეში გამოიტანეს, ვახტანგს 1712 წელს შექმნილ მონოგრაფიაში უკვე საფუძვლიანად გააზრებული და დასაბუთებული ჰქონდა, როგორც ვეფხისტყაოსნის იმანენტური არსებითი ნიშნები. სარაინდო რომანი მხოლოდ და მხოლოდ ევროპული კულტურის კუთვნილებაა, კრეტიენ დე ტრუას და რუსთაველის ვეფხისტყაოსანს საერთო გენეზისი აქვთ.

ვახტანგის „თარგმანი“ ვეფხისტყაოსნისა ქართული ფილოლოგიური აზრის რეტროსპექტივის კუთვნილება კი არ არის, არამედ თავისი პროგრესული ტენდენციებით მთლიანად მომავლისკენაა მიმართული და მისი მართებული შეფასება მხოლოდ ლიტერატურათმცოდნეობის განვითარების პერსპექტივას ეკუთვნის. ვახტანგის რუსთველოლოგიური დისკურსი თავიდან ბოლომდე ევროპულია და სრული უეჭველობით ცხადყოფს, რომ რუსთაველის ვეფხისტყაოსანი ევროპული ტიპის სულიერი კულტურის ნაყოფია.

ვეფხისტყაოსნის ორიენტალიზაციის ყოვლად კონტრპროდუქტიული თეორიის ფონზე, რომელიც XIX საუკუნის ბოლო ათწლეულიდან მოყოლებული მთელი XX საუკუნის მანძილზე ბობოქრობდა, წინასწარმეტყველურად ჟღერს მეცნიერული რუსთველოლოგიის ბრწყინვალე ფუძემდებლის ვახტანგ მეფის მიერ „თარგმანის“ შესავალში თქმული სიტყვები: „გზა და რიგი გამირკვევია. ვისცა თარგმანი გინდათ, ასეა ამის თარგმანი და ან თქვენ ამ გზით თარგმნიდეთ“.

დამონებიანი:

ბარამიძე 1964: ბარამიძე ა. ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი. გამოცემის 250 წლისთავის გამო. // ბარამიძე ა. ნარკვევები ქართული ლიტერატურისა ისტორიიდან. IV. თბ.: „მეცნიერება“, 1964.

გაიერი 1957: Guyer E.E. Chretien de troyes – Inventor of the Modern Novel. New-York: 1957.

იმედაშვილი 1941: იმედაშვილი გ. რუსთველოლოგია. ისტორიულ-კრიტიკული მიმოხილვა. თბ.: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1941.

ლუმისი 1963: The Development of Arthurian Romance. Roger Sherman Loomis. London: Hutchinson University Library, 1963.

მიშა 1951: Misha A. Le Perceval de Troyes (Roman éducatif) // Lummiere du Graal. Paris: 1951.

პარი 1905: Paris G. La littérature française au Moyen Age. Paris: 1905).

პროპი 1984: პროპი ვ. ზღაპრის მორფოლოგია. თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო მ. კარბელაშვილმა. თბ.: „მეცნიერება“, 1984.

MANANA KVATAIA

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgian Paradigms of Medieval European Cultural and Historical Space

Georgian cultural and historical space has been evolved in close connection with the world's greatest civilizations and in parallel with them since ancient times. From the view point of seeking the roots of Georgian national identity and, at the same time, typological coincidence or difference with other cultures, the opinions expressed by a well-known Georgian scholar Victor Nozadze deserve attention. Of his multifaceted scholarly heritage we would like to single out parallels done by him regarding the medieval European-Georgian cultural and historical space.

Key words: Europe, Medieval, Georgia, parallel, space.

მანანა კვატანია

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

შუა საუკუნეების ევროპული კულტურულ-ისტორიული სივრცის ქართული პარალელები

თანამედროვე სამყაროში „კულტურათა თანხვედრის“ პარადიგმის გვერდით „კულტურათა დაპირისპირების“ ფაქტორიც აქტუალურია. თავის მხრივ, „კულტურა, ანუ „მეორე ბუნება“, უმეტესწილად, თუ სრულად არა, სწორედ გარემომცველ სინამდვილესთან შეჯახებისას „ინდივიდუალურ სამყაროებში“ აღძრულ წარმოსახვით ფენომენტთა რეალობაში „გადმოძინების“ შედეგია“ (მჭედლიშვილი 2008: 258).

კულტურა, ამავე დროს, ერის მარკერია. მერაბ მამარდაშვილი წერს: „რაც ერს ემართება, იმის ინტეგრალია, რასაც თითოეული ჩვენგანი თავის თავზე იღებს. ყველაფერი, რაც ხდება. ჩვენი სულის დონის მიხედვით, გათანასწორების წერტილის კანონის მიხედვით დგინდება“.

„ადამიანურ სამყაროთა“ შეჭიდება დასაბამისმიერი, ანუ „კულტურამდელი“ მოვლენაა. ცნობიერებაში ღრმად ჩამჯდარი უნივერსალური მენტალური წარმონაქმნი — სიმბოლო ყოველთვის ორმაგი ბუნებისაა. გარე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან რეალობასთან „ადექვატურ მორგებას“ ადამიანი ისევ შიდა უნარით, წარმოსახვით ცდილობს. წარმოსახვის, ან ფანტაზიის ნაყოფი კი სიმბოლო ან მეტაფორაა. „თუ სამყაროსა და ადამიანის ჭეშმარიტი არსის საბოლოო ამოცნობის სწორხაზოვან გეზს მივყვებით, მაშინ მართლაც მხოლოდ განუსაზღვრელობის, წამხედური ფარდობითობისა და განხვევის „ჯოჯოხეთური განმეორებადობის“ ველში დავრჩებით“ (მჭედლიშვილი 2008: 260). კაცობრიობის მეხსიერებაც და ყოველდღიური რეალობაც ამგვარ თანხვედრათა მრავალ მაგალითს გვთავაზობს. მათ ტიპოლოგიურ ანალიზს საყურადღებო დასკვნებამდე მივყავართ.

საქართველოს კულტურულ-ისტორიული სივრცე ოდითგანვე მსოფლიოს უდიდეს ცივილიზაციებთან მჭიდრო კავშირსა და მათ პარალელურად ვითარდებოდა. ქართული ეროვნული იდენტობის ფესვებისა და, ამავე დროს, სხვა კულტურებთან ტიპოლოგიური თანხვედრისა თუ განსხვავების ძიების თვალსაზრისით გამორჩეულია ემიგრაციაში მოღვაწე ცნობილი მკვლევრის ვიქტორ ნოზაძის ნააზრევი. მისი მრავალმხრივი, ვრცელი სამეცნიერო მემკვიდრეობიდან გამოვყოფთ შუა საუკუნეების ევროპულ-ქართული კულტურულ-ისტორიული სივრცის მისეულ პარალელებს.

ბუენოს-აირესში გამომავალ ჟურნალ „მამულში“ ქართველ სწავლულს 1951 წელს გამოუქვეყნებია სტატია „საქართველო და ევროპა“, სადაც ხაზგასმულია: საქართველო ოდითგანვე, ერთიანი სახელმწიფო იყო ის, თუ სხვადასხვა სამთავროებად დაქსაქსული, „სრული თავისი წადილითა და გონით ევროპისაკენ მიისწრაფოდა“. ნოზაძის აზრით, ამის გამომწვევი ბიძგები შემდეგია: 1. რასიული ნათესავობა, რომელსაც ქართველობა არა მარტო გრძნობითი მიდრეკილებით ააშკარავებდა, არამედ გონებრივადაც; 2. ევროპასთან სულიერი ერთობა, რომელიც აღმოცენებული იყო ჰელენისტურ საერთო საფუძველზე; 3. ევროპასთან ცნობილი კულტურის შემოქმედებითი სივრცე ხელოვნების დარგში; 4. სარწმუნოების ერთობა

— ქრისტიანობა, რომელიც საქართველოს აზიისაგან მიჯნავდა და ევროპასთან მჭიდროდ აკავშირებდა; 5. საქართველოს, თუ მის სამეფოთა თავდაცვის ალლო, ევროპის შემწეობის ძიების გზით.

სტატიის მიხედვით, ევროპასთან თავის ნათესაობას ქართველობა იმით ასაბუთებდა, რომ ესპანეთისა და კავკასიის იბერიელთა ერთ წარმოშობას ვარაუდობდა. ვიქტორ ნოზაძე იხსენებს მე-12 საუკუნეში იოანე ათონელის განზრახვას, გამგზავრებულიყო ესპანეთში, რათა ქართველთა და დასავლეთ ევროპელ იბერიელთა ნათესაობა გამოეკვლია და შეენახა. თუმცა, მეცნიერის აზრით, ამ ვარაუდის დასაბუთების გარეშეც ეს სულიერი ერთობა მჟღავნდება იმ მკვიდრი ისტორიული ურთიერთობით, ევროპას საქართველოსთან რომ ჰქონდა.

ამ მოსაზრების დასადასტურებლად სტატიაში მრავალი მაგალითია მოხმობილი. ნოზაძე თვლის, რომ ადრინდელი ევროპა, წარმოდგენილი რომის იმპერიის სახით, ქართველ ერთან მჭიდრო ურთიერთობაში იყო პომპეუსის დროიდან (106-48). აღმოსავლეთში რომის შემცვლელ და მემკვიდრე ბიზანტიასთან ეს კავშირი კიდევ უფრო ინტენსიური გახდა.

სტატიის ავტორი იხსენებს თამარ მეფის მამის, გიორგი მესამის (1056-1084) ურთიერთობას გერმანიასა და იტალიასთან (რომის პაპთან). ნოზაძის თქმით, ბიზანტიის ცხოვრებაში საქართველოს თავისი სიტყვა და საქმე ჰქონდა. ამის დასტურია ქორწინებითი ნათესაობა ქართველ და ბიზანტიელ მეფეთა და მთავართა, თორნიკე ერისთავის მოღვაწეობა, თამარ მეფის მონაწილეობა ტრაპიზონის იმპერიის შექმნაში და სხვ. უფრო ნაკლებად ცნობილია თამარ მეფის ურთიერთობა ევროპის ქვეყნებთან (ბულგარეთი, ვენეცია, რომი). ალენის „ქართველი ხალხის ისტორიაზე“ დაყრდნობით ვიქტორ ნოზაძე წერს, რომ თამარი შეწირულობებს უგზავნიდა კუნძულ კვიპროსისა და საფრანგეთის ეკლესიებს. მის შემდეგ კი ევროპასთან ურთიერთობა განაგრძეს თამარის შვილებმა ლაშა გიორგიმ და რუსუდანმა.

ნოზაძის ცნობით, ჯვაროსანთა ომების დროს ლაშა გიორგის (1213-1223) დესპანებს ეგვიპტის ქალაქ დამიეტაში ევროპელი ჯვაროსნები მოუნახულებიათ და ქართველთა მეფის დახმარება აღუთქვამთ, თუმცა მონღოლთა შემოსევას და თვით ლაშა გიორგის გარდაცვალებას ეს გეგმა ჩაუშლია. თამარ მეფის ქალიშვილს, რუსუდანს (1223-1247) რომის პაპის, ჰონორიუსისათვის 1224 წელს ამის შესახებ მიუწერია, რაზეც პაპს პასუხი გამოუგზავნია. ვ. ნოზაძის მითითებით, ამ მიწერ-მონერადან მხოლოდ რამდენიმე დოკუმენტია ცნობილი.

წერილში მოხსენიებულია რომის პაპის, იოანე XXII-ის 1321 წლის წერილი გიორგი ბრწყინვალისადმი (1318-1346) ქართული და რომაული ეკლესიების გაერთიანების თაობაზე. ნოზაძის დაკვირვებით, კონსტანტინოპოლის დამხობის შემდეგ ისლამურმა საფრთხემ რომის ეკლესიასთან კონტაქტების ძიების ინტენსივობა დააჩქარა: „ეს ის ხანა იყო, როდესაც თვით ევროპა ქართველ მეფეებს მუსულმან თურქთა წინააღმდეგ დახმარებას სთხოვდა“ (მამული 1951: 101).

მკვლევარი შემდეგ საუკუნეებსაც იხსენებს, როცა უკვე ქართველი მეფეები ითხოვენ დახმარებას ევროპისაგან (ქართლის მეფის ლუარსაბ პირველის მიწერ-მონერა პაპ პავლე მესამესთან (1534--1549) და ევროპის სახელმწიფოებთან). შაჰ-აბასის სიკვდილის შემდეგ (1628-1629 წლები) თეიმურაზ პირველმა, რომელმაც ქართლ-კახეთის სამეფო გააერთიანა,

მოკავშირეთა მოსაძებნად ევროპაში თავისი ელჩი წარგზავნა. ვ. ნოზაძის ინფორმაციით, ეს უკანასკნელი 1625 წელს შეხვედრია პაპ ურბან მერვეს, ასევე, გერმანიის კაიზერს, ესპანეთის მეფეს, ფლორენციის მთავარს და პოლონეთის მეფეს. ქართველი ელჩი ყველგან მუსულმანთა წინააღმდეგ დახმარებას ითხოვდა. თავის მხრივ, ვენეციისა და სხვა ქვეყნების ელჩები თურქთა წინააღმდეგ მოკავშირეებს ეძებდნენ საქართველოსა და სპარსეთში.

ვიქტორ ნოზაძე განსაკუთრებით გამოყოფს ქართლის მეფის, ვახტანგ მეხუთე შაჰნავაზის (1658-1675) მცდელობას. იგი საკითხს ეკონომიკური თვალსაზრისით მიუდგა და ევროპულ სახელმწიფოებს ინდოეთისაკენ გამავალი გზა შესთავაზა. სტატიაში მოხსენიებულია ასევე ქართლის მეფე ვახტანგ VI (1702-1724), რომელმაც ევროპაში სულხან-საბა ორბელიანი წარგზავნა. ქართველმა ელჩმა ვერსალის სასახლეში ინახულა ლუი მე-14, რომის პაპი და სხვანი.

სტატიაში ხაზგასმულია გამორჩეული ღვაწლი ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე II-ისა, რომელსაც, ვ. ნოზაძის თქმით, ქვეყნის ევროპულად გარდაქმნა უცდია. 1781-1782 წლებში მას მიუმართავს ვენაში იმპერატორისადმი, პარიზში საფრანგეთის მეფისადმი, სარდინიის, ნეაპოლის, ვენეციის მთავრობებისადმი, რომელთაც იგი ან ჯარით, ან ფულით შემწეობას სთხოვდა და, თავის მხრივ, თურქეთისა და სპარსეთის წინააღმდეგ მოქმედებას აღუთქვამდა. „ოთხი საუკუნის განმავლობაში საქართველოს სამეფონი თავისი თავისუფლების დაცვისათვის და ევროპასთან გადაბმულობისათვის იღვწოდნენ“ (მამული 1951: 102), — წერს ვიქტორ ნოზაძე. მისი დასკვნით, თურქების დაპყრობათა შედეგად საქართველო სავსებით მოსწყდა ევროპას, მაჰმადიანურ რკალში ჩაიკეტა და ევროპასთან მისვლის ყოველი ცდა ამაო შეიქმნა.

ვიქტორ ნოზაძის განსაკუთრებული კვლევის საგანია XI-XII საუკუნეები. აღნიშნულ ეპოქას მკვლევარი სიღრმისეულად სწავლობს, საფუძვლიანად აანალიზებს მის გამორჩეულ ფენომენს ევროპასა და საქართველოში. იმდროინდელ ცივილიზაციაზე მსჯელობისას „ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველებაში“ ნოზაძე იმონებებს ცნობილი მეცნიერის ბედიეს სიტყვებს: „მეთორმეტე საუკუნის სასწაული. რაში გამოიხატება ეს სასწაული? მეთორმეტე საუკუნემ მონახა ის ფორმულა, რომელიც დღემდე არსებობს ევროპაში, გადადის სხვა დანარჩენ ხმელეთზე და ვითარდება; ეს არის ერთიანობა კულტურათა სხვადასხვაობის ნიადაგზე — კულტურა ინტერნაციონალურია ნაციონალურ კულტურათა ერთიანობით, გაერთიანებით — ესაა მოვლენა, რის განსხეულება და განამდვილება შესაძლებელი გახდა რომის იმპერიის ხანის ერთიანი კულტურის მოშლის შემდეგ“ (ნოზაძე 1976: 62).

მკვლევარი აღტაცებულია მეთორმეტე საუკუნის ევროპული რეალობით: რენესანსი ფილოსოფიაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში, დიდგვაროვნები მწერლობას მფარველობდნენ და ა.შ. შესაბამისად, ვ. ნოზაძის დასკვნით, „წარმოიშვა დიდი ცივილიზაცია, რომელიც მხოლოდ მაშინ იბადება, როდესაც მოქმედება და აზროვნება გაერთიანებული-შეზავებულ ერთ კაცობრივ იდეალს ქმნის, რაც არ არის ერთიანობა, სინთეზი ორივე მისწრაფებისა და რაც სრული პიროვნულობით, პერსონალურობით გამოიხატება. მეთორმეტე საუკუნემ მოგვცა ეს საბოლოო სინთეზი და ამიტომ იგი არის ევროპის ისტორიის ყველაზე უფრო დიდ ხანათაგანი“ (იქვე, 63).

ქართველი მკვლევარი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მამაკაცის გვერდით და პარალელურად მეთორმეტე საუკუნემ ხელი შეუწყო გამოსახულიყო

დედაკაცის იდეალი „დამ“-ქალბატონის სახით, რომელსაც ტრუბადურები და ტრუვერები უმღეროდნენ. ნოზაძე ჩერდება ევროპულ რაინდობაზე, რომლის ოთხი დამახასიათებელი თვისება ყოფილა: საჭურჭლით (იარაღით) სამსახური, პატივი, ღირსება და პატიოსნება, სასახლური ყოფაქცევა და ქალბატონისადმი სიყვარული

შუა საუკუნეების ევროპულ-ქართული პარალელების კვლევისათვის უხვ მასალას გვთავაზობს ვიქტორ ნოზაძის „ვეფხისტყაოსნის“ „განჩხრეკანი“, რომლის 5 ტომი ავტორის სიცოცხლეში დაიბეჭდა, ასევე, მისი მრავალრიცხოვანი სამეცნიერო სტატიები თუ გამოუქვეყნებელი ნაშრომები.

ცნობილია ღვანლმოსილი მკვლევრის განსაკუთრებული დამოკიდებულება რუსთაველის პოემისადმი, რომელიც, მისი აზრით, „ქართული ეროვნული სულის გამჟღავნებაა“, „შუა საუკუნეთა საქართველოს კულტურის ნიშან-სვეტიცაა“. რუსთაველის ხანა კი, ეს დალოცვილი, მაღლით აღსავსე, მართლაც სადიდებელი ქართულ ისტორიულ ცხოვრებაში, უზადოდაა გადაჯაჭვული მსოფლიო კულტურასთან. „შენ ბრძანდები მფლობელი ქართული მხატვრული ენისა და ქართველი ერი ამით არის მოჯადოებული! შენ ბრძანდები სახარება სიყვარულისა. შენ ბრძანდები მეფსალმუნე გამაკეთილებელი, ამამალლებელი, აღმაზევებელი ფაქიზი სიყვარულისა, და ქართველი ერი ასეთი სიყვარულის პატივის მიმგები არის! ამიტომ ბრძანდებით შენ და ქართველი ერი განუყოფელი, განუმორებელი, განუყრელი“, — მიმართავს ვიქტორ ნოზაძე შოთა რუსთაველს და თავის პირველხარისხოვან ნაშრომებში ფუნდამენტურად „ჩხრეკს“ მის „ვეფხისტყაოსანს“, მათ შორის, პოემის მიმართებებს როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ სამყაროსთან.

„ვეფხისტყაოსანი“ ისეთი ქართული ნაწარმოებია, რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთს ერთნაირად გასცქერის და მაინც იგი წმინდა ეროვნული ხასიათისაა“ (რუსთაველი 1976: 363), — აღნიშნავს ცნობილი ინგლისელი მეცნიერი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი მ. ბაურა ნერილში „შთაგონება და პოეზია“ და იქვე მიუთითებს: „თუ „ვეფხისტყაოსანს“ იმავე საუკუნის აღმოსავლურ და დასავლურ პოეტურ რომანებს შევადარებთ, ბევრ საერთოს ვიპოვით“. ინგლისელი მკვლევარი პარალელებს ავლებს რუსთაველის პოემასა და შუა საუკუნეების დასავლურ სარაინდო მწერლობას შორის და ამ ეპოსთა საერთო და განმასხვავებელ ნიშნებს გამოყოფს. ამ საინტერესო პრობლემით სხვა ევროპელი მეცნიერებიც დაინტერესებულან (იხ. კრებული: „რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში“, თბ., 1976). და მაინც, დღემდე არ არსებობს ფუნდამენტური ნაშრომი, რომელიც მრავალმხრივ წარმოგვიდგენს „ვეფხისტყაოსნისა“ და შუა საუკუნეების ევროპული მწერლობის ურთიერთმიმართებას. ჩანს, ამგვარი თხზულების შექმნა ვიქტორ ნოზაძესაც სურდა, რასაც მისი ნაკლებად ცნობილი თხზულებებიც მოწმობს.

ამ ბოლო ხანებამდე უცნობი იყო ვიქტორ ნოზაძის გერმანულენოვანი ნაშრომი „პარალელები ნიბელუნგებსა და ქართულ ეპოსს შორის (პარალელები შუა საუკუნეების საქართველოსა და დასავლეთ ევროპის საკარო პოეზიას შორის“ („Parallele zwischen Nibelungen und georgischen Epos (Parallele zwischen der höfischen Dichtung der mittelalterlichen Georgien und des westlichen Europas“), რომელიც ქართული ემიგრაციის მუზეუმში, მკვლევრის არქივში ინახება. ვფიქრობთ, თხზულება ევროპელი მკითხველისათვის

იყო განკუთვნილი და მისთვის ქართული მწერლობის ამ საგანძურის გაცნობას ისახავდა მიზნად.

მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტი, რომელიც ავტორის მიერვეა ნასწორები, არასრულადაა შემონახული, თუმცა მის სარჩევში მითითებულია თხზულების ნაწილები: შესავალი, ეპოსის წინასიტყვაობა, ეპოსის პერსონაჟები, რუსთველოლოგია, სტილი და ეპოსი, რუსთაველი და რელიგია, რუსთაველის მსოფლმხედველობა, ფეოდალიზმი ვეფხისტყაოსანში. ამას გარდა, ნაშრომში უნდა ყოფილიყო: რუსთაველის ბიოგრაფია, რუსი მწერლები რუსთაველის შესახებ, ბიბლიოგრაფია და დასკვნა. „პარალელების“ პირველივე გვერდზე მითითებულია, რომ ის გერმანულ ენაზეა ნათარგმნი (გვინდა შევნიშნოთ, რომ ამ თხზულების ქართული ტექსტი ჯერჯერობით უცნობია და ჩვენ ის გერმანული ენიდან ვთარგმნეთ).

„როცა საქართველოზე — განსაკუთრებით შუა საუკუნეების საქართველოსა და ქართულ ფეოდალიზმზე საუბრობენ, აუცილებელია, რუსთაველზე შევჩერდეთ“ (ნოზაძე 2002: 607), — წერს თხზულების დასაწყისში ვიქტორ ნოზაძე და ამ დებულებას იქვე განმარტავს: „ეპოსი „ვეფხისტყაოსანი“ ასახავს ქართულ ფეოდალიზმს თავისი განვითარების უმაღლეს წერტილზე. ეს ნაწარმოები რაც უფრო ცნობილი გახდება სხვა კულტურულ ხალხთა შორის, მით უფრო საპატიო ადგილს დაიჭერს კულტურის საერთაშორისო საგანძურში“.

კიდევ უფრო მრავლისმთქმელია ვიქტორ ნოზაძის თეზა: „რუსთაველზე მხოლოდ აღმოსავლეთიდან და სპარსეთიდან შესაძლო გავლენით არ უნდა შემოვიფარგლოთ. ჩვენ ასევე რუსთაველზე ანტიკური დასავლეთის შესაძლო გავლენები უნდა გავაანალიზოთ.. უკვე ნიკო მარი თავის ნაშრომში მისი პოეზიის დასავლეთ ევროპის სარაინდო პოეტურ ხელოვნებასთან მსგავსებას მიუთითებდა“ (ნოზაძე 2002: 609). ვ. ნოზაძე იმონებებს ასევე ზურაბ ავალიშვილს, რომელიც ამტკიცებდა, რომ „მიჯნურობის“ კოდექსი ტრუბადურებისა და მინეზინგერებისათვის უმცირეს დეტალებამდე კანონის ძალის მქონე იყო. „აქ ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ რუსთაველის პოეზიის არსი დასავლეთთანაა ასიმილირებული და არა ირანულთან“, რადგან „სარაინდო რუსთაველის ნაწარმოებში დასავლეთ და შუა ევროპის სარაინდოს მსგავსი უფროა, ვიდრე სპარსეთის, ან მთლიანად აღმოსავლეთის სარაინდოსი“ (ნოზაძე 2002: 609).

ხსენებული საკითხის კვლევის თვალსაზრისით საყურადღებოა „პარალელების“ ერთი მონაკვეთი: „ფეოდალიზმი საქართველოში“, რომელიც ავლენს რაინდობის თავისებურებებს შუა საუკუნეების ქართულ და ევროპულ სინამდვილეში. ვ. ნოზაძე მათ შორის დიდ მსგავსებასა და ნათესაობას ხედავს, რაც, მისი დაკვირვებით, იმითაცაა განპირობებული, რომ შუა საუკუნეების საქართველოსა და ევროპის ქვეყნებს შორის უშუალო კონტაქტები არსებობდა.

მკვლევარი სწავლობს საკითხს, თუ „ვეფხისტყაოსნის“ ეპოსის ფეოდალიზმი რამდენად შეესატყვისება ქართულ ფეოდალიზმს მე-11-დან მე-13 საუკუნემდე. ამავე დროს, ის აანალიზებს ამ ეპოქის ქართულ ტიტულებს: *კეისარი* — ნაშრომის მიხედვით, ეს ბიზანტიური ტიტული ბაგრატიონებიდან მხოლოდ მეფე გიორგი II-ს მიენიჭა (1081). ქართველმა მეფემ აღმოსავლეთ რომის სახელმწიფოს კეისრისაგან მიიღო ტიტული *Kesaros*. ბიზანტიის კეისრები (*basileus*) ამ

უმაღლეს ტიტულს თავიანთი სახლის წევრებს და მხოლოდ იშვიათად ვასალ მეფეებს, ან სახელმწიფოს უმაღლეს მოხელეებს ანიჭებდნენ. „ეპოსში ეს ტიტულები მხოლოდ ერთმანეთის გვერდით მოიხსენიება“ (ნოზაძე 2004: 102), — ვკითხულობთ ნაშრომში. *მეფე, დედოფალი* — „ვეფხისტყაოსანში“ ხშირად ნახსენები და საქართველოში უძველესი დროიდანაა ცნობილი. „ვეფხისტყაოსანში“ მეფეები სახელმწიფოს მეთაურები იყვნენ, — შენიშნავს ვიქტორ ნოზაძე და დასძენს, რომ მათი თვისებები როსტევეანის „იდეალურ“ სახეშია წარმოდგენილი. ჭეშმარიტი გადანყვეტილების მისაღებად მეფე საბჭოს იწვევს, რომელიც მისი ვაზირების (მინისტრებისაგან) შედგება. ვაზირებს სათათბირო ხმის უფლება ჰქონდათ — საბოლოო გადანყვეტილება მეფეს ეკუთვნოდა. ზუსტად ამგვარი სახელმწიფო წყობა გვხვდება საქართველოში თამარ მეფის დროს. მეფეებს ვასალები ჰყავდათ, რომლებსაც ასევე შეეძლოთ მეფეები გამხდარიყვნენ. მსგავსი ვითარებაა საქართველოში რუსუდანის დროს. რუსთაველი ცენტრალიზებული სახელმწიფოს მომხრეა, — წერს ნოზაძე.

სუზერენებს ეპოსში, ისევე, როგორც ისტორიულ საქართველოში, „პატრონს“ უწოდებდნენ (მკვლევრის გამოთვლით, ამ სიტყვის სხვადასხვა ფორმა პოემაში 46-ჯერაა მოტანილი), „პატრონ-ყმობა“ კი მთელ ფეოდალიზმს აღნიშნავს. *ვასალთა* მიმართ სუზერენები უნდა ყოფილიყვნენ მონყალენი და მეგობრულნი და მათ ღირსეულად, პატივისცემით და ხშირად მამობრივად უნდა მოპყრობოდნენ, როგორც როსტევეანი ავთანდილს, შემდეგ კი ავთანდილი — შერმადინს. ქვეშემდომთა დაცვა სუზერენის საპატიო მოვალეობა იყო. ვიქტორ ნოზაძის დაკვირვებით, რუსთაველი ძალზე აფასებს მეფურ სამართლიანობას.

თხზულებაში დახასიათებულია სუზერენთა და ვასალთა სახელმწიფო თანამდებობები. ავთანდილზე საუბრისას მკვლევარი შენიშნავს, რომ ის იყო მონაპირე (მარკგრაფი) თავისი სამფლობელოთი და დიდებულებით, თუმცა, ამავე დროს, იგი გახლდათ სამეფოს სპასპეტი (მთავარსარდალი). ნოზაძის დაკვირვებით, „ვასალის“ გაგებით რუსთაველი ორ სიტყვას იყენებს: „ყმასა“ და „მონას“. აქვე საუბარია ეპოსში წარმოდგენილ ფეოდალურ საფეხურებზე და სხვ.

„პარალელებში“ ვიქტორ ნოზაძე რაინდობის ინსტიტუტსაც ეხება. მისი თქმით, ეს ცნება (რაინდობა-Ritterschaft) რუსთაველის მერე წარმოიშვა. „ვეფხისტყაოსანში“ „მოყმე“ „ვასალს“ ან „რაინდს“ ნიშნავს. „ქართული ფეოდალიზმის ძირითადი იდეა რაინდული ტრადიციაა. „რაინდს“ საქართველოში გადატანით ასევე „ყმა“ ან „ჭაბუკი“ ერქვა“ (ნოზაძე 2004: 114). თავის მხრივ, ქართველი რაინდები ქვეყნის შიდა და გარე უსაფრთხოებისათვის ზრუნავდნენ, ამავე დროს, ერთგულად ემსახურობდნენ თავიანთ სუზერენებსა და ქალბატონებს. მათთვის ყველაზე მაღლა სიმამაცე დგას.

ვიქტორ ნოზაძე ამგვარად აჯამებს „ვეფხისტყაოსნის“ რაინდის თვისებებს: იგი, „ბრძოლისათვის აღჭურვილი, მამაცი, გაბედული და დაუმარცხებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, ამავე დროს, კარგი ამხანაგი და ერთგული მეგობარი: მგრძნობიარე, მეგობრული, უხვი და არა მოგების მსურველი. კეთილშობილ რაინდს პატიება უნდა შესძლებოდა და შურისმაძიებელი არ უნდა ყოფილიყო. მას ქვრივები და ობლები უნდა დაეცვა და დახმარებოდა მათ. როგორც ხალხისა და სამშობლოს დამცველი, რაინდი კეთილშობილი უნდა ყოფილიყო“ (ნოზაძე 2004: 116).

მკვლევრის დაკვირვებით, *რაინდობის* გაგებას რუსთაველთან და მის თანამედროვე ევროპელებთან ბევრი რამ აქვს საერთო: დიდია მსგავსება საქართველოს ფეოდალური კანონებისა, რომლებსაც რუსთაველი ხატავდა, შუა და დასავლეთ ევროპის იმგვარივე კანონებთან. სინამდვილეში ის უმცირეს დეტალებამდე ურთიერთმსგავსი იყო (ნოზაძე 2004: 116). მკვლევარი ვარაუდობს, რომ ეს, შეიძლებაოდა, საქართველოსა და ევროპაზე სპარსულ-არაბული სამყაროს გავლენით აგვეხსნა, თუმცა, მისი ფიქრით, უფრო ზუსტია ის აზრი, რომ საქართველოსა და ევროპას შორის უშუალო კონტაქტები არსებობდა.

„როგორც ფეოდალურ სისტემაში, ისე რუსთაველის პოეტურ ნარმოსახვაში, ჩვენ მეტ საერთოს ვპოულობთ შუა საუკუნეების საქართველოსა და ევროპას — განსაკუთრებით, შუა და დასავლეთ ევროპას შორის, ვიდრე საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის კულტურულ სამყაროს შორის“ (ნოზაძე 2004: 117), — წერს ვ. ნოზაძე და აგრძელებს: ქართულის მსგავს ფეოდალიზმს ჩვენ ვერ ვპოულობთ ვერც ირანში, ვერც ბიზანტიაში, ან საქართველოს მეზობელ ქვეყნებში. მისი მსგავსება ევროპულ სისტემასთან ეჭვს არ იწვევს.

ამ მსგავსების ასახსნელად „პარალელებში“ ვიქტორ ნოზაძე საქართველოსა და ევროპის ურთიერთობის ისტორიულ დეტალებსაც იხსენებს: 77-65 წლებში პომპეუსის ომები, რომლის შედეგად იბერია რომის სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა. რამდენიმე იბერიელმა მეფემ „რომის მეგობრის“ ტიტული მიიღო. იბერიელი მეფეები და სამეფო უფლისწულები რომში, მარსის მოედანზე საომარი ვარჯიშების მონაწილენი იყვნენ. იბერიელ მეფე ფარსმან მეორეს კი პატივისცემის ნიშნად თვით მარსის მოედანზე ძეგლი აღუმართეს. მოგვიანებით რომაელები საქართველოში ქართველი სუვერენებისათვის ციხე-სიმაგრეებს აგებდნენ.

აქვე ხაზგასმულია, რომ რომისა და მოგვიანებით ბიზანტიის (აღმოსავლეთ რომის) გავლით საუკუნეების განმავლობაში საქართველოსთან მუდმივი კავშირი არსებობდა: ბიზანტია გახლდათ ხიდი საქართველოსა და ევროპის სხვა ნაწილებს შორის. ბევრმა ქართველმა სამეფო უფლისწულმა, მთავარმა და თავადმა ბიზანტიაში მაღალი სამხედრო თანამდებობას მიაღწია. ვ. ნოზაძე აღნიშნავს ასევე, რომ ბიზანტიის ლაშქარში საქართველოდან რამდენიმე სამხედრო დანაყოფი მონაწილეობდა, ხოლო ჯარის წინამძღოლთა შორის მრავალი ქართველი სამხედრო სარდალი იყო. უშუალოდ ევროპას კი, მკვლევრის აზრით, ქართველები ჯვაროსნების გზით დაუკავშირდნენ.

„პარალელებში“ აღნიშნულია ასევე, რომ IV ჯვაროსნული ომის დროს (1202-1204) საქართველოს ხელისუფლებამ აქტიური მონაწილეობა მიიღო საერთო პოლიტიკაში ქართველი მეფეების ნათესავი კომნენოსის დახმარებით. ბიზანტიური ტახტის მოთხოვნა „ტრაპიზონის იმპერიის“ დაარსებამდე მივიდა, რომლის არსებობა ორნახევარი საუკუნის განმავლობაში გაგრძელდა. ვ. ნოზაძე შენიშნავს, რომ თამარ მეფის ხანაში დიდი კოალიციის დამარცხების შესახებ ჯვაროსნებმა ჩვენი სარდლებისაგან შეიტყვეს და ქართველთა მხრიდან დახმარების იმედი ჰქონდათ. მეფე რუსუდანმა (1223-1247), თამარის ქალიშვილმა, ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის მომზადებისას ვატიკანთან კავშირი შეკრა, რათა გამოეხსნათ იერუსალიმი, რომელიც სულთანმა სალადინმა 1187 წელს აიღო.

თხზულების მიხედვით, ქართველების უშუალო კონტაქტებზე ჯვაროსნებთან მეტყველებს აგრეთვე ჩანანერები წმინდა ჯვრის მონასტერში, იერუსალიმში, საიდანაც ნათელია, რომ ქართულ მონასტერს წმინდა საფლავის რაინდები, ტაძრის რაინდები ეწვივნენ, რის შესახებაც სინოდალურ შენიშვნებს დღესაც ვხვდებით. სრულიად სამართლიანია ვიქტორ ნოზაძის დასკვნა: „ქართული ფეოდალიზმის ევროპულ რაინდობასთან კავშირი სპეციფიკურ კვლევას ითხოვს. კავშირები საქართველოსა და დანარჩენ ევროპას შორის უკვე ჯვაროსნული ლაშქრობების წინ არსებობდა, მაგრამ ისინი განსაკუთრებით ჯვაროსანი რაინდების წმინდა ქვეყანაში ყოფნისას განვითარდა“ (იქვე, 120).

„პარალელები ნიბელუნგებსა და ქართულ ეპოსს შორის (პარალელები შუა საუკუნეების საქართველოსა და დასავლეთ ევროპის საკარო პოეზიას შორის)“ დიდ ადგილს უთმობს „ვეფხისტყაოსნისა“ და იმავე ეპოქის დასავლეთ ევროპის მწერლობის მიმართებებს. ვიქტორ ნოზაძის დაკვირვებით, „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულაში ჩვენ მსოფლიო ლიტერატურის მრავალ ელემენტს ვპოულობთ, რომლებიც როგორც რუსთაველამდე, ისე მის დროს და მოგვიანებით კვლავ აღმოცენდებოდა“ (ნოზაძე 2002: 608). რუსთაველის თანამედროვე პოეზიაში სარაინდო სიყვარულის მოტივი, როგორც ძმადნაფიცობის მოტივი, ძალზე გაფართოვდა. ასევე, გამოქვაბულში ცხოვრება ტარიელისა და ასმათისა იმგვარივეა, როგორსაც ჩვენ დასავლეთშიც ვპოულობთ, მაგალითად, ტრისტანისა და იზოლდას შემთხვევაში.

სანამ უშუალოდ შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპულ მწერლობაზე გადავიდოდეს, ვიქტორ ნოზაძე „ვეფხისტყაოსნის“ ჰომეროსის პოემებს ადარებს და იმონმებს პავლე ინგოროყვას აზრს, რომ დიდ ბერძენ პოეტს საქართველოში უკვე XI-XII საუკუნეებში იცნობდნენ (ჩახრუხაძე, თამარ მეფის ისტორიკოსი). ნოზაძის აზრით, ამ ორ ეპოსს შორის ბევრია საერთო: ოდისევსიც და ავთანდილიც სტოვებენ სამშობლოს, საცოლეს (ცოლს), განშორება ორივე შემთხვევაში ხანგრძლივია. ტარიელი აქილევსით ლამაზი და მამაცია, თუმცა ორივენი ძალზე იმპულსურნი არიან. ასევე, ორივე ავტორთან მსგავსია ციხის დალაშქვრის მომენტები და სხვ. ავთანდილი მეგობრებს ციხის აღების „ოდისევსურ გეგმას“ სთავაზობს. პოემებს შორის მსგავსება თვალსაჩინოა, თუმცა ამ ორ პოეტს შორის 2000 წელია და შინაარსით თუ ეპოქით ორივე ეპოსი ერთმანეთისაგან განსხვავებულია. შესაბამისად, ვ. ნოზაძე მათ შორის დიდ განხვავებასაც ხედავს: მისი აზრით, რუსთაველის გმირები საბოლოოდ თავიანთი გრძნობისა და გონების კარნახით მოქმედებენ, მაშინ, როცა ჰომეროსის პერსონაჟები ღმერთების სურვილს ასრულებენ და მათ ხელში ოდენ მარიონეტებად მოჩანან.

„ვეფხისტყაოსნის“ „ტრისტანსა და იზოლდასთან“ მსგავსებაზე ჯერ კიდევ კ. ბალმონტს მიუთითებდა: ამ ორ თხზულებას შორის საერთოაო ვარჯიში შუბის ტყორცნაში, ფარის ჭერაში, მშვილდისრიდან სროლაში, ცხენოსნობაში და სხვ. ტრისტანს ტარიელის მსგავსად სძულს ტყუილი და ერთგულია მიცემული სიტყვისა. გმირებს შორის საერთოა ცხოვრება ტყეში, გარეულ ცხოველებს შორის. ორივე ქალი, ნესტანი და იზოლდა შედარებულია მზესთან და ა.შ.

ვიქტორ ნოზაძე „ვეფხისტყაოსნის“ შუა საუკუნეების სხვა ცნობილ დასავლეთ ევროპულ ნიმუშებსაც ადარებს, კერძოდ, ესპანურ სარაინდო

ეპოსს „El Cid“-ს, რომლის რეალური გმირი XI საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვრობდა. მის შესახებ თავდაპირველად ლათინურ ენაზე, ტრადიციული, ანტიკური სტილით შექმნილა პოემა, XII საუკუნეში კი შეუთხზავთ 744 სტროფიანი პოეტური ტექსტი, რომლის ენაც ჯერ კიდევ არ ყოფილა საბოლოოდ დახვეწილი. მოგვიანებით ამავე თემაზე 200 ესპანური სიმღერა დაწერილა. ამ თქმულების სიუჟეტი ესპანეთში ძალზე პოპულარული გახლდათ, თუმცა, ნოზაძე თვლის, რომ რუსთაველის ეპოსის გავლენა საქართველოში კიდევ უფრო აღმატებული იყო.

მკვლევარი იხსენებს XI საუკუნის ბოლოსა და XII საუკუნის დასაწყისში საფრანგეთში შექმნილ „Chanson de Roland“-ს, კრეტიენ დე ტრუას „Perceval li Gallois“-ს, ვოლფრამ ფონ ეშენბახის „Parcival“-ს, შუა საუკუნეების უდიდეს ეპიკოსს გოტფრიდ ფონ შტრასბურგს, ასევე, XII საუკუნის დიდ გერმანულ პოეტებს: ვოლფრამ ფონ ეშენბახს, ჰარტმან ფონ დერ აუეს, ვანდერ ფონ დერ ფოგელვაიდეს. ვ. ნოზაძე ახასიათებს მათ პოეზიას.

„პარალელებში“ ცალკე თავადაა გამოყოფილი „რუსთაველი და „ნიბელუნგების სიმღერა“, სადაც მითითებულია, რომ „ნიბელუნგების სიმღერა“ მე-12 საუკუნის დასასრულს ან მე-13 საუკუნის დასაწყისში ზემო-გერმანულად დაიწერა. ვიქტორ ნოზაძეს მოჰყავს ეპოსის პირველი ოთხი სტროფი და უთითებს მათ მსგავსებას „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგთან.

თხზულებაში ავტორი ეხება „ნიბელუნგების სიმღერის“ ორ ნაწილს: 1. „ზიგფრიდის სიცოცხლე და სიკვდილი“ და 2. „კრიმჰილდეს შურისძიება“. მისი დაკვირვებით, ალ. ბარამიძე „ვეფხისტყაოსანს“ „ნიბელუნგების“ პირველ ნაწილს ადარებს და მათ შორის მცირე მსგავსებას კრიმჰილდეს შურისძიებასთან ხედავს. ამის საპირისპიროდ, თავად ნოზაძე რუსთაველის პოემას „ნიბელუნგების“ მეორე ნაწილს უდარებს და მისთვის მსგავსების მომენტებია: სიყვარული ზიგფრიდსა და კრიმჰილდეს შორის და ძმადნაფიცობა ზიგფრიდსა და გუნთერს შორის (მიუხედავად ამ უკანასკნელის ნაღვლიანი დასასრულისა მათი ცოლების ჩხუბის გამო). ძველ გერმანულ თხზულებაში ზიგფრიდი ნახევრად ღმერთი და გმირია, „ნიბელუნგების სიმღერაში“ კი უკვე უფრო რაინდი და გმირია. ზიგფრიდი ჯერ კიდევ გაგონილით შეიყვარებს კრიმჰილდეს, ქალიც თავისი ოთახის ფანჯრიდან შეხედავს ზიგფრიდს და შეუყვარდება.

ვიქტორ ნოზაძე თვლის, რომ თავის სიყვარულში (minne) კრიმჰილდესადმი ზიგფრიდი სარაინდო სიყვარულის ყველა „რუსთველურ“ წესს ასრულებს, რომლებიც „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგშია შემონახული. მკვლევარს გერმანული პოემიდან მოჰყავს შეყვარებულების პირველი შეხვედრის ამსახველი სტრიქონები: „გამოჩნდა ტურფა, ისე, ვით ჩნდება ცისკარი დილისა, გამფანტავი და მომსპობი შემოდრუბლულის ჩრდილისა“ (სიმღერა 1961: 19). „გერვენება, ზემო სტროფები თითქოსდა რუსთაველის მეტაფორებიდანაა ციტირებული“ (ნოზაძე 2002: 614).

აქვე საუბარია ორივე პოემის გმირთა ისეთ საერთო თვისებაზე, როგორცაა ხელგამლილობა, რომელიც გამფლანგველობასაც ესაზღვრება: „ნიბელუნგების“ გმირებიც უხვად ასაჩუქრებენ მსახურთ და მოგზაურ ხალხს. ნოზაძის მითითებით, ეს სარაინდო კოდექსით იყო განსაზღვრული, ე.ი. კოდექსის თანახმად, ამგვარი სიუხვე მთელი ევროპელი (მათ შორის

ქართველი) რაინდობისათვის XI-XIII საუკუნეებში საყოველთაოდ მიღებული ნორმა გახლდათ.

რუსთაველის გმირები უჩვეულოდ ხშირად ტირიან, რაც თანამედროვე მკითხველისათვის არც მთლად გასაგებია. ვ. ნოზაძე შენიშნავს, რომ ასეთი რამ ჯერ კიდევ ჰომეროსის პოემებშიც გვხვდება. „ნიბელუნგების სიმღერის“ გმირებიც ტირიან და ამით თავიანთ ტრაგიკულ ბედისწერას წინასწარმეტყველებენ. „ჩანს, ეს მაშინდელ ქართულ და ევროპულ ჩვეულებებს და დროის გემოვნებას შეესატყვისებოდა“ (იქვე, 615), — დაასკვნის ნოზაძე. აქვე ის მოიხსენიებს რუსულ საგმირო ეპოსს „ამბავი იგორის ლაშქრობისა“, რომელიც თითქმის „ვეფხისტყაოსნის“ თანადროულად დაინერა.

რუსთაველის მსოფლმხედველობაზე მსჯელობისას ვიქტორ ნოზაძე ამტკიცებს, რომ შეუძლებელია, რუსთაველზე ევროპას, ძირითადად დასავლეთ და შუა ევროპას, გავლენა არ მოეხდინა. „ჩვენ ვთვლით, რომ კავშირი ევროპასა და საქართველოს შორის ქართული „ოქროს ხანის“ დროს ბევრად ინტენსიური იყო, ვიდრე ჩვენ მართლაც რომ იმ კეთილსურნელოვანი წყაროებით დოკუმენტურად შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომლებიც ჩვენს დრომდე შემოინახენ“ (იქვე), — წერს მკვლევარი.

თუმცა, ამავე დროს, ცნობილი რუსთაველოლოგი რუსთაველის პოემის ორიგინალობის აქტიური დამცველია: „ვეფხისტყაოსანის მსოფლმხედველობა შორს არის ყოველგვარი შეზავებისაგან, სხვადასხვა მსოფლჭვრეტათა შერევისაგან. ვეფხისტყაოსნის მსოფლმხედველობა არის ერთიანი და მთლიანი; ვეფხისტყაოსნის საზოგადოების მსოფლჭვრეტა არის ხატი ქართული განათლებული საზოგადოების მსოფლმხედველობისა. ამის უარყოფა ვეფხისტყაოსნისა და ქართული საზოგადოების კულტურის უარყოფა და არცოდნა იქნებოდა“ (ნოზაძე 1963: 35).

რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისა“ და შუა საუკუნეების ევროპული კულტურულ-ესთეტიკური სივრცის ტიპოლოგიურ მიმართებებს იკვლევს ვიქტორ ნოზაძის სხვა თხზულებებიც. მათ შორისაა ხელნაწერის სახით შემონახული დაუსრულებელი თხზულება „შვენიერების თეორიები“, რომელიც რუსთაველის ეპოქის მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის ესთეტიკას იკვლევს. მისი მონაკვეთი, რომელსაც „სილამაზე დასავლეთში“ ჰქვია, წარმოადგენს XII-XIV საუკუნეების ესთეტიკურ იდეალს საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში, იტალიაში და სხვ.

ვფიქრობთ, განსაკუთრებული მიზნით უნდა ეთარგმნა მკვლევარს მის არქივში დაცული XII-XIV საუკუნეების 15 ფრანგული და 2 იტალიური მხატვრული ტექსტი საერთო სათაურით „დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების მწერლობა“. ჩანს, ვიქტორ ნოზაძეს სურდა, დასავლეთ ევროპული ლიტერატურის ეს ორიგინალური ნიმუშები იმავე პერიოდის ქართული მწერლობის ძეგლებისათვის შეედარებინა. „საერთოდ, უნდა ითქვას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შედარება იმავე ეპოქის უცხოურ ტექსტებთან ყოველთვის ხდებოდა. ასევე ყოველთვის გამოიკვეთებოდა შოთა რუსთაველის პოემის დიდი უპირატესობა“ (დარჩია 2004: 80).

რუსთაველის პოემის მსგავსებას შუა საუკუნეების ევროპულ ეპოსთან სხვა მეცნიერებიც მიუთითებენ: „შოთა რუსთაველი თანამედროვე პროვანსელი ტრუბადურის, ბერნარდ დე ვენტადორნისა, რომელიც ელეონორა აკვიტანელის კარზე ცხოვრობდა და კრეტიენ დე ტრუასი — რომანების „ლანსელოტი, ანუ ლომის“, „ივენი, ანუ ლომის რაინდის“, „პერსევა-

ლის“ ავტორისა. განსაცვიფრებელია პარალელი რუსთაველის პოემასა და კრეტიენ დე ტრუას „ლომის რაინდს“ შორის“ (რუსთაველი 1976: 106). როგორც ვხედავთ, ამ მიმართებით ჯერ კიდევ ბევრი რამაა საკვლევი.

შუა საუკუნეების ევროპულ-ქართულ კულტურულ-ისტორიულ სივრცეთა პარალელების გამოვლენის თვალსაზრისით საგანგებო შესწავლის საგანია „ვეფხისტყაოსნის“ ნოზაძისეული „განჩხრეკანი“, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ მკვლევრის არქივშია დაცული და მზის სინათლეს ელის.

დამონეზანი:

დარჩია 2004: დარჩია ლ. ვიქტორ ნოზაძის თარგმანები. // „სული, მარად საქართველოზე მაფიქრალი“. თბ.: 2004.

მჭედლიშვილი 2008: მჭედლიშვილი ი. ევროპული გზასაყარი და „ინდივიდუალურ სამყაროთა“ შეხვედრა. // „ევროპული კულტურის ორი საფუძველი: vita contemplativa და vita activa“. თბ.: 2008.

ნოზაძე 1951: ნოზაძე ვ. საქართველო და ევროპა. „მამული“. ბუენოს-აირესი: 1951.

ნოზაძე 1963: ნოზაძე ვ. ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება. პარიზი: 1963.

ნოზაძე 1976: ნოზაძე ვ. ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველება. პარიზი: 1976.

ნოზაძე 2002: ნოზაძე ვ. პარალელები „ნიბელუნგებსა“ და ქართულ ეპოსს შორის (გერმანული ენიდან თარგმნა მ. კვატაიამ). // ლიტერატურული ძიებანი, 2002.

ნოზაძე 2004: ნოზაძე ვ. ფეოდალიზმი საქართველოში (გერმანული ენიდან თარგმნა მ. კვატაიამ). // „სული, მარად საქართველოზე მაფიქრალი“. თბ.: 2004.

რუსთაველი 1976: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში. ტ. 1. თბ.: 1976.

KETEVAN NADAREISHVILI

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The Interpretation of the Argonaut's Myth in the “History of Iveria” by Teimuraz Batonishvili

The article examines the depiction of the Argonauts' myth in the literary piece of the outstanding Georgian writer of the transitional period – Teimuraz Batonshvili. To achieve this aim the article studies: a) the changes made by the author towards his source – Guido Della Colonne's *History of the Destruction of Troy* (I part of Teimuraz's interpretation); b) the sources of the second part of Batonishvili's story. The changes, as well as the choice of the Greek versions of the myth made by Teimuraz Batonishvili, revealed a kind of tendency in the depiction of Medea's image tending to rehabilitate Medea from the crimes ascribed to her and to present her in more positive light.

Key Words: Medea, myth, Teimuraz Batonishvili, rehabilitation.

ქეთევან ნადარეიშვილი

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არგონავტების მითის ინტერპრეტაცია თეიმურაზ ბატონიშვილის „ივერიის ისტორიაში“

ხომალდ „არგოს“ მეზღვაურთა მოგზაურობა ოქროს საწმისის მოსაპოვებლად აია-კოლხიდაში — ე. წ. არგონავტების ციკლი უმდიდრეს წყაროს წარმოადგენს სრულიად განსხვავებული ეპოქებისა თუ ქვეყნების ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგისათვის. ამ თემამ ასახვა ჰპოვა ძველ ქართულ და გარდამავალი ეპოქის ქართულ ლიტერატურაში.

ქართველმა მკვლევარებმა იმთავითვე მიაპყრეს ყურადღება არგონავტების მითოსური ციკლის კვალის შესწავლას ძველ ქართულ მნიგნობრულ ტრადიციაში. ამ მხრივ საყურადღებო თვალსაზრისები აქვთ გამოთქმული ს. ყაუხჩიშვილს, კ. კეკელიძეს, ა. ურუშაძეს, ე. ამაშუკელს, გ. შარაძეს, თ. ოთხმეზურს და სხვებს (ურუშაძე 1964: 85-87; კეკელიძე 1945: 237-268; ქართლის ცხოვრება IV 1973: 775; ყაუხჩიშვილი 1949: 112-114; ამაშუკელი 1954; ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტართა ქართული ვერსია 1989). ანტიკური რეცეფციების გამოვლენას და შესწავლას ძველ ქართულ მწერლობაში ვ. ასათიანის სპეციალური მონოგრაფია მიეძღვნა, რომელშიც არგონავტების მითოსის ასახვას ქართულ ლიტერატურაში შესაბამისი ყურადღება დაეთმო (ასათიანი 1987). ამ კვლევებში მეცნიერთა პრიორიტეტს, ბუნებრივია, წარმოადგენდა იმ გზათა და წყაროთა გარკვევა, რომლებითაც ეს მითოსი შემოდიოდა და მკვიდრდებოდა ქართულ მნიგნობრულ ტრადიციაში. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ მნიშვნელოვანი სამუშაოა შესრულებული. და მაინც, გარკვეულ ასპექტებში წყაროთა საკითხი შემდგომ კვლევას საჭიროებს, რამდენადაც დროთა მსვლელობის შედეგად ზოგიერთი მონაცემი უფრო დაზუსტდა, ზოგიერთის როლი — გადაფასდა, ზოგიერთიც უფრო დეტალურ შესწავლას მოითხოვს.

ჩვენ ამ სტატიაში მიზნად დავისახეთ, შეგვესწავლა არგონავტების ციკლის ინტერპრეტაცია გარდამავალი ხანის ქართული ლიტერატურის ერთ ძეგლში — ცნობილი ქართველი მნიგნობრის თეიმურაზ ბატონიშვილის „ივერიის ისტორიაში“ და დაგვეზუსტებინა თეიმურაზისეული რეცეფციის წყაროები. თეიმურაზის ნაწარმოების წყაროთა გარკვევა, ვფიქრობთ, გარკვეულ სურათს შეგვიქმნის იმის შესახებ, თუ რამდენად ფართოდ იცნობდა იმ ეპოქის ქართველი ინტელექტუალი არგონავტების ციკლს და ზოგადად, ანტიკურ მემკვიდრეობას. მეორე მხრივ, თეიმურაზის მიერ წყაროთა შერჩევასას გაკეთებული არჩევანი დაგვეხმარება იმის გარკვევაში, რა ტიპის აქცენტების დასმა მიაჩნდა მწერალს მნიშვნელოვნად მისი ქვეყნის წარსულთან დაკავშირებული ამ მითოლოგიური ციკლის ინტერპრეტირებისას, განსაკუთრებით კი ქართველი საზოგადოებისთვის მითის მგრძნობიარე ეპიზოდების გადმოცემის დროს.

თეიმურაზ ბაგრატიონის „ივერიის ისტორია“, რომლის სრული სათაურია „ისტორია დანყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგისა, რომელ არს სრულიად საქართველოდსა“ და რომელიც 1848 წელს პეტერბურგში

გამოქვეყნდა, ძველ ქართულ და გარდამავალი ხანის ქართულ ლიტერატურაში არგონავტების მითოსს ყველაზე ვრცლად ამუშავენ (შარაძე 1974: 19-55). არგონავტთა თავგადასავალს კოლხიდაში და იასონ-მედეას ამბავს საბერძნეთში ამ ნაწარმოებში მთელი თავი ეთმობა.

რა წყაროებით იცნობდა თეიმურაზ ბატონიშვილი ოქროს საწმისის მითს?

კლასიკური ფილოლოგიის ცნობილი მკვლევარის, ა. ურუშაძის აზრით, რომელმაც პირველმა მიაქცია ყურადღება არგონავტთა ციკლის თეიმურაზ ბატონიშვილისეულ ინტერპრეტაციას, ქართველ მწიგნობარს მითოსის სხვადასხვა ვერსია გამოუყენებია, რომლებთაც იგი რუსული წყაროების მეშვეობით იცნობდა (აპოლონიოს როდოსელი 1948: 24-25). მათგან განსხვავებით, ე. ამაშუკელი თვლიდა, რომ მითოსის თეიმურაზისეული ვერსია რომელიმე უძველეს ბერძნულ წყაროს ეყრდნობოდა და რომ თეიმურაზის თხრობა ჩასწორებული იყო ქართული თარგმანების მიხედვით. ამ მტკიცებულებათა საფუძველს ამაშუკელს თეიმურაზის ანდერძი აძლევდა, რომელიც წინ უძღვოდა თეიმურაზ ბატონიშვილის თხზულებას „ფრიკსა და ელლეია და ოქროსმატყლოვანისათვის ვერძისა“ (ამაშუკელი 1954: 9-10). ანდერძის მიხედვით, ეს ამბავი „...საქართველოს მეფის ძის თეიმურაზის მიერ ქართულად ძველთა ელინურთა წიგნთაგან გადმოითარგმნა და ძველად ქართველისა ვისგანმე ნათარგმანებთა თანა შესწორდა და უმჯობეს იქმნა“ (S 3723, 245 r). თეიმურაზის ინტერპრეტაციის წყაროთა შესწავლის საქმეში ახალ ეტაპს წარმოადგენდა ლ. ახოზაძის მიერ ჩატარებული სამუშაო, რომელმაც პირველმა მიაკვლია ამ ინტერპრეტაციის ძირითადი ნაწილის წყაროს. ეს გვიღო დე კოლუმნის თხზულების — „მატიანე, რომელსა შინა წერილ არს დარღვევა ქალაქისა ტროადისა ფრილიის სახელმწიფოსა“ ქართული თარგმანი იყო (ახოზაძე 1973: 119-125). გ. შარაძემ თეიმურაზ ბატონიშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში კიდევ უფრო გააფართოვა ამ ინტერპრეტაციის წყაროების კვლევა. კერძოდ, ყურადღება მან თეიმურაზისეული ვერსიის II ნაწილის — იასონისა და მედეას საბერძნეთში ცხოვრებისა და მედეას კოლხიდაში დაბრუნების — წყაროთა დადგენაზე გაამახვილა. მკვლევარის აზრით, ამ ნაწილში თეიმურაზ ბატონიშვილი უმთავრესად ბერძნულ წყაროს, დიოდოროს სიცილიელის „ისტორიულ ბიბლიოთეკას“, ეყრდნობოდა, რომელსაც, სავარაუდოდ, ივანე ალექსეევის რუსული თარგმანით იცნობდა, რასაც თეიმურაზის თხზულებაში გადმოსული რუსიციზმები ცხადყოფდნენ (შარაძე 1974: 28). ამასთან, გ. შარაძის მიხედვით, თეიმურაზს გარკვეული დამატებები შეუტანია არგონავტთა თხზულების მისეულ დამუშავებაში: ა) არგონავტთა კოლხიდაში მოსვლის დათარიღება (ძვ. წ. 969 წ. გამოთვლა ეკუთვნის ე. ამაშუკელს); ბ) ოქროს საწმისის მცველად ხარებისა და გველეშაპის გვერდით დევის დასახელება; გ) კოლხიდაში მეფის ინსტიტუტის ნაცვლად მამასახლისის ინსტიტუტის შემოტანა; დ) სახელ „ოეტესის“ ეტიმოლოგიის მოცემა. მკვლევარი მედეას მიერ შვილების მკვლელობის მითის თეიმურაზისეულ ინტერპრეტაციაზეც ჩერდება და აცხადებს, რომ მითის ეს ნაწილი მწერალმა სხვა ბერძნული წყაროების მიხედვით გადმოსცა და არ გაჰყვა თავის წინამორბედს, იოანე ბატონიშვილს, რომელიც მითოსის ამ ეპიზოდის გადმოცემისას ევრიპიდეს ვერსიას ეყრდნობოდა (შარაძე 1974: 34).

ამ კვლევების მიუხედავად, მითის თეიმურაზ ბატონიშვილისეული ინტერპრეტაციის წყაროებთან მიმართების საკითხი უფრო დეტალურ შესწავლას საჭიროებს. ვფიქრობთ, შემდგომი კვლევის საგანს წარმოადგენს იმის დადგენა, თუ რა აქვს შემოტანილი თეიმურაზს ახალი და განსხვავებული თავისი წყაროს — გვიდო დე კოლუმნის თხზულებასთან შედარებით, რამდენად მნიშვნელოვანია ეს სახესხვაობანი და რას ემსახურებიან ისინი; მეორე, შესასწავლია თეიმურაზისეული ინტერპრეტაციის II ნაწილის წყაროთა საკითხი — კერძოდ, დასადგენია ეყრდნობა თუ არა მწერალი მხოლოდ დიოდოროს სიცილიელს, და თუ არა, კიდევ რომელ ბერძნულ წყაროებს იყენებს. ამასთან, საყურადღებოა, დიოდოროს სიცილიელისა და თეიმურაზის თხზულებების იმ პასაჟთა დეტალური ანალიზიც, რომლებიც გ. შარაძეს თავის გამოკვლევაში გვერდიგვერდ მოჰყავს, როგორც უტყუარი მტკიცებულებანი იმისა, რომ ბატონიშვილი ზედმინვენით მისდევდა არგონავტთა მითის დიოდოროსისეულ ვერსიას.

თავდაპირველად, მოკლედ შევეხოთ თავად გვიდო დე კოლუმნის თხზულების წყაროთა საკითხს და მისი რუსული და ქართული თარგმანების ისტორიას. გვიდო დე კოლუმნი XIII საუკუნეში მცხოვრები სიცილიელი მწერალი გახლდათ და მას ეს თხზულება სადღაც 1287 წლისთვის უნდა დაესრულებინა. „ტროადის დაცემის ისტორია“ ლათინურად დაწერილი ნარატივი იყო, რომელიც მისდევდა ბენუა დე სენტ მორის პოემას „რომანს ტროას შესახებ“. ბენუა სენტ მორის პოემა კი, თავის მხრივ, შუასაუკუნეებში ძალზე პოპულარულ ორ გვიანანტიკურ ტექსტს ეყრდნობოდა, რომლებიც ტრადიციულად ტროას ომის ლეგენდარულ „მონანილეებს“ — დიქტის კრეტელს და დარეს ფრიგიელს მიეწერებოდა. ის, რომ ეს ტექსტები ოდენ გვიანანტიკური პერიოდის ნარატივებს წარმოადგენდნენ და არა ტროას ომის თანამედროვეთა დღიურებს, მხოლოდ მოგვიანებით გახდა ცნობილი. გადმოცემებს ტროას ომის შესახებ შუა საუკუნეებში უპირატესად სწორედ ამ თხზულებებით იცნობდნენ. საინტერესოა, რომ ტროას ომის გენიალური მომღერლის ჰომეროსის პოემები საზოგადოებისთვის მხოლოდ მოგვიანებით გახდა ფართოდ ცნობილი.

„ტროადის დაცემის ისტორია“ რუსულად XV საუკუნეში ან ყველაზე გვიან XVI ს-ის დასაწყისში ითარგმნა უშუალოდ ლათინური ორიგინალიდან*. იგი თითქმის სიტყვასიტყვით მისდევდა გვიდო დე კოლუმნის თხზულების სტრასბურგის გამოცემას (1485 წ.). XVII ს-ში რუსული თარგმანი საგრძნობლად იქნა შეკვეცილი. სწორედ ეს შემოკლებული რედაქცია, რომლის შექმნასაც უკავშირებენ თევდორე ზლობინის სახელს, დაედო საფუძვლად 1709 წ-ის განხორციელებულ გამოცემას. ნაწარმოები დიდი პოპულარობით სარგებლობდა რუსეთში და მთელი XVIII ს-ის მანძილზე პერიოდულად გამოიცემოდა ხოლმე (ტვოროგოვი 1972). იგი ყურადღების მიღმა არც იმ პერიოდის ქართველ ინტელექტუალებს დაუტოვებიათ, რომლებიც დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს რუსეთში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესებს. „ეს ნამდვილად სახალხო წიგ-

* ადრე მიიჩნევდნენ, რომ ლათინურიდან ნაწარმოები ჯერ პოლონურ ენაზე ითარგმნა, ხოლო შემდეგ პოლონურიდან რუსულზე თევდორე ზლობინის მიერ (XV ს.) (რუხაძე 1960:231).

ნი“ (ტვორგოვის დახასიათებით) 1780-ს გაიოზ რექტორმა რუსულიდან ქართულად თარგმნა.* ამ თხზულების თარგმანის მიზანი უპირველესად საგანმანათლებლო იყო. ნიგნი თელავის სასულიერო სემინარიაში სახელმძღვანელოს სტატუსით ისწავლებოდა. ბუნებრივია, რომ გაიოზ რექტორის ამ თარგმანს იცნობდა თეიმურაზ ბატონიშვილიც, რომელიც თელავის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. მეტიც, როგორც კვლევებმა აჩვენეს, ამ ნაწარმოების ერთი ნუსხა თეიმურაზს თავის წიგნთსაცავში ჰქონდა დაცული. თეიმურაზის მიერ გაიოზ რექტორისეული თარგმანის გამოყენებას ადასტურებს რუსიციზმების კვალი, რომლებიც გაიოზ რექტორის თარგმანშია დადასტურებული და რომლებიც თეიმურაზს გადმოუღია (შარაძე 1974: 25).

რას მოგვითხრობს ტროას ომის ეს მეტად პოპულარული შუასაუკუნეების ვერსია, რომელსაც მოკლედ „ტროადის დაცემის ისტორია“ მოიხსენიებენ?

გვიდო დე კოლუმნის ე. წ. პროზაული მატთანე იმ ეპოქის ნაწარმოებთაგან ყველაზე სრულყოფილად გადმოსცემდა ტროას ციკლის სიუჟეტებს — თხრობა კოლხიდაში არგონავტების ლაშქრობით იწყებოდა და ტროას დაცემის შემდეგ ომში მონაწილე გმირების ბედის აღწერით მთავრდებოდა. მის პოპულარობას, სავარაუდოდ, ხელს უწყობდა რომანული ეპიზოდები — იასონის და მედეას, პარისის და ელენეს, აქილევსისა და პოლიქსენეს სასიყვარულო ურთიერთობის ფართო დამუშავება. ამასთან, ნაწარმოებში ჭარბად იყო წარმოდგენილი დიდაქტიკური ელემენტებიც.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო ამ თხზულების I-V თავი გახლავთ, რადგან სწორედ ამ ნაწილს ეყრდნობოდა თეიმურაზ ბატონიშვილი არგონავტების მითოსის გადმოცემისას. „ტროადის დაცემის ისტორია“ იწყება იმით, რომ სიკვდილის წინ თესალონიკის მეფე იაზონი (იაზონის მამა) თავის ჩვილ ვაჟს — იაზონს ძმას — პელეის ჩააბარებს. იაზონი სთხოვდა ძმას, რომ მას ღირსეულად გაეზარდა მისი ვაჟი, შემდეგ კი დადგენილ დროს მისთვის კანონიერი ტახტი გადაეცა. პელეიმ დიდი გულმოდგინებით აღზარდა იაზონი, რომელიც შესანიშნავი ვაჟკაცი შეიქმნა: „ფრიად მხნე, ძლიერი, კადნიერი და გულოვანი“. ამ სიქველეთა გამო ხალხში იგი დიდი სიყვარულით სარგებლობდა. მეფეს ზარავდა ერის ამგვარი დამოკიდებულება იაზონის მიმართ, თუმცა ამას არ იმჩნევდა და ფიქრობდა, როგორ დაეღუპა იგი ისე, რომ თავად დამნაშავედ არ წარმოჩენილიყო. ამასობაში ქვეყნიერებას მოედო ოქროსმატყლოვანი ვერძის ამბავი, რომელიც ტროიანელთა სამეფოს იქით, მშვენიერ ქვეყანა — კოლხიდაში იმყოფებოდა. ვერძის მოპოვება გადაულახავი დაბრკოლების წინაშე აყენებდა მსურველს. ამისთვის მას ცეცხლისმფრქვეველი ხარები უღელში უნდა შეება და აღმასის სახნისით მიწა უნდა მოეხნა. მერე ვერძის მცველი ვეშაპი უნდა მოეკლა და მისი კბილები მოხნულ მიწაში დაეთესა. შემდეგ ამ კბილებიდან შეიარაღებული მეომრები აღმოცენდებოდნენ და ერთმანეთს დახოცავდნენ. როცა ეს ყველაფერი დასრულდებოდა, თეორიულად უკვე შესაძლებელი იყო ვერძის შეპყრობა. ცნობილი იყო ისიც, რომ კოლხიდის

* მთარგმნელის ვინაობა XIX ს-ის II ნახ.-ის ქართველმა მოღვაწემ ნ. გამრეკელმა გამოარკვია (შარაძე 1974: 23).

განმგებელი ოიეტესი არ აბრკოლებდა ვერძის მოპოვების მსურველთ, რადგან მშვენივრად უწყოდა, რომ არავის შეეძლო ამ წინააღმდეგობათა გადალახვა*. მართლაც მრავალ გულოვან გმირს უცდია ვერძის ხელში ჩაგდება, თუმცა ამაოდ. თავად ოიეტესსაც არ დაუკლია მცდელობა, მაგრამ ისიც განზილებული დაბრუნებულა უკან. პელეიმ ჩათვალა, რომ ამ ვერძის მოსაპოვებლად იაზონის გაგზავნა საუკეთესო საშუალება იყო მის დასაღუპად. დაიბარა იაზონი და ურჩია, სახელის მოსაპოვებლად კოლხი-დაში ვერძის ჩამოსაყვანად წასულიყო. იაზონი, გულოვანი და სახელის მოყვარული ჭაბუკი, ვერ მიხვდა ბიძის მზაკვრულ ჩანაფიქრს, თანხმობა განუცხადა პელეის და გმირთა კრებულთან ერთად კოლხიდას გაემგზავრა. ნაწარმოებში საგანგებოდ არის გამოყოფილი ჰერკულესი, მოთხრობილია მისი წარმოშობისა და მისი გმრობათა ისტორია. საბერძნეთიდან გამგზავრებული არგონავტები მალე მიადგნენ ტროადას, დასასვენებლად ნაპირზე გადმოვიდნენ და კარვები გაშალეს. ტროადის მეფემ შეურაცხყოფად აღიქვა მის უკითხავად არგონავტთა მიერ განხორციელებული ქმედებანი. ბერძნებს დესპანი გაუგზავნა და ქვეყნის დატოვება უბრძანა. მეფის საქციელმა, თავის მხრივ, საშინლად აღაშფოთა ჰერკულესი და იაზონი. იაზონმა მეფის განზრახვა გააკრიტიკა, ჰერკულესი კი ტროელებს დაექადნა, რომ თავიანთი მისიის შესრულების შემდეგ მათთან მალე დაბრუნდებოდნენ და ქალაქს პირისაგან მიწისა აღგვიდნენ.

მრავალი დღის ცურვის შემდეგ არგონავტებმა კოლხიდას მიაღწიეს. მეფე ოიეტესი მათ სიხარულითა და პატივისცემით მიეგება, ნადიმი გაუმართა. იაზონმა ოიეტესს თავისი ჩამოსვლის მიზეზი განუცხადა. მეფემაც თანხმობა მისცა. ამის შემდეგ ნაწარმოებში მედეა შემოდის. მწერალი აღგვიჩენს ქალწულის მშვენიერებას, მეცნიერებათა მისეულ ცოდნას და, რაც მთავარია, მის გრძნეულებათ, რითაც მედეას ბუნების მოვლენების მართვა, ადამიანის გაახალგაზრდავება თუ დაბერება ხელენიფებოდა. ყოველივე ამის გამო მედეას ძველი ელინნი ღმერთად რაცხდნენო, გვიყვება ავტორი. მედეას პირველად სწორედ არგონავტთა საპატივსაცემოდ გამართულ ნადიმზე ვხედავთ, რომელზედაც მამას უბრძანებია დასწრება. მეორე დღით კვლავ ნადიმზე მოსული მედეა კი უკვე მამას იაზონთან გასაუბრების ნებას სთხოვს. მას სურს გაარკვიოს, „რომელი ხელოვნების“ იმედით ფიქრობს იაზონი ოქროსმატყლოვანი ვერძის მოპოვებას. ამით კი იგი დაადგენს, თუ რამდენად ბრძენი არის ბერძენი ჭაბუკი. იაზონსა და მედეას შორის ვრცელი დიალოგი იმართება. ხვდება რა, რომ იაზონს მხოლოდ თავისი ძალის იმედი აქვს, მედეა უხსნის ჭაბუკს, რომ მისი იმედები ფუჭია და რომ მხოლოდ მას, მედეას, ძალუძს იაზონის დახმარება, ოღონდ ამისთვის ის მის ნებას უნდა დაემორჩილოს. იაზონი თანხმობას აცხადებს, აღასრულოს მედეას ნება — ცოლად შეირთოს იგი. საშინელი ფიცით დაფიცების შემდეგ მედეა ბერძენ ჭაბუკს ასწავლის, როგორ მოიპოვოს ვერძი, ამასთან აძლევს დამხმარე საშუალებებსაც — ოქ-

* მკითხველი ჩვენს სტატიაში ნახავს როგორც ფორმა „ოიეტესს“, ისე — „ოეტესს“. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ ფორმას იყენებს თავად ავტორი. გვიდო დე კოლუმნის თხზულების ქართველი მთარგმნელი ხმარობს ფორმა „ოიეტესს“, ხოლო თეიმურაზ ბატონიშვილი — „ოეტესს“.

როს ხატს, ნოტიოთი სავსე გოგრას და მწვანე ბეჭედს*. ასწავლის მას იმ ლოც-
ვასაც, რომელიც მან, ვერძთან მისულმა, სამჯერ უნდა წარმოსთქვას.

მადლიერი იაზონი მეორე დღეს მეფეს ოქროსმატყლოვანი ვერძის მოსა-
პოვებლად წასვლის განზრახვას აუწყებს. ოიეტესი არ აბრკოლებს, თუმცა
გარკვევით აფრთხილებს საშიშროების შესახებ. ხარებთან მისულ იაზონს შეს-
ძრავს მათი დანახვა, მაგრამ იგი სძლევს შიშს და მედეას სწავლებებს პირ-
ნათლად აღასრულებს. მეფე მას „ორგულებრივითა მხიარულებითა“ იღებს,
კვლავ გაუმართავს ლხინს და გმირობის შესახებ გამოჰკითხავს. კეთილი ქარის
მოლოდინში იაზონი კოლხიდაში ერთი თვე რჩება. წასვლის დრო რომ დაუდ-
გება, ოიეტესის უჩუმრად მედეასთან მიდის და ქალი თესალონიკში ჩაჰყავს.
ჩვენთვის საინტერესო I-V თავები არგონავტების თესალონიკში ჩასვლით
სრულდება. სამშობლოში დაბრუნებისთანავე იაზონი ტროელებთან სალაშ-
ქროდ წასვლაზე ზრუნავს (ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ იაზონი იმ მომენტში
არც სამეფო ტახტის მიღებაზე და არც მედეასთან ქორწინებაზე არ ფიქრობს).
მართლაც იკრიბება დიდი ლაშქარი, რომელიც პელეის მხედართმთავრობით
ტროადისაკენ მიემართება.

უკვე ლ. ახოზაძეს ჰქონდა აღნიშნული, რომ თეიმურაზ ბატონიშვილი მითო-
სის ამ ნაწილის ინტერპრეტაციისას უმთავრესად თავისი წყაროს — გვიდო დე
კოლუმნის თხზულების ქართულ თარგმანს მისდევდა. ამასთან, მკვლევარი
ასკვნოდა, რომ თეიმურაზს ყველაფერი უცვლელად არ გადმოჰქონდა. ზოგი-
ერთ ადგილს იგი აკლებდა, ან, პირიქით, ამატებდა, ავრცობდა. თუმცა, მეცნი-
ერის მიხედვით, ეს გავრცობილი ნაწილი რაიმე განსხვავებულ ფაქტობრივ
მასალას არ შეიცავდა. ერთადერთ გამონაკლისს ვერძის მცველად დასახელე-
ბული დევი წარმოადგენდა (ახოზაძე 1973: 121). ჩვენი დაკვირვებით, თეიმუ-
რაზთან სხვა ფაქტობრივი განსხვავებებიც დასტურდება, ამასთან გვხვდება
ნაკლებად მნიშვნელოვანი სხვაობებიც. ასე მაგალითად: ა) გვიდო დე კო-
ლუმნის ნაწარმოების ქართულ თარგმანში იაზონის მამას ასევე იაზონი ეწო-
დება, თეიმურაზი კი მას ეზონად მოიხსენიებს; ბ) თეიმურაზთან ერთობ გაზ-
რდილია ჰერკულესის როლი. ჯერ ერთი, იგი არგონავტთა წინამძღოლად სა-
ხელდება; მეორეც, სასახლეში მიღებისას ოიეტესი ჰერკულესსა და იაზონს
თანაბარი პატივით იღებს, ტახტრეფანზე ერთ მხარეს ჰერკულესს, მეორე
მხარეს იაზონს მოისვამს განსხვავებით „ტროადის დაცემის“ ქართული თარ-
გმანისაგან, რომელშიც ამგვარი პატივი მხოლოდ იაზონს ხვდება წილად. მესა-
მეც, თეიმურაზთან ჰერკულესი იაზონისა და მედეას ერთმანეთისთვის მიცე-
მული ფიცის თავმდებად არის წარმოდგენილი; გ) თეიმურაზისეულ ინტერ-
პრეტაციაში იაზონი მედეას საბერძნეთში ჩასვლისთანავე ეუღლება, მის წყა-
როში კი აღნიშნულია, რომ იაზონი საბერძნეთში ჩასვლისთანავე ტროადის
დასალაშქრავად მიდის. თეიმურაზთან არსებული თითქმის ყველა ეს ფაქტობ-
რივი განსხვავება ამა თუ იმ ბერძნულ წყაროში ფიქსირდება, რაც, თავის მხრივ,
იმაზე მეტყველებს, რომ თეიმურაზი კარგად იცნობდა არგონავტების მითოსის
ძველ ბერძნულ ვერსიებს. ამაში კიდევ უფრო მეტად თეიმურაზისეული ინ-
ტერპრეტაციის მეორე ნაწილის განხილვის დროს დავრწმუნდებით.

* ოქროს ხატმა მისკენ გამოსროლილი ცეცხლის ალი უნდა შთანთქვას. ნოტიო
იაზონმა თავადაც უნდა წაისვას და ხარებსაც უნდა შეაპკუროს. მწვანე ბეჭედი გვე-
ლემაპს წინ უნდა დაუდოს, რათა ბეჭედმა გველემაპისგან მომდინარე ალი შთანთქვას.

მითის თეიმურაზისეული ინტერპრეტაციის შესწავლის დროს, მწერლის მიერ დასმული აქცენტების დადგენისას საყურადღებოა ასევე თეიმურაზის მიერ განხორციელებული შეკვეცანიცა და გავრცობანიც. უპირველესად უნდა ითქვას, რომ გვიდო დე კოლუმნი უფრო დაწვრილებით გადმოსცემს მოქმედ პირთა შორის დიალოგებს, უფრო ვრცლადაა წარმოდგენილი მასთან ესა თუ ის აღწერილობა. ასე მაგალითად, იაზონისადმი პელეის მიმართვაში გაცილებით დიდი ადგილი ეთმობა იაზონის სიქველეთა დახასიათებას, ვრცელია იაზონისა და მედეას დიალოგი, რომელშიც მედეა განსაკუთრებით დეტალურად აღუწერს ბერძენ ვაჟკაცს, თუ რა დაბრკოლებები დახვდება მას წინ ოქროსმატყლოვანი ვერძის მოპოვებისას. დაწვრილებითაა აღწერილი ოიეტესის დიდებული დახვედრა. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი თეიმურაზთან გაცილებით შემოკლებულია, სავარაუდოდ, მისი ნაწარმოების ჟანრული სპეციფიკის გათვალისწინებით. ამასთან, თეიმურაზთან საერთოდ ვერ ვხვდებით წყაროში მოცემულ ცალკეულ პასაჟებს — ასე მაგალითად, გვიდო დე კოლუმნისთან ოიეტესი იაზონს აფრთხილებს ოქროს ვერძის მოპოვების გზაზე სასიკვდილო საფრთხეთა შესახებ; ასევე უკან დაბრუნებულ იაზონს ეკითხება, თუ როგორ მოახერხა მან ამ საგმირო საქმის აღსრულება, რასაც იაზონის დეტალური პასუხი მოსდევს. ყოველივე ეს გვიდოს თხზულებას უფრო კითხვადს, მკითხველისთვის უფრო თავშესაქცევს ხდის. თეიმურაზისთვის კი, სავარაუდოდ, პრიორიტეტი გართობაზე მეტად მკითხველის ინფორმირება უნდა ყოფილიყო.

თეიმურაზის თხრობის უფრო დაწვრილებული ხასიათის მიუხედავად, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, იგი გარკვეულ შემთხვევებში გვიდო დე კოლუმნის პასაჟებს უფრო განავრცობს, ცალკეულ შემთხვევაში ახალ ინფორმაციასაც ურთავს. ასე მაგალითად, მედეა გაცილებით უფრო დეტალურ ინსტრუქციებს აძლევს იაზონს, ცდილობს, რაც შეიძლება მეტად გახადოს ისინი იაზონისთვის გასაგები, არც გამეორებებს ერიდება. ქართველი მწერალი უმატებს გაქცეული არგონავტებისათვის კოლხების დადევნების ეპიზოდს, მედეას მიერ თავისი მცირეწლოვანი ძმის წაყვანის ამბავს, ასახელებს წაყვანის მოტივსაც — ძმის განსაკუთრებულ სიყვარულს.

ბუნებრივია, თეიმურაზის ინტერპრეტაციის განსხვავებულ აქცენტებზე მსჯელობისას განსაკუთრებით საინტერესო მედეას მწერლისეული სახეა. ჯერ კიდევ ლ. ახოზაძემ შენიშნა, რომ მედეას ფიზიკურ სილამაზეს თეიმურაზი გაცილებით უფრო დაწვრილებით გადმოგვცემდა (ახოზაძე 1973: 121). მედეას სიმშვენიერეს სხვადასხვა მეცნიერების ცოდნა ემატებოდა (მეცნიერებათა ჩამონათვალი თეიმურაზთან და მის წყაროში ცოტათი განსხვავებულია). სწორედ მედეას განსწავლულობამ გამოიწვია ქალწულით იაზონის აღფრთოვანება, მის სულში სიყვარულის ჩასახვა, რასაც გვიდო დე კოლუმნი საერთოდ არ გადმოგვცემს.

საინტერესოა, რომ ამ ავტორებთან მედეას სურვილი იაზონთან გასაუბრებისა განსხვავებულად არის მოტივირებული. გვიდო დე კოლუმნისთან მედეას სურს გაარკვიოს, თუ რის იმედად აპირებს იაზონი ვერძის მოპოვებას, რის შემდეგაც მას იაზონის სიბრძნის შეფასება შეეძლება. თეიმურაზთან კი მედეას მოტივს ნაკლებად კონკრეტული ხასიათი აქვს. მას ზოგადად სურს გაიგოს იაზონის „სიბრძნის მოყვარება და სცნას ზნეობად მალაღმობილისა მისისა“.

გვიდო დე კოლუმნის თხზულებაში იასონთან მიმართებაში მედეა უფრო კატეგორიულია. იგი პირდაპირ ეუბნება ბერძენ გმირს, რომ მხოლოდ

მას, მედეას, ძალუძს მისი გადარჩენა, ოღონდ ამისთვის იაზონი მის ნებას უნდა დაემორჩილოს. თეიმურაზთანაც მედეა უცხადებს იაზონს, რომ მხოლოდ მას შეუძლია დახმარება. ოღონდ გვიდო დე კოლუმნის მედეასგან განსხვავებით, ის ცდილობს თავდაპირველად იაზონისაგან შეიტყოს, თუ როგორაა ეს უკანასკნელი განწყობილი მედეას სურვილის, ნების მიმართ. ვფიქრობთ, თეიმურაზთან მედეა მხოლოდ ერთ ეპიზოდში ჩანს უფრო აქტიური — კოლხიდიდან ნასვლის ეპიზოდში. თეიმურაზისეულ ინტერპრეტაციაში იაზონს, მედეას განზრახვით, ის ღამით, ოეტესისაგან უჩუმრად მიჰყავს. გვიდო დე კოლუმნის თხზულების ქართულ თარგმანში კი თავად იაზონი მიდის ღამით მედეასთან. ამას თეიმურაზთან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საყვარელი ძმის — იაფის წაყვანაც ემეტება, რომლის შემდგომი მკვლელობის ამბავს თეიმურაზ ბატონიშვილი საერთოდ არ ახსენებს.

ყოველივე ეს მედეას მიმართ მწერლის დამოკიდებულების გარკვეულ ტენდენციაზე მეტყველებს, რომელსაც ქვემოთ წარმოვადგენთ. აქ გვსურს კიდევ ერთ მომენტზე გავამახვილოთ ყურადღება. თეიმურაზი ერთგან მოვლენათა მიმართ თავის პოზიციას წარმოგვიდგენს, თუმცა იგი ოეტესის საქციელს აფასებს და არა მედეას ქმედებათ. მისი აზრით, უცხოელთათვის თავისი ასული ოეტესს არ უნდა ერვენებინა (შეგახსენებთ, რომ წვეულებაზე მისვლა მედეას სწორედ მან უბრძანა), რადგან სწორედ ეს დაუფიქრებელი საქციელი დაუჯდა მას ძვირად და სანანებლადო. საინტერესოა ისიც, რომ მედეას საქციელის შეფასებას ავტორი არც მოგვიანებით წარმოგვიდგენს.

რაც შეეხება თეიმურაზისეული ინტერპრეტაციის II ნაწილის წყაროებს, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ამ შემთხვევაში შესასწავლი გახლდათ ის, თუ რამდენად მისდევდა ავტორი მითოსის დიოდოროს სიცილიელის ვერსიას, როგორც ამას გ. შარაძე ამტკიცებდა და რამდენად ფართოდ დასტურდებოდა თეიმურაზთან დიოდოროს სიცილიელის გარდასხვა ძველ ბერძნულ ვერსიათა კვალი.

მივყვით თეიმურაზთან წარმოდგენილ მოვლენათა მსვლელობას. თესალონიკში ჩამოსულ იაზონსა და მედეას პელეა წინ ეგებება, შემდეგ იაზონი და მედეა ქორწინდებიან. მართალია, ავტორი არ ეხება ტახტის იაზონისთვის გადაცემის საკითხს, მაგრამ, როგორც შემდგომი თხრობიდან შეგვიძლია დავასკვნათ, პელეა იაზონისთვის მეფობა არ მიუცია. იაზონის საბერძნეთში ჩამოსვლის სრულიად განსხვავებული სურათი არის წარმოდგენილი დიოდოროს სიცილიელთან, რომელთანაც არგონავტები პირდაპირ კი არ მიდიან პელიასთან, არამედ შორიანლოს ჩუმად აყენებენ ხომალდს, ხოლო როცა პელიასის მიერ იაზონის ოჯახის მიმართ განხორციელებულ ბოროტებათ შეიტყობენ, პელიასზე შურისძიებას თავის თავზე მედეა იღებს (დიოდოროს სიცილიელი 1935: IV, 50). და საერთოდაც, ბერძნული წყაროები უმეტესწილად არ მოგვითხრობენ ასეთი მშვიდობიანი ჩამოსვლის შესახებ, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც არგონავტების ჩამოსვლის შემდგომ მედეას პელიასზე განხორციელებულ შურისძიებას გადმოგვცემენ.

თეიმურაზთან თესალონიკში დასახლებული მედეა დედამთილს ყმანვილ ქალად გადააქცევს. უნდა ითქვას, რომ დედამთილის გაახალგაზრდავებას არც ერთი ბერძნული წყარო არ ადასტურებს. ბერძნულ წყაროებში მედეა ესონს — თავის მამამთილს აქცევს ახალგაზრდა ყმანვილად (*Poetarum epicorum Graecorum testimonia et fragmenta* pt. 1: „დაბრუნებანი“ ფრ. 7). ასევე აახალგაზრდავებს

იასონს (Poetae Melici Graeci 1962: სიმონიდესი ფრ. 548; Die Fragmentem der Griechischen Historiker 1923-1955: ფერეკიდესი F 113).

თეიმურაზ ბატონიშვილის თხზულებაში მედეა პელიადებს ურჩევს მოკლან მამა და ამის საფასურად მათ ყმანვილ ქალებად აქცევს. თუ პირველ ნაწილს — მამის მოკვლის რჩევას არაერთ ბერძნულ წყაროში ვხვდებით (პავსანიასი 1918: VIII, 11, 2 და სხვ.), მეორე ნაწილს — ამის საფასურად პელიადების გაახალგაზრდავებას, არც ერთი ბერძნული წყარო არ გვიდასტურებს, მათ შორის არც დიოდოროს სიცილიელი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თეიმურაზთან მედეას მიერ პელიასის მოკვლის მოტივი — იასონის გამეფება იდენტურია ბერძნულ წყაროებში წარმოდგენილი პელიასზე მედეას შურისძიების მოტივისა (დიოდოროს სიცილიელი 1935: IV, 50; პავსანიასი 1918: VIII, 11, 2; Euripides Fragments 2008: „პელიადები“; აპოლოდოროსი 1921: I, 9, 27). საინტერესოა, რომ თავად იაზონი თეიმურაზის თხზულებაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეფობაზე არ ფიქრობს. ის ჯარს კრებს, რათა ტროელებზე გაილაშქროს. მეტიც, იაზონი არც მაშინ იღებს მეფობას, როცა ტროადიდან თესალონიკში ბრუნდება. თეიმურაზის მიხედვით, იგი მეფობას პელეოს ძეს — აკასტს გადასცემს, თავად კი პელოპონესში მიემართება პოსეიდონისათვის მსხვერპლის შესანიშნავად. დიოდოროსთანაც ასევე გადასცემს იასონი ხელისუფლებას აკასტოსს, თუმცა აქ წინაპირობანია განსხვავებული. თეიმურაზის თხზულებაში პელეოს და იაზონს შორის კონფლიქტი არ ჩანს, დიოდოროსთან კი იასონი მას შემდეგ აძლევს ტახტს აკასტოსს, რაც შურისძიების გამო მედეა პელიასს საზარელი სიკვდილით დასჯის. ამგვარად ტახტის მისი შვილისთვის გადაცემა აქ ერთგვარად ანეიტრალებს სიტუაციას (დიოდოროს სიცილიელი 1935: IV, 53).

ორივე ავტორი ერთნაირად წარმოგვიდგენს კრეონსა და კრეუსაზე მედეას შურისძიებას. განსხვავება მათ შორის შურისძიების საკვანძო ეტაპში — მედეას შვილების მკვლელობაშია. დიოდოროსის მიხედვით, მედეა თავად კლავს ორ შვილს, მესამე გაქცევით შველის თავს (დიოდოროს სიცილიელი 1935: IV, 54) (ორივე ავტორთან იასონსა და მედეას სამი შვილი ჰყავთ), თეიმურაზის თანახმად კი მედეა თავის ორ უფროს ვაჟს კორინთოში ტოვებს, უმცროსი კი თან მიჰყავს. მედეას შვილების კორინთელების მიერ ამოხოცვა, როგორც ცნობილია, საკმაოდ გავრცელებული ტრადიცია გახლავთ. ის გვხვდება აპოლოდოროსთან (აპოლოდოროსი 1921: I, 9, 28), კრეოფილოსზე დაყრდნობით მას ავითარებს პარმენისკოსი (Euripidis Medea mit Scholien 1911: Schol. 264). ეს ამბავი ცნობილია ელიანესა (ელიანე 2010: 5, 21) და პავსანიასისთვისაც (პავსანიასი 1918: II, 3, 6-7).

როგორც დიოდოროსთან, ისე თეიმურაზთან, კორინთოს დატოვების შემდეგ მედეა თებეში ჰერაკლესთან მიდის (დიოდოროს სიცილიელი 1935: IV, 55). დიოდოროსისგან განსხვავებით, თეიმურაზის თხზულებაში მედეას ჰერაკლესთან მისვლისას უფრო ძლიერი მოტივაცია აქვს — ჰერაკლესი კოლხიდაში მედეასა და იასონს შორის დადებული ფიცის თავმდება და ამიტომ მედეას მისი დახმარების მოლოდინი აქვს. იაზონზე გაბრაზებული ჰერაკლესი საყვედურებით აღსავსე წერილს სწერს მას, მედეას კი ურჩევს, რომ ათენში წავიდეს და ეგევსს გაჰყვეს ცოლად, რამეთუ ეგევსს მისთვის შუამდგომლობა ეთხოვა, რომ მედეა ცოლად გაჰყოლოდა. უნდა ითქვას, რომ ეს ცნობა საერთოდ უცნობია ბერძნული ტრადიციისათვის.

თეიმურაზთან ათენში ჩასული მედეა ეუღლება ეგევსს და შობს მიდს (ბერძნული წყაროების მედოსს). ეს ვერსია დიოდოროსის გარდა სხვა ბერძნულ წყაროებშიც დასტურდება (აპოლოდოროსი 1921: I, 9, 28; Euripides Fragments 2008: „ეგევსი“; პავსანიასი 1918: II, 3, 8).

თეიმურაზის მიხედვით, თეზევსის ჩამოსვლის შემდეგ რალაცა მიზეზის გამო მედეა ჯერ ფინიკიაში, შემდეგ კი კოლხიდაში მიემართება. მედეას მსგავსი მარშრუტი დასტურდება დიოდოროსთანაც (დიოდოროსი სიცილიელი 1935: IV, 55). განსხვავება იმაშია, რომ დიოდოროსი ათენიდან მედეას ნასვლის მიზეზსაც ასახელებს — მედეა ცდილობდა მოენამლა თეზევსი და როცა ეს არ გამოუვიდა, იძულებული იყო დაეტოვებინა ათენი. თეიმურაზი ამის შესახებ დუმისს ამჯობინებს. განსხვავებული მომენტი აგრეთვე ის, რომ დიოდოროსთან ფინიკიიდან კოლხიდაში წასული მედეა აზიის ზემო ქვეყნებში ჩერდება და რომელიღაც ადგილობრივ მეფეს ეუღლება. რაც შეეხება მედეას კოლხიდაში დაბრუნებას, ეს ამბავი არაერთი ბერძნული წყაროსთვისაც ცნობილი (პლუტარქე 1975: თესევსი, XII, 3-7; Euripides Fragments 2008: „ეგევსი“).

თეიმურაზის მონათხრობში კოლხიდაში ჩამოსული მედეა იგებს მისი ნასვლის შემდეგ სამშობლოში განვითარებული უბედურ მოვლენათა შესახებ, იმას, თუ როგორ ჩამოაგდო მისმა ბიძაშვილმა პერსეიმ ოეტესი ტახტიდან*, როგორ გაიქცა მამამისი ტავრიაში. უნდა ითქვას, რომ ეს ამბავიც ცნობილია ბერძნული ტრადიციისათვის. ამის შემდეგ თეიმურაზი მოგვითხრობს, თუ როგორ კლავს მედეას ვაჟი მედი პერსეის და აბრუნებს მოხუცებულ ოეტესს კოლხიდაში. მედოსის მიერ პერსეისის მოკვლის თაობაზე ცნობას გვანვდის ჰიგინუსი (ჰიგინუსი 1960: ფაბ. 244). ავტორი სხვა ფაბულაშიც მოგვითხრობს მედოსის მიერ პერსეისის მოკვლისა და აიეტისთვის ტახტის დაბრუნების შესახებ, ოღონდ ეს ამბავი აქ განსხვავებულ კონტექსტშია წარმოდგენილი (ჰიგინუსი 1960: ფაბ. 27).

მითის თეიმურაზისეულ ინტერპრეტაციის მიხედვით, მიდი კოლხიდაში მოსახლეობის დიდ სიყვარულს მოიპოვებს. მას დიდძალი ჯარის სათავეში დააყენებენ, რის შემდგომაც იგი პონტოს ზემოთ მდებარე ადგილებს დაიპყრობს და მას მიდიას უწოდებს. მედოსის მიერ მიდიის დაპყრობა და მისთვის სახელის მიცემა ასევე ფართოდ ცნობილი ბერძნული ტრადიცია გახლავთ (აპოლოდოროსი 1921: I, 9, 28; სტრაბონის „გეოგრაფია“ 1957: XI, 13, 10; Scholia vetera et paraphrases in Lycophronis Alexandram 2002: schol. 175; 1443; სტეფანე ბიზანტიონელი 1849: სტ. Mhdia და სხვ.).

ვფიქრობთ, ჩატარებულმა კვლევამ ცალსახად აჩვენა, რომ თეიმურაზ ბატონიშვილი — ცნობილი ქართველი ინტელექტუალი და მწერალი ერთობ კარგად იცნობდა, ზოგადად, ანტიკურ მემკვიდრეობას და კერძოდ, არგონავტების მითოსის ძველ ბერძნულ წყაროებს უმთავრესად მათი რუსული თარგმანებით, თუმცა არც ორიგინალში მათი გაცნობა უნდა იყოს გამორიცხული. არგონავტების მითის ძველ ბერძნულ ვერსიათა ცოდნაზე მეტყველებს მითოსის I ნაწილის ინტერპრეტაცია, რომელიც, მართალია გვიდო დე კოლუმნის თხზულებას ეყრდნობა, მაგრამ რომელშიც ასევე

* პერსეის ბერძნული წყაროების მიხედვით არის არა მედეას ბიძაშვილი, არამედ ბიძა — აიეტის ძმა.

ვხვდებით თეიმურაზის მიერ შეტანილ იმ ამბებს, რომლებიც ძველ ბერძნულ წყაროებში დასტურდება.

ამ მითოსის ინტერპრეტაციის დროს წყაროთა თეიმურაზისეული შერჩევა ერთგვარ ტენდენციაზე მიგვანიშნებს, რაც განსაკუთრებით მედეას სახის დახატვისას ვლინდება. მედეას თეიმურაზთან კოლხიდიდან გაქცევისას მიჰყავს თავისი ძმა, მაგრამ იგი არა მარტო არ სახელდება ძმის მკვლელად (როგორც ეს რიგ ბერძნულ წყაროებში ხდება), არამედ მწერალი ხაზგასმით აღნიშნავს ძმისადმი მედეას განსაკუთრებულ სიყვარულს. თეიმურაზს ასევე არ გამოჰყავს მედეა თავისი შვილების მკვლელად და ამ შემთხვევაშიც იგი ძველ ბერძნულ წყაროებში ცნობილ ვერსიებს მისდევს. ათენიდან მედეას ნასვლის გადმოცემისას თეიმურაზ ბატონიშვილი დუმილით უვლის გვერდს ნასვლის მიზეზს — მედეას მიერ თეზევსის მოწამვლის მცდელობას. მედეას სტატუსის წარმოჩენას უნდა ემსახურობდეს თეიმურაზის ცნობა ეგევსის ცოლობაზე მედეასთან ჰერკულესის შუამდგომლობის შესახებ, რაც საერთოდ უცნობია ბერძნული ტრადიციისათვის. მედეას სიმპათიურად დახატვას ხელს უწყობს მისი ფსიქოლოგიური პორტრეტის სხვა ნიუანსებიც — იასონისადმი თავისი ნების გაცნობის დროს ნაკლები კატეგორიულობა, მისი დარიგებისას გამოჩენილი განსაკუთრებული გულისხმიერება, მედეას ტაქტი და სიბრძნე, რაც გაცნობისთანავე სიყვარულს აღძრავს ბერძენ ჭაბუკში და ა. შ. ეს გარემოებანი, ჩვენი აზრით, მედეას სახის ინტერპრეტაციის გარკვეულ ტენდენციას უყრის საფუძველს. როგორც აღმოჩნდა, დასახელებული ტენდენცია ფრიად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და ქართულ კულტურასა და ცნობიერებაში მედეას სახის რეცეპირების ერთ-ერთ უმთავრეს ხაზად ჩამოყალიბდა.

დამონეშვანი:

ამაშუკელი 1954: Амашукели Е. В. *Миф об Аргонавтах в грузинской литературе*. (Автореферат). Тб.: 1954.

აპოლოდოროსი 1921: Apollodorus. *The Library*. Translated by Frazer J.G. Loeb Classical Library. Cambridge, MA: Harvard University Press, 1921. vol. 1- 2.

აპოლონიოს როდოსელი 1948: აპოლონიოს როდოსელი. *არგონავტიკა* (ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და განმარტებები დაურთო ა. ურუშაძემ). თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1948.

ასათიანი 1987: ასათიანი ვ. *ანტიკურობა ძველ ქართულ მწერლობაში*. თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1987.

ახობაძე 1973: ახობაძე ლ. *თეიმურაზ ბატონიშვილის თხზულების „ჭრიკა და ოქროსმატყლოვანისათჳს ვერძისა“ წყაროს საკითხისათვის*. მრავალთავი III, 1973.

დიოდოროს სიცილიელი 1935: Diodorus Siculus. Loeb Classical Library. Cambridge, MA: Harvard University Press, 1935.

ელიანე 2010: ელიანე. *ნაირ-ნაირი ამბები*. (რედაქტორი ი. გარაყანიძე). თბ.: პროგრამა „ლოგოსი“, 2010.

კეკელიძე 1945: კეკელიძე კ. *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*. თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1945, ტ. II.

პავსანიასი 1918: Pausanias. *Description of Greece*. with an English Translation by Jones W.H.S., Litt.D., and Ormerod H.A. Cambridge, MA: Harvard University Press, 1918. vol .1-4.

პლუტარქე 1975: პლუტარქე. *რჩეული ბიოგრაფიები* (ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო ა. ურუშაძემ). თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1975.

რუხაძე 1960: რუხაძე ტ. *ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVIII სს)*. თბ.: 1960.

სტეფანე ბიზანტიონელი 1848: *Stephanus of Byzantium*. Meineke A. (editor). Berolini, 1849.

სტრაბონი 1957: სტრაბონი. *გეოგრაფია* (ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და განმარტებები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა). თბ.: 1957.

ტვოროგოვი 1972: Творогов О. В. Повести о Троянской войне в русской рукописной традиции: *Троянские сказания. Средневековые рыцарские романы о Троянской войне по русским рукописям XVI-XVII веков*. Л.: Наука, 1972.

ურუშაძე 1964: ურუშაძე ა. *ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში*. თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1964.

ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტართა ქართული ვერსია 1989: *ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტართა ქართული ვერსია*. გამყრელიძე ალ. და ოთხმეზური თ. (გამომცემლები). თბ.: 1989.

ქართლის ცხოვრება IV 1973: *ქართლის ცხოვრება IV* (ხელნაწერთა მიხედვით ტექსტის დამდგენელი ყაუხჩიშვილი ს.). თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1973.

ყაუხჩიშვილი 1949: ყაუხჩიშვილი ს. *ბერძნული ლიტერატურის ისტორია*. თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1949, ტ. II.

შარაძე 1974: შარაძე გ. *თეიმურაზ ბაგრატიონი. II. შემოქმედება*. თბ.: „მეცნიერება“, 1974.

ჰიგინუსი 1960: *The Myths of Hyginus*. translated and edited by Grant M. Lawrence: University of Kansas Press, 1960.

Euripides fragments 2008: *Euripides fragments*. Collard Ch., Cropp M. (editors). Harvard University Press, 2008.

Euripidis Medea mit Scholien. Diehle E. (editor). Bonn, 1911.

Die Fragmentem der Griechischen Historiker. Jacoby F. (editor). Leiden: Brill, 1999. v.I.

Poetae Melici Graeci. Page, D. L. (editor). Oxford: Clarendon Press, 1962.

Poetarum epicorum Graecorum testimonia et Fragmenta. Bernabe A.(editor). Leipzig, 1987. pt.1.

Scholia vetera et paraphrases in Lycophronis Alexandram. Leone P. (editor). Galatina (Lecce): Congredo, 2002.

MAIA NACHKEBIA

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Cult of the Saint King in Medieval Bohemia

Image of the saint king was one of the most significant phenomenon of the medieval thinking. In the early hagiographic traditions, saints (St. Ludmila and St. Wenceslas) were not only religious figures but also a persons opposing the secular government. When grand son of St. Ludmila, young St. Wenceslas inherited the throne, his mother, pagan Drahomira became the regent of her young son and Ludmila took care of her grand son's education. Similarly, As for St. Wenceslas, he was killed by his younger brother, Boleslav. The Cult of St. Wenceslaus emerged in the second half of the 10th century and it was supposedly initiated by Prague Episcopacy. St. Wenceslas, the first patron saint of Czech lands in the medieval period. St. Ludmilas cult was established latter, and double vite in our opinion saved as legitimation for Ludmilas cult.

Key words: Slav lands, Christianity, cult

მანია ნაჭყებია

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

მეფე-წმინდანის კულტი შუა საუკუნეთა ჩეხეთში

მეცხრე საუკუნის დამდეგს დაიწყო აღმოსავლეთ ევროპის სლავური მიწების მოსახლეობის ქრისტიანობაზე მოქცევის პროცესი. იქ მცხოვრებ წარმართთა გაქრისტიანების ბიძგი სამხრეთიდან და დასავლეთიდან მოდიოდა, სადაც შესაბამისად, ამ ამოცანის შესრულება რომაელ და ფრანკ მისიონერებს დაევალათ: ამგვარად, ბოჰემიელები მათი მისიონერული მიზნების ობიექტად იქცნენ.

მეცხრე საუკუნის პირველი ათწლეულის განმავლობაში, სლავმა მმართველმა მოიძირობა ჩამოაყალიბა ცენტრალური ევროპის პირველი დინასტიური სახელმწიფო „დიდი მორავას“ სახელწოდებით. გარკვეულ პოლიტიკურ მიზეზთა გამო მორავის მთავარმა — როსტისლავმა ბიზანტიის იმპერიასთან დაამყარა სამოკავშირეო ურთიერთობა. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა მორავას მთავრის სიტყვები: „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა ხალხმა უარი თქვა წარმართობაზე და ქრისტიანულ წესებს იცავს, ჩვენ არ გვყავს მოძღვარი, რომელიც ჩვენს ენაზე დაგვმოძღვრავდა“ („კონსტანტინეს ცხოვრება“, თავი 14).

სწორედ ამის შედეგი იყო, რომ 863 წელს მორავაში ქრისტიანული მისია ჩავიდა, რომელსაც სათავეში ძმები კონსტანტინე და მეთოდე ედგნენ. ვინაიდან იმ დროს სახელმწიფო და ეკლესია მჭიდროდ იყო ურთიერთ გადაჯაჭვული, როსტისლავის მიმართვა ბიზანტიისადმი ასევე პოლიტიკური აუცილებლობით იყო გამოწვეული. ერთი მხრივ, დიდი მორავას დამოუკიდებლობისთვის ფრანკების მისიონერული საქმიანობა დიდ საფრთხეს წარმოადგენდა, მეორე მხრივ, ასევე მნიშვნელოვანი იდგა იყო ისეთი ეკლესიის შექმნა, რომელიც გერმანულ პოლიტიკურ ექსპანსიას გაუმკლავდებოდა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუ დასავლური ეკლესია „lingua sakra“-ად ლათინური ენის გამოყენებას მოითხოვდა, აღმოსავლეთის ეკლესიას ადგილობრივ ენაზე მსახურების ტრადიცია ჰქონდა და ვინაიდან იმ დროს სლავებს ანბანი არ გააჩნდათ, მაშასადამე, ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი საეკლესიო ენასა და სლავებისთვის ანბანის შექმნა იყო.

ძმები კონსტანტინე და მეთოდე თესალონიკში დაიბადნენ. მათი მშობლები ბიზანტიელები იყვნენ: „თქვენ ორივე თესალონიკელები ხართ, ხოლო ყველა თესალონიკელი წმინდა სალავურეზე საუბრობს“ („მეთოდეს ცხოვრება“, თავი 5) — ასე მიმართა მათ ბიზანტიის იმპერატორმა მიხეილ მესამემ და ეს სიტყვები მოწმობს, რომ ძმები ორენოვანები იყვნენ და ფლობდნენ როგორც ბერძნულ, ისე სლავურ ენასა. კონსტანტინე განსაკუთრებულ ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე, უაღრესად ერუდირებული პიროვნება იყო, მან სლავებს ანბანი და ლიტერატურული ენა, პირველი სლავური დამწერლობა შეუქმნა, რომელიც ძველი საეკლესიო სლავური ენის სახელწოდებითაა ცნობილი, რაც დასავლეთ სლავეთში — დიდ მორავაში, მისი მისიონერული მოღვაწეობის ინსტრუმენტს წარმოადგენდა. საეკლესიო სლავური ემყარებოდა საერთო სლავურ ენას, რომელსაც სლავები იყენებდნენ მანამდე, სანამ მოხდებოდა მათი დიფერენციაცია ცალკეულ ერებად. ეს იყო ახალი აღთქმისეული ბერ-

ძნულის მოდელზე მორგებული სალიტერატურო ენა, ხოლო კონსტანტინეს კოდიფიკაცია ზედიალექტური იყო თავისი სტრუქტურით; იგი რეგიონალურ სლავურ დიალექტზე ყველა მოსაუბრეს უნდა სცოდნოდა; ეს გაცილებით უფრო მარტივი იყო, ვიდრე უცხო ბერძნულისა თუ ლათინურის შესწავლა.

უდავოა, რომ თესალონიკელი ძმების მისიამ გარდამტეხი როლი შეასრულა „დიდი მორავასთვის“ და მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ბიზანტიური მისიის შემდგომ წარმატებაში, ისე სლავების ქრისტიანობაზე მოქცევის საქმეში.

მაგრამ ცენტრალურ ევროპაში სლავური ეკლესიის პირველი პერიოდი ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა. როსტისლავის მემკვიდრე, სვიატოპულკი არ უწყობდა ხელს ბიზანტიელი მისიონერების მიღწევებს და 885 წელს მეთოდეს გარდაცვალების შემდეგ სლავური ეკლესიის საქმიანობა შეწყდა, ხოლო აღმოსავლელი მისიონერები დასავლელმა მისიონერებმა შეცვალეს. სვიატოპულკის სიკვდილის შემდეგ (894 წ.) ქვეყანამ თანდათან დასუსტება იწყო, მაღიართა (უნგრელთა) შემოსევებმა ბოლო მოუღო დიდ მორავას და ორად — დასავლეთ და აღმოსავლეთ სლავებად დაყო იგი.

მაშინ, როდესაც მორავას აყვავების ხანა ედგა, ბოჰემია (ჩეხეთი) ჩრდილში იმყოფებოდა. ინფორმაციას ბოჰემიის ზოგიერთი მოვლენის შესახებ გერმანული ქრონიკები გვანვდიან, რომელთა მიხედვითაც ჩეხი მხედართმთვრები ბავარიაში, რეგენსბურგში ჩავიდნენ ქრისტიანული მითითებების მისაღებად და მდინარე რჟეზნოში მიიღეს ნათლობა. მაგრამ ეს კერძო პირების პირადი ინიციატივა იყო და არა მთლიანი მოსახლეების მასობრივი გაქრისტიანება (კრალიკი 1968: II).

ბოჰემიის, როგორც სახელმწიფოს ჩამოყალიბებას რამდენიმე ლეგენდა უკავშირდება, მათგან ყველაზე ცნობილი ჩეხური დინასტიის — პრჟემისლიდთა დინასტიის წარმოშობას ეხება, რომელმაც ბოჰემიას ორი სამეფო წმინდანი — წმ. ვაცლავი და წმ. ლიუდმილა მისცა. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ლიბუშამ, მეფის ასულმა, წინასწარმეტყველების თანახმად მეუღლედ და ჩეხეთის მომავალ მმართველად გლეხი პრჟემისლი აირჩია. ეს ლეგენდა რამდენიმე ლიტერატურულ ნაწარმოებში აისახა, რომელიც ჩეხეთის გაქრისტიანებას ეხება (*Legenda Cristiani da Diffundenete Sole*). პირველ, ქრისტიანობაზე ახლადმოქცეულ მმართველად ბორევი მოიხსენიება, ხოლო მისი მონათვლის თარიღად 873 წელი სახელდება.

აღსანიშნავია შემდეგი: *Diffundente sole*-ს მეექვსე თავში ნათქვამია, რომ მეთოდემ პირადად მონათლა ბორევის მეუღლე ლიუდმილა: „მეთოდე ჩეხეთში ჩამოვიდა და მონათლა წმინდა ლიუდმილა და მრავალი ადამიანი“ გარდა ამისა „წმინდა ლიუდმილას ცხოვრებაში“, რომელიც მეთერთმეტე, საუკუნის მინურულს არის შექმნილი, აქცენტი გაკეთებულია ლიუდმილას ქებაზე, რომლის რწმენამაც ბორევის გაქრისტიანებაზე დიდი გავლენა იქონია და ბორევი ლიუდმილაზე დაქორწინების შემდეგ მოექცა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე“ (კანტორი 1990: 22).

როგორც მკვლევარი მ. კანტორი აღნიშნავს, ბოჰემიის მოქცევის „მეთოდესეული კონცეფცია“ ცდილობს ბოჰემიისა და დიდი მორავის გაქრისტიანების ერთმანეთთან დაკავშირებას და ბოჰემიას განიხილავს, როგორც დიდი მორავის კულტურულ და პოლიტიკურ მემკვიდრეს.

წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ მხოლოდ ერთ ნაშრომს, ეს არის „ქრისტიანის ლეგენდა“ (Legenda Christiani) — „წმ. ვაცლავის და მისი ბების — წმ. ლიუდმილას ცხოვრება და მარტვილობა“ (კრალიკი 1968 : 59-87; კანტორი 1990: 159-173) ე.წ. ორმაგი ცხოვრება.

როგორც ცნობილია, „ცხოვრებები“ ახლადდამკვიდრებული ქრისტიანული ლიტერატურის მთავარ ჟანრს წარმოადგენდა. ვინაიდან „ცხოვრება“ ქრისტიანული ლიტურგიის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო, ეკლესიის არქივებმა უამრავი „ცხოვრება“ შემოგვინახა. გარკვეულწილად უძველესი „ცხოვრებები“ ქრონიკების ფუნქციას ასრულებს, ვინაიდან ისინი ადგილობრივ წმინდანებს ეძღვნებოდა და შესაბამისად ასახავდნენ თანამედროვე ისტორიულ მოვლენებს. ლიუდმილა, როგორც მონამე და წმინდანი, ჩეხურ ჰაგიოგრაფიას ეკუთვნის, მაგრამ ამავე დროს, როგორც დედოფალი, იგი ეროვნული ჩეხური ისტორიის ნაწილს წარმოადგენს.

პირველ რიგში მცირე განმარტება ავტორთან და სათაურთან დაკავშირებით: „წმ. ვაცლავის და მისი ბების — წმ. ლიუდმილას ცხოვრება და მარტვილობა“ იგივე „legenda kristiani“ ანუ „ქრისტიანის ლეგენდა“ დაინერა პრატის ეპისკოპოსის, ადალბერტის დაკვეთით დაახლოებით 992-996 წლებში. ლეგენდის ავტორი არის ბერი, რომელიც ნაშრომის შესავალშივე საკუთარ თავს მოიხსენიებს, როგორც „ქრისტიანს“. ამ აგიოგრაფიული თხზულების დანერის მიზნად იგი ასახელებს იმას, რომ წმ. ვაცლავის და მისი ბების — წმ. ლიუდმილას წამება აქამდე არ იყო სრულად აღწერილი. ამ ჩეხ წმინდანებს იგი მოიხსენიებს „ვარსკვალავებად, რომლებიც თავისი სათნოებების ნათელით ანათებენ თავის სამშობლოს და მთელ ჩეხ ხალხს“. მისი მიზანია შეასწოროს შეცდომები და შეავსოს დანაკლისი, გამოკითხოს მოხუცები, რომელთაც ის დრო ახსოვთ და ის მორწმუნე ადამიანები, რომლებიც მათი საქციელის თვითმხილველები არაინ ან ამის შეასხებ სხვებისგან იციან. იგი წერს: „ასეთი არაჩვეულებრივი წმინდანების და ქრისტესთვის მონამეთა ნაწილები სხვა ქრისტიან ერებს რომ ჰქონოდათ, მათი საქმე დიდი ხანის წინ ოქროს ასოებით გამოისახებოდა, გალობითა და ქადაგებებით შეიმკობოდა და მრავალი ეკლესია აიგებოდა; ჩვენ კი მათ მიმართ უღირსად ვიქცევით, თითქოს ურწმუნოებად ვრჩებით და მათთვის მსახურება არ გვსურს“ (კრალიკი 1968: 58-59).

ახლა, რაც შეეხება თავად სიტყვა „ლეგენდას“ მოცემულ კონტექსტში. ლეგენდა შუა საუკუნეებში წარმოადგენდა გალექსილ ან პროზაულ სასულიერო ეპიკის ჟანრს, რომელიც მოგვითხრობს ეკლესიის წმინდანთა ცხოვრების, საქმეების, სასწაულების და წამების შესახებ. თავდაპირველად აღნიშნავდა კანონიკური ცხოვრებებიდან რჩეული ადგილების საჯაროდ კითხვას, რაც მათი ხსენების დღეს ხდებოდა ეკლესიაში ლიტურგიის ან მონასტერში საერთო ტრაპეზის დროს (სლოვნიკი 1984: XXX).

თქმულებები, რომლებიც წმ. ლიუდმილასადმი არის მიძღვნილი, ბოჰემიის უმნიშვნელოვანეს მოვლენასთან — ქვეყნის გაქრიატიანებასთან არის დაკავშირებული. მაშასადამე, ის ფაქტი, რომ ლიუდმილა ცხოვრებებში რელიეფურადაა წარმოდგენილი, არ არის შემთხვევითი. ნაშრომში განსახილველად რამდენიმე ნაწარმოები წარმოვადგინეთ, თითქმის ყოველი მათგანი ერთნაირ ინფორმაციას შეიცავს მცირეოდენი სახესხვაობებით.

ერთ-ერთი წყაროს — „ბოჰემიის პროვინციაში მომხდარის“ მიხედვით მოვლენათა განვითარება, რომლებიც ოჯახში დატრიალდა, შემდეგია: ლიუდმილას მეუღლის — ბორევის სიკვდილის შემდეგ მმართველობა სპიტიჰნევს გადაეცა, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ მისმა ძმა ვრატისლავმა თავის ხელში აიღო მმართველობა. დაახლოებით 920 წელს გარდაიცვალა ვრატისლავი, რის შემდეგ მმართველობა მცირენლოვან ვაცლავზე გადავიდა, ხოლო მისი დედა დრაჰომირა მცირენლოვანი ვაჟის რეგენტი გახდა. ტრადიციის თანახმად ვაცლავი 907 წელს დაიბადა ლიბუშინის მახლობლად სტახოვში. ითვლება, რომ იგი სლავმა მოძღვარმა პავლემ მონათლა, სწორედ მისგან შეისწავლა ვაცლავმა სლავური დამწერლობა მისი ბებრის — ლიუდმილას მოთხოვნით. როგორც უკვე ითქვა, ვრატისლავის გარდაცვალების შემდეგ მმართველობის სადავეები დრაჰომირას ხელში აღმოჩნდა, ლიუდმილა კი შვილიშვილის განათლებაზე ზრუნავდა. შესაძლოა, სწორედ ამ ფაქტმა გამოიწვია დაძაბულობა რძალ-დედამთილს შორის. დრაჰომირას მიაჩნდა, რომ მისი გავლენა ვაცლავზე მინიმალური იყო და თვლიდა, რომ მისი ვაჟი მღვდლებმა გააფუჭეს. ზოგიერთი წყარო ამას ხსნის კონფლიქტით დრაჰომირას წარმართობასა და ლიუდმილას ქრისტიანობას შორის, რამაც საბოლოოდ ლიუდმილას მკვლელობა გამოიწვია. დრაჰომირას შესძულდა თავისი დედამთილი ლიუდმილა, რომელიც მრავალ სათნოებას ამჟღავნებდა და ამიტომ მისი განადგურება ჩაიფიქრა: „რად უნდა იყოს იგი, როგორც ახლა არის, ჩემი მბრძანებელი? მე მას მოვსპობ, ხელში ჩავიგდებ ყოველივეს, რასაც იგი ფლობს და ყოველგვარი წინააღმდეგობების გარეშე ვმართავ თავისუფლად“ („ბოჰემიის პროვინციაში მომხდარი“..., თავი 4). როგორც კი ლიუდმილამ ამოიცნო მისი გეგმა, უთხრა: „მე არ ვისწრაფი მმართველობისკენ, ძალაუფლების უმცირესი წილიც კი არ მწყურია“. ამის შემდეგ ლიუდმილა გადასახლდა პატარა ქალაქ ტეტინში, სადაც იგი დრაჰომირას უსინდისო თანამზრახველებმა მოკლეს. კრისტიანის თქმულება და წმინდა ლიუდმილას ქადაგება მეტ ინფორმაციას გვანვდის დრაჰომირას წარმოშობის შესახებ. ორივე, „ბოჰემიის პროვინციაში მომხდარისგან“ განსხვავებით მას წარმართად წარმოადგენს: „მას (ვრატისლავს) ჰყავდა მეუღლე დრაჰომირა, წარმოშობით სტოდორანედან, წარმართ სლავთა მიწიდან“ („ცხოვრება და მარტვილობა“..., თავი 3).

კონფლიქტი ლიუდმილასა და დრაჰომირას, მის რძალს შორის, რაც ტექსტის ფაბულას წარმოადგენს, მოწოდებულია ქრისტიანულ კონტექსტში, ახალი და ძველი აღთქმების ტექსტების აღუზიებით და ციტირებით: იგი შედარებულია იეზაბელთან, რომელმაც წინასწარმეტყველები დახოცა და ევასთან, რომელმაც კაინი და აბელი შვა.

ყველა ავტორისთვის ლიუდმილა ურწმუნოთა მსხვერპლია, ადამიანი, რომელიც სარწმუნოებისთვის კვდება და ქრიატიან მონამეთა კატეგორიაში გადადის: მისი მოსამსახურეები მისი მკვლელების მოახლოებისას ძრწიან, მაგრამ თავად იგი სიკვდილს ყოველგვარი პროტესტის გარეშე იღებს, ისე, როგორც მსხვერპლს უფლისთვის. ლიუდმილა „ღვთისმოსავი და უფლის ერთგული მიმდევარია, რომელმაც თავი ღირსეული სამკაულით შეიმკო“ („ცხოვრება და მარტვილობა“..., თავი 3). მაშასადამე, ლიუდმილა ქრისტიანი დედოფლის იდეალურ სახეს წარმოადგენს.

სამეფო წმინდანობა

წმ. ვაცლავის კულტი

წმ. ვაცლავის კულტი წარმოიშვა X საუკუნის მეორე ნახევარში. წმინდანის თაყვანისცემის ინიცირება, როგორც ჩანს, მოხდა პრადის საეპისკოპოსო კათედრის შექმნით (ცცა. 973), რომელიც დაინტერესებული იყო თავისი პრესტიჟის გამყარებით. „საკუთარი“ მფარველი წმინდანი ტრადიციულად ამ მიზნის მიღწევის საწინდარი იყო. წმ. ვაცლავი, როგორც ქრონოლოგიურად (მიუხედავად იმისა, რომ მისი ბეზია — წმ. ლიუდმილი მასზე ადრე აღესრულა მონამებრივად), ისე თავისი მნიშვნელობითაც ჩეხეთის პოლიტიკური, კულტურული და სულიერი ცხოვრებისთვის პირველი წმინდა პატრონია შუა საუკუნეთა ჩეხეთისა.

წმ. ვაცლავის მკვლევლობა ძმის მიერ გახდა ბიძგი იმისა, რომ ჩამოყალიბებულიყო წმინდანის კულტი.

არ არის ნათელი, კულტის საწყისს პირველი ცხოვრებების შექმნამ შეუწყობ ხელი, თუ სტიქიური თაყვანისცემის პრაქტიკამ. ამ საკითხს საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა პირერ ბრაუნმა: „წმინდანთა კულტი! (ბრაუნი 2004).

უდავო პოლიტიკურ და რელიგიურ მნიშვნელობას წმინდანის სახე ჩეხური საზოგადოებისთვის იძენს XI საუკუნის შუა წლებში. ამ დროს კულტი არა მხოლოდ ფართოდ ვრცელდება, არამედ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ კონოტაციასაც იძენს. ამაში აისახა პოლიტიკური და სოციალური იდენტიფიკაციის ახალი ფორმები, ჩეხების მმართველებმა გააცნობიერეს რელიგიური სიმბოლოების მნიშვნელობა დინასტიის რელიგიური რეპუტაციის განმტკიცებისთვის (პანამარიოვა 1996).

წმ. ლიუდმილას კულტი

წმ. ლიუდმილას კულტი არ ჩამოყალიბებულა ისე სწრაფად, როგორც წმ. ვაცლავისა. ლიუდმილა აღესრულა 921 წელს, მისი კულტის შესახებ ცნობა კი მხოლოდ 1100 წელის მახლობლად ჩნდება და მას ე.წ. „კოსმას ქრონიკა“ გვანვდის.

ქრონიკაში საუბარია სასწაულზე, რომლის ჩვენებაც იწება ნამებულმა ლიუდმილამ. ეს ამბავი უკავშირდება ილუმენია ვინდელმუთს, რომელმაც განაახლა წმ. პეტრე მოციქულის ტაძარი. მან ეპისკოპოსს სთხოვა ტაძრის კურთხევა, წესისამებრ სკივრში ჩაალაგა წმინდა ნაწილები და მათთან ერთად ეპისკოპოსს მტკაველისოდენა ქსოვილიც მიანოდა. ეს ქსოვილი წმ. ლიუდმილას თავსაბურავის ნაგლეჯი იყო და ილუმენიამ ეპისკოპოსს მისი კურთხევაც სთხოვა, რაზეც ეპისკოპოსმა გაღიზიანებით მიუგო: „გაჩუმიდით ქალბატონო, მის წმინდანობაზე არაფერი ვთქვათ, მშვიდად განისვენოს მოხუცმა“, რაზეც ილუმენია ვინდელმუთმა უპასუხა: „ამას ნუ იტყვით, ბატონო, რადგან მისი დამსახურებების გამო ღმერთი ყოველდღიურად უამრავ სასწაულს აღასრულებს“. მაშინვე ეპისკოპოსის ბრძანებით მოიტანეს დიდი ქვაბი. რომელიც გავარვარებული ნაკვერჩხლებით იყო სავსე და ეპისკოპოსმა მასში წმ. სამების სახელით ჩააგდო ქსოვილი. ქსოვილის გარშემო სასწაულით კვამლი და ცეცხლი დატრიალდა, მას კი არაფერი დააკლდა. სასწაული კიდევ უფრო იმან გააძლიერა, რომ დიდი ცეცხლი ენთო და ქსოვილის ამოღება შეუძლებელი იყო, თითქოს ახლახან მოექსოვათ. ამ სასწაულმა იქ მყოფნი ძალიან გაახარა და მადლობა შესწირეს ქრისტეს“ (კრალიკი 1968: 22).

ამრიგად, ჩეხურ ლათინურენოვან „ცხოვრებათა“ შორის ყველაზე საყურადღებოა სწორედ „წმ. ვაცლავის და მისი ბების — წმ. ლიუდმილას ცხოვრება და მარტვილობა“. ჩემი კვლევისთვის სწორედ ის არის მნიშვნელოვანი, რომ აქ ორივე ჩეხი წმინდანის ამბავია თავმოყრილი, შეუძლებელია, ეს შემთხვევითი იყოს და რაღაც მიზნებს არ ემსახურებოდეს, გარდა იმ მიზნებისა, რომლებიც ავტორმა შესავალში მიუთითა. ვფიქრობ, რომ ეს სწორედ დინასტიური წმინდანობის ანუ სამეფო წმინდანობის თეორიასთან არის დაკავშირებული და დინასტიური წმინდანობის ლეგიტიმაციის ცდას წარმოადგენს.

გარდა იმისა, რომ ლიუდმილას ბოჰემიის ქრისტიანობაზე მოქცევაში მნიშვნელოვანი ნვლილი მიუძღვის, მისი სახელი ბოჰემიაში სამეფო წმინდანობის ინსტიტუტის ჩამოყალიბებასაც უკავშირდება, რომელიც შუა საუკუნეთა ევროპაში ფართოდ იყო გავრცელებული.

როგორც გაბორ კლანიცაი აღნიშნავს, სამეფო წმინდანობის მოდელი სათავეს სამი სხვადასხვა ტრადიციიდან იღებს: 1. ეს არის ელენისტური მმართველებისა და რომაელი იმპერატორების საკრალური და წმინდა ატრიბუტიკა, რომელიც შენარჩუნდა შუა საუკუნეთა ბიზანტიაში; 2. „ქარიზმატული“ თვისებები, რომლებიც მიენერებოდა გერმანელ და სხვა შუასაუკუნეთა პერიოდის მეფეებსა და მმართველებს; 3. ქრისტიანი წმინდანების კულტი, რომელიც გვიან ანტიკურ ხანაში ჩამოყალიბდა (კლანიცაი 1990: 80).

სამეფო წმინდანობის ერთ-ერთი ტრადიცია აერთიანებს წარმართულ ასპექტებს და სრულყოფილი ქრისტიანი მმართველის იდეას: ეს კონცეფცია ნათლად ჩანს აკლუნის მიერ ეტერლანდის, ნორტუმბრიის მეფისადმი (793) მიწერილ წერილში, სადაც წერია: „ჩვენ ვკითხულობთ, რომ მეფის სიქველე უდრის ხალხის კეთილდღეობას, მტერზე გამარჯვებას, მშვიდ კლიმატს, ნაყოფიერებას, ადამიანების გამრავლებას და ჯანმრთელობას“ (კლანიცაი 1990: 82).

„წმინდა ლიუდმილას წამებაში“ ნაყოფიერების კულტის წარმართული ასპექტი აშკარად იკითხება და იგი მმართველთა მონათვლასთან არის დაკავშირებული: „იმ დღიდან, როდესაც მათ ნათლობის წყალობა მიიღეს, მთელი მათი სამეფო აყვავდა“ („ბოჰემიის პროვინციაში მომხდარი“).

ლიუდმილა, როგორც დედოფალი და წმინდანი, სამეფო წმინდანობის აშკარა წარმომადგენელია, რომელიც აერთიანებს რეხ იუსტუს-ის ღირებულებებს, რაც გულისხმობს თავისი ხალხის ქრისტიანობაზე მოაქცევას, საეკლესიო ინსტიტუციების აღმშენებლობის ხელშეწყობას, წარმართობასთან ბრძოლას და ამ ბრძოლაში მონაშემრივ აღსასრულს.

შუა საუკუნეთა ევროპაში მეფობის სხვადასხვა ფორმების საკრალური ლეგიტიმაციის ევოლუციასა და გავრცელებაზე ამჯერად არ ვისაუბრებთ, აღვნიშნავთ, რომ ევროპაში მეფობის ლეგიტიმაციის სიმოკლისთვის მიღებულ იქნა „ცენტრის“ და „პერიფერიის“ მოდელი. ეს დიქოტომია შეესაბამება თანამედროვე განსხვავებას იმ ტერიტორიებს შორის, რომლებმაც რამდენიმე საუკუნის წინ მიიღეს ქრისტიანობა და მათ შორის, რომლებიც ცოტა ხნის წინ მოექცნენ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე (კანტორი 1990: 123).

ბოჰემია, რა თქმა უნდა მიეკუთვნებოდა „პერიფერიას“, რომელიც გ. კლანიცაის ახლად დამკვიდრებული სამეფო წმინდანობის პოლიტიკური თვალსაზრისით წარმატებით გამოყენების ნიმუშად მოჰყავს იმ ქვეყნებში, რომლებიც ახლად იყვნენ მოქცეულნი ქრისტიანობაზე. როგორც მკვლევარები მიიჩნევენ, წმინდა ვაცლავის პიროვნება მრავალი თვალსაზრისით ჰგავდა მეროვინგების

და ანგლო-საქსური სამეფო წმინდანობის ინსტიტუტებს. ლიუდმილას შვილი-შვილი ვაცლავი, როგორც ამას მისი დედა ამბობდა, უვარგისი მმართველი იყო, რადგან „იგი გააფუჭეს მღვდლებმა და იქამდე მიიყვანეს, რომ ბერად აქციეს“, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ იმის ნაცვლად, რომ მას სიმტკიცე ერგენებინა, მან საპყრობილეების მოსპობა ბრძანა. ერთის მხრივ, მან მარტვილის სიკვდილი მიიღო ისევე, როგორც ანგლო-საქსმა მეფეებმა და მის თაყვანისცემას პოლიტიკური ფუნქცია მაშინვე მიენიჭა, ისევე როგორც ეს ბრიტანეთში მოხდა. მისმა ძმა ბოლესლავმა, მისმა მკვლელმა, თავად ბრძანა ვაცლავის ნემტის გადასვენება პრადის სასახლეში მისი აღსასრულიდან სამი წლის შემდეგ. მეთერთმეტე საუკუნეში მას ხშირად მოიხსენიებდნენ, როგორც პრემისლიდების დინასტიის და ჩეხების მფარველ წმინდანს. მეთერთმეტე საუკუნეში მისი თაყვანისცემას დაემატა მისი ბების — წმ. ლიუდმილას კულტი, რამაც გააძლიერა დინასტიური წმინდანობა და გააფართოვა მისი საზღვრები (კლანიცაი 1990: 82).

ბოჰემიის და რუსეთის შემთხვევაში ჩვენ ვხვდებით მარტვილის ასპექტზე ყურადღების გამახვილებას, გლეხი — შთაგონებული ვაცლავის მაგალითით მეთერთმეტე საუკუნეში — მიმართავს წამებას და ოჯახში წარმოქმნა რუსი ე.წ. „კანდიდატი“ წმინდანების საგანგებო კატეგორია — „სტარასტორეპცები“. მეთხუთმეტე საუკუნეში წმინდა ვაცლავი, მსგავსად ბევრი სამეფო წარმოშობის წმინდანისა დინასტიური წმინდანის მდგომარეობიდან იქცა ეროვნულ სიმბოლოდ ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით.

როგორც უკვე ვნახეთ, ბოჰემიამ განიცადა როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ეკლესიების გავლენა. აღსანიშნავია, რომ *Oriente iam sole*-ში (ცა 1250) ლათინელი ავტორის მიერ შეტანილია იდეოლოგიური შესწორებები, მან დაარღვია ისტორიული მოვლენების და პირების ქრონოლოგია. მაგალითად, მის ნაშრომში ჩვენ ვკითხულობთ, რომ ვაცლავის ცხოვრება იყო ბრძოლა წარმართობის წინააღმდეგ, რომ მისი დედა დრაჰომირა წარმართობის მტკიცე მიმდევარი და საკუთარი ვაჟს მკვლელობის თანამონაწილე იყო, რომ ვაცლავმა საჩუქრად მიიღო წმინდა ვიტუსის ნაწილები და მის საპატივცემულოდ ეკლესა ააგო, რომ მან მოუპოვა დამოუკიდებლობა თავის ქვეყნას, რომელიც მანამდე ხარკს უხდიდა იმპერიას. ამ თხზულებაში ვაცლავი პირველად არის წარმოჩენილი ნამდვილ ქრისტიან წმინდანად, რომელსაც თაყვანს სცემენ არამართო მისი სანიმუშო ცხოვრებისა და დიდი სასწაულებისთვის, არამედ როგორც თავისი ერის მფარველსა და გამათავისუფლებელს, ანუ *dux perpetuus* (კლანიცაი 1990: 84). როგორც ნათლად ჩანს, *Oriente iam sole* ბოჰემიის ლათინური საეკლესიო კონცეფციის ერთგული დარჩა, ფაქტი, რამაც გამოიწვია ის, რომ სლავური წვლილი იგნორირებულ იქნა.

დასკვნის სახით გვინდა ვთქვათ რომ სამი საუკუნის განმავლობაში ლიუდმილასა და ვაცლავის კულტმა აღმოსავლეთ და დასავლეთ ეკლესიების სამეფო წმინდანობის ტრადიცია გააერთიანა და შექმნა სამეფო წმინდანობის საინტერესო ნიმუში.

დაამონებესანი:

ბრაუნი 2004: Браун П. Культ святых, его становление и роль в латинском христианстве. Пер. с англ. М.: РОССПЭН, 2004.

კანტორი 1968: Kantor, M. The Origins of Christianity in Bohemia. Evanston 1990.

კანტორი 1990: Kantor, M., The Origins of Christianity in Bohemia. Evanston, 1990.

კლანიცაი 1990: Klaniczay, G. The Uses of Supernatural Power. The Transformation of Popular Religion in Medieval and early Modern Europe. Tr. By Susan Singerman, ed. Karen Margolis, Palmy Press, Cambridge. Princeton University Press, Princeton.

კრალიკი 1968: Králík, O. Nejstarší Legendy Přemyslovských Czech, Praha: 1968.

ნაჭყებია 2009: ნაჭყებია მ. ბოჰემიის გაქრისტიანება და სამეფო წმინდანობის ინსტიტუტის ჩამოყალიბება. სამეცნიერო პარადიგმები. თბ.: 2009.

პანამარევა 1996: Парамонова М. Ю. Генеалогия святого: мотивы религиозной легитимации правящей династии в ранней святовацлавской агиографии. Альманах Одиссей-1996. <http://krotov.info/history/10/1/para1996.html>

NESTAN RATIANI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

From Theory to Practice – „The Knight in the Panther`s Skin“ in the context of Aristotle`s „Nicomachean Ethics“ and Plato`s „Symposium“

During the Soviet times for almost all school-student it was obligatory to write an essay about love and friendship in “The Knight in the Panther`s Skin”. The hidden meaning of the word friendship should have been linked to the friendship between brother Republics, relations between different nationalities. After the collapse of Soviet Union the the topic was associated with the Soviet past and the research of this topic was labeled as banal. The aim of this article is to research why above-mentioned categories were important to the author and what are the sources that influenced Rustavelian discourse about love and friendship.

Key Words: “The Knight in the Panther`s Skin”, love, friendship, “Symposium”, “Nicomachean Ethics”.

ნესტან რატიანი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

თეორიიდან პრაქტიკამდე — არისტოტელეს „ნიკომაქეს ეთიკისა“ და პლატონის „ნადიმის“ კონტექსტში წაკითხული „ვეფხისტყაოსანი“

საბჭოთა პერიოდში ქართულ სკოლებში მოსწავლისთვის ლამის სავალდებულო იყო თუნდაც ერთი ისეთი თემის დანერა „ვეფხისტყაოსანზე“, რომლის სათაურშიც ფიგურირებდა სიტყვა „მეგობრობა“ ან „მიჯნურობა“. ამიტომაც, გეგმით გათვალისწინებულ საკონტროლო წერაზე თუ სკოლის ან განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებულ წერაზე ხშირად მოდიოდა ამ სიტყვების შემცველი დასათაურების თემები. მეგობრობა საბჭოთა პერიოდში მოძმე რესპუბლიკებს შორის, სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ხალხთა ურთიერთობას უკავშირდებოდა. შესაბამისად გასაგებია, რატომ იყო ასე აქტუალური ინდოელი და არაბი ჭაბუკების მეგობრობის შესწავლა. ამის გამო თემა გაცვეთილი გახდა და საკითხის შესწავლაც ბევრისთვის, შესაძლოა, მოყირჭებულ საქმიანობას წარმოადგენდეს. არადა, მიუხედავად იმისა, რომ პოემის პროლოგში ბევრი არაფერია ნათქვამი მეგობრობაზე (განსხვავებით მიჯნურობისგან), თავად პოემაში ეს მოტივი ძალიან აქტუალურია. ეს საკითხი განსაკუთრებით საინტერესო კი მაშინ ხდება, როდესაც პოემას არისტოტელეს „ნიკომაქეს ეთიკის“ მე-8 და მე-9 თავების კონტექსტში წაკითხავთ. „ნიკომაქეს ეთიკის“ ეს ორი თავი მთლიანად მეგობრობის შესწავლას ეხება.

არისტოტელე აცხადებს, რომ მეგობრობა არის „არეტე“. ეს არის სიტყვა, რომელიც ქართულად ითარგმნება, როგორც სიქველე, სათნოება, ღირსება. ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ ეს სიტყვა მომდინარეობს ომის ღმერთის არესის სახელისგან და ამდენად სიტყვაში „არეტე“ აღსანიშნავია მამაკაცური სანყისის გათვალისწინება. ლათინურ ენაშიც სიტყვა *virtue* მომდინარეობს სიტყვისგან *vir*, რაც „მამაკაცს“ აღნიშნავს. შემდეგ არისტოტელე აღნიშნავს, რომ მეგობრობის აღმოცენება ხდება იმ შემთხვევაში, თუკი ორი ჰგავს ერთმანეთს, ე. ი. ორივე ერთიანადვე თვისებების მატარებელია იმდენად, რომ ერთიცა და მეორეც ერთმანეთში საკუთარ თავს აღმოაჩინს. თუმცა იქვე არისტოტელე იმ მოსაზრებასაც შეეხება, რომ ორის დამეგობრობა მხოლოდ სანინააღმდეგო თვისებების მიზიდვის შედეგად ხდება. ასეა თუ ისე, ფილოსოფოსი დაასკვნის, რომ მეგობრობის სამი ტიპია ყველაზე მეტად გავრცელებული და ემყარება სამ ცნებას: პირველი ტიპის მეგობრობა — სარგებელს, მეორე ტიპის მეგობრობა — სასიამოვნოსა და მესამე ტიპის მეგობრობა ემყარება ღირსებას.

ის მეგობრობა, რომელიც სარგებელს ეყრდნობა, ყველაზე ხშირია. ამ დროს მეგობრები ერთმანეთში საკუთარ თავს ვერ პოულობენ, მაგრამ ერთმანეთში რაღაც სარგებელს აღმოაჩინენ. ვინაიდან სარგებელი არ არის მუდმივი თვისება, მასზე დაფუძნებული მეგობრობაც ადვილად ირღვევა. ამგვარი მეგობრობა ხშირია ხანდაზმულებში, ახალგაზრდებში, მაგრამ არ გულისხმობს ხშირ ურთიერთობას, რადგან ამ ურთიერთობით მიღებული სიამოვნება მხოლოდ სარგებლის მოლოდინს უკავშირდება და

სარგებლის მიღებისთანავე ამოიწურება. თანაც ასეთი მეგობრობის დროს ერთი მხარე „დზარალებული“ გამოდის, ხოლო მეორე მხარე მეტად ხეირობს. ეს უკვე უთანასწორობას წარმოშობს. არისტოტელეს აზრით, ამ ტიპის მეგობრობა ნათესავებს შორის და უცხოელის მიმართ გამოჩენილ სტუმართმოყვარეობასაც გულისხმობს.

მეორე ტიპის მეგობრობა, რომელიც სიამოვნებაზეა დაფუძნებული, ძირითადად ახალგაზრდებში გვხვდება, რადგან ახალგაზრდები თავიანთ ცხოვრებას ემოციებისკენ მიმართავენ. ვინაიდან სიამოვნება ადვილად მოსაბეზრებელია, ამგვარი მეგობრობაც, პირველის მსგავსად, მალევე ირღვევა. განსხვავებით პირველი ტიპის მეგობრობისგან, სიამოვნებაზე დაფუძნებული მეგობრობა ორმხრივია, რადგან ორივე მხარე თანაბარ სიამოვნებას თუ არ იღებს ურთიერთობისგან, მაშინ ეს მეორე ტიპის კი არა, პირველი ტიპის, ანუ სარგებელზე დაფუძნებული ურთიერთობაა.

აი მესამე ტიპის მეგობრობა კი, რომელიც ღირსებაზე (ბერძნ. arete) არის დაფუძნებული, მუდმივია. ის არ არის შემთხვევით აღმოცენებული და ვინაიდან ამგვარი მეგობრობის დროს ორივე მხარე ერთმანეთში თავის თავს ხედავს, ცდილობს, რომ მთლიანად დაიცალოს მეგობრისთვის და მას მთლიანად მიუძღვნას საკუთარი თავი. ასეთ შემთხვევაში მეგობარი მეგობარს მხოლოდ საუკეთესოს უსურვებს, იმას, რასაც თავის თავს უსურვებდა. ასეთი ურთიერთობის დროს ერთი მხარე უანგაროდ ეხმარება მეორეს, ისევე როგორც საკუთარ თავს, თანაც ისე, რომ მეორე მხარე მისგან ამ დახმარებას არ ითხოვს. ეს ძალიან ნააგავს დედების სიყვარულს შვილების მიმართ (თუმცა, თუკი მშობელს შვილი უყვარს როგორც თავისი ნაწილი, შვილს მშობელი უყვარს როგორც მისი არსებობის, ამქვეყნად მოვლინების წყარო). ამგვარი, მესამე ტიპის მეგობრობის არსებობა მხოლოდ კარგ და ღირსეულ ადამიანთა შორის არის შესაძლებელი. მესამე ტიპის მეგობრობა რთულად მოიძებნება, რადგან იმ ტიპის ადამიანები, რომლებიც ამგვარ ურთიერთობას აგებენ, ცოტანი არიან, განსხვავებით პირველი ორი ტიპის მეგობრობისგან, რადგან ამ ორში მონაწილე მხარე ყველანაირი ტიპის ადამიანი შეიძლება იყოს. მესამე ტიპის მეგობრობას დაშორებაც კი ვერ არღვევს, თუმცა დაშორების შემთხვევაში მისი აქტივობა შეზღუდულია და საუბრის უკმარისობა ბევრისთვის მეგობრობის დასასრულადაც კი აღიქმება. არისტოტელეს მიერ აღწერილი სამი ტიპის მეგობრობიდან ერთი ურთულესი მოსაძიებელია ცხოვრებაში. სწორედ თეორიულად აღწერილი ამ ურთულესი ტიპის მეგობრობის შესაძლებლობას აღმოაჩენს პოემა „ვეფხისტყაოსნის“ გმირი ავთანდილი. ამას უხსნის იგი როსტევან მეფესაც: „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა!“ — ამ სიტყვებში, ჩემი აზრით, სწორედ არისტოტელეს „ნიკომაქეს ეთიკაში“ გამოთქმული ცოდნა იგულისხმება. როგორც აღვნიშნეთ, მესამე მეგობრობა ძნელი მოსაძიებელია, რადგან იგი დაფუძნებულია ორი თანასწორის ურთიერთობაზე. ეს თანასწორობა ყველანაირ თანასწორობას გულისხმობს, დაწყებულს გარეგნობიდან და დამთავრებულს სოციალური წარმომავლობიდან. ავთანდილისა და ტარიელის შეხვედრა აჩვენებს, რომ ორი თანასწორი ადამიანი ხვდება ერთმანეთს, ორივე მზეა, ორივე ალვის ხეზე უმჯობესია, ორივე შვიდივე მნათობს ჰგავს! ამიტომაც ამოიცნობენ ასე ადვილად ისინი ერთმანეთში თავის თავს და ამიტომაც „მათ აკოცეს ერთმანეთსა, უცხოობით არ დარიდეს“! ამიტომაც არის,

რომ ავთანდილი მაშინვე წარმოთქვამს შემდეგ სიტყვებს: „შენ გეახლო სიკვდილამდის, ამის მეტი არა მინდა!“ ეს სურვილი უანგაროა, ამას ავთანდილისგან არ ითხოვს ტარიელი, თუმცა მისთვის გასაგებია, რომ ჭეშმარიტი მეგობრობა ასეთ მსხვერპლს მოითხოვს: „ვინცა კაცმან ძმა იძმოს, თუ დაცა იდოს, ხამს, თუ მისთვის სიკვდილსა და ჭირსა თავის არ დარიდოს“; ტექსტიდან იკვეთება, რომ ავთანდილისა და ტარიელის ეს თანასწორობა, და შესაბამისად მათი მომავალი მეგობრობა, ასმათმაც გამოიცნო: როგორც კი ავთანდილი ამცნობს, რომ იგი მიჯნურია, რომელიც მტერსაც შეებრალემა, სიკვდილს თავად ეძებს და არ ეკრძალება, ასმათი ხვდება, რომ ავთანდილი და ტარიელი სწორნი არიან და ადვილი იქნება მათი ერთმანეთისთვის „შემეცნება“, მათი ერთმანეთისთვის შეყვარება. ამიტომაც არის, რომ ასმათი ქვაბში მობრუნებულ ტარიელს მეგობრის საჭიროებაზე მიანიშნებს და მხოლოდ ამის შემდეგ წარუდგენს მას ავთანდილს: „მხეცთა თანა იარები მარტო ტევრად, არას კაცსა არ იახლებ საუბრად და შემაქცევრად ერთი კაცი შემაქცევრად შენად ვითა დაგელია?“ ცხადია, რომ ასმათის მიერ ნახსენები სიტყვა „შემაქცევარი“ მეგობარს უნდა ნიშნავდეს. ტარიელი ეთანხმება ასმათს. მან იცის, რომ მეგობარი საუკეთესო წამალია ყველასთვის, მაგრამ იმავდროულად იგი სრულიად ეთანხმება არისტოტელეს მოსაზრებას, რომ ჭეშმარიტი მეგობრის მოძებნა თითქმის წარმოუდგენელია: „ვის ძალ-უც პოვნა კაცისა, თვით სოფლად არ-მოსრულისა?.. ღმერთმან სხვამცა ეტლსა ჩემსა რაცა კაცი რად დაბადა, სიახლე და საუბარი თუმცა მისი მე მენადა! ვინმცა გასძლნა ჭირნი ჩემნი ანუ ვინმცა შეეცადა? შენგან კიდე ხორციელი, დაო, მივის არასადა“. რა თქმა უნდა, ტარიელს გააბედნიერებს ისეთი კაცის ნახვა, რომელშიც თავის თავს დაინახავს, რომელიც მისი ეტლის ქვეშ დაბადებულივით იქნება. ასმათი კი ბოლომდე ერთგულია ტარიელის, მაგრამ ასმათში ტარიელი ვერ დაინახავს თავის თავს, რადგან იგი ქალია. მხოლოდ სქესი უშლით მათ ხელს, რომ არისტოტელესეულ მესამე ტიპის მეგობრობას ხორცი შეასხან. სამწუხაროდ, ტარიელს არსად ეგულება ასმათის მსგავსად მისი გულშემატკივარი მამაკაცი და ამიტომაც გაიხარებს, თუკი ამის შესაძლებლობა მიეცემა: „თუ მიჩვენებ, დიდად გავიხარებ, სიყვარულმან მისმან, ვისთვის ხელი მინდორს თავსა ვარებ... რაცა ჩემგან ეამების, ვაამებ და შევიყვარებ“. ტარიელისა და ავთანდილის შეხვედრა და მოვლენების შემდგომი განვითარება გვიჩვენებს, რომ რუსთაველმა აღწერა, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს პრაქტიკაში არისტოტელეს მიერ თეორიულად წარმოდგენილი შეხედულება მეგობრობაზე.

საინტერესოა, რომ თავად არისტოტელეს „ნიკომაქეს ეთიკა“ პლატონის „ნადიმის“ გავლენას განიცდის, მიუხედავად იმისა, რომ პლატონის ტექსტში არა მეგობრობაზე, არამედ სიყვარულზეა საუბარი. რუსთველი ძალიან კარგად იცნობს ამ ტექსტსაც და ნაწარმოების პროლოგში გვთავაზობს სიყვარულის შესახებ „ნადიმში“ გამოთქმულ მოსაზრებათა რეზიუმეს, თუმცა მთლიანი ტექსტით საკუთარ დამოკიდებულებას გვიჩვენებს ამ დიადი გრძნობის შესახებ. როდესაც პლატონის ტექსტის რეზიუმირებაზე ვსაუბრობ, რა თქმა უნდა, ამით არანაირად არ ვაკნინებ რუსთველს, არამედ პირიქით, ვცდილობ, მკითხველს დავანახო მისი (sc. რუსთველის) უაღრესად დიდი განსწავლულობა და იმავდროულად საოცარი

უნარი, მაგალითებით გვიჩვენოს საკუთარი დამოკიდებულება რომელიმე მოსაზრების მიმართ, ანუ გვაჩვენოს, თუ როგორ ამუშავდება თეორია პრაქტიკაში. ამისათვის ჯერ მივყვეთ პლატონის ტექსტს და, სადაც საჭირო იქნება, ვაჩვენოთ, თუ რამდენად ეთანხმება რუსთველი ამ ტექსტში გამოთქმულ მოსაზრებებს.

აგათონის გამარჯვების აღსანიშნავად მის სახლში ეწყობა ბანკეტი. როგორც ჩანს, სოკრატე არ ესწრებოდა პირველ დღეს გამართულ წვეულებას და აგათონთან მხოლოდ მეორე დღეს მიდის. სტუმრები წინა დღეს შეზარხოშებულან და ამიტომ პავსანია სტუმრებს სთავაზობს, მოიფიქრონ, როგორ სვანისე, რომ ღვინომ არ აზიანოს თანამეინახენი. ამ აზრს დანარჩენებიც ეთანხმებიან. ერიქსიმახოსი სტუმრებს ახალ იდეას შესთავაზებს, ყველამ ცალცალკე წარმოთქვას ეროსის სადიდებელი სიტყვა, ხოტბა შეასხას სიყვარულის ღმერთს და ეს გახდეს მათი საუბრის მთავარი თემა. პირველად ფედროსმა ილაპარაკა. მოკლედ რომ შევაჯამოთ მისი სიტყვა, გამოვა, რომ ფედროსის აზრით, ეროსი მიჯნურთ საგმირო საქმეებისთვის აღაგზნებს. არცერთ მიჯნურს არ ენდომება, რომ მისმა სატროფომ იგი უგვან ვითარებაში დაინახოს, თავი შეირცხვინოს და ეს ამბავი გაიგოს მისმა შეყვარებულმა. ამიტომაც, ფედროსის აზრით, ომში მხოლოდ შეყვარებული ადამიანები უნდა მიდიოდნენ, რადგან ისინი ყველანაირად შეეცდებიან საკუთარი თავი მხოლოდ დადებითად წარმოაჩინონ. თუმცა ფედროსი იმასაც აღნიშნავს, რომ უფრო დასაფასებელია სიყვარულის ობიექტის მიერ თავის განირვა. ამის მაგალითად მას აქილევისა და პატროკლეს სიყვარულის ამბავი მოჰყავს: ფედროსის წარმოდგენით, პატროკლეს უყვარს აქილევისი და უფრო დასაფასებელია, რომ აქილევისი პატროკლეს გამო თავს გასწირავს და არჩევს, დააკვდეს მეგობრის ცხედარს, რომელსაც იგი უყვარდა. აქვე აღვნიშნავ, რომ თავისთავად ეს არგუმენტი (პატროკლესა და აქილევისის სიყვარულის თაობაზე) სადავოა. მაგრამ დავუბრუნდეთ იმ მოსაზრებას, რომ სიყვარული გმირობისკენ მოგვიწოდებს. ამ მოსაზრებას იზიარებს ნესტანი: „ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია? სჯობს, საყვარელსა უჩვენე საქმენი საგმირონია!“ ან „ნა, შეები ხატაელთა, თავი კარგად გამაჩვენე; გიჯობს ცუდად ნულარა სტირ, ვარდი კვლამცა რად დასტენე?“ თუმცა ტარიელის მიერ ამ მოსაზრების გაზიარებამ რა შედეგიც გამოიღო, ძალიან კარგად გამოჩნდა. ამ ამბის მოთხრობით, ჩემი აზრით, რუსთველი გვიჩვენებს, რომ ფედროსის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას უაყოფითი მხარეც აქვს და არ შეიძლება ბრმად მივინდოთ მას და პრაქტიკაში ასე გაუაზრებლად გადმოვიტანოთ.

ფედროსის შემდეგ სიტყვა წარმოთქვა პავსანიამ. მისი აზრით (და ამ აზრს შემდგომ ერიქსიმახოსიც ეთანხმება და იზიარებს), ეროსი, ისევე როგორც აფროდიტე, ორია: ურანია (ციური) და პანდემია (მინიერი). მინიერი ეროსი აღვირაბსნილია, სწორედ იგი მეფობს ბინიერ კაცთა შორის, რომელნიც განურჩევლად ყველას ეტრფიან; მათ სხეული უფრო ხიბლავთ, ვიდრე სული; მათთვის მთავარი ვნების დაცხრობაა და არა აქვს მნიშვნელობა, რა გზით მიაღწევენ სანადელს. სწორედ ამგვარი მინიერი სიყვარულის გამო გაუტყდა ზოგადად სიყვარულსაც სახელი. არადა, ამაღლებული სიყვარული საუკეთესოა, ტირანებს არ მოსწონთ, როდესაც მათ ქვეშევრდომებში ამგვარი გრძნობა გაჩნდება, რადგან ერთსულოვნებამ შეიძლება მათი ძალაუფლება დაამხოს. ალბათ, მინიერ სიყვარულზეა საუბარი, როდესაც რუსთველი „ხელობანი ქვენანი“-ის ახსენებს. მისთვის ზღვარი უნდა გაიდოს სიძვასა და მიჯნურობას შორის, რომელსაც ხშირად ბევრი ერთმანეთში ურევს. მიჯნურმა მხოლოდ ერთი საყვარელი

უნდა იკმაროს, სხვა შემთხვევაში ეს სიყვარული გადაიზრდება სიძვაში, რაც უგულოა, ადვილად დასათმობი და ცვალებადი. როგორც ვხედავთ, პავსანიას მოსაზრებას რაღაც კუთხით იზიარებს რუსთველი და რამდენიმე სტროფში გვაძლევს ციური და მინიერი სიყვარულის მახასიათებლებს. პავსანიას სიტყვა ამით არ ამოიწურება. იგი თვლის, რომ მიჯნურობის დროს არაა დასაძრახი ტირილი. სხვა ნებისმიერ შემთხვევაში ვაჟკაცისგან ტირილი სამარცხვინო იქნებოდა (აბა, წარმოიდგინეთ, რომ კაცი თანამდებობის გამო ტიროდეს ან ტიროდეს ძალაუფლების მოხვეჭის მიზნით), ხოლო მტირალი შეყვარებული კაცის განქიქებას არავინ დაინყებს. წარმოიდგინეთ, ისევე რომ იქცეოდეს კაცი, როგორც მიჯნურნი იქცევიან თავიანთი სიყვარულის ობიექტის მიმართ: „კერძოდ, ცრემლმორული ევედრებოდეს, ფეხქვეშ ეგებოდეს, მისი კარის წინ გორავდეს და ისე იმცირებდეს თავს, უკანასკნელი მონაც რომ არ იკადრებდა. დაჰგმობდნენ მას სიმდაბლისა და პირფერობისთვის. ხოლო ყოველივე ეს უბრალოდ მიეტევება მიჯნურს, რომელსაც თვით კანონი რთავს ნებას აგრე მოიქცეს, თითქოს მის ქცევაში არა იყოს რა სათაკილო და საძრახისი“. ცხადია, რომ ამ მოსაზრებას იზიარებს რუსთველი და მასაც მიაჩნია, რომ მიჯნურს სხვებთან შედარებით ყველაზე მეტად ეპატიება ცრემლი და მისგან გამოწვეული სხვა უცნაური ქცევა. თუმცა, შესაძლოა, ავტორი ბოლომდე არ იზიარებდეს ამ შეხედულებას, რადგან ნესტანის პირით იგი ამბობს: „ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია?“ ანდა, როდესაც ავთანდილს ათქმევინებს: „მიკვირს ნავლელი კაცისა ჭკუიანისა. რა მჭმუნვარებდეს, რას არგებს ნაკადი ცრემლთა ბანისა? სჯობს გამორჩევა, აზრობა საქმისა დასაგვანისა“, ანდა: „თუ ბრძენი ხარ, ყოვლნი ბრძენნი აპირებენ ამა პირსა: ხამს მამაცი მამაცური, სჯობს, რაზომცა ნელად ტირსა. ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა“. ავთანდილი (და შესაბამისად რუსთველიც) მიიჩნევს, რომ ტარიელმა არ იცის ბრძენის ნათქვამის სწორად გამორჩევა, ე.ი. მას არ შეუძლია ამოიცნოს, რა არის მართლა ბრძნული და მას ეს სიტყვები (მიჯნურის მიერ მუდმივი ტირილის შესახებ) ბრძნულად მიაჩნია: „ბრძენი ხარ და გამორჩევა არა იცი ბრძენთა თქმულე“... პავსანია ასევე მიიჩნევს, რომ მიჯნურებს, სხვებისგან განსხვავებით, მიეტევებათ ფიცის გატეხვა: „მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ, უმრავლესობის აზრით, მხოლოდ მიჯნურს შეუძლოდენ ღმერთები ფიცის გატეხას, რადგან, როგორც ამბობენ, მიჯნურის ფიცს ფიცი არ ეთქმის“. პავსანიას ამ სიტყვებმა არ შეიძლება, არ გაგვახსენოს ტარიელის მიერ ფიცის გატეხვა. ქვაბში იგი და ავთანდილი ერთმანეთს შეჰფიცავენ. ავთანდილი ეტყვის: „შენ გენუკვი, შემაჯერო, ღმერთი იღმერთო, ცაცა იცო, ერთმანერთი არ გავწიროთ, მაფიცო და შემომფიცო. რომე აქათ არ წახვიდე, შენ თუ ამას შემეპირო, მეცა ფიცით შეგაჯერო, არასათვის არ გავწირო“... ტარიელი კი ამაზე პასუხობს: „თუ გიტყუო, მოგალორო, ღმერთმან რისხვით გამიკითხოს!“ სამწუხაროდ, ტარიელი არ ასრულებს ფიცს და სიტყვას გატეხს, იგი არ დაელოდება ავთანდილს და მაინც გაიჭრება ველად. ჩანს, რომ პავსანიას მოსაზრება მისთვის ბრძნული აზრია (თუმცა ტარიელიც თავს გაიმართლებს ავთანდილთან, როდესაც ეტყვის, რომ მან ფიცი არ გატეხა და ცოცხალი დახვდა ავთანდილს). ამას არ ეთანხმება ავთანდილი და სასტიკად გაბრაზდება, როდესაც შეიტყობს ასმათისგან, რომ ტარიელმა ფიცი გასტეხა: „აჰა, დაო, ეგეთიმცა კაცი ნუა! იგი ფიცი ვით გატეხა! არ ვეცრუე, ვით მეცრუა! ვერ იქმოდა, რად მიქადა? თუ მიქადა, რად მიტყუა?!.. მან გატეხა ზენარისა რად შემართა, ვით გაპირდა?.. იგი ფიცი, ჩემგან სრული, მან აღარა გამისრულა“; ამკარაა, რომ ავთანდილი, განსხვავებით ტარიელის-

გან, არ იზიარებს პავსანიას მოსაზრებას. რუსთველი გვიჩვენებს, რომ ამ თეორიული ცოდნის (პავსანიას შეხედულება) გამოყენება პრაქტიკაში საზიანოა და აჯობებს მას არ დავეთანხმოთ (ისევე, როგორც არ ეთანხმება ავთანდილი).

რა თქმა უნდა, პროლოგში და შემდგომში მთელ ნაწარმოებში, რუსთველი არა მარტო პლატონის ამ ნაშრომს ეყდნობა. სიყვარულის შესახებ იგი სხვა წიგნებსაც მიმართავს, უბრალოდ, ჩემი მიზანი იყო, მკითხველისთვის დამენახებინა, თუ რა გავლენას განიცდიდა რუსთველი ორი დიდი ბერძენი ფილოსოფოსისგან ორ მარადიულ საკითხზე მსჯელობისას. როგორც ვნახეთ, რუსთველი პირდაპირ არ აკრიტიკებს პლატონის ტექსტში გამოყვანილ პერსონაჟთა მოსაზრებებს, არამედ ნაწარმოების სიუჟეტის განვითარებასთან ერთად უპირისპირდება ამ მოსაზრებებს. ხოლო არისტოტელეს მოსაზრებას მეგობრობის მესამე ტიპის შესახებ სრულად იზიარებს და გვაჩვენებს კიდევ, როგორ შეიძლება მუშაობდეს იგი ცხოვრებაში. ჩემი სტატიის მიზანს არ წარმოადგენდა იმის გამოკვლევა, თუ რა გზით მოხვდა არისტოტელეს ან პლატონის ნააზრევი პოემაში (ამის რამდენიმე გზა არსებობდა): უშუალოდ ბერძნულ ტექსტებზე დაყრდნობით თუ იზნ რუშდის ან ალ-ფარადის მიერ გადამუშავებული და დაკომენტირებული ვარიანტებიდან. ჩემი მიზანია დავასაბუთო, რომ რუსთველი არა უბრალოდ ამ ორი ფილოსოფოსის გავლენას განიცდის, არამედ ცდილობს, რომ გვაჩვენოს, თუ როგორ შეიძლება იმუშაოს თეორიამ პრაქტიკაში.

დამონებიანი:

არისტოტელე: classics.mit.edu/Aristotle/nicomachaen.html doggo.ripod.com/doddarete.html

პლატონი 1964: პლატონი. ნადიმი. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვა და კომენტარები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1964.

რუსთაველი: რუსთაველი შ. ვეფხისტყაოსანი. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1970.

OKSANA FILATOVA

Ukraine, Mykolaiv

Mykolayiv V.O. Sukhomlynsky National University

Dynamics of formation of the author's identity: the medieval context

The research of correlations between authentic literature and its Old Russian translated versions shows the typical representative author's character of the first written monuments of literature, which is identified firstly with the authoritative name of the creator(s) or originator(s) of a work that exists as an absolute authority. The first signs of artistic personality appear in the original Old Russian literature, in those works that combine a historical account and author's artistic imagination. In the written work of Old Kiev period dominated the factor of collective / impersonal authorship. Collective creation has not only affected by the style of writing work, but also seriously impacted on its content: not knowing the «copyright».

Key words: image of the author, the name of the creator, the authority, the collective / impersonal authorship, creative personality.

О.С. ФИЛАТОВА

Украина, Николаев

Николаевский национальный университет имени В.А. Сухомлинского

Динамика формирования авторской индивидуальности: средневековый контекст

После принятия христианства и появления первых памятников письменной словесности постепенно формируется традиция связывать тексты с определенными именами. В частности, в проповедях, объединенных в хрестоматии или сборники, распространенных как богослужебные и морально-дидактичные образцы для индивидуального и коллективного использования, четко определяются имена их авторов: Василия Великого, Иоанна Златоуста, Ефрема Сирина, Григория Богослова, Федора Студита и других. Зафиксировано также «авторство» в переводных текстах сугубо теоретической церковно-богословской традиции, которые разных аспектах аккумулируют духовные, философские, нередко языковые вопросы. Однако и в дальнейшем актуализируются тенденции к анонимности и псевдонимности. Остаются без атрибуции множественные «Жития» – исторически обоснованные биографии святых, – записанные на основе переводной или славянской модели; не признанные христианской канонической традицией апокрифические произведения, «авторское право» на которые часто предписывается (конечно, с целью повышения авторитета) отцам церкви, апостолам, пророкам, патриархам. Параллельно с аутентичной литературой такие оригинальные и полуоригинальные произведения под именем какого-либо уважаемого отца церкви или еще более общим титулом «словес святых отца», «слова от книг», по словам М. Грушевского, активно распространялись, «затирались» среди книг морально-дидактичного направления (Грушевский 1993: 36).

Большой массив в древнерусском литературном континууме представляли произведения светского характера, почти все из них имели своих авторов. Переводная письменная традиция генерирует достаточно многочисленный и разнообразный спектр светской литературы: исторической, политической, морально-дидактичной и т.д. Однако даже в этом контексте вести разговор по поводу авторства в современной интерпретации этого термина, по нашему мнению, нет веских оснований. Кроме того логично выделяются два аспекта артикулируемого понятия, которые обнаруживают достаточно специфические условия для констатации идеи авторской индивидуальности в древнерусской культурной парадигме. Во-первых, следует обратить внимание на тот факт, что анализировать проблему авторства в литературе хронологически-отмеченного периода придется на материале разнообразной переводной и заимствованной литературы, созданной балканскими и моравскими славянами перед христианизацией Руси. Во-вторых, неопровержимым аргументом, который подтверждается творчеством самих участников литературного движения, а также заявлениями теоретиков прошлого и нашего времени, есть формирование на этом этапе оригинального творчества старорусской письменности. Переводная литература, трансплантированная на древнерусскую почву, дополненная разными местными писаниями канонического характера, а также произведениями на религиозные, морально-дидактичные, политические, истори-

ческие темы, играла важную роль в истории культуры и словесного творчества не только как «популярная лектура», которая влияла на сознание и идеологию тогдашнего человека, но и как «образец и стимул к письменному творчеству по установленным примерам» (Грушевский 1993: 38).

Следует отметить, что в определенном контексте культурной взаимосвязи, если идти по логике Ю.Лотмана, справедливо было бы заменить «неточное и дискредитированное понятие «влияния» словом «диалог», ведь в широкой исторической перспективе взаимодействие культур всегда диалогическое. Это позволяет напомнить абстрактную схему диалога, при условии, когда первый из его участников («тот, кто передает») владеет большим запасом накопленного опыта (памяти), а второй («тот, кто принимает») заинтересован усвоить для себя этот опыт» (Лотман 1992: 128). В целом, процесс перевода оригинального произведения стимулировал развитие творческих потенций киевских книжников, которые не только подражали нормативно установленным образцам, но и, как правило, декларировали достаточно оригинальные способы вариации конститутивных элементов литературной системы.

Изучение корреляций между аутентичной литературой и ее древнерусскими переводными вариантами определяет типорепрезентативный образ автора первых памятников письменной словесности, который отождествляется, в первую очередь, с авторитетным именем творца (-ов) или составителя (-ей) того или иного произведения, которое существует как безусловный авторитет, «несет на себе печать боговдохновения, стоит вне критики», а его «слово – слово оракула» (Рымарь 1994: 14). Культурная и юридическая обрядность, которые «формализуют» нормы жизни традиционной общины, отмечает С.Аверинцев, «не могут обойтись без принятых общиной и постольку легитимных фикций, которые заменяют реальное присутствие и реальные действия уполномоченного лица. ...Для такой фикции знак – эквивалент реальности; вне всякого другого знака имя, этот особенно привилегированный знак, – эквивалент названного лица» (Аверинцев 1994: 106). Логично возникает вопрос: если имя комментируется как «эквивалент лица», то возможна ли, собственно говоря, атрибуция лица, но не в значении индивидуальности, а лишь как «определенно присущее лицу и делегированное им через имя достоинство»? Понятно, что в этом контексте имя автора артикулируется как *auctoritas* или знак авторитета, своеобразное *nomen est omen* (имя говорит само за себя). Поскольку авторитетом распоряжается культурная община, то она по праву распоряжается и этим именем, а следовательно, имя автора выступает в качестве гаранта концептуальной и социальной адаптированной идеи коллектива.

Вместе с тем имя творца в переводной древнерусской литературе выступает не только символом авторитета, но и называет стилизованных персонажей произведения или указывает на его жанр (например, «Сказание отца нашего Агапия», «Наставление архиепископа Луки», «Житие св. Алексия», «Повесть о Никите Затворнике», «Чудеса Николая Чудотворца» и др.); юридически удостоверяя текст, гарантирует его «доброкачественное» содержание. Однако и в отмеченном аспекте функция имени не аргументирует индивидуально-авторских позиций, направленных к осмыслению истинности бытия и

его неповторимости, тем более – не связывается с представлением о любом, самостоятельно избранном стиле творчества.

Как видим, переводная словесность Древней Руси относительно авторства представляет бинарные тенденции, специфика которых определяется, во-первых, в анонимности и псевдонимности литературных произведений, во-вторых, в декларации реального / мнимого автора (коллектива авторов) и сакрализации его авторитетного имени (имен). Однако в обоих вариантах имя автора в сознании носителей культуры не связано с индивидуальной творческой деятельностью, а следовательно, не может быть идентифицировано с понятием автора как категории поэтики.

Первые признаки творческой индивидуальности появляются в оригинальной древнерусской литературе: в проповедях Феодосия Печерского, «Слове о законе и благодати» митрополита Иллариона, «Повести временных лет», «Поучении» Владимира Мономаха, «Слове о полку Игореве», в «Молении» Даниила Заточника, молитвах Кирилла Туровского, «Киево-Печерском Патерице», Киевской и Галицко-Волынской летописях и др. То есть, в тех произведениях, которые современные литературоведы идентифицируют «своеобразными метатекстами давности, объединивших в себе два текстовых варианта: историческое изложение и авторскую художественную фантазию» (Наенко 2005: 109). Следует сразу отметить, что понятие авторства в оригинальной литературной традиции княжих времен является неоднозначным и внутренне противоречивым, ведь четко дифференцировать грань между писателем-творцом литературного произведения, компилятором, редактором, а иногда переписчиком, непосредственно причастных к истории рождения произведения, достаточно проблематично, а иногда и практически невозможно.

Отечественные и зарубежные исследователи в отношении автора древнерусских литературных памятников очерчивают несколько важных проблем. Во-первых, по мнению ученых-медиевистов, в письменном творчестве старокиевского периода доминирует фактор коллективного авторства или, пользуясь дефиницией И.Франко, имперсонального авторства. Примечательно, что имманентное эпохе старорусской литературы явление имперсональности Франко «понимал не в значении анонимности», поскольку «даже подписанные произведения тогдашней литературы имели, конечно, так мало индивидуальной окраски своих авторов, всегда создавались на основе установленных и освященных традицией образцов, а иногда с таким обширным заимствованием чужих элементов. Потому они могут считаться прямым продолжением или переработкой, или компиляцией других, старших, обычно греко-византийских произведений» (Франко 1984: 40).

Известно, что древнерусские рукописи неоднократно переписывались, дополнялись или сокращались, идейно и стилистически переделывались, в целом – реконструировались в соответствии с политической конъюнктурой или сознательно определенной компилятивной стратегией переписчика. Используя религиозные тексты, чужеземные литературные источники, различные документы, переводы и эпос более поздних времен, автор древнерусского произведения воплощал не только собственные взгляды (например, излагал этикетные саморекомендации, вербализировал соответствующие церемониальные

формулы), но и утверждал идеологически близкую к определенным историческим и социальным обстоятельствам времени концепцию. Рядом с высокими христианскими идеалами культивировал этико-социальные воззрения, при этом часто прибегал к сознательному игнорированию фактов, которые «его не интересовали или противоречили полученному заданию», «приписывал от себя наставления или игнорировал их» (Лихачев 1971: 215). В результате такой реконструкции литературное произведение приобретало форму динамично и идейно изменяемого текста, который отличался своей «стилевой расцветкой, образами и словесной фактурой, отделенных от писателя или переписчика и в историческом времени не связанных ни с его волей, ни с его творчеством» (Виноградов 1971: 41). В итоге переписчик становился соавтором литературного произведения или же его редактором. Новые «версии» литературных памятников в результате длительного рожденья нового текста не становились усовершенствованным вариантом первоисточника, а представляли в письменном виде «скорее зафиксированный вариант именно-этого-времени, как правило, достаточно отдаленного хронологически от оригинала» (Билоус 2000: 42). Понятно, что коллективное творчество не только отражалась на стиле рукописного произведения, но и серьезно влияло на его содержание: не зная «авторского права», оно, соответственно, игнорировало легитимность авторского текста.

И в дальнейшем авторская анонимность остается симптоматическим признаком общей культурной парадигмы древнерусской эпохи, приобретая иногда форму псевдонимности. Писатели «самоустраиваются» из своих произведений, потому что боятся «самоосмысления», боятся упасть в напыщенность, первый из семи смертных грехов. Они боятся личной точки зрения. Их цель – выразить общее, соборное мнение» (Панченко 2002: 141). По традиции имена церковных книжников выражают символическое значение, обрастают легендами и псевдоэпиграфами, однако в условиях формирования новых принципов образного мышления, утверждения новых эстетических критериев имя творца, считает С. Аверинцев, «уже служит символом не авторитета, а стиля и жанра» (Аверинцев 1994: 21). Предметом художественной деятельности видится текст, конструкция которого отвечает модели того или иного литературного жанра, поэтому реконструкция произведения воспринимается автором лишь как вариация воссозданного. Жанровая «правильность» такого текста декларирует мастерство его творца.

Как известно, впервые схема, по которой «черты индивидуальности, – не проявляются, стиль – предопределен выбором жанра, жанр – предметом изображения, а предмет изображения – общественной значимостью» (Билоус 2003: 34) была обоснована в «Поэтике древнерусской литературы» Д. Лихачова. Апеллируя к материалу литературы восточных славян, русский исследователь утверждал, что в литературе Киевской Руси именно «жанр определял собой образ автора», ведь художественной доминантой этого периода является стремление изложить коллективные чувства, коллективное отношение к изображенному. В этой ситуации многое зависит не от творца произведения, а от жанра, к которому это произведение принадлежит. «Автор в наименьшей степени, чем в новое время, озабочен отображением своей индивидуальности в произведении. Каждый жанр имеет свой сурово выработанный традиционный

образ автора, писателя, «исполнителя». Один образ автора – в проповеди, иной – в житиях святых, ...третий – в летописи, совсем иной – в исторической повести и т. д.» (Виноградов 1971: 59).

Идея жанровой предопределенности средневекового художника слова артикулируется и в исследованиях современных отечественных и зарубежных медиевистов. Например, анализируя в историческом аспекте категорию жанра, русский исследователь С.Аверинцев аргументированно доказывает, что в эпоху риторической литературы отмеченная категория оставалась более существенной, весомей, реальней, чем категория авторства: «жанр как бы имеет свою волю, и авторская воля не имеет права ей противоречить» (Аверинцев 1986: 111). Е.Червоноиваненко не только подтверждает согласование авторского замысла с тогдашней «жанровой номенклатурой», но и считает этот факт основой, которая гарантировала древнерусскому автору, «надлежащий и уместный» именно его произведению стиль (Червоноиваненко 2002: 242), заранее определенный традицией словесного творчества. Отмеченную технологию литературной деятельности автора исследователи комментируют не в аспекте традиционной интерпретации – как литературный труд, искусство, «ремесленную деятельность по правилам или техне языку Платона и Аристотеля» (Тюпа 2002: 68), – а наподобии «литературной маски, которую в случае необходимости можно заменить на другую, более приличную для случая» (Александров 2006: 31) или же «определенного аналога в процессе научного познания (сказать точнее, дедуктивного познания)» (Куделин 1994: 259).

Вместе с тем, как убедительно подтверждают украинские медиевисты, в древнерусский период функционируют произведения, которые обозначены яркой авторской неповторимостью. В любом произведении, считает П. Билоус, можем «уловить, **как** автор видит то, **что** изображает, **как** он компонирует, оформляет свои творения. Тогда увидим в летописи не только объективного летописца или в проповеди – мудрого проповедника, а лицо, которое пропускает сквозь ум и дух свой язык мира, предоставляя ему не только определенной формы, но и целеустремленное содержание. Уже в древних произведениях возможно различить «автора для себя» (обсерватор жизни, пересказчик, проповедник, учитель, герой рассказа – князь, паломник и др.) и «автора для читателя» (писатель-грамотей, книжник, мудрец, витий словес, метафраст-пересказчик)» (Билоус 2003: 34-35).

Традиционно ритуальное сознание моделировало стратегию художественного богообщения автора в онтологических, литургически-сотериологических категориях, в духе христианской антропологии (Левшун 2001: 29-30). Принципы средневекового теоцентричного мировоззрения игнорировали индивидуальность и отбрасывали даже наименьшие проявления внутренних рефлексий и субъективного поведения: каждое лицо стремилось к максимальному соответствию регламентированным церковной и светской обрядностью нормам и правилам. Жизнь человека в традиционном обществе представляет собой постоянное повторение поступков, ранее осуществленных другими. «Неминуемо производится эталон поведения, который приписывается первым людям, божеству, культурному герою. Повторение людьми поступков, поднятых к небесному, божественному прототипу, связывает их с божеством, предаёт

реальности им и их поведению. Вся деятельность людей, производственная, общественная, семейная, интимная жизнь получает смысл и санкцию тогда, когда принимает участие в сакральном, придерживается установленного ритуала» (Гуревич 1984: 217). Следует предположить, что средневековый человек как репрезентант заранее predetermined в социуме функции или сферы назначения, осознавал собственное «я» и мир вокруг себя в статической и стабильной форме. Лишь подчиненные Божественному провидению трансформации, которые касались внешних факторов Богом созданной системы, в сознании индивидуума казались полностью закономерными и логичными.

Таким образом, в центре социально-этических универсалий древнерусской эпохи не мог находиться человек, поведение которого моделировалось по законам христианской экзегетики. Категорические императивы средневекового мировоззрения признавали единым центром Бога – инициатора и творца космогенеза, единственного конститутивного фактора существования. Сферу контакта со Всевышним в сознании человека обеспечивало слово (Логос), ведь «сначала было Слово, и Слово было у Бога, и Слово было Бог. Оно было сначала у Бога: все через Него начало быть» (Ив.1;1-2). В ситуации, когда слово как субстанционная категория исполняло роль авторитетного посредника, «медиатора между человеком и Божьим миром» (Бройтман 2001: 22), автор мыслился мастером исполнения «воли Божьей», а его творчество и творческие способности «воспринимались как особенный божественный дар и вместе с тем задание человеку по извечному велению Божьему. ...Этот дар и одновременно обязанность давалась человеку как свобода воли, вопреки его желанию или нежеланию как печать богоподобия» (Левшун 2001: 38). Понятно, что все написанное писателем по Божьей Благодати сакральным церковнославянским языком редуцировалось как Истина: в религиозном сознании Истина a priori есть Бог.

Принимая во внимание то, что слово заранее определенное Божественным актом, культивируемое культурой, являлось исконно «чужим, но и своим, хотя и задано другим» (Бройтман 2001: 24), писателю – с целью «усвоения» слова и идентификации с ним – приходилось апеллировать к законам символического мышления, метода «типологической экзегезы» (Л. Левшун), мифологизации и абстрагирования. С целью имитации сакрального прототекста, для воссоздания исторических событий или интерпретации древнерусских реалий автор продуцирует комплекс имманентных средств творческого самовыражения: использует язык сакральных символов, выражает верифицированные смысловые и художественные интенции (обычно экспрессивного и суггестивного характера), привлекает в текст аллегорические амплификации и т.п. Процесс словесной презентации духовной и психологической сферы писателя христианской канонической культуры, вербализации его авторского сознания чаще всего приобретает форму монолога, молитвы, риторического обращения, в которых традиционно доминируют топосы самоуничужения, повиновения, смиренности.

Невзирая на жестко регламентированные принципы традиционного ритуального сознания, которые определяли процесс «рождения» текста «не только на метауровне, но и на уровне непосредственной текстовой структуры» (Лотман 2000: 179), в творчестве древнерусского автора наблюдается тенден-

ция к индивидуальной импровизации, формализированной, в частности, в виде моделирования эстетических фигур, сюжетных ходов, жанровых форм. Между тем, заметим, что индивидуальное означает не лично вымышленное, а, по словам Ю. Лотмана, «разрешенное только одному-единственному лицу или нескольким исключительным лицам» (Лотман 1986: 121). Понятно, в этом контексте акт словесной деятельности писателя генерируется синергией благодати Святого Духа, которая «оживляет» подаренные Богом творческие способности, а также внутренним императивом художника.

Осуществленный выше анализ авторской парадигмы в древнерусской литературной традиции крайне беглый, но в то же время подтверждает: «чувство» авторства развивалось «именно на почве причастности «я» Богу и миру» (Бройтман 2002: 146). При этом следует учитывать, что индивидуальное «я» – «это не феномен «я», а эйдос «я», определенное сращение идеи и образа» (Бройтман 2002: 143). Другими словами, синкретической целостности, синтеза конкретного и абстрактного. В такой ситуации, вероятно, в качестве константы духовной экзистенции русского книжника выступает триада Бог – автор – универсум, где Бог является источником творческой энергии, автор выполняет функцию интерпретатора трансцендентной идеи в абсолютном измерении бытия, а основной «формой» субъективизации мира становится художественный образ.

И в конце, подытоживая свои наблюдения, уместно сделать еще одно существенное уточнение. Характер художественно-творческой деятельности древнерусского автора, специфика его творческого сознания, элементы индивидуальной импровизации, вариативности канонических форм аргументировано подтверждают неуместность экстраполяции непосредственно на литературную эпоху Киевской Руси распространенной концепции, согласно которой «средневековье не знает ни самого понятия художественной личности, ни, понятно, связанного с ним понятия оригинальности и индивидуальности художественного творчества» (Мукаржовский 1994: 502).

ЛИТЕРАТУРА:

Аверинцев 1994: Аверинцев, С.С. *Историческая поэтика. Литературные эпохи и типы художественного сознания*. М.: Наследие, 1994.

Аверинцев 1986: Аверинцев, С.С. *Историческая подвижность категории жанра: опыт периодизации* // Историческая поэтика. Итоги и перспективы изучения. М.: Наука, 1986.

Александров 2006: Александров, А.В. *Автор древний и новый // Национально-культурный компонент в текстах мировой литературы: Ч. II*. Одесса: Астропринт, 2006.

Билоус 2003: Билоус, П. *Свет исчезнувших миров (художественность литературы Киевской Руси): сб. статей*. Житомир, 2003.

Билоус 2000: Билоус, Петро. «Моление» Даниила Заточника» с феноменологической точки зрения // Слово и время, № 5, 2000.

Бройтман 2002: Бройтман, С.Н. *Историческая поэтика: Учеб. пособие*. М.: Издательский центр РГГУ, 2002.

Бройтман 2001: Бройтман, С. Н. *Из лекций по исторической поэтике: Слово и образ*. Серия «Лекции в Твери». Тверь: Тверской гос. ун-т, 2001.

Виноградов 1971: Виноградов В.В. *О теории художественной речи*. М.: Высш. шк., 1971.

Грушевский 1993: Грушевский, М.С. *История украинской литературы: в 6 т. 9 кн.* К.: Лыбидь, 1993. Т. 2.

Гуревич 1984: Гуревич, А.Я. *Категории средневековой культуры.* М.: Искусство, 1984.

Куделин 1994: Куделин, А.Б. *Автор и традиционалистский канон // Историческая поэтика. Литературные эпохи и типы художественного сознания.* М.: Наследие, 1994.

Левшун 2001: Левшун, Л.В. *История восточнославянского книжного слова XI–XVII вв.* Минск: Экономпресс, 2001.

Лихачев 1971: Лихачев, Д.С. *Поэтика древнерусской литературы.* Ленинград: Художественная литература, 1971.

Лотман 2000: Лотман, Ю.М. *Семиосфера. Культура и взрыв. Внутри мыслящих миров. Статьи. Исследования. Заметки.* СПб.: Искусство-СПб, 2000.

Лотман 1992: Лотман, Ю.М. *Проблема византийского влияния на русскую культуру в типологическом освещении // Лотман Ю.М. Избранные статьи: в 3-х т.* Таллинн: Александра, 1992. – Т. 1.

Лотман 1986: Лотман, Ю.М. *Литературная биография в историко-литературном контексте (к типологическому соотношению текста и личности автора) // Литература и публицистика. Труды по русской и славянской филологии.* Тарту: Тартуский ун-т, 1986. – Вып. 683.

Мукаржовский 1994: Мукаржовский, Я. *Личность в искусстве // Исследование по эстетике и теории искусства.* М.: Искусство, 1994.

Наенко 2005: Наенко, М. *Художественная литература Украины.* К.: ВЦ «Просвита», 2005. – Ч. 1.

Панченко 2002: Панченко, А.М. *Русский поэт, или мирская святость как религиозно-культурная проблема // Звезда, № 9, 2002.*

Рымарь 1994: Рымарь, Н.Т., и Скобелев, В.П. *Теория автора и проблема художественной деятельности.* Воронеж: Логос-траст, 1994.

Тюпа 2002: Тюпа, В.И. *Художественный дискурс (Введение в теорию литературы).* Тверь: Твер. гос. ун-т, 2002.

Франко 1984: Франко, И. *Собрание сочинений: в 50 т.* К.: Науч. мысль, 1984. – Т. 41.

Червоноиваненко 2002: Червоноиваненко, Е.М. *Тип литературы и тип художественно-литературного сознания в литературном процессе: автореф. дис. на соискание н ауч. степени д-ра. филол. наук.* К., 2002.

NATELA CHITAUURI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Some of Victor Nozadze's Notions on *Vepkhistqaosani*

The idea that each epoch always finds something important for itself in true classics is well documented by contemporary Rustvelological studies. This time we would like to indicate that a profound dialogue with Rustaveli began as early as the thirties of the 20th century in conditions of Soviet reality in tabooed Georgian émigré literature, namely, Victor Nozadze's fundamental Rustvelological works. They Demonstrate that the depth of Rustaveli's wisdom is expressed not only in aphorisms but also in the episodes and phrases reflecting everyday human relations unnoticeable at first glance, yet, without understanding them the comprehension of Rustaveli's system of values would be difficult.

Key words: Rustaveli, aphorisms, values.

ნათელა ჩიტაური

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ვიქტორ ნოზაძის ზოგიერთი მოსაზრება „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ

ჯემალ ქარჩხაძის აზრი, რომ ჩვენი კლასიკა მუზეუმში მოვათავსეთ და მხოლოდ შორიდან ცქერის უფლება დავიტოვეთ, „ვეფხისტყაოსანს“ ყველაზე მეტად ეხება. საერთოდ საქართველოში შეიმჩნეოდა ტენდენცია — მკვლევრები ცდილობდნენ „ვეფხისტყაოსანზე“ რაღაც განსაკუთრებული ეთქვათ, რაც ადამიანებს გააბრუებდა, ხოლო საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობამ პოემის მაღალიდებული პრობლემატიკის გააზრების კვალდაკვალ შეუმჩნეველი დატოვა ბევრი საინტერესო ეპიზოდი, ფრაზა, რომელნიც თითქოსდა საფრთხეს უქმნიდა გმირთა იდეალურ, უფრო სწორად, იდეალიზირებულ ხასიათებს.

ნამდვილ კლასიკაში რომ ყოველი ეპოქა რაღაც თავისთვის მნიშვნელოვანს პოულობს, შესანიშნავად წარმოაჩინა თანამედროვე რუსთველოლოგიამ, მაგრამ ამჯერად ის გვინდა ვთქვათ, რომ სიღრმისეული დიალოგი რუსთველთან დაიწყო ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იანი წლებიდან საბჭოთა სინამდვილეში ტაბუდადებულ ქართულ ემიგრანტულ მწერლობაში, კერძოდ, ვიქტორ ნოზაძის ფუნდამენტურ რუსთველოლოგიურ ნაშრომებში (აღსანიშნავია განსაკუთრებით ე.წ. „მეტყველებანი: „ვეფხისტყაოსნის“ მზისმეტყველება“, „ვარსკვლავთმეტყველება“, „გულთამეტყველება“ და ა.შ.), რომელთაგან ბევრი ჯერ კიდევ უცნობია საზოგადოებისათვის თუნდაც ვრცელი გამოკვლევა — „ვეფხისტყაოსნის“ საზოგადოებრივი ზნენი“.

ნოზაძის კვლევანი ანუ როგორც თავად უწოდებდა, „ვეფხისტყაოსნის“ „ჩხრეკანი“ ნამდვილად არის დიალოგი რუსთველთან. ნოზაძე მიიჩნევდა, რომ პოემა, ერთი მხრივ, ქართული ეროვნული სულის გამჟღავნებაა, დიდი ქართული კულტურაა, მეორე მხრივ კი, იგი საშუალებას გვაძლევს ქართული კულტურა მოვიაზროთ მსოფლიო კულტურულ-ისტორიულ სივრცეში. ამგვარი კვლევა კი ნოზაძეს ნამდვილად ხელენიფებოდა. მან შეისწავლა დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების მწერლობა (მის არქივში ინახება ნაშრომები: „სილამაზე დასავლეთში“, „მშვენიერების თეორიები“ და ა.შ.). ამდენად, როგორც მოსალოდნელი იყო, ნოზაძის კვლევა სწორედ პარალელების ძიებით განვითარდა. მის არქივში აღმოჩნდა გერმანულენოვანი ნაშრომი „პარალელები ნიბელუნგებსა და ქართულ ეპოსს შორის“, რომელშიც განსაკუთრებულადაა შესწავლილი თანხვედრები „ნიბელუნგებსა“ და „ვეფხისტყაოსანში“.

ნოზაძე ჯავრობდა იმის გამო, რომ „ვეფხისტყაოსანს“ მეცნიერულად, სიღრმისეულად ვერ იკვლევდნენ. ცნობილია მისი დამოკიდებულება ნიკო მარის, სარგის კაკაბაძის, პავლე ინგოროყვას ნაშრომებთან, ზოგადად საბჭოთა რუსთველოლოგიასთან. განსაკუთრებით თავს დაესხა კორნელი კეკელიძეს: „კეკელიძემ მოინადინა უსათუოდ თავისებურება გამოეჩინა და ახალი მოულოდნელი, თავბრუდამხვევი სწავლა შეექმნა „ვეფხისტყა-

ოსნის“ შესახებ. ეს არის ბოროტი თამაში და არა მეცნიერული ძიება, ეს არის უპასუხისმგებლობა, დასაგმობი, მხოლოდ ზიანოს მომტანი“ (ამის შესახებ გამოქვეყნდა ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“, 2012, №19, გვ. 63).

რა თქმა უნდა, ეს კრიტიკა გადაჭარბებულია, მაგრამ ფაქტია, რომ ვიქტორ ნოზაძის „ჩხრეკანის“ ტენდენცია საბჭოთა რუსთველოლოგიისაგან ნამდვილად განსხვავდება. მკვლევარი თავად ხსნის, რატომ „განჩხრიკა“ ასე პოემა, რატომ შისწავლა ერთი შეხედვით უმნიშვნელო, შეუმჩნეველი სიტყვები, ფრაზები, ეპიზოდები. ისინი თითქოს არც სჭირდება პერსონაჟთა იდეალიზირებულ სამყაროს, მაგრამ, ნოზაძის დაკვირვებით, რუსთველის მსოფლმხედველობა, ზოგადად ადამიანის რაობის გააზრება, რეალობა, ზოგადად ადამიანური პრობლემატიკა შეუმჩნეველად, მაგრამ გენიალურად სწორედ მათშია წარმოჩენილი.

ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის“ საზოგადოებრივი ზნენი“ მკვლევარმა განიხილა პატრონყმური ურთიერთობის ამსახველი ეპიზოდები. თვალსაჩინო გახდა ფაქტი, რომ სხვადასხვა სოციალურ საფეხურზე მდგომ ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების გამოხატვა შესაფერისად შერჩეული სიტყვებით ხდება. აქედან გამომდინარე, მკვლევარმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია „მოკითხვის წესის“ ეპიზოდებს და ტერმინს „მოსხენება“.

ვ. ნოზაძის დასკვნით, ისინი ხაზს კი არ უსვამს „უალრესსა“ და „უქვემოესს“ შორის სოციალურ განსხვავებას, ან ამცირებს „უქვემოესს“, არამედ გამოხატავს ზრდილობას, „ზნეკეთილობას ურთიერთობაში, მოკრძალებულსა და პატივისცემით დამოკიდებულებას ერთმანეთის მიმართ“ (ვ. ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ საზოგადოებრივი ზნენი“, ხელნაწერი, ავტოგრაფი: 29).

ცხადია, რომ პატრონყმური ურთიერთობის ამსახველი ეპიზოდები და ტერმინები წარმოგვიდგენს პატრონსა და ყმას შორის ისეთ ურთიერთდამოკიდებულებას, რომელიც დაყრდნობილია არა შიშსა და გაუცხოებაზე, არამედ გულწრფელ ურთიერთპატივისცემაზე. რაც მთავარია, ეს თითქმის შეუმჩნეველი, მეორეხარისხოვანი ეპიზოდები საოცარი ძალით შეგვაგრძნობინებს რუსთველის ჰუმანიზმს: გულწრფელი სიყვარულით გაჯერებულ ერთიერთობაში პატრონს უფრო ევალება სიყვარულის გაღვივება. გამჟღავნება, ვიდრე ყმას, რადგან ძლიერს უფრო მეტი პასუხისმგებლობა აკისრია სუსტთან მიმართებაში. ძლიერი ანუ პატრონი მეტად უნდა ცდილობდეს ურთიერთობის განმტკიცებას, სიყვარულის შენარჩუნებას. რუსთველისებური პატრონყმური ურთიერთობა ადამიანთა მეგობრობის კიდევ ერთი საინტერესო სფეროა — ასეთია ნოზაძის დასკვნა. ვფიქრობთ, მართლაც განსასჯელი და შესასწავლია პატრონყმობის პრობლემა ამ გენიალურ პოემაში.

ნოზაძე ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური კუთხით ეხება ორგვარ სიყვარულს: ერთი — გარედან მოსული, გარეგანი ძალებისაგან წარმოშობილი; მეორე — დაბადებული თვით გულში. მკვლევრის აზრით, პატრონყმური ურთიერთობა „ვეფხისტყაოსანში“ სწორედ მეორე სახის სიყვარულს ეყრდნობა.

დღევანდელმა რუსთველოლოგიამ მეტად საინტერესო ინტერპრეტაცია მოგვცა შემდეგი სტროფისა: „დია მძულს მეტი მოყვრისა შიში, კრძალვა და რიდობა...“ (ვასაძე 2011: 372). საგულისხმოა, რომ ნოზაძემაც განიხილა ეს სტროფი. ვფიქრობთ, ეს განხილვა და შეფასება დღე-

ვანდელობისთვისაც მისაღებია. ამავე დროს ადასტურებს ნოზაძის რუს-თველოლოგიურ ხედვათა მართებულობას და პროგრესულობას. „თუ მოყვარეა, გულისა ქმნას ჩემკე მონაზიდობა“. ამ ტაეპს ნოზაძე ასე განმარტავს: „გულის მონაზიდობა“ — ეს არის გულის მიმართვა ვინმესაკენ, გულით ვინმესთან მისვლა, სრული თანაგძნობის, სრული კეთილგანწყობის ქონება“ (ვ. ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ გულთამეტყველება“, ხელნაწერი, ავტოგრაფი: 44).

სწორად შენიშნავს ნოზაძე, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი შემდგომი ფიქრისა და მსჯელობის საშუალებას იძლევა. ზემოთ მოტანილი სტროფი გამოხატავს ტარიელის სინანულს: მასა და ფარსადანს შორის არ იყო „გულისა მონაზიდობა“, იყო „შიში, კრძალვა, რიდობა, კუმტობა“. ტარიელის მწარე გამოცდილებით, პატრონყმობა უნდა ეფუძნებოდეს არა შიშს, „სულმძიმობას, დიდობას“ (თავის გადამეტება, ამპარტავნება), არამედ „გულის მონაზიდობას“, სრულ თანაგრძნობას, ურთიერთის შინაგანი სამყაროს გათავისებას, სულიერ სიახლოვეს. ეს არის არა „გარეგანი ძალები-საგან“ წარმოშობილი, არამედ გულში დაბადებული ნამდვილი სიყვარული. ვიქტორ ნოზაძის აზრით, რუსთველმა ამ სტროფით ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი მისთვის სასურველი პატრონყმური ურთიერთობის თავისებურებებს.

ნოზაძის „ჩხრეკანი“ მკითხველს დააფიქრებს არა მხოლოდ იმაზე, რაც გვითხრა რუსთველმა, არამედ იმაზეც, რაც უნდოდა ეთქვა.

ძალიან საინტერესოა ნოზაძის ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის“ გულთამეტყველება“. მკვლევარმა აღნუსხა სიტყვა გულისა და მისგან წარმოქმნილი კომპოზიტების ხმარების 305 და მეტი შემთხვევა. მისი დაკვირვებით, სიტყვა „გული“ დატვირთული ცნებაა პოემაში და მისი ფუნქცია უფრო მეტია, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს.

ნოზაძის გამოკვლევით, ამ სიტყვას სხვადასხვა გაგება აქვს: ფიზიოლოგიური, ხალხური, ბიბლიური. მკვლევარი ასაბუთებს, რომ პოემაში ამ ცნების შინაარსი თანხვედრა მის ბიბლიისეულ გაგებას. გული არა მხოლოდ სასიცოცხლო ძალაა (ფიზიოლოგიური ფუნქცია), არა მხოლოდ შეგრძნებება, ფსიქიკურ-ზნეობრივი განწყობილებებია მოაზრებული (ხალხური გაგება), არამედ გონიერებაც, ცნობიერებაც, ე.ი. მითვისებული აქვს გონების ფუნქციებიც. ამიტომაც არსად აღარ მოიხმარა რუსთველმა სიტყვა ტვინი (რუსთველი წარმოგვიჩინს რენესანსული ადამიანის იდეალს. ეს იდეალი კი, ნოზაძის მსჯელობიდან გამომდინარე, ყველაზე მეტად ამ კონტექსტში ეყრდნობა ბიბლიისეულ აზრებს. კერძოდ იმას, რომ სრულქმნილი ადამიანისათვის აუციელებელია გულისა და გონების ერთიანობა, თანხვედრა. ეს აზრი განსაკუთრებით თვალსაჩინოა მეფე სოლომონის მოძღვრებაში).

პოემაში ცნებები „გული“, „გონება“, „ცნობა“, „ცნობიერება“, „სული“, „სინდისი“ ზოგჯერ ერთმანეთის ნაცვლად ან ერთმანეთის გვერდით იხმარება, მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც ეს ცნებები (გავიხსენოთ სტრიქონი „გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდია...“) ერთმანეთს კი არ უპირისპირდება, არამედ ერთმანეთს ავსებს.

ამდენად, პოემაში სიტყვა გულმა ბევრი ფუნქცია იტვირთა. გული იქცა დამოუკიდებელ ფასეულობად ანუ სუბიექტად, მეორე პიროვნებად ადამიანში. ამიტომაც გვხვდება პოემაში ამგვარი გამოთქმები: „უგულო გული“, „გულის სიტყვა“, „გული ტირის“. დიალოგიც კი იმართება პიროვნებასა და გულს შორის. ავთანდილი: „კვლა გულსა ეტყვის, დამთმეო, ჰგვან-

დეს სიბრძნისა წყაროსა“; „რა გულსა უთხრა გულისა სიტყვანი საგულსონი“. ამდენად, რუსთველმა ამ ცნების შინაარსობრივი დატვირთვით შექმნა ახალი ფსიქოლოგიური ცნებები: „გულის სიტყვა“, „სიბრძნე გულსა“. ნოზაძის დაკვირვებით, აქ მთავარი შემდეგია: რუსთველმა ამ ცნებების საშუალებით შეძლო წარმოეჩინა აზროვნების მაღალი დონე: ადამიანის საკუთარ თავში ჩაღრმავების პროცესი. თუ გული იქცევა ადამიანის საკუთარ „მე“-ში მეორე პიროვნებად, ე.ი. ადამიანს შეუძლია საკუთარ არსებაში ვილაცასთან დიალოგი, საკუთარ „მე“-ში არსებულ, სუბიექტად ქცეულ გულთან ლაპარაკი, დავა, მსჯელობა. ეს კი არის ფიქრი, აზროვნება არა ხმამაღლა, არამედ უსიტყვოდ, რაც საბოლოოდ გულისხმობს საკუთარ თავში ჩაღრმავებას, საკუთარი სულიერ-გონებრივი შესაძლებლობის, რეალობასთან მიმართების გააზრებას. ნოზაძის ტერმინი რომ ვიხმაროთ, ეს „უხმაურო ფიქრი“ ანუ საკუთარ თავში ჩაღრმავება არის აზროვნების მაღალი საფეხური, ინტელექტუალური დონე, რაც რჩეულთა ხვედრია. ასეთი რჩეული, ნოზაძის აზრით და, რა თქმა უნდა, იგი სწორია, პოემაში არის ავთანდილი. გავიხსენოთ, რამდენჯერ რა სიღრმით იხედება ავთანდილი საკუთარ სულიერ სამყაროში, რამდენჯერ ესაუბრება სუბიექტად ქცეულ გულს, მეორე „მე“-ს („კვლა გულსა ეტყვის, დამთმეო, ჰგვანდეს სიბრძნისა წყაროსა“). საკუთარ გულთან დიალოგი ავთანდილს საშუალებას აძლევს კრიტიკულად გაიაზროს თავისი და ზოგადად ადამიანური სისუსტეები. ამიტომაც ავთანდილისათვის ყველაზე მეტადაა ნიშანდობლივი პიროვნული თავისუფლების შეგნება, თვითცნობიერება, თვითფლობა, საკუთარ გონებრივ თუ ფიზიკურ ძალაზე დაყრდნობა, რაც, როგორც ითქვა, შედეგია სწორედ ამ პერსონაჟის „უხმაურო ფიქრისა“ ანუ აზროვნების სიღრმისა.

ვიქტორ ნოზაძემ ყურადღება მიაქცია რუსთველის ფრაზას „სრული კაცი“. ვეზირი ავთანდილს „მიეგება, თაყვანი სცა, ჰკადრა ქება სრულსა სრული“. მკვლევარი მსჯელობს, რას ნიშნავს რუსთაველისათვის „კაცის სრულობა“. საინტერესოა მკვლევრის აზრი, „მან მოიძია მასალები მაჰმადიან მისტიკოსთა აზრით, „სრული კაცი“ არის ასლი ღმრთისა, ხოლო ქრისტიანული გაგებით, „სრული კაცობა“ არ გულისხმობს ადამიანის ბუნების შეცვლას, არამედ უნდა ამაღლდეს ეს ბუნება, ეს არის პროცესი, სწრაფა სრულყოფილებისაკენ, კაცი ისევ მიწიერ არსებად რჩება, ოღონდ მიისწრაფის განღმრთობისაკენ. ვიქტორ ნოზაძის აზრით, რუსთაველთან „სრული კაცი“-ს სწორედ ქრისტიანული გაგებაა გამოკვეთილი. ვიქტორ ნოზაძე გვეუბნება, რომ პოემაში „სრულ კაცად“ იწოდება მხოლოდ ავთანდილი. ეს გმირი თავისი ფიზიკური თუ სულიერი თვისებებით ეძიებს გზას სულიერი ამაღლებისაკენ. მთავარი ის არის, რომ ეს სწრაფვა ჩვენთვის, მკითხველისათვის დინამიურია, საგრძნობია და, უპირველეს ყოვლისა, იგი ავთანდილის მიერ სამყაროს შეცნობისა და უფრო მეტად თვითშემეცნების მუდმივად განახლებად პროცესში აისახება. ეს გმირი სულ ძიებაშია, ფიქრშია, გაუცნობიერებლად საკუთარ გულთანაც კი უხედება ბრძოლა. პოემის გმირთაგან ყველაზე მეტად ავთანდილისთვისაა ნიშანდობლივი პიროვნული თავისუფლების შეგნება, თვითფლობა, საკუთარ გონებრივ თუ ფიზიკურ ძალებზე დაყრდნობა, თავის იმედად ყოფნა („თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები“, — ტყუილად კი არ ამბობს მის შესახებ მეფე როსტევეანი), ამგვარი დამოუკიდებლობა შედეგია საკუთარ თავში ჩაღრმავებისა. ფიქრი, აზროვნება, სულიერი წრთობა ავთან-

დილისათვის არის გზა, საშუალება განღმრთობისაკენ, სრულყოფისაკენ. ავთანდილი რჩება კაცად, ამქვეყნიურ, მინიერ არსებად, მაგრამ მუდმივად, ყოველი მოქმედების დროს, ადამიანებთან ურთიერთობისას ნამდვილად სწორი გზებით ცდილობს, „ვითა მამა ზეცისა, იყოს სრული“. ამიტომაც ასე თვალნათლივანაა შერწყმული მის პიროვნებაში იდეალიზმი და რეალიზმი (ვიქტორ ნოზაძე ეხება ავთანდილის მიერ ჭაშნაგირის მოკვლის ეპიზოდს, ასევე ფატმანთან ურთიერთობას).

პოემის ტექსტში ნოზაძისეული ჩაღრმავება, ანუ როგორც თავად უწოდებდა, „განკითხვანი“, „ჩხრეკანი“ ნარმოაჩენს, რომ რუსთველის აზროვნების სიღრმე განფენილია არა მხოლოდ აფორიზმებში, ბრძნულ შეგონებებში, არამედ ერთი შეხედვით შეუმჩნეველ, ჩვეულებრივ, ყოფითი ადამიანური ურთიერთობის ამსახველ ეპიზოდებსა და ფრაზებში, რომელთა გააზრების გარეშე გაჭირდება რუსთველის ფასეულობათა შეცნობა.

დამოწმებანი:

ვასაძე 2011: ვასაძე თ. „ვეფხისტყაოსნის“ კომენტარებული ტექსტი. ანალიტიკური გზამკვლევი. თბ.: 2011.

ნოზაძე: ნოზაძე ვ. „ვეფხისტყაოსნის“ საზაგადოებრივი ზნენი“, ხელნაწერი, ავტოგრაფი.

ნოზაძე: ნოზაძე ვ. „ვეფხისტყაოსნის“ გულთამეტყველება“, ხელნაწერი, ავტოგრაფი. ინახება ქართული ემიგრაციის მუზეუმში.

RUSUDAN TSANAVA

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

For Understanding Mushaitoba-Tightrope Walking (Rustaveli, Sulkhan-Saba Orbeliani)

At a counsel with his friends held before the seizure of the fortress of evil spirits, Pridon proposes that he will penetrate the fortress by walking the tightrope. Particularly, stanza 1402 attracts our attention where Pridon states that he was trained by his teachers in tightrope walking. The tightrope walking is reflected in Sulkhan-Saba Orbeliani's "Wisdom of Fancy" as well as in Georgian folklore. Analyses of the topic revealed the deep ritual roots of the tightrope walking. While studying the tightrope walking as a ritual, particular attention is paid to its main accessory – the rope, which connects an earth and heaven, ensuring gods' connection with humans.

Key words: Tightrope walking, text, folklore, ritual.

რუსულან ცანავა

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

მუშაითობა-ჯამბაზობის გაგებისათვის (რუსთაველი, სულხან-საბა ორბელიანი)

ნურადინ-ფრიდონმა მეგობრებს ქაჯეთის ციხის აღების გეგმა შესთავაზა: *„ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი სამუშაითოდ მზრდიდნიან, / მასწავლნეს მათნი საქმენი, მახლტუნვებდიან, მწვრთიდიან; / ასრე გავიდი საბელსა, რომ თვალი ვერ მომკიდიან, / ვინცა მჭვრეტდიან ყმანვილნი, იგიცა ინატრიდიან“* (რუსთაველი 1966: 1393).

მუშაითი — თოკზე მოსიარულე, ჯამბაზი. მუშაითობა — მუშაითის ხელობა, ჯამბაზობა. ჯამბაზ-ი — [სპარს. ჯანბაზ] თოკზე მოსიარულე, მუშაითი (განმარტებითი 1958:1166).

ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ფრიდონს სამუშაითოდ წვრთნიდნენ *გამზრდელელები* და არა დროებითი ან შემთხვევითი პირები, *მას ჯამბაზების საქმეებს ასწავლიდნენ*, ახტუნავებდნენ.* ამ წვრთნის შედეგად, ისე სწრაფად შეეძლო საბელზე (თოკზე) გავლა, რომ ადამიანი თვალსაც ვერ მოჰკრავდა. მის ოსტატობას სხვა ყმანვილები შენატროდნენ. ახლა ძნელია ვისაუბროთ, შედიოდა თუ არა უფლისწულის აღზრდის ზოგად „კოდექსში“ ჯამბაზობის შესწავლა. ყოველ შემთხვევაში, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით არც ტარიელს (ერთი მეფის ჩამომავალსა და მეორე მეფის შვილობილს) და არც ავთანდილს (არაბ დიდებულს, სპასპეტს) ჯამბაზობა არ უსწავლიათ. თუმცა, ხალხური ვერსიით, როდესაც სამი მეგობარი ქაჯეთის გზას დააგდა, ავთანდილმა საჭურველთან ერთად თოკებიც ბლომად წაიღო; მან მეგობრებს უთხრა: *„საწყალი ჩემი დედ-მამა / რა ცოდო-ჭირით მზრდიდნიან; / ციხიდან ციხის წვერზედა / თოკები გამიკიდიან; / მე ისე ფრენით გავრბოდი, / რომ თვალნიც ვერ მომკიდიან. / მე ის მეგონა, თუ მკლავენ, / იგინი თურმე მწვრთნიდნიან“* (ჩიქოვანი 1936:94; 115; 131; 193).**

* ხტუნაობა (ხტომა) ინიციაციის რიტუალში შედიოდა და სიმბოლურად ზეცაში ასვლას აღნიშნავდა (ელიაძე 1998: 255. ჩირუმბოლო: 1995).

** ის, რომ თოკზე გადის ავთანდილი (და არა ფრიდონი) ხალხური ვეფხისტყაოსნის (ტარიელიანის) რამდენიმე ვარიანტში გვხვდება. ერთ-ერთში ზემოთ მოხმობილ პოეტურ ტექსტს ემატება: „იქ მდგომი ჩემი სწორები ჩემს ცდასა დანატრიდნიან“. ერთი ვერსიით, ქაჯეთს რომ მიადგნენ, ავთანდილმა ფრიდონს უთხრა: თოკების ქაჯეთის ციხის წვერზე მოდება შენი საქმე იყოს, ხოლო ზედ გადაფრენა — ჩემიო. ფრიდონმა თავისი საქმე გააკეთა, ავთანდილმა კი ღმერთი ახსენა, შეხტა თოკზე და გრაილ-ქარივით ჩახტა ციხეში (ჩიქოვანი 1936:95). ერთ ხევისურულ ვარიანტში, არ ჩანს, ვინ ამბობს, მაგრამ თოკზე გავლით წვრთნის ტრადიცია აშკარად იკვეთება: „ერთის ციხით სხვა ციხესა/ საბლ გამიკიდიდონო,/ მე თუ მკვლენო, მეგონისა,/ მე ქვე თუ მწურთნიდნიანო“ (ჩიქოვანი 1939: 190). ერთი ვარიანტის მიხედვით, ქაჯეთის ციხემდე ზღვა იყო გადასალახი. ტარიელმა თოკი გაისროლა, რომლის ბოლოზეც ალმასის პალო იყო დამაგრებული. სამივე გმირი ამ თოკით გადავიდა ზღვაზე (ჩიქოვანი 1936: 155).

ერთ ხალხურ ლექსში, რომელიც კოპალას ეძღვნება, ვკითხულობთ: „ღმერთო, თუ მამე შაძლება / შენავ ამიხსენ მხარნია, / აქედან თოკი გამიბი / კარატის* გასავალია, / აგრე გავივლი იმაზე, / ვერვინ მამკიდოს თვალია“.

ამ ლექსის და მისი ვარიანტების ანალიზის საფუძველზე ი. ქეშიკაშვილი ასკვნის, რომ კოპალას კარატესა და იახსარის კარატეს შორის გაბმული იყო უხილავი შიბი (თოკი); თოკ-შიბი წარმოადგენს ამ ორი ღვთაების საურთიერთო გზას (ქეშიკაშვილი 1990).

აქვე მოვიხმოთ ერთ ეპიზოდს სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისადა“¹, რომელიც არსებითად ეხმიანება განსახილველ საკითხს. თავისი თავგადასავლის თხრობისას ლეონი ამბობს: ყველაზე დიდი საოცრება, რაც ინდოეთში ვნახე, ჯამბაზები იყვნენო. ლეონი ყვება, როგორ შედგა ორმოცი ადამიანი ერთმანეთზე ისე, რომ არცერთი არ ჩამოვარდნილა, არც ქვემოთ მყოფს შეტყობია 39 კაცის სიმძიმე... მეორემ, რომელმაც ხისგან დამზადებული ფრთები მოირგო და ფრინველივით გაფრინდა.** მესამემ კანაფის გორგალი მოიტანა. ერთი წვერი ხელში დაიჭირა და გორგალი ჰაერში შეაგდო. გორგალი სრულად რომ გაიშალა და ჰაერში ავიდა, მოთამაშე კანაფს აჰყვა. მალე იგი თვალს მიეფარა. ქვემოთ ატყდა ერთი ყიჟინა და კივილი, ზოგმა თოფი ისროლა. მალე ჰაერიდან ზოგან კაცის თავი ჩამოვარდა, ზოგან — მოკვეთილი ხელი და ფეხი. ეს მოთამაშე შუაზე გაკვეთილი ჩამოვარდა. მოვიდა ჯამბაზის ცოლ-შვილი ცეცხლში შევიდნენ და დაიწვინენ. ცოტა ხანში ჰაერიდან ეს ჯამბაზი გამოჩნდა. ხალხმა ყველაფერი უამბო. მან კი თქვა: არც სროლა გამიგია, არც ყიჟინაო. იმ ქვეყნის მეფემ მას ტახტი დაუთმო. ჯამბაზმა კალთები დაიფერთხა და ცოცხალი ცოლ-შვილი გადმოყარა (ორბელიანი 1959). ეს ეპიზოდი, ფაქტობრივად, აგვირგვინებს იმ საოცრებათა აღწერას, რაც ლეონს გადახდა თავს (XI ანბანი).

როგორც ვხედავთ, მუშაითობა (ჯამბაზობა) „ვეფხისტყაოსანში“ არც შემთხვევით მოხვედრილი და არც უმნიშვნელო რამ არ უნდა იყოს. მუშაითობის ფენომენის გააზრებაში დიდი დახმარება გაგვინია მირჩა ელიადეს ნაშრომმა „თოკები და თოჯინები“ (ელიადე 1998ა: 440-460). მ.ელიადეს დაინტერესება თოკებით ფაკირებისა და ჯამბაზების (ჯადოქრების) ტრიუკებმა განაპირობა. მაგიის სამშობლოდ აღიარებულ ინდოეთში ფაკირები ასეთ ტრიუკს ატარებდნენ: თავიანთ შეგირდს აუშვებდნენ ხოლმე თოკზე, რომელიც ცის უსასრულობაში იკარგებოდა. გარკვეული ხნის შემდეგ ციდან მიწაზე ცვიოდა ამ ყმანვილის სხეულის ნაწილები. ფაკირი აერთებდა ჩამოცვენილ ნაწილებს და შეგირდს აცოცხლებდა. აღმოჩნდა, რომ მსგავსი ტრიუკები ცნობილი იყო მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში: ჩინეთში, ირლანდიაში, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, მექსიკაშიც კი. ეს წრე ზოგან გაფართოვდა: 1. ჯადოქარი (ფაკირი) ან საკუთარი სხეულის ნაწილებს იჭრის, ან სხვას ანაწევრებს; 2. დანაწევრებამდე ადამიანი (ქალი ან კაცი) თოკზე ადის და უჩინარდება. ამ ტრიუკის ბევრი მოდიფიკაცია არსებობს: თოკის ჩანაცვლება ჯაჭვით, ხით, რქებით, მაგრამ, ამაზე აღარ გავაგრძელებთ საუბარს. მთავარია მრავალფეროვნების საერთო ფესვების მოძიება. ამ უცნაური ტრიუკის თუ „თამაშის“ ანალიზმა მეცნიერები

* კარატე — მთა ან ბორცვი, რომელზეც აღმართული იყო ღვთისშვილის სალოცავი.

** დედალოსის მითი.

(ელიადე და სხვები) არქაულ უნივერსალურ წარმოდგენამდე მიიყვანა. ტრიუკში ორი ელემენტი უნდა გამოიყოს: I. ნეოფიტის დანანევრება, II ცაში ასვლა თოკით. ნეოფიტის დანანევრება ინიციაციის არქაულ რიტუალს უკავშირდება (ახლა ამ საკითხს არ შევეხებით). ყურადღებას გავამახვილებთ თოკზე (მის სიმბოლიკაზე), რომელიც მუშაითის მთავარი აქსესუარია. უძველესი წარმოდგენებით, *მითოსური დროს* დასაწყისში ცას და მიწას ერთმანეთთან აკავშირებდა თოკი (ჯაჭვი, ხე, მთა, კიბე), რომელიც უზრუნველყოფდა ღმერთების კავშირს ადამიანებთან. მითიური წინაპრის დანაშაულის გამო ეს კავშირი განყდა, ხე, თოკი, ჯაჭვი გადაიჭრა (ელიადე 1998:112, 201-214). ეს მითი (ვარიაციებით) გავრცელებულია მსოფლიოს ყველა ხალხში. მითი სტრუქტურულად ასე წარმოგვიდგება: 1. მითოსურ დროში ურთიერთობა ცასა და მიწას შორის იოლი იყო; მათ აკავშირებდა თოკი (ხე, მთა და ა.შ.). 2. ღმერთები ჩამოდიოდნენ მიწაზე. მეფეები კი, რომლებიც ღვთაებრივი წარმომავლობის იყვნენ, მიწაზე თავიანთი მისიის შესრულების შემდეგ ისევ ზეცაში აღიოდნენ თოკით. 3. რალაც დიდი კატასტროფის შემდეგ, თოკი გადაიჭრა და შეწყდა ურთიერთობა ცასა და მიწას შორის. 4. ამ კატასტროფამ შეცვალა როგორც კოსმოსის მოწყობა (საბოლოოდ გაითიშა ცა და მიწა), ისე ადამიანის ყოფა: ადამიანი გახდა მოკვდავი (განცალკევდა სხეული და სული). 5. კავშირის განყვეტის შემდეგ მხოლოდ სულს შეუძლია ცაში ასვლა. 6. არიან პრივილეგირებული ადამიანები (მაგები, ჯადოქრები), რომელთაც კატასტროფის შემდეგაც შეუძლიათ თოკით ცაში ასვლა. შემდგომ ეს კონცეფცია საფუძვლად დაედო „სამოთხისა“ და „დაცემის“ მითს (ელიადე 1998:445). როგორც აღინიშნა, გარკვეული მომენტიდან თოკი პრივილეგირებული ადამიანების — მეფეების, ჯადოქრების, ქურუმების — აქსესუარი გახდა.

ახლა მოკლედ შევეხვით თოკის სიმბოლიკის სხვა მხარეს. თოკი და ძაფი ძალიან მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ კოსმოლოგიასა და ყოფაში. მათი ფუნქციაა ყოველი ცოცხალი არსის შეერთება-შეკავშირება. ეს იდეა წარმატებით აიტაცა ფილოსოფიამ, რომელიც ასაბუთებს, რომ ბუნებაში ყველაფერი შექმნილია (გადაბმულია) უზენაესი პრინციპით;* დროით შეზღუდული არსებობა ითვალისწინებს „შეერთებას“ ან „გადაჯაჭვას“. ასე მაგალითად: ა)კოსმიური თოკები — ქარები — აერთებენ სამყაროს ისევე, როგორც სუნთქვა კრავს ადამიანის სხეულს. როდესაც სამყაროს

* აპოკატასტასისზე მსჯელობისას ჟან დანიელუს მოჰყავს გრიგოლ ნოსელის ქვემოთ წარმოდგენილი პასაჟი: „ასე რომ, აღდგომისას სულს არაფერი დააბრკოლებს თავი მოუყაროს თავის ელემენტებს, რომლებთანაც იგი ყოველთვის კონტაქტში იყო. „თუკი სამყაროს განმგებელი ძალა შეერთების ნიშანს მისცემს დაშლილ ელემენტებს, მაშინ, როგორაც ერთი სათავის მქონე სხვადასხვა ძაფი დაჰყვება დამრთველს, სულის ერთი ძალა მიიზიდავს სხვადასხვა ელემენტს, თავს მოუყრის იმას, რაც მას ეკუთვნის და დაგრებს ჩვენი სხეულის ბანარს, რომლის დროს ყოველი ელემენტი თავის ჩვეულსა და ძველ ადგილს დაუბრუნდება და თავის ნაცნობს დაუკავშირდება“. „დიალოგი სულისა და აღდგომის შესახებ“, XVI, 77-b. — ჟან დანიელუს, აპოკატასტასისი, კრებულში: *ევროპული კულტურის ორი საფუძველი: VITA CONTEMPLATIVA და VITA ACTIVA*, სერია «ევროპული ძიებანი», რედაქტორ-შემდგენლები: პ. პაპავა, ზ. შათირიშვილი, თბილისი, 2008:175 (ეს მასალა მომანოდა პროფ. მ. მჭედლიძემ, რისთვისაც მას მადლობას ვუხდით).

აღსასრულის უამი დადგება და ქარების თოკები გადაიჭრება, სამყარო დანაწევრდება ბ) მზე მთელ სამყაროს „მიიბამს“ ძაფების საშუალებით. მზე ბადისებრია იმიტომ, რომ ერთმანეთს „აკერებს“ დღეებსა და ღამეებს. გ) მზე — კოსმიური მქსოველი — წარმოიდგინება როგორც ობობა, რომელიც ქსელს აბამს. ბევრი ტექსტის მიხედვით შემოქმედი ღმერთი მქსოველია. მასთან უხილავი ძაფებით არიან დაკავშირებული სამყაროები და არსებები, რომლებიც მან თავად შექმნა. კოსმოგონიური პროცესი ისევე, როგორც თვით კოსმოსი, სიმბოლიზებულია ბეჭვის, ქსოვის აქტით (ელიადე 1998:450). მქსოველობა — ქსოვა — ქსელი — ქსოვილი ძაფის, თოკის, ბეჭვის სახეები ორგემაგეა. ისინი, ერთი მხრივ, გამოხატავენ პრივილეგირებულ მდგომარეობას, მეორე მხრივ, შემოფარგლულ დროს (სიცოცხლის ძაფის განყვეტა). თოკს და ძაფს უდიდესი ფუნქცია აქვთ მაგიაშიც; ოკულტურ და ჯადოსნურ პროცედურებში.* თოკები და კვანძები (ნასკვები) ფიგურირებენ სიტყვიერი გარიგებების ფორმულებში: მაგ: ძვ. ინგლისური გამოთქმა „show the ropes“ სიტყვასიტყვით ნიშნავს თოკების ჩვენებას. ამ ფრაზას იყენებდნენ გარიგების დასრულებისას ხელის ჩამორთმევის ადეკვატურად. ამავე რიგისაა ძველბერძნული იდიომები *grifo-*, *dol on ulfainein* (II VI, 187-8) „გამოცანის (სიცრუის) მოქსოვა“ და „სიტყვების მოქსოვა“ (II III, 212). ქსოვასთან, ბეჭვასთან დაკავშირებული ევროპულ-აღმოსავლური რიტუალების საინტერესო ანალიზი აქვს რ. ონიანსს (ონიანსი 1999: 328).

თოკის რიტუალურ გამოყენებას სხვა ასპექტიც აქვს. ჰომეროსის „ილიადაში“ ზევსი მიმართავს ოლიმპიელ ღმერთებს: მე ყველაზე ძლიერი ვარ. თუ გინდათ, გამომცადეთ: ჩამოვუშვათ ციდან ოქროს თოკი, თქვენ ყველანი მის ერთ ბოლოს ჩაეჭიდეთ, მე კი მეორე ბოლოს მოვკიდებ ხელს. ნახავთ, რომ ძვრას ვერ მიზამთ (II. VIII, 17-27). ამჟამად თოკის გადაქაჩვა საყოველთაოდ ცნობილი გუნდური თამაშია. ეს თამაში, როგორც ჩანს, სხვა თამაშების მსგავსად (კარტი, კამათელი), საკრალური წარმოშობისაა.**

აქამდე ჩვენ ვსაუბრობდით ზევიდან ჩამოშვებულ (ვერტიკალურ) თოკებზე. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ იმავე არქაულ წარმოდგენებში არანაკლებ მნიშვნელოვანია ჰორიზონტალური თოკების სიმბოლოები: ორ სამყაროს (ორ ქვეყანას, ქვეყნის ორ ნაპირს და ა.შ.) აერთებს „ბენვის ხიდი“ (თოკი). ბენვის ხიდზე გადის ადამიანი ზესთასოფელში გადასვლისას.***

* ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, სამ რაინდს ძალიან გაუჭირდა ქაჯებთან ბრძოლა; რამდენ ქაჯსაც მოკლავდნენ, იმდენი ჩნდებოდა. ფრიდონმა თვალი მოჰკრა ციხის თავზე მჯდომ დედაბერს, რომელიც *ჯარას უკუღმა აბრუნებდა* და ქაჯებს აჩენდა (ჩიქოვანი 1936: 96; 164).

** თამაშების საკრალურ წარმომავლობაზე იხ.: ჰაიზინგა:2004. ყველა საფუძველი გვაქვს საიმისოდ, რომ მუშაითობა (თოკზე გასვლა) ერთ-ერთ იმ „თამაშად“ ჩავთვალოთ, რომლებიც ადრეულ ეპოქებში საკრალური რიტუალები იყვნენ [მაგალითად: ბანქო, კამათელი, ჭადრაკი, დოლი და ა.შ.]. დროთა განმავლობაში (მას შემდეგ, რაც დაკარგეს საკრალური ფუნქცია), პროფანულ სივრცეში „გადავიდნენ“ და გასართობად იქცნენ.

*** ამ ე.წ. „ხალხური“ შეხედულების თვალსაჩინო ნიმუშია ილია ჭავჭავაძის „ოთარანთ ქვრივი“: „რომ ღმერთმა ადამიანი გააჩინა, უბრძანა: ნადი, შენს თავს შენვე მოუარეო; შენ იცი და შენმა ნუთისოფელმაო; რაც წაგეკიდოს, შენი ბრალი იქნება, მე ნურას დამაბრალებო; მე ხელი დამიბანიაო; აქ ჩემთან რომ ამოხვალ, მაშინ სხვა

დიდი ცხოვრებისეული სიძნელეების გადალახვა სიმბოლურად ბენვის ხიდზე გავლას ემსგავსება.*

ჰორიზონტალური და ვერტიკალური სიბრტყეების გადაკვეთა სამყაროს მოდელს ქმნის. ვერტიკალს (ზემო-ქვემო) და ჰორიზონტალს (მარცხენა-მარჯვენა) სხვადასხვა სიმბოლიკა აქვს, თუმცა კონცეპტუალურად ისინი ბინარული ოპოზიციების არსობლივ ასპექტს გამოხატავენ. ოპოზიციების უკიდურესი წერტილების *დამაკავშირებელი* ხაზები (ძაფები, თოკები, ქარები, ჯაჭვები და ა.შ.) ღრმა სიმბოლიკას (თუ გნებავთ, რელიგიურ დატვირთვასაც — ამ აზრის ფართო გაგებით) შეიცავს. ეს ფუნქცია გამოკვეთილია შესაქმეს სხვადასხვა ვარიაციებშიც და ჩვეულებრივ ყოფით საქმიანობაშიც: ბეჭვის პროცესი (ჯარაზე ქსოვილის ბეჭვა) იწყება ვერტიკალური ძაფების გაბმით. ამ ვერტიკალურ ძაფებში ჰორიზონტალურად „მიმოიქცევა“ სხვა ძაფი, რაც ერთიანობაში ქმნის ქსოვილს.**

ძნელია დაბეჭდვით ითქვას, შესაქმეს პროცესში რომელ მიმართულებას ენიჭება მეტი საკრალურობა და ძალმოსილება, მაგრამ ცხადია, რომ ერთი მეორის გარეშე, ფაქტობრივად, უფუნქციოა. ამიტომ პარალელურად გაბმული თოკი საკრალური სიმბოლიკის აუცილებელ შემადგენლად უნდა მივიჩნიოთ.

თამაშად გარდასახვის შემდეგ ზეციდან ჩამოშვებული თოკი ფაკირებისა და ჯადოქრების „კომპეტენციაში“ გადავიდა, ჰორიზონტალური კი — მუშაითების (ჯამბაზების).

ახლა ისევ ფრიდონს დავუბრუნდეთ. რატომ „მიაკუთვნა“ რუსთველმა მაინცდამაინც ფრიდონს მუშაითობის ოსტატობის ცოდნა (მით უმეტეს, რომ ხალხური ტრადიციით, თოკზე გასვლის ოსტატობა ავთანდილის ხელობაა); რატომ უნდა ესწავლებინათ აღმზრდელებს მეფის ძისთვის თოკზე გასვლა? ხომ არ იგულისხმება ამ „თამაშში“ რამე სიმბოლური მნიშვნელობა? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ტექსტს მივუბრუნდეთ. „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, ფრიდონი *ზღვისპირა პატარა ქვეყნის* მეფეა. მეტიც, ჩვენ არ ვიცით, რომელ ქვეყანას გულისხმობს რუსთველი მულღაზანზარში (მართალია, გამოითქვა რამდენიმე მოსაზრება ფრიდონის სამეფოს ადგილმდებარეობის დადგენის თაობაზე, მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდებია). ამის საპირისპიროდ, ზუსტად ვიცით სხვა გმირების წარმომავლობა: ტარიელი ინდოეთიდანაა, ავთანდილი — არაბეთიდან. მითითებუ-

არისო. ადულებულ კუპრის ზღვაზედ ბენვის ხიდს გაგიდებ, თუ კარგი ხარ, — გაივლიო; მადლი მხრებში შეგიჯდება და გაგატარებსო; კაი კაცს არ ჩაუწყებო“ (ჭავჭავაძე 1974:281).

* მოვიგონოთ ილია ჭავჭავაძის მსჯელობა რუსეთში გატარებულ ოთხ წელიწადზე: „... ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბენვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული“ იბიდ: 11.

** ქსოვისა (თუ ბეჭვის) სიმბოლიკასთან დაკავშირებით, უთუოდ, საყურადღებოა ხატაეთიდან წამოღებული საკვირველი ყაბაჩა და რიდე, რომლებიც ტარიელმა ნესტანს აჩუქა (და რომლებიც თხზულებაში მნიშვნელოვან დატვირთვას ატარებენ): *„ვერა შევიგენ, რა იყო ანუ ნაქმარი რაულად! / ვისცა ვუჩვენი, უკვირდის, ღმრთისაგან თქვის სასწაულად; / არცა ლარულად ჰვებოდა მას ქსელი, არც ორხაულად; / სიმტკიცე ჰგვანდა ნაჭედსა, ვსთქვი ცეცხლთა შენართაულად“* (რუსთაველი 1966:467).

ლია სხვა სახელმწიფოებიც — ხატაეთი (ჩინეთი) და ხვარაზმი (სპარსეთი). ფრიდონის ქვეყნამდე მისაღწევად ავთანდილს ტარიელის გამოქვაბულიდან 70 დღე დასჭირდა. როგორც ჩანს, მულღაზანზარი მარგინალური, არაორდინარული ქვეყანაა — პატარა, მაგრამ ძალიან მდიდარი. ამ სპეციფიკიდან გამომდინარე, ქვეყნის მმართველს მეფეთა ტრადიციულ „ქცევა-ქმნათა“ პარალელურად აღმზრდელები მუშაითობის ხელოვნებასაც ასწავლიან (ამით ხასგასმულია, რომ სიყმანვილეში ფრიდონმა ინიციაციის განსხვავებული — ეზოთერული — გზაც გაიარა). ფრიდონი თავისი პატარა ქვეყნის კეთილდღეობის უზრველსაყოფად და მის გასაფართოებლად, როგორც ჩანს, ნემსის ყუნწში ძვრება და ხშირად „ბენვის ხიდზე“ გადის. ამ მიზნის მიღწევაში მას ის სულიერი გამოცდილებაც ეხმარება, რომელიც თოკზე გავლის პრაქტიკულმა უნარ-ჩვევამ გამოუმუშავა.

ყურადღებას იპყრობს სხვა ასპექტებიც: სამი გმირიდან მხოლოდ ფრიდონმა იცის ქაჯეთისკენ მიმავალი გზა (შესაძლოა, იგი ადრეც ყოფილა ქაჯთა ქვეყანაში). „ვეფხისტყაოსანში“ ქაჯეთი რომ ბოროტების სიმბოლოა, სადავო არ არის. ბოროტების სიმბოლო — ქაჯეთი უპირისპირდება ადამიანთა ქვეყანას, სადაც, რუსთველის კონცეფციით, სიკეთე ჭარბობს, რადგან ამ ქვეყნის შვილებს საოცარი თავგანწირული სიყვარული შეუძლიათ. ტექსტის მიხედვით, ორ სამყაროს შორის ქაჯეთის აუღებელი კედლებია, ქალაქის სამ კარიბჭეს კი გრძნეული ქაჯები დარაჯობენ. სწორედ ამ ვითარების გათვალისწინებით, ფრიდონი მეგობრებს პრობლემის გადაწყვეტის უჩვეულო გზას სთავაზობს — თოკზე გასვლას („მას ზედა გავლა ადვილად მიჩს, ასრე ვითა ველისა“ 1394). ფრიდონს ეჭვი არ ეპარება, რომ ამ ამოცანას კარგად გაართმევს თავს, მეტიც, თამაშით, კისკასად გავალო, — არწმუნებს მეგობრებს. ამ რწმენის მიზეზი არა მხოლოდ მის მუშაითურ ოსტატობაშია, არამედ იმაშიც, რომ კეთილ საქმეზე მიმავალს თოკის ხიდი არ ჩაუნყდება.*

ჩვენი ვარაუდის გასამყარებლად სხვა ასპექტებსაც მივაპყრობთ ყურადღებას: ფრიდონს უჩვეულო ცხენი ჰყავს, რომელიც „ზღვათა შიგან იხვსა ჰგავს და ხმელთა ზედა შავარდენსა“ (626).** ფრიდონი ერთხელ კი-

* ეკლესიისტეს (4,12) ევაგრე პონტოელისეულ კომენტარებში ვკითხულობთ, რომ ადამიანები და ანგელოზები ერთდროულად არიან ჩართული ერთსა და იმავე ბრძოლაში: ბოროტის „პირისპირ დგას ორივე, ადამიანიცა და ღმერთის ანგელოზიც, რათა ადამიანი, მას შემდეგ, რაც იგი ეშმაკზე გაიმარჯვებს, ღირსი გახდეს ღმერთის ცოდნისა და იქცეს სამმაგ თოკად, რომელიც ადვილად არ წყდება (ევაგრე, კომენტ. ეკლეს.30). პროფ. ლორენცო პერონეს ლექცია „ძაღლების განდევნა ლოცვის ჟამს“, ნაკითხული თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში (თარგმ. მ. მჭედლიძისა).

** ეს სწორედ ის ცხენია, რომელიც შემდეგ ფრიდონმა ტარიელს უძღვნა და რომელიც პოემაში არც თუ უმნიშვნელო ფუნქციას ასრულებს. ამ შავ ცხენზე ამხედრებული ტარიელი ისე დაეკარგა როსტევანის მოყმეებს და თავად რჩეულ არაბულ ტაიჭებზე ამხედრებულ მეფე-სპასპეტს, რომ „ჰგავდა ქვესკნელს ჩაძრომილსა ანუ ზეცად ანაფრენსა“ (100). ხატაელი ძმებიც საგანგებოდ ამახვილებენ ყურადღებას უცნაური მოყმის ცხენზე „ზედა ჯდა შავსა ტაიჭსა, — მერანი რამე შავია“ (209). ტექსტში ზოგჯერ ეს ცხენი მხოლოდ ფერითაა აღნიშნული „ტარიელ შავსა ზედა ზის ტანითა მის წერწეტითა“ (1417). ჩვენ შეგვეძლო გვესაუბრა შავი ფერის სიმბოლიკაზე; მოგვეხმო ე.წ. „ჭკვიანი“ ცხენების პარალელები მითოსიდან და ლიტერა-

დევ ახსენებს თავის ცხენს: როდესაც ქაჯეთის ციხის აღების ტარიელისეული გეგმა დამტკიცდა, ფრიდონმა მეგობარს ხუმრობაშერევით უთხრა: *„ფრიდონ უთხრა: „შემიგნია, გამიგია, ვიცი მე რა: / მაგა ცხენსა ჩემეულსა წამოასწრებს კართა ვერა; / ოდეს გიძღვენ, რა ვიცოდდი, ქაჯეთს გვინდა ქაჯთა მზერა, / თვარა ყოლა არ გიძღვნიდი, ჩემი ვითხრა სიძუნწე რა“* (1405).*

ქაჯების წინააღმდეგ რომ სხვა ხერხებიც უნდა გამოეყენებინათ, ამაზე ისიც მიუთითებს, რომ გმირები დევების გამოქვაბულში საგანგებოდ ქაჯთა წინააღმდეგ განკუთვნილი აბჯარ-იარაღით აღიჭრუვნენ. ქაჯების გრძნეულების წინააღმდეგ თვით დევებიც ემზადებოდნენ. მათ გამოქვაბულში ტარიელმა და ავთანდილმა იპოვეს უცნაური ზარადხანა:

„პოვეს ერთი ზარადხანა, აბჯრისათვის სახლად ქმნილი; / მუნ აბჯარი ყოვლიფერი ასრე იდვა, ვითა მწნილი, / შიგან ერთი კიდობანი დაბეჭდული, არ-გახსნილი“ (1365). *„ზედა ეწერა: „აქა ძეს აბჯარი საკვირველიო, / ჯაჭვ-მუზარადი აღმასსი, ხრმალი ბასრისა, მჭრელიო; / თუ ქაჯნი დევთა შეებნენ, იყოს დღე იგი ძნელიო! / უმისჟამისოდ ვინც გაჰხსნის, არის მეფეთა მკვლელიო“* (1368).

ქაჯებთან ბრძოლა დევების დამარცხებაზე ძნელი რომ იყო, ეს ტექსტში სრულიად გამჭვირვალედ ჩანს: ჯერ ერთი, ტარიელმა მარტომ შეძლო დევების ამონყვეტა და მათ გამოქვაბულსაც დაეპატრონა. მეორე: თავად დევებს ეშინოდათ ქაჯების თავდასხმის და ამისთვის საგანგებო იარაღი ჰქონდათ მომზადებული.** მოკლედ, ტარიელი ქაჯების წინააღმდეგ ზურმუხტებით მოოჭვილი ხმალ***-აბჯარ-მუზარადით მიდის ფრიდონის ნაბოძვარ შავ ტაიჭზე ამხედრებული. ამით ხაზგასმულია, რომ ტარიელში კონცენტრირებულია ყველა ძალა — ადამიანური და ტრანსცენდენტური. იგი მზადაა ბოროტების დასამარცხებლად.

ამ კონტექსტში ფრიდონის ფუნქცია მითოსური (ზღაპრული) გმირის (კულტურული გმირის) დამხმარეს მოდელს ესადაგება. კერძოდ, ფრიდონი თავადაც ეხმარება ტარიელს: მასთან ერთად იბრძვის; თავის ჯარს ახმარს (რჩეულ მეომრებს) და საჭირო „ნივთს“ (ცხენს) უძღვნის. ნიშანდობლივია

ტურიდან (აქილევსის ადამიანის ენით მოლაპარაკე ცხენი; ალექსანდერე მაკედონელის ცნობილი ბუცეფალი და სხვა), გვესაუბრა ჯადოსნური ზღაპრის რაშზე, ცხენზე, როგორც „დამხმარეზე“, მაგრამ ახლა ამ თემას არ განვაგრცობთ.

* ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, დედაბერმა ტარიელსა და ავთანდილს ასეთი რჩევა მისცა: ფრიდონს ერთი ცხენი ჰყავს, თუ იმას ნაიყვანთ, ქაჯეთამდე გზას თვითონ გაიგნებსო. სხვა ვარიანტში ვკითხულობთ: ტარიელმა ფრიდონს სთხოვა „ცხენი მომეცი, ფრიდონო, / ჩემ ცხენ ზღვაზე ვერ დადისა“. სხვა ვერსიაში ამ უცნაურ ცხენს „ქარის ცხენს“ უწოდებენ (ჩიქოვანი 1936:94; 142-145).

** ესეც საინტერესო საკითხია. საქმე ის არის, რომ უძველესი წარმოდგენებით, გამოქვაბული დიდი დედის კულტს — ინიციაციას, სიკვდილსა და ხელახლა შობას უკავშირდება. გამოქვაბულს უკავშირდება ლითონის წარმოების მაგიური ხელოვნებაც: გამოქვაბული (დიდი დედის საშო) ზიარებულებს „გაუხსნის“ მადნეულს. ამ წარმოდგენების რეკონსტრუქცია ხერხდება სამოთრაკეს და სხვა ცნობილი მისტიკებით, რომელშიც მონაწილეობენ კორიბანტები (დაქტილები, კურეტები) მითოსური მეტალურგები (ელიადე: 1998ბ. ვასილიევა:1990).

*** ამ ხმალზე რუსთველი წერს: „ხრმალი რკინასა მოჰკრიან, ვით ბამბის მკედსა სჭრიდიან“ (1379).

ისიც, რომ ქაჯებზე გამარჯვების შემდეგ დევების გამოქვაბულის მთელი განძი ტარიელმა ფრიდონს (და მის მეზობლებს) უბოძა.

სხვა ასპექტებზეც შეიძლება ყურადღების გამახვილება, მაგალითად: ჩვენ არაფერი ვიცით ფრიდონის პირად ცხოვრებაზე, რაც პოემის მთავარ გმირებთან მიმართებით მას, ცოტა არ იყოს, „ნაკლულად“ წარმოგვიდგენს. მით უმეტეს, რომ თხზულების კომენტატორების აზრით, ფრიდონი ყველაზე უფროსია. მხოლოდ ერთხელ გაიღვება პოემაში ფრიდონის ემოცია: იგი ტარიელს უყვება მზესავით ქალის უეცარ და უცნაურ ნახვას, რომელიც ხილვას უფრო ჰგავს: *„ქალი გარდმოსვებს, სისხონი ვნახენ მისისა თმისანი. / მას რომე ელვა ჰკრთებოდა, ფერნიმცა ჰგვანდეს რისანი! / მან გაანათლა ქვეყანა, გაცუდდეს შუქნი მზისანი!“* (629).

„იგი ვარდი შემყვარდაო“, — ამბობს ფრიდონი. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ნესტანს „საფარველი“ სწორედ ფრიდონის ქვეყანაში აეხადა. ფრიდონი არის პირველი ადამიანი, რომელმაც ნესტან-დარეჯანი იხილა ინდოეთიდან გადაკარგვის შემდეგ.*

საინტერესოა აგრეთვე ფრიდონის ბრძოლის ეპიზოდი ბიძაშვილებთან. სადავო კუნძულის დაპატრონების სურვილი რამდენიმე ასპექტით შეიძლება აიხსნას — პრაქტიკული მოსაზრებით (სამეფოს გაფართოვების სურვილით) და შესაძლოა, კუნძული მოვიაზროთ, როგორც საკრალური პუნქტი (მაგრამ ახლა ამ საკითხს არ განვაგრძობთ). ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ ფრიდონი ბიძაშვილებს თავისი ცხენის წყალობით გადაურჩა. მან ზღვა გამოცურა. პოეტი ასე აღწერს გამწარებულ ფრიდონს: *„მტერთა ექადდა, წყრებოდა, იგინებოდა, ჩიოდა“* (596). ფრიდონის მრისხანება აშკარად განსხვავდება სხვა გმირებისაგან. არც ავთანდილი არც ტარიელი არ იგინებია. თუ ამ ტერმინს (გინება) ღრმად ჩავყვებით, შეიძლება ბილწსიტყვაობის რიტუალურ მნიშვნელობამდე მივიდეთ და კონტაგიოზური მაგიის ელემენტებზეც ვისაუბროთ („მტერს უსურვე ცუდი და ცუდი შეემთხვევა“). ბიძაშვილებთან მიმართებით ჩვენ სხვა ასპექტი გვინტერესებს: დამარცხებული ბიძაშვილები ფრიდონმა არ დახოცა, მაგრამ „ხელნი წმინდად გარდაკვეთნეს“ (623). ფრიდონმა მტრის დასჯის ის მეთოდი გამოიყენა, რომელიც ითვალისწინებს მონინააღმდეგის გაუვნებელყოფას სააქაოშიც და საიქიოშიც.**

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ფრიდონი ტარიელისა და ავთანდილისგან განსხვავებული პერსონაჟია. მართალია, ეს სამი გმირი ავსებს ერთმანეთს, მაგრამ ფრიდონის წვლილი ამ ერთობაში, ნაწილობრივ, გამოდის ორდინარულის ფარგლებიდან. ამ არაორდინარულობის გასაღები კი „სამუშაითოდ“ გაზრდის კონცეფციაში (ეზოთერულ ცოდნაში) შეიძლება მოვიძიოთ.

* მეორედ ნესტანი ასევე რუკაზე დაუფიქსირებელი ქვეყნის — ზღვათა სამეფოს (გულანშაროს) მკვიდრმა — ფატმანმა იხილა. მესამედ — ქაჯებმა.

** მარჯვენა მკლავის მოკვეთის მითორიტუალურ მოდელზე იხ.: ცანავა: 2005. აქვე აღვნიშნავთ, რომ (ადეკვატურ კონტექსტში) დამარცხებულ რამაზ მეფეს სრულიად განსხვავებულად ექცევიან ფარსადანი და ტარიელი.

დამონებიანი:

- რუსთაველი 1966: რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი. აკ. შანიძის და ალ. ბარამიძის რედ. თბ.: 1966.
- გამსახურდია 1991: გამსახურდია ზ. ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება. თბ.: 1991.
- განმარტებითი ლექსიკონი 1958: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ.V:1958.
- ელიადე 1998ა: Элиаде М. Верёвки и куклы. В кн: Азиатская алхимия, Пер. с рум., англ., франц. М.: 1998.
- ელიადე 1998ბ: Элиаде М., Азиатская алхимия, Пер. с рум., англ., франц. М.: 1998.
- ელიადე 1998: Элиаде М. Шаманизм, Архаические техники экстаза. Пер., с англ. Киев: 1998.
- ვასილიევა 1990: Василиева М., Гора, Бог и Имя: о некоторых фрако-фригийских параллелях, ВДИ №3, 1990.
- ონიანსი 1999: Онианс Р. На коленях богов. Пер. с англ. М.: 1999.
- ორბელიანი 1959: ორბელიანი ს.-ს. „სიბრძნე სიცრუისა“. თბზულებანი. ტ.I. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1959.
- ქეშიკაშვილი 1990: ქეშიკაშვილი ი. ღმერთები, მითები, რიტუალები. თბ.: 1990.
- ჭავჭავაძე 1974: ჭავჭავაძე ი. რჩეული ორ ნიგნად. თბ.: 1974.
- ჩირუმბოლო 1995: Chirumbolo P. Sex, Gods and Gay People Underlying the Myths. 1995 (www.guidancetochangeyourlife.com)
- ჩიქოვანი 1936: ჩიქოვანი მ. ხალხური ვეფხისტყაოსანი. ტფ.: 1936.
- ცანავა 2005: ცანავა რ. მითორიტუალური მოდელები, სიმბოლოები ანტიკურ მწერლობაში და ქართული ლიტერატურულ-ეთნოლოგიური პარალელები. თბ.: 2005.
- ჰაიზინგა 2004: ჰაიზინგა ი. Homo Ludens. კაცი მოთამაშე (კულტურის თამაშში წარმოშობის შესახებ). თარგმ. გერმანულიდან. თბ.: 2004.